

ღირსისა მამისა ჩვენისა

იოანე

სინა-მთის მამასახლისისა

კლემასი

რომელ-არს

კიბე

გამოცემული

ათონის წმიდის მთის ახალ-ქართველიწმიდის იოანეს ღვთის

მეტყველის საგანისა

ფოთი

სტამბა ლ. მ. ტულუშის

1902

უსე საცნაურ იყავნ ყოველთა რომელნი იკითხვი-  
დეთ, ანუ სწერდეთ წმიდასა ამას წიგნსა წმიდანო  
ღვთისანო, ვ~დ ნეტარსა ამას მამას, რ~სა ესე სულთა  
განმანათლებელი წიგნი უთქვამს, არათუ კლემაქსი ეწო-  
დების, ნუ იყოფინ, ა~დ იოანე არს სახელი მისი: ხოლო  
კლემაქსი წიგნსა ეწოდების, და არს კლემაქსი ბერძული-  
თა ენითა, ვითარმედ ღიბეო.

ჴოლო ამისთვის ეწოდების წიგნსა ამას კიბე, რ~ ვ~ა კიბე სათ-  
ნოებათა შექმნა წიგნი ესე, და მდაბალთა საქმეთაგან  
იწყებს, და თ~ა და თ~ა მაღალთა მ~რთ აღვალს, ვ~ა  
თვით აღსასრულსა წიგნისასა ჰპოოთ გამოსახული ღიბე  
სათნოებათა.

ჴ~ რ~სა გამოკრებული იგი მცირედი პ~ლ ეთარგმ-  
ნა, ღლემაქსი ეთქვა მის წ~ისადა. აწ, უკეთუ ვინმე წიგ-  
ნისა სახელსა იტყოდეს, ჰთქუნ კლემაქსი, რ~ლ არს ღი-  
ბე; ხოლო უკეთუ წმიდისა მის სახელსა იტყოდეს თქუნ  
იოანე

წინადგან უკვე პირველსა მას თარგმანსა მრავალი  
მრუდად დაწერა, და მრავალი დაეგდო; ამისთვის მე  
გლახაკმან იფთვიმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა  
იოანესითა ვთარგმნე ესე, ვ~ა თვით მას წმიდასა ეთქვა  
ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი ნათესავით.

ღწ უკვე, რომელნიცა ამას წმიდასა წიგნსა იკითხვი-  
დეთ ლოცვა ჰყავთ წმიდათა მამათა ჩვენთათვის იოანეს-  
თვის და იოანე სვინკელისათვის და ჩემთვისცა ცოდვი-  
ლისა ეფთვიმესა, და რომელნი სწერდეთ, ვითარცა აქა  
ჰპოოთ ეგრეთ დაწერეთ. და თავნი ვითარცა აქა იყვნენ,  
ეგრეთ დასხენით, რამეთუ მეცა, ვითარცა მიპოვნიან, ეგ-  
რეთ დამისხამნ, ყოველნი წითლითა; და ამათცა სიტყვა-  
თა ნუ ვინ დააგდებთ, არამედ დასწერდით ივთისათვის,  
და ჩემსაცა ცოდვილისასა სახელსა.

კიბე სათნოებათა ცათ აღმყვანებელი თქმული  
 დანიილ მონაზონისა რაითელისა, წიგნისა ამის-  
 თვის სულთა განმანათლებელისა, რომელსა ეწო-  
 დების კლემაქსი, რ~ლ არს კიბე

ჰომელთა ჰნებავეს ზიგნსა მას ცხოვრებისასა ცათა-  
 შინა დაწერად სახელები მათი, და ისწრაფიან კე-  
 თილთა მათ მიმართ ზეცისა ნეტარებისათა აღჰსლვათ  
 კეთილი სახე და სწავლა სრბისა მის მათისა უჩვე-  
 ნოს წმიდამან ამან წიგმან.

ჰ~ რ~ლნიცა ამას აღმოიკითხვიდენ, ჰოონ წინამძღვა-  
 რი უცდომელი, რ~ლი უძლოდის სასუფეველისა მიმართ  
 ცათასა, ყ~თა რომელნი შეუდგენ მას, და ყ~ლთავე შემაბრ-  
 კოლებელთა ქვათაგან დაიცვნეს იგინი შეუბრკოლებე-  
 ლად, და ექმნას კიბე ქვეყანით ცად აღმართებული, და  
 მიმყვანებელი ქვეყანით წმიდისა მის მიმართ წ~ასა, რ~ლი  
 გამოაჩინებს ღმერთსა თავსა თვისსა ზედა მდგომარედ.

ჲა მზგავსი არს კიბისა მის, რ~ლი ოდესმე ვნებათა  
 დამთრგუნველმან ოაკობ იხილა განრაისვენებდა სარეცე-  
 ლსა მას ზედა მოღვაწეებისასა.

ჲმისთვის უკვე გევედრები ძმანო, აღვხდეთ ჩვენცა,  
 სარწმუნოებით და სიყვარულით, სულიერსა ამას და ცად  
 აღმომყვანებელსა კიბესა, რომლისა პირველი აღსავალი  
 კიბისა გვასწავებს კეთილად.

- ა. სოფლისა ამის ამოღსა განშორებისათჳს.
- ბ. სიძულილისათვის სოფლისა და საქმეთა მისთა.
- გ. ოცხოებისათვის, რ~ლსა შ~ა იტყვის სიზმართა თ~სცა  
 ცუდთა.
- დ. ზამებისა მის თ~ს რომელი იქმნების მორჩილებისა მიერ.
- ე. სინანულისათვის, რ~ლსა შ~ა იტყვის დილეგისა მისთ~ს.

- ო. წყნებისათვის სიკვდილისა.  
 ბ. ცოდვათა განმწმედელისა გლოვისათვის.  
 ბ. ორისხველობისათვის.  
 თ. ძვირის ხსენებისათვის.  
 გ. ძვირის ძრახვისათვის.  
 დ. ჭუმლისათვის.  
 ე. ღყუილისათვის.  
 ვ. შოწყინებისათვის.  
 ვ. ნაყროვანებისათვის.  
 თ. სიძვისათვის.  
 თ. ღეცხლის მოყვარებისათვის.  
 ბ. ოპოვარებისათვის.  
 ბ. ოლმობელობისათვის.  
 თ. ღალობისათვის კრებულთა შს.  
 ღ. შდვიძარებისათვის.  
 ღ. შოშიშებისათვის.  
 ღ. ზვაობისათვის.  
 ღ. წმპარტავნებისათვის, რლსათა იტყვის გმობისათვისცა.  
 ღ. სიმშვიდისათვის და სიწრფოებისა.  
 ღ. სიმდაბლისათვის.  
 ღ. ღანკითხვისა და გულის ხმის ყოფისათვის.  
 ღ. ღაყუდებისათვის და განშორებისა და დაცვისა გონებისა.  
 ღ. ღოცვისათვის გონებითა შემოკრებულთა.  
 ღ. ოვნებლობისათვის.  
 თ. სიყვარულისათვის და სარწმუნოებისა და სასოებისა.

ჯ. ისწრაფა კეთილად ღმერთშემოსილმან მან მამამან  
 იოანე და ყოველივე სამონაზნისა ცხოვრებისა სა-  
 ქმე შემოკრიბა წიგნსა ამასა შინა. და ჰყო რიცხვი  
 კიბეთა ამათ სულიერთა, შემსგავსებულად უფლი-  
 სა ხორციელისა ჰასაკისა წელთა, რამეთუ ოცდა ათისა  
 წლისამან, ნათელ-ილო ოფალმან Ἰესო ღრისტემან, და  
 ეგრეთვე ამან ოცდა-ათისა აღსავალისა კიბე გამოგვისახა  
 რომლისაცა უკეთუ თავსა მივიწივნნეთ ვიყვნეთ მიერთ-

გან სრულ და დაუცემელ.

ჟოლო რომელი ჯერეთ არღა აღსრულიყოს ზიბესა ამას ზე-  
და, არს იგი ჩჩვილ და ყოველსავე წამებასა ზედა გული-  
სასა უხმარ და არა სარწმუნო. ხოლო ჩვენ-ჯერ ვიჩინეთ,  
რათა პირველად აქა დავაწესოთ ყოვლად ბრძნისა ამის  
ცხოვრება მოკლედ, ძალისა-ებრ ჩემისა, ვითარცა მივწ-  
ვედ, ცნობად, რათა ვხედვიდეთ შრომათა მისთა, და არა  
ურწმუნო ვიქმნეთ სიტყვათა მისთა.

**ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა**

**იოანე სინელ მამასახლისისა, მოძღვრებით განთქ-**

**მულისა, სულთა განმანათლებელისა და ჭეშმარი-**

**ტად სანატრელისა, რომელი ესე აღწერა შანიელ**

**მონაზონმან რაითელმან.**

საყვარელნო ძმანო, ვერ შემძლებელ არს სიტყვა  
ჩემი თქმად, თუ რომელი იყო ქალაქი, რომელსა  
შინა იშვა და აღიზარდა ახოვანი ესე მხედარი ივ-  
თის-მსახურებისა, პირველ შესვლისა მისისა მოღ-  
ვაწებისა სარბიელსა, რამეთუ არა უწყი იგი ჭეშმა-  
რიტებით, ხოლო თუ რომელი არს, რომელსა შინა აწ  
იყოფის, და უკტავებისა ნეტარებითა იშვებს, ყოვლად  
ქებული იგი, მას ქალაქსა ყოვლადვე არა უმეცარ ვარ,  
რამეთუ იყოფის იგი აწ მას ქალაქსა შინა, რომელსა  
შინა მკვიდრ არიან იგინი, რომელთათვის ხმა მაღალი  
იგი ნესტვი ეკლესიისა შავლე ქადაგებს, ვითარმედ  
რომელთა იგი მოქალაქეობა ცათა შინა არს.

შუნ იყოფის ესე სანატრელი და იშვებს საცნაურად  
განუძღომელთა მათ კეთილთა შინა. და უხილავსა მას სი-  
კეთესა და მიუწდომელსა გონებითა განიცდის; და ღირს-

ნი ოფლითა მისთა სასყიდელნი მოეფინებინ მის ზედა.  
და შრომათა მისთათვის პატივი მოუღებეს ზეცისა სასუ-  
ფეველი, და არს და იყოს უკუნისამდე, მათთანა რომე-

## VII

ლთან იფეხნი დგანან სიწრფელესა შინა. ხოლო თუ ვი-  
თარ უნივთოთა მათ თანა შეერთო ნივთიერი ესე, მიგით-  
ხრა თქვენ კეთილად.

იყო ათექვსმეტისა წლისა ხორციელითა ჰასაკითა, სანატ-  
რელი იგი, ხოლო ათასის წლის იყო გონებისა სიბრძნი-  
თა. რაჟამს იგი შესწირა ესრეთ თავი თვისი მსხვერპლად,  
ნებისთ შეწირულად, დიდისა მის მღვდელ-მოდღვრისა,  
რომლისა მიმართ შესწირნა ხორციანი მათასა მას სინასა, ხო-  
ლო სული მათასა მას ზეცისასა.

შა ესრეთ უცხოებისა მის მიერ, რომელი წინამდგ-  
არი არს სათნოებათა, აღმოფხვრა კადნიერებისა ვნება  
ძირითურთ, და მოიგო სიმდაბლე შვენიერი, და წარს-  
დევნა კეთილად მაცდური იგი ვნება თვით რჩულობისა  
და ნებისა თვისისა შედგომისა; რამეთუ მოუდრიკა ქედი  
მოდღვარსა სულიერსა, რათა უშრომელად და უღელვე-  
ლად ვიდოდის ფიცხელსა მას ზღვასა შინა, ამის ცხოვ-  
რებისასა

შა ესრედ დაამორჩილა თავი თვისი მოძღვარსა, ვი-  
თარმცა უსიტყველი და ნებისაგან განშორებული სული  
აქვნდა.

შა საკვირველი ესე იყო, ვითარმედ რომელი იგი  
სწავლულ იყო სიბრძნითა ფილოსოფოსობისათა, დაემო-  
წაფა კაცსა ლიტონსა სწავლათა შინა ხორციელთა.

ჴოლო ზეცისასა გონებითა და სიმდაბლითა განსდევ-  
ნა ფილოსოფოსობისა ზვაობად, შა იყო სახელი მოძღვ-  
რისა მისისა, რომელმან აღკვეცა იგი მარტვირი, რ~ლი  
დამკვიდრებული იყო უშინაგანესსა უდაბნოსა წმიდასა  
მამისა ლეტონისა, რომელი იგი ახლოს არს ზღვასა მეწა-  
მულსა. შაშინ დაესხნეს მონასტერსა ამათა წარმართნი,  
რომელნი იგი იმყოფებიან მათათა მათ შინა, და მოაოხრნეს  
მონასტერნი და მოკლნეს ექვსნი მამათაგანნი; და ერთსა  
მას მოკლულთაგანსა ერქვა სახელი ზონონ, და დაფარუ-

ლთა მცნობელიყო, და იყო მისთანა მაღლი წინასწარ-მეტყველებისა.

## VIII

ჴოლო მამამან მარტვირი აღიხვნა გვამნი მათნი, და დამარხნა ქვაბსა შინა ერთსა, და დაჰყო კარი ქვაბისა მის დიდდითა ლოდებითა, და დაგოზა კირითა, და დასწერა მას ზედა სახელები წმიდათა მათ.

თა შემდგომად ორისა დღისა მივიდა ხილვად საფლავისა მათისა, ნუ უკვე გამორასმე ეთხაროს მხეცთაგანსა, და ჰპოვა ზედა წერილი იგი შეუხებლად, და ნიშანი იგი სასწავლელად საფლავსა მას ზედა დაეგნეს შეუცვლებელად. მაშინ განაღო და შევიდა შინაგან, რათამცა გამოიხვნა იგინი, და შერავიდა შინა, არა პოვნა ორნი გვამნი მათგანნი, რამეთუ მიეცვალნეს ბრძანებასა ივთისასა, ვინაცა უნდა მას, გვამი ამბა ღონონისი, და გვამი სხვისა ძმისა დიდისა. ხოლო კვალად პირველსავე სიტყასა ჩვენსა მოვიდეთ.

ჴ~ რაჟამს ნეტარი მამა ჩვენი იოანე მონაზონ იქმნა, იყო ათექსმეტის წლისა, და წარიყვანა იგი მამამან მარტვირი ოანეს თანა კურთხეულისა მის ბერისა, რომელი დამკვიდრებელიყო უდაბნოს გარე კედარისასა, და მისთანა მოწაფე მისი სტეფანე.

თა ვითარ იხილნა იგინი ბერმან, აღსდგა და წყალი შთაასხა ფილსა მცირესა, და დაბანნა ფერხნი მოწაფისანი და ამბორს უყო ხელთა მისთა, და არა დაჰბანნა ფერხნი მოძღვრისა მისისანი; ხოლო სტეფანე მოწაფე ბერისა დაბრკოლდა გულსა შინა თვისსა, რაჟამს იხილა ესე.

თა ვითარცა წარვიდა ამბა მარტვირი, და მოწაფე მისი, სცნა ბერმან მამამან ოანე, რამეთუ დაფარულთა მცნობელი იყო, ვითარმედ მოწაფე გულსა შინა თვისსა დაბრკოლებულ არს; და რქვა მას ბერმან: რასათვის დაბრკოლებულ ხარ შვილო, ჴემმართად გეტყვი, ვითარმედ, არა უწყი ყრმა ესე, გარნა მამასახლისად მთისა სინისა, და ფერხნი მამასახლისისანი დამიბანიან; და შემდგომად ორმოცდა სამისა წლისა მამასახლისი იქმნა ყრმა იგი მთასა სინასა, ვითარცა წინასწარ-მეტყველა მისთვის ბერმან. და არა ხოლო თუ ამან ბერმან ოდენ წინასწარ-მეტყველა მისთ-

ვის, არამედ ევსტრატია მარტოდ მყოფმან, რომელი იგი არავე გამოვიდის გარე დღიდგან, რომელსა შინა აკურთხა იგი მონაზონად მამამან ანასტასი მამასახლისმან სინისამან. ამან იხილა გარდამომავალი მთით წმიდით მოძღვრისა მისისა თანა, და მოუწოდა ბერმან მამასა ამბა მარტვირის და ყრმასაცა და რქვა ბერსა: მითხარ მე მამაო, ვინ არ ყრმა ესე, ანუ ვინ არს რომელმან აღკვეცა ესე. რქვა მას მამამან მარტვირი, მონა შენი არს მამაო, და მოწაფე ჩემი. რქვა მას წმიდამან მამამან ევსტრატი: ნეტარ ხარ შენ მამაო მარტვირი, და ვინმე მივიდეს და უთხრას მამასა ანასტასის სინელ მამასახლისსა, ვჲდ მამასახლისი მთისა სინისა აღიკვეცა დღეს. და ჭეშმარიტად ვითარცა წინასწარმეტყველეს წმიდათა მამათა ნეტარსა მამისა ჩვენისა კურთხეულისა იოანესთვის, ეგრეთცა იყო სრული და ღირსი მისთვის, და ყოველთავე სახითა თვითო ფერთა კეთილთა სათნოებათაგან სრული იყო, ამისთვისცა მამანი მთისა სინისანი მეორედ მოსედ უწოდდეს.

ჴოლო ვითარცა იქმნა ნეტარი ესე ათვრამეტის წლის მიავლინა მეუფისა ზეცათასა მოძღვარი და მასწავლელი მისი, ვითარცა მეოხი და მვედრებელი, ხოლო თვით განვიდა ბრძოლად უდაბნოსა და ვითარცა რა საჭურველნი ხელთა თვისთა, აქვნდეს ლოცვანი თვისნი, და ესრეთ შევიდა ღვაწლსა დაყუდებისასა განშორებულათ მონასტრისაგან დიდისა, ვითარ ხუთ მილიონ; და აღაშენა საყოფელი თვისი, ადგილსა რომელსა ეწოდების თულის, და მუნ დაყო ორმეოცი წელი, თვინიერ ყოვლისავე სულმოკლებისა; და მძაფრითა მით სიყვარულითა ივთისათა, ვითარცა ცეცხლითა აღეტყინებოდა მარადის. არამედ ვინმე შეუძლოს სიტყვით გამოცხადებად ღვაწლთა მათ, რომელთა იგი მუნ აღასრულებდა, ანუ ვინ გამოსთქვენეს საქმენი მისნი, რომლისა სათნოებანი ყოველნი, კაცთაგან დაფარულათ აღესრულებოდეს. ჟამეთუ საჭამადი მისი იყო ესე ვითარი, რომლისა თვინიერ შეუძლებელ არს ყოფა, და იგიცა მცირედ, და ფრიად ნაკლულევანებითა მით მძ-



ლავრსა მას მუცელსა მოაყმოზდა და აღვირ ასხმიდა. და უდაბნოს ყოფითა და უხილავობითა პირისათა ალი სახმილისა მის ვნებათასა სრულიად დაშრიტა, ვიდრემდის სრულიად ავლად და მტვერად გარდააქცია იგი.

ჴოლო კერპთ მსახურებასა, რომელ არს ვერცხლის და ოქროს სიყვარული, სასოებითა ჩვთისათა, და უპოვარებისა სათნოებითა ახოვნად მძლე ექმნა. და დახსნილობა სულისა საწერტელითა ხსენებისა სიკვდილისათა, უჩინო ყო. ხოლო სიყვარული ნათესავთა, გინათუ სხვათა სოფლისა საქმეთა, უნივთოთა მათ და საუკუნეთა კეთილთა ხსენებითა და ხსნა და წარსდევნა.

ჴოლო მძლავრება გულის-წყრომისა, პირველივე მოკლულიყო მის მიერ მახვილითა მით მორჩილებისათა. და დაყუდებისა და დუმილისა სიმრავლითა, მაჩვენებლობისა და ზვაობისა ბადენი განხეთქნა. ვინ გამოსთქვას ღირსად მისისა მის სიმდაბლისა საზომი, ანუ სრულისა მის სიწმიდისა მისისა სიმალლე რომელი დაიწყო მორჩილებისა ბესელიელ, ხოლო აღასრულა ზეცისა იერუსალიმისა ოფალმან მოსვლითა თვისითა, რომლისა თვინიერ არა დაეცემის ეშმაკი და მრავალ ღონენი იგი ძალნი მისნი.

სადა დავაწესო ჩვენსა ამას გვირგვინისა თხზვასა შინა ცრემლთა მისთა წყარო, და საქმე რომელი არა მრავალთა თანა არს, რომლისა დაფარული სენაკი აქამომდე ჰგეის, ქვაბი მცირე ადგილსა შინა კლდოვანსა, რომელი შორავს სენაკს მისსა მცირედ, რომელ ოდენ ხმა არა ისმოდა. ხოლო მახლობელ იყო იგი ცათა გოდებათა მისთა ხმა მაღლობითა, და აღვიდოდა ლოცვა მისი სასმენელად ჩვთისა ომხურვალეს იყვნეს ცრემლნი მისნი მათსა, რომელნი მახვილითა დაიჭრებოდინ; ანუ ცეცხლითა შეიწვოდინ; ანუ თვალთა ვინმე აღმიხდიდეს. ხოლო ძილსა ესრეთ იხმევდა რაოდენ გონებასა ფრიადისაგან მღვიძარებისა არა ევნოს, და უწინარეს ძილისა ფრიად ილოცის, და სწერენ წიგნებსა, რამეთუ ესე აქვნდა ხელთ-საქმარად და დამხსნელად მოწყინებისა.

ქოლო სრბა მისი ყ~ლივე იყო ლოცვა მაღალი და  
 ივთისა მიმართ ტრფიალება უზომო, რამეთუ ღამე და  
 დღე სიწმიდითა მით ქალწულებისათა განწმედილსა სარ-  
 კესა სულსა შინა თვისსა ხედვიდა მას და არა განძღებო-  
 და შთახედვითა მისითა, რომლისა თვისცა შური აღილო  
 ძმამან ვინმე სახელით მოსე, და ევედრა რათამცა იქმნა  
 მოწაფე მისა, მსახურებათაცა, რათა ისწაოს მისგან ჭეშმა-  
 რიტი იგი საღთონი სიბრძნენი; და აღძრნა მრავალნი მე-  
 ოხებად მისა მიმართ, რათა აღუსრულოს თხოვა თვისი.

ჭაშინ შეიწყნარა იგი იმერთ-შემოსილმან მან ვედ-  
 რებისა მისისათვის, და ასწავებდა მას ყოველსა კეთილსა.  
 და დღესა ერთსა უბრძანა ნეტარმან მან ძმასა მოსეს, რათა  
 მოუქმას ქვეყანა მცირე ბოსტნად სამხლედ; ხოლო იგი  
 წარვიდა ადგილსა მას რომელი უბრძანა და აღასრულებ-  
 და სიტყვასა მისსა.

ქოლო ვითარცა იყო შუადღე ოდენ და განძლიერდა  
 სიცხე, შევიდა მოსე დიდსა ლოდსა ქვეშე და მიიძინა. ხო-  
 ლო უფალსა, რომელსა არავისი ნებავეს შეწუხება მონა-  
 თა მისთაგანისა, ისწრაფა შეწევნად მისა; რამეთუ იყო რა  
 ნეტარი იოანეს სენაკსა შინა თვისსა და ილოცვიდა, და  
 მიერულა ძილითა, და იხილა ვითარცა კაცი ვინმე მღვ-  
 დელი შვენიერი, რომელი განაღვიძებდა მას და ეტყოდა  
 და აყვედრებდა ძილისა მისთვის: მი, იოანე ვითარ შენ  
 უზრუნველად გძინავს; ხოლო მოწაფე შენი მოსე, ჭირსა  
 შინა არს; და მეყვსეულად განიღვიძა, და ილოცვიდა  
 მოწაფისა მისთვის, ხოლო ჟამსა მწუხრისასა მორავიდა  
 იგი ჰკითხავდა მას ნეტარი იგი, ვითარმედ ნუ უკვე ჭი-  
 რი რაიმე მოიწია შენზედა შვილო.

ქოლო მან ჰრქვა მას ვითარმედ ლოდსა დიდსა ეგუ-  
 ლებოდა დაცემად ჩემზედა მამაო, რამეთუ ქვეშე მისსა  
 მეძინა, არამედ ხმა შენი მესმა, ვითარმცა მიხმობდი და  
 ესრეთ გამოვედ ადგილისა მისგან სრბით, და ვითარცა  
 გამოვედ მეყვსეულად დაეცა დიდი ლოდი იგი. ხოლო  
 მდაბალმან გონებითა არა უთხრა მას ხილვა იგი, არამედ

ფარულად გალობითა სულიერითა უგალობდა და ადი-  
დებდა სახიერსა ღმერთსა.

ჴოლო იყო ნეტარი იგი სახე კეთილისა და მკურნალ  
სულიერთა წყლულებათა, ამისთვისცა მოვიდა ოდესმე  
წმიდისა მის მიმართ მონაზონი ვინმე სახელით ისაკ, რო-  
მელი იმძლავრებოდა იგი ბრძოლათაგან ხორცთასა, და  
სულ მოკლე ქმნილ-იყო იგი ბრძოლად მათდა.

ჴა მოუხდა იმ შემოსილსა მას და გამოუცხადებდა  
იგი ბრძოლათა მათ ტირილითა და ცრემლითა; ხოლო  
სარწმუნოება მისი დაუკვირდა ნეტარსა მას და რქვა: დავ-  
სდგეთ ორნივე ლოცვად საყვარელო, და ვითარცა აღას-  
რულეს ლოცვა და მოიდრიკნა მუხლნი ისაკმან, მაშინ  
აღასრულა იმერთმან, ნება მოშიშისა მისისა, სიტყვისაებრ  
დავითისა. და გველი იგი ილტვოდა ლოცვითა განდევნი-  
ლი, ხოლო სნეული იგი ხედვიდა თავსა თვისსა განკურ-  
ნებულად და მადლობდა იმერთსა მადიდებელსა მადიდე-  
ბულთა მისთასა, და თაყვანსცემდა მკურნალსა მას ნეტარსა.

ჴოლო ვიეთნიმე კაცნი შეპყრობილნი შურითა, მრავალ-  
მეტყველად უწოდდეს მას და მზავობრად, რომელ-  
ნიცა საქმით განსწავლნა, რათა დაარწმუნოს ვითარმედ  
ყოველივე ძალ უძს განმადლიერებელისა მისისა ჴრის-  
ტეს მიერ და დადუმნა სწავლისაგან წელიწად ერთ, რამე-  
თუ ყოველნივე მისა მივიდოდინ, ვითარცა მკურნალისა  
მიმართ და განათლდებოდეს.

ჴოლო მაშინ დადუმნა ვიდრემდის თვით მაბრალ-  
ბელნი იგი მვედრებელ იყვნეს მისდა, და იტყოდეს, ვი-  
თარმედ წყაროს სარგებელთა სულისათა აღმომდინარე,  
დაყოფილ-არს და წარწყმდების მრავალთა ცხოვრება. და  
ესრეთ მრავალთა მიერ იძულებათა დაემორჩილა კვალად,  
და იყო ვითარცა პირველ ასწავებდა და განანათლებდა  
ყოველთა.

ჴა ესრეთ ხედვიდეს რა ყოველნი სათნოებათა მისთა  
სიმრავლესა, და მოძღვრებისა მისისა სიღრმესა. და შემ-

დგომათ ორმოცისა წლისა დაყუდებისა მისისა, ვითარცა ახლად გამოჩინებული მოსე, იძულებითა დიდითა წინამძღვრობასა ძმათასა აღიყვანეს მონაზონთა მათ სინისათა, და ბრწყინვალე იგი სანთელი სასანთლესა მას ზედა წინამძღვრობისასა აღამაღლეს. შა არა სცდეს რომელთაცა მეორედ მოსედ სახელ სდევს მას, რამეთუ იგიცა შევიდა მათდ უხილავსა მას ნისლსა და მოილო ივთივ-წერილი სჯულის-დება და სიტყვითა ივთისათა აღალო პირი და მიილო სული, და აღმოსთქვა სიტყვა კეთილი, და უფროსდა სიტყვანი კეთილისა მის საუნჯისაგან გულისა მისისა.

შა ესრეთ აღასრულა წა იგი ცხოვრება მისი წინამძღვრობასა შა ჭემმარიტთა მათ ისრაიტელთასა, რლ არიან მონაზონნი, და მიიცვალა ივთისა სასუფეველსა ცათასა. და ერთითა ოდენ არა იქმნა მზგავს მოსესსა რომელ არა მოიწია მის ზა ვერ შესლვა ზეცისა იერუსალიმსა, ვრ იგი მოსე ქვეყანისა იერუსალიმსა ვერ შევიდა, ად მიიწია ესე ზეცისა მას იერუსალიმსა დიდსა მასვე მოსესთა. შა მოწამე არიან სათნოებათა მისთა მრავალნი, რლნი სცხონდეს საღმრთოთა მათ სიტყვათა მისთა მრ და ცხოვნდებიან, და რლთა უხილავს იგი და იცნობენ. მოწამე არს მამა დავით განშორებული სიბრძნეთა და ცხოვრებასა მის ნეტარისასა, მწამე არს კდ ნეტარი იოანე ჩნ რაითელთა მწყემსი, რიცა ევედრა იმერთ-შემოსილსა მას, რა დაგვიწერნეს სწავლანი მონაზონებისანი, და გარდამოხდა ახალი იგი ივთის მხილველი ჩდა მიმართ გონებითა მთით სინით, და გვიჩვენა ჩნ მანცა ღვთივ წერილნი იგი ფიცარნი, რლთა შა წერილიყო გარეთ სწავლანი საქმისანი და შინაგან სწავლანი ხედვისანი, სადიდებლად ღისა. რისა არს დიდება, აწდა მარადის და უკი უე. ამინ.

## ᲠᲠᲠᲠᲠᲠ

წმიდისა მამისა იოანე რაითელ მამასახლისისა,

ნეტარისა იოანეს მიმართ სინელ მამასახლისისა

ივთივ სანატრელსა Ⴀნგელოზსთა თანა-სწორსა, მამა-სა მამათასა და მოძღვარსა ჩვენ ყოველთასა: ცოდვილი იოანე რაითელ მამასახლისი. Ⴀფლისა მწრ გახარებ. Ⴀწყით ჩვენ გლახაკთა ამათ შეუორგულელებელი შენი მორჩილება, სხვათა ყოველთავე სათნობათა თანა, და უფროსდა სადა ღვთივ მოცემულისა მის შენდა ტალანტისა აღორძინება და განმრავლება იქმნებოდის. Ⴀმისთვისცა მოუწერთ სიწმიდესა შენსა, სიტყვისა მისებრ წერილისა, რწლსა იტყვის ვითარმედ: კითხე მამასა შენსა და გითხრას შენ, და მოხუცებულთა გაუწყონ შენ. ამისთვისცა ვწა ზიარსა ყოველთა მამასა და მოხუცებულსა უფროს ყოველთასა მოღვაწეებითაცა და სწავლულებითა, და მოძღვარსა კეთილსა, ვევედრებით სათნობათა შენთა სიმაღლესა, რათა მოგვიწერო ჩვენ, უსწავლელთა ამათ, რა იგი ღწის მხილველობასა შენსა მსგავსად დიდისა მოსესსა მაგასვე მთასა ზედა გიხილავს. და ვითარცა ფიცართა სულიერთა შინა, შენ მიერ აღწერილსა წიგნსა შთასწერენ სწავლად ახლისა ამის ისრაილისა, რომელნი აწლა გამოსრულ არიან უხილავთა მათ მეგვიპტელთა, და ზღვისაგან ამის სოფლისა. და ვითარცა იგი კვერთხისა წილ ღვთის მეტყველითა მაგით ენითა შენითა, და მადლითა ღვთისათა მრავალნი სასწაულნი გიქმნიან, და მრავალნი გიხსნიან ზღვისაგან ამის სოფლისა; და აწცა ნუ უღირს გვყოფ გვედრებით, არამედ რაჲ იგი შეგავს მონაზონთა ცხოვრებასა, აღწერე კეთილად Ⴀფლისა მიერ, ვითარცა დიდმან მოძღვარმან, ყოველთა-თვის, რომელნი შემოვიდენ ანგელოზებრსა ამას მოქალაქეობასა. Ⴀა ნუ გონებ, ვითარმედ ზაკვით და ორგულებით რასმე ვიტყვით სიტყვათა ამათ, რამეთუ უწყი წმიდაო მამაო, ვითარმედ

შორს არს ჩვენგან ესე ვითარი საქმე, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტი, და ყოველთა მიერ რწმუნებული ვიტყვი. ომისთვისცა ვესავთ ღმერთსა, ვითარმედ ადრე მოვიხვნეთ, რომელთაცა მოველით სულიერთა ფიცართა, რათა უძლოდინ უცდომელად ყოველნი რომელნი შეუდგენ მათ; და რათა იყვნენ სწავლანი იგი, ვითარცა კიბე აღმყვანებელი ზეცისა ბჭეთა, ყოველნი რომელნი შეუდგენ მათ და ისწრაფდენ მუნ აღსვლად, და რათა დაუყენებულად წარვიდენ იგინი, სწავლითა შენითა, სულთა მათგან უკეთურთა, და სოფლის მყოფელთა ბნელისათა და მთავართა ჰაერისათა.

ჟამეთუ იაკობ ცხოვართა მწყემსი იყო, და ესე ვითარი საშინელი ხილვა იხილა კიბესა მას ზედა, არა უფროსათ შენ, რომელი ეგე სიტყვიერთა ცხოვართა მწყემსი ხარ, არა ხილვით ოდენ, არამედ საქმით და ჭეშმარიტებით უცდომელი ღვთისა მიმართ გზა გვიჩვენო. და იყოფოდე ცოცხლებით ოფლისა მიერ პატოსანო და წმიდაო მამაო.

**ეპისტოლე წმიდისა და ნეტარისა იოანე სინელ მას-**

**მასახლისისა, რომელსა ზედა წერილი ესე არს ფი-**

**ცარნი სულიერნი იოანე, იოანეს ახარებს**

შოიწია ჩვენდა პატოსანი წიგნი შენი, რომელი ვითარცა შვენოდა უვნებელსა მას და სათნოებითა სავესესა ცხოვრებასა შენსა და წმიდასა მას და მდაბალსა გულსა შენსა. მოგვიწერე ჩვენ გლახაკთა ამათ სათნოებითა, რამეთუ ვითარცა მარადის ჩვეულ არს სიწმიდე შენი სახისა მოცემად ჩვენდა სიმდაბლისა, ამისთვის ქმენ ესეცა, რომელ ჩვენგან უსწავლელთა ამათ საქმითცა და სიტყვით ითხოვე სიტყვა სწავლისა, და გვიბრძანე საქმე უზესთაესი ძალისა ჩვენისა. ოარნა მე ამას ვიტყვი, ვითარმედ უკეთუმცა არა შიში იყო ჩემზედა დე-

დისა მისგან ყოველთა სათნოებათასა, რ~ლ არს მორჩი-  
ლება, ნუ უკვე განვაგდო უღელი მისი ჩემგან, არამცა  
შევკადრე საქმესა უაღრესსა ძალისა ჩემისასა.

ჟ~ ჯერიყო შენდა ზი საკვირველო მამაო, რათა უკე-  
თუ ესე ვითართა საქმეთა გამოეძიებ მათ მიერმცა ისწავე,  
რომელთა კეთილად უწყიან სათნოებისა საქმე, რამეთუ  
ჩვენ ჯერეთ მოწაფეთა საზომსა ვართ, და არა მოძღვარ-  
თასა. წრამედ ვინადგან იმერთ შემოსილნი მამანი და მო-  
ძღვარნი მორჩილებისანი, მორჩილებად ამას იტყვიან,  
რათა ძალისა უზესთაესთა საქმეთა შეუორგულებლად  
ხელყოფდეს კაცი სიტყვისათვის წინამძღვართასა.

წმისთვის უზესთაეს ძალისა ჩემისა საქმესა სიმდაბ-  
ლით ხელვყავ, არათუ რათამცა შენ რაიმე სახმარ გეყო  
ჩემ მიერ თქმული ესე: რამეთუ უწყი მეცა ზი წმიდაო მა-  
მაო, და ყოველთა რომელთა თანა არს სიბრძნე გონები-  
სა, რამეთუ ვითარმედ წმიდა არს გონება შენი ყოვლი-  
საგანვე სიბრძნისა ვნებითასა, დაუყენებელათ მივალს სა-  
ღმრთოსა მას ნათელსა თანა და მის მიერ გაბრწყინდების.

წრამედ რამეთუ სიკვდილსა მას ურჩებისასა ვეშიშვო-  
დე, და ამისთვის მორჩილებად მოვედ ბრძანებისა შენისა  
წმიდისა, შიშით და სურვილით, ვითარცა მორჩილი, ერ-  
თგული და მონა გლახაკი და უხმარი, მხატვარისა ხელოვ-  
ნისა, მცირედითა ამით და უნდოთა გულის-ხმის-ყოფითა  
ჩემითა, და ხმა წვლილითა სიტყვითა; მელნითა ოდენ  
ცხოველნი სიტყვანი გამომისახავნ, ხოლო შენდა დამიტე-  
ვებიეს, ზი, მოძღვართა წინამძღვარო, რათა შენ კეთილად  
შეამკო, და განაცხადო ჩემ მიერ გამოსახული ესე, და  
ყოველივე ნაკლულევანი, ვითარცა რ აღმასრულებელმან  
სულიერთა ფიცართამან სრულ-ჰყო.

ჲ~ ვითარცა ვსთქუ არათუ შენდა მომართ სწავლად  
წარმომიციემია აღწერილი ესე ნუ იყოფინ, რამეთუ შენ  
წმიდაო ძალგიძს მრავალთა და თვით ჩვენდაცა სწავლად  
და დამტკიცებად საღმრთოთა შინა საქმეთა და სწავლათა,  
არამედ საღმრთოჲსა მაგის კრებულისა მომართ მომიწერი-

ეს, რომელი ჩვენ თანა არს მორჩილებასა შინა შენსა, ჳი მოძღვართა მოძღვარო!

ჟომლისა თვისცა შენითა და მათითა ლოცვითა და სასოებითა ოფლისათა აღვსუბუქნე მცირედ სიმძიმისაგან უსწავლელობისა, და კალმისა ჩემისა აფრად აღვჰმართე, და საჭე ჩვენისა სიტყვისა მიმიცემიეს ხელთა ლოცვათა თქვენთასა. დავიწყებ სიტყვად სიტყვისათვის თქვენისა.

ჴოლო ვითხოვ თქვენ ყოველთა მიერ, რომელნი მიემთხვივნეს სიტყვათა ამათ ჩემ მიერ თქმულთა, უკეთუ ვინმე სარგებლისა რამდნე სიტყვათა პოვონ, მათ შინა, ნაყოფი მისი ჩვენისა ამის წმიდისა მამისად შერაცხეთ, რომელმანცა გვიბრძანა ამისი ქმნა და მე, ხელყოფისათვის ოდენ მილოცეთ, და ნუ სიტყვათა ამათ ხედავთ, რამეთუ უნდონი არიან ჰემმარიტად, და ყოველითავე უსწავლელობათა საესენი.

ღუდ გულს მოდგინებისა ჩემისათვის მილოცეთ, რამეთუ არა სიმრავლისაებრ ძღვენთა და შრომათასა, არამედ სიმრავლისაებრ გულს მოდგინებისა მიაგებს ღმერთი სასყიდელსა.

რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.





სწავლანი მშობლისა და ნეტარისა მამისა ჩინისა

იოანე სინელ მამასახლისისანი

ქმელნი მიუძღვნა მამასა იოანეს რაითელ მამასახლი-

სსა, რამეთუ ითხოვა მისგან რათა აღწერნეს სწავლანი

მონაზონთა მიმართ

თავი პირველი

გამოსვლისათვის სოფლათ.

ა.

ყვეენითა სახიერისა და კაცთ მოყვარისა და მოწყალისა ღვთისა და მეუფისა ჩვენისათა, ვიწყით სიტყვად, რამეთუ კეთილ არს, რათა იქით ვყოთ დასაბამად სიტყვისა მონათა მიმართ ივთისათა; რამეთუ ყელნივე რომელნიცა დაბადნა სახიერმან მან და დიდებულმან იქონ სიტყვიერი, და თვით მფლობელობითა პატივს-ჰსცა; და ამისთს რომელნიმე არიან მისა მეგობარ, და რლნიმე ერთგულნი მონანი, და რლნიმე უხმარნი, და რლნიმე სდ უცხოქმნილნი და სხვანი დაღაცათუ უძღურ არიან, ად წინა-აღმდგომვე.

ხოლო მეგობრად ივთისა გულის-ხმა-ვეყოფთ ჩინ უსწავლელნი ესე, ჰი წაო მამაო, უხორცოთა მათ და საცნაურთა ბუნებათა, რლნი გარემოს მისსა არიან; ხოლო მონად ერთგულად ყლნი რლნი იქმან მოსწრაფებით ნებასა მისსა; და მონად უხმარად, ყლთა რთა მიუღებიეს ნათლისღება და აღთქმანი იგი ნათლისღებასა შინა მათ მიერ ივთისა მიმართ აღთქმულნი, და არა დაუმარხვან კეთილად.

ბ. ჰოლო უცხოდ და მტერად ივთისა მათ გულის-ხმავეყოფთ, რომელნი ანუ უნათლავნი და ურწმუნონი არიან

ანუ ბოროტად მორწმუნენი; ხოლო მბრძოლ და წინააღმდეგომ იგინი არიან, რომელთა არათუ თვით ოდენ განუგდებიეს თავთა მათთაგან შიში ოფლისა, არამედ ყოველთაცა რომელნი ყოფენ ნებასა ივთისასა, ფიცხლად ბრძვანან მათ და წინა-აღუდგებიან.

უა ვინათგან ამათ ყოველთათვის, რომელნი ვსთქვენით თითოეულისათვის განყოფილი და განთვისებული სიტყვა არს, ხოლო ჩვენ გლახაკთა ამათ ღა უსწავლელთა ვერ ძალ გვიც მათ ყოველთათვის თითოეულად თქმად.

უმისთვის მოვედით ერთგულთა მათ მიმართ მონათა ივთისათა, რომელთა კეთილად გვაიძულეს უღირსი, ხელი ჩვენი განვმარტოთ მორჩილებითა შეუორგულელებელთა, და მათისა გულის-ხმის-ყოფი-საგან მოვილოთ სიტყვისა ჩვენისა კალამი, და მჭმუნვარესა მას და ბრწყინვალესა სიმდაბლესა შინა მათსა, ვითარცა რა მელანსა შინა აღმოვაწოთ და სათნოებითა განგლესილთა და სპეტაკთა გულთა მათთა ზედა, ვითარცა ქარტათა, და უფროსად, ვითარცა ფიცართა ზედა სულიერთა ვიწყოთ წერად საღმრთოთა მათ სიტყვათა და თესლთა სათნოებისათა, და ვიტყოდეთ ესრეთ:

გ. ყოველთა რომელთა ენებოს და ეძიებდეს იმერთსა ეპოების მათ, რამეთუ იგი არს ყოველთა იმერთი, და ცხოვრება ყოველთა ურწმუნოთა და მორწმუნეთა, მართალთა და ცოდვილთა; უვნებელთა და ვნებულთა; ივთის-მსახურთა და უსჯულოთა ერისგანთა და მონაზონთა; ბრძენთა და უსწავლელთა მრთელთა და უძლურთა; ჭაბუკთა და მოხუცებულთა. ვითარცა სივრცე ნათლისა და ხილვა მზისა, და ბუნება ჰაერისათა ყოველთა ზედა არს, ეგრეთვე იგი არს ყოველთა ცხოვრება, და ამის ყოვლისა მომცემელი, და რომელნიცა ეძიებდენ ეპოების მათ, რამეთუ არა არს შეცვალება მის თანა, არცა თვალლება წინაშე ივთისა. (ქაიშქჲუ. 2. 11).

დ. ორწმუნო არს ბუნება სიტყვიერი, და მოკვდავი, რომელი ნებსით ცხოვრებისაგან ილტვოდის და თვისსა დამბადებელსა, რომელი იგი არს მარადის, არა არსად ჰგონებდეს.

ე. ორწმუნო იგი არს, რომელსა სჯული ივთისა თვისითა უკეთურებითა ეპყრას და წვალებითა წინააღმდეგობითა და ჰგონებდეს თუ ვითარმედ ჰსწამს მას ღმერთი.

ვ. ჭრისტეანე არს მსგავსება ჭრისტესი, ძალისაებრ კაცობრივისა, და რათა საქმით და სიტყვით და გონებით მართლიად და უბიწოთ ჰრწმენეს მშიდა სამება.

ზ. ღვთის-მოყვარე იგი არს, რომელსა ბუნებითნი იგი და უცოდველნი საქმენი აქვდენ შეუცვალებელად, და არა რომელსა კეთილსა ზედა, რომელი მისგან შესაძლებელ იყოს უდებ იქმნას.

წ. უსწრძალული იგი არს, რომელი შორის განსაცდელთა და საბრხეთა და ამბოხებათა ისწრაფდეს აღსრულებად საქმეთა მათთა, რომელნი განშორებულ არიან ყოვლისავე ესე ვითარისაგან

თ. მონაზონება არს წესი და საქმე ოხორცოთა აღსრულებული ხორცთა შინა ნივთიერთა და მოკვდავთა.

ი. მონაზონი იგი არს რომელი ღვთისასა ოდენ იქმოდის და ხედვიდეს ყოველსა შინა ჟამსა, ადგილსა და საქმესა.

ია. მონაზონება ესე არს, რომელმან ნება თავისა თვისისა დაუტეოს, და შეიკრიბნეს ყოველნი გულის სიტყვანი თვისნი განზნეულნი და ეკრძალებოდეს ყოვლადვე.

იბ. მონაზონება არს იძულება ბუნებისა სამარადისო, და დაცვა საცნობელთა დაუკლებელი.

იგ. მონაზონება არს გვამი შეუგინებელი, პირი წმიდა, და გონება განათლებული და მხედვარი.

იდ. მონაზონი არს სული მჭმუნვარე, სამარადისოდთა ხსენებითა სიკვდილისათა შეურვებული, ეძინოს თუ ანუ ეღვიძოს.

იე. განშორება\*) სოფლისა არს ნებსით მოძულება და უარყოფა ბუნებისა, სურვილისათვის კეთილთა მათ უზესთაესთა ბუნებისათა.

IT. ყოველთავე რომელთაცა სოფლისა საქმენი დაუტევნეს, ანუ სიმრავლისათვის ცოდვათა მათთასა, ანუ სასუფეველისათვის ცათასა, ანუ სიყვარულისათვის ღვთისა ქმნეს. უკეთუ კულა არცა ერთი ამათ სამთა გულის სიტყვათაგანი იქმნა მათთა წინა-მძღვარ, პირუტყული არს გამოსლვა მათი, გარნა ყოველსავე ზედა აღსასრულსა მას საქმისასა, თუ ვითარი ყოფად არს, მოელის კეთილი იგი მეუფე ჩვენნი.

ITB. რომელი გამოსრულ იყოს სოფლით განზნევად ტვირთისა ცოდვათა თვისთასა, მიემსაგვსნენ მსხდომარეთა საფლავებსა თანა გარეგან ქალაქისა, და ნუმცა დასცხრების მხურვალეთა მათ და ცეცხლებრ მოტყინარეთა ცრემლთაგან და დაფარულთა მათ გოდებათაგან გულისათა, ვიდრემდის იხილოს მანცა Iესო მოსრული მისა, და რათა ლოდი იგი გულფიცხელობისა, გულისა-

\*თარგმანი: რაჲ არს უარის-ყოფაჲდა მოძულებაჲ ბუნებისა, გარნა ამას იტყვის წმიდა ესე მამა, რამეთუ ბუნება ჩვენი პირველ დაბადა ღმერთმან უვნებლად და წმიდად და მოგვცა ძალი მოგონებისა, რათა ვიგონებდეთ კეთილსა და სათნოებასა; და ძალი გულისწყრომისა, რა მრისხანე ვიყვნეთ ეშმაკთა მიმართ და ვნებათა; და ძალი გულის თქმისა, რათა გულისთქმა და სურვილი სასუფეველისა მიმართ ცათასა გვაქვდეს ხოლო შევსცვალენით ჩნ ესე ძალნი ცოდვისა მრთ, და გულისთქმა მოვიგეთ ბილწებათა, და გულის წყრომა ძმათა მიმართ და მოგონება უკეთურებისა და შევცვალენით კეთილნი იგი ბუნებისა ჩნისა საქმენი ბოროტისა მიმართ, და ვქმენით ვნება ბუნებად ჩვენდა. აწ უკვე რომელმან ესე ვითარნი ესე ვნებანი, უდებებითა ჩვენითა ჩვენ შორის დანერგულნი განსდევნეს, და მძლე ექმნეს მათ, მას მოუძულეების და უარ უყოფიეს ჭეშმარიტად ვნებული იგი ბუნებაჲ; და ესე არს ჭეშმარიტი გამოსვლა სოფლით უარისყოფა ვნებულისა მის ბუნებისა და გამოსლვაჲ ძიებად პირველისა მის უვნებელისა ბუნებისა, რომელი მოგვცა ღმერთმან.

გან მისისა გარდააგორვოს, და ლაზარესებრ შეკრული იგი გონება მისი საკვირველთაგან ცოდვისათა განხსნას; უბრძანოს რა ანგელოსთა მისთა, ვითარმედ განხსენით ეგე ვნებათაგან (უაღრ. 11, 44) და განუტევეთ სლვად, ნეტარისა მის უვნებლობისა გზასა. ხოლო უკეთუ არა ესრედ იქმნას, არა რად სადმე სარგებელ ეყოს მას გამოსლვა სოფლით.

71. ჟაოდენთაცა გვნებავს ეგვიპტით გამოსლვა და მწარისა მის ფარაოს მონებისაგან სივლტოლად, უეჭველად ჩვენდაცა მოსე ვინმე სახმარ არს შუამდგომელად ივთისა მიმართ, რათა დადგეს იგი ჩვენთვის, შორის საქმისა და ხედვისა; და განიპყრნეს ხელნი ივთისა მიმართ, რათა რომელნი იგი შეუდგეთ მას წიაღვლოთ ზღვა იგი ცოდვათა, და ამაღეკსა მას ვნებათასა მძლე ვექმნეთ, რამეთუ სცდეს ყოველნივე რომელი მისცემენ თავთა თვისთა ესე ვითართა მათ ბრძოლათა, და გონებენ თუ არა სახმარ არს მათთა წინამძღვარი.

ით. რომელნი\*) ეგვიპტით გამოვიდეს, მოსე იყო წინამძღვარ მათდა ხოლო რომელნი სოდომით გამოვიდეს ანგელოსი. და აწცა რომელნი სულიერთა ვნებათა კურ-

---

\*) თარგმანი. სულიერნი ვნებანი ესე არიან; ცუდად მზავაობრობად, ამპარტანებად, მრისხანებად, მწუხარებად, მოწყინება, სიძულილნი და სხვანი; ესევეთარნი; ხოლო ხორციელნი ვნებანი: ნაყროვანება, ვეცხლის მოყვარება, სიძვა, სიყვარული სოფლისა საქმეთა. რ~ლნიცა უკვე სულიერთა მათ ვნებათაგან იძლეოდინ, უხმს მათ წინამძღვარი გულის-ხმისმყოფელი, რ~ა მცირედცა ხორციელად ნუგეშინის სცემდეს, რ~ა არა ვ~ა მმარხველნი და მოსწრაფენი ზვაობდენ, და ესრეთ ოდესმე მარხვითა და ოდესმე განსვენებითა. გულის ხმის ყოფით კურნებდეს სენთა მათთა, და ესე ვ~რნი მსგავს-არიან ეგვიპტით გამოსრულთა, რ~ლთა უძლოდა მოსე. ხოლო რ~ლნი ხორციელთა ვნებათაგან იძლეოდინ უხმს მათ კაცი წინამძღვრად, რომელსა კნინდა და უხორცოთა ანგელოსთა მსგავსნი ცხოვრება აქვდეს მარხვითა და სიფიცხითა და უწყალოებითა ხორცთათა. და მსგავს არიან იგინი სოდომით გამოსრულთა, რამეთუ ეგვიპტე სულიერთა ვნებათა სახედ მოიღო და სოდომი ხორციელთა, მამამან იოანემ.

ნებასა ეძიებენ, იგინი მსგავს არიან ეგვიპტით გამოსრულთა, რომელთაცა მოსეს-ებრი უხმს მკურნალი; ხოლო რომელთა სურის უბადრუკთა ამათ ხორცთა არა წმიდებისა აღმარცვა, ონგელოსი, ესე იგი არს, ვითარმედ ანგელოსის სწორი, რათა ესრეთ ვსთქვა, უხმს მათ შემწე, რამეთუ სიდიდისაებრ და შეყროლებისა წყლულებათასა გვიხმს ხელოვანიცა მკურნალი.

ჟ. შემმარტად დიდი ჭირი და დაუცადებელი შრომა უხმს, რომელთა ხელ-ჰყვეს ხორცითა ზეცად აღსლვად, და უფროსდა დაწყებასა მას და დასაბამსა სოფლით გამოსვლისა მათისასა, ვიდრემდის გემოთ მოყვარებისა იგი ჩვეულება ჩვენი, და ულმობელი იგი გული, იქთის მოყვარებად და სიწმიდედ გლოვისა მიერ მოვიდენ. რამეთუ ჭემმარტად დიდი შრომაჲ ჯერ-არს და ფრიადი სიმწარე და უფროსდა რომელნი ვნებათა შინა ჩვეულ ვიყვნეთ, ვიდრემდის გონება ესე ჩვენი ძალეებრ ხორცის მოყვარე და მწვირის მოყვარე, სიწმიდის მოყვარე და სიბრძნის მოყვარე ვყოთ სიმშვიდისა მიერ და სიმტკიცისა და ურისხველობისა. გარნა ნუმცა უსასო ვართ ვნებულნი ესე და უძლურნი, არამედ სარწმუნოებითა შეუორგულებულითა ჩვენი უძლურება და უსუსურება სულისა, მარჯვენითა ხელითა ჩვენითა ჴრისტეს მიუპყრათ და აღუარებდეთ, და, უეჭველად მოვილოთ მის მიერ შეწევნა უზესთაეს ღირსებისა ჩვენისა. უკეთუ ოდენ უფსკრულსა სიმდაბლისასა შთავიყვანებდეთ დაუცადებელად თავთა ჩინთა.

კა. ოწყოდეთ\*) ყოველთა რომელნი კეთილსა ამას

---

\*) თარგმანი. თითარ არს იგი ფიცხელი და იწრო და სუბუქი გარნა ესრეთ რამეთუ ფიცხელ არს დაცვისათვის საცნობელთასა, რომელთა დაცვა ფიცხელ არს მათთვის, რომელნი დაჩვეულ იყვნენ მათსა მიშვებასა. ხოლო იწრო არს მოღვაწებათათვის და დამდაბლებისათვის ხორცთა და ჩვეულებათა მათ მრავალ ჟამეულთა მოკვეთისათვის. ხოლო სუბუქ არს იგი სასოებისათვის იკთვისა და საუკუნეთათვის კეთილთა.

ღვაწლსა ფიცხელსა და იწროსა, და სუბუქსა მოუხდებინ, ვითარმედ ცეცხლსა მოსრულ არიან შესლვად, ვინათგან უნივთოსა მას ცეცხლსა მოელიან თავთა შორის თვისთა შეწყნარებად. ხოლო გამოიცადენით თითოეულმან თავი თვისი და ესრეთ ნაყოფისა მისგან ველის ყრდელსა\*) თანა შერეულისა ჭამენ, და სასმელისაგან მისისა ცრემლითა განზავებულისა სუნ, რათა არა დასასჯელად თავისა თვისისა იყოს მხედრობა მისი.

კყ. ოკეთუ ყოველი ნათელ-ღებულ არა ცხოვნებულ-არს შემდგომი ამისი დავიდუმო.

კრ. ყოველთა რომელთა ნებავს მონაზონება, ყოველივემცა საქმე სოფლისა დაუტევებიეს, და ყოველივემცა შეურაცხ-უყოფიეს, ყოველივემცა უარ-უყოფიეს მორავიდოდინ მონაზონებად, რათა კეთილი საფუძველი დადვან.

კდ. კეთილი საფუძველი არს სამთა მათ სათნოებისა სვეტთა, უმანკოება, მარხვა და სიწმიდე, და ყოველნი ჭრისტეს მიმართ ჩჩვილნი, ამათმცა საქმეთა მიერ ჰყოფენ დასაბამსა მათსა, და სახედ აქვნიდინ ხილულნი ჩჩვილნი, რამეთუ არა სადა იპოების მათ თანა მზაკვარება და გვლარძნილება, არცა სიმადლრე უძღები, არცა მუცელი განუძღომელი, არცა ხორცნი განხურვებულნი, ანუ გამხეცებულნი, ხოლო მე ვითარ ვგონებ, აღორძინებასა თანა ზრდილობისა მათისასა მხურვალეზასაცა მიიღებენ.

კე. სამულველ არს ჭეშმარიტად და დასანთქმელ, რაჟამს შერავიდის მხედარი ბრძოლად, და მეყვსეულად შესვლასა თანა დაიხსნას და მისცის ყოველთავე სახე სიკვდილისა თვისისა, რამეთუ ხედვიდიან რა სხვანი, ვითარმედ შერავიდა მოიკლა და არღარა სურინ შესვლად ბრძოლასა მას.

კე. უეჭველად კეთილად და ფიცხლად დაწყებისაგან შრომათასა, შერავიდეთ მონაზონებად, ფრიად სარ-

---

\*) ველის ყრდელი? სახე არს სიფიცხისა სათნოებათასა.



გებელი გვეყოს, უკეთუ შემდგომად რავდენისამე ჟამისა არა დავიხსნეთ; რამეთუ სული რომელი განხნობილ იყოს, და კვალად დაიხსნას ხსენებითა პირველისა მის მოსწრაფებისათა, ვითარცა დეზითა იწერტებოდის, ამისთვისცა მრავალ გზის საქმისა ამისგან მრავალთა თავნი თვისნი ფრთოვან-ყვნეს, რამეთუ იყვნეს ვითარცა არწივნი, რომელთა დაჰხდეს ფრთენი მათნი; და კვალად შემდგომად მისა გამოიხსნეს ფრთენი და ამაღლდეს სიმაღლესა ცისასა.

ქზ. ჟაჟამს სულმან განსცეს თავი თვისი და წარწყმიდოს სანატრელი იგი და საწადელი მხურვალეზა მისი, გამოიძიენ მოსწრაფებით, თუ რომლისა მიზეზისაგან წარსწყმიდა იგი და მისა მიმართ ყავნ, ყოველივე მოსწრაფეზა მისი, რამეთუ არა შესაძლებელ არს სხვით კარით მიქცევა მისი გარნა ვინაიცა გამოვიდა.

ქი. რომელმან\*) შიშისაგან სატანჯველთასა ყოს სოფლით გამოსლვა მისი, მრავალ გზის ცეცხლსა შთაგდებულსა საკმეველსა მიემსგავსების, რომელმან პირველ იწყის სუნნელებად, და უკანასკნელ გარდაიქცის კვამლად. ხოლო რომელი სასყიდლის მოღებისათვის გამოვიდის, წისქვილი არს იგი ვირით საფქვავე, რომელი მარადის ვალნ, ხედავნ რად სასყიდელსა, და მარადის ერთსა ზ~ა იქცევიან. ხოლო რომლისა განშორება სიყვარულისათვის ივთისა იყოს, მას მეყვსეულად გამოსლვასავე თვისსა თა-

---

\* წარგმანი. ორკეცი არს შიში: ერთი ახალთა და ერთი სრულთა. ხოლო ამას ადგილსა ახალთასა მას იტყვის მამა ესე დიდი, რამეთუ რაჟამს კაცი ცოდვათა შინა იყოს, და შეეშინოს ნუ უკვე ცოდვასა შინა ეწიოს მას სიკვდილი, და ამისთვის განვიდის სოფლით, რ~ა არა პირველთა მათვე ბოროტთა შინა შთავარდეს, და იღვწინ კეთილითა მოღვაწეობითა; და რაჟამს შიში იგი მცირედ განუქარდის, რამეთუ არა მტკიცე არიან მერმე კვალად უდებ იქმნეს და მიემზგავსის საკმეველსა განქარვებულსა, რამეთუ მოღვაწეობით იწყო და უდებებათ მოვიდა.

ნა ცეცხლი იგი სანატრელი მოუგებებს, და შერავიდეს ცეცხლი იგი ნივთსა შინა, რავდენცა წარემართებოდეს, ალი თვისი უმაღლესად ალატყინოს.

ჟთ. წრიან\*) ვიეთნიმე რომელნი ქვათა ზედა ალიზითა ალაშენებენ; და არიან სხვანი, რომელნი ქვიშათა ზედა სვეტთა აღმართებენ; და არიან სხვანი, რომელთა მცირედ ფერხითა მათითა ირბინნეს და ძარღვნი და ნასხამნი მათნი მოლბეს, და მერმე უმაღლესად რბიოდეს. რომელი გულის ხმა ყოფს გულის-ხმა-ყავნ სიტყვა იგავითი.

რთ. ჴითარცა ივთისა მიერ და მეუფისა წოდებულნი, გულს მოდგინეთ ვრბიოდეთ, ნუ უკვე მცირედ ჟამ იყოს ცხოვრება ჩვენი ამას სოფელსა, და დღესა მას სიკვდილისასა უნაყოფო ვიპოვნეთ და სიყმილითა მოვსწყდეთ.

რდ. სათნო ვეყვნეთ ოფალსა, ვითარცა მხედარნი მეფესა, რამეთუ შემდგომად მხედრობად შესლვისა იძიების ჩვენგან ერთგული მონება მისი.

რდ. Ⴔვეშინოდენ ოფლისა, ვითარცა გვეშინის მხეტაგან; რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელნი წარვიდეს პარვად, და ივთისაგან არა შეიშინეს, ხოლო ხმა რომელი ესმათ ძალთა ადგილსა მას, შეშინდეს და მეყვსეულად შეიქცეს, რომელი იგი ვერ ქმნა მათ თანა შიშმან ივთისამან ქმნა იგი შიშმან ძალთამან.

---

\*) (წარგმანი. რომელნი ქვათა ზედა ალიზსა ალაგებენ, იგინი არიან რომელნი განრავიდეს სოფლით თვინიერად მორჩილებათ შესვლისა, იწყეს დიდ-დიდთა სათნოებათა შენებად, და რამეთუ არა ყვა წინამძღვარი, მოუძღურდეს და ვერ სრულ-ყვეს საფუძველი მათი, არამედ იწყეს დიდ-დიდთა საქმეთა, და მიიწინეს უდებებად. ჟოლო რომელთა ქვიშასა ზედა სვეტნი აღმართნეს, მათ იტყვის, რომელნი განრავიდეს სოფლით განშორებული ცხოვრება მოიგეს, და ვინათგან საფუძველი მორჩილებისა არა აქვნდა, ამისთვის ვერ წარემართნეს. ჟ რომელნი ფერხითა რბიოდეს და განხურდეს მათ იტყვის, რომელნი კეთილსა მას მორჩილებისა სარბიელსა შევიდეს და კეთილად წარემართნეს.

რუ. ყვეიყვართ ოფალი ვითარ ხორციელნი მოყვარენი, რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელთა იმერთ განა«რისხეს, და არცა ერთი საურავი აქვნდა; და კვალად ვიხილენ იგინივე, რომელთა მეგობარნი მათნი მცირესა რასა საქმესა ზედა განამწარნეს, და ყოველივე ღონე იძიეს, და ყოველი სახე ქმნეს, და ყოველი მწუხარება აჩვენეს, და ყოველი აღსარება თავისა თვისისა მიერ, და მეგობართა მიერ, და ნათესავთა მიერ, და ძღვენითა და ქრთამითა, რათამცა პირველსავე საქმესა მოიყვანეს მოყვარე იგი.

რბ. უასაბამსა გამოსლვისა ჩვენისასა სოფლით უეჭველად შრომით და ჭირით და სიმწარით ვიქმთ სათნობათა, და წარრავემართნეთ მათ შინა მერმე შეუწუხებულად, ანუ თუ მცირედ მწუხარებით და შრომით ვიყვნეთ; ხოლო რაჟამს მოკვდავი ბუნება ჩვენი დაინთქას და უფლებულ იქმნას გულ-მოდგინებისა მიერ, მერმე ყოვლითა მოსწრაფებითა და სიხარულითა და სურვილითა და ალითა საღმრთოთა ვიქმოდეთ მათ.

რგ. ქაოდენ საქებელ არიან რომელნი პირველითგანვე ყოველთავე სიხარულთა და გულს მოდგინებითა მცნებათა აღასრულებენ: ეგოდენ საწყალობელ არიან, რომელთა მრავალ ჟამი დაეყოს მონაზონებასა შინა და ჯერეთ შრომით იქმოდინ მას, დაღაცათუ იქმოდინ.

რდ. ნუცა\*) იძულებით და ჭირით რაისათვისმე ქმ-

---

\*) წარგმანი. ოგონებ თუ, ესე ვითართა კაცთათვის იტყვის, რ~ლნი იგი მეფისაგან განდევნილნი ექსორია ქმნილ იყვნენ მამულთაგან მათთა ცთომისა რასათვისმე, და მირავიდის მეფე ქვეყანასა მას სადა ექსორია ქმნილ იყვნინ იგინი. და შესმენილ იქმნის ვინმე მათგანი მეფისა მიმართ, ვითარმცა ბოროტსა რასამე ზრახვიდა მისთვის. მაშინ ბრძანის უნებლიეთ მიყვანება მისი წინაშე მისსა. ხოლო მორაიყვანიან გამოიძიის და ვერა რად პოვის მისთანა აუგი, მოაქციის ექსორიობისაგან და პატივ-სცის მას და დასმის თვისსა ტაბლასა ზედა. – ამის უკვე ესე ვითარისა სახედ მოილო უნებლიეთ განსლვად სოფლით; და ჭირისა რასათვის მე, ვითარმედ მრავალ გზის იგიცა კეთილ იქმნის.

ნილისა სოფლით გამოსვლასა მოვიდაგებთ რამეთუ ვიხილენ ვიეთნიმე ლტოლვილნი, რომელნი უნებლიეთ მოუხდეს მეფესა და შეემთხვინეს მას, და მერმე ნებსით მისთანა წარყვეს და პალატად მივიდეს და მისთანა ტაბლასა დასხდეს.

რბ. ჩიხილენ თესლნი უნებლიეთ ქვეყანად დავრდომილი და აღმოსცენდა და განიშვა და ფრიად ნაყოფი გამოიღო; და სხვა ნებსით დათესილ იყო, და იქმნა იგი უნაყოფო.

ჩიხილევი მე სამკურნალოდ მისრული სხვისა რასამე სახმარისათვის და შეპყრობილ იქმნა სიმკვირცხლითა მით მკურნალისათა და განიკურნა და აღმური თვალთა მისთა ზედა მიფენილი მოეძარცვა, და იქმნეს უნებლიეთი ესე მრავალ გზის, რომელთამე ნებსითთა უმტკიცეს და უჭეშმარიტეს.

რბ. ნუმცა ვინ მიზეზობს სიმძიმესა და სიმრავლესა ცოდვათასა და იტყვის თავსა თვისსა უღირსად მოქალაქეობასა მას მონაზონებისასა, და გემოთ მოყვარებისათვის გონებდეს თუ თავსა თვისსა დაიმდაბლებს (ჟსდრმშ. 140, 4) და მიზეზობდეს მიზეზითა ცოდვისათა; რამეთუ სადა ფ~დ არს წყლულება, მუნ კურნებაცა ფრიადი ჯერ არს, რათა გესლი იგი განიწმიდოს, რამეთუ არა მრთელნი, არამედ სნეულნი მოვლენ სამკურნალოდ.

რბ. ოკეთუმცა ქვეყანისა მეფემან გვიწოდა, რათამცა წინაშე პირსა მისსა ვმსახურებდით მას, არამცა დავადროებდით მას, არამცა ვმიზეზობდით, არამედ ყოველივემცა დაუტევით და მუნცა მივისწრაფდით. ხოლო ვეკრძალნეთ თავთა ჩვენთა დაწოლებასა მას შეუფისა მეუფეთასა, და ოფლისა უფლებათასა, და ღვთისა ღმერთთასა, რ~ი ზეცისა წესსა მიგვიწოდს, ნუმცა შეურაცხვეფით, და ნუმცა ვიჯმნით მისგან უდებებისა და ზარმაცობისა ჩ~ნისათვის, რ~ა არა ვიპოვნეთ წინაშე დიდისა მის საყდრისა უსიტყველ და სირცხვილეულ.

შ. ყესადღებელ არს შეკრულისაცა სოფლისა საქმეთაგან შებორკილებულისა ბორკილითა ზრუნვათათა სვლად, გარნა ძნიად, რ~ რ~ლთა ბორკილნი ახსენ ფერხთა იგინიცა ვლენან, ა~დ ზედას ზ~ა დაეცემიან და წყლულეზაცა შეემთხვევის მისგან.

შდ. ჟომელი უქორწინებელ იყოს სოფელსა შინა და საქმეთაგან მისთა ოდენ შეკრულ, მსგავს არს იგი კაცსა, რომლისანი ხელნი ოდენ შეკრულ იყვნიან, ამისთვისცა ოდეს ინების სრბა მონაზონებისა გზასა, არა დაყენებულარნ; ხოლო რომელსა ექორწინის მსგავს არს იგი ხელით და ფერხით შეკრულსა.

შე. ჟესმა ვიეთნიმე რ~ლნი სოფელსა შ~ა უდებად იყოფებოდეს, რ~ლთა მრქვეს მე: ვითარ უძლოთ რომელნი ესე მეუღლეთადა შეყოფილ ვართ და სამეფოთა საქმეთა მონებასა შ~ა ვართ, რ~ა მონაზონებისა ცხოვრებასა შევიდეთ? ხოლო მე მიუგე და მარქვ მათ, ვ~დ ყოველი რავდენი ძალ გიცს კეთილი ქმენით: ნუვის შეასმენთ, ნურას იპარავთ, ნუვის უტყუვით, ნუვის ზ~ა აღზვავნებით, ნუ ვის მოიძულებთ, ეკლესიასა ნუ დააკლდებით, გლახაკთა სწყალობდით, ნუვის დააბრკოლებთ; სხვის ნაწილს ნუ მოიტაცებთ და ნუ შეეხებით გვამსა უცხოთა, და კმა გეყვნედ მეუღლენი თქვენნი. უკეთუ ამას ყოველსა ყოფდეთ, არა შორს ხართ სასუფეველისაგან ცათასა.

შე. ჟოუხდეთ\*) სიხარულით და შიშით კეთილსა მას ღვაწლსა, და ნუმცა გვეშინის მტერთა ჩვენთაგან, რამეთუ პირსა სულისა ჩვენისასა განიცდიან, დაღაცათუ

---

\*) თარგმანი. ოირად სულისა ძალთა და საქმეთა სულისათა იტყვის, რამეთუ სახეთაგან და საქმეთა დაგცევათაგან კაცისათა სცნობენ გულის სიტყვათა მტერნი ჩვენნი ეშმაკნი, თუ არა თავით თვისით არა რად იციან გონება ჩვენი, რამეთუ დასთესენ სულსა შინა ჩვენსა იგინი, თვისსა უკეთურებასა, და ელიან რათამცა ცნეს თუ ვითარითა სახითა შევიწყნარეთ. მათი თესლი, და საქმეთაგან და ქცევათა სცნობენ თუ ვითარ შევიწყნარეთ.

ვერ ხედვენ; და უკეთუ იხილონ პირი იგი სულისა შიშისაგან შეცვალეული, მაშინ უმწარესად აღიჭურვიან ჩვენ ზედა, რამეთუ სცნიან მზაკვართა მათ, ვითარმედ შევშინდით.

*შბ.* უხოვნად აღვიჭურვით მათდა მიმართ, რამეთუ გულს მოდგინედ მბრძოლსა არავინ ბრძავს.

*შჟ.* უსანგებულებით ო.წ ახლად მოსრულთა ბრძოლანი აღასუბუქნა, რა არა დასაბამსავე მეყვსეულად სოფლად მიიქცენ. ამისთვის გ.წ ო.წისა მრ მარადის ყლთა მონათა ჟ.ესთა, და ესე მიიღეთ პდ სასწაულად სიყვარულისა მის მეუფისასა, რლ აქვს თქვენდა მომართ, და გულ სავსე იქმნენით, ვითარმედ მან გიწოდა თქვენ.

*შჟ.* უა ამასცა იქმს იწი მრავალ გზის, რ იხილნის სულნი ახოვანნი, და დასაბამსავე მიუშვნის მათ ზა ბრძოლანი, რამცა მალიად გვირგვინოსან ყვნა იგინი.

*შხ.* უაფარა ო.წ ერის კაცთაგან სარბიელისა ამის სიძნელე, და უფროსდა სიადვილე, რ უკეთუმცა ყთა იცოდეს იგი არამცა მრავალ მონაზონ იქმნეს.

*შჩ.* უისცენ შრომანი სიჭაბუკისა შენისანი გულს მოდგინედ ჟ.ესა, და სიბერესა შენსა გ.წ, სიმდიდრესა ზა უვნებელობისასა.

*შძ.* სიჭაბუკესა შა შეკრებულნი შრომანი, სიბერეთა შინა მოუძღურებულთა ზრდიან და ნუგეშინისცემენ; ვშვრეთ ჭაბუკნო მხურვალედ დავრბიოდით კეთილად, რამეთუ ჟამი სიკვდილისა უცნაურ არს.

*წ.* უტად ბოროტნი და უკეთურნი მზაკვარნი და მრავალ ღონენი, უძილნი და მანქანნი, უხორცონი და უხილავნი მტერნი გვისხენ, რლთა აქვს ცეცხლი ხელთა და ტაძარსა იწისასა ისწრაფინ დაწვად ალითა მით მათითა.

*წ.* უუმცა ვინ ჭაბუკი შეიწყნარებს მტერთა განზრახვასა, ეტყოდის რა, ვდ ნუ შემუსრავ და განლევ ესრეთ ხორცთა შენთა, რა არა სენთა და უძღურებათა ში-



უმრეტელად ვიდრე დღედმდე განსლვისა მისისა ხორც-  
თაგან, და მარად დღე არა დასცხრა დართვად ცეცხლი  
ცეცხლსა ზა, და სურვილი სურვილსა ზა, და მხურვალე-  
ბა მხურვალეზასა ზედა, და მოსწრაფება მოსწრაფებასა ზა  
ვიდრემდის მივიდეს წინაშე ოფლისა წმიდად და უბიწოდ,  
რომლისა არს, დიდება აწდა მარადის და უკი უკე. ამინ.

სირველი აღსავალი სათნოებათა კიბისა, რი აღ-  
სრულ იყოს ამას ზა ნუმცა გარეიქცევის უკუღმართ.





## თქმული მისვე ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი

სიძულვილისათვის სოფლითა და მონაგებთა მისთა

### ԳՐԻ Կ.

ჯომელმან ჭემმარიტად შეიყვაროს ოფალი, და რომელ ჭემმარიტად ეძიებდეს მიმთხვევად საუკუნესა მას სასუფეველსა, და რომელმან ჭემმარიტად ტკივილი მოიგოს თვისთა ცოდვათათვის, რომელმან ჭემმარიტად ხსენება მოიგოს სატანჯველისა და საუკუნო სასჯელისა, და რომელმან ჭემმარიტად შიში განსვლისა მისისა ხორცთაგან დაამტკიცოს გულსა თვისსა, მან არღარა შეიყვაროს, არცა იზრუნოს, არცა იურვოდეს სახმართათვის, ანუ მონაგებთა, ანუ ნათესავთა, ანუ დიდებისათვის სოფლისა; ანუ მეგობართა, ანუ ძმათა, ანუ რაიცა რა არს საქმეთაგან ქვეყნისათა, არამედ ყოველივე სიყვარული, და ყოველივე ზრუნვა ამის ყოვლისავე, განაგდოს და მოიძულოს და პირველ ამის ყოვლისა თვისნი ხორცნი, და შიშვლად და უზრუნველად და სიმხნით ჴრისტესა შეუდგეს, და მარადის ზეცად ხედვიდეს, და მის მიერსა შეწევნასა მოელოდის, სიტყვისაებრ ემიდისა მის: „*Մաղթողք լսվաւ իղթա պղծեալսք զպիսի ծէ թղ պղծապիսիք ժսիք-ողինքնի պղինքնի* (Փսալմ. 62, 9) და სხვა რ~ლი იგი იტყოდა სანატრელი: *դ~ծ թղ զսիք ճգոպողի պղծեալսք զպիսիք ճէ սիսք ճէ ղնիսողիղყէսէտորս, զիսկ ծոսէտորս զընսողիսորս զսիք ժսակիսք* ო~ս.

7. სირცხვილება დიდ არს, უკეთუ ყოველი იგი პირველ თქმული დაუტეოთ, და შ~დ წოდებისა მის, რომლითა გვიწოდა ოფალმან და არა კაცმან. ვზრუნვიდეთ რასმე საქმესა, რ~ი ვერ შემძლებელ იყოს კეთილის-ყოფად

რასმე ჩვენდა, ჟამსა მას ჭირისა ჩვენისასა, რ~ლ არს სი-  
კვდილი, რამეთუ ესე არს რომლისათვის თქვა ო~ნ ვ~დ  
ქსაძჟოა უღბოაძის ძეხთაო~აქსაქი, ოჟიძი ოძეძიძეძიძას  
სდსაქოქოქოსდ უდთდსდ.

ღ. ოწყოდა ო~ნ მსწრაფლ კეთილისაგან წესისა მიდ-  
რეკა ჩვენი ახლად გამოსრულთა სოფლით; და ვითარმედ,  
უკეთუ ვიქცეოდეთ ერისგანთა თანა, კვალად ადვილად  
მივიქცევით სოფლად, ამისთვის რქვა მას, რომელმან კი-  
თხა, ვ~დ შარსიძეძი, რათა წარვიდე და დავმარხო მამა ჩე-  
მი. და რქვა მას ო~ნ, ვ~დ აქეოქოქი შხოძეძიძი, ზეძა-  
ოქდ თქსთდ შხოძეძიძი.

ჴ. ეშმაკნი შემდგომად გამოსლვისა ჩვენისა სოფლით,  
დაგვარწმუნებენ მოწყალეთა და ლმობიერთა ერისაგანთა  
ნატრად, და თავთა ჩვენთა ბრალობად, ვითარმედ ყოვ-  
ლისაგანვე სათნოებისა მათისა თავნი ჩვენნი გამოგვიხვამნ,  
ხოლო ესე არს გულის სიტყვა მტერთა ჩვენთა რათა სიმ-  
დაბლითა მით ამათა და არა ჭეშმარიტითა, ანუ სოფლა-  
დვე მიგვაქცინენ, ანუ დადაცათუ მონაზონებასა შინა ვი-  
ყვნეთ სასოწარკვეთილებასა შთაგვყარნეს.

ტ. ღრს შეურაცხება ერისაგანთა ამპარტავნებისათვის  
და არს კვალად შეურაცხება მათი, რაჟამს მათ არა ესმო-  
დის სივლტოლისათვის სასოწარკვეთილებისაგან და მო-  
გებად სასოებისა.

თ. ღისმინოთ რასა ეტყვის ო~ნი ჭაბუკსა მას, რომე-  
ლი იტყოდა ყოველთა მცნებათა დამარხვასა, ვ~დ ოქსთა-  
თდ უდქოს, რათა განყიდო ყოველი მონაგები შენი და  
მისცე გლახაკთა, და გლახაკ იქმენ, და მიიღებდე სხვათა-  
გან ქველის საქმესა.

ხ. რომელთა\*) გნებავს სურვილით და მოსწრაფედ სე-

---

\*) ღარგმანი. ორ კეცი არს სიკვდილი, ხილული და უხილავი,  
რამეთუ არს მკვდარი, რომელი მოკვდეს ხორციელად, და არს მკვდარი რო-  
მელი მომკვდარ იყოს სულითა რამეთუ არა შედგომილ არს ცხოვრებისადა.

ლად, გულის ხმა ვყოთ გონიერად, ვითარმედ ო~ნ სოფელს მყოფთა ცოცხალთაცა მკვდრად სახელსდვა, და რქვა ვისმე ვ~დ უტევენ მკვდარნი ერისაგანნი, რ~ა მათ დამარხნენ ხორციელად მკვდარნი მათ შორის მყოფნი.

Ի. Ըრა რას აყენებდა ჭაბუკსა მას სიმდიდრე იგი ნათლისღებად, და ამისთვის სცდეს სადამე ვიეთნიმე, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ ნათლისღებად მოსლვისათვის ეტყოდა მას ო~ნი, ვ~დ განყიდე მონაგები შ~ნი და კმა არს ჩვენდა ესე ვითარი ესე გულსავსება დასარწმუნებელად დიდისა მის დიდებისა მოქალაქეობისა ამის ჩვენისა.

Ը. სამიებელ არს\*) თუ ვითარ სოფელსა შინა მყოფნი რომელნი იმყოფებოდინ მღვიძარებით, მარხვით, და შრომით მოვიდოდენ რა მონაზონებად და განეშორნინან სოფლით, და შემოვიდინან გამოსაცდელსა მას საქმისა მათისასა, პირველსა მას მტყუანსა და მპოვნებულსა ცუდად მოღვაწებასა მათსა ვერ იქმოდინ.

Ի. Դიხილენ მრავალნი და თითო სახენი ნერგნი სათნოებათანი, სოფელსა შინა მყოფთა მიერ დანერგულნი, და ვითარცა რუსაგან მწვირისა ირწყვებოდეს, ცუდად ზვაობისაგან და მაჩვენებლობისაგან მოითხრებოდეს, და სკორე იგი ქვიშათა და ისხმოთა ძირთა მათთა და გაირგნეს რა ქვეყანასა ტკეზნილსა და სავალსა ერისკაცთაგან და მორწყულსა წყლისა მისგან, ცუდად ზვაობისა და მერალისა, მეყვსეულად განხმეს, რამეთუ ესე ვითარსა რწყევასა დაჩვეულნი ნერგნი არა იშვებენ, ქვეყანასა შინა ფიცხელსა და ურწყულსა გამომცდელსა ჭეშმარიტისა მოღვაწებისასა.

---

\*) Ըარგმანი. Ժ~ტყუანი მოღვაწება ესე არს რაჟამს კაცი იღწვოდეს ქებისათვის კაცთასა, ხოლო ჭეშმარიტ არს, რ~ი Բვთისათვის და სიტყვითა მამათათა იქმნებოდის მსგავსად მისა, რ~ი იტყვის ვ~დ: მე თავით თვისით არა რას ვიქმ, რ~ი იგი სრულიცა არს და აღუზვაგებულადცა დაიცვების, რომელი მამათა განზრახვითა იქმნებოდის.

IC. ჟომელმან ნებსით სოფელი მოიძულა, იგი მწუხარებათაგან განერა; ხოლო რომელსა ხილულთაგანისა რაისამე მიმართ სიყვარული აქვნდეს, ჯერეთ არა განრომილ არს მწუხარებისაგან, რამეთუ ვითარ არა შეწუხნეს დაკლებასა ზედა საყვარელისა მის.

IC. ყოველსა ზა ფრიადი სიფრთხილე სახმარ არს ჩვენდა, რამეთუ ყოვლისა უპირატეს ამას ვეკრძალნეთ გონებითა ფრთხილითა, რომლის მეგულების თქმად.

IC. მრავალნი\*) მიხილავნ სოფელსა შინა, რომელნი საურავთაგან და ზრუნვათა და შრომათა და მღვიმარებათა მიერ ხორციელთა ხორცთა მათთა ხურვებასა და ბორგასა განერნეს; ხოლო მორავიდეს ესე ვითარნი მონაზონებად, და უზრუნველ იქმნეს და საწყალობელნი ხორცთა აღძვრისაგან შეიგინებოდეს.

IC. ჟეკრძალნეთ თავთა თვისთა, ნუ უკვე ვჰგონებდეთ თუ იწროსა მას და საჭიროსა გზასა ვალთ, და ჩვენ ფართო და ვრცელი გზა გვეპყრას და ვსცთებოდეთ.

IC. ლხა იწრო ესე არს მოყმოზა მუცლისა, ზედგომა ღამე ყოველ გალობითა; სმა წყლისა სასწორითა, ნაკლულევანება პურისა, დათმენა კდემისა და ყვედრებისა, შეწყნარება ბასრობისა და კიცხევისა, მოწყვედა ნებათა თვისთა, შეურაცხებასა ზა უდრტვინელობა, ჭირთა მოთმინება, გინებათა თავსდება, ძვირის ხილვათა ტვირთვა, შეურაცხებასა ზედა არა განრისხება, და თუ ვინმე მიგვიხვეჭდეს მიუტეოთ უსიტყველად; და უკეთუ ვინმე ძვირსა გვიზრახვიდეს არა შევსწუხდეთ და მოთმინებით მოვითმენდეთ, მიუტეოთ და ნაცვალსა არა ვეძიებდით, გინათუ ვინმე განგვიკითხვიდენ წინაშე მათსა დავმდაბლ-

---

\*) ღარგმანი. ოსე იქმნების უდებებისაგან და უკრძალველობისა და სიმაღლისა და თვით რჩეულობისა, და მიშვებითა ივთისათა რა განვისწავლნეთ და დავმდაბლდეთ.



ენებოს მოსვლა, ყლთა მოსწრაფებითა განიფრთხონ,  
და განაშორნენ თავნი მათნი ყლისაგანვე შვებისა და  
უკეთურებისა, რა არა იქმნეს უკანასკნელი მათი უძვი-  
რეს პირველისა.

ჟყ. ჩავთსაყუდელი\*) ცხოვრებისაცა და დანთქმი-  
საცა იქმნების მომატყვევებელ, და ესე უწყიან ყთა რლნი  
ვლენან ხილულსა მას ზღვასა შა და რლნი ვლენან უხილავსა.

ჟრ. საწყალობელ არს საქმე ესე, რაჟამს რლნი იგი გუ-  
ლისაგან ზღვისა განერნიან და ნავთ საყუდელსა შინა და-  
ინთქმიან.

**შეორე აღსავალი სათნოებათა ღიბისა, რსა დაგიდგამს ფერხი ამს ზა ნუ  
მეულლესა, ად ზოთსა მიემსაგვსე სილტოლვითა.**

---

\*) ჩარგმანი. ჩავთ საყუდელი სულიერი გონებით ცხოვრების  
მომატყვევებელ არს, ხო იქნების დანთქმისაცა მომატყვევებელ, გარნა არა  
თუ იგი იქმს დანთქმასა, ად უდებება მათ შა მყოფთა. ხ რლი მოსწ-  
რაფე იყოს, მან ცხოვრება პოოს და არა დანთქმაჲ.

შოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტყირთ მძიმენი და **შე** განგისვენო თქვენ



ვ'ლითა შთინთქელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ოცხოებისათვის

### თავი 3

დ. ოცხოება,\*) დატევება არს გარეშე უქცეველი, მშობელთა და ყოველთავე, რომელნიცა იყვნენ ქვეყანასა ჩვენსა, წინააღმდგომ და დამაბრკოლებელ კეთილისა მის გულის სიტყვისა ჩვენისა.

ე. ოცხოება ესე არს განშორება კადნიერებისაგან, სიბრძნე უცნაური, მეცნიერება გამოუცხადებელი, ცხოვრება დაფარული, გულის-ხმის-ყოფა უხილავი, გულის სიტყვა უჩინო, სურვილი კდემისა და ყვედრებისათვის, გულისთქმა ჭირისა და იწროებისა, აღორძინება საღმრთოსა სურვილისა, განმრავლება სიყვარულისა ივთისა, უარისყოფა ზვაობისა, უფსკრული დუმისა.

ვ. ესეცა გულის-სიტყვა, რომელ არს თვისთაგან განშორება მრავალ-გზის დასაბამსა ცეცხლითა მით ივთისა მიერთთა, ტრფიალთა ივთისათა ძლიერად აიძულებნ სურვილისათვის ჭირთა და მწუხარებათა, გარნა რაოდენ დიდ და საწადელ არს საქმე ესე, ეგოდენ ფრიადიცა განკითხვა და გულის ხმის ყოფა უხმს, რამეთუ არათუ ყოველი უცხოება კეთილ არს.

გ. ოკეთუ\*\*) ყლი წინასწარმეტყველი თვისსა ქალაქსა და მამულსა შეურაცხ არს სიტყვისამებრ ოფლისა, მაშა ვეკრძალნეთ ჩვენცა ნუ უკვე გვექმნას ჩვენ უცხოება მომატოვებელ ცუდად დიდებისა.

---

\*) ძარგმანი. ჟანი არიან ჩვენისა გულისა სიტყვისა წინა-აღმდგომნი, გარნა სახმარნი, მონაგებნი, ჭამადნი, ნებანი, განცხრომანი და ვნებანი.

\*\*) ძარგმანი. ოცხოება მაშინ იქმნების ცუდად დიდებისა მომატევებელ, რა ჟამს კაცი აჩვენებდეს თავს თვისსა დიდთა შვილად და კადნიერებდეს და ამპარტავან იყოს.



7. უცხოება\*) არს განშორება ყოველთაგანვე რა-  
ჟამს გონება განუშორებელ ქმნილ არს ღთისაგან.

71. ოცხოება ჭემმარიტი არს დაუვიწყებელი გლო-  
ვისა ტრფიალება და საქმე.

72. უცხოება\*\*) იგი არს, რომელი ყოველთა თვის-  
თა და უცხოთა სიყვარულისაგან ილტვოდეს.

73. ნუ ელი განრაზვიდოდე მონაზონებად, გინა უცხო-  
ებად სოფლის მოყვარეთა სულთა, რამეთუ მპარავი იგი, რო-  
მელ არს სიკვდილი, სულ მოკლე არს და არა მადროებელი.

74. შრავალთა ენება ცხოვნება უდებთა, და იგი-  
ნიცა მათ თანა წარწყმდეს, რაჟამს სიგრძესა ჟამისასა ცეცხლი  
იგი სულისა მათისაგან დაშრტა და მხურვალეა განგრი-  
ლდა.

75. შიილო რა ალი სადმთო რბიოდე, რამეთუ არა  
უწყი თუ ოდეს დაშრტეს და ბნელსა შინა დაგიტეოს.

76. სხვათათვის არა ყნი განვიკითხვით, თუ რად  
არა ვაცხოვნენით, ხოლო თავთა თვისთა თს უეჭველად ყოველნივე, რა-  
მეთუ იტყვის მოციქული, ვითარმედ თითოეულმან თავისა თვისასა-  
თვის სიტყვა მისცეს ღმერთსა ძმანო, და კვალად იტყვის: რომელი  
ეგე სხვასა ასწავებ თავსა თვისსა არა ასწავება?

77. იმყოფებოდე რა უცხოებასა, ეკრძალე მიმოსვ-  
ლისა და გემო მოყვარეობისა ეშმაკსა, რამეთუ უცხოება  
მიზეზ-ჰსცემს მას.

78. ნეთილ არს შეურაცხება მონაგებთა, ხოლო მი-  
სი დედა უცხოება არს.

---

\*) წარგმანი. ყოველთაგან განშორებასა იტყვის გულის-სიტყვა-  
თაგან და ნებათა, რამეთუ უკეთუ ესენი თანა იყვნენ უსარგებლო არს  
უცხოება იგი.

\*\*) წარგმანი. წვისად იტყვის ნებათა, ხოლო უცხოდ გარემეთა  
საქმეთა, ვითარ ჭამადთა და ნათესავთა და მეგობართა, და სხვათა ესე  
ვითართა.

76. ყოველი რომელი უცხო იქნეს ოფლისათვის, ნულარამცა მოიგებს სიყვარულსა ხორციელსა და უსარგებლოსა, გინა თუ მონაგებთა, გინა თუ კაცისა მიმართ, რათა არა ვნებათათვის მიმოსვლა იყოს საქმე მისი და არა უცხოება.

77. ქომელი უცხო იქმნეს სოფლისაგან, ნულარამცა შეეხების სოფელსა, რამეთუ ვნებანი მოქცევის მოყვარე არიან.

78. სანიდევნა სამოთხისაგან ევა უნებლიეთ, და მონაზონი ნებსით მამულისაგან და ქვეყანისა თვისისა, რამეთუ მას კვდ მელისა მისგან ურჩებისა გულის-თქმა ეგულვებოდა, ხოლო ამას მარადლე ვნება შემთხვეოდა ნათესავთაგან და მეგობართა.

79. ილტვოდე ვითარცა ცეცხლისაგან ადგილთა მათგან დაცემისათა, სადა შემთხვეულ-იყოს შენდა ცოდვა, რამეთუ რაჟამს არა სადა ვხედვიდეთ ნაყოფთა მათ სიმწარისათა, არა ზედას-ზედა გული გვითქმიდეს.

80. ნუმცა ამას ღონესა და მზაკვარებასა ბოროტთა მათ მთავართასა უმეცარ ხარ, რამეთუ გვაწვევდია არა განშორებად ერის კაცთაგან, ვითარმცა დიდი სასყიდელი მოგვეცემოდა, უკეთუ ვხედვიდეთ დედათა, და აღვირ ვახსნეთ თავთა ჩვენთა, ანდ ნუმცა შეგვაცთუნებენ, გარნა უფროსლა წინა-აღმდგომსა ვიქმოდით.

81. ქა ჟამს თვისთაგან ჟამ რავდენმე განვეშორნეთ, და მცირედი რაიმე ლმოზიერება ანუ კრძალულება მოვიგოთ, მაშინ უკვე გულის სიტყვანი იგი ამაონი ზვაგობისანი მოგვიხდებიან და გვეტყვიან, კვალად თვისსავე ქვეყანასა მიქცევად სარგებელად მრავალთაო, და სახედ კეთილისა და აღსაშენებელად მათდა, რომელნი მეცნიერ იყვნეს საქმეთა ჩვენთა ბოროტთა და დაბრკოლებულ მათ თვის, და უკეთუ სიტყვა რაიმე სწავლისა, ანუ მცირედი რაიმე გულის-ხმის-ყოფა გვაქვნიდეს, მერმე ვითარ-

ცა მაცხოვართა სულთა ჩვენთასა სოფლად მიქცევად გვაწვევენ, რა რა იგი ნავთსადგურსა შინა კეთილად შეგვიკრებიეს გულსა ზღვისასა ბოროტად განვაბნიოთ.

ჟ. ნუ ცოლსა ლოთისასა, არამედ ლოთსა ვემსგავსნეთ სილტოლვითა, რამეთუ სული რომელი მიიქცეს ვინაჲ განვიდა, დადნეს ვითარცა მარილი, და იქმნეს ძეგლ შეუძრველ.

ჟდ. ოლტვოდუ\*) ეგვიპტით, რამეთუ, გულნი რომელნი კვალად იქცეს ეგვიპტედვე ქვეყანა იგი უნებელობისა იერუსალიმი ვერ იხილეს.

ჟე. იქმნების ესეცა, რამეთუ რა ჟამს ჩჩვილნი ვინმე გამოსრულ იყვნეს ქვეყანით თვისით, და სდ განწმედილ იყვნენ, კდ მუნვე მიქცევა კეთილად ამით გულის სიტყვითა, რათა შდ თვისისა ცხოვნებისა სხვანიცა აცხოვნნენ, რამეთუ მოსეცა ივთის მხილველი იგი, მირაივლინებოდა იისა-მიერ, გამოყვანებად თვისთა მრავალნი ნათესავნი ესხნეს ეგვიპტესა შინა, რომელ არს სიბნელე.

ჟვ. ომჯობეს არს შეწუხება მშობელთა ვიდრელა უფლისა, რამეთუ მან დაგვბადნა და გვაცხოვნნა ჩვენ, ხოლო მათ მრავალ გზის რომელნი შეიყვარნეს წარსწყმიდნეს და სატანჯველად მისცეს.

ჟგ. იგი არს ჭეშმარიტი უცხოება, რომელი უცხოთა ენათა შორის უენოდ სჯდეს გულის-ხმის ყოფით.

ჟდ. წრათუ სიძულვილისათვის თვისთა და ქვეყანათა ჩვენთასა წარვალთ მიერ, ნუ იყოფინ, არამედ მათ მიერ

---

\*) წარგმანი. იხილე ვითარ გულის სიტყვაცა ოდენ დასჯის და გულის თქმანი, რამეთუ არათუ საქმისა მიმართ მიქცევისათვის, ად გულისთქმისათვის ოდენ დაისაჯნეს იგინი, რამეთუ არათუ ხორცითა შთავიდა ეგვიპტედ ერი იგი, არამედ ოდენ გულისთქმა შეექმნა მუნ მისლვად, და ამისთვის დაისაჯნეს არღარა შესვლად ქვეყანასა მას აღთქმისასა. ამისთვის ნეტარი ესე მამა იოანე განგვაკრძალეზს, რათა ვეკრძალნეთ გულის თქმათა ბოროტთა.



ძმათა მით, რომელთა ენებოს მონება ჩემი,  
 ძიძიძე მტერობა და შიშველი, განყოფად ივთის-  
 მოყვარეთა სოფლის მოყვარეთაგან; ნივთიერთა უნი-  
 ვთოთაგან; და დიდების მოყვარეთა მდაბალთაგან. რა-  
 მეთუ უხარის ოთხი განყოფისათჳს რი მისისა სიყვარუ-  
 ლისათვის იქმნებოდის.

რდ. თხილე, იხილე და განეკრძალე, ნუ უკვე რაჟამს იგი  
 წყლითა აღივსებოდის ყოველი სოფელი იქმნე შენ თვი-  
 სთა და მშობელთა შენთა თანა-ყოფისა მოყვარე, და არა  
 შეხვიდე კიდობანსა მას მოღვაწეებისასა, და წარსწყმდე  
 წყლით რღვნასა მას თანა სოფლის მოყვარებისასა.

რდ. ნუ გეწყალიან მშობელთა ანუ მეგობართა  
 ცრემლნი, რათა არა საუკუნოდ სცრემლეოდე.

რდ. ჟაჟამს გარემოგადგენ შენ, ვითარცა ფუტკარ-  
 ნი, და უფროსლა თანა, ვითარცა ბზიკნი, თვისნი შენნი;  
 და გოდებასა ყოფდენ შენ ზედა, მაშინ ძლიერად თვალ-  
 ნი სულისა შენისანი საქმეთა შენთა, და სიკვდილისა შე-  
 ნისა მიმართ მიიყვანენ მოუდრეკელად, რათა ტკივილითა  
 ტკივილსა უძლო განგდებად შენგან.

რდ. (ღვიქადაგებდიან\*) ჩვენ ზაკვით ჩვენნი იგი, და  
 არა ჩვენნი, ვითარმედ: ყოველი ვითარცა გნებავს და რა-  
 იცა გიყვარს ვქმნათ: ხოლო ესე არნ მათი იგი გულის  
 სიტყვა, რათამცა ჩვენი იგი კეთილი სრბა დაგვიხრწიეს,  
 და მერმეცა თვისისა ნებისა მიმართ მიგვიყვანნეს ღო-  
 ნისძიებით.

რდ. ჩარსვლა ქვეყანით ჩვენი იყავნ ადგილთა მიმართ

---

\*) თარგმანი: ჩვენნი ვითარ იტყვის ჩვენად ნათესავთა ჩნთა  
 თვისობისათვის ხორციელისა, ხოლო არა ჩვენად, რ არა სულისა ჩვენისა  
 უმჯობესსა იტყვიან. და კდ გულის სიტყვანიცა ბოროტნი ჩნნი არიან და  
 არა ჩვენნი, ამითჳს რ ჩნ შნ არიან, ხ არა ჩნნი; რ ეშმაკთა მიერ მოვლენ.

ღგვიპტესა მოიღებს სახედ სოფლისა ამის, რომელი სავსე არს სი-  
 ბნელითა ვნებათათა.

ფიცხელთა, სადა არა იპოვებოდეს ნუგეშინისცემა ხორციელი, და არცა გვექმნებოდეს მუნ ცუდად დიდება, არამედ უფროსად დამდაბლება, ხოლო უკეთუ არა ესრეთ ვქმნეთ, ვნებათა ფრთითა ვფრინავთ.

რაჟ. ოღვალდე ხელმწიფეთა შვილობისა და დიდებულებისა გამოცხადებად, რათა არა იპოვო სხვისა მეტყველი პირითა და სხვისა გამომაჩინებელი საქმით.

რაჟ. წრავის ესრეთ შეუორგულელებლად მოუცემიეს თავი თვისი უცხოებად, ვითარ დიდსა მას, რომელსა ესმა, ვითარმედ *ნეძაოიოძ ჟოიყდჩოსდენი ყიჩოსდ, დე ჩეძოქდოქდენი ყიჩოსდ დე სეკოქდენი ძეძოსდ ყიჩოსდ*, რომელი იგი უცხოთა ენასა და ბარბაროსთა ქვეყანასა მიიწოდებოდა.

რაზ. შრავალ გზის იქმნის ესეცა, რომელ მსგავსად დიდისა მის აბრაჰამისა ადიდის ოჲნ, უცხოებად განსრული, სახელისა მისისათვის; გარნა დაღაცათუ დიდება იგი ღვთივ-მონიჭებული იყოს, აჲდ კეთილვე არს ფართთა სიმდაბლისათა გარე მიქცევა მისი.

რაჟ. ქაჟამს ეშმაკნი, ვითარცა დიდსა რასმე სათნოებასა ზედა გვაქებდენ, ანუ თუ კაცნიცა უცხოებისა ჩვენისათვის, მაშინ ჩვენ მოვიხსენოთ ზეცით ქვეყანად მოსრული იგი, და ჩვენთვის უცხოქმნილი, და ვჰპოვნეთ თავნი ჩვენნი, ვითარმედ დაღაცათუ, უჲი უჲე ჟამთაცა ვიღწვიდეთ და უცხო ვიქმნეთ, ნაცვალსა შისსა ვერ აღვასრულებთ.

რაჟ. ძნელ არს და ბოროტ ფრიად სიყვარული ხორციელი, გინათუ თვისთა, გინათუ უცხოთაგანისა ვისამე მიმართ, რჲი იგი შემძლებელ არს ჩვენდა მიქცევად სოფლადვე, და სრულიად დაშრეტად ცეცხლსა მას ლმობიერებისა ჩჲნისასა, უკეთუ ვსცეთ მას ადგილი.

შ. ღითარცა შეუძლებელ არს ერთითა თვალითა ზეცად მიხედვად, და მეორითა ქვეყანად, ეგრეთვე შეუ-

ძლებელ არს თუმცა არა ევნო სულსა რომელი არა უცხო იქმნეს სრულიად თვისთაგან გონებითა ანუ თუ ხორციელადცა.

შჄ. შრავლითა შრომითა და მოსწრაფებითა წარმართების ჩვენ შორის ჩვეულება კეთილი, და მრავალთა ჟამთა შრომითა წარმართებული იგი შესაძლებელ არს, ერთისა ჟამისა წამსა წარწყმედაჲ; რამეთუ განხრწნიან გონებათა ტკბილთა და წესთა კეთილთა: ზრახვანი ბოროტნი, და უშვერნი სოფლისანი.

შჅ. ჯომელი შემდგომად სოფლით გამოსვლისა სოფლისავე თანა იქცეოდის, ანუ მახლობელ მათსა იყოს, უეჭველად ანუ მათვე საზრხეთა შთავარდეს, რომელთა შინა შთავრდომილ იყო, ანუ თუ ხედვითა და სმენითა მათითა გული მისი შეიგინებოდის ანუ უკეთუ თვით არა შეიგინებოდის, რომელნი შეიგინებოდინ, მათ განიკითხვიდეს და ესრეთ შეიგინებოდის.

### სიზმართათვის

შჇ. ჩვენისა გულის-ხმის ყოფისა გონება უნდო არს, და ყოვლითავე უგულისხმოებითა სავსე, და შეუძლებელ არს ამის დაფარვა; რამეთუ სასა ჭამადთა განარჩევს, და სასმელნი გულის-ხმის-ყოფასა სიტყვათასა იცნობს; რამეთუ უძლურება თვალთა გამოაჩინის მზემან: ხოლო უგულის-ხმოება სულისა გამოაჩინოს სიტყვათა; გარნა სიყვარული ძალისაებრ კაცისა მაიძულებელ არს. და ამისთვის ვსთქვა, ვითარცა გულის-ხმა ვყოფ, რამეთუ ვგონებ, არათუ განვაჩინებ და დავამტკიცებ, ვითარმედ შემდგომად უცხოებად განსლვისა სიზმარნი გვებრძვიან, ამისთვის ვინებე უცხოებისა თავსა თანა მცირედი სიზმართათვისცა თქმად, რათა ამასცა ღონესა მზაკვართა მათ მტერთა ჩვენთასა არა უმეცარ ვიყვნეთ.

შპ. სიზმარი არს აღძვრა გონებისა უძრაობასა შინა ხორც თასა.

შჟ. ოცნება არს ცთომილება თვალთა მძინარესა გონებასა შინა.

შჟჟ. ოცნება არს განცვიფრება გონებისა, მღვიძარებასა შინა ხორცთასა.

შზ. ოცნება არს ხილვა უგვამო და არა არსი.

შჟ. შიზიზი თუ რაისათვის უცხოებისა თავსა თანა ვინებე თქმად სიზმართათვის განაღა საცნაურ არს.

შჟჟ. ჯა ჟამს დაუტევნით ოფლისათვის თვისნი სახლნი და ნათესავნი და სხვანი ჩვენნი, და მივსცნით თავნი ჩვენნი უცხოებად სიყვარულისათვის ივთისა: მაშინ ეშმაკნი სიზმართა მიერ შეგვაშფოთებდიან ჩვენ, და გვიჩვენებდიან თვისთა ჩვენთა, ვითარცა მგლოვარედ, ანუ ვითარცა მომკვდრად, ანუ ვითარცა ჩვენთვის შეპყრობილნი და ჭირვეულნი.

წ. ჯომელი სიზმართა ირწმუნებდეს მსგავსარს იგი კაცსა მას, რომელი აჩრდილსა თვისსა სდევედეს და ენბოს შეპყრობა მისი.

წჟ. უშმაკნი ცუდად დიდებისანი – ძილსა შინა წინასწარმეტყველ იქმნიან რამეთუ მომავალთა საქმეთა გვახარებდიან, არამედ არა მომავალთაგანი არა რად უწყიან, გარნა თუ ტყუოდინ, ანუთუ იქმნის საქმე იგი და სხვითა რადთმე ეცნის, ანუ თუ ასმიოდის რადმე სხვასა ადგილსა მისთვის, ანუ ენახის, და ვითარცა მანქანათა ეცნის, და მოვიდიან მსწრაფლ და გვითხრობდიან, და იგიცა ჰაზრით, და უკეთუ იქმნის სიტყვა მათი, მათ უხარინ, და უკეთუ არა იქმნას, მათ არა ეურვების.

წჟჟ. ჯა ჟამს ჩვენ მიერ ხილულნი სიზმარნი იქმნიან ჩვენ განვკვირდით, და ვითარმცა მახლობელ ქმნილ ვიყვენით, მაღლსა მას წინასწარ-მცნობელობისასა და ფრიად-აღვზავანით.



*ჩუ.* ჯომელნი ირწმუნებდინ ეშმაკისასა, მათ მრავალ გზის წინასწარმეტყველ ექმნის, ხოლო შეურაცხის მყოფელთა მისთა მარადის მტყუვნად გამოჩნდის.

*ჩბ.* სულ-არს იგი და შინაგან ჰაერისა ამის ქმნილნი საქმენი იხილნის, და სცნის სიკვდილი მომკვდრისა მის და მივიდის და უთხრობნ უგუნურთა, და გამოსჩნდის მათ თანა წინასწარ მტყუველად.

*ჩჟ.* წრა რად მომავალთა საქმეთაგანი იციან წინასწარ-მცნობელობით, თუ არა გრძნეულნი წინასწარმცა სიკვდილისა თხრობად შემძლებელ იყვნეს.

*ჩჟ.* წნგელოსად ნათლისა და სახედ მოწამეთა შეიკვალეზიან მრავალ გზის, და ჩვენ გვაჩვენებდიან ძილსა შინა, ვითარმცა მათდა მიმართ მივიდოდეთ, და განრავგველვიძის სიხარულითა და ზვავობითა აღგვავსნიან.

*ჩხ.* სასწაული საცთურებისა მათისა ესე იყავნ, რამეთუ ჭემმარიტნი წნგელოსნი სატანჯველთა და სასჯელთა და განშორებასა სულისასა ხორცთაგან გვიჩვენებდიან – განრავილვიძით შეძრწუნებულ, შეშინებულ და შეჭმუნებულ ვიქმნებით.

*ჩქ.* ჯაჟამს ძილსა შინა ეშმაკთასა ვიწყით დარწმუნებად, მაშინ მღვიძარედცა რა ვიყვნეთ გვემღერიან.

*ჩღ.* ჯომელი სიზმართასა ირწმუნებდეს, ყოვლითურთ გამოუცდელ არს, ხოლო რომელი ურწმუნო იყოს მათდა ყოვლადვე იგი ყოვლად ბრძენ არს.

*ა.* ყოველთავე რომელნი სასჯელსა და სატანჯველთა გვიჩვენებდენ, მათი გრწმენეს; ხოლო უკეთუ სასწარკვეთილება გბრძავს, იგიცა ეშმაკთა მიერ არს.

**შესამე აღსავალი სათნოებათა კიბისა, ძალითა მზიდისა სამეზისათა, რომელი აღსრულ ხარ მზიდასა ამას დალიჭსა ზედა, ნურღარა მიხედავ მარჯულ, გინა მარცხულ.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშრაღნი და ტვირთი მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ვ'ლოთ შთანთქმული ჯოჯოხეთი სულითა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი **კ**ობე

## ქეზული ზმდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა

იონესი

ԳԸԻ Զ.

### შორჩილებსათვის ყ`დ ქეზულისა და შვენისა

Ը

შოწვენულ-არს სიტყვათა ჟამსა თვისსა, მოსწრაფეთა მათ მიმართ და მოღვაწეთა ჴრისტესთა, რამეთუ ყოველსავე წინა ნაყოფსა – უძღვინ ყვავილი, და ყოველსავე მორჩილებასა ოცხოება; ანუ, ხორცითაცა, ანუ ნებისა უეჭველად; რამეთუ ამით ორითა სათნობითა, ვითარცა ორითა ფრთითა ოქროფსათა დაუყენებელად ზეცად აღვალს სანატრელი მორჩილება: და ნუუკვე მისთვის იტყოდა სულითა შემოსილი იგი წინასწარმეტყველი გალობდა რა ვითარმედ: *ჟოჩიღჷ ժլիღ ժղ Գիսուդիւ, ՟ոու-ուԷիღԷ քիղծուԷիւծԷ ԷոժլԷ-դծիւիւծԷ* საქმისა მიერ, *ՃԷ քԷჩოუსოჟիս* ხედვისა მიერ და სიმდაბლისა.

ყ. ნუცამცა სახესა ახოვანთა მათ მხედართასა თანა წარვსდებით, საცნაურ ყოფად სიტყვისა მიერ ჩვენისა, ვითარ იგი უპყრიეს ფარი ივთისა-მიმართ სარწმუნობისა და თვისისა მოძღვრისა, და მის მიერ ყოველსავე ურწმუნოებისა ანუ მიმოსლვისა გულის სიტყვასა გარე მიაქცევინ; და მახვილსა მას სულისასა აღმოიხდიან, და ყოველსავე ნებასა თვისსა მოსწყვედენ; და შემოსილ არიან ჯაჭვითა სიმშვიდისა და მოთმინებისათა, და ყოველისავე გინებისა და შეურაცხებისა ისართაგან მოუწყველელად ჰგიან; და აქვს ჩაფხუტი ცხოვრებისა, რომელ არს საფარველი მოძღვრისა ლოცვათა; ხოლო შეწყობილად ფერხითა, არა ოდენ დგანან, არამედ ერთი მსა-

ხურებისა მიმართ განუმარტებიეს, და მეორე ლოცვისაგან აქვს შეუძვრელად.

ქ. შორჩილება არს უარის-ყოფა სულისა თვისისა, სრულიად ხორცთა მიერ გამოჩინებული განცხადებულად გინა თუ ესრეთ; შორჩილება არს მოკვდინება ასოთა გონებითა ცხოველითა.

ღ. შორჩილება არს გამოუწვლილველი აღძვრა და ნებისით სიკვდილი, განუკითხველი ცხოვრება, უზრუნველი ჭირი, უწვრთელი ევთისა სიტყვის გება. უშიშობება არს სიკვდილისა, სავალი არს ზღვასა შინა დაუნთქმელი, და მოგზაურობა არს ძილსა შინა.

ყ. შორჩილება საფლავი არს ნებისა და აღდგომა სიმდაბლისა.

ჟ. წრა სიტყვას უგებნ მკვდარი იგი შორჩილებისა მიერი, არცა განარჩევნ კეთილსა, ანუ რომელნი იგი ბოროტად საგონებელ არიან მისსა, რამეთუ რომელსა იგი მოუკვდინებიეს ევთის მოშიშებით სული თვისი, მან მისცეს სიტყვა მისთვის.

ზ. შორჩილება არს განშორება სიმდიდრეთა სიბრძნისა და გულის ხმის ყოფისა, სიმდიდრითა.

ჩ. ღასაბამი მოკვდინებისა ასოთაცა ხორცთასა, და ნებათაცა სულისათა, არს ჭირი და ტკივილი, ხოლო საშვალსა ოდესმე ტკივილი, და ოდესმე უტკივარობა; ხოლო დასასრული სრულიად უტკივარობა, უცნაურობა ტკივილისა. რაჟამს მაშინ ოდენ სტკივინ და ელმინ ცხოველსა მას და სანატრელსა მკვდარსა, ოდეს იხილის თავი თვისი თვისისა ნებისა აღმასრულებელად, რამეთუ ეშინინ ტვირთვად თვისსა სასჯელსა.

ც. ყოველნი რომელნი განმზადებულ ხართ შესვლად ასპარეზსა ამას სულიერისა მის წამებისასა, რაოდენთაცა უღელსა ოფლისასა ქედთა ზედა გნებავს ტვირთვად, რაოდენნიცა წინასწარ ისწრაფით თვისსა ტვირთსა, სხვისა ბეჭთა ზედა დადებად; რომელთაცა ნებისით

ხელით წერილი მონებისა დაწერად გასურის, და მის-  
წილ აზნაურებისა დაწერად თავთა თვისთათვის გნე-  
ბავს, რავდენნიცა ხელთა ზედა სხვათასა ამაღლებულნი  
დიდსა ამას ზღვასა ზედა წიალ-ხვალთ, უწყოდეთ ეგე  
ვითართა მაგათ, ვითარმედ გზასა მოკლესა და ფიცხელ-  
სა გიწყიეს სლვად, რომელსა შინა არა არს საცთური,  
გარნა ერთი რომელსა ჰქვიან თვით რჩულობა, ხოლო  
რომელმან ესე სრულიად უარყოს, და არცა თუ რომე-  
ლი რა კეთილად და სულიერად უჩნდეს, მას ზედა ჰყოს  
თვისი ნება იგი პირველ სვლისა მიწევნულ არს, რამეთუ  
მორჩილება თავისა თვისისა ყოველსავე ზედა ურწმუნო-  
ება არს მისა, ვიდრე აღსასრულადმდე ცხოვრებისა.

7. ჯაჟამს გვეგვულებოდეს ოფლისა მიერ ქედთა  
თვისთა მოდრეკა გულის სიტყვითა სიმდაბლისა და საღ-  
მრთოსა ცხოვრებისათა, მაშინ პირველ შესვლისა ჩვენი-  
სა, უკეთუ იყოს ჩვენ თანა სიბრძნე რამე, და სიმახვი-  
ლე გონებისა გამოვიძიოთ და გამოვიკვლიოთ – და რათა  
ესეცა ვსთქვა: გამოვსცადოთ წინამძღვარი იგი, რომელ-  
სა თანა შევიდოდით, რათა არა მენავესა თანა, ვითარ-  
ცა მენავეთ მოძღვარსა, და სნეულსა თანა, ვითარცა  
მკურნალსა, და ვნებულსა თანა, ვითარცა უვნებელ-  
სა მივიდეთ, და ზღვისა გულსა, ვითარცა ნავთსადგურსა  
შევიდეთ, და ადრე ვპოვოთ დანთქმა.

74. ქოლო შემდგომად შესვლისა ასპარეზსა მას  
ღვთის-მსახურებისა და მორჩილებისასა, ნულარამცა მო-  
ძღვარსა და წინამძღვარსა კეთილისა მის ჩვენისასა, გან-  
ვიკითხავთ რასაცა ზედა ყოვლადვე, დაღაცათუ რამე  
დაკლება ვიხილოთ, მის თანა, ვითარცა კაცისა; თუ  
არა უკეთუ რასაცა ზედა განვიკითხვიდეთ მას, უწყო-  
დეთ ვითარმედ არა რაჲ სარგებელ გვეყოფის მორჩი-  
ლებისა მისგან.

75. ჯერ არს მათდა რომელთა ენებოს წინამ-



77. ჟომელი\*) მორჩილებასა შინა იყოს, იგი თვით ყოფს თავისა თვისისა განჩინებასა. რამეთუ უკეთუ ივთისათვის სრულიად დაემორჩილოს, დადაცათუ მას ესრეთ უჩნდეს თუ არა აღუძრცვია ტვირთი თვისი, არამედ სრულიად განუგდებიეს იგი. უკეთუ კულა ნებასა თვისსა აღასრულებდეს, რომელთამე საქმეთა ზედა დადაცათუ მას ეგონოს თუ აღუძრცვია ტვირთი თვისი, არამედ თვითვე ჰკიდავს იგი. და უფროსდა უკეთუ არა დაეცადოს მოძღვარსა მხილება მისი. უკეთუ კულა დაეცადოს და დაეტეოს იგი უმხილებელად, არა ვუწყი თუ რად ვსთქვა ამას ზედა.

777. ჟომელი\*\*) სიწრფოებით მორჩილობენ ოფლისა მიერ, კეთილსა გზასა ვლენ, რამეთუ არა აღძრვენ მანქანებისა და გამოწვლილვისა მიერ თავთა ზედა თვისთა მანქანებასა ეშმაკისასა.

---

იქმნეს ესე ვითარნი, არამედ ძნელ-არს და ძნად საპოვნელ ესე ვითარი საქმე, და რომელსა ესე ვითარი გულის სიტყვა და საქმე არა მოეგოს, იგი თვინიერ მორჩილებისა ვერ იხილავს პირსა იწთისასა. ჟანუ ჯერ არს რა იწთვისა მცნებათა მორჩილ იქმნას კაცი, და მისწვთეს ესე ვერსა საზომსა. ანუ მოიგოს მოძღვრისა მორჩილება. და მის მრ მიიწიოს იწთისა მორჩილებასა, და თვით მოძღვრის მორჩილება ივთისა მორჩილება არს, რამეთუ მისისა მცნებისათვის მორჩილობს, მორჩილი მოძღვარსა.

\*) თარგმანი. შდაბალი არა სადა დაირწმუნებს თუ კეთილად ვმორჩილობ, არცა თუ მიპოვნისე შენდობა ცოდვათა და ესე ვითარსა მას ჭეშმარიტად უპოვნისე შენდობა. ჟოლო რომელი ამპარტავან იყოს იგი ურჩ-არს და გონებნ თუ კეთილად მორჩილობს და უპოვნისე შენდობა ცოდვათა, ად არა სადა უპოვნისე ესე ვითარსა მას შენდობა.

\*\*) თარგმანი. წამოწვლილვასა მას იტყვის, რაჟამს მოწაფე გამოიწვლილვდეს სიტყვათა მოძღვრისათა, თუ ესე რად მრქვა მე, ანუ მას რასამე რად იტყოდა.

76. ყოვლისა პირველად აღუარნეთ ცოდვანი ჩვენნი კეთილსა მას წინამძღვარსა ჩვენსა ხოლო; და უკეთუ გვიბრძანოს წინაშე ყოველთაცა აღვიარნით, რამეთუ წყლულებანი რაზომცა გამოჩნდებოდინ არა განფიცხნებიან, არამედ განიკურნებიან.

77. შივედ ოდესმე ერთსა მონასტერსა, და ვიხილე მუნ სასჯელი საშინელი ზეთილისა მსაჯულისა და მწყემსისა. რამეთუ რაჟამს იგი მუნ ვიყავ, მოვიდა ვინმე კრებულისაგან ავაზაკთასა მონაზონებად. და ბრძანა მისთვის კეთილმან მან მწყემსმან და მკურნალმან, შვიდ დღე ყოვლითა განსვენებთა განსვენებად, რათა ოდენ ხედვიდეს წესსა მას მონასტრისასა, და შემდგომად შვიდეულისა მის მოუწოდა მწყემსმან მან თვისაგან, და კითხვიდა; უკეთუ სთნავსა მათ თანა ყოფად. და ვითარცა იხილა რამეთუ გულს მოდგინედ აღუთქმიდა; კვალად კითხა საქმეთათვის, რომელნი სოფელსა შინა ექმნეს, და იხილა რად ვითარმედ მოსწრაფებით და მხურვალედ აღუარებდა. კვალად ეტყოდა გამოცდით ვითარმედ მნებავს რათა ყოველთა ძმათა წინაშე აღვიარნე ყოველნი ეგე ცოდვანი.

78. Իოლო მას ჭემმარიტად მოეძულნეს ცოდვანი მისნი და შეურაცხ-ეყო ყოველი სირცხვილი, და ამისთვის შეუორგულებელად აღუთქვა საქმე იგი, და რქვა ვითარმედ უკეთუ გნებავს ქალაქსაცა შინა ალექსანდრისა ვჰსთქვენ, მაშინ უკვე შემოკრიბნა მწყემსმან მან ეკლესიასა, ყოველნივე იგი პირმეტყველნი ცხოვარნი, რიცხვით ორას ოცდა ათნი. და რაჟამს წმიდა იგი ჟამისწირვასა აღასრულებდეს, რამეთუ იყო კვირიაკე დღე იგი და შემდგომად სახარების წარკითხვისა შემოიყვანა განქიქებული იგი უბიწოდ; და მოითრევდეს მას რავდენიმე ძმანი და სცემდეს მას ნელიად; და ხელნი უკუღმართ შეეკრნეს და ძაძა ბანლისა შეემოსა მისდა; და თავსა ზედა



მისსა ესხა ნაცარი, ვიდრეღა ხილვისაგან ოდენ განკვირ-  
დენ ყოველნივე, და ტირილით გოდებდეს, რამეთუ არა-  
ვინ იცოდა რად იგი ჰნებავს მას ყოფად.

ჟ. ჴა ვითარცა მოეახლა ბჭეთა ეკკლესიისათა, ხმა  
უყო ნეტარმან მან და წმიდამან მამამან ხმითა დიდითა  
და რქვა: დეგ მანდა, რამეთუ არა ღირს-ხარ აქა შემოსვ-  
ლად. ხოლო იგი განჰკრთა ხმასა მას ზედა მწყემსისასა,  
რაჟამს იგი ესმა საკურთხეველით; რამეთუ ვითარცა მან  
თვით უკანასკნელ ფიცით გულ სავესე გვყო: ვითარმედ  
ხმა ქუხილისა მეგონა, და არა ხმა კაცისა. და დავარდა  
მეყვსეულად პირსა ზედა შემრწუნებული და შეურვებუ-  
ლი შიშითა, და მდებარე ქვეყანასა ზედა დაალტობდა  
ადგილსა მას ცრემლითა, და უბრძანა კვალად საკვირვე-  
ლმან მან მკურნალმან, რომელმან იგი ყოველსავე შინა  
ცხოვრება მისი იძია და სარკედ ცხოვრებისა და სახედ  
სიმდაბლისა ჭემმარიტისა ჰყო იგი, და რქვა მას მაშინ  
თქმად საქმეთა თვისთა წინაშე ყოველთასა.

ჟჟ. ჟოლო იგი აღიარებდა ძრწოლით ყოველსავე  
თითოეულად საქმეთა განსაკვირვებელთა, არაოდენ ხორ-  
ციელთა ოდენ და ბუნებითთა, არამედ გარემეთაცა ბუ-  
ნებისა, და მწამლველობათა და კაცის კვლათა, და სხვა-  
თა რომელთა არა ჯერ-არს სმენად; და შემდგომად აღსა-  
რებისა, ბრძანა მისი აღკვეცა, და ძმათა თანა შერაცხვაჲ.

ჟჟჟ. ჟოლო მე დამიკვირდა წმიდისა მის სიბრძნე, და  
კვითხევი თვისაგან, თუ რაისათვის ქმნა უცხო იგი სახე.  
ხოლო ჭემმარიტმან მან მკურნალმან მომიგო და მრქვა  
მე; ვითარმედ ორთა სახეთა თვის ვქმენ ესე.

ჟჟჟჟ. ორველად რათა ესე ვითარითა ამით სირცხვი-  
ლითა საუკუნოსა მის სირცხვილისაგან ვიხსნა იგი,  
და ესრეთცა იქმნა რამეთუ არღა აღდგომილ იყო ქვე-  
ყანით, ძმაო იოანე, ვიდრემდის ყოველისავე შენდობა  
ჰპოვა.

კბ. ზა ანუ ურწმუნო იქმნები ამას ზედა, რამეთუ ერთმა მუნ მდგომარეთა ძმათაგანმან მითხრა, ვითარმედ ვხედვედი კაცსა ვისმეს საშინელსა, რომელსა აქვნდა ქარტა და წერილი ხელთა მისთა და კალამი, და ვითარცა იტყოდა იგი ქვემდებარე ცოდვათა თვისთა იგიცა მოუსმიდა კალამსა ქარტასა. მას და აღხოცდა, და სამართლადცა, რამეთუ წერილ არს: *რათჳაჲ აქთუჲიჲ ყუიჲთუჲ იოჲჳ აქჲთის, ზე ყოი შაჳუჲოჲოჲ ყაოჲოჲოჲ აქოთაჲყუჲ ეჲქოჲსეჲ იოჲჳსეჲ.*

კჟ. ჟოლო მეორედ ამისთვის ვჰქმენ ესე, რამეთუ არიან აქა ვიეთნიმე რომელთა ჰქონან აღუარებელნი ცოდვანი, და უჩვენე მათ ესე სახედ, რათა მოვიდენ იგინიცა აღსარებად, რამეთუ თვინიერ აღსარებისა ვერ ვინ მიემთხვევის შენდობასა ცოდვათასა.

კჟჟ. ზა სხვანი მრავალნი საკვირველნი და ხსენებისა ღირსნი საქმენი ვიხილენ მწყემსსა მას და სამწყსოსა თანა, რომელთაგანი უმრავლესი ვისწრაფო საცნაურ ყოფად თქვენდა. რამეთუ დავყავ მუნ არა მცირედი ჟამი, და განვიცდიდი მოქალაქეობასა მათსა, და დამიკვირდა, ვითარ ქვეყანისანი მიმსგავსებულ იყვნენ ზეცისათა. რამეთუ სიყვარულისა საკვრელსა შეეკრნეს იგინი, განუხსნელად, და საკვირველი ესე არს, რომელი ყოვლისავე კადნიერებისა და ცუდად მეტყველებისაგან განშორებულ იყვნეს და მოღვაწეობა მათი იყო ყოვლისა პირველად ამას ზა, რათა არა რას ზედა ყოვლადვე მოწყლან გონება ძმისა, და უკეთუ ვინმე გამოსჩნდის ძმის მოძულედ, ეგე ვითარი იგი მწყემსმან მან წარავლინის განშორებულსა მას მონასტერსა, ვითარცა დასასჯელი, რამეთუ იყო მონასტერი განშორებული შეცოდებულთათვის.

კზ. ზა ოდესმე ძმამან ვინმე წინაშე მისსა, ძმასა ძვირი უზრახა, და მეყვსეულად ბრძანა განძება მისი ყდ წმიდამან მან, და იტყოდა ვდ უჯერო არს რათა იყოს

მონასტერსა შინა ხილული და უხილავი ეშმაკი.

ქი. ღიხილენ მე მათ ღმიდათა თანა განკვირვებულნი და სარგებელითა სავსენი საქმენი, კრებული ივთივ-შეკრებული, და სიყვარულითა შეკრული რომელთა საკვირველი იყო საქმეცა და ხილვაცა, რამეთუ ესრეთ სწვრთიდეს და მწყსიდეს თავთა თვისთა სათნოებათა შინა, რომელთა არცა თუ უხმდა მხილება მამასახლისისა, არამედ თავით თვისით განალვიძებდეს ურთიერთ-არს საღმრთოთა მათ საქმეთა მიმართ, რამეთუ აქვნდეს განწესებულად და განმტკიცებულად წესნი და საქმენი საღმრთონი.

ქიი. ზა უკეთუ არა არნ მუნ მამასახლისი, და იწყის ვინმე ძვირის ზრახვასა, ანუ განკითხვასა, ანუ ცუდად მეტყველებასა წამის-ყოფითა ფარულად მოახსენის მას მეორემან და დააცხვრის, და უკეთუ არა ცნის, ანუ არა უსმინის მეყვსეულად აღდგის წამის მყოფელი იგი და მოიდრიკნის მუხლნი და წარვიდის.

ქი. ღოლო იყო მათდა დაუვიწყებელი და ვსთქვა თუ დაუცხრომელიცა ზრახვა, ხსენება სიკვდილისა სრულიად, და სიტყვა საუკუნოსა სასჯელისა.

ქიი. ზრა დავიდუმო თხრობად თქვენდა, საქმესა მზარეულისა მათისასა, რამეთუ ვხედევდი რა მას, ვითარმედ შეუცვალებელი მჭმუნვარება აქვნდა, და სამარადისო ცრემლი, მსახურებასა მას შინა თვისსა; და ვევედრე რათამცა მითხრა თუ ვინაჲ, ღირს ქმნილ-არს, ესე ვითარსა მას მადლსა; ხოლო ვაიძულე რა მრქვა მე ვითარმედ არაოდეს მომიგონებია თუ კაცთა ვმსახურებ, ანდ იმერთსა, და ყოვლისავე დაყუდებისა, უღირსად მიჩენია თავი ჩემი, და მაქვს ხედვა ესე ამის ცეცხლისა სახსენებელად საუკუნოსა მის ცეცხლისა.

ქიი. სხვა საკვირველი სათნოება მათი ვისმინოთ, რამეთუ არცა თუ ტაბლასა ზედა დასცხრებოდეს საქმეთაგან და ხედვათა სულიერთა, არამედ დაწესებულთა

რადთმე ნიშანითა დაფარულითა, წამის ყოფითა სულიერსა მას ლოცვასა მოახსენებდეს ურთიერთ არს ნეტარნი იგი, და არა ტაბლასა ზედა ოდენ ყოფდეს ამას, ა~დ ყოველსავე შემთხვევასა და შეკრებასა.

*რგ.* შა უკეთუ ვინმე ცთომა რაიმე ქმნის ფრიად ევედრებიედ მას სხვანი, რ~ა მათ მიუშვას მისთვის სიტყვისა ყოფად მამასახლისისა მიმართ, და კანონისა და პატიჟისა მისთვის მოღებად: ამის თვისცა ესე იცოდა მამასახლისმან, და ესე ვითართა მათ კანონსაცა სუბუქსა მისცემდა, და არღარა ეძიებნ ჭეშმარიტად მოქმედსა მას ცთომისასა.

*რდ.* სადა იპოებოდა მათ შორის ცუდად მეტყველებისა, ანუ კადნიერებისა საქმე, და უკეთუ ვინმე მოყვასისა მიმართ ლალვა ყვის, მივიდის მეორედ და მუხლმოდრეკით შეუვრდის, და რისხვა იგი განაქარვის, უკეთუ კულა ჯერეთ ძვირის ხსენებასავე ზედა დადგრომილად იხილნის, მიუთხრის იგი მეორედსა მამასახლისასა, და ესრეთ მან ისწრაფის, რათა დაეგნენ ურთიერთას პირველ მზის დასვლისა. უკეთუ კვალად განფიცებულადვე იხილნის, ანუ ვიდრე დაგებამდე ურთერთას უჭმელობა დადვის, ანუ მონასტერისაგან განასხნის, და არათუ ცუდად რაიმე იმარხვიდეს, და ყოფდეს ესე ვითარსა ამას შვენიერსა კრძალულებასა, არამედ ფრიადსა ნაყოფსა გამოიღებდა, და გამოაჩინებდა ესე მათ შორის.

*რე.* ჯამეთუ მრავალნი გამოჩნდეს მათ წმიდათაგანნი მოღვაწენი და დაფარულთა მცნობელნი, გულის-ხმის მყოფელნი და მდაბალნი, და იხილვებოდა მათ შორის საშინელი და ანგელოსებრივი ხილვა, რამეთუ მოხუცებულნი და მხცოვანნი, ვითარცა ყრმანნი ჩჩვილნი მირბიოდეს მორჩილებისა მიმართ, და სიქადულად დიდად აქვნდა მათ სიმდაბლე.

*რაჟ.* ღიხილენ მე მუნ კაცნი რომელთა უმეტეს ორმეოცდა ათის წლისა აქვნდა მორჩილებასა შინა, რომელთა ვევედრებოდე რათა მითხრან თუ რაჲ ნაყოფი მოუგეს, ეგოდენისა მის შრომისაგან, და რომელთა

მეთქვეს ვითარმედ მიწევნილ არიან უფსკრულსა სიმდაბ-  
ლისასა, რომლისა მიერ ყოველსავე ბრძოლასა გარემიქ-  
ცევენ, და სხვანი სრულსა უღმობელობასა და უტკივრო-  
ბასა, გინებითა შინა და შეურაცხებათა იტყოდეს ქონე-  
ბად.

*რბ.* ჩიხილენ სხვანი მათ კეთილად მოხსენებულთა-  
განნი მხეცთა მათ შინა ონგელოსთა მიმსგავსებულთა,  
სიღრმესა სიწრფოებისა და უმანკოებისასა, და სიბრძნით  
მოპოვნებულისა, და ნებსითისა და ივთივ-წარმატებუ-  
ლისასა მიწევნულად, არათუ პირუტყვებრივისა და უგუ-  
ნურისა რადსამე მსგავსად ცოფთა მათ ბერთა სოფლისა-  
თა, რომელთაცა ცოფად უწოდენ კაცნი, არამედ იყვნეს  
იგინი გარეგან ტკბილ, ბრწყინვალე და სახიერ, და  
სიტყვა და წესი მათი არა მოპოვნებული და გვლარძნი-  
ლი, არამედ მარტივი და მხიარული. რომელი ესე არა  
მრავალთა თანა იპოების, ხოლო შინაგან სულითა, ივთი-  
სა და წინამძღვრისა მათისა მიმართ იყო ყნოსად მათი,  
ვითარცა ყრმათა უმანკოთა, და თვალნი გონებათა მათ-  
თანი მღვიძარე და მტკიცე ეშმაკთა მიმართ და ვნე-  
ბათა.

*რბ.* შამაკლებს მე ჟამი ცხოვრებისა ჩემისა ჰოი წმი-  
დაო მამაო და კრებულსა ივთის-მოყვარეო თხრობად  
სათნოებასა, და ონგელოსთა მიმსგავსებულსა ცხოვრება-  
სა მათ სანატრელთასა, გარნა კეთილ-არს რათა მათთა  
ოფლითა და შრომათაგან შევამკოთ თქვენდა მომართ  
სიტყვა ესე ჩვენი, და შურად ივთის-მოყვარებისა აღვა-  
დგინნეთ, ვიდრელა თვისთა სიტყვათა და სწავლათა მიერ,  
რამეთუ უეჭველად უდარესი უადრესისაგან შეიმკვების.  
ხოლო ამას გევედრები თქვენ, რათა არავინ მოიგონოს  
ტყუვილით რადმე ჩვენ მიერ დაწერილი, რამეთუ მცი-  
რედ მორწმუნეობასა ჩვეულება აქვს განრყენად სარგე-  
ბელისა; ხოლო აწ ვიქცეთ პირველსავე სიტყვასა  
ჩვენსა.

*რბ.* იყო კაცი ვინმე და სახელი მისი ისიდორე  
მთავართაგანი ქალაქისა ალექსანდრიისათა, და მონაზონ

იქმნა იგი პირველ თქმულსა მას მონასტერსა შინა, რომელსა მეცა ვეწიფე მუნ; ხოლო შეიწყნარა იგი მწყემსმან მან ჰმიდამან, და იხილა იგი სიფიცხესა შინა და უღებებასა, და მზვობარ, და მოქადულ და ღონის ძიება ყო ნეტარმან მან სიმარჯვითა კაცობრივითა მანქანებასა ზედა ეშმაკთასა; და რქვა ისიდორეს: უკეთუ გნებავს აღებად უღელი ჴრისტესი ქედსა შენსა ზედა, ყოვლისა პირველად მორჩილებისა მნებავს მოგება შენი. ხოლო მან რქვა მას: ვითარცა რკინა ერჩინ მჭედელსა, ეგრეთ მე, მიმიცემიეს თავი ჩემი მორჩილებად შენდა ჰმიდაო ღვთისაო.

ჴ. ჟოლო ნეტარსა მას სახეცა იგი მის მიერ თქმული ჰსთნდა, და მისცა მეყვსეულად საქმე გამოსაცდელი, რკინის მიმსგავსებულსა მას ისიდორეს და რქვა: მნებავს შენი ძმაო, რათა სდგე კართა თანა მონასტრისათა, და ყოველთავე შემავალთა და განმავალთა მოუდრეკდე მუხლთა და ეტყოდე ლოცვა ყავთ ჩემთვის მამანო, რცოფ ვარ და ნაღვლიანი.

ჴდ. ჟ~ იგი ერჩდა მას. ვითარცა იგი მორჩილ არს ანგელოსი ოფლისა და დაყო რა შვიდი წელი საქმესა მას შინა, და სიღრმესა სიმდაბლისა და ლმობიერებისასა მიიწია, და ინება ნეტარმან მან შემდგომად შვიდეულისა მის წელთასა, და მისისა მის ძლიერად მოთმინებისა ძმათა თანა შერაცხვა მისი და კურთხევისა ღირს ყოფად.

ჟ~ მან მრავალნი აღადგინნა, და მეცა უძლური მწყემსისა მის ვედრებად რათა შეუნდოს მასვე საქმესა შინა ყოფად, და აღსრულებად სრბისა თვისისა. და მოასწავებდა წამის ყოფითა სიტყვისა მისისათა განსლვასა ამის სოფლისაგან, და აღსრულებასა ცხოვრებისა მისისასა, და ეგრეცა იყო.

ჴაშინ დაუტევა იგი მამასახლისმან მასვე საქმესა შინა, და შემდგომად ათისა დღისა მიიცვალა ოფლისა, შეურაცხებისაგან დიდებად, და მეშვიდესა დღესა შემდგო-

მად მიცვალებისა მისისა, მეკარეცა მონასტრისა ოფლისა წარიყვანა, რამეთუ აღეთქვა მისდა ნეტარსა მას, ვითარმედ უკეთუ ვჰპოო კადნიერება ოფლისა მიმართ, განუმორებელ იყო ჩემგან მას საუკუნოსა, და ადრე წარგიყვანო, და ეგრეთცა ყო სასწაულად მისისა მის ურცხვენელისა მორჩილებისა, და ჴრისტეს მიმსგავსებულისა სიმდაბლისა.

ჲუ. ჴვითხე მე დიდსა მას ისიდორეს, ვიდრელა ჯერეთ ჩვენთანა იყო, თუ რაჲ საქმე ეპყრა გონებასა მისსა, ჯდა რა კართა მათ თანა მონასტრისათა, და არა დაფარა სარგებელი იგი კეთილად მოხსენებულმან მან; არამედ მრქვა ვითარმედ დასაბამსა ამას ვიწვრთიდი. ვითარმედ ცოდვათა ჩემთათვის განსყიდულ ვარ, და ამისთვის ჴირითა და შრომითა და სისხლითა ვყოფდი მუხლთა-დრეკასა.

ჲუ აღესრულა რა წელიწადი ერთი შეუწუხებელად იყო გული ჩემი, და მოველოდი ივთისაგან სასყიდელსა შრომისა და მორჩილებისა ჩემისასა, და აღესრულა რა ერთი წელიწადი, სხვა მაქენდა დამტკიცებულად გულსა ჩემსა, ვითარმედ არა ღირს ვარ მონასტერსა შინა ყოფად და ხედვად და ჴრახვად მამათა და მოღებად წმიდათა საიდუმლოთა, და მიხედვად პირსა ვისსამე, და ამისთვის ვჰყოფდი ესრეთ მუხლთ მოდრეკასა შემომავალთა და გამომავალთა, და თვალნი ჩემნი ქვეყანასა ხედვიდეს, და გონება ჩემი განამრავლებდა სიმდაბლესა და ვითხოვდი ყოველთაგან მხურვალითა გულითა ლოცვასა.

ჲუ. ჴჯედი დღესა ერთსა ტაბლასა ამის მოძღვრისა დიდისათანა; და მომაახლა წმიდა პირი მისი ყურსა ჩემსა და მრქვა მე: გნებავსა რათა გიჩვენო მოხუცებულისა და მოდღვენებულისა თანა გონებაჲ სამღრთო? და მე ვითხოვე რათა ყოს ესე, მაშინ მოუწოდა წმიდამან მან მეორისა ტაბლისაგან კაცსა ვისმე, რომლისა სახელი ლავრენტი, რომელსა აქენდა მონაზონებასა შინა ორმოცდა რვა წელი და იყო შემდგომი მღვდელთა უხუცესისა ხუ-

ცესი, და მორავიდა მოუდრიკნა მუხლნი მამასახლისსა, და აკურთხა იგი მამასახლისმან, და ვითარცა აღსდგა არლარა მიუგო, არამედ უტევა იგი ზე დგომად წინაშე ტაბლისა უქმელად, და ესე იყო დაგებასა ოდენ ტაბლისასა, და დაყო ზე მდგომარემან ვიდრე აღკრებადმდე ტაბლისა, და მე მრცხვენოდა პირსა მისსა მიხედვად, რამეთუ იყო იგი ფრიად მოხუცებულნი, ვითარ ოთხმეოცდა ორის წლისა; და ვითარცა აღვსდებით რა ტაბლით წარავლინა იგი მამამან, პირველ მოხსენებულისა მის დიდისა ისიდორეს მიმართ თქმად მისდა ოცდამეათ ცხრამეტისა ფსალმუნისა თავსა წმენით დაუთმე ო. ა.

ქ. მე არა უდებ ვყავ ესე, არამედ ვინებე გამოცხადება ბერისა მის და ვკითხე მას, რასა ზრახვიდა გულსა თვისსა, დგა რა წინაშე ტაბლისა მის, ხოლო მან მრქვა მე: ესრეთ დავიდეგ, და გამოვხატე გონებასა ჩემსა, მწყემსი ვითარცა ჭრისტე, მრავლისა სარწმუნოებისა ჩემისაგან მისა მიმართ. ოა არა მოვიღე გონებასა ჩემსა ყოვლადვე ვითარმედ იგი მიბრძანებს მე არამედ იმერთი. და ამისთვის მამაო იოანე, არა ვითარცა წინაშე ტაბლისა კაცთასა ვსდეგ, არამედ ვითარცა წინაშე საკურთხეველსა ივთისა ლოცვად ივთისა მიმართ, და არა მოვიგონე ყოვლადვე გულის-სიტყვა ბოროტი მწყემსისა მიმართ, სიმრავლისაგან სარწმუნოებისა და სიყვარულისა ჩემისა მისა მიმართ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ სიყვარული ბოროტსა არა იგონებს; და ესე უწყოდე მამაო იოანე, ვითარმედ კაცმან ოდეს თავი თვისი სიწრფოებასა მისცეს ნებსით თვისით, არა პოოს მტერმან მისთანა ადგილი, და არცა ჟამი.

შ. ოვალმან მართალმან, ვითარიც იყო მწყემსი იგი კეთილი ესე ვითარიმე იკონომოსი მოსცა, კაცი მძიდა და მშვიდი, რომელ მცირედ იპოვების ესე ვითარი. ხოლო ერთსა დღესა განრისხნა ამის მოხსენებულისა ზედა მამა იგი დიდი უმიზეზოდ, და ბრძანა განძება მისი ეკკლესიით; ხოლო მე ვსცან ვითარმედ უბრალო



იყო იგი, მიზეზისა მისგან, რომლისათვის ეტყოდა მას მწყემსი, და თვისაგან ვეტყოდი მამასა იკონომოსისათვის ვითარმედ უბრალო არს იგი.

ჲ~ ნეტარმან მან მრქვა მე, ვითარმედ მეცა უწყი მამაო, რომელ უბრალო არს, გარნა ვითარცა არა-ჯერ-არს გამოტაცებად პური პირისაგან ყრმისა მცირისა მშიერისა. ეგრეთვე იზღვინენ სულისაგან მწყემსისა, სულნი მოღვაწეთანი, რომელნი იყვნეს ქვეშე ხელსა მისსა, უკეთუ არა მოსწრაფე იყოს, რათა უძიოს მათ მიზეზი გვირგვინოსნებისა, ყოველსა ჟამსა შინა, რაზომცა იგი შეუძლებდენ თავს-დებად.

ღნუ გინებითა, ანუ ყვედრებითა, ანუ შეურაცხებითა, ანუ კდემითა, რამეთუ სამითა საქმითა დიდითა ავნებს: პირველად რამეთუ დააკლებს მას სასყიდელსა მას, რომელი მიეცემის შერისხვისა მიერ მწყემსისა; მეორედ: რამეთუ ძაღედვა სხვისა სათნოებისაგან. სხვათა სარგებელი და არა ქმნა. მესამედ რომელიცა უფიცხლესი არს ამათსა, ვითარმედ ნუ უკვე, რომელნი იგი აგონებდენ თუ მოთმინე არიან და მტვირთველ და უდებ ყვნეს იგინი მწყემსმან მან. ჟამ რავდენ მე, ვითარცა სათნონი და არა ამხილებდეს, არცა კდემდეს, და ესრეთ წარწყმიდონ მათ სიმშვიდე იგი და მოთმინება, რომელი აქვნდა მათ, რამეთუ დაღაცათუ ქვეყანა კეთილ და ნაყოფიერ და პოხილ იყოს. არამედ მრავალ გზის ნაკლულეგანებამან წყლისა, გინებისა და კდემისამან, აღმოაცენის მის შორის ეკალი და კუროს თავი ზვაობისა და სიძვისა და უშიშოებისა.

თა ესე უწყოდა დიდმან მან მოციქულმან პავლე და ამისთვის მიუწერს ტიმოთეს, ვითარმედ *επισημασε τον κληρικον, οτι ουκ εστιν ομοιος ο λαος, οτι ουκ εστιν ομοιος ο λαος, οτι ουκ εστιν ομοιος ο λαος*. და მე ვარქვ უხუცესსა მას ვითარმედ ნათესავი ესე ჩვენი უძლური არს და მრავალნი მხილებისაგან არა ჭემმარტი-სა, გინა თუ ჭემმარტი-სა და ბრკოლდებიან და სრულიად სამწყსოსაგან განეშორებიან.



მარი ვარ მონაზონებად, და არათუ გულისად მიზმენ ამას, და მე მიცნობიეს განზრახვა მათი და უხუცესისა, და ამისთვის ყოველსავე უტკივარად მოვითმენ. ოა აჰა ესერა ათხუთმეტსა წელსა ამას ვიგონებ, ვითარცა მრქვეს დასაბამსავე შემორად მიყვანებდეს მონასტრად, ვითარმედ გამოსცდიან მათ რომელნი მონაზონ იქმნებოდინ ვიდრე ოცდა ათ წლამდე, და სამართლად ყოფენ მამაო იოანე, რამეთუ ოქრომცა გამოუცდელად არავე სრულ იქმნების.

ოა შემდგომად გამოსვლისა ჩემისა მონასტრისა მისგან დაყო მხნემან მან ზვიროს ორი წელი და მერმე მივიდა ოფლისა, და რქვა მამათა მათ, სულის აღმოსვლისა ჟამსა: ვმადლობ ქრისტესსა, მამანო ჩემნო და მადლიერ ვარ თქვენდაცა, რამეთუ ვინადგან თქვენ გამომცდიდით ცხოვრებისათვის ჩემისა, დავრჩი გამოუცდელად ეშმაკთაგან ათჩვიდმეტსა ამას წელსა. და აღესრულა, ვითარცა რა მარტვილი და დამარხა კეთილმან მან მწყემსმან, ღირსად მუნ დამარხულთა წმიდათა თანა.

ჰჟ. ოავაკლებ მათ რომელთა აქვს შური კეთილთა მიმართ, უკეთუ დავიდუმო სათნოება ოაკედონიოს მთავარ დიაკონისა მის მონასტრისა. ესე ღირსი ქებისა, ევედრა ოდესმე მწყემსსა წინა ორითა დღითა დღესასწაულსა განცხადებისასა, რამცა წარავლინა იგი ქალაქად ალექსანდრიისა სახმრისა რაისათვისმე თვისისა, და აღუთქვა უკუმოსლვაჲ უწინარეს დღესასწაულისა გარდახდისათვის.

ჲოლო ეშმაკმან კეთილის მოძულემან დააყენა მთავარ დიაკონი იგი, და არა უკმოვიდა ვითარ იგი აღუთქვა მამასახლისსა; და შემდგომად დღესასწაულისა დღითა ერთითა მოვიდა მონასტრად; და განაყენა იგი მამასახლისმან პატივისა თვისისაგან, და დაადგინა იგი ადგილსა ახლად მოსრულთასა; ხოლო მთავარ დიაკონმან მან შეიწყნარა ბრძანება მამისა მოთმინებით. ოა სიხარული-

თა შეუწყუხებელად, ვითარდამცა სხვასა ვისმე მოხდიდა პატიჟსა და არა მას, და დაადგრა მას წესსა შინა ორ-მეოც დღე და აღიყვანა იგი კვალად მამასახლისმან პატივისავსე თვისსა; და შემდგომად დღისა ერთისა, ევედრა მამასახლისსა, რათა კვალად აქციოს იგი შეურაცხებასა მასვე პირველსა, და იტყოდა ვითარმედ მიცოდავს ქალაქსა შინა ცოდვა მძიმე, ხოლო უხუცესმან იცოდა, ვითარმედ სიმდაბლისათვის ეძიებდა ამას და ნება სცა წმიდამან მან გულის თქმასა მას მისსა კეთილსა, და ვხედვედი მხცეთა მათ ღირსთა პატივისათა მდგომარედ ჭაბუკთა და ახალ-მოსრულთა თანა, და ევედრებოდა თითოეულსა, რათა ლოცვა ყონ მისთვის, და იტყვენ ვითარმედ სიძვითა ურჩებისათა დავეციო.

ჴოლო მე მითხრა თვისაგან დიდმან მან შაკედონოს თუ რასათვის ინება წესი ესე სიმდაბლისა, და იტყოდა ვითარმედ: არაოდეს სადა ვიხილე თავსა ჩემსა შინა ლხინება ბრძოლათა, და სიტკბოება ნათლისა მის საღმრთოსა, ვითარ ესე ვიხილე დღეთა ამათ შინა.

*ჴბ.* წნგელოსთა არს ყ~დვე არა დაცემა, ხ~ კაცთა არს დაცემა და მეყვსეულად აღდგომა; რავდენ გზისცა მოიწიოს; ხოლო ეშმაკთა არს, შ~დ დაცემისა ყოვლადვე არა აღდგომა.

*ჴქ.* ჴომლისადა\*) იგი რწმუნებულ იყო იკონომოსობა მონასტრისა, იგი მითხრობდა ვითარმედ ჭაბუკ რა ვიყავ მსახურებასა შინა ჯორთასა ვიყოფოდი, და შემემთხვია ბრალი რადმე სულიერი და ცთომა, ხოლო მე მაქვნდა ჩვეულება არა დაფარვად შინაგან ჩემსა გველისა მის, და უჰყარ ბოლოსა მისსა, და გამოუცხადე იგი მკურნალსა. *ჴ~* მან განიღიმა და მიხეთქმა ყვრიმალსა მცირედ,

---

\*) *ქარგმანი.* ჴად იყო ცთომა იგი, გარნა ფარულად ჭამა, რამეთუ ტვირთისა მისგან ჯორთასა რაიმე ეჭამა და აღუარა, და არათუ სიძვასა იტყვის, ვითარცა ვიეთმე უგუნურთა მოიგონეს, თუ არა ვითარმცა ღიმილით იტყოდა სიძვისათ~ს მოძღვარი იგი.

და მრქვა მე: ვიდოდე შვილო მსახურებასავე შენსა, ვითარ იგი იყოფოდი, და ნუ გეშინინ ყოვლადვე. ხოლო მე დავირწმუნე მხურვალითა სარწმუნოებითა, და მცირედთა დღეთა შემდგომად გულსავსე ვიქმენ, ვითარმედ განკურნებულ-ვარ, და ვიდოდი მე მსახურებასავე ჩემსა სიხარულით და ძრწოლით.

*ჟმ.* ყოველსავე წესსა და საქმესა დაბადებულთასა აქვს განყოფილება, და ეგრეთვე კრებულსა შინ მათ ძმათასა იყვნეს განყოფანი საქმეთა და გონებათანი. ამისთვისცა მკურნალმან მან ოდეს შეატყვის ვიეთმე ვიდ მოსვლასა ერის კაცთასა მაჩვენებლობენ: რა ჟამს მოიწიოს ჟამი ესე ვითარი, განაქიქებნ მათ წინაშე მოსრულთა მათ, და კდემით აყვედრებნ და განაწბილებნ, და მსახურებასა შეურაცხსა დაადგინნის. და ეგრე განხადნის იგინი ვიდრემდის: ოდეს იხილნიან ერის კაცნი, ივლტიედ მათგან; და იხილვებოდა საქმე უაღრესი ბუნებისა, რამეთუ ცუდი დიდება განაძებდა თავსა თვისსა, და დაიმაღვოდა კაცთაგან.

*ნ.* ნუ დამაკლებს მე ოღი ლოცვასა მის მამისა სულიერისასა, რამეთუ უწინარეს გამოსვლისა ჩემისა, ადგილისა მისგან წმიდისა, კვირიაკით ერთით: შეისვენა ოფლისა მიერ მეორედმან მის მწყემსისამან, და იყო კაცი ესე საკვირველი, და სახელი მისი შინა, და დაეყო მას მონასტერსა მას შინა ორმოცდაათცხრამეტი წელი, და მსახურებელ-იყო ყოველსავე მსახურებასა. ზა მესამესა დღესა ჩვენ ჟამსა გარდავიხდიდით შესვენებულისა მისთვის წესისაებრ, და ცისკრისა ლოცვასა აღმოუტევა მეყსა შინა სული სუნნელებისა, და აღავსო ადგილი იგი ყოველივე, რომელსა შინა დამარხულ წმიდა იგი მინა. მაშინ ბრძანა მამამან განღებად საფლავისა მის, და ვიხილეთ ვითარმედ ორთავე ფერხთა მისთაგან, ვითარცა ორთა წყაროთაგან გამოსდიოდა ევლოგია.

შაშინ რქვა მამასახლისმან კრებულსა მას, იხილეთ

რამეთუ ოფლნი ფერხთა მისთანი და შრომა მისი შეწირულ-არს წინაშე ივთისა ვითარცა მირონი ჭემმარიტი – და სხვანიცა მრავალნი კეთილნი საქმენი მითხრნეს მათ მამათა მის წმიდის შინასთვის, და იტყოდეს ამასცა, ვითარმედ ოდესმე მამასახლისსა ენება გამოცდა მოთმინებისა მისისა, რომელი იგი მონიჭებულ იყო მისდა ივთისა-მიერ. ოა ვა აღვიდა იგი მამასახლისისა თანა მწუხრსა და თაყვანისცა ქვე დავრდომით, და ითხოვდა, მისგან ლოცვასა, ვითარცა იგი ჩვეულება აქვდა – ხოლო მან უდებ-ყო იგი ქვეყანასა დავრდომილი ვიდრე ცისკრისა რეკადმდე, და მაშინდა აკურთხა იგი; და მაჩვენებელად და უთმინოდ ხადოდა მას, და ესრეთ აღადგინა, რამეთუ იცოდა წმიდამან მან ვითარმედ სიმხნით მოითმენდა, ამისთვის უყო ესე სარგებელად მრავალთა.

ჟოლო მოწაფე მის წმიდისა შინასი მითხრობდა, ვა ვკითხე მას უკეთუ ძილი მოუხდა მას ქვე-მდებარესა მუხლ-მოდრეკილსა წინაშე მამასახლისისა. ხოლო მან მითხრა ვითარმედ ყოველი დავითი დავასრულე მდებარემან ქვეყანასა ზედა.

ჩა. ორა დაუტევებ შემუკობელად გვირგვინსა ამას სიტყვისასა ამითცა სამარაგდოთა, რამეთუ ვიწყე მე ოდესმე სიტყვად დაყუდებისათვის ვიეთმე მათ წმიდათა ბერთაგან, ხოლო მათ მხიარულითა პირითა და კეთილთა სახითა მომიგეს მე ვითარმედ ჩვენ მამაო იოანე, ვინათგან უძლურნი ვართ და ნივთიერნი, საზომისა ჩვენისა შემსგავსებულებიცა ცხოვრება მოვიგეთ, და ვსაჯეთ ესრეთ: რამეთუ საზომისაებრ უძლურებისა ჩვენისა, შევიდეთ ბრძოლასაცა, და უსუბუქესად შევრაცხეთ ბრძოლად კაცთა, რომელნი ოდესმე განრისხნებიან, და ოდესმე დამშვიდდებიან და ნუგეშინის გვცემენ, ვიდრეღა ემ-მაცთა, რომელნი მარადის აღჭურვილ არიან გულის წყრომითა ჩვენზედა.

ჟოლო ერთმან მათ წმიდათაგანმან, რომელსა

აქვანდა ჩემდა მომართი ფრიადი საღმრთოი სიყვარული, და კადნიერება, მრქვა მხიარულად და ტკბილად: ჭი ბრძენო, უკეთუ გაქვს შენ შორის დამტკიცებულად საზომი იგი და საქმე მისი, რომელმან სთქვა ვითარმედ *ყაყოყოყოი ძიანძიძის ენჩიძეძიანოქიყოქიანსე ხიქსანსე ჭქის ქიქის*, უკეთუ მოსრულ არს შენზედა სული წმიდა, და ცვარი სიწმიდისა, ვითარცა მოვიდა ჴალწულისა ქარიამის ზედა. ნა უკეთუ დაუფარავ ძალსა მოთმინებისასა მალლით, მოირტყენ წელნი შენნი, ვა ჴრისტემან იმერთმან არდაგითა მორჩილებისათა, და აღსდეგი სერისაგან დაყუდებისა შენისა, და დაჰბანენ ფერხნი ძმათანი გონებითა მდაბლითა და დაადგინენ მეკარენი ძლიერნი და მღვიძარენი დაუძინებლად, კართა ზედა გონებისა შენისათა, და დაიმჭირე დაუმჭირველი იგი გონება გვამსა შინა, მსახურებასა შინა ძმათასა დაუდგრომელსა.

შოიპოვე დაყუდება გონებითი ხორციითა, დაუდგრომელად მიმომავალითა, მორჩილებასა შინა, იქმენ დაწყნარებულ სულითა შორის ამბოხებათა ერისათა; აღვირახსენ ენასა მოსწრაფესა გულის წყრომად და ცილობად, ბრძოდე ბოროტსა მას მძლავრსა მუცელსა სამეოცდა ათშვიდ გზის დღესა შინა, და შემსჭვალე ძელსა მას ჯვარის-სახედ აღმართებულსა სულისასა, გონება განმტკიცებული გვრდემლის სახედ, რათა იცეს უროებითა და კვერებითა, რა ჟამს იგი იკიცხვოდის, და იყვედრებოდის, იკდემებოდის და იგვემებოდის: და არა დაიხსნებოდის ყოვლადვე, არცა შეიმუსრვოდის, არამედ იყოს იგი გლუ, უკორძო და შეურყეველ.

ღანაგდე შენგან ნება შენი, ვითარცა სამოსელი კიცხვისა; და განშიშვლებული მისგან შევედ ადგილსა მას მოღვაწეებისასა, რომელ იგი მცირედნი იპოვებინ ესრეთ. შეიმოსე ჯაჭვი სარწმუნოებისა, რათა არა დაიხსნებოდის ურწმუნოებისა მიერ, არცა მოიწყლვოდის: დაიჭირე აღვირი სიწმიდისა ორითავე ხელითა შენითა, კად-





*ჩუ.* წიყვნით ოდესმე ლოცვასა შინა მდგომარენი და მიხედნა მწყემსმან მან რომელთამე ძმათა მიმართ, რომელნი ზრახვიდეს ეკკლესიასა შინა, და განაყენა ეკკლესიისაგან შვიდ დღე, და უბრძანა მათ რათა მარადის მუხლსა უდრეკდენ შემომავალთა და გამომავალთა, და საკვირველი ესე იყო, რამეთუ ორნივე მღვდელნი იყვნეს.

*ჩბ.* ორთა ძმასა ვხედევდ ლოცვასა შინა უფროს ყოველთა მხურვალთა გულითა მდგომარედ, და უფროსად დაწყებასა ლოცვისასა ვითარმცა ვიეთმე ზრახვიდა, და ვჰკითხე გულის სიტყვა მისი, ხოლო მან სარგებელისათვის არა დაჰფარა რა, არამედ მრქვა მე: ჩვეულება მაქვს მამაო იოანე, შემოკრებად გულის სიტყვათა და გონებისა, სულისა თანა ჩემისა, პირველსავე დაწყებასა გალობისასა, და ვლალადებ მათდა მიმართ, და მოუწოდ მათ და ვიტყვი: *Մարութիւն տգործիւս որդիւ ծն ցոպործիւս տորաւ Գիւրսցիւս, թղպորս ծն ՈՅիսիւսս խորհիւս!*

*ჩդ.* წიხილე მეჭურჭლე მათი, რამეთუ სარტყელსა ფიცარნი ჩამოეკიდნეს მცირენი ხოლო მე გამოვიძიე და ვსცან ვითარმედ გულის-სიტყვათა-თვისთა წერდა მათ შინა, და მიუპყრის წინაშე მწყემსისა მის, და არათუ იგი ხოლო ყოფდა ამას საქმესა. გარნა სხვანიცა მრავალნი იქმოდეს, რომელნი იყვნეს მუნ, რამეთუ მცნება იყო ესე უხუცესისა.

*ჩე.* ოდესმე მწყემსმან მან ერთი ძმათაგანი, რამეთუ უძრახა ძმასა მისთანა, ვითარმედ ენოანი არსო და მრავლის მეტყველი, და დადგა ძმა იგი გარემოს მონასტრისა შვიდ დღე, და ევედრებოდა რათა შეუნდოს მას, და შეიყვანოს მონასტრადვე. ხოლო ეუწყა მამასახლისსა მას სულთა მოყვარესა, ვითარმედ არა რაჲ უჭამია მას შვიდთა მათ დღეთა ყოვლადვე, მაშინ მიუვლინა მას და რქვა ვითარმედ უკეთუ გნებავს მონასტერსა შინა

ყოფა, დაგადგინო შენ წესსა მონაწულთასა და რა ჟამს იხილა, ვითარმედ სიხარულით შეიწყნარებს, ბრძანა წარყვანება მისი მონასტერსა მას განშორებულსა, სადა იყვნეს რომელნი იგლოვდეს ცოდვათა მათათვის, ხოლო ვინათგან მონასტერი იგი ვახსენე, მნებავეს მცირედ სიტყვა მისთჴსცა.

*ჩხ.* *ყო* ადგილი, რომელი შორვიდა მონასტრისაგან დიდისა, ვითარ ერთ მილიონ, რომლისა სახელი იყო საპყრობილე და არს ადგილი იგი უნუგეშინისცემოდ, არა იხილვების მას შინა კვამლი ყოვლადვე, არცა ღვინო, არცა ზეთი, არცა სხვა რად, თვინიერ პური და უმგბარი მხალი, და მას მონასტერსა შეაყენნის, რომელნი შემდგომად მონაზონებად მოსვლისა დაეცნინან ცოდვასა თითოეული თვისაგან, გინა ორ-ორი ვიდრემდის ღმერთმან გულსავსე ყვის თვითოეულისა-თვის; და დაედგინა მათ ზედა კაცი დიდი სახელით ისაკ, რომელი იგი ასწრაფობნ ლოცვად სამარადისოდ, რომელნიცა მიეცნინან მას, და აქვნდა ბაია, რომელსა მისცემნ მათ, რათა იქმოდინ მას განსადევნელად მოწყინებისა.

ესე არს საქმე და ცხოვრება და მოქალაქობა, რომელნი ჭეშმარიტად *ηδονησθησεν ενωραδω ανησιν εντα* *ἱερουσλημ.*

*ჩქ.* *ქომელსა უკვირდენ ღვაწლნი წმიდათანი – კეთილად იქმს, და რომელი ეშურვებოდის საქმეთა მათთა, აცხოვნებს თავსა თვისსა; ხოლო რომელსა ენებოს თუმცა ერთბაშად ყოველნი საქმენი მათნი წარმართნა, სცთების რამეთუ ვერ შეუძლებს.*

*ჩქ.* *ქაქამს სიტყვათა ზედა კდემისათა გველმოდის, ცოდვანი ჩვენნი მოვიხსენნეთ ვიდრემდის ხედვიდეს ოფალი ჭირსა ჩვენსა, რომელსა თავს-ვიდებთ მისისა სახელისათვის, და აღხოცნეს ხელით წერილნი ბრალთა ჩვენთანი, და გარდააქცინეს საღმობანი იგი დამწველნი გულთა ჩვენთანი სიხარულად, რამეთუ წერილ არს ვი-*

თარმედ სრუხეოთარსე იყსი სერძაყცთე უსართსე იქ-  
 შრსთე, ჩაქეიყრის ექშენი ყინი დესიოყიჩ სსართ-  
 სე იქშსე, ჟამსა თვისსა.

ა. ჩუ დავიწყებ მას, რომელნი იგი რქვა ოფალსა,  
 ვითარმედ ძეოდინი შრუოქინიძე ფრსი შხეოდინი  
 ზე ძორსი, შქსიძე შაშქქრუოზე შხეყსარნი ში, ზე  
 აქსიქსართეჩეჩოქყინსთე, შემდგომად დაცემისა  
 ჩემისა, ღირთეძე ნიშაშაყინი ში.

აე. ჩეტარ არს მის მონაზონისა, რომელმან დაუთ-  
 მოს განსაცდელთა და ვნებათა, ყოველთა დღეთა მისთა  
 ოფლისათვის, რამეთუ მოწამეთა თანა მხიარულ იყოს  
 იგი და წნველოსთა თანა იშვებდეს იგი.

აფ. ჩეტარ არს მის მონაზონისა, რომელსა აქვს თავი  
 თვისი ღირსად ყოველსავე გინებისა და შეურაცხებისა  
 სამარადისოდსა ვიდრე სოფელსა ამას იყოს.

აჟ. ჩეტად არს რომელმან ნება თვისი სრულიად  
 მოაკვდინა, და მისცა თავი თვისი ს~დ ხელთა მოძღვრი-  
 სა მისისათა, რამეთუ მარჯვენით ჯვარცმულისა დადგეს  
 იგი.

აკ. ყოველმან რომელმან განიშოროს და განაგდოს  
 თავისა თვისისაგან მხილება მოძღვრისა, სამართლით გინა  
 უსამართლოდ; ესე ვითარსა მას ცხოვრება თვისი უარ-  
 უყოფია; ხ~ რომელმან მოითმინოს მხილება, ტკივილით  
 გინა უტკივრად, ადრე მიემთხვიოს იგი, ცოდვათა თვის-  
 თა მიტევებასა.

აკ. ოჩვენებდ ოფალსა გონებითა შენითა სარწმუ-  
 ნოებასა მას და სიყვარულსა, რომელი გაქვს მოძღვრისა  
 შენისა მიმართ და შან წავადმან უხილავად გულ სავსე  
 ჰყოს იგი, რათა სარწმუნოებისაებრ და სიყვარულისა  
 შენისა შეგიტკბოს და შეგიყვაროს შენ.

აკ. ჟომელი ყოველსავე გველსა რომელ არიან ვნე-  
 ბანი განაქიქებდეს აღსარებითა, მას მოუგის სარწმუნოე-  
 ბა ჯეროვანი, ხოლო რომელმან დაჰფაროს იგი უგზოთა

შინა შეცთომილარს, და თავსა თვისსა მოიკლავს.

აჟი. ჟომელსა ნებავეს ცნობად საზომსა ძმათ-მოყვარებისა მისისასა გულის ხმა ყოფდინ კეთილად, და მაშინ სცნას, რაჟამს იხილოს გული თვისი ჭეშმარიტად მგლოვარე, ცთომასა ზნა ძმისასა, და მხიარული წარმართებასა ზედა და კეთილსა მისსა.

აზ. ყოველსა რომელსა უნდეს დამტკიცება სიტყვისა თვისისა, დაღათუ ჭეშმარიტსა იტყოდის უწყოდენ ვითარმედ. ვნებულ და სნეულცა არს მტერისაგან სენითა საეშმაკოთა; და უკეთუ სწორთა თვისთა მიმართ ყოფდეს ამას, ნუ უკვე განიკურნოს იგი უხუცესთა შერისხვითა; უკეთუ კულა უხუცესთა და სულიერთა მიმართ იქმოდის ესრეთი იგი კაცთაგან უკურნებელ არს.

აჟი. ჟომელი სიტყვათა ზედა არა მორჩილ იყოს, საცნაურ არს ვითარმედ, არცა საქმესა ზედა მორჩილ არს, რამეთუ რომელი მცირესა ზედა ურწმუნო იყოს, მრავალსაცა ზნა ურწმუნო არს, და ცუდად შვრების და არა რას მიიღებს მორჩილებისაგან თვისისა, გარნა სასჯელსა.

აჟი. ჟომელმან სვინიდისი თვისი წმიდა-ჰყო მორჩილებასა შინა მამისა სულიერისასა, უწყებულ იყავნ ვნდ ხედვიდეს იგი სიკვდილსა ვითარცა ძილსა, და უფროსდა ვითარცა ცხოვრებასა, და დაუდგამნ ფერხნი გზასა სასუფეველისასა; და უწყებულ იყავნ ჭეშმარიტად ვითარმედ: ეგე ვითარი არა მიეცეს განკითხვასა, ანდ მოძღვარმან მისმან მისცეს სიტყვა მისთვის.

აჟი. ყოველმან რომელმან მოიღოს უიძულებელად მოძღვრისაგან საქმე, და შერადმე-ემთხვიოს მას შინა ვნება; ნუ მას აბრალოზნ, რომელმან მისცა მას საჭურველი იგი, არამედ თავსა თვისსა, რომელმან ბოროტად იხმარა; რამეთუ მან მოსცა საჭურველი ბრძოლად მტერისა, ხოლო მან დაისვა გულსა თვისსა; უკეთუ კულა იძულებულ იქმნა და აიძულა თავი თვისი ოფლისათვის, და აიძულა უძლურება თვისი და უთხრა პირველივე მოძღვარსა თვის-

სა, მინდობილიყავნ რამეთუ დაღაცათუ დაეცეს, არავე მოკვდეს.

საჲ. ჳამავიწყდა ჟი საყვარელნო, დაგებად თქვენდა ესეცა ჰური სათნოებისა. რამეთუ ვიხილენ მორჩილნი, რომელნი თვით შინაგან გინებითა და შეურაცხებითა შეიმუსრვიდეს თავთა თვისთა, რათა განმზადებულ იყვნენ ესრეთ არა აღშფოთებად, რაჟამს გარეგან მოიწოდინ მათ ზედა გინებანი და შეურაცხებანი.

საჲ. ყოველსა რომელსა აქვდეს დამტკიცებულად, ვითარმედ აღსარება თანა აც, ექმნას მას ესე გულის-სიტყვა აღვირ ყოვლისავე ცოდვისავე მიმართ; რამეთუ რომელსა აღსარებისა გულის სიტყვა არა აქვდეს, ეგე ვითარი უშიშად ცოდავს, ვითარცა ბნელსა შინა.

საჲ. ჴაჟამს კიდე ვიყვნეთ მოძღვრისაგან ჩვენისა, და პირსა მისსა გამოვხატვიდეთ წინაშე ჩვენსა, და ესრეთ ვიგონებდეთ ვითარმცა ჩვენთანა იყო, და ყოვლისაგანვე სიტყვისა და ზრახვისა, ანუ ჴამადისა, ანუ ძილისა რომელსა ჳა ვიცოდით, ვითარმედ მას არა ნებავს განვეშორებოდით მაშინ გვიცნობიეს მორჩილება უზაკველი.

საჲ. შოწაფე მზაკვარი იხარებნ კიდე ყოფასა მოძღვრისა თვისისასა, ხოლო რომელი შვილი არს ჴემმართი მას დაჴირვება უჩნ, კიდე ჴყოფად მოძღვრისა თვისისაგან.

საჲ. Ⴀვითხე ოდესმე გამოცდილთაგანსა ვისმე და ვარქვ მას: ვითარ მოგიგიეს მორჩილებასა შინა სიმდაბლე მარადის თანა მკვიდრად. ხოლო მან მომიგო და მრქვა მე; ვითარმედ დაღაცათუ მკვდარნი აღადგინნეს ჴემმართიმან მან მორჩილმან, გინათუ ცრემლნი მოიპოვნეს, ანუ ბრძოლათაგან განთავისუფლდეს, ესრეთ იგონებს, ვითარმედ ლოცვითა მოძღვრისა თვისისათა, მოეცა მას მაღლი იგი; და ესრეთ დაადგრების იგი უცხოდ ამოსა მის ჳვაობისაგან, რამეთუ ვითარმცა აღზვავნა მას ჳედა, რომელსა იტყოდის თუ არა მისგან ქმნილ არს,

არამედ სხვისა შეწევნითა.

*ააჟ.* ორა უწყის დაყუდებასა შინა მყოფმან პირველ თქმულნი ესე, რამეთუ მიზეზნი მრავალნი ქონან მისსა მიმართ ზვაობასა დარწმუნებად, ვითარმედ თვისითა მოსწრაფებითა იქმს რასაცა იქმს.

*ააზ.* ქომელი\*) მორჩილებასა შინა იყოს, უკეთუ ორთა ბოროტთა მძლე ექმნეს ეგოს იგი მიერიდგან მონა ჭრისტესა მორჩილ საუკუნოდ.

*ააი.* ომძაკი ფ~დ ისწრაფის ბრძოლად მორჩილებასა შ~ა მყოფთა, და ოდესმე ოცნებითა შეაგინებნ და გულ-ფიცხელ ყვნის, და აღძრავნ მათ თვინიერ ჩვეულებისა შფოთებად, და განუხმნის ცრემლნი და უნაყოფო ყვნის; ნაყროვან და ლოცვასა შინა უდებ, მოძილ და დაბნელე-ბულ, რათამცა თქვეს თუ არა რაჲ სარგებელ მეყოფის ჩვენ მორჩილებისაგან, ა~დ უფროსად მართლ უკუნ ქცე-ულ ვართ. და ესრეთმცა გამოიტაცნა მოღვაწებისა მის-გან, და არა შეუნდობს მათ გულის ხმის ყოფად: ვ~დ მრავალ გზის მიღება ჩვენგან საქმეთა მათ, რ~ლნი ჩ~ნ კეთილად გვიჩნდიან სიმდაბლისა მომატყვევებელ-იქმნის ჩვენდა განგებითა ღვთისათა.

*ააიი.* ჩარიდევნა მრავალ გზის მოთმინებისა მიერ ვიეთგანმე ესე ეშმაკი, და მერმე ვიდრელა იგი ამას იტყ-ვინ, სხვა ქადაგი უკეთურებისა მოიწიის, და სხვითა სა-ხითა ისწრაფინ ცთუნებად.

*აი.* ოიხილენ ვიეთნიმე მორჩილებასა შ~ა, რ~ლნი იქმნენს ლოცვითა მოძღვრისათა ღმობიერ სახიერ, მმარხ-ველ, მშვიდ და მოსწრაფე უბრძოლველ, და მხურვალე; რ~ლთა მოუხდეს ეშმაკნი და ეტყოდეს: ვითარმედ შემძ-ლებელ ხართ აწ დაყუდებად, და ს~დ მოღვაწებად და უვნებელობად მიწევნად დაყუდებითა. და შესცდეს რაჲ, და განვიდეს ნავთსადგურისაგან და შევიდეს გულად ზღვისა, აღსდგეს მათზედა ღელვანი სასტიკნი და სიმძაფ-რე ქართა, და არა პოვეს მენავეთ მოძღვარი, და წარსწყმ-

\* თარგმანი. ურჩებასა იტყვის და ამპარტავნებასა.



მის და მკურნალისა ფერხთა, ვითარცა ჴრისტესთა ცრემლითა დაალტობდი, რამეთუ ესე ჩვეულება აქვს ეშმაკთა, რათამცა მოგვაგნოს, ანუ ყოვლადვე არა აღსარება, ანუ რათამცა სხვათა გარდავსწამენით ცოდვანი ჩვენნი, ანუ რათამცა ვიეთმე ვაბრალობდით ბრალთა ჩვენთათვის. ვითარმცა იგინი ქმნილ იყვნეს მიზეზ ჩვენდა.

აჟ. ოკეთუ ყოველი საქმე ჩვეულებასა შეუდგს, საცნაურ არს ვითარმედ უფროსად კეთილიცა ჩვეულებასავე შეუდგს, რამეთუ დიდი შეწევნა აქვს მას ივთისაგან.

აზ. ოკეთუ დაწყებასა მონაზონებისა შენისასა მისცე თავი თვისი მხურვალედ გინებათა და შეურაცხებათა მოთმინებასა, არა მრავალ ჟამ იყოს შვილო, შრომა შენი დამკვიდრებად შენ შს სანატრელსა მას განსვენებასა, და უკანასკნელ მოწამეთა თანა დაემკვიდროს მორჩილებითა შენითა.

აი. ოღუარენ მოძღვარსა შენსა, ვითარცა იოსა სახითა სიმდაბლისათა ცოდვანი შენნი. რამეთუ ვიხილენ დასჯილნი რომელთა სახითა საწყალობელითა და აღსარებითა და ვედრებითა სიფიცხე მსაჯულისა მოდრიკეს მოწყალებად, და გულის წყრომა მისი შესცვალეს სიტკბოებად; და ამისთვის ოთანე ნათლისმცემელ ეძიებდა აღსარებასა პირველ ნათლისღებისა მისსა მიმავალთაგან, არათუ მას რადმე უხმდა იგი, ანდ ცხოვრებასა მათსა ეძიებდა.

აჟ. ნუ გიკვირს უკეთუ შდ აღსარებისაგა, გვეწყვებოდინ ბრძოლანი ვნებათანი, რამეთუ უადვილეს არს სიძვისა ეშმაკისა და ბრძოლა, ვიდრე ამპარტავანებისა ბოროტისა.

ჟ. ნუ სცთები, ნუცა აღიტაცები ამბავთა მიმართ განშორებულთა და მოძღვართასა, რამეთუ შენ საყვარე-



ლო, სტეფანეს გზასა ხვალ პირველ მოწამისასა, მორჩი-  
ლებითა შენითა.

44. ნუ ილტვი მორჩილებისაგან, დაღათუ დაცემა  
შეგემთხვიოს, რამეთუ თვით მას ჟამსა გიხმს მკურნალი.

45. ჟომელსა ყვა შემწე და შეუბრკმა ფერხი, საც-  
ნაურ არს ვითარმედ ესე ვითარსა უკეთუმცა შემწე არა  
ქონებოდა. არა შებრკმა ოდენ, არამედ სიკვდილი-  
ცა ეგულვებოდა.

46. ჯაჟამს შეგემთხვიოს დაცემა, მაშინა მოიწივნიან  
ემმაკნი ვითარმცა მიზეზი ეპოვნა, და დაყუდებასა გვაწ-  
ვევდიან, ხოლო გულის სიტყვა მათი ესე არიან, რათამ-  
ცა წყლულება დაცემასა ჩვენსა ზედა შესძინეს.

47. ჯაჟამს მკურნალი ჩვენი იტყოდის, ვითარმედ  
თუ ვერ ძალ-მიძს განკურნება შენი, მაშინ ჭირისა მის-  
გან ჯერ-არს, რა სხვა მკურნალი მოვიძიოთ, რამეთუ  
თვინიერ მკურნალისა მცირედნი განიკურნებიან.

48. თინმე არს რომელმან სიტყვა მიგოს ამას ზედა,  
რომელსა ვიტყვით მტკიცედ და განჩინებით; ვითარმედ,  
ყოველი ნავი რომელსა ჰყვა მენავეთ-მოძღვარი და ღელ-  
ვათა შთავარდა უეჭველად უკეთუმცა მენავეთ მოძღვა-  
რი არა ქონებოდა, სრულიადცა წარწყმედულ იყო იგი.

49. შორჩილებისაგან\*) – სიმდაბლე; და სიმდაბლისაგან  
უვნებელობა, ვითარცა თქმულ არს, ვითარმედ *საშბწყ-  
რაღსა ყ~ე ჩოღჩსა შაშუსღჩინე ჩოღჩი ოჟღოშჩინ, ზე  
შუსღჩინ ჩოღჩი შეღჟოთე ჩოღჩოთეღჩინ*, და ვინათგან ესრეთ  
არს, არა რად სადმე დამაყენებელ არს თქმად, ვითარმედ  
მორჩილებისაგან უვნებელობა, რომლისა მიერ იქმნების

---

\*) წარგმანი. შორჩილება დასაბამი არს სიმდაბლისა, რამეთუ,  
რომელმან არა იცნას თავი თვისი ვითარმედ ნაკლულევან არს სათნოება-  
თაგან, მორჩილებად სხვისა ვერ ძალ უცს, და ესრეთ ცნობაჲ თვისისა  
უძლურებისა სულსა მოიყვანებს მორჩილებად. ხოლო მორჩილება შიშითა  
ღვთისათა შეპყრობილი შობს სიმდაბლესა და სიმდაბლე განსდევნის სი-  
მაღლესა. ხოლო ესე ესრეთ იქმნების კაცი სახლ-უვნებელობისა.

აღსასრული სიმდაბლისა; რამეთუ იქმნების მორჩილება, დასაბამ სიმდაბლისა, ვითარცა იგი მოსე დასაბამი იყო სჯულისა, ხოლო ასული იგი დედასა თვისსა სრულ ყოფს, ვითარცა მარია<sup>\*</sup>) სრულ-ჰყოფდა შესაკრებელსა.

ჟბ. *Բանჯვასა დიდსა ღირს არიან ოფლისა მიერ სნეულნი, რომელნი მივიდეს მკურნალისა თანა, და გამოსცადეს და სცნეს მისგან ფრიადი სარგებელი სენტა მათთა, და შემდგომად ამისა, ვიდრელა არა სრულიად განკურნებულ იყვნეს, დაუტევეს იგი, და სხვასა მკურნალსა ეძიებდეს.*

ჟქ. *Իუ ილტვი საყვარელო ხელთა მათთაგან რომელთა შეგწირეს ოფლისა; რამეთუ არა ირცხვი ესრეთ სხვისაგან, ვითარ ირცხვი მისგან ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა.*

ჟღ. *Շრა უღირს განშორებად გამოუცდელსა სიმრავლისაგან, და მარტოებით შესვლად, ბრძოლასა შინა წინააღმდეგომთასა; და ესრეთვე უჯერო არს პირველ გამოცდისა და კეთილად დამწყისისა, ვნებათა სულისათა შესლვად დაყუდებასა; რამეთუ პირველი იგი ხორციელად, ხოლო მეორე იგი – სულიერად მოკვდეს.*

ჟი. *Իტყვის წერილი ვითარმედ *սխապիս Էսիր* *սսիր*, *սქսիას* *դիսირ*, ესე იგი არს ვითარმედ, რათა იყოს შვილი მამასა თანა-მბრძოლად წინააღმდეგომთა, ძალითა სულისა წმიდისათა.*

ჟკ. *Գრმა რომელი ილტვოდის – წინამძღვრისაგან თვისისა; და სამწყსო – მწყემსისაგან; და შეცთომილი – მასწავლელისაგან; და ყრმა – მამისაგან თვისისა; და სნეული – მკურნალისაგან; და ნავი – მენავეთ მოძღვრისაგან, – მოიწიოს ამათ ყოველთა ზედა წარწყმედა, და რომელი ეწყვებოდის ეშმაკთა თვინიერ შემწისა, ეგე ვითარი მოიკლას მათგან.*

ჟლ. *Ժომელი სამკურნალოდ მივლენან კურნებად, ეგე ვითართა აღსუბუქება ტკივილთა აქვნიდინ, სასწაუ-*

---

\* მარიამ დაჲ მოსესი.

ლად კურნებისა; ხოლო რომელნი მორჩილებასა შევლენ; მათ სიმდაბლე აქენდინ სასწაულად, ვნებათა განხსნისა მათისა; რამეთუ ხორციელთა სნეულთა, ტკივილთა აღსუბუქება; ხოლო სულიერთა – სიმდაბლისა განმრავლება არს სასწაული სიმრთელისა.

*ძიქ.* სვინდისი შენი იყავნ სარკე მორჩილებისა შენისა, და ხმა არს ესე.

*ძიძ.* რომელნი დაყუდებასა შინა მორჩილებენ მამასა სულიერსა ეგე ვითარ ეშმაკნი ოდენ ბრძვანან; ხოლო რომელნი კრებულსა შინა იყვენენ, ეგე ვითართა ეშმაკნი და კაცნი ეწყვებიან ბრძოლად; და პირველნი იგი სამარადისოდ ხედვითა მოძღვრისა მათისათა, უაღრესადცა დაიცვენ მცნებათა მისთა; ხოლო მეორენი იგი ოდესვე მოძღვრისა მათისა კიდევოფითა უდებ ყოფენ მცირედ მცნებათა მისთა; გარნა უკეთუ მოსწრაფენი იყვენენ და მოთმინენი აღასრულებენ დაკლებულსა მას მორჩილებითა მათისასა მოთმინებითა ჭირითათა და მოიღებენ გვირგვინსა ორ წილად.

*ძიქ.* ყოვლითავე დაცვითა დავიცვნეთ თავნი ჩვენნი, რამეთუ ნავთსაყუდელი სავსე ნავებითა ადვილად შემძლებელ-არს შემუსრვად ნავთა მათ, და უფროსად გულის წყრომისა მიერ და კადნიერებისა, ვითარცა ჭიისა მიერ შესჭამს ფარულად ძელებსა მათსა და განხვრეტს.

*ძიქ.* ჴუმილი სრული და უმეცრება მოვიპოოთ წინაშე მოძღვრისა ჩვენისა, რათუ კაცი მდუმარე შვილი არს სიბრძნისა, და მეცნიერება პოვა ფრიადი.

*ძიხ.* ჴიხილენ ვიეთნიმე მორჩილებასა შინა, რომელთა მიიტაცეს სიტყვა პირისაგან მოძღვრისა მათისა, და უსასო ვიქმენ მორჩილებისაგან მათისა, რამეთუ ამპარტავანება ვიხილე მოპოვნებული მორჩილებისაგან მათისა, და არა სიმდაბლე.

*ძიქ.* ყოვლითა სიფრთხილითა განვიფრთხოთ, და ყოვლითა კრძალულებითა ვეკრძალნეთ, და ყოვლითა

გულის-ხმის-ყოფითა გულის-ხმა ვყვნეთ, თუ ოდეს ჯერ-  
არს საქმისა პატივ-ცემად უფროს ლოცვისა, რომელნი  
ესე ვიყვნეთ მორჩილებასა შინა, რამეთუ ესე არა ყოველ-  
სა ჟამსა გვიღირს ყოფად.

ძით. უკრძალე თავსა შენსა რაჟამს იყო ძმათა თანა,  
და ნუ ისწრაფი, რათამცა აჩვენე თუ საქმესა რასმე უმე-  
ტეს მათსა ჰყოფ; რამეთუ ორთა ბოროტთა იქმ უკეთუ  
ესე ჰქმნა: ერთად რამეთუ ავნებ მათ, მაჩვენებლობითა  
შენითა და მოსწყლავ გულთა მათთა, ხოლო მეორედ  
მოატყვებ თავსა შენსა ამპარტავანებასა უეჭველად.

ძი7. უყავ\*) მოსწრაფე სულითა და ხორცითა, ნუ ინე-  
ბებ ჩვენებად სხვათა, ნუცა სახითა, ნუცა სიტყვითა, და  
ამასცა მაშინ იქმოდე უკეთუ ოდეს დაცხრომილ იყო  
განკითხვისაგან და შეურაცხებისა მოყვისისა, უკეთუ კუ-  
ლა მოსწრაფე ხარ განკითხვისა მიმართ, იყავ მსგავს ძმა-  
თა შენთა, და ნუ უხდები მათ ამპარტავანებითა.

ძი7. თიხილე მოწაფე გამოუცდელი, იქადოდა წი-  
ნაშე კაცთა სიკეთესა მოძღვრისა თვისისასა, და გონებ-  
და თუ ამითმცა მიიღო ქება, და მოიგო უფროსად შეუ-  
რაცხება, რამეთუ ყოველთა რქვეს მას, და ვითარ ხემან  
კეთილმან გამოიღო რტო უნაყოფოი.

ძი7. წრათუ რაჟამს მამისაგან ჩვენისა თავს ვიდებ-  
დეთ კდემასა და შეურაცხებასა მაშინ მოთმინე ვიწოდ-  
ნეთ, არამედ რაჟამს ყოველთა კაცთა მიერ თავს ვიდებდეთ,

---

\*) თარგმანი. შესაკრებელთა შორის მყოფთათვის იტყვის ამას ვითარმედ უკე-  
თუ მდაბალი იყო, იქმოდე საქმეთა სულიერთა გულსა შინა შენსა, და ნუცა  
სიტყვითა, და ნუცა სახითა გამოაჩინებ მას. ხოლო საქმესა ლოცვასა იტყვის  
გონებასა შინა დანერგულსა; უკეთუ კულა მაბრალეებელ იყო სხვათა, რომელნი  
უდებად იყვნენ, მაშა უმჯობეს არს რათა არცა გაქვდენ საქმენი იგი, არცა აბ-  
რალობდენ ძმათა მიმართ, არამედ რათა იყო მსგავს მათთა ვიდრელა ამპარტავან  
და აღზვავებულ მცირეთა მათ საქმეთა ზედა შენთა.

რამეთუ მამისაგან ჩვენისა გვრცხვენისცა და თანა-მდე-  
ბადცა გვაც მოთმინება.

*ძოუ.* სვემდი წადიერებით კდემასა, ვითარცა წყალ-  
სა ცხოველსა ყოვლისაგანვე კაცისა, რომელსა ენებოს  
შესმად შენდა წამალი იგი განმწმედელი ბილწებათა, და  
მაშინ გამობრწყინდეს სიღრმე სიწმიდისა სულსა შენსა,  
და ნათელი ღვთისა არა მოაკლდეს გულსა შენსა.

*ძოზ.* ჟუ ვინ იქადის თავით თვისით, რაჟამს იხილოს  
სიმრავლე ძმათა, განსვენებულად, და მსახურებასა ზედა მის-  
სა, რამეთუ მპარავთა გარეშეუცავთ ჩვენ, და ისწრაფიან  
წარწყმედად შრომათა და მოსწრაფებათა ჩვენთა.

*ძოი.* ესენებით მოიხსენებდ, რომელმან იგი თქვა ვითარ-  
მედ *ძიუდჰს ჰჰრიუთ ყაიიიუთ ყხიიიიყყიუთ თქიიიიზ,*  
*ძეყი სთქიიუთ, იუთიძიძიძ შანიიი იუიიუთ აკუძიიი,* *ძიძიძ-*  
*იუ თიიი იუიიიიუი ყაიიიი იუიიიუთ,* ხოლო სასჯელი  
შრომათა ჩვენთა – ჟამსა განსვლისასა სოფლით გვეუწყოს.

*ძოიუ.* შონასტერი ცად არს ქვეყანასა ზედა, ამისთ-  
ვის ესრეთ ვეყნეთ გულნი ჩვენნი, ვა ანგელოსნი, რო-  
მელნი მსახურებენ ოსა.

*ძიუზ.* ოდესმე გულნი ამას ცასა შინა მყოფთანი იქმ-  
ნებიან ვითარცა ქვანი, და ოდესმე კვალად ლმოზიერე-  
ბითა ნუგეშინის იცემებიან, რათა ამპარტავანებასაცა გა-  
ნერნენ და შრომათაცა მათთა ნუგეშინის ეცეს ცრემლთა  
მიერ.

*ძიუქ.* ცეცხლმან მცირემან მოალბოს ცვილი, და შეუ-  
რაცხებამან მცირემან, მრავალ გზის ყოველივე სიფიცხე  
და ულმოზელობა გულისა მეყსა შინა მოალბის, და აღ-  
ხოცის და დაატკბის.

*ძიუთ.* ღიხილენ ოდესმე ორნი, რომელნი დაიმალე-  
ბოდენ დაფარულ ადგილში და ისმენდენ სულთქმათა  
და შრომათა მოღვაწეთასა, არამედ ერთი იგი ამისთვის  
იქმოდა, რათა ემსგავსოს მათ; ხოლო მეორე რათა ოდეს  
ჟამი პოსს ეკიცხვიდეს, და გამოაცხადოს იგი წინაშე

მისსა, და მუშაკი იგი ივთისა კეთილისა მისგან საქმისა დააბრკოლოს.

*ძღ.* ნუ იქმნები მდუმარე პირუტყვებრ, სადა იგი არა ჯერ იყოს დუმილი, და მოატყვებდე სხვათა შფოთსა და განმწარებასა, და ნუმცა გვიანობ სახითა და სლვითა, რაჟამს გიბრძანებდენ სწრაფასა უკეთუ არა მაშა ცოფთა და უგუნურთა უძვირეს ქმნილ ხარ.

*ძღჟ.* ვიხილენ ესე ვითარნი, ვითარცა იტყვის იობ სულნი ადვსებულნი საღმობითა და დახსნილობითა თვისითა და მრავალ გზის ნებსითცა იჩემებდიან, და დამიკვირდა ვითარ მრავალ ღონე არს უკეთურება, და მრავალ ფერ.

*ძღყ.* ჟომელი კრებულსა შორის იყოს, ვერ შემძლებელ არს ესრეთ შეძინებად გალობისაგან, ვითარ შეიმენს ლოცვისაგან თვისისა, რომელსა ადასრულებდეს სენაკსა შინა თვისსა, რამეთუ შრომაცა უმეტესი აქვს ლოცვასა, ვიდრეღა გალობასა.

*ძღრ.* ებრძოდე დაუცადებელად, შენდავე შემოკრებად გონებისა განზნეულისა, და ნუ სასოწარკვეთილ ხარ, დაღაცათუ ფრიად მიმოიტაცებოდის გონება, რომელი არა ეძიებს მორჩილებასა შინა მყოფთაგან ლოცვასა, წარუტაცებელითა გონებითა.

*ძღბ.* ნუ მწუხარე იქნები რაჟამს მიიტაცოს გონება შენი, არამედ გიხაროდენ რაჟამს მოაქციო იგი შენდავე, რამეთუ ანგელოსთა ოდენ არს სრულიად წარუტყვენელობა.

*ძღგ.* ჟომელსა დაურწმუნებია თავისა თვისისდა არა განშორებად ადგილისა მისგან მოღუაწებისა თვისისა, ვიდრე უკანასკნელად დღედმდე მისა, დაღაცათუ შეემთხვიოს მას ათას გზის სიკვდილი სულისა და ხორცთა, არა შეემთხვიოს მას ადვილად, ესე ვითარი რაიმე; რამეთუ მარადის დაცემათა და დაბრკოლებათა, მიზეზ-ორგულეება გულისა და ურწმუნოება ადგილისა იქმნების.

*ძღუ.* ჟომელნი მოსწრაფე არიან ადგილითი ადგილად მიმოსვლასა, ეგე ვითარნი ყოველსავე ზედა გამოუცდელ არიან, რამეთუ არა რა იქმს ესრეთ უნაყოფოებასა, ვითარ უთმინოება.

*ძღუ.* ოკეთუ უცნაურსა სამკურნალოსა მიხვიდე, ემსგავსე მოგზაურს და ფარულად გამოსცადე ყოველივე საქმე მუნ მყოფი და რაჟამს შეატყვა ხელოანთაგანცა და მსახურთაგანცა სარგებელი სენთა შენთა და წყლულებათა მათ სულიათა, მაშინ წარმოდეგ, და განყიდე თავი შენი ოქროდ სიმდაბლისა, და ქარტითა მორჩილებისათა და წერილთა მსახურებისათა, და მოწამებითა ანგელოსათათა.

*ძღუ.* ოანხეთქით განხეთქე, მას ჟამსა ხელით წერილი იგი ნებისა შენისა, რომელი იგი უკუნ აქცევს და დახსნის სასყიდელსა მას, რომლითა მოგივიდა ჴრისტემან უფალმან.

*ძღუ.* საფლავ შენდა იყავნ პირველ დაფლვისა ადგილი რომელსა დაემკვიდრო, რამეთუ არავინ გამოვალს საფლავისაგან, პირველ ყოველთა ადდგომისა; და უკეთუმცა ვიეთნიმე გამოვიდეს იხილე, რამეთუ მოკვდეს, რომლისათვის ვევედრნეთ ოფალსა, რათა არა მოიწიოს ესე ჩვენზედა.

*ძღუ.* ჟაჟამს საქმენი მსახურებისანი მძიმე იყვენენ, მაშინ უდებნი ლოცვასა აღირჩევენ, და ოდეს მსახურებანი სუბუქ იყვენენ, მაშინ ილტვინ იგინი ლოცვისაგან, ვითარცა ცეცხლისაგან.

*ძღუ.* ორს რომელი იქმნ საქმესა რასმე და თხოვისათვის და განსვენებისა, სხვისა ძმისა დაუტევის იგი; და სხვამან მცონარებითა თვისითა დაუტევის იგი; და სხვამან არა დაუტევის იგი ამპარტავანებითა თვისითა: და სხვამან არა დაუტევის მოსწრაფებისა და გულსმოდგინებისა მისისაგან.

*ძღუ.* ოკეთუ მიხვიდე ადგილსა რომელსამე, და გამოუწვლილველად აღიტაცე და შეხვედ მუნ, და ჰყავ

აღთქმად, და მერმე ხედავ მას შინა საქმეთა წარმწყმედელთა სულისათა და უკურნებელთა; ნუ უდებ იქმნები განშორებად მიერ; ხოლო გამოცდილი ყოველსავე შინა გამოცდილ არს, ვითარცა იგი გამოუცდელი ყოველსა შინა გამოუცდელარს.

*ქოთ.* ძვირის ზრახვამან და ენოვნებამან მრავალნი განშორებანი ქმნა სოფელსა შინა, ხოლო ნაყროვანება კრებულსა შორის ძმათასა, მრავალთა დაცემათა და შეურაცხებათა იქმს.

*ქოთ.* ოკეთუ მუცელსა შენსა ეუფლო, ყოველსავე ადგილსა ჯდომისა შენისასა უვნებელობა პოვო; ხოლო ვიდრემდის იგი უფლებდეს შენზედა თვინიერ საფლავისა, სადაცა მიხვიდე ყოველთაგან ჭირი პოვო.

*ქოთ.* ოფალი განანათლებს თვალთა მორჩილებასა შინა მყოფთასა ხედვად სათნობათა მოძღვრისათა; დაკვალად ეშმაკი დააბნელებს თვალთა ურჩთასა ხედვად ნაკლულევანებასა მოძღვრისასა, რამეთუ ესე ვითარი ხედვა ჭეშმარიტად სიბრმე არს.

*ქოთ.* ზეთილი სახე სიმდაბლისა და მორჩილებისა არს, ზი ძმანო ვეცხლ-წყალი, რომელი იგი ყოველსავე ქვეშე გორავნ, და ყოვლისაგანვე ბიწისა შეუხებელად ეგის.

*ქოთ.* შოსწრაფენი ეკრძალებოდედ თავთა თვისთა, რათა არა განიკითხვიდენ უდებთა; და უმეტეს მათსა დაისაჯნენ, რამეთუ ვითარ ვჰგონებ, ამისთვის იქმნა ლოთ მართალი, რამეთუ შორის ესე ვითართა კაცთასა დამკვიდრებულ იყო, და არა სადა გამოჩინებულ-არს თუ განიკითხვიდა მათ.

*ქოთ.* ყოველსავე ჟამსა და უფროსად ჟამსა ლოცვისასა მოვიგოთ დუმილი, და მყუდროება, რამეთუ ეშმაკნი ისწრაფიან განრყვნად ლოცვისა შფოთებითა.

*ქოთ.* ქომელი მსახურებდეს მსახურებათა მორჩილებისათა, იგი ხორცითა დგას წინაშე კაცთა; ხოლო



გონებითა ლოცვისა მიერ, ჰრეკს კართა ცისათა.

*იძ.* ოინება და ყვედრება და მსგავსი ამათი სულსა შინა მორჩილისასა იქმნების მიმსგავსებულ სიმწარესა აფსინდისასა; ხოლო ქებანი და პატივნი თაფლის სახედ ტკბილ არიან, სულსა შინა, გემოთ მოყვარისასა; აწ უკვე გულის-ხმა-ვყოთ ბუნება ამათ ორთავე, ვითარ აფსინდი განმწმედელი არს ნაღვლისა და თელგმისა გვამისაგან; ხოლო თაფლი აღმაორძინებელი და განმამრავლებელი არს ნაღვლისა.

*იძე.* ჯერ არს ჩვენდა რათა მივენდვნეთ უზრუნველად მათ, რომელთა შეიწყნარეს ზრუნვა ჩვენი ივთისათვის და გვრწმენეს მათი დაღათუ ვგონებდეთ, ვითარმედ სავენებელსა რასმე სულისა ჩვენისასა იტყვიან, რამეთუ მაშინ გამოიცდების მათდა მიმართ სარწმუნოება ჩნი, ვითარცა ბრძმედსა შინა სიმდაბლისასა.

*იძყ.* ესე არს სასწაული სარწმუნოებისა ჭემმარიტისა, რაჟამს ვხედვიდეთ მოძღვრისაგან საქმეთა, რომელთა ჩვენ არა ვესვიდეთ, არცა მოველოდით, და ამასცა ზედა დაუბრკოლებელად ვმორჩილობდეთ მას.

*იძრ.* შორჩილებისაგან სიმდაბლე, ვა პირველ ვსთქუ, და სიმდაბლისაგან განკითხვა, ვა სთქვა დიდმან ზასსიანე განკითხვისა თავსა შინა, და განკითხვისაგან დაფარულთა-ცნობა და დაფარულთა ცნობისაგან-წინასწარ ცნობა მომავალთა საქმეთა, – და ვინ არა რბიოდეს ესე ვითარსა ამას კეთილსა, მორჩილებისა სარბიელსა, რომლისა წინაშე არიან ესოდენნი კეთილთა სიმრავლენი.

*იძშ.* წმისთვის იტყოდა, დიდი იგი მგალობელი, ვითარმედ *უცაქსხედეჲ სუხყყაჲრითჲ ყიჩითჲ ურუცუცხსჲ შესჲ შაახიროსჲ იძიქითჲ* მოსვლა ყენი გულად მისა.

*იძრ.* ესე დაივიწყებ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა მოღვაწესა მას დიდსა, რომელსა ათვრამეტსა წელსა არა ესმინა მოძღვრისაგან ხორციელითა სასმენელითა თუ „*იუსაჩიშ*“, ხოლო შინაგანთა მათ ყურთა მა-

რადის ესმოდა ოფლისაგან, არათუ „*სუყარბი*“ რამეთუ ესე სიტყვა არს ლოცვისა და უცნაური, არამედ ესრეთ ესმოდა ვითარმედ „*სუყარბი*“, რომელი ესე განჩინებუ-ლი არს და მტკიცე.

*ძჰჟ.* წცთუნნეს თავნი თვისნი ვიეთმე მორჩილებასა შინა მყოფთა, რამეთუ შეატყვეს სილბოსა მოძღვრისა მათისასა, და ეძიებდეს მისგან საქმეთა, რომელნი ნები-საებრ მათისა იყვნეს, და ნებასა მათსა მიუშვის მოძღვარ-მან და არა დაეყენის საქმისა მისგან, რომელსა ითხოვ-დიან: ხოლო იგინი გონებდიან, ვითარმედ სიტყვისათვის მოძღვრისა იქმან მას, არამედ გულსავსე იყვნედ ესე ვი-თარნი, რომელ გვირგვინისა მისგან მორჩილებასა, სრუ-ლიად დაცემულ არიან, რამეთუ მორჩილება უცხოება არს ორგულებისა და ნებათა აღსრულებისა.

*ძჰზ.* ორს კაცი რომელმან მიიღოს ბრძანება მოძღ-ვრისაგან და სცნოს ნება მისი, ვითარმედ არა განსვენე-ბულ არს ქმნასა ზედა მის საქმისასა და არა ქმნის იგი; და არს სხვა რომელმან სცნის თუ არა არს განსვენებად მისი მას ზედა, და შეუორგულებელად დამორჩილდის და ქმნის სიტყვა მისი, საძიებელ-არს თუ რომელმან ამათ-განმან უმჯობესად ქმნა?

*ძჰთ.* ესე შეუძლებელ-არს თუმცა ეშმაკი ნებასა თვისსა წინააღუდგებოდა, და ესე გულის-ხმა-ყავ მათგან, რომელნი უდებებით იყოფებიან; და სხენან ერთსა ად-გილსა სადაყუდებულოსა, გინათუ კრებულსა აღუძვრე-ლად.

*ძჰუ.* იყავნ ჩვენდა ადგილთაგან ჩვენთა წასრულისა ბრძოლად, სასწაულ ჩვენისა მას შინა წარმართებისა, რა-მეთუ უკეთუმცა არა ხედვიდა მტერი თუ ვბრძავთ მას რადამცა გებრძოდა ჩვენ.

*ძჰფ.* ორა ჯერ-არს ჩემდა დაფარვა და დუმილი, რო-მელსა ზედა არა შეგავს დუმილი: რამეთუ ორანე საბაი-ტელმან, რომელი იყო საბერძნეთით კაცი იმ-მოშიში

ჩმიდა და უბიწო, გვითხრობდა იგი საქმეთა, რომელთა ჯერ-არს სმენა. ხოლო შენ, ზი წმიდაო! უწყი თვით ვ~ დ კაცი ესე აღმადლებულ იყო ყოველთა სენთაგან ვნება-თასა, და ტყუილისა სიტყვათაგან, და ყოვლისა საქმისა უჯეროდსა. ესე მითხრობდა ვითარმედ მონასტერსა მისსა ასიას, რამეთუ ასიელი იყო წმიდა იგი. იყო ვინმე ბე-რიო, ფრიად უდები, არათუ მას განვიკითხავ, არამედ რათა ჭ~ტი მიგიტხრა.

ზა იყო ბერისა მისთანა მოწაფე ვინმე ჭაბუკი სახე-ლით აკაკი, წრფელი ბუნებითა და ბრძენი გონებითა, რომელმან ეგოდენნი ბოროტნი თავსა იხსნა ბერისა მის-გან ბოროტისა, რომელნი მრავალნი სასმენელადცა საკ-ვირველ-არიან, რამეთუ არათუ ოდენ გინებითა და შეუ-რაცხებითა, არამედ ცემითა და გვემითა მარადლე სტან-ჯვიდა მას.

ღ~ მე ვხედევდ მას მარადდლე გვემასა შინა ფრიადსა და ჭირსა მსგავსად მონისა, სყიდულისა და რაჟამს შე-ვემთხვევი, ვრქვი მას ძმაო ჯკაკი! ვითარ გარდავლე დლე ესე? და ოდესმე მიჩვენის თვალი მისი, განსივებუ-ლი, და ოდესმე ქედი მისი განზმარული, გინა თავი მისი დაპებული; ხოლო მე ვიცოდი ვითარმედ მუშაკი არს სათნოებისა კეთილი და ვრქვი: საყვარელო, მოთმინე იქმენ და სულ-გრძელ, რამეთუ სარგებელ გეყოს.

ღ~ მან დაყო ბერისა მისთანა, რომელსა არა აქვნდა წყალობა ცხრა წელი, და ამისა შემდგომად გარდაიცვა-ლა ძმა იგი აკაკი, და მივიდა ოფლისა, და დამარხეს იგი სამარხოსა მამათასა. ხოლო შემდგომად ხუთისა დღი-სა წარვიდა მოძღვარი იგი აკაკისა ბერისა ვისამე დიდი-სა, რომელი იყო მასვე ადგილსა, და რქვა მას: მამაო, ძმა ჯკაკი გარდაიცვალა. და ვითარ ესმა ესე ბერსა მას, რქვა მას: გრწმენინ ბერო, არა მრწამს თუმცა მომკვდარ იყო იგი.

ქქვა მას მოძღვარმან ჯკაკისამან: მოვედ და იხილე.

და აღსდგა ბერი იგი, და წარვიდა მისთანა, და ვითარ  
 ორნივე მიიწივნეს საფლავსა ზედა მისსა. ხმა უწყო წმი-  
 დამან მან ბერმან, ვითარცა ცხოველსა, რომელი ჭემმა-  
 რიტად შემდგომად სიკვდილისაცა ცხოველ-იყო, და  
 ჰრქვა მას: ძმაო ოკაკი, მოკვდეაა? ხოლო მოწაფემან მან  
 მორჩილმან, აჩვენა მორჩილება თვისი, შემდგომად სიკვ-  
 დილისაცა. ხმა უყო ბერსა მას და რქვა: ვითარ შესა-  
 ძლებელ არს მამაო სიკვდილი მორჩილისა.

ჲ~ ესმა რა ესე მოძღვარსა ოკაკისსა, დავარდა პირსა  
 ზედა თვისსა დიდითა ტირილითა, და ევედრებოდა მამა-  
 სახლისსა მონასტრისასა შენებად სენაკი მახლობელად  
 სამარხოთა მის, და მუნ აღასრულნა მიერიდგან დღენი  
 მისნი სიწმიდით, და მარადის სიმდაბლით და ეტყოდა  
 მამათა ვითარმედ კაცის კვლა მიქმნიეს.

ხოლო მე ვგონებ მამაო იოანე, ვითარმედ თვით ესე  
 დიდი იოანე იყო რომელმან უწოდა მკვდარსა, და სიტყ-  
 ვა უგო მას მკვდარმან; რამეთუ იგი მოთხოვდა ამბავსა  
 სხვასაცა და გარდასწამებდა სხვასა, არამედ თვით იგი  
 იყო მოქმედი საქმისა მის, ვითარცა უკანასკნელ მეუწყა  
 ჭემმარიტად.

*ძრწ.* და იტყოდა,\*) ვითარმედ იყო მასვე მონასტერ-  
 სა ოსიას შინა მოწაფე ერთი მონაზონისა ვისმე მშვიდი-  
 სა ფრიად და სახიერისა და მყუდროდსა, და იხილა რაჲ  
 მოწაფემან მან თავი თვისი, ვითარმედ პატივ იცემებოდა  
 და შეურაცხ-იქმნებოდა ბერისა მის მიერ. და განიზრახა  
 კეთილი განზრახვა, რომელი მრავალთათვის საცთურ  
 არს, და ევედრა ბერსა დაითხოვა განტევება, რამეთუ  
 იყო სხვაცა მოწაფე, და ამისთვის არა ფრიად შესაწუხე-  
 ბელ იყო საქმე იგი, და განვიდა უკვე მიერ, და აღილო

---

\* თარგმანი: ამას იტყვის ვითარმედ პატივ-იცემებოდა ხორციე-  
 ლად და შეურაცხ იქმნებოდა სულიერად, რამეთუ არა ზრუნვიდა  
 სულისა მისისათვის.

წიგნი მოძღვრისაგან, და მივიდა მონასტერსა ერთსა ქვეყანასა პონტოსასა.

ჴა პირველსავე ღამესა შერავიდა მონასტრად, იხილა ჩვენებასა შინა ღამისასა თავი თვისი, ვითარმედ პასუხი-მოეხდებოდა კაცთა ვიეთგანმე, და შემდგომ საშინელისა მის პასუხის-მიხდისა, იხილა თავი თვისი, რამეთუ იყო მას ზედა დაშთომილი ვალისა ასი ლიტრა ოქროდ, და ვითარცა განიღვიძა ძილისაგან, განიზრახვიდა ხილვისა მისთვის და ჰრქვა თავსა თვისსა: ჴი საწყალობელო ანტიოხოზ, რამეთუ ესრეთ ეწოდებოდაო ვითარმედ ფრიადლა ზედა გვაც ვალისა ჩვენისა.

ჴა ვითარცა დაყო მას მონასტერსა შინა სამი წელი დიდითა მორჩილებითა, რამეთუ ფრიად შეურაცხად ეცეოდეს ყოველნი იგი ძმანი და აჭირვებდეს, ვითარცა უცხოსა; და არა იყო მას მონასტერსა შინა უცხოდ თვინიერ მისსა. და იხილა კვალად ჩვენებასა შინა ღამისასა, ვითარმედ კაცმან ვინმე მისცა ხელით წერილი შენდობისა ათისა ლიტრისა ვალისა მისგან.

ჴა ვითარცა განიღვიძა გულის ხმა ყო რად იგი იხილა, და რქვა თავსა თვისსა, ვიდრე აქამომდე ათილა ლიტრა გარდამიხდიეს, მაშა ოდესლა გარდახდად მიცხვა იგი დაშთომილი. და ეტყვიან თავსა თვისსა, ჴი, საწყალობელო ანტიოხოზ, გვიღირს შრომაი და ყვედრებად უმეტესი, და მიერთგან იჩემებდა სისულელესა და მსახურებისაგან არა დასცხრებოდა. და ვითარცა ხედვიდეს ძმანი იგი, რომელთა არა აქვნდა წყალობა, ეგე ვითარსა მას მორჩილებასა შინა, ყოველნივე მას უბრძანებდეს, ყოველსავე საქმესა მონასტრისასა, და იგი იქმოდა მდუმრად.

ჴა ვითა დაადგრა ეგე ვითარსა სახესა შინა ათსამეტ წელ, იგივე კაცნი იხილნა რომელმან ჰამობდეს (პასუხს-მიხდიდენ) პირველ ჩვენებასა შინა, და აჴა კვალადცა მოუხდეს, და ხელით წერილი დაუწერეს განტევები-

სა, ყოვლისა მის ვალისა; და ესრეთ იტყოდაო, ვითარ-  
მედ რავდენ გზისცა შემაწუხიან მე მყოფთა მის მონასტ-  
რისათა, მოვიხსენი ვალი იგი ჩემი თანამდებნი, და მოვი-  
თმენდი სიმხნით.

უსე ყოველი ყოვლად ბრძენმან მან იოანე მითხრა,  
მამაო იოანე, ვითარცა სხვისა მაგიერ, ამისთვისცა ონ-  
ტიოხოზ უწოდა თავსა თვისსა, არამედ თვით იგი იყო,  
რომელმან განხეთქა ხელით წერილი იგი ახოვნად მოთმი-  
ნებითა.

*ძრუ.* ღისმინოთ კვალადცა ვითარი გულის ხმის ყო-  
ფა მოიგო მან მორჩილებისა მიერ მისისა, რამეთუ ჯდა  
რაჲ იგი წმიდისა საბას ლავრასა შინა, და მოუხდეს მას  
სამნი მონაზონნი ჭაბუკნი, დაენება მისდა დამოწაფება,  
ხოლო მან შეიწყნარნა იგინი სიხარულით და განუსვენა  
მათ შრომისა მისგან გზისა მათისა, და შემდგომად სამისა  
დღისა რქვა მათ ბერმან: ჭეშმარიტსა გეტყვი თქვენ  
ძმანო, მე კაცი ვარ უძლური, და ვიძლევი სიძვისაგან,  
და ვერ შემძლებელ ვარ შეწყნარებად თქვენგანისა ერთი-  
საცა.

ჴოლო იგინი არავე დაბრკოლდეს უწყოდეს საქმე  
ბერისა თუ ვითარი იყო, და ვითარცა ფრიად ევედრნეს,  
და არა შეიწყნარნა იგინი ბერმან, მაშინ შეუვრდეს ფერხ-  
თა მისთა, და ევედრებოდეს მას რათა ასწაოს მათ თუ  
ვითარ იყვნენ, ანუ სადა შეჰგავს დაჯდომად მათი; და  
შეატყვა ბერმან ვითარმედ სარწმუნოებით და მორჩილე-  
ბით შეიწყნარებენ, მაშინ რქვა ერთსა მათგანსა, ვითარ-  
მედ ოფალსა ნებავეს შენი შვილო, რათა დასჯდე ერთსა  
ადგილსა დაყუდებით და მორჩილებით მამისა ერთისა  
თანა. და რქვა მეორესა მას წარვედ ძმანო, და განყიდე  
ნება შენი, და მიეც იგი იმერთსა, და აღილე ჯვარი  
შენი და მოითმენდი შორის კრებულსა ძმათასა და საუნ-  
ჯე დიდ ძალი გედვას ცათა შინა.

ქქვა მესამესაცა მოიგე შენ განუშორებელად შენ-

გან, ვითარცა ფშვინვაჲ შენი, სიტყვა იგი რომლისათვის იტყვის ოფალი, ვითარმედ რომელმან მოითმინოს იგი სრულიად ცხონდეს, და წარვედ და მოიძიე, და თუ შესაძლებელ იყოს ნუ დაუტეობ ბუნებასა შინა კაცთასა, უფიცხლესსა დაუმამხილებელესსა მოძღვრისა შენისასა, და დაადგერ მისთანა, და სვემდი მარადლე კდემასა და გინებასა, ვითარცა თაფლსა და სძესა.

ჴოლო ძმამან მან რქვა დიდსა იოანეს, და უკეთუ კაცი იგი უდებ იყოს მამაო, რაიმე ვყო? რქვა მას ბერმან: დაღაცათუ სიძვასა შინა იხილო იგი, ნუ განეშორები მას, არამედ ეტყოდე თავსა თვისსა, მოყვასო რასა თვისცა მოხვედ, და მაშინ იხილო ამპარტავანება განშორებული შენგან და გულფიცხოზა უჩინო ქმნილი.

ჴინო. ღიღვაწოთ ყოვლითა ძალითა, რომელთა ესე გვენებავეს მოშიშება ოისაგან, რათა არა მოვიპოოთ ადგილსა მას სათნოებათა მოსაგებელსა, უფროსად უკეთურება და სიბოროტე, და მანქანება და მზაკვარება, და გულის წყრომა, რამეთუ იქმნების ესე, და არა საკვირველ არს; რამეთუ ვიდრემდის კაცი მუშაკი იყოს ქვეყანის მოქმედი, ანუ მენავე, არად შერაცხონ იგი მტერთა მეფისათა, არცა აღიჭურნიან მის ზედა; ხოლო რაჟამს იხილნიან, ვითარმედ ბეჭედი მიიღო, და ხრმალი აღიღო, და ფარი და ლახვარი, მაშინ კბილ-ღრჭენით მოიწინიან მის ზედა, და ნებავენ რათამცა მოკლეს იგი, ამისთვის გვიღირს რათა ფრთხილ და მღვიძარე ვიყვნეთ და არა დავიძინოთ.

ჴინძ. ღიხილენ ყრმანი უმანკონი და კეთილნი, რომელნი მივიდეს სასწავლოდ, რათამცა ისწავეს სიბრძნე და სწავლულება და სარგებელ-ეყომცა, ხოლო ვერა შეიძინეს მუნ გარნა მანქანება და უკეთურება და სიგვესე, სხვათა თანა აღრევითა, რომელსა აქვენ გონება გულისხმა ჰყავნ.

ჴინო. ჟომელნი ხელოვნებასა ისწავლიან შეუძლე-

ბელ-არს თუმცა არა დღითი დღე წარმატებოდეს მას შინა, და რომელნიმე სცნობენ წარმატებასა მას, და რომელნიმე განგებულებით უმეცარ მისა არიან.

*ძირქ.* წაჭარმან\*) ხელოანმან ყოველთა მწუხრთა აღრაცხის შეძინებული მის დღისა, ანუ დაჭირვებული, ხოლო ვერ შემძლებელ არს ამისცნობად, უკეთუ არა ყოველსა ჟამსა დასწერდეს, და ესრეთ დაისწავლიდეს სარგებელსა მას ვაჭრობისასა, ეგრეთვე უკვე ჩვენ გვიღირს ქმნად, რამეთუ მარადღე გამოძიება თავისა თვისისა განანათლებს გონებასა.

*ძინხ.* ჯაჟამს იკვდემებოდის, ანუ იყვედრებოდის უგუნური და ელმოდის, მაშინ ანუ სიტყვის-გებად იწყებს, ანუ ადრე მუხლთა მოიდრეკს არათუ სიმდაბლისათვის, არამედ რათამცა კდემს იგი დააცხრო.

*ძინქ.* ოკეთუ იცემებოდე მოძღვრისაგან დუმენ და თავს იდებდ წამალთა მათ სულისათა, და უფროსდა მნათობთა სიწმინდისათა.

*ძინღ.* ჯაჟამს დამშვიდნეს მკურნალი, მაშინდა შეუვრდი მას; ნუ უკვე გულის წყრომისა ჟამსა არა მიითვალოს სინანულით შევრდომა შენი.

*ძინა.* ჯომელნი კრებულსა შორის არიან ყოვლისავე ვნებისა მიმართ წინააღუდგებოდედ, ხოლო უფროს ყოვლისა ნაყროვნებასა და მრისხანებასა, რამეთუ ამათ ვნებათა ერსა შორის ეპოების ნივთი თვისი.

*ძინაჲ.* შორჩილებასა შინა მყოფთა ეშმაკმან შთაუგდის სურვილი სათნოებათა, რომელთა ვერ შემძლებელ იყვნინ აღსრულებად, და ეგრეთვე დაყუდებულთა მოაგონებენ საქმეთა, რომელნი უჯერო იყვნინ მათ მიერ საქმედ.

---

\* თარგმანი: ჯომელი მარადღე გამოიძიებდეს თავსა თვისსა და განიკითხავდეს, და ტკივილით და ზრუნვით იყოს ცხოვრება მისი, და თუ ვითარ გარდარადა დღე იგი და ღამე, იგი არს კეთილი ვაჭარი საქმეთა თვისთა.



*ქაყ.* ოსმოცხადენ გონებანი მოწაფეთა გამოუც-  
დელთანი და პოვნე მათ შორის გულის სიტყვანი ცთო-  
მილნი; გულის თქმა დაყუდებისა და მარხვისა ფიცხლი-  
სა და ლოცვისა, წარუტაცებელითა გონებითა, სიძული-  
ლი ცუდად დიდებისა, და ხსენებისათვის სიკვდილისა  
დაუვიწყებლად, და მარადის ტირილისათვის, და ურის-  
ხველობისათვის, სრულისა დუმილისა ფრიადისა და სიწ-  
მიდისა სრულისა, რომელნი ესე განგებულებით დასაბამ-  
სავე არა მოეცემიან, და ამისთვის შესცთეს, და ამოდ  
განვიდეს ვიეთნიმე მორჩილებისაგან, რამეთუ მტერმან  
აცთუნა რწმუნებად ამის ყოვლისა ძიებად პირველ ჟამისა,  
და ამისთვის ჰყო ესე მტერმან ნუ უკვე დაითმინონ, და  
ჟამსა თვისსა მიიღონ ესე ყოველი.

*ქაჟ.* ორწუმენებნ მაცთური იგი დაყუდებასა შინა  
მყოფთა ნატრად მათდა, რომელნი მორჩილებასა შინა  
არიან, უცხოთ მოყვარებასა მათსა, და მსახურებასა და  
სიყვარულსა ძმათასა, და სნეულთა მსახურებასა, რათა  
იგინიცა უთმინოებასა შეყარნეს, მაცთურმან მან, ვითარ-  
ცა იგი პირველნი, და რათამცა არა სრულ ყვეს მოღვა-  
წება იგი და მოთმინება მათი.

*ქაზ.* მცირედნი იპოებიან ჰემმარიტად, რომელნი  
იყოფებიან ჯერისაებრ დაყუდებასა შინა, და მათ ოდენ  
მოუგეის სა~დთო ნუგეშინის ცემა აღსუბუქებად შრომა-  
თა და შემწედ ბრძოლათა შინა.

*ქაჟ.* ბუნებათაებრ და სახეთა ვნებათა ჩვენთასა,  
მორჩილებადა მოვიგოთ.

*ქაჟ.* ოკეთუ მხურვალეებისაგან ხორცთასა იძლევი,  
იყავნ მოძღვარი შენი მოღვაწე, და მცირედ ნუგეშინის  
მცემელ საზრდელითა, და არა სასწაულთა მოქმედი, და  
შემწყნარებელი მრავალთა ტაბლათა ზედა; უკეთუ კუ-  
ლა ზვავობისა და ქედ ფიცხელობისაგან იძლევი, იყავნ  
მოძღვარიცა შენი ფიცხელ, და მიუშვებელ, და ნუ  
მშვიდ და ტკბილ.

*ქაზ.* ნუ ვეძიებთ დაფარულთა მცნობელთა და წინასწარმეტყველთა, არამედ ყოვლისა პირველად მდაბალთა და სენისა ჩვენისა კურნებად მომზავებულთა, ადგილისაგანცა და მოქალაქეობისა მათისა.

*ქაჩ.* ოკეთუ მოიპოო გულის სიტყვა ნეტარისა მის ზვიროზ პირველ მოხსენებულისა, იგიცა კეთილ არს, რათა მარადის იგონებდე ამას, ვითარმედ გამოგცდის წინამძღვარი, და არა ოდეს მოგეწყინოს, არცა სულ მოკლე იქმნე.

*ქაძა.* ჯაჟამს განამრავლოს მოძღვარმან შენდა მართ მხილებად და შეურაცხებად, და სარწმუნოება და სიყვარული შენი გამრავლდებოდის მისა მიმართ, მაშინ უწყოდე საყვარელო, ვითარმედ სული წმიდა უხილავად დამკვიდრებულ არს სულსა შენსა და ძალი მადლისა გფარავს შენ. არამედ ნუ იქადი, ნუცა გიხარის, რაჟამს ახოვნად თავს იღებდე შეურაცხებათა, არამედ უფროსად იგლოვდ, რამეთუ ღირსი გინებისა საქმე ჰქმენ, და შეაწუხე სული მოძღვრისა შენისა.

ნუ გიკვირს რომელსა ესე ვიტყვი, რამეთუ მოსე წინასწარმეტყველი მეწამების მე, რამეთუ უმჯობეს არს თუ ვინმე იმერთსა შესცოდოს, ვიდრე მოძღვარსა; რამეთუ უკეთუ იმერთი განვარისხოთ, შემძლებელ არს მოძღვარი ჩვენი დაგებად ივთისა, ითხოვდეს რა ჩვენთვის; ხოლო უკეთუ უხუცესი ჩვენი განვარისხოთ, არავინ-არს რომელიმცა ევედრებოდა ჩვენთვის; ხოლო მე ვიტყვი ვითარმედ ორივე ესე ერთ-არს განრისხება ივთისა და განრისხება მოძღვრისა.

*ქაჟ.* ოსწავითხოთ და განვიკითხოთ და გულის-ხმა ვყოთ თუ რაჟამს შესმენილ-ვიქმნეთ მამისა მიმართ, ოდეს გვიღირს მადლობით და დუმილით მოთმინება, ანუ ოდეს თანა გვაც გულსავსე ყოფად მისა, რამეთუ მე ვგონებ თუ ყოველსა რომელსა ზედა შეურაცხება ჩვენი იქმნებოდის, დუმილი ჯერ არს, რამეთუ ჟამი არს მაშინ სარ-

გებელისა: ხოლო რომელსა ზედა სხვისა ძმისა ბრალ-  
ბა იქმნებოდის მისთვის გულსავსე ვყოთ საკვირველისა  
მისთვის სიყვარულისა და მშვიდობისა.

*ქააქ.* ჯავდენიცა განვიდეს მორჩილებისაგან, მათ მი-  
გითხრან სარგებელი მისი, რამეთუ რაჟამს განეშორნეს,  
მას, მაშინდა ცნეს თუ რომელსაცა შინა დგეს პირველ.

*ქააყ.* ყოველი რომელი უვნებლობასა და იმერთსა  
ეძიებდეს მას ყოველივე დღე, რომელსა შინა არა იგო-  
ნოს და შეურაცხ იქმნას, დაჭირვებად შეურაცხიეს იგი.

*ქააჲ.* ჴითარცა ხენი ქართა მიერ შერყეულნი  
უფროსად განიმტკიცებენ ძირთა; ეგრეთვე მორჩილებასა  
შინა მყოფნი ძლიერთა და შეურყეველთა სულთა მოი-  
გებენ.

*ქააბ.* ჴომელიცა დაყუდებასა შინა იყოს და სცნას  
თვისი უძლურება, და მოვიდეს და განყიდოს თავი თვისი  
მორჩილებითა, ეგე ვითარი იგი ბრმა იყო, და უშრომე-  
ლად ქრისტეს მიმართ აღიხილნა.

*ქააჟ.* საყვარელნო! მტკიცეთ დებით, და კვალადცა  
ვიტყვი, დეგით სრბასა შინა თქვენსა, ძმანო, რომელნი  
ეგე ღვაწლსა შინა ხართ, და ისმინეთ რასა იგი იტყვის  
თქვენთვის, ყოვლად ბრძენი იგი, ვითარმედ, *ჴოთიძიღე  
აჴიხა ყიძიძიძე, ყინე* რომელ არს მონასტერი, *ღეშასღე-  
ბნი უღანი ოჴეძი, ბე ჴოთიძიღე სეღესაჴიძი შიღ-  
ჴიღე ყიღეჴიღი ყიღეჴიღი უღანი ჴეღიღეჴიღე-  
თი.* რამეთუ *ქ.ღ.ი* არს დიდება და სიმტკიცე უკუნითი  
უკუნისამდე. ამინ.

ღე ბიბე არს შესწორებული რიცხვსა შახარებელთასა. შოდ-  
ვაწე ეგე, რომელი მდგომარე ხარ ამას ზედა უშიშრად რბიოდე ცად-მი-  
მართ. ოსწრო ოდესმე საფლავად მისლვასა *სეტრეს* *ჴოანემან.* და  
ეგრეთვე აჴა დაწესებულ არს, პირველ სინანულისა შორჩილება, რამეთუ  
რომელმან იგი უსწრა საფლავად შორჩილებისა სახე არს, ხოლო მეო-  
რე იგი სინანულისა, რომელმანცა შეინანა უარის ყოფად ცრემლითა.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და **ხე** განგისვენო თქვენ



ვ'ლთა შთახოქელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამკვანებელი ლიბე

ქმული მისივე სინანულისათვის ზა ცხოვრებაცა

ქმიდათა მათ რომელნი დილეგსა მას შეყენებულ

იყვნეს.

ღეღი ო

ღ.

სინანული განმახლებელი-არს ნათლის-ღებისა,  
სინანული ათქმა-არს ივთისა-მიმართ ახლისა  
ცხოვრებისა.

ყ. მონანული ვაჭარი არს სიმდაბლისა მომსყიდ-  
ველი.

ღ. სინანული არს მოწყვეტა სრულიადი ხორციელ-  
თა ნუგეშინის-ცემათა.

ბ. სინანული არს თავისა თვისისა დამსჯელი: გუ-  
ლის-სიტყვა და უზრუნველობა ყოვლისაგან და ზრუნვა  
სულისა თვისისა.

რ. სინანული ასული არს სასოებისა, და უარის-ყო-  
ფად სასო წარკვეთილებისა.

რრ. სინანული დასჯა არს თავისა თვისისა ურცხვე-  
ნელი.

ზ. სინანული დაგება არს ივთისა მიმართ, შესწო-  
რებულად ცოდვათასა, ქმნითა სიმართლისათა.

ჩ. სინანული გაწმედა არს სვინდისისა, რომელი იგი  
მამხილებელად ბოროტისა დაუბადებებს იმერთსა კაცი-  
სა-თანა.

ჩჩ. სინანული არს კარი ნუგეშინის ცემისა, რათა  
უარ ყოს ნება თვისი, და უკეთურება თვისი.

კ. სინანული მოთმენა არს ნებსითი ყოველთ ჭირთა  
და განსაცდელთა.

კკ. მონანული არს მომპოვნელებელი ტანჯვათა თავისა

თვისისათა, ცოდვათა თვისთა თვის სოფელსა ამას.

76. სინანული არს მოყმობად მუცლისა თვისისა ძლიერად, და მარადის ბრალობა და კდემა სულისა თვისისა, მხურვალეებითა გულისათა მტკიცითა.

77. სინანული მიმახლებელი არს ივთისა, და განმაშორებელი არს ცოდვათა.

78. შემოკრბით და მომეახლენით, მოვედით და ისმინეთ და გითხრა თქვენ ყოველთა, რომელთა იმერთი განგირისხებია; შემოკრბით და იხილეთ რავდენი მიჩვენა იმერთმან, სარგებელად სულთა თქვენთა და ჩემთა. დავაწესოთ აქა პირველ ყოვლისა, და პატივსცეთ პატიოსნად, შეურაცხ-ქმნილთა მუშაკთა საქმესა. ვისმინოთ და დავიმარხოთ და ვქნათ, რომელთადაცა შემთხვეულ-არს მოულოდებელი რაიმე დაცემა, აღემართენით და დასხედით, რომელნი დაცემათაგან ქვემდებარე-ხართ; ისმინეთ ძმანო ჩემნო სიტყვანი ჩემნი, და მოყავთ ყური თქვენი, რომელთაცა გნებავს, მოქცევითა ჭეშმარიტითა დაგებად იმერთი თავთა თქვენთა მიმართ.

79. მესმა მე უძღურსა ამას უცხო რადმე მოქალაქობად და საქმე მათი, რომელნი მკვიდრ იყვნეს მონასტერსა მას განშორებულსა, რომელსა ეწოდებოდა დილეგი, რომელი იყო ქვემო კერძო პირველ ხსენებულისა მის მნათობთა მნათობისა, რომელი ვახსენეთ მორჩილებისა თავსა შინა, და ვიყავ რად ჯერეთ მუნ, ვევედრე დიდსა მას წინამძღვარსა, რათამცა წარვედ მუნ და ნება მცა ნეტარმან მან, რომელსა არაოდეს ენება შეწუხება სულისა. ხოლო მივიწიე რა მონასტერსა მას მონანულთასა, და ადგილსა ჭეშმარიტთა მათ მგლოვარეთასა, და ვიხილენ მუნ საქმენი, რომელნი ვიკადრო და ვსთქვა, ვითარმედ თვალსა კაცისა უდებისასა არა უხილავნ, და ყურთა დახსნილისათა არა ასმიან, და გულსა მცონარისასა და ვნებათა მოყვარისასა არა მოსრულ არიან.

საქმენი და სიტყვანი, რომელი შემძლებელ იყვნეს

იძულებად სახიერებისა ივთისასა, და ღონენი და სახენი შემძლებელნი კაცთ-მოყვარებისა მისისა ადრე მოდრეკად.

ჯამეთუ რომელნიმე უბრალოდ დასჯილთა მათგანნი, მწუხრითგან ვიდრე განთენებადმდე, დგიან ჰაერთა გარე დაწყობილნი ფერთა შეურყეველად, და ძილისაგან შეიმუსრვოდეს, და ირწეოდეს საწყალობელად იძულებითა ამისა ბუნებისათა; და არცა ერთსა განსვენებასა მისცემდეს თავთა თვისთა, არამედ რისხვიდეს და აყვედრებდეს თავთა თვისთა კდემითა და შეურაცხებითა. სხვანი ზეცად მიმართ ხედვიდეს სურვილით და ვედრებით, და ითხოვდეს მიერ შეწევნასა ტირილითა და გოდებითა; და კვალად სხვანი მდგომარე იყვნეს, ვითარცა დასჯილნი, და ხელნი უკუდმართ შეეკრნეს, ვითარცა ავაზაკთა, და პირნი მათნი დაედრიკნეს ქვეყანად, და აქვნდეს თავნი თვისნი უღირსად ზეცად აღხილვასა, და სიმრავლისაგან მწუხარებისა გულთა მათთასა, არა იცოდეს თუ რაჲ ილოცონ, ანუ რაჲ სთქვან ივთისა-მიმართ, ანუ თუ ვინა იწყონ ყოფად ვედრებისა, არამედ ოდენ სულნი მათნი და გონებანი უსიტყველად წარედგინნეს წინაშე ივთისა, და სასო წარკვეთილნი იყვნეს ყოვლისაგანვე, არამედ ივთისა მიმართ ოდენ აქვნდათ სასოება.

სხვანი ნაცარსა ზედა და მამასა მსხდომარე იყვნეს და პირნი მათნი მუხლთა მათთა დაეფარნეს, და თავები ქვეყნად დაედრიკნეს.

სხვანი კვალად დაუცადებელად მკერდსა იცემდეს და გოდებდეს ტირილითა დიდითა ცხოვრებასა მათსა. და რომელთამე დაელტვნეს იატაკნი სენაკთა მათთანი ცრემლითა. უა რომელთამე ცრემლნი არა აქვნდეს, და თავთა თვისთა სცემდეს და იტყებდეს სულთა ზედა მათთა, ვითარცა მკვდართა, რამეთუ ვერღარა თავს იდებდეს ურვასა მას გულისა მათისასა.

უა რომელნიმე იღრჭენდეს კბილთა მათთა ტკივი-

ლისაგან გულისა, და არა უტევებდეს რათამცა ხმა გოდებისა მათისა ისმოდა, და მრავალ გზის ვერ უძლიან თავს-დებად და მეყვსეულად ხმა ყვიან გოდებით.

ვიხილენ მე მუნ კაცნი, რომელნი ვითარცა განცვიფრებულნი, და განლიგებულნი იყვნეს სახითა და მჭმუნვარებითა, და ვითარცა გონება მიღებულნი, მრავლისა მისგან ურვისა გულთა მათთასა, და დანთქმულ-იყვნეს გონებანი მათნი, უფსკრულსა სიმდაბლისასა, და ცეცხლითა მით ტკივილისა გულისა მათისათა, ცრემლნი თვალთანი შეეწვნეს, და თვალნი მათნი ცრემლთაგან მწარეთა დამწვარ იყვნეს.

სხვანი მსხდომარე იყვნეს მჭმუნვარედ და ქვეყანად ხედვიდეს, და თავთა დაუცადებულად ამძვრევდენ, ვითარცა ლომნი სიღრმეთაგან გულისათა იღრჭენდეს და სულ ითქმიდენ, და რომელნიმე მათგანნი ითხოვდეს ღვთისაგან შენდობასა დიდითა სასოებითა; და სხვანი იტყოდეს სიმდაბლითა დიდითა, ვითარმედ არა ღირს ვართ შენდობასა ცოდვათასა, და არცა გვაქვს სიტყვა, რათამცა მიუგეთ იმერთსა.

სხვანი ითხოვდეს ივთისაგან, რათა იტანჯნენ აქა, და მუნ ჰპოონ წყალობა საუკუნოსა მას.

ჴა რომელნიმე შემუსრვილნი სიმძიმისაგან სვინდისისა, ევედრებოდეს, ვითარმედ დაღაცათუ სასუფეველსა არა ღირს-ვართ, მხოლოდ ნუ დაგტანჯავ, და კმა-არს ჩვენდა.

ვიხილენ მუნ სულნი მდაბალნი და შემუსრვილნი, და თავ-დადრეკილნი სიმძიმისაგან ტვირთთასა, და ქვათაცა ლმობიერ ჰყოფად შემძლებელ იყვნეს ხმათა მათ და სიტყვათა მიერ, რომელთა იგინი სიტყვათა ღაღადებდეს ივთისა მიმართ, რამეთუ იტყოდეს ქვე დადრეკილნი ესრეთ: 'ჴუწყით ვითარმედ ღირს ყოვლისავე სატანჯველისა ვართ სამართლად, და არცა შემძლებელ ვართ სიტყვის მიცემად ჩვენისა მის, თანა-ნადებისათვის;







წარვსწყმდებით და განვიწირენით, *ბე შაჟიქიძე*  
*ჟიქიძე*. ბა სხვანი იტყოდეს ძმანო გამომცააჩინა ო~  
 ამიერიტგან ნათელი მისი ჩვენ ზედა. ბა სხვა იტყვიან  
 ძმანო, *უდჩიოთა შიქი საქიშქი* ჩემმან *იქიქი უუ* თანა-  
 ნადებთა ჩვენთა *ბეაქუქიქიქი*.

ბა სხვანი იტყოდინ, საყვარელნო ძმანო, შენდობა  
 მეყოსა ამიერიტგან ოფალმან ჩვენ ზედა? ანუ გვესმასა  
 ხმა მისი? რომელი იტყოდეს ჩვენდა მომართ, ვითარმედ  
 თქვენ რომელნი ეგე *ქიქიქი უდჩიქი სექიქიქიქიქი* *ქიქი*  
 განუხსნელითა, – *უდშაჟიქიძე*, და რომელნი ეგე შთავ-  
 რდომილ ხარ ჯოჯოხეთსა შინა სინანულისა თქვენისათ-  
 ვის შემინდობია.

ჟემესრულ არსაა ხმა ჩვენი ყურთა ოფლისათა? და  
 ყოველთა წინაშე თვალთა მათთა აქვდა სიკვდილი, და  
 იტყვიედ: ეჰა რაიმე ყოფად არს აღსასრული ჩვენი? ეჰა  
 რაიმე განჩინება მოსლვად არს ჩვენ ზედა, ანუ რომელ-  
 თამე ადგილთა მისვლად ვართ ყოფად მე არსა შენდობა  
 ჩვენი გლახაკთა ამათ და დაბნელებულთა და დასჯილთა?  
 ანუ მიიწია მეა ვედრება ჩვენი წინაშე უფლისა? გინათუ  
 მართლ უკუნიქცა სირცხვილეული და დამდაბლებულნი,  
 და უკეთუ მიიწიაცა და შევიდა წინაშე ოფლისა, რაიმე  
 ჰყო, რაზომ მოწყალე ჰყო იგი ჩვენზედა, და რავდენ  
 სარგებელ იქმნა, რამეთუ არა წმიდათა პირთა და გვამ-  
 თაგან განვიდა და არა რაი არს მისთანა ძალი.

ბნუ სრულიად მოწყალე ყოა მსაჯული იგი ჩვენ  
 ზედა, გინა თუ მცირედ რაიმე, ანუ ნახევარსა ზედა  
 წყლულებათა ჩვენთასა, რამეთუ დიდ არიან ესენი  
 ფრიად, და მრავალთა შრომათა და ოფლთა ღირს  
 არიან.

შომეახლებულ-არიანა მცველნი ჩვენნი ბნგელოსნი  
 ანუ ჯერეთ შორს არიანა ჩვენგან? რამეთუ უკეთუ იგინი  
 არა მოგვეახლნენ, ყოველი შრომა ჩვენი ცუდ და უსარ-  
 გებლო არს, რამეთუ არა აქვს ძალი კადნიერებისა

ლოცვასა ჩვენსა, არცა ფრთენი სიწმიდისანი შესლვად წინაშე ოფლისა, უკეთუ არა წნგელოსნი ჩვენნი მოგვე-ახლნენ ჩვენ, და მიიღონ იგი და შესწირონ წინაშე ოფლისა.

უა კვალად ურთიერთ-არს მრავალ-გზის საკვირველებით იტყვიედ, ეჰა ძმანო, რასა იტყვით მივემთხვევით მუა, რომელსა იგი ვეძიებთ? მოგვეცემინ მუა თხოვანი ჩვენნი? შეგვიწყნარებსა ოფალი? განგვიღებსა წყალობასა თვისსა? და სხვათა მიუგიან და თქვიან, ვინ უწყის ვითარცა თქვეს ძმათა ჩვენთა ნინეველთა, ნუ უკვე შეინანოს ოფალმან და მრავალთა მათგან სატანჯველთა გვიხსნეს ჩვენ.

უარნა ჩვენ, ჩვენივეყოთ, რავდენცა ძალგვიც. და უკეთუ განგვიღოს სიტკბოებითა თვისთა კეთილ, და უკეთუ არა კურთხეულ-არს ოფალი, რომელმან დაგვიხმა ჩვენ სამართლად, არამედ დავადგრეთ და ვრეკდეთ ვიდრე აღსასრულადმდე ცხოვრებისა ჩვენისა. და ნუ უკვე მრავლისა მის წყინებისა ჩვენისათვის განგვიღოს ჩვენ წყალობითა თვისითა.

უა კვალად იტყოდენ ურთიერთ არს, ვრბიოდეთ ძმანო, ვრბიოდეთ, რამეთუ სრბა სახმარ არს ჩვენდა და სრბა ფრიადი, რამეთუ კეთილისა მის კრებულისა ჩვენი-საგან გამოვცვივით ვისწრაფოთ და არა შევიწყალნეთ ბოროტნი ესე და შეგინებულნი ხორცნი ჩვენნი, არამედ მოვაკვდინნეთ იგინი, ვითარცა მათ მომაკვდინეს ჩვენ, და ესრეთცა იქმოდეს სანატრელნი იგი.

უე ვიხილენ ძმანო მათ-თანა მუხლნი დაკანებულნი სიმრავლისაგან მუხლთა დრეკისა და თვალნი მათნი შემწვარ-იყვნეს ცრემლითა და სიღრმედ შთასრულ-იყვნეს, და თმანი მათნი დაეფრხვნეს, და ღაწვნი მათნი დაეზრძარნეს, და მოეწყლნეს, სიმრავლესა მას მხურვალეთა მათ ცრემლთასა, და პირნი მათნი დამდნარ-იყვნეს და დაყვითლებულ; და არა რაჟთა განყოფილ იყვნეს, მკვ-

დართაგან; და მკერდნი მათნი მოეწყლნეს ცემითა; და სისხლსა მტკნარსა წარმოყრიდეს ზედას-ზედა-ცემითა მკერდისათა.

სადა იპოებოდა მათ შორის განმზადება საწოლისა, ანუ შემოსა სამოსელთა კეთილთა, არამედ ყოვლადვე მოსიედ დაბეჭკული და შეურაცხი, სავსე ბაყლითა და ტილითა, რაჲყო მათსა მას ჭირსა თანა ჭირი-ემმაკეულთა, ანუ თუ გლოვა მათი, რომელნი ჰგოდებდინ მკვდართა.

ღნუ თუ ჭირი მათი, რომელნი ექსორობასა შინა არიედ, ანუ რომელნი კაცის-კვლასა ზედა შეპყრობილ იყვნენ.

ჭემმარიტად არა რაჲ არს ამათ ყოველთა იძულებითი იგი ტანჯვა მათსა მას ნებსით გვემასა თანა თავისა თვისისა და ნუ ჰგონებთ ძმანო, თუ სიტყვანი ესე ჩემნი ცუდ-არიან.

ჴრავალ გზის ევედრებიედ იგინი წინამძღვარსა მას, და მწყემსსა მას დიდსა და ჭემმარიტსა, Ⴢნგელოსსა კაცთა შორის, რათა შებორკილნეს იგინი ხელით და ფერხით და ჯაჭვი მოაბას ქედსა, და ფერხნი ხუნდსა შინა დაუკრძალნეს, ვითარცა ემმაკეულნი, და რათა არა განხსნეს მიერ, ვიდრემდის საფლავად მივიდოდენ.

ღრა დავფარო ესეცა მათი იგი სიმდაბლე შემუსრვილი, და სიყვარული ივთისა მიმართ და სინანული. რამეთუ ეგულვებინ რაჲ Ⴀფლისა მისვლა, და წარდგომა თვალ-უხვავსა მას საყდარსა მისსა წინაშე, კეთილთა მათ, ქვეყანისა მის სინანულისა მოქალაქეთა.

ჴაჴამს იხილოს ვინმე თავი თვისი მათგანმან აღსასრულსა ზედა წინამძღვრისა მის მიერ მათისა, რომელი დადგინებულ-იყო მათ ზედა, მიავლინის მის მიერ ვედრება, დიდისა მის მამისა მიმართ, და აფუცებნ ვედრებით; რათა არა ღირს-ჰყოს იგი დამარხვად, ვითარცა კაცი, არამედ ვითარცა პირუტყვი დააგდოს იგი შესაჭმელად მხეცთა; ანუ თუ შთააგდოს იგი მდინარეთა, და



მათგანთა თქვიან, ვითარმედ: *ჰაქითუყაქა ეძის ო~რ, ძაძორაძენ ეძიე ძაძორე ჰორი ნეძრეძე ჰყრათე ძეათე.*  
 შა სხვამან თქვის: *ჰაქითუყაქა ეძის ო~რ, ძაძორაძენ ეძიე ენრეყაძიე რაღორე ჰორე, ზე ეძიე რეყარაყე ძორე ჰორე.* შა სხვამან თქვის სალმობით: *ენრეძეძიე საქორე ჰორი რორეძიე ძენ ზეაქეძეძაძორე,* სულთა მათ ჰაერისათა, რამეთუ ჯერეთ არა მინდობილ-არნ, არამედ მოელინ თუ რად ყოფად არს განსაკითხავსა მას შინა. შა სხვამან ამის უმწარესიგა თქვის, ვითარმედ ვად სულისა მის, რომელმან არა დაიცვა აღთქმა თვისი უბიწოდ ამას ჟამსა სცნას მან თუ რად განმზადებულ არს მისდა.

ჴოლო მე ვიხილე რად ესე ყოველი მათთანა კნინდა და სასოება თავისა ჩემისა განვიწირე; ვხედევდ რად ჩემსა უწესობასა და მათსა მას ღვაწლსა, რამეთუ ვითარი იყო ჰაერიცა ადგილისა მის ყოვლითურთ ბნელ, ყოვლითურთ მყრალ და ბოროტ და შესაჭირვებელ, რამეთუ დილეგ და საპყრობილე სამართლად ეწოდებოდა, ვიდრელა ადგილისა ხილვა ოდენ ყოვლისავე სინანულსა და გლოვისა მასწავლელ იყო.

წრამედ რად იგი სხვათა ძნელად და მოუთმენელად უჩნს იგი, სულიერისა სიმდიდრისაგან დაცემულთა, და მისა მიმართ მოსურნეთა ტკბილად და გემოვნად შეურაცხიან. რამეთუ სულმან რომელმან წარწყმიდოს კადნიერება იგი პირველი, და სასოებისაგან უვნებელობისა დაეცეს, და ბეჭედი იგი სიწყმიდისა განწყვნას, და სიმდიდრისაგან მადლთასა დაგლაზაკნეს, და საღ~თოსა ნუგეშინის ცემისაგან უცხო იქმნეს, და აღთქმა თვისა შეურაცხ-ყოს, და ცეცხლი კეთილთა მათ ცრემლთა მისთა დაშრიტოს, და ხსენებითა ამით ესე ვითართათა იწერტებოდეს, მან არა ხოლო თუ ესოდენნი, რომელ პირველ ვახსენეთ თავს იდვას წადიერება, არამედ სიკვდილსაცა თავისა თვისისასა ივთისათვის არა ჰრიდოს.





მათ სატანჯველთა განერნენ; და რომელნიმე ითხოვდეს, რათა მოუვლინეს მათ სიგონჯე.

ჴოლო მე ძმანო, ვიხილე რაჲ საქმე მათი, და გლოვა იგი საკვირელი დამავიწყდა თავი ჩემი, და აღიტაცა გონება ჩემი და ვერ შემძლებელ ვიყავ ნუგეშინის ცემად სულისა ჩემის. და დავყავ საპყრობილესა მას, მათ თანა ოცდა ათი დღე, და მივიქეც კვალად უთმინო ესე დიდადვე მონასტრად, დიდისა მის მამისა მიმართ.

ჴოლო მან იხილა რაჲ შეცვალებული, და განლეული ფერი ჩემი, ცნა მიზეზი იგი შეცვალებისა ჩემისა და მრქვა მე, რაჲ არს მამაო იოანე! იხილენა მოღვაწეთა მათ შრომანი? მიუგე და მარქვ მას: ჰე მამაო, ვიხილე ჭეშმარიტად ხილვა საშინელი და დამიკვირდა, და ვნატრი მე მათ, რომელნი დაეცნეს და ინანინ და იგლოვენ თავთა თვისთა, ვიდრეღა რომელნი არა დაცემულ არიან და არცა იგლოვენ. რამეთუ რომელნი იგი იგლოვდეს აღსდგეს დაცემისაგან აღდგომითა მით დაუცემელითა. ხოლო მან მრქვა მე ეგრეთ არს ჭეშმარიტად.

ჴა მითხრობდა უტყუველი იგი პირი მისი, ვითარმედ იყო აქა ძმა უწინარეს ათისა წლისა, ფრიად მშრომელი და მოსწრაფე და ვხედევდ რაჲ ესე ვითარსა მხურვალეებასა სულისა მისისასა. მეშინოდა შურისაგან ეშმაკისა კეთილის მოძულისა. ნუ უკვე მალე სრბისა მისისაგან შეუბრკმეს ფერხი მისი ქვასა, რომელი მრავალ-გზის შეცაემთხვივს მათ, რომელნი მოსწრაფედ რბიოდენ, და ეგრეთცა იქმნა.

ჴამეთუ ღამესა ერთსა აღმოვიდა ჩემდა, და გამომიცხადა მე წყლულება განცხადებულად, და ითხოვდა ჩემგან წამალსა საკურნებლად და დაწვასა, და შეურვებულ იყო ფრიად და ვინათგან ღირსი წყალობისა და შენდობისა იყოო, იხილა მან მკურნალი, რამეთუ არა ინება დამძიმება კანონისა მის ზედა.

ჴაშინ დავარდა ქვეყანასა და მოეხვია ფერხთა, და

დაბანა იგინი ცრემლითა, და ითხოვდა მისვლასა საპყრობილესა მას, რომელიცა იხილე: და ღაღადებდა ვითარმედ შეუძლებელ-არს არა მუნ მისვლა ჩემი, და აიძულებდა მოწყალებასა მკურნალისასა შეცვალებად უწყალოებისა მიმართ, რომელი ესე მცირედ იპოების სნეულთა თანა.

ჴა ესრეთ წარვიდა მონანულთა მათ თანა, და იქმნა მოყვას მათი, და თანა ზიარ ღვაწლსა მათსა. და იწყელა გული მისი მწუხარებითა სიყვარულითა ივთისათა, და მერვესა დღესა მიიცვალა ოფლისა მიმართ, და ითხოვა ვედრებით არა დამარხვად, არამედ განგდებად გარე.

ჴოლო მე აქა მოვიყვანე იგი და დავმარხე მამათა თანა, ვითარცა ღირსი, და ამისთვის შემდგომად შვიდეულისა მის დღისა მონებისა მისისა მერვესა დღესა განიხსნა და მიიცვალა აზნაურებად საუკუნოდ. და არს აქა კაცი, რომელსა ეუწყა მისთვის განცხადებულად, ვითარმედ ჯერეთ არა აღდგომილ იყო ფერხთა ამათგან შეურაცხთა და უნდოთა, რაჟამს მიუტევა იმერთმან ცოდვა იგი.

ჴა არა საკვირველ არს ესე, რამეთუ რაჟამს მოიგო სარწმუნოება დედაკაცისა მის მეძვისა, და მსგავსად მისა გულსავსებით დაალტვნა უნდონი ესე ფერხნი ჩემნი ცრემლითა, ამისთვისცა ჰპოვა შენდობა, ვითარცა სთქვა ოფელმან *რარად ძიძღე ყაოოოოოოო ყოლად ძოოოოოო-დძის ყაოად ძ-სად, ძაძოოსად ძიძღიჩილ.*

ოო. ვიხილენ სულნი შეგინებულნი, და განცოფებულნი ტრფიალებითა ბოროტითა ხორცთათა, და ამისა შემდგომად მოიპოვეს გულთა მათთა სინანულისა ცეცხლი, და ვინადგან გამოცდილ იყვნეს ტრფიალებასა. დაუტევეს ბოროტი იგი და მოიგეს ივთისა მიმართ მართალი ტრფიალება შემსგავსებული პირველისა მის მხურვალეებითა, და ყოველსავე შიშსა მეყვსეულად თანა წარბედეს და სიყვარულად ივთისა მიიწინეს, ამისთვის ოფელმან

არა თქვა მეძვისა მისთვის, ვითარმედ შეეშინდა ფრიად, არამედ შეიყვარა ფრიადო, და შეუძლო ტრფიალ-ბითა ტრფიალებისა ადვილად განდევნად საღმრთოთა მით და წმიდათა, ზოროტისა მის და მედგრისა.

უხ. ორა უმეცარ ვარ მე ზი, საყვარელნო ძმანო, ვითარმედ მრავალთა ურწმუნო უჩნ, და სხვათა სასოწარკვეთილებისა მომატყვებელად შეურაცხიან ღვაწლნი ესე, რომელნი გითხრენ, ხოლო კაცმან ახოვანმან და გონიერმან ამათ სიტყვათა მიერ მიიღოს საწერტელი და ისარი ცეცხლისა, და შური კეთილი გულად მისა საქმით, და არა სიტყვით: ხოლო რომელსა საქმეთა მათ ქმნა ვერ ძალედვას, მან იცნას თვისი უძლურება და სიმდაბლე, უკეთუ ენებოს ადვილად მოიგოს, და ესრეთ პირველსა მას სდევდეს, ხოლო არა უწყი თუმცა ეწიოს. არამედ კაცი უდები ნუ შეეხებინ თქმულთა ამათ. ნუ უკვე რასა იქმს იგიცა სასოწარკვეთილებითა წარწყმიდოს, და აღესრულოს მის იხედა სიტყვა იგი, რომელი იტყვის ვითარმედ *ძაძოჲსი დაძი დაქოიძიჲსი შაძიძიოჲსი ძაძოჲსი დაქოიძიჲსი უჲრე დაქოიძიჲსი შაძიძიოჲსი შაძიძიოჲსი*.

უი. ოწყოდეთ საყვარელნო ვითარმედ, რომელნიცა მთხრებლსა მას ცოდვისასა შთავცვივეთ, ვერ შესაძლებელ არს მიერ აღმოსვლა ჩვენი, არათუ ვიყურჭუმოთ უფსკრულსა მას მონანულთა სიმდაბლისასა.

უიი. სხვა არს მონანულთა იგი მგლოვარე და მჭმუნვარე სიმდაბლე მათი, რომელნი ჯერეთ ცოდვასა შინა არიან და დაისჯებიან სვინიდისისაგან. და სხვა არს ივთისა მიერ სრულთა ზედა მომავალი იგი სანატრელი და სულთა განმამდიდრებელი სიმდაბლე.

უიი. ნუმცა ვისწრაფით მესამისა ამის სიტყვით პოვნად თუ არა ცუდად ვშვრებით, რამეთუ სიტყვით ცნობა მისი შეუძლებელ-არს, ხოლო პირველისა მის სასწაული არს მოთმინება გინებისა და შეურაცხებისა სამარადისოდ.

უიი. შირველთა საქმეთა და ჩვეულებათა ბრძოლად

მძლავრობს მრავალ გზის მგლოვარესაცა და არა საკვირველ არს.

კყ. სიტყვა სასჯელისა მის დაცემათსა დაფარულ არს და ვერ მისაწთომელ, თუ რომელნი არიან უდებები-საგან; ანუ რომელნი არიან მიშვებითა განგებულებისათა; ანუ რომელნი არიან გარე-მიქცევითა ივთისათა მოწევ-ნული. გარნა ესე ვინმე მითხრა, ვითარმედ განგებულე-ბით მოწევნულთა, ადრე აქვს მათგან მოქცევა, რამეთუ არა შეგვინდობს მყოვარ ჟამ ტანჯვად ეშმაკისაგან, რომელმან იგი მოგვცნა ჩვენ განსწავლად.

კრ. ჟომელთა შეგვემთხვიოს დაცემაჲ, ვისწრაფოთ ბრძოლად ეშმაკისა, უფროს ყოვლისა ჟამსა ლოცვასასა; რამეთუ მაშინ მოგვიხდის იგი, და მოგვახსენებნ პირველ-სავე მას კადნიერებასა ჩვენსა ივთისა მიმართ, და ჰნე-ბავნ რათამცა დაგვახრწნა ლოცვისაგან და ვედრებისა ღვთისა.

კდ. ნუ შეურვებულ იქმნები უსასოებითა, დაღაცა-თუ დაეცემოდე ყოველთა დღეთა; არამედ დეგ სიმხნით და გონიერად სინანულსავე შინა; და სთნდეს მოთმინება შენი ონგელოსსა მას, რომელი იგი დადგინებულ არს მცველად შენდა, და უეჭველად შეგეწიოს შენ.

კე. მყოვლება ვიდრელა ახალ იყოს, ადვილ არს საკურნებელად: ხოლო დაძველებულნი და უდებ ყო-ფილნი, ძნიად საკურნებელ-არიან; და ფრიადი შრომაჲ და მახვილი, წამალი და დაწვაჲ უხმს მათ, ამას საწუთო-სავე; რათა არა მუნ დაიწვას მათ მიერ თავადიცა იგი სული.

კე. ჟომელნიმე წყლულებანი ჟამთა სიგრძესა ვერ განიკურნიან, ხოლო ივთისაგან ყოველივე შესაძლებელ არს.

კვ. უირველ შთავრდომადმდე ცოდვასა ეშმაკნი გვეტყოდინ ვითარმედ: იმერთი, შემნდობელ არს ცოდ-ვათა; და შემდგომად დაცემისა გვეტყოდინ; ვითარმედ



კაცსა თანა-მდებად შეერაცხოს თავი თვისი.

რჩ. ორა რად არს სწორი წყალობათა და სახიერებათა ივთისათა, ამისთვის უკვე რომელმან სასოება წარიკვეთა, მან ნებსით მოიკლა თავი თვისი.

რამ. ყოველსა რომელსა აქვნდეს სიმდაბლე და გლოვა ცოდვათა თვისთათვის, ესე ვითარი არა უდებ იქმნას, ვიდრე დღემდე სიკვდილისა, ხოლო რომელნი ამათ ორთაგან კიდე არიან თავთა თვისთა აცთუნებენ.

შ. სასწაული ჭეშმარიტისა სინანულისა ესე არს, რათა ყოველთა ჭირთა და განსაცდელთა საჩინოთა და უჩინოთა ღირსად შეგვერაცხნენ თავნი ჩვენნი.

შრ. შოსე შემდგომად ხილვისა ივთისა, მაცლოვანსა შინა, კვალად ეგვიპტედ მიიქცა, რომელ არს სიბნელე, სადა იგი ალიზი ფარაოსი იქმნებოდა. არამედ კვალად აღვიდა მაცლოვანად და უზესთაესცა მიიწია. რლი გულის ხმა ყოფდეს სიტყვასა ამას, არა ოდეს წარიკვეთოს მან სასოება.

შყ. შაგლახაკნა იობცა, არამედ კვალად განმდიდრდა ორ წილად.

შრ. ოდებთა თვის ძნელ არიან შდ აღთქმისა დაცემანი, რამეთუ უვნებელობისა სასოებასა წარწყმედენ. და სანატრელ არს მათთვის მთხრებლისა მისგან აღდგომა ოდენ.

შდ. ორა ვიქცეთ კვალად მასვე გზასა რომელსა შინა ვსცეთით, არამედ მოვედით და სხვა წარვლოთ მოკლე და ახლოდ.

შრ. ოიხილენ ორნი ვინმე ერთსა ჟამსა შინა, და ერთსა გზასა შინა ღვთისასა მიმავალნი, და ერთი იგი მოხუცებული იყო, და უპირატესი შრომითა, და მეორე იგი მოწაფე იყო *ძე ძყუაძე აქოუნიძე* ბერისა მის, მოწაფე იგი, *ძე აქსოძია ძეა სეჟოძე* სიმდაბლისა.

შრ. ოეკრძალნეთ ყოველნი და უფროს ხოლო და-

ცემულნი, რათა არა დაემკვიდროს გულთა ჩვენთა უღმრ-  
თო ორიგენის სენი, რამეთუ ივთისა კაცთ მოყვარებასა  
წინა-ჰყოფს ბილწი იგი, და შესაწყნარებელ იქმნების  
გემოთ მოყვარეთა და უღებთა მიერ.

*ჟხ. ნახდყოდსა ხოჰსა, და უფროსდა სინანულსა*  
ჩემსა შინა *ნუნდუძონ ქოქსოა* ლოცვისა, შმქყველი  
ნივთსა ვნებათასა.

*ჟი. საზღვარ, და წეს, და სახე სინანულისა, იყვნედ*  
შენდა პირველ ხსენებულნი იგი წმიდანნი, დილეგსა შინა  
მყოფნი; და არა ფრიად გეხმაროს წიგნი, ვიდრემდის  
გამოგიჩნდეს შენ ჴრისტე ძე ივთისა, აღდგომასა მას  
სინანულისასა, რამეთუ მისი არს დიდება თანა მამით და  
სულით წმიდითურთ აწდა მარადის და უკი უკუნისამ-  
დე. ამინ.

**ქუთნი კიბენი აღვივლიან ზი მონანულო, რამეთუ ხუთნი იგი საცნო-  
ბელნი განგიწმედიან სინანულისა მიერ, და იძულებითისა მისგან საუკუ-  
ნოსა სატანჯველისა ნებსით ამასვე საწუთროსა, და ტანჯვითა თავისა შენისათა  
განრომილი ხარ.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მიმიწინი და ზე განგისვენო თქვენ



ულთა შინთქმული გოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი ლიბე



## ქქმული მისივე ხსენებისათვის სიკვდილისა

### ტქტი ტ

დ. ყოვლისა სიტყვისა წინა-მძღვარი არს მოგონება და ყოვლისა ტირილისა და გლოვისა წინა-მძღვარი არს ხსენება სიკვდილისა და ცოდვათა თვისთა, ამის-თვისცა წესისაებრ თვისისა სიტყვასაცა შინა ჩვენსა და-ვაწესეთ.

ე. წსენება სიკვდილისა არს, მარად-დღე სიკვდილი.

ვ. ხსენება სიკვდილისა არს, სულთქმა სამარადისო.

გ. შიში სიკვდილისა არს საქმე ბუნებითი, ურჩებისაგან მოწვევული; ხოლო ძრწოლა სიკვდილისაგან, სახე არს შეუწანებელთა ცოდვათა.

დ. ყეეშინა ჴრისტესა სიკვდილისაგან, გარნა არა შეძრწუნდა, რათა ორთავე ბუნებათა თვისებანი გამოაჩინნეს.

ე. ჴითარცა ჰური უსახმარეს არს ყოველთა უფროს საზრდელთა, ეგრეთვე ხსენება სიკვდილისა უადრეს არს ყოველთავე გულის სიტყვათა და წვრთათა.

ვ. წსენება სიკვდილისა, ერსა შორის მყოფთა თანა ჰშობს შრომათა და მოღვაწებათა, და შეურაცხებისა თავს-დებასა; ხოლო მარტოდ მყოფთა თანა ტკივილსა გულისასა, და დედა მისსა არს სიტკბოება სანატრელი, რომლისაგან იქმნების ზრუნვათა დატევება, და ლოცვა სამარადისო, და დაცვა გონებისა, და ესე საქმენი არიან მშობელნიცა და ასულნიცა მისნი.

გ. ჴითარცა ცხადად საცნაურ არს განყოფილება ბრჰენისა ვეცხლისაგან, დაღაცათუ მსგავს მისა არს; ეგ-

რეთვე ცხადად საცნაურ-არს გულის-ხმის-მყოფელთა მიერ ბუნებითი, და გარეგან ბუნებისა შიში სიკვდილისა.

ბ. ესე არს სახე და სასწაული ჭეშმარიტისა სიკვდილისა ხსენებისა, შეურაცხება ყოველთა საქმეთა სოფლისათა, და ნებისა თვისისა სრულიად დატევება.

მ. ჟომელი მარად-დღე სიკვდილსა მოელოდეს, იგი ჭეშმარიტად გამოცდილი არს; ხოლო რომელსა მარად-დღე სუროდეს სიკვდილისათვის, იგი სამართლად წმიდა და სრულ-არს.

7. წრა ყოველი გულის-თქმა სიკვდილისა კეთილ არს, რამეთუ არიან რომელნი მარადის სცთებიან მძლავრებითა ჩუეულებისათა, და სიმდაბლით სურის რათამცა მოიწია სიკვდილი და განერნესცა საქმისა მისგან და არიან სხვანი რომელნი უგულის-ხმოებით ინატრიან სიკვდილსა უგუნურებით. და არიან სხვანი, რომელთა სინანული არ ნებავსთ, და სასოწარკვეთილებისაგან სიკვდილად მიისწრაფიან. და არიან სხვანი, რომელთა ამპარტავნებისაგან უვნებელად შეურაცხიან თავნი მათნი, და ამისათვის არა ეშინისთ სიკვდილისაგან. და არიან სხვანი, უკეთუ ოდენ არიან, სადა აწ ესე ვითარნი, რომელთა შორის სული ჰმიდა დამკვიდრებულ არს, და ძალითა მისითა ჰსურისთ განსვლისათვის ამიერ სოფლით.

7დ. ღიეთნიმე გამოეძიებენ და იტყვიან თუ, ვინათგან ესრეთ სარგებელ მეყოფვის ჩვენ სიკვდილისა ხსენება, რასათვის დაფარა იმერთმან ცნობა ჟამისა მის წინასწარვე ჩვენ მიერ, და არა იციან? ვითარმედ ესე ქმნა ცხოვრებისათვის ჩვენისა საკვირველად, რამეთუ უკეთუმცა კაცთა სიკვდილი თვისი წინასწარ იცოდეს, არამცა ვინ მოვიდოდა პირველ მრავლისა ჟამისა ნათლის-ღებად, ანუ მონოზონებად, არამედ ყოველთამცა დღეთა მათთა გარდაიხდიდეს კაცნი უსჯულოებითა; და ჟამსაცა სიკვდილისასა მოვიდოდეს ნათლის-ღებად და სინანულად.

7ე. ჟაჟამს იგლოვდე, ნუ შეიწყნარებ ეშმაკსა მას,

რომელი მოგიხდეს და გეტყოდის, ვითარმედ რად იგლოვ, რამეთუ იმერთი კაცთ მოყვარე არს, და თვინიერ გლოვისაცა შეგინდობს. რამეთუ ესე არს განზრახვა მისი, რათამცა გლოვა და შიში ივთისა განაშოროს შენგან; გარნა უკეთუ სული სასო წარკვეთილებისა გმძლავრობდეს, მაშინ ნუ ერიდები ამას გულის სიტყვასა.

76. ჟომელსა ენებოს მოგება ხსენებისა სიკვდილისა, და ხსენებისა ივთისა, და მისცეს თავი თვისი ზრუნვათა და უცალოებათა ხორციელთა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან შეიკრნის ხელნი თვისნი და ენების ცურვაჲ.

77. წსენებამან სიკვდილისამან განკვეთის გემონი ჭამდთანნი, ხოლო რაჟამს ესე ვითარნი იგი გემონი სიმდაბლით განიკვეთნიან მათთანა განიკვეთნიან ვნებანიცა.

78. ოღმობელობამან გულისამან განაფიცხის გონება, ხოლო სიმრავლემან ჭამადთამან განახმნის ცრემლთა წყარონი.

79. ჩყურვილმან და მღვიძარებამან შეაიწრონ გული, ხოლო რაჟამს გული შეიწრდეს მგლოვარე არს და იწყიან ცრემლთა დინებად.

80. ესე სიტყვანი ფიცხელ და მძიმე არიან ნაყროვანთათვის და ურწმუნო მცონართათვის, ხოლო კაცმან მუშაკმან სიმართლისამან გამოსცადის და პოვის საქმე კეთილისა.

81. ჟომელმან გამოცდით პოოს, მხიარულ-იყოს ამას ზედა; ხოლო რომელი ჯერეთ ეძიებდეს, მწუხარე იყოს ვიდრემდის პოოს.

82. თითარცა სრულსა სიყვარულსა იტყვიან მამანი, ვითარმედ არა სადა დაეცემის, ეგრეთვე მე სრულსა სიკვდილისა ხსენებასა, უშიშად სახელვსდებ.

83. შრავალნი არიან მოღვაწეთა გონებისა საქმენი, ვითარ სიყვარული ივთისა, ხსენება ივთისა, ხსენება სასუფეველისა, ხსენება შურისა წმიდათა მოწამეთასა, ხსე-

ნება ხედვისა ივთისა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ *წინ-  
სკოძი-რუღიჲოძ ოძინისა, წინეჲი იჲჰსა ეძს ძეძი-  
ძუს*, ხსენება წმიდათა მათ და უხილავთა ძალთა, ხსენება  
სიკვდილისა შემთხვევისა ივთისა, სატანჯველთა და მერ-  
მისა მის განჩინებისა, დიდთა საზომთაგან ვიწყეთ, ხოლო  
უცთომელთა და დაუცემელთა ზედა დავასრულეთ.

ჲ. შითხრობდა ძმა ერთი მეგვიპტელი, ვითარმედ  
შემდგომად მტკიცედ დანერგვისა გულად ჩემდა ხსენები-  
სა მის სიკვდილისა, ვინებე ოდესმე ნუგეშინის ცემაჲ ხო-  
რცთა ჩემთა მცირედ; რამეთუ ესრეთ ჯერ იყო, არამედ  
ხსენებამან მან, ვითარცა აღვირმან დამიმჭირა, და დამაყენა  
საქმისა მისგან, და საკვირველი ესე არს, რომელ ვინებე-  
ცა განშორება მისი, და ვერ შეუძლე.

ჲ. შა სხვა ძმაო იყო აქა დამკვიდრებული, ადგილ-  
სა მას რომელსა რქვიან თოლა, და მრავალ გზის ამის  
გულის სიტყვისაგან განლიგნის, და ვითარცა ცნობა მი-  
ღებულ იქმნის; ანუ ვითარცა გულ-შეღებული, და ვა  
უსულო: აღიღონ იგი ძმათა, რომელნი მუნ იპოვნიან.

ჲ. წრა დავიდუმო მითხრობად შენდა *Გსუქისიცა*  
*წოზიბელისა* საქმე, რამეთუ ესე პირველად იყოფებოდა  
უღებებით, და არა ზრუნვიდა სულისა თვისისათვის ყო-  
ვლადვე, და ვითარ იყო ესე ესრეთ: მოიწია მის ზედა  
სენი ფიცხელი და აღტაცებულ იქმნა იგი, და ჟამ ერთ  
ქეშმარიტებით განვიდა მისგან სული მისი, და მერმე მო-  
ეგო კვალად თავსავე თვისსა, და შევედრა ჩვენ რომელ-  
ნი ვიყვნით მუნ, რათა განვედეთ გარე, და ვითარცა გა-  
ნვედით გარე, აღსდგა მეყვსეულად და დაყო კარი  
სენაკისა თვისისა და დასჯდა მუნ შინა შეყენებულად  
ათორმეტ წელ.

შა არავის მიუგო სიტყვა ყოვლადვე, არცა მცირე  
არცა დიდი, არამედ პურსა ოდენ და წყალსა მიიღებდა  
დუმლით, და ზინ მარადის, და გონება მისი აღტაცე-  
ბულ არნ, ხილვათა მათ მიმართ, რომელნი იხილნა და

არნ ესრეთ მგლოვარედ და მჭმუნვარედ, რომელ არა ოდეს შეეცვალა, უწყის ოფალმან წესი და სახე თვისი. არამედ მარადის, ვითარცა განლიგებული სდგა, და ცრემლნი მხურვალენი მდუმრად სდიოდნან.

ჴოლო ოდეს მოიწია აღსასრული მისი განვადეთ კარი და შევედით, და ფრიად ვევედრენით რათამცა მოგვიგო სიტყვა და სხვა არა რა მოგვიგო, გარნა ესეოდენ, ვითარმედ შემინდვეთ მამანო, რამეთუ არა ვინ არს, რომელმანცა მოიგო ხსენება სიკვდილისა, და შეუძლომცა მან, ქმნად ცოდვისა ოდესმე. ხოლო ჩვენ გვიკვირდა, რაჟამს ვხედავდით მას, რომელი პირველ ესე ვითარი იყო და ესრეთ მეყსა შინა, შეიცვალა შეცვალებითა მით სანატრელითა.

ჴოლო მიიცვალა რა წმიდა იგი და დავმარხეთ გვამი მისი სამარხოსა მას, რომელ არს მახლობლად მონასტრისა, და შემდგომად დღეთა მცირედთა მომხადეთ საფლავსა მას, და ვერღარა ვპოეთ წმიდა იგი გვამი მისი, რამეთუ ოფალმან მისცვალა იგი ვინაძცა ენება, რათამცა ამასცა ზედა გულ-სავსე-ყვნა იგინი ყოველნი, ვითარმედ შეუწირავს სინანული მისი, რათა არა უსასო იყვნენ ყოველთა რომელთა ნებავს შემდგომად უდებებისაცა მოსვლა სინანულად.

ჲბ. ვითარცა უფსკრულისათვის ზღვათასა იტყვიან, ვითარმედ მიუწთომელ არს, ეგრეთვე ხსენებისა სიკვდილისა სიწმიდეცა და საქმეცა მიუწთომელ არს, და გულ-სავსე გყოს ამას ზედა პირველ თქმულმან ამან წმიდამან.

ჲჟ. ყიშითა-შიშსა მოიგებენ ესე ვითარნი, დაუცადებელად ვიდრემდის ძვალთაცა მათთა ძალი არა განილიოს.

ჲჟჟ. უღლის ხმა ვყოთ ვითარმედ ესეცა ნიჭი არს ღვთისა სხვათა მათ ყოველთა ნიჭთა თანა მისთა, თუ არა ვითარ მრავალ-გზის საფლავებსაცა მივიდეთ და უცრემლოდ და განფიცხებულად ვეგნეთ; და მრავალ გზის

თვინიერ ხილვისა რაისამე ესე ვითარისა ლმობიერ ვიქმნით და ვსცნით ვითარმედ ივთისა ნიჭი არს იგი ჟამი.

47. ჟომელი ყოვლისაგანვე ხორციელისა საქმისა მოკვდეს, მან მოიგოს ხსენება სიკვდილისა; ხოლო რომელი ჯერეთ შეკრულ არს სიყვარულსა, საქმეთა და ზრუნვათაცა ვერ შემძლებელ არს დადგომად ხსენებასა შინა სიკვდილისასა ესე ვითარი, რამეთუ მტერი არს იგი თავისა თვისისა.

28. ნუ გნებავნ ყოველთა სიტყვით გულ სავსე ყოფად, შენისა მათდა მიმართ სიყვარულისათვის; არამედ უფროსად ღვთისაგან ითხოვდი, რათა მან გულსავსე ყვნეს იგინი გამოუთქმელად, თუ არა ვერ კმა გეყვნენ ჟამნი შენნი ხორციელისაცა სიყვარულისა ქონებად, და გლოვადცა; რამეთუ ესე ორნივე ზოგად ძნიად იპოვებიან.

29. ნუ აცთუნებ თავსა შენსა ჟი უდებო, და უგუნურო მუშაკო, რათამცა დღეს უდებ იქმნებოდე და ხვალემცა აღასრულე დღესისაცა. რამეთუ არა კმა არს დღე თვისსავე თანა ნადებსა აღსრულებად, ვითარცა ჯერ-არს მეუფისა მიმართ.

30. ღერ შემძლებელ არიან კაცნი სიმართლით გარდახდად დღისა ერთისაცა, გარნა ესრეთ რათა ყოველსა დღესა ვიტყოდეთ თვითოეული, ვითარმედ ესე დღე აღსასრული არს ჟამთა და წელთა ჩემთა, და მივალ წინაშე საყდართა და დალიჭსა საშინელსა და შევემთხვევი მსაჯულსა სიმართლისასა.

31. საკვირველ არს ვითარ წარმათთაცა ესრეთ სთნდა ესე, ვიდრელა სთქვეს, ვითარმედ სიბრძნე ხსენება არს სიკვდილისა, რომელსა შინა წმიდადმცა მოპოვებით ჩვენ მორწმუნენი მაღლითა ოფლისათა. რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ესე მეექვსე კიბე არს, რომელი მიიწიოს ამას ზედა, მან არღარა სადა სცოდოს, რამეთუ წერილ არს ვითარმედ იხსენებდი უკანასკნელსა მას დღესა სიკვდილისა შენისასა, და უკუნისამდე არა სცოდო.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტყირთ მძიმენი და ჰე განგისვენო თქვენ



ვლთო შთანთქელი ჯოჯობეთი სულთო მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

ქეზული მისივე მზიდისა მამისა ჩვენისა იოანესი

ႁႃႏႃႏႃႏ

ႃႃႃ ႃ.

ႃ.

ႃ. გლოვა ჭემმარიტი საღმრთოდ ესე არს მჭმუნვა-  
რება სულისა და გული მწუხარე, რომელი მა-  
რადის იურვეზნ საქმეთათვის სატკივართა, და ყოველსა  
ჟამსა ტრფიალისა მის მიმართ თვისისა, წყურიელ არიან,  
და რაჟამს ვერ ეწიის ეძიებნ მას ტკივილითა გულისათა,  
და შემდგომად მისს გოდებით ხმოზნ კვენესით და სულ-  
თქმით.

ႃ. ႁლოვა ჭემმარიტი დეზი არს ႃქრომსა, რომე-  
ლი ყოველსა ჟამსა უწერტნ სულსა, და იგი განშიშვლე-  
ბულ არს ყოვლისაგან ამის სოფლისა სიყვარულისა, და  
ხორციელისა ნუგეშინის ცემისა, და ყოველთა ნათესავ-  
თა და თვისთაგან, და იგი ႃდენ არნ მისდა საქმე, რო-  
მელი დანერგა გულსა მისსა მწუხარებამან ამან ႃვთის-  
მოყვარემან.

ႃ. ႁლოვა ტანჯვა არს სვინიდისისა, დაუცადებელი,  
რომელი აღსარებისა მიერ სულიერისა აღაგზნებ ცეცხლ-  
სა მას გულისასა.

ႃ. ႁლოვა დავიწყება არს ბუნებისა, ვითარცა მას  
ნეტარსა მას დავიწყდა ჭამად პური თვისი, რომელიცა  
გალობს ამას.

ႃ. სინანული ჭემმარიტი ესე არს, განშორება ყოვ-  
ლისავე ნუგეშინისცემისაგან ხორციელისა შეუწუხებე-  
ლად.



ჟ. გლოვა ჭემმარიტი ესე არს სული მჭმუნვარე, მტკივნეული მხურვალეებითა გულისათა, და წყურიელი ყოველსა ჟამსა ძიებასა მისსა, და ოდეს გამოუბრწყინდეს შრომით მისდევნ მას და ჭირით და მწუხარებით სულთითქვამნ უკანა მისსა, და რომელი ესრეთ იყოს იგი არს გლოვა.

ზ. გლოვა განშიშვლება არს ყოვლისაგან მოსაკიდებელისა ამის სოფლისა, და განშორება და განყენება ყოვლისაგან, და შედგომა სრულსა მას მწუხარებასა კეთილთა მომატყვებელსა, და რათა იყოს გული მისი, ვითარცა ისრისაგან მოწყლული განუკურნებელად, და მოსურნე საწადელისა მის მიმართ.

ჩ. გლოვა მიმდემი გულის-სიტყვა არს, რომელი მარადის უწერტნ გულსა ღმობიერებით აღსარებად ცოდვათა, მოტყინარებისაგან მხურვალეებისა მისისა.

ც. რომელი ახლად შესრულ იყვნენ გლოვასა ამას შინა სანატრელსა და ეწყოს წარმატებად საქმე მათი არს მარხვა და დუმილი; ხოლო რომელნი წარმატებულ იყვნეს მას შინა, მათი სასწაული არს ურისხველობა და ძვირ-უხსენებლობა. ხოლო რომელნი განსრულებულიყვნენ მას შინა, მათი სასწაული არს სიმდაბლე და წყურვილი, სმისათვის კდემისა, და შიმშილი ნებსით ჭირთათვის და განსაცდელთა უნებლიეთთა, და სურვილი იწროებისა და დაცვა განკითხვისაგან ცოდვილთასა, და ტკივილით თანა ზიარ-ყოფა ძმათა, რომელი ჭირსა შინა იყვნენ.

დ. შესაწყნარებელ არიან პირველნი იგი; და საქებელ მეორენი; ხოლო ნეტარ არიან მესამენი და სახარულევან, რომელნი იგი ნებსით თვისით მშიერ არიან იწროებისათვის; და წყურვილ-კდემისა და ყვედრებისათვის, რამეთუ ჭემმარიტად განსძღენ იგინი საშვებელთა მათგან განუძღომელთა.

ე. ზოი, ეგე რომელსა შეგიკრძალავს გლოვა, დაი-

ცევ იგი ყოვლითა ძალითა შენითა, და მოეკიდე მას ფიცხელად რამეთუ უწინარეს დანერგვისა მისისა შენ შორის და ძირთა დაბმამდე მსწრაფლ განგეშოროს და ივლტვოდის, არათუ კეთილად შეიკრძალო, რამეთუ შფოთისაგანცა და ზრუნვათაგანცა ხორციელთა, და ფართობით ცხოვრებისაგანცა, და შვებისა; და უფროს ხოლო მრავალ მეტყველებისაგან და განცხრომისა; ვითარცა ცვილი ცეცხლისაგან, ესრეთ მსწრაფლ დადნების და წარვალს.

75. ეყარონი ცრემლთანი უდიდეს ნათლის ღებისა არიან, შემდგომად ნათლის ღებისა; დაღაცათუ კადნიერ არს სიტყვა ესე: რამეთუ ნათლისღება პირველ ქმნულთა ცოდვათა ჩვენთა გამწმედელი არს, ხოლო ცრემლნი შემდგომად ნათლის-ღებისა ჩვენისა ქმნულთა ცოდვათა ჩვენთა მომტევებელ არიან. და ნათლისღება რომელთა სიჩჩოისა მოვიდეთ, შევაგინეთ, ხოლო ცრემლთა მიერ მასცა განვაახლებთ, ხოლო რომელ ესე უკეთუმცა არა მოცემულ იყვნეს ღვთისა-მიერ მცირედნიმცა იყვნეს, რომელთამცა პოვეს ცხოვრება.

76. სულთქმანი და გლოვა დაღადებენ უფლისა მიმართ, ხოლო სატანჯველთა შიშისაგან მოსრულნი ცრემლნი მეოხ არიან ჩვენთვის ხოლო ყოვლად წმიდისა მის სიყვარულისა მიერ მომავალნი გამომაცხადებენ და გულსავსე გვყოფენ შეწირვასა ლოცვათა ჩვენთასა.

77. ოკეთუ არა რად ესრეთ თანა შემწე ექმნების სიმდაბლესა, ვითარ გლოვა საცნაურ არს, ვითარმედ არა რად ესრეთ წინა-აღუდგების მას ვითარ სიცილი.

78. შამოეკიდე საყვარელო ყოვლითა ძალითა შენითა გლოვასა, და ლმობიერებასა მას სანატრელსა, და ნუ დასცხრები მისგან ვიდრემდის აღგამადლოს ყოველთაგან სოფლისა საქმეთა და განწმედილი ჭრისტესდა წარგადგინოს.

79. ნუ დასცხრები გამოსახვად გონებასა შინა შენსა

და წვრთად უფსკრულსა მას ცეცხლისა მის ბნელი-  
სასა, და მსახურთა მათ უწყალოთა, რომელნი მუნ არი-  
ან; და მსაჯულსა მას საშინელსა და შესაძრწუნებელსა  
და თვალ-უხვავესა; და მღვიმეთა მათდა ჯურღმულთა  
მიუწთომელთა. აღისა მის ქვესკნელისათა; და წყვდიად-  
თა მათ საშინელთა ადგილთა; და იწროთა მათ შთასავა-  
ლთა და ბოროტთა, და ყოველთა ამათ ესე ვითართა  
იხსენებდი, რათა ფრიადისა მისგან შიშისა და ძრწოლისა  
დაშრტეს მხურვალეობა იგი ხორცთა, და შეერთოს გუ-  
ლი ჩვენი უხრწნელსა მას სიწმიდესა, რომელი ბრწყინ-  
ვიდეს უფროს ცეცხლისა, და განანათლებდეს სულსა.

76. ზადეგ ლოცვასა შინა შენსა ძრწოლით, ვითარ-  
ცა ავაზაკი დასჯილი წინაშე მსაჯულისა, რათა გარეგა-  
ნითაცა სახითა და შინაგანითა გულის-სიტყვითა დაშრი-  
ტო გულის-წყრომა მართლისა მის მსაჯულისა, რამეთუ  
არა უგულუბელს ყოფს ოგი სულსა მგლოვიარესა, რომე-  
ლი ვითარცა ქვრივი მწუხარებით დგეს წინაშე მისა და  
აწყინებდეს მოუწყინებელსა მას.

77. ჯომელმან მოიგოს გლოვა სულიერი, მისდა ყო-  
ველივე ადგილი მარჯვე არს გლოვისა და სულთქმისათ-  
ვის, უკეთუ კ~ულა გარეგანითა სახითა აღასრულებდეს  
გლოვასა, მაშინ ნუ დასცხრების გამოძიებად, ადგილთა  
და სახეთა მომატყვებელთა გლოვისათა.

78. ღითარცა საუნჯე დაფარული უფროს შეკრმა-  
ლული არს, ვიდრეღა სავაჭროსა უბანთა ზედა მიფენი-  
ლი, ეგრეთვე პირველ თქმული ესე გლოვისა სახე გუ-  
ლის-ხმა ყავნ.

79. ნუ ემსგავსები მათ, რომელთა მკვდარნი დაემარხ-  
ნიან და ოდესმე გოდებენ მათ ზედა და ოდესმე სმი-  
დენ და დაითვრებოდენ მათთვის, არამედ მიემსგავსე მათ,  
რომელნი საპყრობილესა შინა არიან, და მარად დღე  
მტარვალთა მიერ იტანჯებიან.

80. ჯომელი ერთ გზის იგლოვდეს, და ერთ გზის

იცინოდეს და განსცხრებოდეს, მსგავს არს იგი კაცსა მას, რომელი პურთა ესვრინ ძალსა მას გემოთ-მოყვარები-სასა, რომელი იგი სახითა განაძებს მას, ხოლო საქმითა აწვევს მისა მოსვლად.

ჟე. უქმენ საყვარელო მჭმუნვარე და ნუ მაჩვენებელ, არამედ გულსა შინა შენსა ოდენ იყავ მჭმუნვარე, რამეთუ ძრწიან ეშმაკნი მწუხარებისაგან, ვითარცა მპარავნი ძალ-თაგან.

ჟე. წრათუ აქა არს ქორწილად წოდება ჩვენი ზი საყ-ვარელნი, არამედ მას საუკუნესა, ხოლო აქა რომელნი იგი გვიწოდა ჩვენ, გლოვად თავთა თვისთათვის გვიწოდა.

ჟე. ჯომელნიმე სცრემლეოდინ რა და ტირდინ, აი-ძულეებენ თავთა თვისთა ამაოდ, რათამცა არა რად აქვნდა გულის-სიტყვა ჟამსა მას სანატრელსა, და არა იციან ვი-თარმედ ცრემლნი რომელნი იყვნენ თვინიერ გულის-სიტყვისა, პირუტყვისა და არა პირმეტყველისა ბუნებისა საქმენი არიან.

ჟე. ნაშობი კეთილთა გულის სიტყვათა არს ტირი-ლი, ხოლო მამაკეთილთა გულის სიტყვათა არს გონება პირმეტყველო შიშითა ივთისათა განხურვებული.

ჟე. იყავნ შენდა სარეცელსა ზედა დაწოლა შენი საფლავსა შინა დაწოლისა გამომსახველ, და მცირედ და-იძინო, და დაჯდომა ტაბლასა ზედა, იყავნ შენდა მწარი-სა მის უკვდავთა მათ მატლთა ტაბლისა მომახსენებელ და მცირედ და ზომით უძლო ჟამა.

ჟე. ნუმცა რაჟამს წყალსა შენსა შესმიდე, ნუ დაი-ვიწყებ წყურვილსა მას ალისა საუკუნოსასა, და უეჭვე-ლად აიძულო ბუნება შენი.

ჟე. წამსა შერისხვისა და შეურაცხებისა მოძღვრისა ჩვენისასა; მსაჯულისა მის საშინელი განჩინება მოვიხსე-ნოთ, და ესრეთ შეუძლოთ მწუხარებისა მის და მრისხა-ნებისა პირუტყვებრისა სიმშვიდითა და მოთმინებითა, ვითარცა ორ პირითა მახვილითა მოწყევდად.

კჲ. ჴამითა მოაკლდების ზღვასა, ვითარცა იტყვის იობ, და ეგრეთვე ჴამითა და მოთმინებითა, მცირედ მცირედ თქმულნი ესე ჩვენ შორის დაემკვიდრებიან, და სრულ იქმნებიან, და ჩვენ სრულ გვყოფენ.

რ. წსენება ცეცხლისა მის საუკუნოდსა მარადის დაწვებოდენ და აღდგებოდენ შენთანა, და ვეროდეს გეუფლოს შენ დახსნილება ჴამსა ლოცვისასა.

რჲ. შოგიყვანენ შენ გლოვად სახემანცა სამოსლისა შენისამან, რამეთუ შავი გმოსიეს, რომელ ეგე სახე არს გლოვისა, რამეთუ ყოველნი, რომელნი მკვდართათვის იგლოვდენ, შავსა შეიმოსენ.

რჲ. ოკეთუ არა გაქვს გლოვა, თვით ამისთვის იგლოვდი, რომელ არა გაქვს გლოვა, უკეთუ კულა გაქვს გლოვა, ამისთვის იგლოვდი, რამეთუ გარდამოიყვანე თავი შენი უშრომელისა მისგან და პატრონისა და სახარულეევანისა წესისა, საქმედ და სადგურად ჴირისა და ტანჯვისა, ცოდვათა შენთათვის, და ამისთვის გიღირს მრავალი გლოვა და ტირილი და გოდება.

რჲ. ვითარცა ყოველსავე საქმესა ზედა სამართალსა სასჯელსა სჯის უფალი ჩვენი, ეგრეთვე ცრემლთაცა ზედა ბუნებისა ძალსა განიკითხავს; რამეთუ ვიხილენ მე ცრემლნი მცირენი, რომელნი ვითარცა სისხლნი ტკივილით დაითხეოდეს და ვიხილენ კვალად ცრემლნი რომელნი ვითარცა წყარონი გარდამოდოდეს უშრომელად, ხოლო მე შრომისაებრ და ტკივილისა ვნატროდი მოღვაწეთა მათ, და არათუ სიმრავლისაებრ ცრემლთასა, და ვგონებ თუ იმერთსაცა ეგრეთვე იგინი უფროს სათნო ეყოფიან, რომელნი შრომით და ტკივილით მცირედ ცრემლოიან, ვიდრედა რომელნი იგი უშრომელად ფრიად დასთხევენ ცრემლთა.

რჲ. Ⴀრა სარგებელ-არს მგლოვარეთათვის ივთისმეტყველებად და ზრახვა საქმეთა ზეცისათა, და საქმეთა სჯულისათა, რამეთუ დახსნის ვსე ყოველი გლოვასა მათ-

სა, რამეთუ ესე მსგავს არს საყდართა ზა მჯდომარისა; ხოლო რომელი გლოვასა შინა იყოს მსგავს არს ნაცარსა ზედა და ძაძასა მსხდომარეთა და ამისთვისცა დავით და-ღაცათუ მოძღვარი ბრძენი იყო, გარნა იგლოვდა რაჲ და იტყოდა ესრეთ, ვითარმედ, *ჟოთინძიჟი ოუენოაყბი ენ-ოაყენს; ოჟოთინძიჟი ჟოთინძიჟი ენ-ოაყენს; ოჟოთინძიჟი ჟოთინძიჟი ენ-ოაყენს; ოჟოთინძიჟი ჟოთინძიჟი ენ-ოაყენს;* რომელ არიან ვნებანი წარმტყვენელნი სულისანი.

*რბ.* ჯაჟამს სული თავით თვისით, თვინიერ მოსწრაფებისა და შრომისა ჩვენისა ლმობიერ და მტირალ იქმნის, და მოსდიოდინ თუალთა ჩვენთა ადვილად ცრემლნი, მაშინ ვისწრაფოთ, რამეთუ ოფალი ჩვენი უხდელად მოვიდა და მოგმცა ჩვენ ღრუბელი განსასვენებელად და წყალი ცხოვრებისა, რომელ არიან ცრემლნი განზანად ცოდვათა ჩვენთა, რომელნი არიან დაწერილ ხელთ წერილსა მას საქმეთა ჩვენთასა.

*რგ.* ვითარცა გუგა თვალისა შეიკრძაღე ძმაო ეგე ვითარი ჟამი, ვიდრე მიფარვამდე თავით თვისით, რამეთუ ფრიად უმეტესი ძალი აქვს მას სარგებელად ჩვენდა, ვიდრეღა მოსწრაფებითა ჩვენითა მოგებულსა.

*რდ.* ღრათუ რომელი ოდესცა ენებოს იგლოვდეს, იგი მიწევნულ არს სიკეთესა გლოვისასა, არამედ რომელი რომელსაცა საქმესა ზედა ენებოს, არამედ რომელი, ვითარცა ღმერთსა ენებოს ეგრეთ იგლოვდეს – მას აქვს ჭეშმარიტი გლოვა.

*რე.* შრავალ-გზის საღმრთოსა მას გლოვასა ჩვენსა თანა შეერთვის უმაღლო იგი ცუდად ზვავობისა ვნება, ხოლო ესე მაშინ გულის ხმა ვყოთ კეთილად, რაჟამს ვიგლოვდეთ და ვნებანი გვამლევდენვე, მაშინ ვსცნათ, ვითარმედ ზვავობისა ვნება არს ჩვენ თანა.

*რვ.* ღლოვა ჭეშმარიტი არს ტკივილი გულისა, რათა ყოვლადვე არა მიდრკებოდის შვებასა და განცხრომასა, და გემოთა განსასვენებელთა საჭმელთასა, არამედ ოდენ ყოველსა ჟამსა სიკვდილსა თვისსა ხედვიდეს, და

\* ხადა – მოუწოდა.

ნუგეშინის ცემასა მას ივთისასა, რომელი ნუგეშინის-  
ცემს მდაბალთა მონაზონთა – მოელოდის, ვითარცა წყალ-  
სა გრილსა – წყურიელი.

ჟომელთაცა ტკივილითა გულისათა ჭეშმარიტი  
გლოვა მოიგეს, მათ ცხოვრებაცა ესე მოიძულეს, ვი-  
თარცა საჭირო რაიმე, და ცრემლთა და საღმობათა მო-  
მატყევებელი; ხოლო ხორცთა თვისთა მიმართ, ვითარცა  
მტერნი იყვნეს მაჭირვებელ.

შუ. ჟაჟამს ვიხილოთ მგლოვარეთა თანა მრისხანება  
და ამპარტავანება, მათნი ცრემლნი და გლოვა ცთომი-  
ლად შევრაცხოთ, *ძიჰჟიჟი ძიჰა ხოჰიჟიჟი დჰის ჩიჟი-  
თოჰიჟი ყიჟიჟიჰიჟი შოჰიჟიჟი.*

შბ. ყვილი – გლოვისა ცთომილისა და მტყუარისა  
არს ზვაობა; ხოლო შვილი ჭეშმარიტისა გლოვისა არს  
ნუგეშინისცემა ივთისა მიერი.

შჟ. ჴითარცა ცეცხლი დამწველი და უჩინო მყო-  
ფელ-არს ლელწმისა, ეგრეთვე ცრემლნი წმიდანი ყოვ-  
ლისავე გესლისა და ვნებისა სულიერისა.

შჟ. იტყვიან მამანი, ვითარმედ ცრემლნი ჭეშმარიტ-  
ნი ძნიად მოსაპოვნებელ-არიან, და უფროსად ახალ-მოს-  
რულთა მიერ. რამეთუ მრავალთა და თითო ფერთა სახე-  
თაგან იქმნებიან, ვითარ ბუნებისაგან, და ივთისაგან; და  
განსაცდელთა მიერ და მწუხარებისაგან წინააღმდგომი-  
საცა და კეთილისაცა; და ზვაობისაგან, და სიძვისაგან და  
სიყვარულისაგან და ხსენებისაგან სიკვდილისა, და სხვა-  
თა მრავალთაგან, ხოლო ჩვენ რაჟამს ესე ყოველი გამო-  
ვიძიოთ წმიდანი იგი და უზაკველნი ცრემლნი მოვიპოვ-  
ნეთ, რომელნი იყვნენ ხსენებისაგან სიკვდილისა, რამე-  
თუ არა არს მათ შინა ცთომად ანუ ზვაობად, არამედ  
უფროსად გაწმენდა და აღორძინება სიყვარულისა ივთი-  
სა, და ცოდვათა აღხოცად და ვნებათაგან უვნებელო-  
ბად.

შხ. ჟაჟამს იწყიან ცრემლთა კეთილისაგან, და





რითა, ესე ვითარსა მოუგიეს ჭემმარიტი იგი სიხარული სულიერი.

*ჩბ.* ღინმე არს ესე ვითარი მონაზონი, რომელმან განვლნა დღენი ცხოვრებისა მისისანი მონაზონებასა შინა მისსა, მოშიშებითა ჩვთისათა, და ჭემმარიტითა სინანულითა და კეთილად მსახურებითა, და არცა დღე ერთი, და არცა ჟამი ერთი დააკლო და არცა წამსაცა შინა თვალისასა არა დასჭირდა სარგებელი თვისი. არამედ ყოველნი ჟამნი და დღენი თვისნი საღმრთოდ აღასრულნა, და გულის ხმა ყოფნ მარადღე, ვითარმედ შემღებელ არს მის დღისა კვალად მოსვლად, რომელი გარდავალს, და ამისთვის ისწრაფინ, რათა არა ცუდად გარდაიხადოს იგი.

*ჩჟ.* ჩეტარ არს მის მონაზონისა, რომელი დაშვრა ყოველთა დღეთა, და სიმდაბლითა და ღვთის-მსახურებითა აღასრულნა ჟამნი თვისნი, და არა პოვა განსვენება ჟამ ერთცა, არამედ განიზრახავნ და იტყვიან ვითარმედ ესე არს უკანასკნელი დღე დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა სოფელსა ამას.

*ჩჟჟ.* ჩეტარ არს მის მონაზონისა, რომელი შემღებელ იყოს თვალთა გონებისათა ხედვად მარადის, ძალთა მათ უხილავთა. ხოლო სანატრელ არს იგინიცა და დაუცემელ ჭემმარიტად, რომელი ხილულთა ამათ თვალთა მიერ მარადღე ღაწვთა თვისთა დაალტობდეს ხსენებისაგან სიკვდილისა, და ცოდვათა თვისთასა ცრემლითა მით სანატრელითა. და, მე ვგონებ ვითარმედ არცა პირველ თქმული იგი საზომი, იპოოს თვინიერ მეორისა ამის.

*ჩხ.* ღიხილენ გლახაკნი მაწყინებელნი სიტყვითა მკვირცხლითა რამე, და ადრე მოდრიკნეს გულნი მეფეთანი წყალობად, და ტკივილად მათ ზედა. და ვიხილენ კვალად გლახაკნი და დავრდომილნი სათნოებათაგან, რომელთა არა მკვირცხლითა, არამედ უფროსად მდაბლითა და საწყალობელითა სიტყვითა ქენებისათა სიღრმეთაგან გულისათა, და

ვითარცა სულისა მიერ განწირულისა მეუფისა მიმართ ზეცათასა ურცხვენელად და ტკივილით ღაღადებდეს, და იძულებითა მით მათითა უიძულებელი იგი სახიერება და ბუნება მისი ტკბილი, აიძულეს შეწყალებად მათდა.

*ჩქ.* ჯომელი ცრემლთა თვისთა ზედა ზვაობდეს და განიკითხვიდეს მათ, რომელნი არა ტირიან, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან მიიღო მახვილი მეფისაგან მოკლვად მტერთა თვისთა, და დაუტევა ბრძოლად მტერთა, და მითვე საჭურველითა სცა გულსა თვისსა და მოაკვდინა თავი თვისი.

*ჩქ.* წრათუ იმერთსა უხმს საყვარელნო, რათამცა კაცი ტკივილითა გულისათა იგლოვდა და ტიროდა, არამედ უფროსად ნებავეს რათა სიყვარულითა მისითა იხარებდეს სული მისი.

*ა.* საყვარელო მოსპე ცოდვა სრულიად შენგან, და არღარა გიხმდენ ცრემლნი, რამეთუ არა ეხმარების კურნება, რომლისა თანა არა იყოს მიზეზი სენისა.

*აქ.* წრა იყო ადამს თანა პირველ მცნების გარდასღვისა ცრემლი, ვითარცა იგი არცა შემდგომად აღდგომისა ყოფად არს მართალთა თანა, რაჟამს განქარდეს ცოდვად სრულიად, რამეთუ არა არს მუნ საღმობა და მწუხარება და სულთქმა.

*აყ.* ღიხილე რომელთამე თანა გლოვად და ვიხილე სხვათა თანა გლოვად ამისთვის, რამეთუ არა აქვნდა გლოვად, და აქვნდა მათ გლოვად, და ჰგონებდეს თუ არა აქვს, და კეთილითა მით უმეცრებითა აღუზავნელად ეგნეს, და ესენი არიან რომელთათვის თქმულ არს, ვითარმედ *Ουαρμαρην ηενεყαχιοჲნიუს ყაქჲნი.*

*აჟ.* შრავალ გზის სუბუქნი გონებითა აღზავნებიან ცრემლთა ზედა; და ამისთვის ვიეთმე არა მიეცემის, რომელნიცა ძიებასა მათსა თავთა თვისთა აბრალებენ, და დასჯიან სულთქმითა და მჭმუნვარებითა და მწუხარები-

თა სულისათა, და ტკივილითა გულისათა, და ესე ვითარნი სახენი – შეერაცხებიან მათ შინაშე ოფლისა, ვითარცა ცრემლნი, დადაცათუ იგინი არა ესრეთ ჰგონებენ, და არცა რად შეურაცხიან ესე ვითარნი სახენი.

აბ. ოკეთუ განვიცადოთ ვჰპოოთ საქმე საცინელი, რომელსა იქმან ეშმაკნი ჩვენ ზედა, რამეთუ მრავალ-გზის რაჟამს განვძლით ლმობიერ გვყვნიან, და რაჟამს ვიმარხვიდეთ განგვიფიცხნიან გულნი, რათამცა ამოთა მათ და მტყუვართა ცრემლთა მიერ ვსცეთით, და მივსცენითმცა თავნი ჩვენნი შვებად, რომელ არს დედა ყოველთა ბოროტთა, ხოლო ჩვენ გვიღირს საყვარელნო, რათა არა შევიწყნარნეთ ზაკვა მათი, არცა მივერჩიდეთ, არამედ უფროსად წინა-ალუდგებოდეთ ყოვლითა გულითა და გონებითა ჩვენითა.

აჟ. ოსულისა ხმა ვყოფ მე ბუნებასა მას ლმობიერებისასა და განკვირვებულ ვარ, ვითარ გლოვა და მწუხარება ეწოდების, და იგი სულსა შინა სიხარულითა და მხიარულებითა, შეზავებულ არს, და ვითარცა თაფლი გოლეული ტკბილ არს. ხოლო რაისა ვისწავებთ ამისგან, გარნა ამას ვითარმედ ჭემმარიტად ივთისა ნიჭი არს ესე ვითარი იგი ლმობიერება სანატრელი.

აჟჟ. ორა იპოების მაშინ სულსა შინა სიტკბოება გულის-თქმისა მწარე რაჟამს ნუგეშინის მცემელი ოგი სანატრელთა მათ შემუსრვილთა შინაგან გულსა შინა დამკვიდრებულ-არნ.

ახ. ოისმინოთ ძმანო საქმე სარგებელი სულისა და მომყვანებელი ლმობიერად და სინანულად: ოყო უკვე აქა ბერი ვინმე სახელით სტეფანე, რომელსა აქვდა ცხოვრებაჲ მეუდაბნოებისა და დაყუდებისა, და დაეყვნეს მონაზონებასა შინა მრავალნი წელნი, და შემკობილ იყო მარხვითა და ცრემლითა, და სხვითა მრავლითა ქველის საქმითა სავსე იყო.

ოა იყო სენაკი მისი მთასა სინასა, საყოფელსა წმი-

დისა და ივთის მხილველისა ოლია ზინასწარმეტყველი-  
სასა მთასა მას წმიდასა, ხოლო გულმან უთქვა მას სინა-  
ნულსა უადრესსა და უზესთაესსა, და წარვიდა საყოფელ-  
სა მძოვართასა, ადგილსა რომელსა ეწოდების სიდი, რო-  
მელ არს ჭირი, რომელი შორავს მონასტერსა სინისათა  
სამეოცდა ათითა მილიონითა, ადგილსა რომელსა არა  
არს ყოვლადვე, ნუგეშინის საცემელი, არცა გზა კაცთა  
ყოვლადვე, და იყო მუნ იწროებით ცრემლითა და სინა-  
ნულითა ფიცხელითა. ღოლო შემდგომად ჟამთა მრავალ-  
თა, მოვიდა რა იგი დიდად სიბერედ, კვალად იქცა თვის-  
სავე სენაკსა ამას წმიდასა მთასა სინასა, სადა იგი ეხსნეს  
ორნი მოწაფენი პალესტინელნი, ივთის-მოშიშნი ფრიად,  
რომელნი იმარხვიდეს თავთა მათთა სიწმიდით.

ღოლო დაყვნა რა ბერმან მუნ მცირედნი დღენი,  
დასნეულდა რომელსაცა შინა შეისვენა. ხოლო უწინა-  
რეს გარდაცვალებისა მისისა, დღითა ერთითა აღტაცე-  
ბულ იქმნა გონება მისი, და თვალნი მისნი ეხილნეს, და  
ხედვიდა იგი მარჯვენით და მარცხენით ცხედრისა მის,  
და რომელნი სხდეს მუნ ესმოდა ზრახვა მისი, რამეთუ  
ვითარმცა ვიეთგანმე განისჯებოდა, ოდესმე სთქვის ვი-  
თარმედ ჰე მართალ, გარნა ამისთვის მიმარხავნ ეგოდენ-  
ნი წელნი; და კვალად თქვის: არა ჭეშმარიტსა იტყვით,  
არამედ სტყუით რამეთუ არა მიქმნიეს ესე, რომელსა  
მწამებთ; და კვალად თქვის მართლ, გარნა ამისთვის  
ვსტიროდი და ვმსახურებდ; და კვალად სთქვის რამეთუ  
არა მართალსა იტყვით, არამედ სტყუით ჩემზედა. შა  
ოდესმე სთქვის: ჰე ჭეშმარიტად, ჰე მართალსა იტყვით.  
და ამისთვის არა რად მაქვს რადმცა მოგიგე, გარნა წყა-  
ლობა ღვთისა მაქვს შემწედ ჩემდა. და იყო ხილვა საში-  
ნელი და შესაძრწუნებელი, სასჯელი შეუნდობელი, და  
უხილავი, და უსაშინელესი ესე არს, რომელ რად არა  
ექმნა მასცა სწამებდეს.

ოჲ საკვირველი, რამეთუ დაყუდებული იგი და გან

შორებული იტყოდა რომელთაზე ცთომათა მისთა ზედა, ვითარმედ ამას ზედა არა რად მაქვს რამცა მიგიგე, რომელსა დაეყო მონაზონებასა შინა ორმოცი წელი და აქვნდა ტირილი და გლოვა ფრიადი.

¶ადმე, ვადმე საყვარელნო, სადა იყო მაშინ სიტყვა უხეკიელ წინასწარ-მეტყველისა, რათამცა ეთქვა მათდა, ვითარმედ რომელსაცა ზედა ვპოვო, განგიკითხო შენ, თქვა ოფალმან. ჭეშმარიტად ვერა რად თქვა ესე ვითარი, რაისათვისმე ზი ძმანო, დიდება მხოლოსა მის რომელმან უწყის.

¶ა ვიეთმე მითხრეს უწყის ოფალმან, ვითარმედ თვისითა ხელითა მისცემდა საზრდელსა ვეფხთა და ლომთა და აფთართა, უდაბნოსა გარე, და ესე ვითართა განკითხვითა განეშორა ხორცთაგან და თუ რა იქმნა სასჯელი მისი, ანუ ვითარი განჩინება გამოვიდა მის ზედა, ანუ რად იქმნა აღსასრული განკითხვისა მის, არა საცნაურ ჰყო.

აჲ. ვითარცა დედაკაცმან ეკრივმან, რომელმან ქმარი თვისი დაფლის, და ყავნ ძე მხოლოდ შობილი, და შემდგომად ივთისა იგი აქვნ ნუგეშინის საცემელად, ეგრეთვე სული რომელი შთავრდომილ იყოს ცოდვასა, არა არს სხვა ნუგეშინისცემად მისი ჟამსა სიკვდილისასა, გარნა შრომად შიმშილისა და წყურვილისა და ცრემლნი.

აჲჲ. ნუმცა ოდეს გალობენ ხმა ტკბილობით, ესე ვითარნი თავით თვისით, რამეთუ გლოვისა მავნებელნი არიან ესე ვითარნი საქმენი, და უკეთუ ესე ვითართა მიერ გენებოს მოწოდება გლოვისა, უმეტესად განგეშოროს; რამეთუ გლოვა არს განმტკიცებული ტკივილი სულისა მხურვალისა.

აჲჲ. შრავალთა თანა წინა მორბედ უვნებელობისა იქმნა გლოვად, რაჟამს მოსპო ვნებათა ნივთი და განსწმიდა სული.

აქ. შითხრა ვინმე გლოვისა გამოცდილმან მუშაკმან, ვითარმედ ოდეს ვინებე მიდრეკად ცუდად დიდებისა მიმართ; ანუ გულისწყრომისა; ანუ მუცლისა აღვსებისა – გულის სიტყვა იგი გლოვისა მიწერტნ შინაგან და მეტყვინ, ნუ მიერჩი ამათ ესე ვითართა საქმეთა, თუ არა ვიგლტვოდე მე შენგან. ხოლო მე მიუგი და ვრქვი მას. არა ურჩ გექმნე შენ ზი მოყვასო, ვიდრე არა წარმადგინო წინაშე ოფლისა ჩვენისა Ἰესო ღრისტესა.

აჟ. ოფსკრულმან გლოვისამან ნუგეშინის ცემა პოვა, ხოლო სიწმიდემან გულისამან შეიწყნარა ბრწყინვალეობა საღმრთო, ხოლო ბრწყინვალეობა არს ძალი გამოუთქმელი, რომელი იცნობების უცნაურად, და იხილვების უხილავად.

აბ. ნუგეშინისცემა არს განსვენება სულისა მტკივნეულისა და დამაშვრალისა, რომელი ვითარცა ჩჩვილი ტირნ მას შინა, და ბრწყინვალედ იცინინ.

აბ. განსვენება არს აღმართება სულისა და დადრეკილისა მწუხარებითა, რაჟამს ცრემლნი იგი საღმობისანი სიხარულად შეიცვალნიან საკვირველებით.

აბ. ცრემლთა რომელნი ხსენებითა სიკვდილისათა იყვნენ შვნიან შიში, და შიშმან შვის უშიშროება, და მერმე გამობრწყინდის სიხარული, და რაჟამს სიხარული იგი დაუსრულებელი სრულ იქმნის გამოჩნდის ყვავილი იგი ბრწყინვალისა მის სიყვარულისა.

აბ. ყემუსრე თავი თვისი სიმდაბლითა და იტყოდე გულსა შინა თვისსა, ვითარმედ არა ღირს ვარ სიხარულსა ამას, რომელი იგი მოიწეოდის შენ ზედა, რათა არა იყო ადვილად შემწყნარებელ, და შეიწყნარო მგელი, მწყემსისა წილ.

აბ. ნუ შეიწყნარებ ხილვათა, რაჟამს არა იყოს ჟამი ხილვათა, არამედ მოითმენდი, ვიდრემდის თვით იგი გეძიებდეს სიმდაბლისა შენისათვის, და მიგდევდენ, და გეწინენ, და მი-აღსასრულამდე უკუნისამდე შენ თანა

იყვნენ, საქორწინესა მას წმიდასა და სულიერსა.

*ააქ.* უირველად ოდენ იცნის ყრმამან მცირემან მშობელი თვისი იშვებნ და აღივსის სიხარულითა, ხოლო რაჟამს განემორის მისგან ჟამ ერთ და კვალად მოვიდის, მაშინ აღივსის ყრმა იგი სიხარულითა და მწუხარებითა, სიხარულითა ამისთვის, რამეთუ იხილა სასურველი თვისი, ხოლო მწუხარებითა, რამეთუ მოაკლდა ჟამსა მას ყოველსა კიდე ყოფისასა სიხარული იგი.

*ააქ.* უაქმალის დედა შვილისაგან თვისისა, და ეძიებნ რა იგი მწუხარებით, ხედავენ მას დედა იგი და იხარებნ, და ესრეთ ასწავის, რათა არა ოდეს განემორებოდის მას. *ქაძოჲსაჲ დასუჲნი ყაქსიჩი-სძოჲნი და სძოჲნი,* სიტყვისაებრ ოფლისა ჩვენისა.

*აბ.* ურა აქვენ ზრუნვა რომელსა ზედა გამოხდის ბრძანებაჲ სიკვდილისა, თუ ოდეს იქმნების მღერა, არცა მიერჩინ ჭემმარიტი მონანული და მგლოვარე გემოთ მოყვარებასა, ანუ ცუდად დიდებასა, ანუ გულის-წყრომასა და მრისხანებასა.

*აბ.* ულოვა ტკივილი არს მტკიცე სულსა შინა მონანულსა, რამეთუ დღითი დღე დართავნ ტკივილსა ტკივილთა ზედა, ვითარცა იგი სალმობა შობადისა დაერთვინ ტკივილსა ზედა.

*აბ.* უართალ არს ოფალი და სიმართლე უყვარს, რამეთუ ჭემმარიტსაცა დაყუდებულსა ჭემმარიტსა გლოვასა მისცემს, და ჭემმარიტსაცა მორჩილსა მარადღე ახარებს და ნუგეშინისცემს.

*ა.* უომელი ამათ ორთავე წესთაგანსა რომელსაცა ჯერისაებრ აღასრულებდეს, იგი გლოვისაგან საუკუნოსა განრომილ-არს.

*ა.* უანსდევნე ძალლი იგი, რომელი ჟამსა გლოვისა შენისასა მოგიხდეს, და იმერთსა უწყალოდ და შეუბოძებლად სახელ-სდებდეს, რათამცა განწირულებასა შთაგადო, რამეთუ იგივე უკეთუ გულის-ხმა-ყო პირველ-

ცოდვისა მოგიხდების და იმერთსა-მოწყალედ და შემ-  
ნდობელად უწესს.

უყ. სამარადისოდ ხსენება სიკვდილისა შობს შიშსა,  
და შიში იგი მოიყვანებს გლოვასა, ხოლო რაჟამს გლო-  
ვა ჩვეულებითა დაემტკიცოს სულსა შინა, ვითარცა ბუ-  
ნებად შეექმნების და ძნიად წარმავალ არს.

უყ. შალაცათუ დიდთა მოღვაწებათა აღვასრულებ-  
დეთ და გული ჩვენი უღმობელად იყოს, ვუწყითმცა  
ვითარმედ ვსცთებით, რამეთუ სამართალსა ვიტყვი ძმანო,  
ვითარმედ რომელთა შემდგომად ნათლისღებისა ხორცნი  
მათნი შეაგინნეს, უღირს ეგე ვითართა კვალად ნათლის-  
ღება ცრემლითა სინანულისათა, და ცეცხლითა მხურვა-  
ლებისათა, და წყალობითა ივთისათა.

უბ. ღიხილე მე ვიეთმე თანა სრული იგი საზღვარი  
გლოვისა, რამეთუ ტკივილისაგან გულისა მათისა, სისხ-  
ლსა აღმოჰყრიდეს პირით ცემითა მკერდისათა; და მომეხ-  
სენა სიტყვა იგი, რომელი იტყვის ვითარმედ: *უყოიძა  
ყოთიძიე თიოძე, ბე დეჩიძე ეყიძე ჩიძე.*

უყ. ცრემლნი რომელნი შიშისაგან იყვნენ, მათ თა-  
ვით თვისით აქვს ძრწოლა და დაცვა; ხოლო ცრემლნი  
სიყვარულისანი, ვიდრე სრული იგი სიყვარული არა  
მსრულ იწყოს, ადვილადრე წარსაპარველ არიან, გარნა  
თუ ცეცხლი იგი მხურვალებისა უზომოდ ეგზებოდეს  
გულსა შინა, ჟამსა დინებისა მათისასა, და საკვირველ  
არს, ვითარ უმდაბლესი იგი საზომი უუცთომელს არს,  
ჟამსა თვისსა.

უყ. ღრიან რომელნიმე ნივთნი, რომელნი განახმო-  
ბენ წყაროთა ჩვენთა; და არიან სხვანი რომელნი არა  
განახმობენ, არამედ მწვირესა და მხეცთა შობენ წყარო-  
სა მას შინა. და პირველთა მათ ნივთთა მიერ ლოთ ასულ-  
თა თვისთა თანა უსჯულოთ-დაეცა; ხოლო მეორეთა ამათ  
მიერ ეშმაკი ზეცით გარდამოვარდა.

უხ. ჯავდენ მრავალ არიან უკეთურებანი მტერთა



ჩვენთან, ვითარ მანქანებითა მათითა მრავალ გზის მშობელთა მათ სათნოებისათა, მშობელ უკეთურებისა ყოფენ, და სიმდაბლისა მომატყვებელთა მათ ნივთთა, ამპარტავნებისა მომატყვებელად გამოაჩენენ.

უჩ. შრავალ გზის მომატყვებელ ცრემლთა და ლმობიერებისა გვექმნების უდაბნოს გარეყოფა და ისწავე ესე: იესოსგან ო. ისა ჩვენისა, და ილიასაგან და იონანე ნათლის-მცემელისა, რამეთუ უდაბნოსა უკაცრულსა განეშორებოდეს ლოცვად.

უძ. წიხილე მე შფოთთაცა შორის და ქლაქთა აღძრულნი ცრემლნი, ხოლო ამას ამისთვის იქმნენ მტერნი რათამცა ვგონებდეთ, ვითარმედ არა რა გვევენების შფოთთაგან, და ესრეთ სოფელსამცა მივეახლენით, და ესე ჭემმარიტად ზაკულება და ღონე არს ეშმაკთა.

უ. შრავალ გზის ერთმან სიტყვამან განაბნინის გლოვა, ხოლო საკვირველ-არს უკეთუ ერთმანდა სიტყვამან შემოიკრიბოს იგი.

უდ. წრა საბრალობელ ვიქმნეთ საყვარელნო ჟამსა სიკვდილისასა ვითარმედ არა ვქმნენით სასწაულნი, და არა ღვთის-ვმეტყველებდით და არა ვიყვენით უხილავთა მხილველნი, არამედ სიტყვა მიცემად გვიც ივთისა, თუ რად არა მარადის ვიგლოვდით, და ამისთვის გვიღირს ძმანო, რათა მარადის ვსტიროდეთ და ვიგლოვდეთ ცხოვრებისათვის ჩვენისა, და მივილტვოდეთ წინაშე ღვთისა, რომლისა არს დიდება აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ესე მეშვიდე კიბე არს, რომელი ამას ღირს ქმნილ არს მეცა შემწე მეყავნ, რამეთუ მას არღარა ეხმარების შემწე. ვინაითგან მეშვიდისა ამის კიბისა მიერ შვიდეულთა ამას საწუთროსა დღეთა შინა მოწვეწულნი ვნებათა ბილწებანი განუბანიან და წმიდა ქმნილ არს.

მოვედით ჩემდა ყოველნი მისურაღნი და ტერით მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ვ'ლთა შთანთქმელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამკუანებელი სიბე

## ქეპული მისივე ორისხველობისათვის და გულის-

### წყრომისა

#### ⒸⒸⒻⒼⒻⒻ

წითარცა წყალი დაშრეტს ალსა ცეცხლისასა,  
 ეგრეთვე ჭემმარტისა გლოვისა ცრემლნი ყო-  
 ველსავე ალსა გულის-წყრომისა და მრისხანებისასა დაშ-  
 რეტენ. ამისთვისცა შეუდგინეთ გლოვისასა განშორება  
 გულის წყრომისა.

ყ. ორისხველობა არს გულის თქმა ყვედრებისა და  
 კდემისა განუძღომელი, ვითარცა იგი რომელთა უყვარს  
 ცუდ-დიდება და არა განძღებიან ქებითა კაცთათა.

ღ. ორისხველობა არს ძლევა ბუნებისა და უტკივარო-  
 ბა გინებათა თვის, მოგებული მრავლითა ოფლითა და  
 მოღვაწებითა ფრიადითა.

ბ. სიმშვიდე არს წესი აღუძრველი სულისა, რომე-  
 ლი გინებათა ზედა და ქებათა არიან ერთად.

რ. ღასაბამი ურისხველობისა არს-დუმილი ბაგეთა  
 გულითა აღუძრველითა; და საშუვალი-არს დადუმება  
 გულის სიტყვათა წვლილადითა აღძვრითა სულისათა;  
 ხოლო აღსასრული არს აღუშფოთებელი დაწყნარება  
 ბერვასა შინა ქართა არა წმიდათასა.

რრ. ჟისხვა აღძვრა არს სიძულილისა ფარულისა,  
 და ძვირის ხსენებისა უჩინოისა.

ხ. უსულის წყრომა გულისთქმა არს ბოროტის ყო-  
 ფისათვის მარისხებელთა მიმართ მისთა.

ბ. სიცხარე განხურვება არს გულის უჟამო.

ბბ. უანმწარება აღძვრა არს დანერგული სულსა ში-  
 ნა უგემური.

7. ოსების წყრომა არს მეყვსეული აღშფოთება დაწყნარებულებისა, და უშვერება არს იგი სულისა.

7ა. ღითარცა იგი გამოჩინებითა ნათლისათა უჩინო იქმნების ბნელი, ეგრეთვე გამოჩინებითა სიმდაბლისათა ყოველი შფოთი და გულის წყრომა უჩინო იქმნების.

7ბ. ჟომელნიმე კაცნი არიან, რაჟამს განრისხნენ მეყსა შინა კვალად დაწყნარდებიან, და ამისთვის უდებ არიან ღვაწლად და განკურნებად ვნებისა მის მათისა, და არა მოიხსენებენ უბადრუკნი სიტყვასა მას, რომელი წერილ არს ვითარმედ *მდჭუ რუგ უკჳრუს მოყსაშუსდ შუ-სუსდ დჳს ბდღუძდ შუსდ.*

7გ. ჟომელიმე წისქვილი მალე არს, და წამსა შინა უმეტეს დაფქვას ვიდრელა სხვა დღე ყოველ, და მსწრაფლ შემუხრავს იფქლსა მას, და ყოველსავე ნაყოფსა სული-სასა, და ამისთვის თანა გვაც კრძალვა ფრიადი.

7დ. შრავალ გზის იქმნის აღტყინება ალისა დიდისა სიმძაფრისაგან ქარისა, რომელმან ერთსა წამსა უფრო მოწმის და მოაოხრის ყანა სულისა, ვიდრელა სხვამან ნებიერად აღგზებულმან აღმან დღე ყლ.

7ე. ნუმცა ამას უმეცარ ვართ ჟი საყვარელნო, ვითარმედ მრავალ გზის ეშმაკნი განგვეშორნიან მეყსა შინა რათა დიდნი იგი ვნებანი, ვითარცა მცირენი უდებ ვყვ-ნეთ და ესრეთ უკურნებელად მოუძღურდეთ მათ მიერ.

7ვ. ღითარცა იგი ქვა მქისე ეკლოანი და კორძო-ნი, ოდეს გორვიდეს შორის ქვათა მრავალთა მოიგლი-სების და მოიქნების წრფელად სიმქისისა მისგან და უწრფელობისა ეგრეთვე სული ცხვარი და ფიცხელი და მრისხანე, ოდეს აღერიოს და იქცეოდის მრავალთა კაცთა თანა, ძლიერთა და ფიცხელთა მოღვაწეთა; ეგე ვითარი უცილებელად ამათ ორთაგანსა ერთსა საქმესა შეემთხვიოს, ანუ მოთმინებითა ვნებისა მისგან განიკურ-ნოს; ანუ განემოროს მათგან და იცნას უძღურება თვისი.

75. ღაცვი მრისხანე ნებსით თვისით განცოფებულ არს, რამეთუ ძლეულ არს ჩვეულებათაგან პირველთა, და თვინიერ ცნობისა მისისა ბორგს დაეცემის.

76. Ⴎრა რაი არს მონანულისათვის უბოროტეს გულის წყრომისა, რამეთუ სინანულისა ფრიადი სიმდაბლე, ეხმარების; ხოლო გულის წყრომაჲ ყოვლისავე ამპარტავანებისა სახე არს.

77. Ⴎსე არს დიდი სიღრმე სიმშვიდისა, ოდეს მახლობელად იყოს მისსა შემაწუხებელი, და გული მისი იყოს მყუდროებით; და არა მოაკლებდეს სიყვარულსა მისსა; და კვალად ესე არს დიდი სიბოროტე გულის წყრომისა, რომელ დაღაცათუ მარტოდ იყოს ბორგდეს, და ბრძოლის შემაწუხებელსა მას მისსა.

78. Ⴎითარცა იგი სული ჰმიდა Ⴎშვიდობა და Ⴎყუდროება არს სულისა, ეგრეთვე გულის წყრომა აღმაშფოთებელი და აღმამრღვეველი არს სულისა, და ამისთვის არა რაჲ არს ესრეთ სულისა ჰმიდისა ჩვენდა მოსვლისაგან დამაყენებელ, ვითარ გულის წყრომაჲ.

79. ჩვენ უწყით ვითარმედ, მრავალ არიან და ბოროტ ნაშობნი გულის წყრომისანი, გარნა ერთი. ნაშობთა მისთაგანი ოდენ, თვინიერ ნებისა მისისა დაღაცათუ მედგარ-არს, არამედ ოდესმე სარგებელ იყვის, რამეთუ ვიხილენ კაცნი აღბორგებულნი გულის წყრომითა, და ძვირის ხსენება რომელი იყო დაფარულ მრავლით ჟამითგან მათ შორის – გამოაცხადეს, და ვნებითა ვნებასა უძვირესსა განერნეს, რაჟამს შემაწუხებელმან მან გულსავსე ყვნა იგინი საქმისა მისთვის, ანუ თუ შენდობა ითხოვა. და ვიხილენ სხვანი, რომელთა აქვნდათ სულგრძელება პირუტყული, და დუმილითა მით ნივთებდეს და აღავსებდეს გულთა მათთა ძვირის ხსენებითა, და უძვირესად ეშმაკეულთა და ცოფთა შევრაცხენ უბადრუკი იგი, რამეთუ იქმნეს თავით თვისით მტერ კეთილისა, ვითარცა შავარდენი მტრედისა.

კყ. საყვარელნო ფრიადი ზრუნვა გვიღირს და კრძალ-  
ვა გველისა ამისგან მრისხანებისა, რამეთუ ბუნებაცა,  
თანა შემწედ აქვს ამას, ვითარცა იგი სიძვისასაცა.

კრ. ვიხილეთ მრისხანენი, რომელნი სიმრავლისა  
მისგან განმწარებისა მათისა, საზრდელსა განეყენეს, და  
გესლსა ზედა გესლი დაურთეს, პირუტყულითა მით მარ-  
ხვითა. და ვიხილენ სხვანი, რომელთა გულის წყრომა  
იგი მიზეზად მოიპოვეს, და ნაყროვნებად მისცნეს თავნი  
მათნი, და ვითარცა კლდისაგან მალლისა მთხრებლსა  
ღრმასა გარდამოიჭრნეს. და ვიხილენ სხვანი გონიერნი,  
რომელთა ვითარცა მკურნალთა ხელოვანთა ორივე შე-  
ზავეს, და ორივე ზომითისა მის ნუგეშინისცემისაგან დი-  
დად სარგებელ ეყო.

კდ. ღალობა ჟამობისა ზომითი, ოდესმე გულის  
წყრომასა სულისასა დააწყნარებს, და ოდესმე გემოთ  
მოყვარებასა შეეწევს, ოდეს უზომოებით იქმნებოდეს  
და უჟამოდ, ამისთვის ჟამისა და საზომისაებრ ვიხმარებ-  
დეთ მას.

კე. სიტყვის გება მდაბალი – დააწყნარებს გულის  
წყრომასა, და სიტყვისგება ფიცხელი აღაორძინებს გუ-  
ლის წყრომასა, და ამისთვის ჯერ არს, რათა ყოველსავე  
ზედა სიმდაბლე თანა გვყვეს.

კე. ოდესმე გარე სენაკისაგან ჩემისა სახმარი-  
სა რაისათვისმე, და მესმა კაცთა ვიეთმე დაყუდებულთა,  
რომელნი სიმრავლისაგან სიცხარისა და გულის წყრომი-  
სა მათისა სენაკებსა შინა მათსა თავით თვისით, ვითარცა  
კაკაბნი გალიათა შინა კორტნიდეს და იბორგებოდეს,  
და მიმოიჭრებოდეს პირსა ზედა მათსა მძვინვარებისაგან  
მათისა, ვითარღამცა შემაწუხებელი იგი მათი თანა უდგა  
წინაშე მათსა; ხოლო მე ვარქვ მათ და განვაზრახე ივთის  
მოშიშებით, რათა არა დაეყუდნენ ყოვლადვე მარტოე-  
ბით, რათა არა გარდაიქცნენ კაცთა ბუნებისაგან და  
იქმნენ ეშმაკ.

კზ. წიხილენ კვალად გულნი ვნებულნი და მწვირითა სავსენი, ხორცთა მოყვარენი, დახსნილნი და მღერისა და განცხრომისა მოყვარენი, მიდრეკილნი მოყვასობასა ჭაბუკთასა და პირთა შემკობისა მოყვარენი, რომელთა გამოურჩიე დაყუდება, ვითარცა მტერი ესე ვითართა ვნებათა და მწვირეთა, რათა არა კაცთა ბუნებისაგან, პირუტყვთა ბუნებად გარდაიქცენ.

კქ. წიეთმე უკვე მრქვეს მე, ვითარმედ ამათ ორთაგანვე საწყალობელად იძლევიან, რომელნი იგი სრულიად დავაყენენ ნებასა შინა თვისსა ყოფისაგან, და განვაზრახე მოძღვართა მათთა სიყვარულით, რათა ოდესმე დაყუდებით, და ოდესმე ერსა შორის განაგებდენ ყოფასა მათსა, და ყოველივე მოძღვრისა მიმართ მივაგდეთ, რათა ვითარცა ენებოს ვნებათა მათთაებრ განაგებდენ.

კჟ. წემოს მოყვარებამან თავსა თვისსა ოდენ, და ნუ უკვე ერთსა ზედა მზრახველსა მისსა სხვასაცა ავნის; ხოლო მრისხანებამან მრავალ-გზის ვითარცა მგელმან ყოველივე სამწყსო აღაშფოთოს, და მრავალნი სულნი მდაბალნი მოსწყონის.

კა. ყლორტ არს გულის წყრომისა მიერ დაბნელება თვალთა სულისათა, ვითარცა იტყვის მეტყველი იგი, ვითარმედ *ყოყბათინე ნაკორსი როყხაძათე თორეთა ჩიძუ*; და უძვირეს არს რაჟამს ბაგეთა მიერცა გამოსჩნდეს მრისხანება იგი სულისა; ხოლო ხელთა განმარტება, ყოვლადვე მტერ და უცხო არს მონაზონთ, მოქალაქეობისაგან.

კბ. ოკეთუ გნებავს აღმოლებად წველისა თვალისაგან ძმისა შენისა, ეკრძალებ რათა არა საოლავისა წილ, უოლნე ისრითა: ესე იგი არს, სიტყვის გება, და სახე ფიცხელი და ბოროტი; ხოლო საოლავი არს მოძღვრება სიმშვიდით, და მხილება სულგრძელებით.

კგ. იტყვის მოციქული ვითარმედ, *დძურათ, ყრძის-უღრ ძე ჩაქუღყურს-იღ* და არა თქვა თუ გვემე; ხოლო უკეთუ არა ეგების თვინიერ ცემისა, ზი წინამძღვარო,

მაშა ჟამითი ჟამად ნუ ხელითა თვისითა, არამედ სხვათათა.

*რუ.* ოკეთუ გამოვეძიებდეთ, ვიპოვნეთ მრავალნი მრისხანენი, გულს-მოდგინებით აღმასრულებელნი, მარხვისა და მღვიძარებისა და დაყუდებისა; რამეთუ ესე არს ნება ეშმაკისა, რათამცა აღმორძინებელნი იგი მის ვნებისა ნივთნი დაარწმუნნა, ვითარცა სინანულისა და მოღვაწებისა მიზეზითა განმრავლებად მათ შორის.

*რბ.* ოკეთუ ერთი მგელი, ვითარცა ვსთქუთ, შემძლებელ არს სამწყსოსა ყოვლისავე აღშფოთებად, თანა შეწევნითა ეშმაკისათა; შემძლებელ არს სადმე ერთიცა ძმა ბრძენი, ვითარცა თხიერი ზეთითა სავსე დაწყნარებად ღელვათა, თანა შემწეობითა Ⴤნგელოსისათა, და ვითარცა პირველი იგი მიიღებს დიდსა სასჯელსა, ეგრეთვე ამან მოიღოს ივთისაგან დიდი სასყიდელი და სახე სარგებელის ექმნას ყოველთავე.

*რრ.* ჳასაბამი სანატრელისა ურისხველობისა არს სიმწართა და ტკივილითა გულისათა მოთმინება: კდემისა და ყვედრებისა და გინებისა; ხოლო საშუვალი – რათა შეუწუხებელად იყოს მათ შორის; ხოლო სისრულე ესე არს, თუ ოდეს იპოოს ვინ, რათა ვითარცა ქება შეერაცხოს გინება.

*რს.* Ⴔიხაროდენ პირველო; ცოცხლებით იყავ მეორეო ნეტარ ხარ ოფლისა მიერ; და მხიარულ იყავ მესამეო სრულო საზომითა.

*რტ.* Ⴔიხილე საწყალობელი მრისხანეთა შორის ხილვა რომელი ამპარტავნებისაგან ფარულად მოიწეოდა მათ ზედა, რამეთუ განრისხნებოდეს, და მერმე რამეთუ იძლინნეს მრისხანებისაგან, და კვალად განრისხნეს, და მიკვირდა ვხედევდ რა, ვითარმედ დაცემითა-დაცემასა სჯიდეს, და ცოდვითა ცოდვასა ზედა შურს იგებდეს, და შემეწყალნეს იგინი; და მანქანებათათვის ეშმაკისათა



ესრეთ დამიკვირდა, რომელ კნინდა და სასოება თავისა ჩემისა განვიწირე.

რქ. ჟომელიცა ხედვიდეს თავსა თვისსა ძლეულსა მრისხანებისაგან და ამპარტავანებისა, უკეთურებისაგან და ორგულობისა, და ენებოს რათამცა აღმოიხადა მათ-ზედა მახვილი სიმშვიდისა ორ-პირი: მივიდენ ეგე ვითა-რი იგი კრებულსა ძმათა ფიცხელთასა და შევედინ მუნ, ვითარცა სახლსა სამურკვენელოსა, განბანელსა ბილწება-თასა, და მაცხოვრებელსა სულისასა, და მუნ იყოფოდენ; უკეთუ ნებავს, რათა სრულიად განწმდეს ვნებათა მათ-გან. რაჟამს იგი გინებათაგან და შეურაცხებათა იგვემე-ბოდეს გონება მისი, გინათუ ხორცნიცა დაითრგუნოდეს და იწიხნებოდეს, ვითარცა სამოსელი, და შეიმუსვრო-დეს, და ესრეთ ყოველივე ბილწება, რომელი არს სამო-სელსა მას სულისა მისისასა განწმდეს და განირცხას კე-თილად.

რჟ. ჳაგარწმუნენ სიტყვამანცა სოფლიომან, და სცან ვითარმედ უპატიოება და კდემა და გინება, განმბა-ნელ არს ვნებათა სულისათა; რამეთუ იტყოდინ სოფ-ლიონი სიქადულით ურთიერთარს რაჟამს ვისდამე ფრიად ეგინის, ვითარმედ იგი ვინმე განვრეცხე განვბანე, და ჭეშმარიტად ესრეთ არს.

რ. სხვა არს ახლად მოსრულთა თანა მყოფი იგი გლოვისა მიერ ურისხველობა; და სხვა არს სრულთა იგი სრულიადი მოსპოლვა გულის წყრომისა და აღუძრვე-ლობა, რამეთუ პირველთა მათ მიერ, ვითარცა ჭიმითა და აღვირითა შეკრულ არს ცრემლთაგან, და გლოვისა ვნება იგი; ხოლო მეორეთა ამათ მიერ, ვითარცა გველი მახვილითა მით უვნებელობისათა მომკვდარ არს.

რ. ღიხილენ სამნი მონაზონნი, რომელნი ერთბა-მად იგინენს ვიეთგანმე; და ერთი იგი შეწუხდა, რამე-თუ იგინა, გარნა დადუმნა; ხოლო მეორე მხიარულ იქმნა თავისა თვისისა გინებისათვის, ხოლო შეწუხნა მაგინე-

ბელისა მისთვის, რამეთუ ევნო მას; ხოლო მესამემან გულსა თვისსა გამოისახა ვნება მოყვისისა მის და ცრემლოოდა მხურვალედ, და იყო მათ სამთა შორის ხილვა მუშაკთა, შიშისა სასყიდლისა და სიყვარულისათა.

შდ. წითარცა იგი მხურვალეა თავქედისა ერთად ითქმის სახელითა, ხოლო მრავალნი და არა ერთი აქვს მიზეზი აღძრვისა მისისა, ეგრეთვე არს აღძვრა იგი გულის-წყრომისა და სხვათა მათ ვნებათა ჩვენთა, რამეთუ მრავალნი. და თითო ფერნი მიზეზნი ჰქონან თვითოეულსა, და ამისთვის ვერ შესაძლებელ არს, რათამცა კურნებისა მათისა საქმე, ერთ სახედ განვაგეთ, არამედ ამას ვიტყვი, რათა ისწრაფოს, რომელსა სენი იგი აქვნდეს, და სენისა მისებრ და მიზეზთა მისთაებრ ყოს კურნებაცა.

შე. წოვლისა უპირატეს ჯერ-არს, რათა მიზეზი გამოიძიოს სენისა თვისისა თვითოეულმან, რათა რაჟამს მიზეზი პოს მას ზედა, მიიღოს წამალიცა და კურნება მოღვაწებითა ივთისათა და მოსწრაფებითა მკურნალთა სულიერთათა.

შე. წითარცა სახით და იგავით შემოვკრბეთ სულითა და ვყოთ გამოძიება მიზეზთა ამის სენისათა, თუ ვინა მოვალს, ანუ რად არს კურნებისა მისისა სახე, და რომელთაცა გნებავს მოვედით სულიერსა ამას, და უხილავსა სამსჯავროსა ჩვენსა, დავსხდეთ, და გამოვიძიოთ პირველ თქმულისა ამის ვნებისათვის მრისხანებისა.

შე. წითარმე ვპოვნეთ მიზეზნი ამის სენისანი ზიძმანო, ანუ ვითარ ვსცნათ მშობელი ამის უხილავისა მტერისა, გარნა მოვედით და ვიღვაწოთ და შევკრათ, გულის-წყრომა ესე მძლავრი, და უხილავსა მას უხილავნიცა საკვირველნი მოუძინეთ, და ვაჭირვოთ სიმშვიდითა, რამეთუ ესე არს მომზავებელი საკრველი მისი; დავსცეთ და ვგვემოთ სულ-გრძელეებითა, და მივსცეთ იგი ხელთ ყოვლად წმიდისა სიყვარულისათა, და მან წარმოით-

რიოს და დაადგინოს იგი სამსჯავროსა მას უხილავსა, და მერმე ვჰკითხოთ პირითა მით გონებისათა, და ვრქვათ.

*ჟო.* უვითხარ ჩვენ ზი უცნობელო და უგუნურო და უპატიო და დაუწყნარებელო, გვითხარ ჩვენ რად არს სახელი მამისა შენისა, და რად ეწოდების უკეთურსა მას დედასა შენსა, რომელმან იგი ბოროტად გშვა შენ. ანუ რა არს სახელები ბოროტთა მათ და ბილწთა ძეთა და ასულთა შენთა, ანუთუ რომელნი საქმენი არიან, რომელნი ბრძვანან და მოაკვდინებენ მედგრობასა შენსა.

ჟოლო მან მომიგოს და მრქვას ჩვენ, ვითარმედ მშობელნი ჩემნი მრავალ-არიან, და მამა ჩემი არა ერთი არს; რამეთუ დედანი ჩემნი არიან ცუდად მზავაობრობა, და ვეცხლის-მოყვარება, და ნაყროვანება და ოდესმე სიძვა-ცა. ხოლო მამანი ჩემნი არიან სიმაღლე და ვახში, ხოლო შვილნი ჩემნი არიან: ძვირის ხსენება, სიძულილი, მტერობა და სიტყვისა თვისისა დამტკიცება.

*ჟხ.* ჟოლო მტერნი ჩემნი, რომელთა მიერ, აწ შეკრულ ვარ, არიან ორისხველობა და სიმშვიდე. და მბრძოლი და წარმწყმედელი ჩემი სიმდაბლე არს; ხოლო თუ ვინ არს მშობელი მისი, თვისსა ადგილსა თვით მას ჰკითხეთ:

იმერთმან მოგვეცინ ჩვენ ძმანო სიმდაბლე წარმწყმედელი ამის ვნებისა, მადლითა ივთისათა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**მერვესა ამას ღიბესა შინა იპოების გვირგვინი ორისხველობისა, და რომელსა ბუნებით აქვდეს ესე გვირგვინი, ნუ უკვე და არა აქვს სხვაცა; ხოლო რომელსა ოფლით და შრომით მოეგოს, მას რვათავე ყოველთა ამათ ვნებათადა უძლევიეს.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტყირთ მძიმენი და **ხე** განგისვენო თქვენ



ვლთა შთანთქმული ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ქეპული მისივე ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი

### ძვირის-ხსენებისათვის

#### ⲬⲚⲦⲓⲈ

სათნოებანი ემიდათანი მსგავს არიან კიბესა მას რომელი იხილა იაკობ, რამეთუ შემდგომითი შემდგომად შესლვითა მათშინა აღამალლებენ კაცსა ცამდე; ხოლო ბოროტნი საქმენი მსგავს არიან ჯაჭვთა მათ, რომელნი დასცვივებს მოციქულისა პეტრესგან. რამეთუ ესრეთ ვნებანი ერთი-ერთსა დამოკიდებულ არიან, და შთაიყვანებენ სულსა ჯოჯოხეთად; ამისთვისცა გვესმა გულის წყრომისა არა წმიდისა მიერ იტყოდა რა, ვითარმედ ნაშობი მის არს ძვირის ხსენება, ამისთვისცა აწ შემდგომად მშობელისა შვილისაცა მისისა უკეთურისათვის ვსთქვათ.

ჟ. ძვირის ხსენება არს გულის-წყრომისა გესლი ცოდვათა დამმარხველი, სიმართლისა სიძულილი, სათნოებათა წარმწყმედელი. გესლი არს სულისა მომაკვდინებელი, მატლი არს გონებისა მჭამელი.

ჟ. სირცხვილი\*) არს ლოცვისა, დამახრწველი არს ვედრებათა, უცხოება არს სიყვარულისაგან, სამსჭვალი არს სულისა, საქმე არს, უგემური სიტკბოებითა სიმწარისათა მრისხანეთა მიერ საყვარელი, ცოდვა არს სამარადისო უსჯულოება არს დაუძინებელი, უკეთურება არს ყოველსა ჟამსა და ყოვლადვე.

\*) სირცხვილი არს იგი ლოცვისა, რამეთუ რაჟამს ვიტყოდით, ვითარმედ მოგვიტევენ თანა ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა: მაშინ ძვირის-ხსენება სირცხვილი არს ლოცვისა მის ჩვენისა.

ბ. ორთი\*) არს ესეცა ბნელთა მათ და ბოროტთა ვნებათაგანი: ძვირის-ხსენებასა ვიტყვი, ნაშობთაგანი და არა მშობელთა და უფროსად მშობელთაგანიცა, და ამისთვის არა მნებას მისთვის მრავლის-მეტყველება, რომელი მძლე ექმნა გულის წყრომასა, მან მოსპო ძვირის ხსენება, ხოლო ვიდრემდისდა მამა ცოცხალ იყოს, შეუძლებელ არს თუმცა არა შვილ ეხსნეს მას.

ჟ. ჟომელმან მოიგოს სიყვარული, იგი უცხო იქმნა შურისაგან, ხოლო რომელსა აქვნდეს მტერობა არა დაელიოს მას შრომა ცუდი და წარწყმედა სულისა.

ჟი. დაბლამან სიყვარულისამან დაჰხსნის სიძულვილი, და ნიჰმან წმიდამან მოამდოვრის და დააწყნარის სული.

ბ. დაბლა განუკრძალველი დედა არს კადნიერებისა, და სარკმლით სიყვარულისათ შევიდის ნაყროვანება.

ბ. თიხილე სიძულვილი, რომელმან დახსნა სიძვისა კრულება დაძველებული; და მუნვე ვიხილე ძვირის ხსენება, რომელმან საკვრელი იგი სიძვისა შეუკვრელად დაიცვა მიერთგან, და დამიკვირდა ვითარ ეშმაკმან ეშმაკი განდევნა, და ნუ უკვე საქმე არს ესე განგებულები-სა ღვთისა, და არა მუშაკთაგან.

ბი. სიყვარული მტკიცე ბუნებითი განშორებულ არს ძვირის-ხსენებისაგან, არამედ საკრძალავ-არს, რამეთუ სიძვა ადვილად მიეახლების მას, და გამოჩნდების ფარულად ტრედსა მას შორის სიყვარულისასა ტილი იგი სიძვისა.

ბი. ოკეთუ ძვირის მოხსენე ხარ, ძვირ მოხსენე იყავ ეშმაკთათვის, და უკეთუ ემტერები, მტერ იყავ ხორცთა შენთა მარადის.

ბი. ომადლო და მზაკვარი მეგობარი არს გვამი, რამეთუ რაზომცა განუსვენებდეთ უმეტესად გვავნებს.

\*) ამისთვის არს მშობელთაგანი, რამეთუ ზვაობითი გულისწყრომა შობს ძვირის ხსენებასა, ხოლო ძვირის ხსენება შობს შურსა და კაცის კვლასა.

75. ოლოტი თარგმანი არს წიგნთა ძვირის ხსენება, რამეთუ თვისისა უკეთურებისა წამებად მოიყვანებს მათ.

76. წრცხვენდინ მას ლოცვა ოფლისა Ἰესოსი, რომლისა თქმად ვერ-ძალ-გვიც, უკეთუ იგი გვაქვნიდეს ჩვენ თანა.

77. ჯაჟამს ფრიად ისწრაფო, და ვნებისა მის სრულიად გულისაგან აღმოგდებად ვერ-უძლო, მაშინ ზედას ზედა შეურდებოდე შემაწუხებელს მას, და გარეგან აჩვენებდე მისა მიმართ სიყვარულსა, რათა ესრეთ რა იქმოდე, შეგრცხვენდეს მხილებითა სვინდისისათა, და სრულიად შეიწყნარო სიყვარული მისი გულადცა.

78. ონებავს თუ ცნობა, უკეთუ სრულიად განკურნებულ ხარ ვნებისა მისგან, ესე გაქვნიდინ სასწაულად; არათუ ოდეს შემაწუხებელისა მისთვის ილოცვიდე, არცა ოდესმე ახარო ძღვნითა, არცა რაჟამს პატივის-ცემად მიხადო; არამედ რაჟამს გესმას მის ზედა მოწევნული სულიერი გინა ხორციელი განსაცდელი, და ვითარმცა შენ ზედა მოწევნულ წყო ესრეთ გელმოდეს და სცრემლეოდე, მაშინ უწყოდე, ვითარმედ განთავისუფლებულ ხარ ძვირის ხსენებისაგან.

79. წაყუდებული ძვირის-მოხსენე-ასპიტი არს დამალული და გესლი მისი სასიკვდილენე თავსა შორის თვისსა უტვირთავს.

80. ქსენებამ ჭრისტეს ვნებათამან, განკურნოს ძვირის ხსენება, რამეთუ ძვირუხსენებლობისა მისისაგან და სიმშვიდისა, სირცხვილეულ იქმნას იგი.

81. ყეშასა ლბილსა შინაგან იშვებიან ჭიანი, და დაყუდებულთა, დახსნილთა, და მედგრად მდუმარეთა შეუხდების ძვირის-ხსენება.

82. ჯომელმან განიშოროს იგი, პოოს მან შენდობა ცოდვათა, ხოლო რომელი შეეყოს მას, შორის არს იგი წყალობისაგან ივთისა.

83. შრავალთა მისცნეს თავნი. თვისნი შრომათა ფიცხელთა რათა შეენდვენ ცოდვანი, ხოლო კაცმან ძვირ-

უხსენებელმან უსწროს მათ; რამეთუ იტყვის ოფალი ვითარმედ მიუტევეთ და მოგეტევნენ თქვენ ცოდვანი.

ჟღ. სასწაული ჭემმარიტისა სინანულისა არს ძვირუხსენებლობა; ხოლო რომელსა აქედეს იგი და ჰგონებდეს თუ ინანის მსგავს არს იგი კაცსა რომელსა ენებოს ძილსა შინა სირბილი ჭემმარიტი.

ჟღ. თიხილენ ძვირის მოხსენენი, რომელნი ამხილებდეს სხვათა ძვირის მოხსენეთა, ძვირის ხსენებისათვის, და სიტყვათა თვისთაგან სირცხვილეულ-იქმნეს, და ვნებისა მისგან დასცხრეს.

ჟღ. ნუმცა ვინ ჰგონებს თუ, მცირე ვნება არს ესე უკეთური, რამეთუ ესრეთ დიდ არს, ვიდრეღა მრავალ გზის მოღვაწეთაცა და სულიერთა დასცემს. ხოლო ჩვენ ვხადოდეთ უფალსა, რათა გვიხსნეს მისგან. რამეთუ მისი არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ესე მეცხრე ზიბე არს, რომელმან მოიგოს ესე, კადნიერებით ითხოვდინ**

**იგი ჭრისტესგან შენდობასა ცოდვათასა.**



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და **ჩაე** განგისვენო თქვენ



ვლთა შთანთქმული ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ტყეული მისივე ძვირის ზრახვისა და განკითხვისა-

### თვის

#### ტყეული

ტყეული ვჰგონებ ვითარმედ არავინ უმეცარ არს გონიერთაგანი, რამეთუ სიძულვილისა და ძვირის ხსენებისაგან იშვების ძვირის-ზრახვა, ამისთვის შეუდგინე ნაშობი იგი, მშობელთა მისთა წესისა ებრ.

ყ. ძვირის ზრახვა ნაშობი არს სიძულვილისა; სენი არს წვრილი დაფარული და იდუმალ შემავალი, და წურბელი არს გამომწოველი სისხლსა სიყვარულისასა და უჩინო მყოფელი მისი; ორგულება არს გულისა და მომატყვებელი არს ბილწებათა და სიმძიმეთა და უჩინო მყოფელი არს სიწმიდისა.

რ. ჭესმა ოდესმე ვითარმედ კაცნი უზრახვიდეს ვიეთმე, ხოლო მე შევრისხენ და ვამცენ მათ რათა დასცხრენ, ხოლო მოქმედთა მათ ბოროტისათა მომიგეს და მრქვეს მე ესრეთ, ვითარმედ სიყვარულისა მისისათვის და ზრუნვისა, რომელი გვაქვს მისა მიმართ, ვყოფთ ამას. და მიუგე და ვარქ მათ: დასცხერით ესე ვითარისა სიყვარულისაგან ხენეშისა და მედგრისა, რათა არა განაცრუოთ წინასწარ-მეტყველი რომელი იტყვის, ვითარმედ *ძაძოთა უყაბა რბაქთა შაყრისა თქსრსა თქს ძოთისა, ურ უდსიქს-უდსიქ ოსბოქრქ.*

ბ. ოკეთუ გიყვარს იგი ულოცვედ მას, და ნუ ძვირსა უზრახავ, რამეთუ იმერთი ლოცვითა შეეწევის მას და შეიწყალებს.

გ. ტულის ხმა ყავ ძმაო! და იხილე, რამეთუ იუდა კრებულსა შორის მოწაფეთასა იყო, და ავაზაკი კრე-

ბულსა შორის კაცის მკვლელთასა; და ერთსა წამსა საკვირველებით იგი ცხონდა, და იგი წარწყმდა; და ამას თუ გულის-ხმა-ჰყოფდე მარადის, დიდად სარგებელ გეყოს, არა განკითხვად მოყვასისა.

ჟ. ჟომელსა ენებოს ძლევად განკითხვისა, ნუ ძმასა თვისსა მიაჩემებნ ცთომასა მას, რომელი იხილოს მის თანა, არამედ ეშმაკსა, რომელმან მოაგონა მას იგი, რამეთუ არავის ჰნებავ შეცოდება იქთისა, დაღაცათუ უღებებითა ჩვენითა ვიძლევიტ, და არა ვინ არს იძულებით ძლეული.

ზ. ღიხილენ კაცნი რომელთა სცოდეს ცხადად, და შეინანეს ფარულად, და რომელნი იგი ვითარცა მეძავნი განვიკითხენ, იყვნენ წინაშე ივთისა, ვითარცა წმიდანი, რამეთუ სინანულისა მიერ განწმედილ იყვნეს.

ი. ნუ ერიდები მას, რომელი შენდა მომართ ძვირსა უზრახვიდეს ძმასა, არამედ არქვ მას, ვითარმედ დასცხერ ძმაო, რამეთუ მე მარად დღე უძვირესთა საქმეთა ვიქმ, და ვითარ უძლო მისსა განკითხვად, და ორი სარგებელი ჰქმნე, რამეთუ სულსაცა შენსა არგო და მოყვასიცა განჰკურნო.

იი. ოსეცა გზა ერთი არს მოკლედ ცხოვრებად მიმყვანებელთა გზათაგან, ესე იგი არს; არა განკითხვა მოყვასისა, რამეთუ იტყვის ოფალი: *нищ нечестивецъ, не чистъ нечестивецъ*, და ამისთვის ვისწრაფოთ საყვარელო, რათა არა განვიკითხნეთ ძმანნი ჩვენნი, რადცა ცთომად ვიხილოთ მათ თანა.

იი. ვითარცა წყალი უცხო არს ცეცხლისაგან, ერეთვე განკითხვა მოყვასისა სინანულისაგან.

იი. ოაღაცათუ ჟამსა სიკვდილისასა იხილო ვინმე ცოდვასა შინა ნუვე განიკითხავ, რამეთუ სასჯელი ივთისა უცნაურ-არს კაცთაგან.

იი. მრავალთა ქმნეს დიდნი ბოროტნი ცხადად, ხოლო ქმნეს უმეტესნი კეთილნი ფარულად, და შესცთეს

განკითხვის მოყვარენი, და მზისაწილ კვამლი ეპყრა მათ.

76. ისმინეთ ჩემი, ისმინეთ ზი, ბოროტნო განმკითხველნო, კაცთა ცოდვილთანო, უკეთუ ჭემმარიტ არს; ვითარცა ჭემმარიტ არს სიტყვა იგი რომელი თქვა ოფალმან, ვითარმედ *ძაძუთაჲ და სჯუთაჲჲ ედნო-ჲუთუნიჲთაჲ ძაძუთაჲჲ, შუთუთუ და სჯუთაჲჲ ბედსაჲჲთაჲ;* საცნაურ არს ვითარმედ რომელსაცა საქმესა ზედა, ვაბრალოთ და განვიკითხოთ მოყვასი, მასვე შთავცვივეთ, გინათუ ხორციელი იყოს გინათუ სულიერი.

77. შოსწრაფენი იგი და მალენი განკითხვად სხვისა ცოდვათა, ამისთვის შთავარდებიან ვნებასა ამას, რამეთუ არა აქვს ხსენება და ზრუნვა ჭემმარიტი ცოდვათა თვისთა, რამეთუ უკეთუ ვინ განაგდოს საბურველი იგი ხორცი-მოყვარებისა, და იხილნეს ჯეროვნად ბოროტნი თვისნი, არა რაი სხვა იზრუნოს სოფელსა ამას, არამედ იგონებდეს და იტყოდეს ვითარმედ, ყოველნი დღენი ცხოვრებისა ჩემისანი არა კმა არიან გლოვად ცოდვათა ჩემთა თვის, და ამას იწვრთიდეს დაღაცათუ ცხონდეს ას წელ, და თუმცა ხედვიდეს ცრემლთა გარდამომავალთა თვალთა მისგან, ვითარცა მდინარე იორდანე.

78. ოსწივადე და ვიხილე ჭემმარიტი გლოვა, და არა ვპოვე მისთანა კვალი ძვირის ზრახვისა, ანუ განკითხვისა.

79. ოშმაკნი მრავალ ღონე არიან, ანუ ცოდვასა შთავდებად ჩვენდა ისწრაფიან, ანუ უკეთუ ესე ვერ ქმნან, მერმე იღწვიან რათამცა განვიკითხვიდეთ ცოდვილთა, რათა მეორითა ამით პირველიცა იგი შეაგინონ უკეთურთა მათ.

80. ოსე არს სასწაული ძვირის-მოხსენეთა და მოშურნეთა; რაჟამს ესმის რა მოძღვრება, ანუ სათნოება რამე კეთილი სხვისა, ანუ სიტყვანი კეთილნი, მეყვსეულად იწყიან მაგებად მისსა და შეემტვრიან და მოიძულიან.

81. ოიხილენ ვიეთნიმე რომელნი ფარულად მრავალ-

თა და დიდთა ბოროტთა იქმოდეს, და არავინ ხედვიდა მათ, და ვინათგან იჭვი სიწმიდისა აქვნდა ყოველთა მათ მათდა მიმართ, ამისთვის ფიცხელად ამხილებდეს და განიკითხვიდეს მოქმედთა მცირედისა ცთომისათა.

უთ. ოსანიკითხვა მოტაცება არს, მხოლოდ შობილისა პატივისა, და დამაქცეველი სულისა.

ჟ. ვითარცა ამპარტავანება თავით თვისით თვინიერ სხვისა ვნებისა შემძლებელ-არს წარწყმედად ჩვენდა, ეგრეთვე განკითხვა მოყვასისა მარტოდ შემძლებელ არს სრულიად წარწყმედად ჩვენდა, ვითარცა იგი ფარისეველი ამან ოდენ დასაჯა და წარწყმიდა.

ჟრ. წრძენი მკრებელი მარცვალსა ყურძნისასა, მწიფეთა მათ მარცვალთა ჭამნ და მჭახთა არა მიხედავენ, და ეგრეთვე გონებამან ბრძენმან და მეცნიერმან, უკეთუ იხილნეს ვიეთნიმე სათნოებანი, კეთილად გულად იხვნის იგინი, და ცთომათა არა მიხედავენ; ხოლო უგუნური ოდენ ცთომათა და ბოროტთა უმზირონ მოყვასისათა, რამეთუ მისთვის თქმული არს ვითარმედ *უცშაუძიჩიჩის აქსაქოაოყუცჩი, ზე უცჩიხიხეღეს უცშაძიოყუც უცშა-სეძიოყუოთიძე შეძითიძე*. ხოლო შენ ძმო დაღაცათუ თვალითა იხილო ცოდვა ძმისა ნუ განიკითხავ; რამეთუ თვალითა მრავალ გზის სცთებიან, არამედ ოფალსა უგალობდი, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ესე მეთე კიბე არს, რომელი მძლე ექმნას ვნებასა, იგი მუშაკი არს სიყვარულისა გინათუ გლოვისა.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მიიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ყ<sup>ა</sup>ლთა შთაშთქელი ჯოჯოხეთი      სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი ს<sup>ა</sup>ინი

## ქქმული ჰმიდისა მამისა ჩვენისა იოანესი

### ზუმილისათვის და მრავალ მეტყველებისათვის

#### ԳԼԿԻ Խ

Դსთქუთ პირველსა მას თქმულსა ჩვენსა შინა, ვითარმედ ბოროტ არს და მაცთურ განკითხვა. ხოლო აწ ვჰსთქვათ მცირედ რამე მრავლის-მეტყველებისათვისცა, რომელი იგი მიზეზი არს და კარი მისი, რომლისა მიერ შემოვალს და უფროსად გამოვალს ძვირის-ზრახვა ღა განკითხვა.

ჟ. შრავალ-მეტყველება საყდარი არს ცუდად მზავაობრობისა, რომელსა ზედა დაჯდების და გამოჩნდების იგი.

ი. შრავალ მეტყველება სახე არს უგულის ხმოებისა და კარი ძვირის ზრახვისა, წინამძღვარი კადნიერებისა, და მსახური ტყუილისა, დამხსნელი ღმობიერებისა, და მიმხადელი მოწყინებისა, წინა-მორბედი ძილისა, და განმაზნეველი კეთილთა გულის სიტყვათა, უჩინო მყოფელი გლოვისა, და განმაგრილებელი მხურვალებისა, და დამაზნელებელი ღოცვისა.

ბ. ზუმილი გულის-ხმის-ყოფითი დედა არს ღოცვისა და შემკრებელი წარტყვენულობისა, და მცველი ცეცხლისა მის საღმრთოსა, მასწავლელი გულის სიტყვათა საღმრთოთა დამმარხველი, მხურვალებისა ზედა მდგომელი გულის სიტყვათა, მსტოარი არს, რომელი მარადის უმზირინ მტერთა; საკრველი არს გლოვისა, და მეგობარი ცრემლთა, მომახსენებელი არს სიკვდილისა და გამომხატველი სატანჯველთა, მწვრთელ არს მომავლის სასჯელისა, და მსახური წუხილისა საღმრთოსა, მტერი არს

კადნიერებისა და მოყვასი დაყუდებისა, განმკრძალებელი არს დიდების მოყვარებისაგან, და განმამრავლებელი გულის ხმის ყოფისა, მტერი არს დაცემათა, და მომპოვნელებელი ხედვათა მათ სულიერთა. წარმატება არს უჩინო და აღსლვა უხილავი.

ჟ. ჟომელსა უცნობია დაცემა თვისი, მან დაიცვას ენა თვისი, ხოლო მრავალ მეტყველმან ვერ იცის თავი თვისი ვითარცა ჯერ-არს.

ქ. შოყვარე დუმილისა მიეახლების იმერთსა, და რაზომცა მიეახლოს მას განათლებულ-იქმნეს მისგან.

ხ. შუმილმან იესოსმან სირცხვილეულ-ყო პილატე და სულმან კაცისა მდუმარისამან განაქარვა ცუდი დიდება.

ჩ. სიტყვა ერთი თქვა პეტრემ და სტიროდა მწარედ, და იგლოვდა მისთვის, რამეთუ დაავიწყდა თქმული იგი მეტყველისა მის, რომლისა იტყვის: *ჟსაოქაქ ოუშქსჟე უხეჩო ჩოქჩო, ძეძეძე ძეძე ოსლუაძა ოჩოთე ჩოქოთე.* და კვალად რომელმან სთქვა: უმჯობეს არს გარდამოჭრა სიმადლისაგან *ოუშქოიძე ბეღქეძე ოჩოხეძეჩი.*

ძ. ჭრა მნებავს მე ამისთვის მრავლის მეტყველება, დადაცათუ ვნებათა მრავალ ფერობანი, მაიძულებენ მათთვის მრავლის მეტყველებად, გარნა მესმა ოდესმე ვისგანმე, რომელი დუმილისათვის ზრახვიდა ჩემდა მომართ, რამეთუ იტყოდა იგი, ვითარმედ მრავლის მეტყველება ამა ორთაგან მოიწევს, ანუ ზრდილობისაგან და ჩვეულებისა ბოროტისა, რამეთუ ვინადგან ასო არს გვამისა ენა, ვითარცა დაეჩვიოს, ეგრეთცა ეძიებს ჩვეულებასა თვისსა; ანუ თუ ცუდად მზვაობრობისაგან მოღვაწეთა თანა, და იქმნების ნაყროვანებისაგანცა; ამისთვისცა მრავალნი აღვირ ახსმენ მუცელსა თვისსა შიმშილითა და მისგამო დაადუმეს მრავლის მეტყველება მათი.

ღ. ჟომელი იხსენებდეს სიკვდილისა, მან მოიძულნეს სიტყვანი ცუდნი, და რომელმან მოიგოს გლოვა, იგი



ვითარცა ცეცხლისაგან, ილტვოდის მრავალ მეტყველებისაგან.

77. ჟომელმან შეიყვარა დაყუდება, მან შეიკრძალა პირი, ხოლო რომელსა უყვარს მიმოსლვა, იგი განიდევნოს ვნებისა მის მიერ სენაკით თვისით.

78. ჟომელსა უხილავს გემო სიტკბოებისა ოფლისა ჩვენისა Ἰესოსი ჴრისტესი და უყნოსიეს სუნნელება ცეცხლისა მის ზეცისა, იგი ვითარცა ფუტკარი კვამლისაგან, ესრეთ ილტვინ კაცთაგან, რამეთუ ვითარცა მას იოტებს კვამლი, ეგრეთვე ამისსა საქმისა წინა აღუდგების აღრევა კაცთა.

79. ჟიცხელ არს და ძნელ დაყენება წყლისა თვინიერ საპყრობისა და საგოზლისა, და უძნელეს ამისსა არს დუმილი ენისა, თვინიერ მარხვისა, ხოლო ივთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ესე მეათერთმეტე ზიბე არს, რომელმან სძლიოს ამას მტერსა, მას სიმრავლე ვნებათა მოუსპოლავს თვისაგან თვისისა.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მიიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



უღთო შთონქმული გოგონესი      სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი **ს**იბე

## ქეზული მისივე ღყუილისათვის

### აააა აა

ჩაშობი რკინისა და ქვისა არს ცეცხლი, და მრავალ-მეტყველებისა და განცხრომისა – ტყუილი არს.

ყ. ღყუილი არს განმრყვნელი სიყვარულისა, და მშობელი ცრუდ ფიცისა, რომელ არს ივთის უარის ყოფა.

რ. ჩუ ვინ გონებენ რომელსა აქვნი ცნობა, ვითარმედ ცოდვა ტყუილისა მცირე არს, რამეთუ სულმან წმიდამან საშინელად სთქვა მისთვის პირითა დავით წინასწარ-მეტყველისათა, ვითარმედ რომელი იტყვინი სიცრუესა მას არა წარემართოს წინაშე თვალთა ჩემთა.

ბ. აკეთუ წინასწარმეტყველი დავით იტყვის ივთისა-მიმართ, ვითარმედ, *რადჲსიყოჲნიჲ ყიჩი ყაოიოიანიჲ ძიჲჲოიანიჲ უხყოიანი სუღძიჲიჲსიჲ*, მაშა რამე ყონ მათ რომელნი ტყუილსა თანა ფიცსაცა წარსწმასნიან.

გ. თიხილენ რომელნიმე კაცნი, ვითარმედ იხარებდეს ტყუილსა ზედა, და განცხრომითა და ცუდად მეტყველებითა ნივთებდეს სიცილსა, და წესსა მგლოვართასა განრყვნიდეს.

დ. ჯაჟამს იხილიან ეშმაკთა ერთი ვინმე მათგანი, ვითარმედ ნებავნი წარსლვა მიერ შეკრებულთა მათგან, რომელნი სავსე იყვნინ სიცილითა და ბასრობითა, მაშინ ეტყვიედ მას ზაკვით რა აცთუნებედ ორითა გულის-სიტყვითა: ერთად იტყვიედ, ვითარმედ ნუ შეაწუხებ მეტყველსა მას; და მეორედ, ვითარმედ ნუ უჩვენებ თავსა შენსა თუ იმერთი გიყვარს უმეტეს მოყვასთა შენთა.

ე. თლტვოდე ესე ვითართაგან, და ნუ ყოვნი მუნ,

თუ არა ლოცვასა შინა შენსა გულის სიტყვანი სიცილი-  
სა და განცხრომისანი მოგიხდებოდენ და დაგაბნელონ.

ქ. ნუ ოდენ ილტვი, არამედ უკეთუ ძალ გედვას  
დახსენცა, ზრახვა იგი ბოროტი, და ხსენება სიკვდილისა  
და სასჯელისა შორის შემოიდე, რამეთუ უმჯობეს არს  
დაღაცათუ მცირედ რაიმე ზვაობა გესხუროს ამისგან,  
ოდენ, ისწრაფე რათა სარგებელ-ეყო თავსაცა შენსა და  
სხვათა მათ ყოველთაცა.

ჟ. არგულება დედა არს ტყუილისა, და საქმე მისი,  
რამეთუ ორგულება სხვა არა რად არს გარნა წვრთნა  
ტყუილისა, და მოპოვნება ფიცთა ცუდთა.

ღ. ჟომელმან შიში ოფლისა მოიგო, იგი უცხო იქმ-  
ნა ტყუილისაგან, რაჟამს აქენ თავსა შორის თვისსა მსა-  
ჯული თვალ უხვავი, რომელ-არს სვინიდისი.

რ. წითარცა ყოველთა ვნებათა ზედა განყოფილე-  
ბანი არიან სასჯელთანი, ეგრეთვე ტყუილისათვის რამე-  
თუ სხვა სასჯელი არს მისი, რომელმან შიშისათვის ტან-  
ჯვისა იტყუა; და სხვა არს მისი რომელმან თვინიერ ჭი-  
რისა რაისამე ქმნა იგი უშიშოებისა წვთისათა.

რ. სხვამან იტყუა საზრდელისათვის; და სხვამან გე-  
მთ მოყვარებისათვის; და სხვამან, რათა მისთანა მყოფ-  
თა სიცილი მოატყვას; და სხვამან რათა ძმასა თვისსა  
ბოროტი უყოს.

რ. ღანჯვისაგან მთავართასა აღიხოცების ტყუილი,  
ხოლო სიმრავლისაგან ცრემლთასა სრულიად წარწყმდე-  
ბის და მოისპოლვის.

რ. შიზეზობნ გულის-ხმის-ყოფით ქმნასა მეტყველი  
იგი ტყუილისა, და სიმართლედ შეერაცხის წარწყმედა  
იგი სულისა თვისისა.

რ. ჟაბ მეძვისა საქმისა ქმნასა იჩემებს კაცი მტყუ-  
ანი და წარწყმედითა თვისითა სხვათა ცხოვრებისა მოსყი-  
დასა იტყვის.

რ. ოკეთუ განვიწმიდოთ ტყუილი სრულიად ჩვენ-

გან, მერმე დაღაცათუ მოიწიოს რადმე ჭირი, და გვინ-  
დეს მოწოდება ტყუილისა მაშინცა ილტვოდის იგი  
ჩვენგან.

7ხ. ყრმამან ჩჩვილმან არა იცის ტყუილი, არცა  
სულმან განშორებულმან ბოროტებისაგან.

7ი. შა აჰა-მის რა ღვინომან გული კაცისა, თვინიერ  
ნებისა მისისა თქვის სამართალი, და რომელნი აღივსნენ  
ლმობიერებითა ცრემლთათა, არა იციან ტყუილი, რამე-  
თუ მარადის ოფალსა ადიდებდენ იგინი, რომლისა არს  
დიდება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**უსე მეათორმეტე ზიბე არს, რომელი მძლე ექმნეს ამას გველსა, მას  
ძირი ზეთილთა მოუგია, რომელ-არს ჭეშმარიტება.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მასწავლებლი და ტვირთ მძიმენი და **შე** განგისვენო თქვენ



ყ<sup>რ</sup>ლთა შთინთქული ჯოჯობეთი      სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამუვანებელი ს<sup>კ</sup>იბე

## ქემული მისივე მოწყინებისა-თვის

### ტქქქ

რსეცა ვნება მოწყინებისა, ერთი არს მრავალ-  
მეტყველებისა რტოთაგანი, ვითარცა ზემო ვსთ-  
ქუთ, და უფროსად პირმშო ნაშობი არს მისი, ამისთვის-  
ცა ჯეროვანსა ადგილსა დავაწესეთ იგი, ბოროტსა მას  
ტანჯვასა შინა ვნებათასა.

2. შოწყინება არს დახსნა სულისა, მოუძღურება  
გონებისა, უგულებელსყოფა მოღვაწებისა, მოძულება მონ-  
აზონებისა; მნატრელი ერის კაცთა, შემასმენელი ივთისა,  
ვითარცა უწყალოსა და არა სახიერისა; ფსალმუნებასა ში-  
ნა დახსნილი, ლოცვასა შინა უძღური, ხორციელ მსახუ-  
რებასა შინა დაუღალავი, ხელთ საქმარსა შინა დაუზარე-  
ბელი, მორჩილებასა შინა პირმოთნე.

3. ნაცი მორჩილი გამოუცდელ არს მოწყინებისა,  
რამეთუ ხილვათა მიერ უხილავი მოუპოვებეს მას.

4. მრებული ზოგად-ცხოვრებულთა-მოწყინებისა წი-  
ნა-აღმდგომ არს; ხოლო კაცი მარტოდ მყოფი – საუკუნე.

5. შირველ სიკვდილისა მისისა არა განემოროს, და  
პირველ საფლავად მისვლისა მარადლე ბრძოლისა.

6. სენაკი მარტოდ მყოფისა იხილა ეშმაკმან მოწყი-  
ნებისამან, და განიცინნა, და მახლობელად მისა მივიდა  
და დაემკვიდრა მის თანა.

7. შკურნალი სნეულთა განთიად მოიკითხავნ, და  
მოწყინება დაყუდებულთა შუადლე მოუხდის.

8. ოცხოთ შეწყნარებასა მოაგონებნ მოწყინება და-  
ყუდებულთა, და მოწყალებასა ხელთ-საქმრისა მიერ აწ-  
ვევს ყოფად.

9. შისვლად უძლურთა თანა აწვართის გულს-მოდ-  
გინედ და მოახსენებს სიტყვასა მას, რომელი იტყვის:  
ვითარმედ უძლურ ვიყავ და მოხვედით ჩემდა.

10. ყეწუხებულთა და სულ მოკლეთა მიმართ აწვე-  
ვევენ წარსლვად და ნუგეშინისცემა სულ-მოკლეთა სულ-  
მოკლემან მან მოიგონის.

11. ზოცვად რა დავდგით. საჭიროთა საქმეთა მოგ-  
ვაგონებენ, და ყოვლისა ღონის ძიებითა ისწრაფინ: რა-  
თამცა მიერ განგვაშორნა, ვითარცა პირუტყვნი ხარტუ-  
კით\* პირუტყვმან მან.

12. ცხრო, და თავქედი სიმხურვალე, და სტომაქისა  
ტკივილი მოიყვანის ეშმაკმან მოწყინებისამან ვიდრე სამ  
ჟამამდე.

13. რაჟამს ცხრა ჟამს მიეახლოს მცირედ აღუსუბუ-  
ქნის, და რაჟამს ტაბლა დააგიან ცხედრისაგან წარმოხლ-  
დის, და რაჟამს ლოცვა მოიწიოს, კვალად გვამი დაუმ-  
ძიმდის.

14. ზოცვასა რა წარვსდგეთ ძილითა დაგვნთქის და  
ზედას-ზედა მთქნარებითა, და მოგვტაცებნ მუხლსა პი-  
რისაგან ჩვენისა.

15. სხვანი ვნებანი თითოეულნი წინა აღმდგომათა  
თვისთა, სათნოებითა განქარდებიან, ხოლო მოწყინება  
ყოვლით კერძო-სიკვდილი არს მონაზონისა.

16. ლხოვნებამან სულისამან გონება მომკვდარი აღა-  
დგინის, ხოლო მოწყინებამან და მცონარებამან ყოველივე  
სიმდიდრე განაზნის.

17. ღინათგან ერთი არს ესეცა, რვათა მათ უკეთურ-  
ებისა გულის სიტყვათაგანი და უმძიმესი ყოველთასა ამ-  
ისთვის მათისა წესისაებრ ამასაცა ზედა ვყოთ გამოძიება,  
გარნა ჯერეთ ესელა ვსთქვა.

18. ჟაჟამს ფსალმუნება არა იყოს, მოწყინება არა

---

\* ხარტუკი (ხრატუკი), არის ლატანს შუა კავი, ცხვირს გამოსდებენ და ორი  
კაცი გაათრევს.



ჩანს, და ოდეს აღვასრულოთ კანონი ლოცვისა მაშინ აღგვეხილებიან თვალნი.

19. ჟამსა მოწყინებისასა გამოჩნდებიან მაიძულებელი-ნი თავთა თვისთანი, რამეთუ არა რად მოატყვებს ესრეთ გვირგვინსა, ვითარ მოწყინება მონაზონსა, უკეთუ არა მიერჩდეს.

20. ოსტატისხმა ყავ და ჰოო, ვითარმედ გებრძო-დის იგი მარადის ჟამსა ლოცვისა და დაჯდომისასა, გეტყოდის რა მიყრდნობასა კედლისასა, და გარდა-ხედვასა სარკმლით სენაკისათ, და გვაოცნებდეს სლვა-სა კაცისასა.

21. ჟომელმან მოიგოს ჭემმარიტი გლოვა, მას არა შეეხოს სული მოწყინებისა.

22. შოვედით საყვარელნო და შევკრათ ესეცა მძლავრი, ხსენებითა სიკვდილისათა და ცოდვათათა, და გვემენ ხელთ-საქმართა და მოიზიდენ ხსენებითა საუკუნეთა კეთილთათა, და წარმოდეგინ სამსჯავროსა მას სულიერსა, და ჰკითხეთ მას ვითარმედ, გვითხარ ჩვენ შენცა ზი, დახსნილო და უდებო! ვინ არს რომელმან გშვა შენ ბოროტად? და ვინ არიან ნაშობნი შენნი?

და ვინ არიან მბრძოლნი შენნი? ანუ ვინ არს რომელი მოგაკვდინებს შენ? ხოლო იგი იტყვის ვითარმედ: ჭემმარიტთა მორჩილთა შორის არა მაქვს სადამცა თავი მივიდრიკე, ხოლო მართოდ მყოფთა თანა ვიქცევი, და მშობელნი ჩემნი მრავალნი არიან: ოდესმე ულმობელობა სულისა და ოდესმე დავიწყება ზეცისა კეთილთა, და ოდესმე გარდამეტებულებამანცა შრომათამან მომიწოდის; და ნაშობნი ჩემნი მრავალნი არიან: მიმოსვლვა ადგილითი ადგილად ჩემ მიერ ქმნილი; და ურჩება მოძღვრისა; და დავიწყება სასჯელისა საუკუნოსა; და მრავალგზის განგდეზადცა სრულიადი აღთქმისა მის მონაზონებისა. ხოლო წინააღმდეგომნი ჩემნი რომელთა მიერ აწ შეკრულ-ვარ, არს ფსალმუნება და ხელთ საქმარი; და ჩემი მტერი – სიკ-

ვდილისა ხსენება. ხოლო ჩემი მომაკვდინებელი არს ლო-  
ცვაჲ სასოებითა კეთილთა მათ საუკუნეთა. და თუ ვინ  
არს მშობელი ლოცვისა, თვით მას კითხეთ, რამეთუ იგი  
ღ.ფალსა უგალობს და ხადის. რომლისა არს დიდება  
უკუნითი უკუნისამდე. ამინ

უსე მეთასამეტა. ძლევა არს ვნებათა, რომელმან მოიგოს ესე ძლევა,  
იგი ყოველსავე შინა გამოცდილ-არს.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მსიმენი და ზე განგისვენო თქვენ



ყლთო შთანთქელი ჯოჯოხეთი სულთო მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ქეშული მისივე ჰმიდისა მამისა ჩვენისა იოანე

### სინელისა. ნაყროვანებისათვის

#### ԳՐԻ Խ

ღგნებავს მცირედ ნაყროვანებისათვისცა თქმად, ვითარცა იგი სხვათა მათ ვნებათათვის, გარნა თავთა თვისთა მიმართ ვყოფთ სიტყვასა, რომელნიცა ესე მუცლისა სიხარბისათვის ვიტყვით, რამეთუ მიკვირს, უკეთუ ვინ თვინიერ საფლავის დამკვიდრებისა იქმნა მისგან თავისუფალ.

ყ. ნაყროვანება არს ორგულება მუცლისა, რამეთუ მამდარ რად არს ნაკლულევანებასა იჩემებნ, და აღვსებულ რად არნ და განსქდებინ შიმშილსა ღაღადებნ, და სხვისაცა სანოაგისა მიღებად ეძიებნ მოსწრაფედ.

რ. ნაყროვანება მომპოვნებელი არს სანოაგეთა, და წყარო არს გემოთ-მოყვარებისა.

შ. შაჰყვი რად ერთი თვალი მისი სხვით კერძო გამოჩნდის, და რაჟამს იგიცა განაქარვი სხვით კერძო გძლიის.

ჩ. ნაყროვანება მაცთური არს თვალთა, რამეთუ მცირედსა იტევნ მუცელი, ხოლო იგი მოაგონებნ თუმცა ყოველივე ერთბამად შთანთქა.

ჩჩ. სიმამღრე ჭამადთა მამა არს სიძვისა, ხოლო მოყმობა მუცლისა წინამძღვარი არს სიწმიდისა.

ჩჩ. ჟომელმან განუსვენოს ღომსა მრავალ გზის მოამდოვრისცა, ხოლო რომელმან განუსვენოს ხორცთა უფროსად განაფიცხნეს.

ჩჩ. ოხარინ ურისა შაბათისა და დღესასწაულისათვის, და ნაყროვანსა მონაზონსა შაბათისა და კვირიაკისათვის.

მ. ჩელიწდითა უწინარეს გამოითვალავნ აღვსებასა, და პირველ ჟამისა მოამზადნის სანოაგენი.

ნ. შონა მუცლისა იგონებნ, თუ რომლითა სანოაგითა იდღესასწაულოს, და მონა ივთისა ჭეშმარიტი იგონებნ, თუ რომლითა მადლითა საღმრთოთა განმდიდრდეს.

ო. ნაყროვანსა ოდეს მოუხდის უცხო შეიწყნარის სიხარულით, და დააგის მეყსა შინა ტაბლაჲ, და სიყვარულად ძმისა შეჰრაცხის დახსნა თვისი.

ი. ჯაჟამს მოვიეთნიმე ვიდენ ინების განხსნაჲ ღვინისა, და ჰგონებნ თუ სათნოებასა ჰფარავს, ხოლო იგი მონა არს ვნებისა.

ი. შრავალ გზის ემტერებონ ცუდი-დიდება ნაყროვანებასა, და ვითარცა სყიდულსა მონასა ზა, ესრეთ ირჩოდინ უბადრუკსა მონაზონსა-ზედა.

ი. ორთი იგი განხსნასა კანონისასა აიძულებნ, ხოლო მეორე გამოცხადებასა სათნოებისა თვისისასა მძლავრობნ.

ი. შონაზონი ბრძენი ორთაგანვე განერეს, რამეთუ ჟამსა თვისსა ერთითა ერთი იოტოს.

ი. ჯაჟამს ხორცთა ბრძოლანი გვამძლავრობდენ, მაშინ ყოველსა ჟამსა და ადგილსა ვტანჯნეთ იგინი, ხოლო უკეთუ ხორცნი მოვაკვდინნეთ, რომელ ესე არა უწყი, თუმცა პირველ საფლავად მისვლისა იქმნა, მაშინ დავფაროთ სათნოება თვისი.

ი. თიხილენ მოხუცებულნი მღვდელნი, რომელთა ეკიცხვიდეს ეშმაკნი და აიძულებდიან ხადილთა შინა ჭაბუკთა, რომელნი არა მათსა მორჩილებასა შინა იყვნინან, და კრულობითა და ჯვარის-წერთა განუხსნიდიან მათ ღვინოსა, და სხვათა ჭამადთა, რომელთაგან განყენებულ-იყვნინან.

ი. აკეთუ წამებულნი იყვნენ ეგე ვითარნი იგი მღვდელნი, ყოვლისაგან ივთის-მოშიშებასა და მოღვაწება-

სა ზედა ჯვარის წერისა მათისათვის, მცირედ რადმე გან-  
ვხსნეთ წესი ჩვენი, ვიპოვნეთ რაჲ ესე ვითარსა ადგილსა;  
უკეთუ კ~ულა უდებნი იყვნენ, ნურარადმცა შეგვირაცხი-  
ეს ჯვარის წერა მათი, და უფროსად უკეთუ ცეცხლი  
იგი ხორთა გვამძლავრობდეს.

γ. გონებდა უბადრუკი და საწყალობელი ევაგრე,  
ვითარმედ უბრძნეს ბრძენთა არს სიტყვითა და გულის-  
ხმის ყოფითა, არამედ სცთა უგულის-ხმო იგი, და უგუ-  
ნურთა უუგუნურეს იპოვა მრავალთა საქმეთა ზედა; და  
ერთად ამას ზედა, რამეთუ იტყვის ვითარმედ რაჟამს მრ-  
ავალთა სანოაგეთა მიმართ სუროდის სულსა ჩვენსა, მა-  
შინ შევაიწროთ იგი პურიტაცა და წყლიტაცა: ხოლო  
ესე მსგავს არს ვითარმცა ვინ ჰრქვა მცირესა ყრმასა, ვი-  
თარმედ ერთითა ნაბიჯითა აღვედ თავსა კიბისასა. ხო-  
ლო ჩვენ წინა-აღუდგებით სიტყვასა მისსა და ვიტყვით,  
ვითარმედ რაჟამს თითო ფერთა ჭამადთა მიმართ ჰსურო-  
დის სულსა ჩვენსა, საქმესა ეძიებს ბუნებითსა, ამისთვის  
უკვე ღონე ვიხმაროთ მრავალ ღონისა მის მიმართ, უკ-  
ეთუ არა გვაქვდენ ოდენ მას-ჟამსა ბრძოლანი მძიმენი,  
და შიში დაცემისა, და ესრეთ ვყოთ ღონე ჩვენი; მოვი-  
წყვიდნეთ პირველად პოხილნი ჭამადნი, და მერმე მხურ-  
ვალენი, და მერმე გემოანნი, და უკეთუ შესაძლებელ  
იყოს ვცეთ მუცელსა ჭამადი განმადლებელი და ადვილად  
მოსადნობელი, რათა განძლომითა მით განუძლომელი  
იგი გონება მისი ვიოტოთ, ხოლო ადრე მოდნობითა  
მით მხურვალეებისაგან ხორცთასა, ვითარცა ცეცხლისაგან  
განვერნეთ.

დ. ოკეთუ გამოვიძიოთ ეპოთ, ვითარმედ ქარიანნი  
ჭამადნი უმრავლესნი აღმძვრელცა ხორცთა არიან.

დ. ოცინოდე ეშმაკსა მას, რომელი შემდგომად სე-  
რობისა გეტყოდის რათამცა ჰყავ ალთქმა ხვალისა მარხ-  
ვისათვის, რამეთუ მოიწიის რაჲ მეცხრე ჟამი ხვალისა,  
უარ ყვის ალთქმა იგი თვისი.

კყ. სხვა არს მარხვა იგი მათი, რომელნი არა შთავრდომილ იყვნენ დაცემასა, და სხვა არს მათი, რომელნი შთავრდომილი იყვნენ; რამეთუ პირველთა მათ ხორცთა აღძრვისა მოკვდინება აქვს სასწაულად, ხოლო მეორენი ვიდრე სიკვდილად და აღსასრულადმდე დაუგებელ და უნუგეშინის ცემაჲ არიან ხორცთა მათთა და მუცლისა მიმართ.

კრ. შირველთა მათ უხმს რათა მარადის შეზავებულეზა ბუნებისა მათისა უვნებელად დაიცვან; ხოლო მეორენი იგი მჭმუნვარებითა სულისათა და განლევიითა ხორცთათა მოწყალე ჰყოფენ იმერთსა მათ ზედა.

კდ. ჴამი ნუგეშინისცემისა და სიხარულისა სრულთათვის არს. ჴამი უზრუნველობისა ყოველსავე შინა, ხოლო მოღვაწისათვის სიხარულ-არს ჴამი ბრძოლისა და ძლევისა მტერთასა; ხოლო ვნებულისათვის ჴამი სიხარულისა არს დღესასწაული დღესასწაულთა და კრება კრებათა.

კე. სიზმარნი და ხსენებანი ჴამადთა და სანოაგეთანი, გულსა შინა ნაყროანთასა; ხოლო სიზმარნი და ხსენებანი სასჯელთა და სატანჯველთანი საუკუნეთა, გულსა შინა მგლოვარეთასა.

კე. უფლვე მუცელსა, ვიდრე არა უფლებულ არს იგი შენდა, და მაშინ იმარხვიდე სირცხვილით.

კვ. Ⴑციან თქმული ესე, რომელნი იგი გამოუთქმელსა მას, მთხრებლსა სიძვისასა შთავარდომილ არიან, ხოლო კაცნი საჭურისნი გამოუცდელ არიან ამას.

კჲ. Ⴑღვირ-ვახსნეთ მუცელსა ჩვენსა ხსენებითა ცეცხლისა მის საუკუნოსათა, რამეთუ მრავალნი მორჩილიქმნეს მუცლისა თვისისა და უკანასკნელ ასონიცა მათნი მოიკვეთნეს და ორკერძოითავე სიკვდილითა მოკვდეს.

კჳ. Ⴑამოვიძიოთ და გულის ხმა ვყოთ და ვპოოთ უეჭველად, ვითარმედ ჩვენ შორის დამთქმანი იგი ბოროტნი ამას ოდენ უქმნიეს.

კდ. Ⴑონება მმარხველისა ილოცავნ ფრთხილად, ხო-

ლო გონება ნაყროვანისა სავსე არს კერპებითა არა წმი-  
დებითა.

*რა.* სიმაძღრემან მუცლისამან განახმნის წყარონი  
თვალთანი, ხოლო მოყმობამან მუცლისამან გამოადინნის  
წყარონი ცრემლთანი.

*რაც.* ჟომელი განუსვენებდეს მუცელსა თვისსა, და  
გონებდეს ვითარმედ მძლე ექმნეს ეშმაკსა სიძვისასა,  
მსგავს არს კაცსა, რომელი შრეტენ ზეთითა ცეცხლსა.

*რან.* ჟაჟამს შეიწრდის მუცელი, დამდაბლდის გუ-  
ლი, ხოლო განისვენებნ რა იგი-მაღლონ გონება და გა-  
ნიბნინიან გულის-სიტყვანი.

*რან.* ოსანიკითხე თავი შენი ძმაო განთიად, შუადლე  
და მწუხრი, და უწინარეს საზრდელის მიღებისა, და თვით  
გულის-ხმა-ყო სარგებელი მარხვისა.

*რან.* ოსანთიად შფოთდებიან და განიბნეოდიან გუ-  
ლის-სიტყვანი, ხოლო შუადლე რაჲ იქმნის მცირედ მოუ-  
ძლურდიან და რაჟამს მზე დავალს მაშინ სრულიად დამ-  
დაბლდიან.

*რან.* ოჭირვე მუცელსა და უეჭველად დაადუმო პი-  
რი შენი, ხოლო განძლიერდების ენა სიმრავლისაგან  
ჟამადთასა, და იწყებს მრავალის-მეტყველებად.

*რან.* სიფრთხილით-ფრთხილ იყავ მისა მიმართ, და  
ბრძოლით ბრძოდე მას, რამეთუ უკეთუ მცირედ დაშვრე,  
მეყვსეულად უფალი შეგეწიოს შენ.

*რან.* ოხიერნი რაზომცა იზილებოდინ, უმეტესად  
განვრცელდებიან, ხოლო უკეთუ შეურაცხ იქმნენ და  
მოუხელელ იყვნენ ვერ დაიტიონ ეგეოდენი.

*რან.* ჟომელი აიძულებდეს მარადლე მუცელსა თვის-  
სა ჟამად განავრცნეს ნაწლევნი მისნი; ხოლო რომელმან  
იღვაწოს მარხვითა, მან შეაიწრნეს იგინი, და იგინი რაჲ  
შეიწრდენ ვერღარა იტევდინ ფრიად, და მაშინ ვიმარხოთ  
მარხვა ბუნებითი.

*ბ.* ლყურილმან წყურილი მრავალ გზის დააცხვრის,



ხოლო შიმშილითა შიმშილისა განკვეთად ძნელ არს და შეუძლებელ.

შდ. ჯაჟამს მძლე გექმნას შენ მუცელი, შრომითა მარხვისათა სძლე მას, უკეთუ კ~ულა ამას ვერ შემძლებელ იყო, უძლურებისაგან, სტანჯე იგი მღვიძარებითა.

შე. შამძიმდენ რად თვალნი შენნი ძილითა, აღიდე ხელთსაქმარი, ხოლო უკეთუ არა გმძლავრობდეს ძილი, ნუ იქმ, არამედ ილოცვედ, რამეთუ შეუძლებელ-არს ივთისა თანა და მამონასა, ესე იგი არს ივთისა თანა და ხელთ საქმარისა დამჭირვა გონებისა.

შუ. ოწყებულ იყავ, ვითარმედ ოდესმე ეშმაკი, სტომოქსა ზედა კაცისასა დაადგრის, და უძლებ ქმნის იგი რომელ გონებნ, ვითარმედ თუმცა შეჭამა ყოველი ეგვიპტე, და შესვამცა მდინარე ნილოსი ვერმცა განძღვა.

შვ. ყმდგომად განძლომისა წარვიდეს და არა-წმიდა იგი ნაყროვნებისა ეშმაკი, და სიძვისა იგი მძლავრი მოგვივლინის, და უთხრის მას ყოველი საქმე ჩვენნი, და რქვის მოისწრაფე ადრე უცუნდრუკებდა შეაშფოთე იგი, რამეთუ მუცელი მისი სავსე არს, და ნუ ზრუნავ, არა ფრიად დაშვრე.

შჟ. შოვიდის ეშმაკი იგი სიძვისა მრისხანებით ჩვენ ზედა, და მაძლარნი რა გვიხილნის განილიმნის, და ხელნი და ფერხნი შეგვიძრწის ძილითა, და რადცა ჰნებავენ ქმნის, რამათუ გვემდერის ვითარცა ნებავენ, და სული და ხორცი შეაგინნის ოცნებითა და დინებითა ბილწებისათა.

თჰა საკვირველი საქმე ძმანო! ვითარ უხორცო იგი და უნივთოდ გონება, ხორცთა მიერ ნივთიერთა შეიგინების, და დაბნელდების; და კვალად თიხისა ამის მიერ უნივთო იგი განწმდების და დათხელდების, და კეთილად მხედველ იქმნების.

თჟ. ოკეთუ აღთქმით აღვითქვამს ივთისა, და რათა ხვიდოდი გზასა იწროსა, შეაიწრე მუცელი შენი, რამე



ქონიძე ფინასსიიყიოუ რყა.

ჩი. შარხვა, იძულება არს ბუნებისა, და დამხსნელი გემოთა სასისათა, და მომსპოლველი ხორცთა ხურვებისა. და მომკვეთელი არს გულის სიტყვათა ბოროტთა; თავისუფლება არს სიზმართა ბილწთა, და სიწმიდე ლოცვისა, და მნათობი არს სულისა, და მცველი გონებისა, დამხსნელი გულფიცხელობისა, და კარი ღმობიერებისა, მომატყვებელი სულთქმათა მდაბალთა, და შემმუსრველი არს გულისა, კეთილი და უჩინო მყოფელი ცუდად მეტყველებისა, მიზეზი არს დაყუდებისა, და მცველი მორჩილებისა, და მატებელი ძილისა, სიმრთელე არს გვამისა, წინამძღვარი უვნებელობისა, მომტყვებელი არს ცოდვათა და კარი არს სამოთხისა.

ჩი. შოვედით ძმანო და ვკითხოთ ამასცა, და უფროსად ყოველთა უპირატესსა მას ბოროტსა ნაყროვნებისა ვნებასა წინამძღვარსა მას ბოროტთასა, დაცემასა ადამისასა, წარწყმედასა ესავისსა, მომსრველსა ისრაელთასა, ნოეს შეურაცხებასა, გომორელთა დამწველსა, ლოთისა ბრალობასა, ძეთა ელის მღვდლისა წარწყმედელსა, და შეგინებათა მომატყვებელსა, ვკითხოთ მას და გამოვიძიოთ, რათა ვვითხრას თუ ვინაი იშვების, და რანი არიან ნაშობნი მისნი, და ვინ არს შემმუსრველი მისი, ანუ ვინ არს წარმწყმედელი მისი სრულიად.

ჩხ. ოვითხარ ჩვენ ზი ყოველთა ხორციელთა მოძღვარო, რომელმან ყოველი მოიყიდენ ოქროთა უძღებებისათა, ვინაჲ გაქვს შენ შემოსვლა ჩვენ შორის, და შემდგომად შემოსვლისა ვითართა ნაშობთა შობ შენ ჩვენ შორის, და რაჲ არს შენი ჩვენგან განსვლა?

ჲ იგი უკეთური ესრეთ მოგვიგებს რომელნი ვკითხვიდეთ მას შეურაცხებით და გინებით, ვითარმედ რასა მაგინებთ და შეურაცხ-მყოფთ მე, თქვენ რომელნი ხელმწიფებასა ქვეშე ჩემსა ხართ, ანუ ვითარ ისწრაფით ჩემგან განშორებასა; და მე ბუნებით თქვენთანა შეკრულ

ვარ: ჩემი კარი სიმრავლე ჭამადთა არს, და ჩემის უძღე-  
ბების მიზეზი ჩვეულება არს დაძველებული, და უღმო-  
ბელობა სულისა, და დავიწყება სიკვდილისა. **ჟოლო** ნა-  
შობთა ჩემთა სახელებისა ვითარ გნებავს ცნობად, აღვ-  
რაცხნე იგინი, და უფროს ქვიშისა ზღვისა განმრავლდენ;  
გარნა პირმშოთა მათ და საყვარელთა შვილთა ჩემთა  
სახელები ისმინეთ: ძე პირმშო ჩემი არს სიძვა, და შემ-  
დგომად მისა სიფიცხლე გულისა, და მესამე არს ძილი,  
და მერმე ზღვა გულის სიტყვათა და ღელვანი და აღძვ-  
რანი შეგინებისანი, და უფსკრული გამოუთქნელთა და  
მიუთხრობელთა არა წმიდებათა ჩემგან გამოვალს. **ჟოლო**  
ასულნი ჩემნი არიან: მცონარება, მრავალ მეტყველება,  
კადნიერება, განცხრომა, სიცილი. ცილობა, ქედფიცხე-  
ლობა, ურჩება, უღმობელობა, წარტყვენილება გონები-  
სა, და სიმაღლე და სიფუდულე, და სოფლის მოყვარეო-  
ბა, რომელსა შეუდგს ლოცვა შეგინებული და განზნევა  
გონებისა, და მრავალ გზის განსაცდელნი მოულოდებე-  
ლნი, რომელთა შვიან სასო წარკვეთილება ყოველთა  
უძვირესი; მე ვშობ ვნებათა და განვამრავლებ დაცემათა  
და დავავიწყებ სიკვდილსა.

ჴე მებრძვის, გარნა ვერ მძლევს ხსენება ცოდვათა;  
და მემტერების, ძლიერად ხსენება სიკვდილისა, არამედ  
სრულიად განმაქარვებელი ჩემი კაცთაგან, არა რად  
არს.

**ჟოლო** რომელმან მოიგოს სული-**ჟმი**და, **ჴისა** მი-  
მართ ჴრტინავნ ჩემთვის და ევედრებინ და იგი მომაოხ-  
რებს მე და არღარა მიტევებს, რათამცა ვნებულად რასმე  
ვიქმოდე ხოლო რომელთა მის ნუგეშინის მცემელისა  
სიტკბოებისა გემო არა უხილავს, მათ თანა დატკბეს ჩე-  
მი სიტკბოება უეჭველად, რამეთუ განმაქარვებელი ჩემი  
**ჴგი** მხოლო არს, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუ-  
ნისამდე. ამინ.

ესე მეთოთხმეტე ზიბე არს ძლევა დიდი და ახოვანი ვნებისა მის  
ბოროტისა, რომელმან შეუძლოს მისა ძლევად, საცნაურ არს ვითარმედ  
სიწმიდისა და უვნებელობისა მიმართ სრულისა მივალს.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ვ'ლთა შთანთქელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი **ს**იბე



ლება განდევნა, და ცეცხლი ცეცხლითა უნივთოდთა დაშრიტა.

ჟი. ზმიდა იგი არს რომელი ძილსაცა შინა არცა ერთსა შერყევასა გონებისასა და აღძრვასა შეიტყვებდეს.

ზ. სიწმიდე ზიარი სახელი არს ყოველთავე სათნობათა.

ი. ზმიდა არს იგი რომელმან სრული კრძალულება მოიგო, და ყოვლადვე ვერ პოებდეს თავისა თვისისა თანა კვალსა ვნებათასა.

იი. ესე არს კანონი და საზღვარი სრულისა მის სიწმიდისა, რათა არა რაითა შეიცვალეზოდის გონება განყოფილებასა ზედა გვამთასა, არამედ ერთად იყოს სულიერთა გვამთა მიმართ, და უსულოთა პირმეტყველთა და პირუტყვთა.

იი. ნუმცა ვინ მომგებელთაგანი სიწმინდისათა გონებს თუ თვისითა ძალითა მოიგო იგი, რამეთუ თვისისა ბუნებისა ძლევა შეუძლებელთა საქმეთაგანი არს.

იი. სადა ძლევა ბუნებისა იქმნა, მუნ უეჭველად ბუნებისა იგი უზესთაესი დაემკვიდრა, რამეთუ თვინიერ ყოვლისა ცილობისა უდარესი იგი უაღრესისა მის მიერ განქარდების.

იი. შასაბამი სიწმიდისა არს გულის-სიტყვათა დაცვა სრულიად, და წარწყმედა ოცნებათა, და ხატთა ბოროტთა ხილვისა, და დინებათა ზედას ზედათა გარნა თუ ჟამთა სიგრძესა შინა იქმნებოდის თვინიერ ოცნებისა, დინება ძილსა შინა: და საშველი საზომი სიწმიდისა, ბუნებითნი აღძრვანი თვინიერ ოცნებათასა, და განშორებულნი დინებისაგან. ხოლო სრული საზომი სიწმიდისა არს მოკვდინება ხორცთა, პირველივე მოკვდინებითა გულის-სიტყვათათა;

იი. ნეტარ არს ჭემმარიტად იგი მონაზონი, რომელი ყოვლისავე ფერისა მიმართ, და ყოვლისა გვამისა,



და ყოვლისა პირისა მიმართ და ყოვლისა სიკეთისა, სრულიად უმეცრება ვნებისა მოიგო, რათა ვერ სადა შეატყოს თავსა შორის თვისსა, ვნებისა რაისამე კვალი ესე ვითართა მიმართ საქმეთა.

76. წრათუ რომელმან თიხა ესე შეუგინებელად დაიცვას, იგი არს წმიდა, არამედ რომელმან ასონი მისნი სრულიად სულსა დაუმორჩილნა.

77. ზიდ არს რომელნი შეხებასა შინა, უვნებელად ეგოს, და უდიდეს მისა არს რომელი ხედვისაგან ეგოს მოუწყველად, და სძლოს ხედვასა ცეცხლისასა, ხსენებითა სიკეთითა მათ, და შვენირებათა ზეცისათა.

78. რომელი ლოცვითა განდევნიდეს ძალსა მას, მსგავს არს იგი კაცსა რომელი ჰბრძავს ლომსა; ხოლო რომელი სიტყვის-გებითა და წინააღმდეგობითა გონებისათა ჰბრძოდის მას, მსგავს-არს იგი კაცსა, რომელი სდევნინ მტერსა თვისსა. ხოლო რომელსა უდებ უყოფიეს სრულიად ზედა მოსლვა მისი, იგი დაღაცათუ ხორცთა შინა იყოს საფლავისაგან აღდგომილვე არს.

79. აკეთუ ესე ჭეშმარიტის სიწმიდისა სახე არს, რომელ აღუძრველად იყოს ოცნებათა შინა ძალისათა, მაშა ესე უეჭველად საზღვარი არს დიდისა მის ვნებულებისა და ბილწებისა, რომელ მღვიძარე რა იყოს დინება შეემთხვეოდის გულის-სიტყვისაგან.

80. რომელი შრომითა და ოფლითა ხორციელითა ბრძოდის ამას მძლავრსა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან შეკრა მტერი თვისი წველითა თივისათა; ხოლო რომელი მარხვითა და მღვიძარებითა ეწყებოდის მას, იგი მსგავს არს მისი, რომელმან შებორკილა რკინითა წინააღმდეგომი თვისი; ხოლო რომელი სიმდაბლითა და ურისხველობითა და წყურვილითა წინა აღუდგებოდის, იგი მსგავს არს მისსა რომელმან მოკლა მბრძოლი თვისი და დაფლა ქვიშასა შინა.

81. ზვიშად გული-ხმა-ყო სიმდაბლე, რამეთუ არა

ზრდის იგი სამოვარსა ვნებათასა, ა~დ არს ყოვლითურთ მიწა და ნაცარი.

ჟ. სხვა არს რომელსა მოღვაწებითა თვისითა; და სხვა არს, და სხვა არს, რომელსა სიმდაბლითა; და სხვა არს რომელსა საღმრთოთა ნიჭითა და გამოცხადებითა შეეკრას მძლავრი იგი. და ერთი იგი მთიებისა მსგავს არს, და მეორე დიდსა მას მთოვარესა, და მესამე ბრწყინვალესა მას მზესა, და ამათ ყოველთა საყოფელი ცათა შინა არს.

ჟჟ. უირველად ცისკარი აღედის, და მერმე ნათელი მოეფინის, და მაშინღა გამობრწყინდის მზე, ეგრეთვე ზემო თქმულნი იგი გულისხმა-ყვენ.

ჟკ. იჩემებნ მელი ორგულებით ძილსა, და ეშმაკი სიძვისა დაცადებასა ბრძოლისასა; ერთმან მან რათა ფრინველი შეიპყრას, და მეორემან ამან რათა სულნი კაცთანი მოინადირნეს და წადწყმიდნეს.

ჟლ. ნუ დაიჯერებ ძმაო ხორცთა შენთა ბრძოლისა დაცადებასა, და ნუ მიენდობი მათ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა, ვიდრემდე წინაშე ჴრისტესა წარგადგინონ.

ჟმ. ნუ მიენდობი მარხვასა თუმცა არა დაეცი მისგან, რამეთუ რომელი იგი ყოვლადვე არა რას სჭამდა, ზეცით გარდამოვარდა, და ნუ უკვე შენმცა უჭმელობამან დაგაყენაა.

ჟნ. ჴიეთმე გულის ხმის მყოფელთა კეთილად სთქვეს ვითარმედ, მონაზონება ესე არს: მტერობა ხორცთა თვისთა, და ბრძოლა მუცლისა თვისისა.

ჟო. უხლად მოსრულთა შორის შვებისა და განსვენებისა მიერ იქმნებიან დაცემანი ხორცთანი; ხოლო საშველთა თანა სიმაღლისაგანცა და ახალთაცა შორის იქმნებიან სიმაღლისაგან; ხოლო რომელი სისრულესა მიახლებულ-იყვნენ, მათ განკითხვისაგან ოდენ მოყვასისა შემთხვევის.

ქზ. წიეთნიმე ნატრიან მათ, რომელნი ბუნებით საჭურისნი არიან დედის მუცლით მათითგან, ვითარმედ განსვენებასა შინა არიან, ხორცთა ბრძოლისაგან; ხოლო მე ვნატრი მათ, რომელნი დღითი დღე გამოისაჭურისკენ თავით თვისით, და მოიკვეთნე მათგან გულის სიტყვათა ბილწებისათა, ვითარცა მახვილითა ორპირითა.

ქი. წიხილენ კაცნი რომელნიმე დაეცნეს თვინიერ ნებისა მათისა და ვიხილენ სხვანი, რომელთა ნებისით ენების დაცემის და ვერ ეძლო, და უფროსი უზადრუკება მივეც მათ, ვიდრელა რომელნი დღითი დღე დაცემინ, რამეთუ ვერ შეეძლო და სიმყრალისა მისთვის სუროდავე.

ქიი. საწყალობელ არს, რელი დაეცეს; ხოლო უსაწყალობელეს არს რომელმან მეორესაცა მოატყვას დაცემა, რამეთუ ორთავე დაცემისა და გულის თქმისა სიმძიმე იტვირთოს.

ქიი. ნუ გნებავს სიტყვის გებითა და ცილობითა უკუნქცევად ეშმაკსა მას სიძვისასა, რამეთუ მას მრავალნი მიზეზნი ჰქონან ჩვენდა მომართ, ვინაითგან ჩვენითვე ბუნებითა გვბრძავს ჩვენ.

ქიი. ჟომელსა ენებოს ხორცთა თვისთა ძალითა თვისითა ბრძოლა და ძლევა, ცუდად შვრების, რამეთუ უკეთუ არა ოფალმან დაარღვიოს სახლი ხორცთა, და აღაშენოს სახლი სულისა, ცუდად იღვიძებს და იმარხავს, რომელსა ენებოს დარღვევა მისი.

ქიი. ოჩვენე ოფალსა სენი იგი ბუნებისა შენისა, დაიცან ყოველსა ჟამსა უძლურება თავისა შენისა, და მიიღო ოფლისაგან მაღლი იგი სიწმიდისა უხილავად.

ქიი. წრს გემოთ მოყვარეთა თანა, ვითარცა მე ვინმე მითხრა მას შინა შთავარდომილმან, შემდგომად განფრთხობისა, ვითარმედ იქმნებისო მათ შორის ცნობა რადმე ხორცთა ტრფიალებისა, და შევალს მათ თანა სული რაიმე ურცხვინო და უკეთური, რომელი მჯდომარე არნ საცნობელსა მას ზედა გულისასა, და ხორციელად მეგრ

ტკივილითა გულისათა, ვითარცა სახმილისაგან ცეცხლი-  
სა მოატყვებნ კაცსა მას, რომელსა ღვთისაგან არა ეში-  
ნინ, და ხსენება სატანჯველთა, ვითარცა არა რაჲ შეუ-  
რაცხ-ყვის, და ლოცვა სძაგნ, და ხილვა მკვდართა, ვი-  
თარცა უსულოთა მათ ქვათა ხედვა შეერაცხის, და ყვის  
კაცი იგი რომლისა თანა არნ, ვითარცა სულელი და  
ცნობა მიღებული, და დაათვრის გულის თქმითა გვამთა  
მიმართ პირმეტყველთა და პირუტყვთასა, რომელ უკე-  
თუმცა არა შემოკლდეს დღენი ესენი, ვითარისა მის\*  
ბრძოლისანი და სულისა მის უკეთურისანი, არამცა გა-  
ნერა ყოველი სული, რომელსა მოსიან თიხანი ესე ხორ-  
ცნი სისხლსა თანა და თელგამსა მყრალსა შერთულნი,  
რამეთუ ვითარმცა განერა, ვინათგან ყოველსა ნათესავსა  
თვისისა თვისებისა მიმართ განუძლომელად სურის, სის-  
ხლსა სისხლისა მიმართ, და მატლსა მატლისა მიმართ, და  
ეგრეთვე ხორცთა ხორცისა მიმართ; დაღაცათუ ღონის  
ძიებით ვისწრაფით მაცთურისა მის ცთუნებად, ბუნები-  
სა მაიძულელებლნი ესე და სასუფეველის მოყვარენი.

*რბ.* ნეტარ არიან რომელნი ყოვლადვე არა გამო-  
ცდილ არიან პირველსა ამას ბრძოლასა, რომელი ესე  
რა ვსთქუთ, და ვილოცოთ ოფლისა მიმართ, რათა  
არცა გამოვიცადნეთ მას, რამეთუ რომელნი მას მთხრებელ-  
სა შთავრდომილ-იყვნენ შიმშილი და შრომა დიდი უხმს,  
რათა შეუძლონ აღსლვად კიბესა მას სათნოებათასა.

*რრ.* უღლის-ხმა-ვყოთ და ვსცნათ ნუ უკვე ჩვენთა-  
ცა მათ მტერთა ეშმაკთა ბრძოლასა შინა მათსა, ჩვენდა  
მომართ თვითეული მათი განწესებულ არს ერთსა და  
ერთსა საქმესა და ბრძოლასა ზედა რომელ ესე საკვირ-  
ველ არს.

*რრრ.* ზავიდევ გონებასა ჩემსა განცდად მათდა, რო-  
მელნი ბრძოლასა შინა არიან და ვიხილენ დაცემანი და-

\*) რამეთუ ფიცხლისა ბრძოლისა დღენი შემოაკლდებიან ძალითა სუ-  
ლისა ემიდისათა.

ცემათა უდიდესნი: *ჰააჰოუსაჲ დასეჲნი ყაჰჰინუ სჰინდჲ ሀს-  
ჰინი*.

*რბ.* ზქვს ჩვეულება ემშაკთა და უფროსად მოღვა-  
წეთა მიმართ მონაზონთა, რომელ მრავალ-გზის ყოველ-  
სავე მანქანებასა და ზაკულებასა, და ღონესა და მისწრა-  
ფებასა თვისსა დასდებს ბუნებისა-გარეგანთა ვნებათა მი-  
მართ, ზრძოლად მათდა, და არა ბუნებითა მიმართ,  
ამისთვისცა მრავალნი იყვნინ რად დედათა თანა, ყოვ-  
ლადვე არა შეექმნის ბრძოლად, და ამისთვის ნატრიდენ  
თავთა თვისთა და ვერ გულის-ხმა-ყოფენ უზადრუკნი,  
ვითარმედ სადა უდიდესი დაცემა იქმნების, მუნ უდარე-  
სისათვის არა ისწრაფიან ემშაკნი.

*რბ.* ღგონებ\* თუ ამის ორისა მიზეზისათვის გვბრძ-  
ვანან ბუნებისა გარეგანთა საქმეთა მიმართ უზადრუკთა  
ამათ მკვლელნი იგი ჩვენნი; ერთად რამეთუ ნივთი იგი  
დაცემისა მის ყოველთაგან გვეპოების; და მეორედ რამე-  
თუ სასჯელი დიდი და უზესთაესი აქვს.

*რბ.* ოცის თქმული ესე მან, რომელი პირველ კან-  
ჯართა უბრძანებდა და ერჩდა მას, ხოლო უკანასკნელ  
სულთა განმზრწნელთა მათ კანჯართა მიერ ემშაკთა და-  
მორჩილებულ, და მოკიცხულ იქმნა. და რომელი იგი  
ზეცისა პურითა იზრდებოდა, ხოლო უკანასკნელ კეთი-  
ლისა მისგან გამოეხვა; და საკვირველი ესე არს, რომელ  
შემდგომად სინანულად მოსლვისა მისისა, იტყოდა მწუ-  
ხარებით და სიმწარით წინამძღვარი ჩვენი ანტონი, ვი-  
თარმედ: „დიდი სვეტი დაეცაო“. ხოლო სახე დაცემისა  
მისისა დაფარა, ყოვლად ბრძენმან მან, რამეთუ იცო-  
და ვითარმედ სიძვა იყო ხორცთა, და თვინიერ სხვი-  
სა ხორცთა შეხებისა.

*გ.* ზრს ჩვენ შორის ერთი რაიმე სიკვდილი და წარ-  
წყმედა დაცემისა, რომელი ჩვენ შორის და ჩვენთანა იქ-

---

\*) ბუნებისა გარეგანნი არიან მამათ-მავლობა და პირუტყვთა თანა დაცემა;  
ხოლო ამათ თანა შერთო ხელითა დაცემაცა.



სასოწარკვეთელებად მოგვიყვანეს.

*შქ.* ვიდრემდის მწუხარებისა იგი და სასოწარკვეთილების გულის სიტყვა გვბრძან, არა მივსცნით თავნი ჩვენნი დაცემად, ხოლო რაჟამს იგი განქარდეს, კვალად კაცთ მოყვარედ სახელმდებელი იგი მძლავრი მოიწიის.

*შჟ.* წითარცა იგი ოფალი უხრწნელ არს და ყოვლად წმიდა, ეგრეთვე სიწმიდესა და უხრწნელებასა ზედა ხორცთა ჩვენთასა იხარებს.

*შხ.* ურა რასა ზედა იხარებენ ესრეთ ეშმაკნი ვითარ სიმყრალესა ზედა სიძვისასა, და არა რომელი ვნება უყვარს მათ, ვითარ შეგინება ხორცთა.

*შჩ.* სიწმიდე თვისება არს ივთისა და მსგავსება მისი ძალისაებრ კაცისა.

*შძ.* უდა სიტკბოებისა არს ქვეყანა და ცვარი, ხოლო დედა სიწმიდისა დაყუდება მორჩილებითურთ.

*ჩ.* ჯომელთა იგი სძლეს ხორცთა თვისთა დაყუდებითა და მოიგეს უვნებელობა ესე ვითარნი, უკეთუ მახლობელად სოფლისა მივიდნენ აღიდრნენ კვალად ვნებანი მათ ზედა; ხოლო მორჩილებისა მიერ მოგებული უვნებელობაჲ ყოველსა ადგილსა გამოცდილ-არს და მტკიცე და შეურყეველ.

*ჩქ.* წიხილე\* სიმაღლე სიმდაბლისა მომატყვებელი, და სიტყვა იგი მოვიხსენე ვითარმედ *ჟჟჟი უუუ უუუუუ* *ოჟჟჟჟჟ.*

*ჩყ.* შთხრებელი და ნაშობი ამპარტავანებისა არს დაცემა, ხოლო დაცემა მრავალ გზის, რომელთა ენებოს სიმდაბლისა მიზეზ ექმნას.

*ჩრ.* ჯომელსა ენებოს ნაყროვანებითა და სიმამღრითა ძლევად ეშმაკსა სიძვისასა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ავსებნ ზეთითა ცეცხლსა.

\*) სიმდაბლე არს თავისა თვისისა ყოველთა უქვენაესად შერაცხვა, ხოლო იქმნების ესე ახოვნებითა გონებისათა და შიშისაგან ღვთისა; და იქმნების დაცემა-თაგანცა, რომელთა დედა არს ამპარტავანება.

*ჩბ.* ჯომელი მარხვითა ოდენ ისწრაფდეს დაცხრო-  
მად ბრძოლისა ხორცთასა მსგავს არს იგი კაცსა, რომე-  
ლი ერთითა ხელითა ცურავნ, და ენების ზღვის დიდისა  
წიაღსლვად.

*ჩჟ.* შეზავე მარხვასა თანა სიმდაბლეცა, რამეთუ  
თვინიერ მეორისა, პირველი იგი უსარგებლო არს.

*ჩჟჟ.* ჯომელმანცა იხილოს თავი თვისი, ვითარმედ  
იძლევის ვნებისა რადასამე მიერ, ყოვლისა პირველად მის-  
სა მიმართ აღიჭურენ, და უფროსად ამის სიძვისა მტე-  
რისა, რამეთუ უკეთუ იგი არა იძლიოს, არა რად სარ-  
გებელ არს, სხვათა ძლევისაგან; ხოლო უკეთუ შეუძ-  
ლოთ ამის მეგვიპტელისა მოკვლად, მაშინ ჩვენცა ვიხი-  
ლოთ იმერთი მაყლოანსა მას შინა სიმდაბლისასა.

*ჩხ.* ჯომელსამე ჟამსა გამოვიცადებოდე რადი გულის-  
ხმა ვყოფდი მეელსა ამას სიძვისასა, ვითარმედ სიხარულ-  
სა პირუტყვებრივისა და ცრემლთა და ნუგეშინისცემასა  
შემოიღებდა სულსა შინა ზაკვით, და ვჰგონებდი მე გო-  
ნებითა ყრმებრითა, ვითარმედ ნაყოფი რაიმე მაქვს და  
არა უნაყოფოება და ხრწნილება.

*ჩჩ.* შემმარიტად ყოველივე ცოდვა რომელი ქმნეს  
კაცმან *უცხოედი უსიღე დის, უსოთა ძაძორიძე რს-  
რას უსიღთე ყრე თორსთე უაძეოს*, ამისთვის რამეთუ  
ბუნებასა მას და არსებასა ხორცთასა შეაგინებს დინები-  
თა მით ბილწებისათა, რომელ ესე სხვასა ცოდვასა ზედა  
არა იქმნების.

*ჩძ.* ღეძიებ მე თუ ვითარ ყოვლისავე ცოდვისათვის  
ვიტყვი, ვითარმედ იგი ვინმე სცთა, ხოლო სიძვისათ-  
ვის ვიტყვი საწყალობელად, ვითარმედ იგი ვინმე  
დაეცა.

*ა.* ოღვის თევზი სამჭედურისაგან, და სული გემოთ-  
მოყვარე დაყუდებისაგან.

*ა.* ჯაჟამს ენებოს შეკვრად ვიეთთამე ურთიერთ  
არს საკვრელითა ბოროტისა სიყვარულისათა, მაშინ



ორივე კერძი გამოცადის, და ორთავე შთაუგდის სიყვარული ურთიერთ არს, და უკეთუ პირველთაგანვე ვნებისა გულის სიტყვათა არა შეიწყნარებდიან, მაშინ პირველად სულიერისა სიყვარულისა მიზეზითა იწყის, და მერმე ნებისა თვისისა ებრ ალატყინი.ს სახმილი იგი.

აჟ. შრავალ გზის რომელნი იგი გემოთ მოყვარებისა მიმართ მიდრეკილნი იყვნენ, მოწყალე და გულ ჩჩვილ, და ცრემლ მრავალ და მოყვარულ იყვნინან; ხოლო რომელნი მოღვაწენი არიან სიწმიდისანი, არა ესრეთ ჰქონან მათ საქმენი ესე ვითარ პირველთა მათ.

აჟ. შკითხა ოდესმე კაცმან ბრძენმან და გონიერმან საკითხავი, და მრქვა მე: რომელი ცოდვა არს უმძიმეს ყოველთა ცოდვათა, შ~დ კაცის კვლისა და ჩვეთისა უარის-ყოფისა? ხოლო მე ვარქვ მას, ვითარმედ შთავრდომად წვალეზასა.\* ხოლო მან მრქვა მე ვითარმედ და ვითარ! რაჟამს მწვალეზელნი მოვიდენ კათოლიკე ეკლესიასა მართლ-მადიდებლობად და უარ-ყვიან და შეაჩვენინან წვალეზა იგი ყოვლითა გულითა, მეყვსეულად ღირს ყოფს მათ ეკლესია ზიარეზასა წმიდათა საიდუმლოთასა, ხოლო რომელნი დაეცნენ სიძვითა და მორავიდენ აღსარებად, და საქმე იგი დაუტეონ ჟამ რავდენმე განაყენებს მათ კანონი მოციქულთა და მამათა ზიარებისაგან. ხოლო მე განვკვირდი დაფარულსა მას საქმესა ზედა, და დაფარული იგი დაფარულადვე ეგო და აღუხსნელად, თუ რომლისა მიზეზისათვის იქმნების ესე.

აბ. ოამოვიძიოთ და გამოვიწვლილოთ, და გულისხმა-ვეოთ თუ გალობსაა შინა ფსალმუნებისასა, რომელი არს სიტკბოება იგი, რომელი სიძვისა ეშმაკისაგან მოვალს ჩვენდა, ანუ რომელი არს, რომელი სიტყვათაგან

---

\*) რამეთუ წვალეზა გონებისა განდრეკილეზა არს, და ენისა საქმე, ხოლო სიძვა ყოველთავე საცნობელთა ხორცთასა და ძალთა სულისათა შესცვალეზს არა არსებად არსებისაგან; და ხატეზასა ჩვეთისასა რომელი არს ჩვენ ზედა განხრწნის.

სულისა მშობლისათა, და მათ შინა მყოფისა მადლისა და მალისაგან იქმნების.

აჲ. ნუმცა სცთები ზი ძმაო, რომელი ეგე სიჭაბუკისა შინა ხარ, რამეთუ ვიხილენ ვიეთნიმე რომელნიმე, რომელნი ყოვლითა გულითა მათითა მოყვარეთა მათთა თვის ილოცვიდეს, და იქმოდეს ამას სიყვარულითა და გულის სიტყვითა სიძვისათა, და იგინი ჰგონებდეს თუ ხსენებასა და წესსა სიყვარულისასა აღასრულებენ.

აჲ. იქმნების შეხებითაცა შეგინება ხორციელად, რამეთუ უფროს თვალთასა და უფროს სასმენელთასა, ესე საცნობელი შეხებისა უფრო მძიმე არს, და ადრე შემძლებელ არს ვნებად.

აჲ. შოიხსენე\* იგი რომელმან შეიხვია სახვეველითა ხელი თვისი, და გეშინოდენ შენცა ხელისა მიყოფად ბუნებითაცა, და ბუნებითა თვისთა და უცხოთა ხორცთა.

აჲ. ზგონებ თუ არავინ ითქმის ჭემმარიტად მშობდა, ვიდრე არა შეცვალოს მიწა ესე, და თიხა ოქროდ, უკეთუ ოდენ შეუძლოს, რამეთუ ძნელ არს.

აჲ. ჯაჟამს სარეცელთა ზედა დავწვეთ, მაშინ ფრთხილად ვიყვნეთ, რამეთუ მაშინ გონება ოდენ თვინიერ ხორცთასა ჰბრძავს ეშმაკთა, და უკეთუ გემოთ მოყვარე იყოს, გონება იგი ადრე იქმნების შინა განმცემელ სულისა.

აჲ. მსენება სიკვდილისა დაწვებოდეს შენ თანა მარადის და ლოცვა ოფლისა მიმართ იესოსი, რამეთუ არა რად არს სხვა ესე ვითარი შემწე ძილსა შინა, ვითარ ესენი, ვერცა რად ჰპოო მსგავსი ამათი.

აჲ. თიეთნიმე იტყვიან თუ ჭამადთაგან ოდენ იქმნებიან ბრძოლანი და დინებანი, ხოლო მიხილავნ მრავალნი სნეულნი ფიცხლად, და მმარხველნიცა ძლიერად და

---

\* მოიხსენე იგი, მას ძმას იტყვის, რომელი დედასა თვისსა წყალსა წიაღიყვანებდა.

ფრიად შეიგინებოდეს დინებითა და ბრძოლითა.

*სყ.* ოცი თხე ოდესმე ამის საქმისათვის გამოცდილსა ვისმე და გულის-ხმის მყოფელსა მონაზონსა, და მასწავა ნეტარმან მან კეთილად, ვითარმედ იქმნების დინება ძილსა შინა, სიმრავლისაგან ჭამადთასა და განსვენებისა; და ოდესმე იქმნების ამპარტავანებისაგან, რაჟამს მრავალ ჟამ დაუბრკოლებლობისა ჩვენისათვის ვზვაობდეთ; და იქმნების კვალად განკითხვისაგანცა მოყვასისა, – და ორნი იგი მოიწევიან სნეულთაცა ზედა, ხოლო ვგონებ თუ სამნივეცა. – უკეთუ კ<sup>ა</sup>ულა იხილოს ვინმე თავი თვისი განწმედილი ამათ მიზეზთაგან და შეემთხვევოდესვე დაცემად, ნეტარ არს მუშაკი იგი უვნებელობისა, რამეთუ შურისაგან ეშმაკთასა შეემთხვევის მას, ვინადთგან შეუნდობს იმერთი, რათა ჟამითი ჟამად შეემთხვეოდის ესე, რათა განსაცდელითა უცოდველითა მოიგოს მან სიმდაბლე მაღალი.

*საჟ.* ნუმცა ვინ იწვრთის დღისი ოცნებათა ძილსა შინა ხილულთა, რამეთუ ესეცა გულის-სიტყვა და ღონე ეშმაკისა არს, რათა სიზმართა მიერ მღვიძარედცა შეგვაგინებდენ.

*საბ.* ოისმინოთ სხვაცა ღონე ეშმაკთა, რამეთუ ვითარცა ხორციელად მავნებელნი ჭამადნი, მრავალ გზის შემდგომად დღეთა და ჟამთასა გვავენებენ, ეგრეთვე ოდესმე იქმნების სულიერსაცა ზედა, რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელნი იყვიან შვებასა და განსვენებასა შინა და სმასა ღვინისასა, და არა რად აქვენ ბრძოლად მას ჟამსა, და ესე მრავალ გზის ქმნიან, და მერმე ამითვე მიზეზითა შეაგინიან სული კაცისა მტერთა.

*საჟ.* ოიხილენ კვალად კაცნი რომელნი ჭამდინ და იქცეოდინ დედათა თანა და არა რას იგრძნობდეს ყოვლადვე გულის სიტყვასა ბოროტსა გულსა შინა მათსა, და ვითარცა მიენდვნეს და უზრუნველ იქმნეს შეცთომილნი იგი, რა ჟამს იგი გონებდეს თუ მშვიდობა აქვს

და უცთომელობაჲ სენაკსა შინა თვისსა, მაშინ მეყსა შინა მოიწია მათ ზედა დაქცევაჲ. ხოლო თუ რომელი არს დაქცევა იგი, რომელი მარტოებით რა ვიყვნეთ მოიწევის ჩვენ ზედა სულიერად და ხორციელად, რომელი გამოცდილ არს მან იცის, ხოლო რომელი არა გამოცდილ არს, არა სახმარ არს მისდა ცნობა.

*საჟ.* ოგე ვითარსა ჟამსა შინა კეთილი შეწევნა არს ჩვენდა შემოსა ძაძისა, და ნაცარსა ზედა ჯდომა, და ზედგომა ძლიერად ხელ-აღპყრობით ლოცვასა შინა, და შიმშილი პურისა, და ენისა განხმობა წყურვილითა, რათა ზომით ოდენ დავასოვლებდეთ მას, და ყოფა საფლავთა შინა, და ყოვლისა უწინარეს სიმდაბლე გულისა, და თუ ღონე გვაქვნიდეს მას ჟამსა თანა შეიწიე მოძღვარი, ანუ ბერი ვინმე, გინა ძმა მოსწრაფე, რომელსა მოეპოოს გონება ბერისა, რამეთუ მე მიკვირს, უკეთუ კაცმან მარტოდ შუძლოს ნავისა დიდისა უფსკრულით ნავთსაყუდელად შეყვანებაჲ.

*საზ.* შრავალ გზის ორთა შეემთხვევის ერთი რამე ცოდვა და იგივე დაცემა ასწილად უმძიმესი არნ, ერთისა მის ვიდრე მეორისა მის ადგილისაგან და ზრდილობისა და საზომისა, და სხვათაგან მრავალთა.

*საქ.* შიზეხთა მრავალთაგან და თითო სახეთა იქმნებიან დაცემანი, რამეთუ რომელნიმე მახლობელად მავნებელთა პირთათა ყოფითა იქმნებიან, და ხედვითა მათითა; და სხვანი ჭამადთაგან; და სხვანი ზვაობისაგან; და სხვათა მრავალთა მიზეხთაგან.

*საჟ.* შითხრა ვინმე საქმე საკვირველი, და საზომი სრული სიწმიდისა, და იტყოდა: ვითარმედ იხილა ვინმე პირი დედაკაცისა შვენური ფრიად და დიდად ადიდა დამბადებელი, დაუკვირდა სიბრძნე იგი და ძალი შემოქმედისა თუ ვითარიდა შვენირება უქმნიეს მას თიხისა და არა რადსაგან; და ხილვითა ოდენ მისითა, მოვიდა დიდად სიყვარულად ივთისა, და მოსდიოდეს მას ნაკადულნი

ცრემლთან; და იყო ხილვა საკვირველი საქმისა მის, რამეთუ რომელი იგი სხვათა წარმწყმედელი იყო და დამცემელი, მისთვის მიზეზ გვირგვინოსნებისა იქმნებოდა უაღრეს ბუნებისა.

უ. ოკეთუ ეგე ვითარსა მას, ეგე ვითართა საქმეთა ზედა მარადის ეგე ვითარი საზომი და გონება აქვს, მაშა აღდგომილი სადმე არს იგი აღდგომითა მით უხრწნელითა პირველ ყოველთა აღდგომისა.

უჲ. ესევე სახე გალობათა და ჟამნობათა ზედა იქმნების, რამეთუ ივთის-მოყვარენი სიხარულად სულიერად. და სიყვარულად ივთისა და ცრემლად მოვლენ გალობისაგან, ხოლო გემოთ მოყვარენი ვნებულებად და ცთომად.

უჳ. ჟომელთამე ვითარცა პირველ ვსთქუთ განშორებულთა და უდაბნოს მყოფთა ბრძავს ფიცხლად ეშმაკი სიძვისა, და არა საკვირველ არს, რამეთუ ფრიად იყოფებიან ეშმაკნი უდაბნოთა ვინადგან ოფალმან უდაბნოდ და უფსკრულად განხადნა იგინი ცხოვრებისათვის ჩვენისა.

უჴ. Ⴀრძვანან დაყუდებულსა ეშმაკნი ძლიერად, რათამცა დაარწმუნეს თუ არა რაჲ სარგებელ-ეყო უდაბნოს ყოფითა, და ესრეთმცა სოფლად წარიყვანეს.

უჵ. ჩარვიდენ ჩვენგან ეშმაკნი მცირედ ჟამ, ვიყვენით რა ერისაგანთა თანა, რათამცა დავირწმუნეთ ვითარმედ არა რაჲ გვევნების, და მუნცა დავადგერით, რათამცა ესრეთ მომიმარჯვეს მტერთა ჟამი და ადვილადმცა და გვცნეს ჩვენ.

უჶ. ჟომელსაცა საქმესა და ადგილსა გვბრძოდინ ეშმაკნი მუნცა ჩვენ ვებრძოლნეთ მათ, რამეთუ უკეთუმცა არა უმძიმდა მათ საქმე იგი და ადგილი, რადმცა გვბრძოდეს მისთვის, უკეთუ კულა რაჟამს იგინი გვბრძოდინ და ჩვენ არა ვბრძოდეთ, არამედ ვმორჩილებდეთ, საცნაურ არს ვითარმედ მეგობარ მათდა ვიქმნებით.

აჟ. შრავალ გზის წარვიდით რად სოფლად სახმრისა რაისათვისმე, და გვფარავნ მარჯვენე ივთისა ლოცვითა მოძღვრისათა, ამისთვის რათა არა იგმოს სახელი ღვთისა ჩვენ ძლით; და ოდესმე უღმობელობისაგან გულისა ვერ ვსცნობთ ბრძოლასა ვიყვნეთ რა სოფელსა შინა, და რამეთუ განმადლარ-ვიყვენით ხედვითა და ზრახვითა მავნებელითა და ვერ შევიტყვებდით ვნებასა, რამეთუ სავსე ვიყვენით ვნებითა, გინათუ ვითარმედ ეშმაკნი იგი სიძვისანი ნებსით წარვიდიან ჩვენგან, და დაგვიტევიან ჩვენ ეშმაკი ზვაობისა აღმასრულებელად ადგილსა მათსა.

აბ. ოსმინეთ კვალად მის მზაკვრისა ღონე და მანქანებანი, ყოველთა რომელთა გნებავს სიწმიდისა მოგება, რამეთუ მითხრა ვინმე გამოცდილმან მზაკვარებისა მათისამან, ვითარმედ მრავალ-გზის ეშმაკი სიძვისა განეშორების მონაზონისაგან, და ჟამსა მას დედათა-თანა ჯდომისასა, ღმობიერ ყოფს გულსა მისსა, და მოსცის წყარო ცრემლთა და მოაგონის რათამცა სწავლიდა მათ ხსენებისათვის სიკვდილისა და სასჯელისა და სიწმიდისათვის და მოღვაწებისა, რათა სიტყვითა მით ღმობიერებისა, და სახითა მით მაჩვენებლობისათა მირბიოდინ მგლისა მის თანა, ვითარცა მწყემსისა მიმართ და რაჟამს იქმნის ჩვეულება და კადნიერება, მაშინ მოიწიის დაცემა უბადრუკსა მას ზედა.

აჟ. სილტოლვით ვილტვოდით ძმანო, არა ხედვად, არცა სმენად ნაყოფისა მის, რომლისა აღთქმა გვიქმნიეს, არა ხილვად გემო მისი; რამეთუ მე მიკვირს, უკეთუ თავნი ჩვენნი უდიდეს და უძლიერეს შეგვირაცხიან დავით წინასწარმეტყველისა, რომელ ესე შეუძლებელ არს.

აჟ. ოსრეთ დიდ არს და მაღალ სათნოება იგი სიწმიდისა ვიდრეა იკადრეს მამათა წაათა და სახელ სდევს მას ო. ვნებელობად.

4. ღიეთნიმე იტყოდეს, ვითარმედ შეუძლებელ არს რამცა ეწოდა კაცსა წმიდა შემდგომად ცოდვასა შინა დაცემისა, ხოლო მე წინა აღუდგები მათ, და ვიტყვი ვითარმედ: ჰე, შესაძლებელ-არს, ვითარცა რომელსა ენებოს და ადვილ-არს ველურისა ზეთის-ხილისა შინაურ ყოფად დამყნითა, მას ზედა ტკბილისა მის და კეთილისა ზეთისა ხილისა, ეგრეთვე შესაძლებელ არს შემდგომად ცოდვისა სიწმიდე.

44. ოკეთუ ხორცითა ქალწულსა ერწმუნნეს კლიტენი სასუფეველისა\* ცათასანი, ნუ უკვე და მართალსა იტყოდეს პირველ თქმულნი იგი, გარნა არცხვენს მათ, რომელსა იგი სიდედრი ესვა და წმიდა იქმნა და სასუფეველისა კლიტენი მიეცნეს.

45. შრავალ არიან ღონენი სიძვისა ეშმაკისანი და სიმანქანენი მისნი, რამეთუ რომელნი არა გამოცდილ-არიან დაცემითა ცოდვისათა მათ ასწავებნ და ეტყვიან ერთგზისდა გამოსცადე, და სხვასა კვალად ნურღარა მიეახლები; ხოლო რომელნი იგი დაცემულ არიან და გამოცდილ ცოდვითა, მათ მოახსენებნ გემოსა მას, რომელსა გამოცდილ იყვნინ გემოს-ხილვითა.

46. შრავალნი გამოუცდელნი ცოდვისანი უმეცრე-ბითა მის საქმისათა, არა სურვიელ არიან მისსა მიმართ, და მრავალნი არიან გამოცდილნი საქმესა მას ბილწებისასა, რომელთა სძაგს იგი, და არა ნებავს მიახლებაცა; და კვალად მრავალთა გამოუცდელთა მისთა სურის, რათამცა გამოიცადოს და გამოცდილთა აქვს ბრძოლად გემოსა მის ხსენებითა და იმძლავრებიან მისგან.

47. შრავალ გზის დაგვეძინის ძილი კეთილი და აღვდგით მშვიდობით, რამეთუ წნგელოსნი წმიდანი უხილავად გვფარვიდიან და უფროსად რაჟამს ლოცვითა და ვედრებითა ფრიადითა დაგვეძინის და მრავალ გზის კვალად კეთილად დაგვეძინოს, და ხილვათაგან ბოროტთა შეშფოთებულნი აღვდგით ეშმაკთა მიერ უკეთურთა.

\* პეტრეს მოციქულსა იტყვის.

უი. *Ἐργοναὶ ἀποθηκῆσιν ἐπινοησάτω ὅτι ἐπιτελε-*  
*σάτωσαν* და აღმფოთებული, და აღზვავეებული ჩემ შო-  
 რის *ἀποθηκῆσιν ἐπινοησάτω ὅτι ἐπιτε-*  
*λεσάτωσαν* მარხვისა მიერ, *ὅτι ἐπιτε-*  
*λεσάτωσαν* ვითარცა პირ-  
 ველ ჩემ შორის გულის წყრომა მისი, *ὅτι ἐπι-*  
*τελεσάτωσαν* ადგილსა მისსა, დავამდაბლე რაჲ გონება ჩემი, *ὅτι ἐπι-*  
*τελεσάτωσαν* ჩემ შორის, კვალი მისი.

უი. ჟომელიცა ხორცთა მძლე ექმნა, იგი ბუნებასა  
 მძლე ექმნა, ხოლო რომელი იგი ბუნებასა მძლე ექმნა,  
 იგი უზესთაეს-ბუნებისა ქმნილ არს. – ხოლო რომელი ამას  
 საზომსა მიწევნილ არს, იგი მცირედლა დაკლებულ არს  
 ანგელოსთაგან, და ნუ უკვე ყოვლადვე არა სადა დაკლ-  
 ებულ არს.

უხ. *ὅτι ἡ ἀκρίβεια*\* არს უკეთუ უნივთონი უნივ-  
 თოთა ბრძოდის, არამედ ესე არს ჭემმარიტად დიდი სა-  
 კვირველი, რომელი ნივთიერი წინა აღმდგომითა ამით  
 და მძიმითა ნივთითა, უნივთოთა და უხორცოთა მტერთა  
 სძლევეს.

უი. *ὅτι ἡ ἀκρίβεια* უწყოდეთ საყვარელნო, ვითარმედ ესე-  
 ცა მრავლითა ზრუნვითა და წყალობითა ჩვენითა განაგო  
 ღმერთმან, რომელ დასდვა დედათა ზედა ზარი და სირ-  
 ცხვილი და მიფარვა, და ვითარცა აღვირითა აღვირ ახს-  
 ნა მათ ამით, რამეთუ უკეთუმცა აქვნდა მათ კადნიერება  
 მძლავრებით მისვლად მამათა მიმართ, არამცა განერა მათ  
 ყოველი ხორციელი.

უი. სხვა არს მოსლვა გულის-სიტყვისა წვრილადი,  
 და სხვა არს თანა ზრახვა გონებისა გულის-სიტყვისა მის-  
 თანა, და სხვა არს დამტკიცება, და სხვა არს ტყვეობა,  
 და სხვა არს ბრძოლა, და სხვა არს რომელსა იგი ეწო-  
 დების ვნება, ვითარცა წმიდანი მამანი იტყვიან; რამეთუ  
 ესრეთ იტყვიან ნეტარი იგი ვითარმედ *ὁμοιωσάτω* მოს-

\* ონივთო არს ონიგელოსი და ეშმაკი და სული; ხოლო ნივთი-  
 ერ არიან ხორცნი



ლვა გულის-სიტყვისა ეს არს, რაჟამს სიტყვა რაიმე უნ-  
დო, ანუ ხატი რაჲ, ახლად ხილული მოუხდის გულსა;  
და *თაჩი-ხიხუროდა* გონებისა ესე არს, რაჟამს იწყოს  
გონებამან ზრახვად გულად მოსრულისა მის ხატისა მი-  
მართ ვნებულად, გინა უვნებელად. და *ბეძიხუღოყდა* არს  
წამისყოფა გულის თქმითი სულისა ხილულისა მის მიმ-  
ართ. *ჟოლო გუროყაყდა* ესე არს, ანუ იძულებითი და  
მძლავრებით მიტაცება გულისა, ანუ გულის სიტყვა და-  
დგრომილი ჩვენ თანა, და წესისა მის ჩვენისა კეთილისა  
განმრყენელი. და *ყაძიხაძა* არს რაჟამს გულის სიტყვა  
იგი და კაცი სწორი-სწორ ბრძოდიან, ანუ სძლევდეს,  
ანუ იძლეოდეს. *ჟოლო რაჩოყაძ* იგი ითქმის, რომელ  
მრავალ ჟამ დაებუდოს სულსა შინა და გულის-სიტყვასა,  
ვითარცა ჩვეულებად მოსრულ იყოს გონება წვრთად მი-  
სა, და თავით თვისით მივალნ მისსა მიმართ. და ამათ  
ყოველთაგან პირველი იგი უცოდველ არს; ხოლო მეო-  
რე არა ფრიად; და მესამე საზომსა ზედა მის მოღვაწისა-  
სა *ჟ* ბრძოლად ანუ გვირგვინისა ანუ ტანჯვისა მომატ-  
ყვევებელ ექმნების; და ტყვეობა სხვებრ განიკითხვის,  
ლოცვისა ჟამსა; და სხვებრ მოცალებისა ჟამსა, და სხვე-  
ბრ ბოროტთა გულის-სიტყვათა ზედა, და სხვებრ ცუდ-  
თა. *ჟოლო* ვნებასა უეჭველად ანუ შესწორებული მისდა  
სინანული უხმს, ანუ საუკუნოისა სატანჯველისა თანა-  
მდებ არს. *წ* უკვე რომელი პირველსა მას უვნებელად  
იგონებდეს, სხვანი იგი ყოველნივე მოუწყვედიან ერთბა-  
მად.

*ძ*. *წ*რს გულის-ხმის მყოფელთა მამათა მიერ თქმუ-  
ლი სხვაგა ამათსა უწვლილადესი გულის სიტყვა, რო-  
მელსაცა ელმად გონებისა სახელ-სდებენ ვიეთნიმე, რო-  
მელნი იგი თვინიერ ჟამისა, და თვინიერ სიტყვისა, და  
თვინიერ ხატისა მოხსენებისა უმაღლესად ამის ყოვლისა  
ოდენ-ვნებისა სახესა რასმე უცნაურად სულსა უჩვენებენ  
და ქმნის მოსვლა თვისი ხსენებითა რამე წვლილითა და

უქამოდთა და უპოვნელითა, და რომელთამე მიერ ყოვლადვე არა საცნაურ იქმნების იგი.

*ძრ.* რომელსაცა უპოვნის ესე ვითარი იგი სიწვლილედ მისი, მას ძალუძს რათა გამოგვიცხადოს და გვასწავოს თუ ვინაჲ ანუ ვითარ იქმნების ხილვითა ოდენ თვალთათა, და შეხებითა ხელისათა, და სმენითა ხმისათა, თვინიერ გულის სიტყვისა რაისამე სიძვა სულისა ვნებულად.

*ძყ.* რომელნიმე იტყვიან ვითარმედ გულის-სიტყვათაგან გულისათა მოვლენ ხორცი ვნებად და აღძვრად; და კვალად სხვანი იტყვიან, ვითარმედ საცნობელთაგან ხორცთასა იშვებიან ბოროტნი გულის-სიტყვანი; და პირველნი იგი იტყვიან, ვითარმედ უკეთუმცა გონება არ წინამძღვარ ქმნილ იყოს ვნებისა, ხორცი იმცა არა მიყოლილ-იყვნეს. *ჟოლო* მეორენი იგი ხორცთა ვნებისა სიბოროტესა, შემწედ თვისისა სიტყვისა მოიღებენ, და იტყვიან ვითარმედ მრავალ გზის ხილვითა პირისათა, ანუ შეხებითა ხელისათა, ანუ ყნოსითა სუნნელებისათა, ანუ სმენითა ხმისა-ჰამოსათა, მოვლენ გულის სიტყვანი გულად. *წმათ* საქმეთა ჭემმარიტება, რომელსა ძალ ედვას უფლისა მიერ გამოგვიცხადენ და გვასწავენ: რამეთუ ფრიად სარგებელ არს ესე ვითართა საქმეთა ცნობა მათთვის რომელნი გულის-ხმის-ყოფით იღვწიან, ხოლო რომელნი სიწრფოებით, და ლიტონად აღასრულებენ ცხოვრებასა თვისსა, და სიმარტივითა გულისათა მათდა არად სახმარ არიან ამათ ესე ვითართა გამოძიებანი; რამეთუ არა ყოველთა არს გულის ხმის-ყოფა, არცა ყოველთა არს სანატრელი სიწრფოება, არამედ ჯაჭვი მზაკვარებისაებრ მტერთასა სახმარ-არს.

*ძრ.* რომელნიმე ვნებანი გონებისაგან ხორცთა მომართ მოვლენ, და რომელნიმე კვალად ხორცთაგან გონებად, და სოფლიოთა თანა მეორე ესე იქმნების, ხოლო უდაბნოს მყოფთა თანა პირველი იგი, რამეთუ არა არი-

ან მათ თანა ნივთნი ვნებათანი ხილულად. – გარნა მე ამას ზედა, ესრეთ ვიტყვი ვითარმედ *ηδη ημερησικως* *ταυτην σηνεχουσικως, δε ημερησικως δε ημερησικως*.

*ძბ.* ჯაჟამს ფრიად ვჰბრძოდით ეშმაკსა მას სიძვი-სასა, და განვდევნით იგი გულისაგან ჩვენისა, ქვითა მარხვისათა, და ვტანჯით მახვილითა სიმდაბლისათა, მაშინ ხორცთა შინა დაშთის, ვითარცა ჭია რაიმე, და უჟამოდთა და ცუდითა აღძრვითა აღვგძრავნ და ნებავენ შეგინება ჩვენი, ხოლო ესე უფროსად მათ ზედა, მოიწევის რომელნი, ეშმაკსა მას ზვაობისასა მიერჩდენ. ჯამეთუ ვინათგან არა ზედას ზედა მოვიდოდეს გულად მათდა, გულის სიტყვანი ბოროტნი, ამისთვის ზვაობად მოვიდეს. და ვითარმედ უტყუველ არს თქმული ესე, რაჟამს დაყუ-დებასა შინა იყვენ ესე ვითარნი იგი, მაშინ გამოემი-ბედ კეთილად, და ჰპოონ გულის სიტყვა რაიმე სიღრმე-სა შინა გულისასა, ვითარცა გველი სკორესა შინა და-მალული, რომელი მოაგონებენ, ვითარმედ თვისითა მა-ლითა და მოსწრაფებითა წარუმართებიეს სიწმიდე იგი გულისა მცირედი, და არა გულის-ხმა-ყოფენ უბადრუკნი იგი სიტყვასა მას, ვითარმედ *მცა ημερησικως ημερησικως* *συνεχουσικως* უსასყიდლოდ, ანუ ივთისა-წყალობითა, ანუ სხვათა შეწევნითა და ლოცვითა.

*ძი.* ჯერ არს მათდა რათა ფრიადითა მოსწრაფები-თა, პირველ თქმული ესე გველი გულთაგან მათთა გან-იოტონ სიმდაბლითა ფრიადითა, რათა რაჟამს მისგან გა-ნთავისუფლდენ, მაშინ ნუ უკვე შეუძლონ მათცა აღძარ-ცვად სამოსელისა მათ ტყავისათა, და რათა უგალობდენ ოფალსა ძლევისა გალობითა სიწმიდისათა, ვითარცა ოდესმე ყრმანი იგი უბიწონი, რომელნი მიეგებოდეს ღრისტესა ოფალსა ყოველთასა, და რაჟამს ესრეთ შე-უძლონ აღძარცვად სამოსელთა მათ ტყავისათა ბოროტ-

თა, არა შიშველ იპოვნენ უმანკოებისა და სიმდაბლისა მათისაგან.

*ძიუ.* ომზირის მარადის ესეცა ეშმაკი უფროს ყოველთა ეშმაკთასა, და უფროსად რაჟამს ვერ ძალგვედვას ხორციტა მოღვაწება, და კეთილად ლოცვა მაშინ გვბრძავნ ჩვენ არა წმიდა იგი.

*ქხ.* ჟომელთა არა მოეგოს ლოცვა გულისა ჭეშმარიტი, მათ დიდად შეეწევის ხორციელად შრომად ლოცვისა, ესე იგი არს განპყრობა ხელთა, ცემა მკერდსა თვისსა, ხედვა ცად მიმართ მხურვალთა გულითა, სულთქმა ფრიადი, და მუხლთ მოდრეკა ძლიერად, რომელსა ესე ვერ შემძლებელ იყვნენ კაცთა თანა ყოფად, და ამისთვის ესე ვითარსა ჟამსა აღადგინიან ეშმაკთა მათ ზედა ბრძოლად, რომელთაცა ვერ ძალ ედვის ჯერეთ უხილავითა ძალითა ლოცვისათა და მკსინვარებითა გონებისათა ძლევად მათდა, და განძლიერებად თავთა თვისთა, და ამისთვის მრავალ გზის იძლინიან.

*ძიქ.* ოანეშორე მცირედ კაცთაგან მას ჟამსა უკეთუ შესაძლებელ იყოს, დაიმაღლე მცირედ ჟამ, და აღიხილე თვალთა სულისათა, და თუ ესე ვერ გეძლოს მაშა ხორციელითა, აღიხილენ ზეცად, განიპყრენ ხელნი ჯვარის სახედ შეუძვრელად, რათა სახისა მის მიერცა არცხვინო ამაღეკსა და მძლე ექმნა, ხმა ყავ შემძლებელისა მის მიმართ, შეწევნად შენდა ნუ სიტყვითა სოფლიოთა, არამედ სიტყვითა სიმდაბლისათა, ღაღადებდ ყოვლისა პირველად ვითარმედ *ყოჰოოყდრაჲ ჰჲ ძიჰჲთაჲ აქძოთაჲ რდჲჲ ჰჲ.* მაშინ იხილო ძალი ძალლით გარდამო და უხილავნი იგი მტერნი უხილავად იოტნე, უხილავითა შეწევნითა, და რომელი დაეჩვიოს ესრეთ ბრძოლად მტერთა, მან ადრე ისწაოს სულითაცა ოდენ ძლევად მათდა თვინიერ ხორცთასა, რამეთუ სახეთ პირველისა მის მეორე ესე მოეცემის ივთისა მიერ მუშაკთა სიმართლისათა.

ძი. შივედ ოდესმე შესაკრებელსა ძმათასა, და ვიხილე მუნ ძმა ფრიად მოსწრაფე, რომელი შეაშფოთეს გულის-სიტყვათა სიძვისათა, და რამეთუ ვერ პოვა ადგილი ფარული ლოცვად მარჯვე ამისთვის მიზეზი ყო შესვლა ადგილსა გარეგან სავალსა სახმარისათვის ხორცთასა და მუნ დადგა, და მყოვარ ჟამ ილოცვიდა მტერთა საბრძოლველად; ხოლო მე ვაბრალე მას, რამეთუ ესე ვითარსა უწესოსა ადგილსა ილოცვიდა, და მან მთქვა მე ვითარმედ განდევნისათვის არა წმიდათა გულის-სიტყვათასა ესე ვითარსა, სიმყრალისა ალაგსა ვილოცე, რათა განვერე სიმყრალისაგან.

ძი. ყოველნივე ეშმაკნი პირველად გონებისა დაბნელებად ისწრაფიან და მერმე ვინადგან გონება დააბნელონ რაიცა ენებოს აქმნევენ, რამეთუ უკეთუ გონებისა თვალნი არა დაიყვნიან, ვერ წარიპარონ საუნჯე იგი, და უფროს ყოველთასა სიძვისა ეშმაკი იქმს ამას, რამეთუ მრავალ გზის დააბნელის მან მთავარი გონება, და აქმევენ წინაშე კაცთასა, და ათქმევენ საქმეთა და სიტყვათა, რომელთა განცოფებულნიცა არა იქმან. წმისთვისცა შემდგომად ამისა განიღვიძიან რაღ გონებათა მათთა არა ოდენ მათგან, რომელთა ეხილნიან, არამედ თავთა თვისთაგანცა ჰრცხვენინ საქმეთა მათთვის და სიტყვათა და სახეთა მათ უშვერთა და უკვირნ დაბრძობა იგი მათი, და მრავალნი ესე ვითარითა ამით შეწუხებითა ბოროტისა მისგან დასცხრეს.

ძი. ღარე მიაქციე და ნუ უსმენ უკეთურსა მას, რომელი შემდგომად ცთომისა და ბოროტისა რადსამე ქმნისა დაგაყენებდენ ლოცვად და მარხვად, და მღვიძარებად და წარგიკვეთდეს სასოებასა, არამედ მოიხსენე შენ სიტყვა იგი ოფლისა რომელი სთქვა, ვითარმედ წყინებისათვის სულისა მის ვნებათა მიერ მიმძლავრებულისა, და ჩვეულებათაგან ბოროტთა ჭირვეულისა აქსეჯას ძეს მტერთაგან მისთა.

*ძაუტ.* უანსდევენე საყვარელო იგიცა უკეთური მტერი, რომელი გეტყოდის ვითარმედ აღასრულე გულის თქმა ეგე შენი, და კვალად შემძლებელ ხარ სინანულად, და ლოცვად, მარხვად და მღვიძარებად, და კვალად იგლოვდე და განაკეთო სული შენი, წარსდევენე იგი შენგან, რამეთუ მრავალთა ქმნეს ბოროტი და ვერღარა მოვიდეს სინანულად, რამეთუ გულის-თქმანი-ეუფლნეს რად ვერღარა გამოიხსნეს მათგან, ანუ თუ მყის სიკვდილი ეწია მათ.

*ძაუტ.* სიძვა დამაბრკოლებელი არს ლოცვისა, და განმაქარვებელი არს კადნიერებისა წინაშე ივთისა და დამაბნელებელი გონებისა.

*ძაუტ.* ურავინ არს, რომელმან სძლო ხორცთა თვისთა, გარნა იგი რომელმან შემუსრა გული თვისი. და არავინ არს, რომელმან შემუსრა გული თვისი, გარნა რომელმან უარყო თავი თვისი, რამეთუ ვითარ არა შეიმუსროს გული, რაჟამს ნებანი სრულიად მოკვდენ.

*ძაუტ.* ურს ვნებული, ვნებულისა უვნებულესი, რომელი თვით აღსარებასაცა ბილწებათა თვისთასა გემოვნებით და ვნებულად იქმს.

*ძაუტ.* უსულის სიტყვანი ბილწნი ყოველნივე სიძვისა ეშმაკისაგან იშვებიან, რომელთაცა განკურნებს და იოტებს მარხვა, და რათა იგინი არა რად შეერაცხნენ, და მღვიძარება და სიმდაბლე გულისა, და დაგდება თავისა წინაშე ივთისა.

*ძაუტ.* უოლო მე აწ ამას ყოველსა ზედა რამე ვყო, რამეთუ თუ ვითარითა სახითა შევკრა მეგობარი ესე ჩემი, რომელ არიან ხორცნი და შემსგავსებულად სხვათა მათ მძლავრთასა განვიკითხო, არა უწყი რამეთუ პირველ შევკრისა განიხსენების, და ვიდრეა არა მეტანჯოს, დავეგები, და ვიდრე არა დამესაჯოს მოვდრკები.

უითარ მძლე ვექმნა, რომელი იგი ბუნებით მიყვარს, ვითარ განვთავისუფლდე მისგან რომლისადა საუკუნოდ

შეკრულ ვარ. ვითარ მოვაკვდინო, რომელი იგი ჩემთანა აღდგომად არს ვითარ უხრწნელ ვყო, რომელსა იგი განხრწნადი ბუნება მიუღებდეს. რაიმე მიზეზი ვჭრქვა რომელსა იგი მრავალნი მიზეზნი ჰქონან. ოკეთუ შევკრა იგი მარხვითა განვიკითხავ მოყვასსა, და კვალად მასვე მივეცემი. უკეთუ დავსცხრე განკითხვისაგან და ვსძლო ამას ზედა კვალად აღმიმალდეების გული და მისთავე ხელთა შევვარდები, და შემწეცა არს და ბრძოლიცა, და მეგობარიცა არს და მტერიცა და ხელის აღმპყრობელიცა არს და წინა-აღმდგომიცა. ჟაჟამს განუსვენებდე მებრძვის, და რაჟამს ვაჭირვო მოუძღურდების. მივერჩდე თუ წარმწყმედს. და ვსტანჯო თუ არა თავსიდებს. უკეთუ შევაწუხო მეცა ჭირსა შთავარდები, და უკეთუ მოვაუძღურო იგი, არა მაქვს სხვა, რომლითამცა მოვიგენ სათნოებანი. მასვე ვჭბრძავცა და მიყვარსცა. ვსდევნიცა და შევიტკობცა, ეჰა საკვირველი, რაი არს ჩემი ესე საიდუმლო, რად არს სიტყვა ჩემისა მის შეზავებულებისა, ვითარ მტერიცა ვარ თავისა ჩემისა და მოყვარეცა.

ძუი. ჟოლო მეტყოდე შენვე მეტყოდე ჟი, ჩემო მეუღლეო, ჰოი ჩემო ბუნებაო, რამეთუ არა მნებავს სხვისაგან სწავლა შენთვის, გარნა შენვე მითხარ, ვითარ განვერე შენგან მოუწყვლელად, ვითარ შეუძლო ბუნებითა მათ ბრძოლათა შენ მიერთა განდევნად, ვინადგან შენდა მომართ მტერობად აღმიტქვამს ჴრისტესდა. ვითარ მძლე ვექმნე შენსა მძლავრებასა, ვინათგან მნებავს რათამცა მაიძულებელ შენდა ვიყავ.

ძუი. ჟოლო იგი სულისა მიმართ თვისისა ესრეთ იტყვის ვითარმედ არა რად გითხრა ესე ვითარი, რომელსა შენ უმეცარ ხარ, არამედ რად იგი ორთავე ვიცით, მე გარეგანისა მხურვალეებისა მამად მაქვს ჩემი განსვენება და შეება, ხოლო შინაგანისა აღძრვისა პირველ ქმნულნი საქმენი და ჩვეულებანი მე მიუდგე რად ვშ-

ობ დაცემათა, ხოლო იგინი იშვნენ რად შობენ სასოწარ-კვეთილებისა მიერ სიკვდილსა. ოკეთუ გულისხმა ყო და მცნა კეთილად ჩემი და შენი უძლურება, შეგიკრავნ ხელნი ჩემნი, უკეთუ მოაყმო მუცელი, შეგიკრავნ ფერხნი ჩემნი, რათა წადმართ ვერღარა ვიდოდო. და უკეთუ შეეყო მორჩილებასა, ჩემგან განშორებულ ხარ, და უკეთუ მოიგო სიმდაბლე, ჩემი თავი მოგიკვეთიეს, რამეთუ გაქვს შეწევნა ოფლისა მიერ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ესე მეთათხმეტე კიბე არს, რომელი ხორცთა შინა იყოს და ამას მიიწიოს სიწმიდისა კიბესა იგი მომკვდარ არს და აღდგომილ და საუკუნოსა მის უხრწნელებისა სახე აქავე მოუღებოც.**



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და **ჩემ** განგისვენო თქვენ



ვ'ლთა შთახტქელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ქეზული მისივე ვერცხლის მოყვარებისათვის

### ტყუი ტყ

ჭრავალთა ბრძენთა და სულიერთა მოძღვართა  
შემდგომად პირველ თქმულისა მის მძლავრისა,  
ესე მრავალ-თავი ვეშაპი დააწესეს თქმულთა შინა მათთა,  
და რათა არა შეეცვალოთ წესი იგი ბრძენთა მათ ჩვენ  
უგუნურთა, ამისთვის მათსავე წესსა შეუდევით აწ,  
უკვე მცირედი ვჰსთქვათ სენისა ამისთვის, და მერმე  
ვჰსთქვათ სიმრთელისათვის.

ყ. წეცხლის მოყვარება, თაყვანისცემა არს კერპთა,  
და ასული არს ურწმუნოებისა, წინასწარ-მეტყველი  
არს უძღურებისა, ცრუ მოშიში არს სიბერისაგან, მაუწყე-  
ბელი არს სიყრმილისა, და მომახსენებელი უწვიმროებისა  
და დედა არს ყოველთა ბოროტთა.

ღ. წეცხლის მოყვარება შეურაცხ-ყოფელი არს  
სახარებისა დანებისით გარდამავალი მცნებასა მისსა.

ბ. ჟომელმან მოიგო სიყვარული, მან განაზნინა  
საფასენი, ხოლო რომელი იტყოდეს თუ ორივე მაქვენდე-  
სო, იგი თავსა თვისსა აცთუნებს.

ბ. ჟომელი იგლოვდეს თავსა თვისსა, მან მოიძულ-  
ნეს ხორცნიცა თვისნი, და უკეთუ მოიწიოს ჟამი არცა  
მათ ჰრიდოს.

ბ. ნუ იტყვი თუ გლახაკთათვის შევკრებ, რამეთუ  
ორთა დანგთა სასუფეველი ცათა მოიყიდეს.

ბ. ოცხოთ-მოყვარე და სახმარ-მოყვარე ურთიერ-  
თას შეიმთხვინეს, და მეორე იგი პირველსა მას უგუნუ-  
რად და ამაოებით წარმგებელად სახელსდებდა.

ბ. ჟომელი მძლე ექმნეს ამას ვნებასა, მან ზრუნვანი

მოიკვეთნა, ხოლო რომელი ამათგან შეკრულ-იყოს ვეროდეს ილოცოს წმიდითა გულითა.

თ. დასაბამი ვეცხლის მოყვარებისა არნ გულის-სიტყვა მოწყალებისა, ხოლო აღსასრული მის არნ სიძულვილი გლახაკთა.

ვ. წიდრემდის შეკრებნ მოწყალებასა უქადაგებნ, ხოლო შერაკრიბის საფასე შეეკრნიან ხელნი.

ვ. წიხილენ გლახაკნი საფასოთა, რომელნი გამდიდრდეს სულითა და ხორციელნი იგი ჭირი დაავიწყდა სიხარულითა მით.

ვ. შონაზონი საქმართ მოყვარე უცხო არნ მოწყინებისაგან, რამეთუ მარადღე შვრებინ, და იხსენებნ სიტყვასა მას მოციქულისასა, რომელსა იტყვის ვითარმედ  
*აქჲჲ უღუ ჩაქუნდ ფეჲნი, ჳე ქოინი ჩოჲნი ჳხედაქიოც-  
 ჳეს მე, ჳე ქაჲქოინი ჩოჲთინ.*

**ესე მეათექვსმეტე ძლევა არს ვნებათა, რომელმან მოიგოს ესე მას სიყვარული მოუგის და ზრუნვანი მოუწყვედიან.**



## ქქმული მისივე, ოპოვარებისათვის

### ტქქქ ოქ

ოპოვარება განშორება არს ურვათაგან და უზრუნველობა არს ცხოვრებისა, მოგზაურობა არს დაუბრკოლებელი, და სარწმუნობა არს მცნებათა ოფლისათა, და უცხოება მწუხარებისაგან.

ყ. შონაზონი უპოვარი, მეფე არს ამის საწუთროდსა, და ზრუნვად მისი ივთისა მიმართ არს, და სარწმუნობითა მისითა ყოველნივე მონა მისა არიან, არავის რას ეტყვის სახმრისათვის, და ყოველსავე მოიღებნ ხელისაგან ღვთისა.

რ. შონაზონი უპოვარი შვილი არს უვნებელობისა, რამეთუ რა იგი აქვნ ესრეთ შერაცხვის ვითარმცა არა ჰქონდა, და უკეთუ ვნება სულისა იხილის, მას ადგილსა სახმარნი იგი ნაგევად შეერაცხნის, ხოლო რომელსა აქვნ მწუხარებად რომლისამე ხორციელისა საქმისათვის, იგი არა უპოვარი არს.

შ. შონაზონისა უპოვარისა ლოცვა წმიდა არს, ხოლო სახმართ მოყვარე ნივთთა მიმართ სოფლისათა ილოცავნ.

ჩ. შორჩილებასა შინა მყოფნი ვეცხლის-მოყვარებისაგან, უცხო არიან, ხოლო რომელთა თავნი თვისნი უარყოფიენ, სხვამცა რად მოიგეს თვისი.

ც. ორთი ოდენ-არს უპოვართათვის საკრძალავ, რამეთუ მიმოსვლისაგან ადრე იძლევიან რომელთა არა აქვნდეს სიმრავლე სახმართა.

ძ. ოიხილენ სახმარნი რამეთუ მოთმინება ასწავეს მონაზონსა სიყვარულითა თვისითა, ხოლო მე მათ უმე-

ტესად ვნატრე, რომელნი ოფლისათვის ვლენ, ვიდრეღა რომელნი სახმართათვის დგანან, უკეთუ კ~ულა ოფლისა სიყვარულისათვის იყოს მოთმინება მათი იგინი სანატრელ-არიან.

ქ. ჟომელსა ეხილვოს გემო სიტკბოებისა მის ზეცათასა, მან ადვილად შეურაცხ-ყვნეს მონაგებნი, ხოლო რომელსა მისი გემო არა უხილავს, იგი საფასეთა ზედა იხარებნ.

მ. ჟომელი უმეცრებით და უგულის ხმოდ და პირუტყვებრ გლახაკ იყოს, მას ორივე დასჭირდა, რამეთუ საწუთროდ ესე წარწყმიდა და საუკუნოსა ვერ მიემთხვია.

ნ. ესე ვიყოფით ჭი მონაზონნო სარწმუნოებითა უნაკლულეს ფრინველთასა, რამეთუ არა ზრუნვენ იგინი, არცა შეიკრებენ და ჰსწამს მისი, რომელი იგი ზრდის მათ უფალი უფლებათა.

რ. ზიდ-არს რომელმან ივთისა-თვის დაუტევნეს მონაგებნი, ხოლო წმიდა არს რომელმან დაუტეოს ნება თვისი, რამეთუ მან ასი წილი მოიგოს, ანუ სახმარნი ანუ მადლნი, ხოლო ამან უზესთაესი დიდება დაიმკვიდროს ცხოვრებასა მას საუკუნესა.

რ. წრა მოაკლდენ ზღვასა ღელვანი, არცა ვეცხლის მოყვარესა რისხვა და მწუხარება.

რ. ჟომელმან შეურაცხყვნეს მონაგებნი, იგი განრომილ არს სიტყვის გებისა და ცილობისაგან და შფოთისა, ხოლო სახმართ მოყვარე ნემსისათვის, ვიდრე სიკვდიდმე ირჩინ.

რ. სარწმუნობამან მტკიცემან მოსპოლნეს ზრუნვანი, და ხსენებამან სიკვდილისამან უარყოფნეს ხორცნიცა.

რ. წრა იყო ობს თანა ყოვლადვე კვალიცა ვეცხლის მოყვარებისა, ამისთვის რაჟამს ყოველივე წარუხდა შეუწუხებელად ეგო.

707. ძირი არს ყოველთა ბოროტთა ვეცხლის მოყვარება, და ესრეთცა ეწოდების, რამეთუ სიძულილი და მპარაობანი და კაცის კვლანი და შფოთნი და მტერობანი, და ძვირის ხსენებანი, და უწყალოებანი და შურნი მან ქმნა.

708. შცირითა ცეცხლითა ვიეთმე მრავალნი ნივთნი დასწვნეს, და ერთითა სათნოებითა მრავალნი ამათ ყოველთა ვნებათა განერნეს, და მას ეწოდების სიძულილი მონაგებთა, ხოლო ესე იშვების გემოს ხილვითა გულისხმის-ყოფისა ნვთისათა, და ზრუნვითა სიტყვის-გებისა მის რომელი ყოფად არს ჟამსა მას სიკვდილისა ჩვენისასა.

709. ორა უმეცარ არს, რომელსა კეთილად აღმოეკითხოს სიტყვა დედისა მის ყოველთა ბოროტთასა, რომელ არს ნაყროვანება, რამეთუ უკეთური იგი იტყოდა ვითარმედ მეორე ნაშობი მისი არს ულმობელობა და გულ-ფიცხელობა, ხოლო დამაყენა რათამცა თვისი წესი მიმეცა მისდა მრავალ-თავმან მან კერპთ მსახურებისა გველმან, რამეთუ მესამე ადგილი მიუღებებს მამათაგან რვათა მათ ბოროტთა ჯაჭვსა შინა, რომლისა თვისცა მცირედი ესე ვსთქუთ; და აწ გვნებავს თქმად გულ-ფიცხელობისათვის და ულმობელობისა, და მერმე ძილისათვის და მღვიძარებისა, და კვალად მოშიშებისათვის ბოროტისა, რამეთუ ესე ყოველნი სენნი ახალ მოსრულთანი არიან, რომელთაგან გვიხსენინ ო. ყოველნივე, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ესე მეთაშვიდმეტე კიბე არს, რომელმან ესე მოიგოს იგი ზეცად დაუყენებლად აღვიდეს.**



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მიიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



უღთო შთანთქმული აოჯოხბესი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე



ქმული მშობის მამის ჩვენის იოანე სინელ

მამასახლისისა, გულფიცხელობისათვის და ულმო-

ბელობისა, რომელი იგი სიკვდილი არს სულისა

პირველ სიკვდილისა ხორცთასა

### ԳՆԻ ԻԻ

„სულფიცხელობა სიკვდილი არს გონებისა და მკვლელი არს სულისა.

ყ. სულ ფიცხელობა იშვების მყოფარ ჟამისა უდებებისაგან, ხოლო უდებება გულის მოცალებისაგან და სიყვარულისაგან და მცონარებისა.

ղ. ოღმობელობა უდებება არს დამტკიცებული, სიბრმე არს გონებისა, და მშობელი ბოროტთა ჩვეულებათა, საბრზე მოსწრაფებისა, და მახე მოღვაწებისა, მტერი ღმობიერებისა და კარი სასოწარკვეთილებისა, დედა დავიწყებისა, და შვილი უშიშოებისა ივთისა. და შემდგომად შობისა დედა დედისა თვისისა.

ბ. სულ-ფიცხელი და უღმობელი ფილაფოზი არს უგუნური, მოძღვარი არს თვით დასჯილი თავისა თვისისა წინააღმდეგომი მეტყველი, წინამძღვარი არს ბრმა, თვით ვერ ხედავს, და სხვათაცა ხედვასა ასწავებნ, სიმრთელისათვის წყლულებათასა იტყვინ, და თვით დაუცადებელად თავს თვისსა მოსწყლავნ, სენისა კურნებასა იტყვინ, და მავნებელისა ჭამასა არა დააცადებნ; ვნებათა შეაჩვენებნ, და მეყვსეულად მუნვე მიიქცის საქმესა ზედა ბოროტსა განრისხნის, და თვისთა სიტყვათაგან არა რცხვენინ უბადრუკსა, ბოროტსა რად იქმნ გულის-ხმა-ყოფნ და მასვე შინა არნ, პირითა კეთილისა ქმნასა აღუთქვამნ, და საქმით ბოროტსა იქმნ. სიკვდილისათვის სიბრძნის

მეტყველებენ, და ვითარცა უკვდავი ესრეთ იყოფებიან; ამიერ განსვლისათვის სულთ ითქვამს და ვითარცა საუკუნესა და წარუალსა რულიან; მარხვისათვის იტყვის და ნაყროვანებისათვის იღვწინ; სასჯელისათვის იკითხავნ და ღიმილად იწყოს. ზვაობისათვის იკითხავნ და კითხვასავე თანა ზვაობნ; მღვიძარებისათვის ესმინ, და თავი თვისი ძილსა მისცის; ლოცვასა შეასხამნ, და ვითარცა ცეცხლისაგან ივლტინ მისგან, მორჩილებასა ნატრინ, და ყოვლისა პირველად თვით ურჩ-არს, მონაგებთ სიძულვილისა-აქებნ, და მონძისათვის შეურაცხისა, შფოთისა ყოფად არა ჰრცხვენის.

ღმფოთნის რად განრისხნის, და განრისხებისა მისთვის, კვალად გარისხნის, და ძლევასა ზედა ძლევასა შესძინებნ და ვერ-გულის-ხმა ჰყოფნ; განძლის რად ინანინ, და ვითარცა ერთი ჟამი გარდახდის კვალად ჭამნ; დუმილსა ნატრინ, და მრავალ მეტყველებისა მიერ შეასხამნ მას; სიმშვიდისათვის ასწავებნ, და ჰსწავლასავე შინა თვისსა განრისხნის; განიფრთხვის რა სულთ ითქვენის, და თავი დაიწონის და მასვე ვნებასა შინა არნ; სიცილსა სმაგენ, და სიცილით გლოვისათვის ასწავლინ; თავსა თვისსა წინაშე კაცთასა ვითარცა მზვაობარსა შეასმენნ, და შესმენითა მით თვისითა კაცთაგან ქებასა მოიყიდინ. ონებულად პირსა ხედავენ და სიწმიდისათვის ასწავლინ; დაყუდებულთა აქებნ, და თვით სოფელსა შინა იქცევიან და არა რცხვენინ; მოწყალეთა ადიდებნ, და გლახაკთა აყვედრებნ; ყოვლადვე შემასმენელ თავისა თვისისა იქმნებინ, და გულის ხმის ყოფად მოსლვად არა ჰნებავნ.

11. ონილენ მე ესე ვითარნი მრავალნი, რამეთუ ესმოდა სიკვდილისათვის და სატანჯველთა საუკუნეთა, და ცრემლოოდეს, და ვიდრელა ცრემლნი თვალთა მათთა იყვნეს მოსწრაფედ ტაბლისა მიმართ მირბიოდეს, და დამიკვირდა თუ ვითარ გლოვასაცა მძლე ექმნა ესე მწარე დედოფალი, და სიმყრალისა საუნჯე მუცელი, განძლიერებული ულმობელობისა მიერ.

ო. შცირედსა ამის და უძღურისა ძალისა ჩემისა-  
 ებრ კლდის მსგავსისა ამის და რკინისა უფიცხლისა მძლ-  
 ავრისა მზაკვრებანი, და წყლულებანი და საქმენი გამო-  
 მიცხადებინ, რამეთუ ფრიად მრავლის მეტყველებად მი-  
 სთვის ვერ ძალ მიძს. ხოლო რომელსა ძალუც ოფლისა  
 მიერ დადებად წამლისა წყლულებათა მათ ზედა, მის მი-  
 ერთა, ნუ უდებ იქმნების დადებად, რამეთუ არა მრცხვე-  
 ნის ამას ზედა უძღურებისა შეწამებად, ვითარცა შეპყ-  
 რობილისა მიერ ძლიერად, არცა შეუძლე თავით ჩე-  
 მით, ღონეთა და მზაკვარებათა მისთა ცნობად, უკეთუმ-  
 ცა არა თვით მისდავემცა აღსარებად მეცა. ხოლო რაჟამს  
 ვსტანჯე იგი ტანჯვითა შიშითა უფლისათა, და დაუცა-  
 დებელისა ლოცვისა მიერ, ამისთვისცა იტყოდა მძლავრი  
 იგი და ბოროტის მოქმედი, ვითარმედ ჩემთა მეგობართა  
 იხილიან რად მკვდარნი იცინოდინ, და ლოცვასა შინა  
 ვითარცა ქვანი იყვნიან გულ ფიცხელ და დაბნელებულ.  
 და წინაშე წმიდისა საკურთხეველისა დგინ რად უგულის  
 ხმო იყვნიან, და მიიღებდინ რად წმიდათა საიდუმლოთა,  
 ვითარცა ლიტონისა პურისა ჭამასა ზედა ესრეთ იყვნი-  
 ან. შე ღმობიერებისა მტერი ვარ, და ყოველთავე მათ  
 კეთილთა რომელნი ახოვნებისა და მოსწრაფებისა მიერ  
 იშვებინ, მოკლვა მათი მისწავიეს მამისაგან ჩემისა. მე  
 სიცილისა დედა ვარ. მე მშობელი ვარ ძილისა, და მე-  
 გობარი სიმამლისა. მე მაჩვენებლობისა მოყვასი ვარ. მე  
 ვიყვედრებოდი რად არა მეღმინ, არცა ვისმე სწავლასა.  
 ხოლო მესმა რად ესე უბადრუკსა ამას, და დამიკვირდეს  
 სიტყვანი იგი მის ბორგნეულისანი, და ვიკითხვედი სა-  
 ხელსა დედისა მისისა, ხოლო იგი იტყოდა ვითარმედ  
 მე ერთი შობა არა მაქვს, არამედ მრავალ ფერი არს და  
 დაუდგრომელი ჩემი შობა, მე ძალმცემს სიმამლრე, მე  
 აღმარძინებს ჟამისა სიგრძე, მე განმამტკიცებს ჩვეულე-  
 ბა ბოროტი, და რომელსა აქვნდეს იგი ვერ განთავისუ-  
 ფლდეს ჩემგან. ორამედ იწვრთიდ მარადის მღვიმარებითა

ფრიადითა სასჯელსა საუკუნესა, ნუ უკვე მცირედ გილ-  
ხინოს შენ, და გულის-ხმა-ჰყოფდ შენ შორის დედასა  
ჩემსა, თუ ვინა ვიშვები და მას ბრძოდე, რამეთუ არათუ  
ერთისა დედისა მიერ ვიშვები ყოველთა შორის:

საფლაონთა შინა ილოცვედ ზედას-ზედა და ხატებ-  
სა მკვდართასა გამოისახევდ გულსა შენსა აღუხოცელად,  
რამეთუ უკეთუ ესე არა დასწერო შენ შორის საწერელ-  
ითა მარხვისათა, ვერ მძლო მე უკუნითი უკუნისამდე.

**ესე მეთვრამეტე კიბე არს ძლევისა, რომელმან სძლოს მას მოუგიეს  
გლოგა და ცრემლი.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთი მისმენი და **ჩაე** განგისვენო თქვენ



ყ<sup>რ</sup>ლთა შთანთქმული ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

მთაბრძნე ტყუთი, მთ. წაბ.

## ჩემული მისივე, ძილისათვის და მრავალთა თა-

### ნა ლოცვისათვის

#### ღეღეღი ზღე

ძილი სიმტკიცე არს ბუნებისა, და ხატი არს სიკვდილისა და უქმობა არს საცნობელთა.

ჟ. ორთი არს ძილი და მრავალნი ჰქონან განყოფილებანი, ვითარცა იგი გულის თქმასაცა. რამეთუ იქმნების ბუნებისაგან და ჭამადთაგან და ეშმაკთაგან, და ოდესმე ფრიადისა მარხვისაგან რომლისა მიერ მოუძღურდიან ხორცი, და მერმე ძილისა მიერ ნუგეშინის იცემედ თავთა თვისთა.

ჟ. ვითარცა ფ~დ სმა სასმელისა ჩვეულებასა ზედა არს, ეგრეთვე ფრიადიცა მოძილობა ჩვეულებისაგან იქმნების, ამისთვისცა უფრო ხოლო დასაბამსა მონაზონებისასა ვიდრე მისა მიმართ, რამეთუ ჩვეულებისა მოწყვედა ძნელ არს.

ბ. ულის ხმა ვყოთ და ვპოოთ, რამეთუ რაჟამს იგი დასცენ ნესტვსა მას სულიერსა, რომელ არს ჟამის რეკა, მაშინ ხილულად შეკრბებოდინ ძმანი ლოცვად, და უხილავად შეკრბებოდინ მტერნი ბრძოლად, ამისთვისცა შემდგომად რეკისა ზედა მოგვადგიან ეშმაკნი და გვეტყვიედ: წუთ ერთ განისვენე ვიდრე პირველისა ფსალმუნისა წართქუმადმდე და მერმე წარხვიდე ეკკლესიად. და კვალად სხვანი ეშმაკნი არიან რომელ მივიდით რად ლოცვად, დაგუნთქიან ძილითა, და სახმრისა მომართ ხორცთასა ზედას-ზედა მიგვიზიდვიდენ განსლვად გარეგან ჩვეულებისა; სხვანი უბნობად გვაწვევიდენ ეკკლესიასა შინა, და სხვანი გონებასა ჩვენსა შეგინებულთა

გულის-სიტყვათა-მიმართ წარიტაცებდიან, და სხვანი კედელსა მიგვაყრდნობდიან, ვითარცა მოუძღურებულთა, და მრავალგზის ფქნარებასა უზომოდ მოგვივლენდიან, და რომელნიმე მათგანნი სიცილისა ყოფად ისწრაფდიან ლოცვასა შინა, რათამცა მის მიერ რისხვად აღძრის იმერთი ჩვენ ზედა; სხვანი. გვაიძულებდიან, სწრაფად დავითისა თქმასა შინა. სხვანი გვაზვაობედ ჟამნობასა ზედა; სხვანი გემოთ მოყვარებად აღგვძრვედ ჟამნობისა მიერ, და კვალად მათგანნი რომელნიმე პირთა ზედა ჩვენთა დაგვეცნიან, და არა შეგვიწოდობდიან აღებად პირისა და ლოცვად.

ჟ. ჟომელმან დაიდვას გონებასა თვისსა სიმტკიცითა გულისათა და ესრეთ ხედვიდეს ვითარმედ ჭეშმარიტად წინაშე ივთისა მდგომარე არს რაჟამს ილოცვიდეს ეგე ვითარი, ვითარცა სვეტი დგეს შეურყეველად, და არა ევნებოდის მას ერთისაცა ამათ პირველ თქმულთაგანისა.

ჟჟ. შეშმარიტი მორჩილი მრავალ გზის დარადგის ლოცვად ყოვლითურთ განათლებულ და სიხარულითა სავსე იქმნის, რამეთუ პირველივე განმზადებულ-იყო უზაკველითა მით მორჩილებითა და მსახურებითა. და განხურვებულ იყო მის მიერ მოღვაწე იგი.

ზ. ჴგონებ თუ სიმრავლესა თანა ლოცვა ყოველთა მიერ შესაძლებელ არს, ხოლო მრავალთასა უმჯობეს არს ერთისათანა ოდენ ლოცვა, რამეთუ მარტოდ ლოცვა მცირედთა არს ფრიად.

ი. ჴაჟამს სიმრავლისა თანა ილოცვიდე ვერ შეუძლო უნივთოსა მის და მალლისა ლოცვისა აღსრულებად, არამედ აქვნიდინ გონებასა შენსა საქმედ გულის ხმის ყოფად სიტყვათა მათ რომელთა გალობდე, ანუ თუ კვალად გაქვნიდინ დაწესებული რადმე ლოცვა, რათა ვიდრემდის მოყვასი მუხლსა დაასრულებდეს შენ გულსა

შენსა მას იტყოდე, რაჟამს მუხლოთ-პყრობით გალობ-  
დეთ.

თ. ყოვლადვე არავისთვის ჯერ არს რათამცა ლოც-  
ვასა შინა, საქმესა იქმოდა, რამეთუ ესე კეთილად გვას-  
წავა წნგელოსმან, რომელი ნეტარისა წნტონისა მოვიდა,  
რამეთუ იქმნ ხელთ-საქმარსა და მერმე აღდგის ლოც-  
ვად.

7. წამოსცდის ცეცხლი ოქროსა, და დგომად ლოც-  
ვასა შინა კრძალვასა მონაზონისასა, და სიყვარულსა ივ-  
თისა მიმართ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამ-  
დე. ამინ.

**წინც მოიპოვა სანატრელი ლოცვა, იგი დაუახლოვდების იმერთსა და  
განერების ეშმაკთა.**



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთი მძიმენი და **შე** განგისვენო თქვენ



ყლოთა შთანთქული ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ჩემული მისივე, მღვიძარებისათვის ხორცთასა

### რომლისაგან იშვების მღვიძარება სულისა

#### ԳԼԿԻ Գ

ჩინაშე მეფეთა ქვეყანისათა, რომელნიმე უჭურვე-  
 ლად დგანედ და პატივით, და რომელნიმე კვერ-  
 თხებითა, და რომელნიმე ხრმლოსანნი და შეჭურვილნი;  
 ხოლო ფრიადი განყოფილება არს პირველთა მათ უკანა-  
 სკნელთაგან, რამეთუ უზესთაესსა პატივსა და წესსა უად-  
 რესსა არიან ვიდრელა მეორენი ესე, და მესამენი, რამე-  
 თუ საყვარელნი და გულითადნო არიან იგინი მეფისანი;  
 ხოლო ჩვენცა მოვედით და ვიხილოთ თუ ვითარ ვჰყოფთ  
 დგომასა ჩვენსა წინაშეღვთისა და შუუფისა ლოცვათა  
 მათ შინა მწუხარისათა, დღისათა და ღამისათა, რამეთუ  
 ვიეთნიმე მღვიძარებასა შინა ღამისასა უნივთოდ და  
 შიშვლად ყოვლისაგანვე ზრუნვისა ხელგაპყრობით დგა-  
 ნან ლოცვასა შინა. სხვანი ფსალმუნებითა გარდაიხდიან  
 მღვიძარებასა მათსა, და სხვანი წიგნის კითხვასა შინა  
 არიედ, და სხვანი ხელთ-საქმრითა ეწყვიებიან ძილსა, და  
 სხვანი ხსენებითა სიკვდილისათა ადასრულებენ ღამესა,  
 რათა მის მიერ მოიპონ ღმობიერება. ომას ყოველთა-  
 გან პირველნი და უკანასკნელნი დიდითა საზომითა სიყ-  
 ვარულისა ივთისათა იღვიძებენ; ხოლო მეორენი იგი და  
 მესამენი, რომელნი ფსალმუნებენ და იკითხვენ გზასა  
 ზედა მონაზონებისასავე არიან, ხოლო რომელნი ხელთ  
 საქმარსა შინა იღვიძებენ მათ უდარესი გზად უპყრიეს,  
 გარნა ღმერთი გულის-სიტყვისა და ძალისაებრ შეიწი-  
 რავს შრომათა და მისცემს მადლთა.

ჟ. ჩვალმან მღვიძარემან განწმიდა გონება, ხოლო

სიმრავლემან ძილისამან განაფიცხა გული და დააბნელა სული.

ქ. შონაზონი მღვიძარე მტერი არს სიძვისა, ხოლო მოძილი მეგობარი არს მისი.

წ. შღვიძარება შემუსრვა არს გულფიცხელობისა, და განთავისუფლება არს სიზმართაგან; მომხდელი არს ტირილისა, და დამამდაბლებელი არს გულისა; მცველი არს გულის-სიტყვათა, და მომადნობელი არს ჭამადთა; მტანჯველი ეშმაკთა; აღვირი ენისა და მაოტებელი ოცნებათა.

რ. შონაზონი მღვიძარე მონადირე არს გულის სიტყვათა და ადვილად შეუძლის მყუდროებასა შინა ღამისასა, ხედვად და შეპყრობად მათდა.

რრ. შონაზონმან ივთის-მოყვარემან, რაჟამს რეკიან ჟამსა, თქვის: ვაშა, ვაშა, რამეთუ კეთილ; ხოლო უდებმან და მედგარმან თქვის: ვაამე, ვაამე, რამეთუ მცონის.

ხ. ოანმზადებამან ტაბლისამან გამოცადნის ნაყროანი; და მოღვაწებამან ლოცვისამან გამოსცადნის ივთის-მოყვარენი.

ჩ. ნაყროანმან ვითარცა იხილის ტაბლა ხლდომით მიისწრაფინ, ხოლო რომელსა უყვარს ლოცვა გვიანობდ იგი მისვლად.

ჩრ. ძილი ფრიადი მომატყვებელი არს დავიწყებისა, ხოლო მღვიძარებად განჰსწმედს გონებასა.

კ. სიმდიდრე მუშაკთა კალოსა და საწნეხელსა შინა შეკრბების, ხოლო სიმდიდრე და გულის-ხმის-ჰყოფად მონაზონთად ლოცვათა შინა ღამისათა; და ხედვათა გონებისათა შეკრბების.

კდ. ძილი ფრიადი მეუღლე არს ბოროტი, რამეთუ ნახევარსა ცხოვრებისა მის უდებთასა წარიტაცებს მათგან.

კე. შონაზონი გამოუცდელი მღვიძარე არს ზღაპარ-

თა შინა; და რაჟამს ჟამი ლოცვისა მოიწიის თვალნი მისნი დამძიმდინ.

77. შონაზონი დახსნილი მრავლის მეტყველებასა შინა გამოცდილ და მოსწრაფე არნ, და წიგნის კითხვა რა წარმოიღონ ვერღარა აღიხილნის თვალნი ძილისაგან ფრიადისა.

78. ღმა საყვირისა მკვდართა აღადგენს, და სიტყვანი ცუდნი განაღვიძებენ უღებთაგან და დახსნილთა.

79. შზაკვარი მეგობარი არს ძილისა-მძლავრი, რამეთუ ჭამისა და სმისა ჟამსა მიგვიზიდის, და ჟამსა მარხვისა და ლოცვისასა გვბრძავნ ძლიერად.

80. ჴამსა ლოცვისასა მოაგონებნ ქმნად ხელთ საქმრისა, რათამცა მის მიერ იოტა ძილი.

81. ჴხლად მოსრულთა მონაზონებად ფიცხლად ბრძვან, რათა პირველითგანვე დახსნილობა ასწაოს, ანუ რათა სიძვისა ეშმაკსა მოუმზადნეს.

82. ჴიდრემდის ამისგან განთავისუფლდეთ, მრავალთა თანა ლოცვასა ნუ უდებ-ვეყოფთ, რამეთუ მრავალ გზის სირცხვილისაგან არა მივსცნით თავნი ჩვენნი ძილად.

83. შტერი ყურდგლისა ძილი არს და მტერი ძილისა – ჴვაობისა ეშმაკი.

84. ყემდგომად ვაჭრობისა აღრიცხვის ვაჭარმან სარგებელი თვისი, და მღვიძარემან და მოსწრაფემან მონაზონმან შემდგომად კანონისა თვისისა აღრაცხის სარგებელი თვისი.

85. ჴანიფრთხვე შემდგომად ლოცვისა მოსწრაფებით, და მაშინ იხილო სიმრავლე ეშმაკთა დასხმული ჩვენ ჴედა, რათამცა დასთესეს ჩვენ შორის გულის სიტყვანი ბილწებისანი, რამეთუ შურის-იგებდიან მის წილ, რომელ ვეწყვებოდეთ ლოცვასა შინა.

86. ჴვალად დაჯედ მცველად, და იხილნე რომელნი

მარადის განმზადებულ არიან აღტაცებად პირმშოთა ნაყოფთა სულისათა.

ჟღ. შრავალ გზის ჩვეულებისაგან ძილსა შინა ვიწვრთიდით სიტყვათა მათ ფსალმუნთასა, და კვალად მრავალ გზის ეშმაკთა ქმნიან ესე, რათამცა ამპარტავანებად მოგვიყვანნეს; ხოლო მესამისა მის თქმა არა მენება, არამედ მაიძულა ვინმე თქმად, ვითარმედ სული რომელი სიტყვათა ოფლისათა დაუცადებელად იწვრთიდეს ძილსაცა შინა, მასვე შინ არნ, რამეთუ ოფალი პირველისა მისთვის, მეორესა ამას მოჰმადლებს საოტებელად ოცნებათა სულთა ბოროტთასა.

ჟი. ოკეთუ კრებულსა შორის ძმათასა იყოფებოდი, და მუნ აღასრულებდე მღვიძარებისა სათნოებასა, არა ფრიად გებრძოლოს შენ ეშმაკი მოშიშებისა, უკეთუ კვლა სადაყუდებულოთა ადგილთა განშორებულად იყოფები, ისწრაფე რათა არა გეუფლოს შენ ნაშობი იგი ცუდად მზვანობისა და ასული ურწმუნოებისა, რომელ არს მოშიშება, რომელსა მძლე ვექმნეთ, უკეთუ უფლისა მივივლტოდით მარადის, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**შეოცეს ღიბესა აღმსვლელი მას-ზედა მიიღებს გულსა შინა თვისსა ნათელსა.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ვ'ლთა შთანთქმელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამუქანებელი **ს**იბე

## ქემული მისივე შოშიშებისათვის

### ტქქი ზღ

შოშიშება ჩვეულება არს ყრმებრი, სულსა შინა ცუდად მზვაობარსა.

ჟ. შოშიშება მიდრეკა არს სარწმუნობისაგან – მოლოდებითა მოულოდებელთათა.

რ. შოშიში უწინარეს შემთხვევისა იგონებნ ძნელოანთა.

ს. შოშიში შემუსრავს გულსა თვისსა შიშითა ოცნებათათა.

თ. შოშიშება დამხსნელი არს სასოებისა.

ჩ. სული ამპარტავანი მონაი არს მოშიშებისა, რამეთუ ესავს ძალსა თვისსა, და ესმინ რა ხმა რადმე, მეყვსეულად შეძრწუნდის.

ც. შგლოვარეთა და ტკივნეულთა გულითა, არა იციან შიში ყოვლადვე; ხოლო ამპარტავანნი მრავალნი შიშისაგან განცვიფრდეს, რამეთუ სამართლად მისცემს უფალი ამპარტავანთა განსწავლად, რათამცა სხვანიცა შეშინდენ მათ მიერ, და ისწაონ სიმდაბლე.

ძ. ყოველი მოშიში ცუდად მზვაობარ-არს, ხოლო არათუ ყოველი რომელსა არა ეშინის მდაბალ-არს, რამეთუ ავაზაკნიცა და საფლავის მჭკვერველნი არა შეშინდებიან ადრე.

წ. წდგილთა რომელთა შინა გემინოდის ნუ გცონის მუნ მისვლად ღამით, უკეთუ კულა ადგილ ჰსცემდე ეშმაკსა ამას, დაბერდეს შენ თანა ყრმებური ესე და საკიცხელი სახე.

ჭ. შირახვიდოდი აღიჭურვე ლოცვითა, და მირაი-





დის, იგი თვისისა აჩრდილისაგანცა შეშინდეს.

711. ჟაჟამს მოუხდის სული ბოროტი კაცსა შემრწუნდიან ხორციანი; ხოლო მოუხდის რად ანგელოსი იხარებნ სული სიმდაბლით; ამისთვისცა უკვე შეტყვება მოსლვისა მისისა, ამით სასწაულითა გვიღირს, და მას ჟამსა მივისწრაფდეთ მეყვსეულად ლოცვისა მიმართ, რამეთუ მცველი კეთილი მოვიდა ჩვენდა უფლისა მიერ, რომლისა არს დიდება აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთი მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ვლთა შთაბთქმული გოგონები

სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## ჩემული ჩმიდისა მამისა ჩვენისა იოანესი, ცუდ-

### ად მზვაობრობისათვის

#### ტეტი ბუ

ჟომელიმე იტყვიან, ვითარმედ ცუდად მზვაობრობა და ამპარტავნება განყოფილნი არიან ურთიერთ არს, ამისთვის რვად სახელ-სდებენ თავთა მათ ვნებათა: ჟამეთუ პირველად ვნებად იტყვიან ნაყროანებასა, და მეორედ სიძვასა; ჟესამედ ვეცხლის მოყვარებასა; ჟეთოხედ რისხვასა; ჟეხუთედ მოწყინებასა; ჟეექვსედ მწუხარებასა; ჟემვიდედ ცუდად მზვაობრობასა; ჟერვედ ამპარტავნებასა, ჟოლო ივთის-მეტყველი ჴრიგორი, და სხვანი მრავალნი; კვალად შვიდად იტყვიან ვნებათა მათ; რამეთუ ცუდად მზვაობრობასა და ამპარტავნებასა ერთად იტყვიან, რომელთამე უფროსად სათნო მეყოფვის, რამეთუ არავინ არს რომელმანცა სძლო ცუდად მზვაობრობასა, და იგიმცა იძლია ამპარტავნებისაგან, რამეთუ ეგოდენი განყოფილება აქვს ამათ ერთავე ურთიერთ არს, რაზომი განყოფილება აქვს ბუნებითა მცირესა ყრმასა მამაკაცისაგან სრულისა, ანუ თუ იფქლსა ფქვილისაგან, რამეთუ დასაბამი არს პირველი იგი, ხოლო აღსასრული მეორე ესე:

ღწ უკვე დასაბამისა მისთვის და აღსასრულისა ვნებათასა არა წმიდისა სიმაღლისათვის ვჰსთქვათ ჟამსა თვისსა მოკლედ, რამეთუ რომელი იგი გრძელად სიბრძნის-მეტყველებდეს მისთვის მსგავს არს იგი კაცსა რომელი წონნ ქართა.

ჟ. ცუდად-მზვაობრობაი სახითა თვისითა შეცვალება არს ბუნებისა, და გარდაქცევაჲ წესთა კეთილთა, და

სილტოლვა ბრალობისაგან, ხოლო ბუნებითა მისითა განმაზნეველი არს შრომათა მისთა და წარმწყმედელი ოფლითა, და მპარავი საუნჯეთა სულიერთა, და ნაშობი ურწმუნოებისა, და წინამორბედი ამპარტავანებისა, ნავთსაყუდელთა შინა დანთქმა არს, და კალოსა შინა ჯინჯველი არს, რამეთუ წვლილ-არს, და ყოვლისავე ნაყოფისა და ნაშრომისა განმრყვნელ არს.

ქ. ჯინჯველი მოელის მომწიფებასა იფქლისასა, და ცუდად-მზვაობრობად ჰგებს, რათა შეკრბეს სიმდიდრე მონაზონისა.

ბ. ჯინჯველსა უხარინ, რათა პოოს და მოიპაროს, ხოლო ცუდად მზვაობარსა უხარინ, რათა წარწყმიდოს და განაზნოს.

რ. ოშმაკი სასოწარკვეთილებისა იხარებნ სიმრავლესა ზედა ბოროტათასა, ხოლო ეშმაკი ცუდად მზვაობრობისა სიმრავლესა ზედა სათნოებათასა.

რ. ოსული პირველისა მის არს სიმრავლე წყლულუბათა, ხოლო ასული მეორისა მის სიმრავლე შრომათა.

ხ. ოსლის-ხმა-ყოფდ და პოო უკეთური იგი, ვიდრე საფლავამდე დაუცადებელი შენგან სამოსელსა შინა და სვლასა, და ყოველსავე საქმესა.

ბ. ყოველთავე ზედა უშურველად ჰბრწყინავს მზე, და ყოველთავე საქმეთა შინა იპოების ცუდად მზვაობრობა, რამეთუ რაჟამს ვიმარხი აღმიმალდის გონება ჩემი, ხოლო რაჟამს განვხსნი, რათამცა არა საცნაურ იქმნა მარხვა ჩემი, კვალად ამას ზედა აღმიმალდის გონება ჩემი, ვითარმედ ბრძენ ვარ; რაჟამს შევიმოსი სამოსელი კეთილი ავმალდი, და ოდეს შევიმოსი ძველი აღმიმალდისვე გონება ჩემი, რაჟამს დავდუმნი ვმალლოდი, რაჟამს ვზრახვიდი ეგრეთვე ვიყვი; სადაცა მიაგდო კუროს თავი ესე ბოროტი, ყოველგნით ეკალი მისი აღმართ-იპოების განმგვრემელად სულისა.

მ. ცუდად-მზვაობარი ქრისტიანობასა შინა, კერპთ

მსახური არს, რამეთუ მას ჰგონიეს თუ იმერთი ჰრწამს, არამედ კაცთა ისწრაფინ სათნო ყოფად და არა ივთისა.

7. ცუდად-მზვაობარი არს ყოველივე მაჩვენებელი, დამარხვა მისი უსასყიდლო არს, და ლოცვა მისი უსარგებლო, რამეთუ ორსავე კაცთა ქებისათვის იქმს.

7დ. ცუდად-მზვაობარი მოღვაწე ორკერძოვე ივნებს, რამეთუ ხორცთა თვისთა სტანჯავს, და სასყიდელი არა აქვს.

7ე. წინ არა ეცინოდის, და უფროსდა ვინ არა ჰგოდებდეს მუშაკსა ცუდად მზვაობრობისასა, რამეთუ ლოცვად რადღვან ოდესმე იცინინ მის მიერ, და ოდესმე ტირნ წინაშე ყოველთასა.

7უ. შრავალ გზის დაჰფარის იმერთმან ჩვენგან, დაღაცათუ სათნოებანი რადმე გვაქვნიან რათამცა მოვიგეთ სიმდაბლე, რამეთუ კაცმან მაქებელმან, და უფროსდა მაცთურმან ქებისა მის მიერ თვალნი აღგვიხილნის ხილვად სიმდიდრისა მის ჩვენისა, ხოლო იგინი რად აღგვეხილნიან წარწყმდის და უჩინო იქმნის ყოველივე იგი სიმდიდრე.

7ბ. წაცი მაქებელი პირსა, მოციქული არს ეშმაკისა და წინამძღვარი ამპარტავნებისა, უჩინო მყოფელი ლმობიერებისა, და წარწყმედელი კეთილთა, და მაცთური გზისა, *ძეძჳთაჲ, ძაჲძჳთაჲ უჳრინდჳძჳნი ჩჳრჳნი უჳრინდჳძჳნი ჩჳრჳნი*, ვითარცა იტყვის წინასწარ-მეტყველი ოსაია.

7ჟ. შიდა არს კაცი, რომელმან თავს იდვას გინება სიხარულით; ხოლო წმიდა არს იგი და პატიოსან, რომელმან განარიდოს თავი თვისი ქებისაგან უვნებელად.

7კ. წიხილენ მგლოვიარენი, რომელნი იგინნეს სხვათაგან, და აღიძრნეს იგინი რისხვად, და ვითარცა სავაჭროსა შინა ვნებითა ვნება მოიციდეს.

7ხ. *წაძჳრჳნი უღჳს ჳდღჳს, უდძჳნი საჳრძჳნიოჲ ჳდღჳს*, ამისთვისცა რცხვენოდენ ყოველთა რომელნი

აქებენ კაცსა პირსა ზედა მისსა.

71. ჟაჟამს გესმას ვითარმედ მეგობარმან შენმან ძვირი გიზრახა შენ, მაშინ აჩვენე სიყვარული მის ზედა.

72. შიდა არს განგდება სულისაგან ქებისა კაცთასა, ხოლო უზესთაეს არს გაწვდება ქებისა ეშმაკთასა.

73. სიმდაბლე აჩვენა, არათუ რომელი თავსა თვისსა დაიმდაბლებდეს, რამეთუ ვითარმცა არა ეტვირთა თავი თვისი, არამედ მან აჩვენა სიმდაბლე, რომელი იგინოს სხვათაგან და მოითმინოს და არა შეცვალოს სიყვარული თვისი მათდა მიმართ.

74. შავიდეგ გონებასა ჩემსა განცდად ეშმაკისა ცუდად მზვაობრობისასა, და ვიხილე რამეთუ მოაგონნა მან ძმასა ერთსა გულის-სიტყვანი და წარვიდა და გამოუცხადა სხვასა ძმასა, რად იგი მოაგონა მას, და მერმე მიაგლინა პირველი იგი ძმა მეორისა მის, რათამცა უთხრნა გულის სიტყვანი იგი და მერმე ვითარცა დაფარულთა მცნობელსა ნატრიდა მათ.

75. შრავალ გზის ასოთაცა გვამისათა შეეხის არა წმიდა იგი, და მზაკვარებასა თვისსა დასთესავენ მათ შორის, და აოცნებნ კაცსა ასოთა აღმღერებისა მიერ მომავალთა საქმეთა.

76. ჟაჟამს ეპისკოპოსობასა ანუ წინამძღვრობასა მოგონებდეს ნუ შეიწყნარებ მას, რამეთუ ძნელ არს სახორცეთა ადგილთაგან ძაღლისა განდევნა.

77. ჟაჟამს მცირედ ჟამ დავყვით უდაბნოსა დაყუდებით და მშვიდობასა შინა, მაშინ მეტყვიან მტერი ჩვენი მისლვად სოფელსა, და მრქვის წარვედ რათა განარინე სულნი იგი წარწყმედულნი, და აცხონე იგინი.

78. სხვა არს ხილვა ჰინდოსა, და სხვა არს კაცისა სპეტაკისა; და კვალად სხვა არს სახე ცუდად მზვაობრობისა მათი, რომელნი დამკვიდრებულ არიან მონასტერთა შინა, და სხვა არს მათი, რომელნი დამკვიდრებულ არიან უდაბნოთა.

კჲ. ჟაჟამს მოვიდენ ერისაგანნი მონასტრად, წინასწარ უსწრის ემშაკმან ცუდად მზვაობრობისამან, და დაარწმუნოს უგუნურთა მონაზონთა, განსლვად და შემთხვევად მათდა.

კზ. ეინაშე ფერხთა მათთა დაარწმუნოს შევრდომად, და სიმდაბლესა იჩემებნ, სავსე იგი ამპარტავანებითა, და განშვენდებიედ წინაშე მათსა სახითა სიმშვიდისათა, ხოლო გონებანი მათნი შეკრულ არიან საფასეთა მათთა მიერ, რათამცა მოილეს მათგან რადმე; და ხადიედ მათ უფლით, და ეტყვიედ ვითარმედ შემდგომად ივთისა არა არს ცხოვრება ჩვენი, გარნა ხელთა თქვენთაგან.

კქ. ეაბლასა რა დასხდიან, ეტყვიენ ცუდად მზვაობრობა, რათა იმარხოვნ, და უდარესთა მათ უწყალოდ ამხილებდიან.

კჲ. ზოცვად რად დადგიან უდებნი ახოვან ყვნის, და უხმონი ხმა კეთილ, და მოძილნი მღვიძარედ, და ითხოვედ განმგისაგან ეკკლესიისა წარჩინებულეებისა პატივისა წიგნის კითხვასა, და წინასწარ აღებასა ფსალმუნისასა და იბაკო წარდგომისასა და მოძღვრით და მამით ხადიედ მას, ვიდრე ერის-კაცთა მათ წარსლვამდე.

კდ. ოკეთუ პატივ იციან განმგისა მის მიერ თხოვნისა მათისაებრ ამპარტავან იქმნიან, და უკეთუ შეურაცხყვენეს იგინი, ძვირსა იხსენებდიან მისთვის მრავალ-ჟამ.

კე. ყემდგომად წარსლვისა მის ერისკაცთასა, ემშაკმან მან ცუდად მზვაობრობისამან, განდრიკნის გულნი მათნი ურჩებად, და მრისხანე და მაცილობელ ყვნიან ყოველთა მიმართ.

კვ. ცუდად მზვაობრობა, მრავალგზის პატივისა წილ შეურაცხების მომატყვებელ-იქმნის, რამეთუ განრისხნიან რა მოწაფენი მათნი, სირცხვილი დიდი მოაწიის მათ ზედა.

კჲ. ცუდად მზვაობრობამან მრავალგზის ფიცხელნი მშვიდად შეცვალნის.





ოქაჩიას-ეძის, ოუ ორბსა ხეზნთა აქიოქაჩიას ოქ შხორდა-  
ყეძი ეძის.

ოთ. ზაცთა მრავალთა შემუსრნეს და განკაფნეს  
ხორცი მათნი, რათამცა მძლე ექმნან ვნებათა, და მოი-  
გესცა მადლი სასწაულთ მოქმედებისა, და ძალი წინას-  
წარმეტყველებისა, და სიმდაბლე არა მოიგეს, და ვერ  
გულის ხმა-ყვეს უბადრუკთა, ვითარმედ არა შრომანი,  
არამედ უფროსად სიმდაბლე არს დედაჲ ამათ ესე ვი-  
თართა.

ო. ჟომელი ნიჭთა ითხოვდეს ივთისაგან მოსაგებე-  
ლად შრომათა მისთასა, ეგე ვითარსა ხენეში და უძლუ-  
რი საფუძველი დაუც, ხოლო რომელსა შეერაცხოს თა-  
ვი თვისი თანა-მდებად ჭირთა და შრომათა, მან მოულო-  
დებელსა და უცნაურსა ჟამსა მიიღოს სიმდიდრე იგი  
დიდი.

ო. ნუ შეიწყნარებ საყვარელო ეშმაკსა ზვაობისასა,  
რაჟამს გეტყოდის ვითარმედ განაცხადენ სათნოებანი  
შენნი, რათა სარგებელ ეყოს, რომელნი ხედვიდენ მათ,  
რამეთუ რაჲ სარგებელ ეყოს, *ხეღსა, აქიოქაჩიას  
საყოფისა ეძისა ოქ თიოქ თიოქსა ოქსიოქოქოქაქსა.*

ო. ჟერა რაჲ აღაშენებს ესრეთ კაცთა ვითარ სიმ-  
დაბლე და სახე კეთილი და სიტყვანი ტკბილნი და მშვი-  
დნი რამეთუ ესე ვითარი სახე იქმნების სხვათაცა სახე  
არა ზვაობისა; რომლისა რამცა იყო უმეტეს სარგებე-  
ლად.

ო. ჟითხრობდა ბერი ვინმე წმიდა და გამოცდი-  
ლი, და სთქვა ვითარმედ ვიყავ ოდესმე შესაკრებელსა  
შინა ძმათასა, და მოვიდეს ცუდად-მზვაობრობისა და ამ-  
პარტავნებისა ეშმაკნი, ერთი მარჯულ ჩემსა და ერთი  
მარცხულ და ერთი იგი მიგმერდა გვერდთა თითითა მისითა  
მზვაობრითა, და მაწვევდა რათამცა უთხარ მუნ მყოფთა  
ჩვენება რამე, ანუ მოღვაწეობა, რომელი მექმნა უდაბნოს  
ხოლო მე განვდევენე და ვარქვ: *ოქსიოქაჩიას ოქსიოქაჩიას, ოქ*

სრულიყოფილი რქონი, ძაძონი ხსენებულნი იქმნენ და მეყვსეულად მეორე იგი მარცხენესა ყურსა ჩემსა მეტყოდა, ვითარმედ; *რცე, რცე*; რამეთუ დიდ იქმენ შენ, რომელ ურცხვინო იგი დედა ჩემი იოტე და მძლე ექმენ; ხოლო მე მიუგე მას შემდგომი იგი პირველ თქმულისა მის მუხლისა, ვითარმედ *შუქელი შანი თქოქსოთ სრულიყოფილი, ძაძონი შუქადნი ში: რცე, რცე, ძაძოთა კეთონად* ექმენ.

*შბ.* ზვითხე მასვე ბერსა, და ვარქვ ვითარმედ ვითარ არს ცუდად-მზვობრობა დედა ამპარტავანებისა; ხოლო მან მომიგო და მრქვა მე, ვითარმედ ქებამან აღამაღლის სული კაცისა, და რაჟამს ამაღლის სული, მაშინ შეიპყროს იგი ამპარტავანებამან და აღიყვანის იგი ცადამდე, და მიერ შთაიყვანის უფსკრულადმდე, და ქვესკნელად ჯოჯობეთისა.

*შტ.* ორს დიდება ოისა მიერ მოცემული, ვითარცა იგი წერილი არს, ვითარმედ *ძაძონიყოფილი იქმნი რცე-ძონი* და კვალად არს სხვა დიდებად განგებითა ეშმაკისათა, ვითარცა იგი თქმული არს, ვითარმედ *რცა რცხა თქოქნი, ძაძეს კეთონად ურცადნი თქოქნი ხდენი ყაროქონიოთ.*

*შთ.* ოკეთუ გნებავს ცნობად ივთისა-მიერისა დიდებისა, სცნა ესრეთ, რაჟამს შენ შეგერაცხოს დიდებად იგი ვითარცა მავნებელი, და ყოვლითავე ღონის ძიებათა ილტვოდე მისგან, და სადაცა წარხვიდე მოქალაქეობასა შენსა ფარვიდე; ხოლო საეშმაკო დიდებად ესრეთ იცნა რაჟამს შენ გენებოს, რათამცა იხილეს კაცთა სათნოება შენი.

*შხ.* შავგარწმუნებნ ჩვენ ბილწი იგი რათა ვიჩემბდეთ წინაშე კაცთა სათნოებათა, რომელნი არა მოგვეგნინან და მოგვახსენებნ სიტყვასა მას სახარებისასა, რომელსა იტყვის, ვითარმედ: *ესსიეთ ყსოქონიოქონი რცათონი თქოქნი ორრცე კედთა, ძაძა რცონიქნი სქქონი*

თქოქინჩუ ღეთოთჩუ ოდ დოზოქინოდ შდშდსა თქოქინსა  
ხელდთსა.

შქ. შრავალ გზის განარინნის იმერთმან მოყვარენი  
მისნი, ცუდად-მზვაობრობისაგან მოწვენადთა მათ მიერ,  
მათზედა ყვედრებათა და კდემულებათა კაცთაგან.

შთ. შასაბამი არა-ზვაობისა არს-დაცვა პირისა, და  
სიყვარული კდემისა, და ყვედრებისა, და საშვალა არს  
დატევება ყოვლისავე საქმისა, რომელი მოატყვებდეს  
ცუდად-დიდებასა: ხოლო სრული საზომი მისი, უკეთუ  
ოდენ იპოების, უფსკრულისა აღსასრული, ესე იგი არს,  
რათა ყოვლითა ძალითა მისითა ეძიებდეს კაცი. გინებასა,  
და ყვედრებასა და შეურაცხებასა.

ჩ. ჩუ დაჰვარავ საყვარელო აუგთა შენთა რომელ-  
თა ჩვენებად საგონებელ იყოს დაბრკოლება:

ჩდ. Ⴢრა ერთისა წამლისა ჯერ არს დადება ყოველ-  
სა წყლულებასა ზედა, არამედ სხვა წამალი ჯერ არს,  
რაჟამს ჩვენ თვით მოვხდიდეთ დიდებასა ჩვენდა მომართ,  
და სხვა რაჟამს მოუხდელად სხვათა მიერ მოვიდოდის  
ჩვენდა.

ჩე. Ⴢაჟამს ხელვეყოთ ქმნად საქმეთა, რათმე ცუდად  
მზვაობრობისა მომატყვებელთა, მაშინ გლოვა ჩვენი, და  
სენაკსა შინა ჩვენსა ლოცვად წარდგომისა შიში მოვიხ-  
სენოთ, და უეჭველად შევარცხვინოთ ურცხვინო იგი,  
უკეთუ ოდენ ლოცვისა ჭემმარიტისა ზრუნვად გვაქვნიდეს;  
ხოლო უკეთუ ესე გულის სიტყვა ვერ მოვიგოთ, მაშა  
სირცხვილი იგი, რომელი შეუდგს ცუდსა დიდებასა მო-  
ვიხსენოთ, რამეთუ ყაოქოთძეჩი ძისაოქოთძეჩი დოუძეოთასს  
თდოუ თოუსუ ოდშდქუთძეს აქავე და მას საუკუნესაცა.

ჩუ. Ⴢაჟამს მაქებელთა და უფროსდა მაცთურთა ქე-  
ბა გვიწყონ, მაშინ შინაგან ცოდვანი ჩვენნი მოვიხსენნეთ,  
და სიმრავლენი უსჯულოებათა ჩვენთანი და ესრეთ ვი-  
ცნათ უღირსება ჩვენი.

ჩდ. შრავალ-გზის ითხოვდიან რასმე ზვაობარნი, და

ჯერ-არნ რათა მოეცეს მათ თხოვა მათი, ამისთვისცა უფალმან უსწრის, და პირველ თხოვისა მათისა მოსცის მათ საქმე იგი, რათამცა არა მოიღეს იგი ლოცვითა თვისითა, და ზვაობასა მათსა შესძინონ.

*ჩი.* ჰრფელნი არა ფრიად შთავარდებიან ამას გესლსა რამეთუ ცუდად მზვაობრობა მაოტებელი არს სიწრფოებისა, და ცხოვრება არს ზაკვითა და გვლარძნილებითა აღვსებული.

*ჩიუ.* ორს რომელიმე მატლი, რომელი აღიზარდის რად, გამოისხნის ფრთენი და აღფრინდის სიმაღლედ; და ცუდად-მზვაობრობა სრულ იქმნის რად, შვის ამპარტავანება, დასაბამი იგი და სრულ მყოფელი ყოველთა ბოროტთა.

*ჩხ.* ორა მექონი ამა სენითა ფრიად ახლოს არს ცხოვნებისადმი, ხოლო შეპყრობილი ამით შორს გამოჩნდების დიდებისაგან წმიდათასა.

**აცდა მეორე ზიბესა, რომელსაც არ შეიპყრობს მზვაობრობა, იგი არ დაეცემა უფუნურის ამპარტავანებითა, მტერისა და მოძულისა ჩვთისა.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ყლოთ შთანთქმელი გოგონები სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

## სმპარტავანებისათვის, რომლისათანა იტყვის გმო-

### ბისათვისცა

#### ԳՇԻ ԻՂ

სმპარტავანება უარის-ყოფა არს ივთისა, და მეგობრობა ეშმაკთა, შეურაცხ-მყოფელი კაცთა, განკითხვისა დედა, ქებათა ნაშობი; უნაყოფოებისა სახე, შეწევნისა ივთისა მოტეხელი, წინამორბედი განცვიფრებისა, და ცნობა მიღებულობისა მომატყვებელი: დაცემათა მიზეზი, განცოფებისა, წყარო გულის-წყრომისა; კარი ორგულებისა; სიმტკიცე ეშმაკთა; მცველი ცოდვათა; უწყალოებისა მშობელი; მოწყალებისა უმეცრება; სიტყვის მგებელი მწარე; მსაჯული უწყალო; წინა-აღმდგომი ღვთისა, და ძირი გმობისა.

ჟ. შასაბამი ამპარტავანებისა არს აღსასრული ცუდად მზვაობრობისა, ხოლო საშვალო მისი არს-შეურაცხება მოყვასისა და შრომათა თვისთა ურცხვინოდ ქადგება, და ქება გულსა შინა, და სიძულვილი მხილებისა, ხოლო სისრულე მისი არს უარის-ყოფა შეწევნისა ივთისა, და სიხარული თვისსა საქმესა ზედა, და მინდობა ძალსა თვისსა, და გონება საეშმაკო.

ი. ღისმინოთ ყოველთა, რომელთა გვნებავს განრობა მთხრებლისა ამისგან ბოროტისა, ვითარმედ პირველად მადლობისაგან ივთისა მიიღებს ესე დაწყებასა, რამეთუ ურცხვინოებით პირველადვე ივთისა უარისყოფასა ვერ მოაგონებს კაცსა.

ბ. ღიხილენ კაცნი, რომელნი მადლობდეს იმერთსა პირითა, და მალლობდენ გონებითა, და მოწამე არს ამას ზედა ფარისეველი იგი, რომელი იტყოდა ვითარ-

მედ: *Πσηπισια ησδεσασυ Ϝηρ.*

რ. სადაცა დაცემა იქმნა, ცან ვითარმედ მუნ პირველად ამპარტავანებამან დაიმკვიდრა, რამეთუ მომასწავებელი პირველის მის არს მეორე ესე.

რრ. შესმა კაცისა მოძღვართაგანისა იტყოდა რად, ვითარმედ ესრეთ გულის-ხმა ვჰყავ ვითარმცა ათორმეტი იყო რიცხვი არა წმიდათა ვნებათა, უკეთუ ერთი მათგანი რომელ არს ამპარტავანება შეიწყნარო ნებსით, მან აღასრულოს ადგილი ათერთმეტთა მათ.

რს. შონაზონი ამპარტავანი მრავალ მეტყველ და მაცილობელ არს: ხოლო მდაბალი ყოვლადვე მყუდრო არს და უტყველ.

რტ. ჴითარცა არა სადა მოიდრიკოს კვიპაროზმან ქვეყნად სიმაღლე თვისი, ეგრეთვე მონაზონმან ამპარტავანმან არა სადა მოიგოს მორჩილება.

რთ. შონაზონსა ამპარტავანსა სურინ წინამძღვრობისათვის, რამეთუ სხვითა სახითა ვერ ჰპოებნ ესრეთ მსწრაფელ წარწყმედასა.

რუ. ჴავსა თვისსა ვითარცა მდაბალსა ჰხედავენ, ხოლო ძლეულ არნ იგი აღვსებულ ამპარტავანებითა.

რჲ. ოკეთუ *Ὁφειλον κοριν-θι* ოძეუყუს *εσσειηεν-ηεν*, ვინდა შეუძლოს შეწყალებად ესე ვითართა მათ უბადრუკთა.

რჳ. ოკეთუ *κορινθι Ὁφειλον* *εσσειηεν-εჲს* *ყას-ηηηონ* *ηსჲηონ* *ჰენონ*, ვინდა შეიყვაროს იგი სხვამან.

რჴ. სწავლა ამპარტავანთა – დაცემა არს ცოდვითა, ხოლო დამქენჯნელი მათი ეშმაკი არს, და სენი მათი განსვლაჲ სრულიად გონებისაგან და განცოფება; და პირველი იგი ნუ უკვე კაცთა მიერცა განიკურნის, ხოლო მეორე ესე კაცთა მიერ უკურნებელ არს.

რჵ. ჴოველი რომელი ილტვოდის მხილებისაგან და აღშფოთნების მისთვის, ეგე ვითარი იგი თვით წამებს







დვე ვერ მიახლებულ კვალსა მას პირველთა მამათასა, და არცა კეთილად მმარხველ აღთქმასა მას მონაზონებისასა, რამეთუ ვიდრე მოაქამომდე უკეთუ კეთილად გულის-ხმა-ვჰყოთ სოფლისავე ვნებათა შინა ვიქცევით.

ქქ. წეშმარიტი მონაზონი ესე არს მიმოუტაცებელი თვალი სულისა, და შეურყეველი სურვილი ივთისა.

ქქი. შონაზონი იგი არს, რომელსა ბრძოლათა ზედა მოსვლასა ესრეთ უხარინ, ვითარცა მონადირესა პოვნა ნადირისა და აბეზღებნ მათ ლტოლვისა სახითა რათამცა მოვიდეს მის ზედა.

ქქი. შონაზონი იგი არს, რომელი ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა, აღტაცებულ იყოს გონებითა ივ-თისა მიმართ, და მწუხარე იყოს მარადის ცხოვრებისა ამისთვის.

ქქი. შონაზონი იგი არს, რომელი ესრეთ მოსურნე იყოს სათნოებათათვის, ვითარცა გემოთ მოყვარენი გუ-ლის-თქმათა თვის.

ქქი. შონაზონი იგი არს, რომლისა თვალი სულისა მიუარჩდილებელად ნათელი იყოს.

ქქი. შონაზონი იგი არს, რომელსა ექმნას სული თვისი უფსკრულ სიმდაბლისა, და მას შინა ყოველი სული ვნებათა დაენთქას და მოეშთოს.

ქქი. სიმალე ცოდვათა დავიწყებასა მოიყვანებს, რამეთუ მათი ხსენება სიმდაბლისა მომატყვებელ არს.

ქქი. წმპარტავანება სიგლახაკე არს სრულიადი სუ-ლისა, რამეთუ სიზმართა და ბნელსა შინა მდიდრად ეგო-ნის თავი თვისი, ხოლო განრაიღვიძის და ნათელი გამო-უბრწყინდის, მაშინ ცნის ვითარმედ არცათუ პური აქვს.

ქქი. წრიან კაცნი რომელნი იქადიან სიმდიდრესა, და მათ არა რაჲ აქვს, და არიან სხვანი. რომელნი დაამდ-აბლებენ თავთა თვისთა დიდსა სიმდიდრესა შა.

ქქი. წრათუ ოდენ წარმართებად არა შეუნდობს ბი-ლწი ესე, არამედ სიმალლისაგანცა გარდამოაგდებს.

რქ. წმპარტავანი ბროწეული არს, გარეგან შვენიერი და შინაგან დამპალი.

რჟ. შონაზონისა ამპარტავანისადა, არა სახმარ არს ეშმაკი; რამეთუ იგი თვით მტერი არს და მბრძოლი თავისა თვისისა.

რზ. წითარცა უცხო არს ნათლისაგან ზნელი ეგრეთვე მონაზონი ამპარტავანი უცხო არს ყოვლისა სათნოებისაგან.

რდ. სულსა შინა ამპარტავანთასა იშვენენ სიტყვანი გმობისანი, ხოლო სულსა შინა მდაბალთასა ხილვანი ზეცათანი.

რე. შპარავსა სძულს მზე, და ამპარტავანსა სიმშვიდე და სიმდაბლე.

რვ. სცთეს ამპარტავანი, არა უწყი თუ ვითარ, და შეერაცხნეს თავნი თვისნი უვნებელად, და თვისი სიგლახაკე ჟამსა სიკვდილისასა ჰპოეს.

რზ. ჯომელი შთავარდეს ამის ჯაჭვისა კრულებასა, შეჰგავს ფრიადი ვედრება, ეგე ვითარისა მის ჩვთისა მიმართ, ტირილითა, რათა მან განარინოს იგი მღვიმისა მისგან-წყვდიადისა, რამეთუ ცუდ არს ესე ვითარსა მას ზედა ეწევნა კაცთა, არათუ ოფალი შეეწიოს მას.

რდ. წხოე ოდესმე უთაო ესე, რომელი იქცეოდა გულსა შინა ჩემსა და ბეჭთა ზედა დედისა თვისისათა ამალღებულ იყო, რომელი იგი მოვინადირე მახითა შორჩილებისათა, და ვსტანჯუნენ იგინი ტანჯვითა სიმდაბლისათა, და ვკითხე მათ რათამცა მაუწყეს თუ შესლვა მათი ჩემთანა, ვითარ კარით არს; და რაჟამს იტანჯუნეს იგინი მომიგეს და მრქვეს მე, ვითარმედ: ჩვენ დასაბამი არა გვაქვს. არცა შობა, რამეთუ დასაბამნი და მშობელნი ვართ ყოველთა ვნებათანი; ხოლო გვბრძავს ჩვენ, არა მცირედ შემუსრვილება გულისა მორჩილებისაგან შობილი, რამეთუ ჩვენ მორჩილება არავისი გვისწავიეს. წმისთვისცა ცათა შინა მთავრად დაბადებულ ვიყვენით და



## ჩემული მისივე, გამოუთქმელთა მათთვის გულის

### სიტყვათა გმოზისათა თავი კვ

ღოროტისა ძირისა ბოროტი რტოდ გვესმა, პირ-ველ თქმულსა მას შინა თავსა, რამეთუ იტყოდა ბილწი ამპარტავანება, ვითარმედ მისი ნაშობი არს გამოუთქმელი იგი გმოზისა ბოროტი, ამისთვის ჯერ-არს მისიცა შორის გამოღება, რამეთუ არა მცირე არს ბოროტი მისი, არამედ ფრიადცა დიდი არს, და უძვირეს ყოველთა ვნებათა, და უძვირეს ესრეთ არს რომელ არცა შესაძლებელ არს ადვილად თქმა მისი. და აღსარება და განქიქება წინაშე სულიერისა მკურნალისა, ამისთვისცა მრავალთ სასოწარკვეთილებისა მშობელ ექმნა, რამეთუ ვითარცა ჭიამან შეშა, ეგრეთვე არაწმიდამან ყოველივე სასოებისა მათისა ძალი განლიის.

ჟ. ოსე უკვე ბილწი და უკეთური, მრავალ გზის წმიდისა ჟამის წირვისა ჟამსა მოგვიხდის, და ჟამსა მას, წმიდათა საიდუმლოთა ზიარებისასა გვბრძავნ გმოზად უფლისა და შესაწირავისა მის წმიდისა, და ამის გამო უფროსად გულის ხმა ვყოთ, ვითარმედ არა ჩვენი სული არს მომპოვნებელი ესე ვითართა მათ მიუწომელთა და გამოუთქმელთა ბოროტთა, არამედ ივთისა მოძული-სა ეშმაკისანი არიან სიტყვანი იგი, რომელი იგი ზეცით გარდამოვარდა, ვინადგან მგმობარი იყო ოფლისა. რამეთუ უკეთუ ჩვენნი არიან ბილწნი იგი სიტყვანი, ვითარ თავყანისცემით და მადლობით მოვიღებთ ნიჭთა მათ, ვითარ შესაძლებელ არს კურთხევაიცა და ძვირის ზრახვაიცა ერთბაშად.

ქ. შრავალნი მრავალ გზის ამან მაცთურმან სრულეზით ცნობა მიღებულ და ეშმაკეულ ყვნა, რამეთუ არა არს სხვაჲ ძნიად აღსარებელი გულის სიტყვა ვითარ ესე, და ამისთვის მრავალთა თანა დაბერდაცა, ხოლო არა რაი განაძლიერებს ესრეთ ეშმაკთა და გულის-სიტყვათა ჩვენთა ზედა, ვითარ დაფარვა ბრძოლათა მათ საეშმაკოთა.

ჴ. ესე ვინ ჰგონებს გულის სიტყვათა მათ გმობისათა თუ მისგან არს მიზეზი მათი, რამეთუ გულთ მეცნიერ არს ოფალი და უწყის ვითარმედ არა ჩვენნი, არამედ მტერთა ჩვენთანი არიან სიტყვანი იგი რომელნი მოგვივლენ.

რ. სიმთვრალე მიზეზი არს შებრკოლებისა ფერხთასა, და ეგრეთვე ამჰარტავანება არს მიზეზი ესე ვითართა ბოროტთა გულის-სიტყვათა, და შებრკოლებისა მისთვის უბრალო არნ კაცი იგი, ხოლო სიმთვრალისათვის ბრალეულ და დასჯილ იქმნას.

რ. ზოცვად რა დავდგით, არა წმიდანი იგი და გამოუთქმელნი გულის სიტყვანი ზედა აღგვიდგიან, და ლოცვაჲ რაჲ აღვასრულით მეყვსეულად წარვიდიან, რამეთუ რომელნი არა ბრძოდიან მათ, არცა იგინი ბრძვანან.

ხ. წრათუ ოდენ იმერთსა და საღმრთოთა საქმეთა ჰგმობს უღთო იგი, არამედ ბილწთაცა რადმე და უშვერთა იტყვიან გულთა შინა ჩვენთა, რათამცა ანუ ლოცვა იგი დაუტევეთ, ანუ მცა სასოება თავთა ჩვენთა წარვიკვეთეთ.

ი. შრავალნი ლოცვისაგან დააბრკოლნა, და მრავალნი ზიარებისაგან წმიდათა საიდუმლოთასა უკუნ აქცინნა, და რომელთამე ხორცილი მწუხარებით განლინა, და სხვანი მარხვისაგან მოაუძლოურნა ბოროტმან ამან, და კაცთ მოძულემან მძლავრმან, და ყოვლადვე არა ულხინა მათ, და არათუ ოდენ ერისკაცთა, არამედ მონაზონთაცა ზედა

მოაწია ესე, და მერმე სასოება წარუკვეთნის და ეტყვიან ვითარმედ არღარა არს სასოება თქვენისა ცხოვრებისა, არამედ ურწმუნოთა და წარმართთა უძვირეს ქმნილხართ.

თ. რომელი იტანჯებოდის გმობის-ემმაკისაგან, გულის-ხმა-ყავნ რამეთუ არა მისი სული არს მიზეზ მათ ზრახვათა, არამედ არა წმიდა ემმაკი, რომელი ეტყოდა ოფალსა ვითარმედ: *ესი ყაყოთაჲ ყიჲი შუნდი, აქიდასი მიყრდჷსიჲი ში*. ამისთვის უკვე ჩვენცა უგულვებელს ვყოთ იგი, და არა სად შეგვერაცხნენ სიტყვანი მისნი, არამედ ვეტყოდით: *იძიჲოჲ შხითოა აქიჲი იყშხჲა ოფრისი ოშიჲითი* ჩემსა თაყვანისვსცე, და *შხი შუათა-სი* ვმსახურებდე; ხოლო შენი სიტყვაცა *შე სანაშაყენი* ეგე ბოროტი მიიქეცინ *მიჲი* შენდა, და გმობა შენი *მიჲი* ყიჲსი *ხი* შენუჲი, აწცა და მერმესა მასცა საუკუნესა.

რ. რომელსა თვინიერ პირველ თქმულისა ამის სიტყვისა ენებოს ბრძოლად გმობის ემმაკისა მსგავს არს კაცსა რომელსა ენებოს ხელითა თვისითა შეპყრობა ელვისა, რამეთუ ვითარ შეიპყრას, ანუ ვითარ წინააღუდგეს და სიტყვა უგოს მას, რომელი იგი მეყსა შინა წარვლის გულსა შინა ვითარცა ქარი, და უმაღლეს წამსა თვალისასა დაჰსთესავს სიტყვასა მას და უჩინო იქმნების.

რ. ყოველნივე ბრძოლანი დადგებიან და ებრძვიან და დაიყოვნებენ, და ჟამსა მისცემენ რომელსა ენებოს მათი ბრძოლა, ხოლო ესე არაესრეთ არს, არამედ გამოჩინებასა თანა უჩინო იქმნის, და თქმასა თანა სიტყვისასა მიგვეფარის.

რ. შრავალგზის წრფელთა და უმანკოთა გონებათა მოვიდეს ესე ემმაკი, და აწყინებნ მათ, რომელნიცა უმეტესად შემფოთდიან და აღიძრიან და ამისთვის ვიტყვიან ვითარმედ არა ყოვლადვე ამპარტავანებისაგან არნ, არამედ ოდესმე შურისაგანცა ემმაკთასა იქმნების იგი.

77. ოსკითხვის მოყვასისას ვეკრძალნეთ და გმობისა გულის სიტყვათაგან არა შეშფოთნეთ, რამეთუ მიზეზი და ძირი მეორისა მის პირველი იგი არს.

78. ვითარცა რომელი შეყენებულ არს სახლსა შინა და ესმინ გარე წარმავალთა სიტყვანი, და იგი არას მიუგებნ მათ, ეგრეთ სულსა ესმინ ხორცთა შინა შეყენებულსა ეშმაკთა გმობანი, რომელთა იტყვიედ თანა წარვლიდენ რად სულსა მას და შეშფოთნის იგი.

79. ჟომელმან შეურაცხყოს იგი განთავისუფლებულ არს მისგან; ხოლო რომელსა სხვითა სახითა ენებოს ბრძოლად ყოფა მისი, უკუნისამდე დაადგრეს იგი მას შინა, რამეთუ რომელსა სულისა არა წმიდისა შეპყრობა ენებოს, მსგავს არს კაცსა, რომელსა ენებოს შეპყრობა ქართა.

80. ოცო ვინმე მონაზონი მოსწრაფე, რომელსა ბრძოდა ეშმაკი ესე ოცწელ და დააჰკვნა ხორცნი მისნი მარხვითა და მღვიძარებითა და ვითარცა ვერ პოვა ლხინება, დაწერა ვნება იგი ქარტასა ზედა, და მიათვა იგი წმიდასა ვისმე ბერსა და თვით შეუვარდა ფერხთა მისთა, და ვერემლო მისა მიხედვად; ხოლო ვითარცა წარიკითხა იგი ბერმან მან განილიმნა და აღადგინა ძმა იგი, და ჰრქვა მას; დადევე შვილო ხელი შენი ქედსა ზედა ჩემსა; და ვითარცა ქმნა ესე ძმამან რქვა მას ბერმან: ჩემზედა იყავნ ძმაო ცოდვა ესე რავდენ წელცა დაუყოფია შენთა, ოდენ შენ ნურარადმცა შეგირაცხიეს იგი. და მითხრობდა ძმა იგი გულ-სავსებით, ვითარმედ არღა გამოსრულ ვიყავ სენაკისაგან ბერისა, ოდეს უჩინო იქმნა ვნება იგი, ესე მათ უწყა მე ძმამან მან, და დიდად მაღლობა იმერთსა მრავალ მოწყალესა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**წინც მიიღო ძლევა ამა ვნებასა ზედა, მან განაგდო ამპარტავნება.**



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი და **ჩაე** განგისვენო თქვენ



ვლთა შთანთქელი ჯოჯოხეთი      სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

ქმული მისივე სიმშვიდისა, სიწრფოებისა და უმა-  
 ნკობისათვის, რომელნიცა არა ბუნებისაგან წარ-  
 მოსდგებიან, არამედ გულს მოდგინებისა და შრო-  
 მისაგან მოიპოვებიან; და გვლარძნილებისათვის

### ԳՐԻ ԶԾ

Ինა უძღვის მზესა ნათელი\* განთიადისა; და  
 ყოველსავე სიმდაბლესა წინა-უძღვის სიმშვიდი-  
 სა სათნოება, ამისთვისცა ნათლისა მის ჭემმარიტისა ვი-  
 სმინოთ, რომელი ესრეთ განაწესებს მათ, რამეთუ იტყვის:  
*რկոսիւրդդի իղծուհի, իւծդուսլ ժյդւրժ դւսի ծւ ժճւցւոս  
 դսկարուտ. Շն՝ უշքւ չքւր արս, րատա քիրւել մზիսա նათ-*  
*լիսათვის განვნատლდეთ, და մերմեւ մზեսա միջեւդնետ*  
*քეთիւլად, რամეთუ ვითարցա ղեւմլեղեղ արս თւինիւր*  
*նათլիսա-ճիւղւա մზիսա, ւգրეთւե ղեւմլեղեղ արս თւինի-*  
*ւր սիմშւիդիսա-քոչնա սիմდაბլիսա.*

կ. სიმშვიდე დაწყնარება არს გონებისა შეუცვალ-  
 ებელი, რომელი პატისა ზედა და შეურაცხებასა-სწო-  
 რად იყოფებინ.

ღ. სიმშვიდე ესე არს, რათა ოდეს მოყვასი გაგი-  
 ნებდეს, და შეურაცხ-გყოფდეს, შენ ყოვლითა სულითა,  
 მისთვის ილოცვიდე განწმედილითა გულითა.

ժ. სიმშვიდე კლდე არს მდებარე ამაღლებულად,  
 ზღვისაგან გულის წყრომისა, რომელი ყოველთავე მის  
 მიერ მომავალთა ღელვათა შემუსრავს, და თვით ყოვ-  
 ლადვე არა შეირყევს.

ղ. სიმშვიდე მოთმინება არს ყოველთა განსაცდელ-  
 თა მადლობით და სიხარულით.

\* ნათლად-სიმშვიდესა იტყვის, და შზედ-სიმდაბლესა.

ჟ. სიმშვიდე სიმტკიცე არს მოთმინებისა, და ბჭე სიყვარულისა და უფროსლა დედა მისი, და ძალი არს გულის ხმის ყოფისა, რამეთუ თქმულ არს ვითარმედ: *დასოდოთარს აქადოშენ შყოშთი ეხენი შუსნი*. მომატყვებელი არს ცოდვათა შენდობისა და კადნიერება არს ლოცვასა შინა; სამკვიდრებელი არს სულისა წმიდისა; რამეთუ იტყვის სული წმიდა. ვითარმედ: *ჟოსსი შოი-ეღენი, ედხინი შყოშთი ხ~ე ზე შყაქდხათი*.

ზ. სიმშვიდე შემწე არს მორჩილებისა; და წინამძღვარი არს ივთის-მოშიშებისა; აღვირი არს გულის წყრომისა, დამხსნელი მრისხანებისა, მომატყვებელი სიხარულისა, და მსგავსება არს ჟრისტესი, სახეობთა ანგელოსთა და საკრველი ეშმაკთა და საჭურველი ვნებათა მიმართ.

ი. სულსა ზედა მდაბალთა და მშვიდთასა განისვენოს უფალმან, ხოლო სული მემფოთისა საყდარი არს ეშმაკისა.

თ. *შყოშთი ზე-შჰოშდხანი ჟოიყენი*, ხოლო მრისხანენი განიდევნენ ქვეყანით მათით.

უ. სული მშვიდისა, საყდარი არს სიწრფოებისა, ხოლო გონება მრისხანე-მოქმედი არს უკეთურებისა და გვლარძნილებისა.

უ. სულმან მშვიდმან შეიწყნარნეს სიტყვანი სიბრძნისანი, რამეთუ: *აქოიოუს ოჰენი შყოშთი სეღოოსი*, და უფროსლა გულის-ხმის-ყოფასა.

უ. სული მრფელი მეულლე არს სიმდაბლისა, ხოლო გვლარძნილი – მოყვასი არს ამპარტავანებისა.

უ. სულნი მშვიდთანი-ადივსნენ გულის-ხმის-ყოფითა ხოლო გონება მრისხანისა – სიბნელითა და გულის-ხმოებითა.

უ. შრისხანე და განმცხრომელი, შეიმთხვინეს ურთიერთ არს, და არა იპოვა სიტყვა სიწრფოებისა, ზრახვათა შინა მათთა.

77. ოკეთუ განაღო გული პირველისა პოვო ძვირის ხსენება, და უკეთუ გამოიძიო სული მეორისა პოვო მზაკვარება.

777. სიწრფოება წესი არს სულისა მარტივი აღუძვრელი ბოროტისა მიმართ.

78. ოკეთურება ხელოვნება არს საეშმაკო, და უშვერება მათი – განშორებული ჭეშმარიტებისაგან.

79. ორგულება წესი არს ბოროტი, დამაბნელებელი სულისა და გონებისა, შეთხზული ყოვლითავე გვლარძნილებითა.

797. სიწრფოება არს გონება უზაკველი, სახე უტყუველი, და სიტყვა ჭეშმარიტი, არა მოპოვნებული, არცა წინასწარ-წვრთილი.

80. ომანკოება არს მხიარული სახე სულისა, ყოვლითავე მზაკვარებისაგან განშორებული სრულიად.

807. ომანკოება ბუნება არს სულისა მძიდისა, რომელი იგი ესრეთ არიან ვითარ დაბადებულ არნ და ყოველთა მიმართ იყვის სახიერ ტკბილ და უშფოთველ.

8077. უვლარძნილება განშორება არს სიწრფოებისაგან, და გონება ცთომილი; ტყუილითა შეთხზული სიტყვა, და ფიცნი ცრუნი; უფსკრული არს მანქანებისა და ძვირის ხსენებისა, სწავლა არს მზაკვარებისა, და ხელოვნებით ტყუილი, მტერი განკითხვისა და მორჩილებისა, და მომატყვებელი დაცემათა, წინააღმდეგომი სიმდაბლისა, და ამპარტავანება დამტკიცებული, მაჩვენებელი სინანულისა, და განშორება გლოვისაგან, მტერი აღსარებისა, და მოყვარული თვით-რჩეულობისა, წინააღმდეგომი უვნებელობისა, და ღიმილი გინებათა ზედა, ჭმუნვარება მოსულელებული, და კრძალულება მომპოვნებელი, და ცხოვრება საეშმაკო.

80777. ღაცი გვლარძნილი, მოყვასი და მეგობარი არს ეშმაკისა, ამისთვისცა ოფალი ესე ვითარისათვის გვამც-

ნებს თქმად ვითარმედ: *უორესნიჲნი ხორჲნი ყასიასურს-  
უნ.*

კბ. ღილტვოდით უფსკრულისაგან, უკეთურებისა-  
გან, და მღვიმისაგან გვლარძნილებისა, რამეთუ წერილ  
არს, ვითარმედ: *აქჲლთაქსინუ ონძისყოქძჲნი, და: ორთუნძი-  
უნ თორუნ შოორუნორსა დაძიჲლ ენჲლქჲნი ზე ზენოო-  
ოჲნი, რამეთუ საძოვარ ეშმაკისანი არიან ეგე ვითარნი.*

კჲ. ღითარცა სიყვარულ ეწოდების იმერთსა, ეგ-  
რეთვე სიწრფოება, ამისთვისცა ყოვლად ბრძენი იგი  
მეტყველი ქებასა ქებათასა იტყვის წმიდისა მის მიმართ  
გულისა, ვითარმედ *სოქოქაჲყუქძჲნი ყოქუაქუნძი ყოქნი,*  
რომელ არს იმერთი; და კვალად ბრძენისა მის, ყოვლად  
ბრძენი იგი მამა იტყვის ვითარმედ: *ქყუოთ ზე ოქიქოქო  
ქუნძი ყოქნი ო.ქუნძოთ.* და ესე ვითართა მათ ცხოვრებასა  
იტყვის, ვითარმედ *ქიასქოქუნძჲნი ოქუ ენძინქინქინს ოქიქოქო-  
ნი უქიქოთ; და კვალად წერილ არს ვითარმედ ოქუნძი  
ო.ქუნძიქნი სოქოქაქათ და სულთა ზე ქასქოქნი ქუნძი ხ̄ და  
ასიქოთ დაქოქოთ.*

კჲ. ორა რაჲ არს მსგავსი სიწრფოებისა, ამისთვისცა  
ვიდრემდის აქვნდა იგი ადამს, არა იხილა შიშლოება სუ-  
ლისა თვისისა, არცა უშვერება ხორცთა თვისთა.

კხ. ღეთილ არს ბუნებითაცა იგი სიწრფოება და  
სანატრელ, გარნა ვერ ესე ვითარი არს, ვითარ იგი რო-  
მელი უკეთურებისაგან, შრომითა და ოფლითა სიწრფო-  
ებად მოსრულ იყოს, რამეთუ პირველი იგი დაცულ არს  
უკეთურებისა და ვნებათაგან, ხოლო მეორე ესე სიმ-  
დაბლისა დიდისა და სიმშვიდისა მომატყვებელ არს, და  
მისი სასყიდელი არა დიდ არს, ხოლო ამისი უფროსად  
ამაღლებულ.

კქ. ყოველთა რომელთა გნებავს მოპოვნება ოფლი-  
სა წრფელად და უზაკველად, და მარტივითა და წმიდი-  
თა გულითა მოუხდეთ მას; რამეთუ ვინაითგან იგი მარ-  
ტივი არს და არა შეზავებული, ამისთვის მარტივთაცა

და უმანკოთა სულთა ეძიებს, რამეთუ არა სადა იპოვების სიმარტივე და სიწრფოება, განშორებული სიმდაბლისაგან.

*კთ.* ოკეთური და მანქანა კაცი, და ფარულთ მცნობელი არს მტყუანი, რამეთუ სიტყვათაგან გონებისა ხედვათა იტყვიან, და სახეთაგან-გულის-სიტყვისა ცნობასა იქადინ.

*რ.* ოხილენ წრფელნი, რომელთა ისწავეს მანქანათა და გვლარძნილთაგან, მანქანება და გვლარძნილება, და დამიკვირდა თუ ვითარ ბუნებითი საქმე ესრეთ მეცსა შინა წარწყმიდეს.

*რ.* ოაზომ იგი წრფელნი ადრე გარდაიქცევიან მანქანებად, ეგოდენ მანქანანი და გვლარძნილნი ძნიად მოვლენ სიწრფოებად.

*რ.* ოცხოვებამან ჭეშმარიტმან და მორჩილებამან, და დუმილმან მრავალი რა შეუძლებელი შეუძლეს ქმნად და მრავალნი უკურნებელნი განკურნნეს.

*რ.* ოკეთუ სწავლულება და მეცნიერება აღაზვებს მრავალთა, ნუ უკვე უსწავლელობა მრავალ გზის ვიეთმე დაამდაბლებს, რამეთუ უსწავლელობასა ზედა ვერ ზვაობს კაცი.

*რ.* სახე და ხატი ჭეშმარიტი სიწრფოებისა იქმნა ნეტარი ოავლე მრფელი, მოწაფე დიდისა ონტონისა, რამეთუ არავის სადა უხილავს ესე ვითარი, მცირედ ჟამ წარმართებად, ვერცა ვინ იხილოს.

*რ.* ოონაზონი წრფელი, საცხოვარი არს პირმეტყველი, და თვისი ტვირთი სრულიად ბეჭთა ზედა მოძღვრისათა დაუმს.

*რ.* ორა სიტყვა უგის ცხოვარმან მწყემსსა; არცა სულმან წრფელმან წინამძღვარსა თვისსა, და შეუდგის იგი მწყემსსა მას, ვიდრეცა ჰნებავენ, და ვიდრე კვლადმდე სიტყვის გება არა იცის.

*რ.* ორადე ყოიოზღეს ობოზღესი სცსაქყოიოოსი სც-

მღსრ, და ძნად მიეახლნენ უგუნურნი იგი ბრძენნი გვლარძნილებისანი, სიმშვიდესა.

მქ. შაცემათა მრავალგზის გვლარძნილნი მოაქცინეს, და უნებლიეთი ცხოვრება და უმანკობა მოატყვეს მათ.

მამ. ისწრაფე ძმაო, რათა სულელ-ყო თავი შენი, და დაუტევო ამაო იგი სიბრძნედ შენი, და ესრეთ პოვო ცხოვრება და სიწორფობა; ჭრისტეს ოესოს მიერ ოფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება თანა შამით და სულით წმიდითურთ, აწდა-მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**ქინც ამ ღიბესა ზედა მიილო ძლევა, – კადნიერ იქმნეს; ვინადგან იგი იქმნა მობაძავ ჭრისტესა, მოიპოვა ცხოვნება.**

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტყირთ მსიმენი და ზე განგისვენო თქვენ



ყ'ლთა შთანთქმელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვნებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე



ჩემული მისივე ვნებათა მომსვლელისა მის და  
წარწყმედულისა სანატრელისა სიმდაბლისათვის

ԳԼԻ Դ

ჯომელსა ენებოს სიტყვით გამოცხადებად უმეცართა და საცნაურ ყოფად ჭეშმარიტისა მის სიყვარულისა ივთისა ჭეშმარიტებით, და სიმდაბლისა ყოვლად მდიდისა განცხადებულად, და სანატრელისა მის სიწმიდისა და ბრწყინვალეობისა მის ივთისა მიერისა, და შიშისა მისისა უტყუელისა, და გულ-სავსებისა მის საღმრთოისა, რომელი იქმნების გულსა-შინ; ესე ვითარი მსგავს არს კაცსა, რომელსა ენების სიტყვით და იგავით ჩვენებად სიტკბოება თაფლისა მათდა, რომელთა ყოვლად არა ეხილის გემო თაფლისა; და მეორე ესე რომელი სიტყვით თაფლისა სიტკბოებასა სთარგმნის, ცუდად მრავლის მეტყველებს. – ხოლო პირველი იგი ანუ გამოუცდელ არს სრულიად, სიტყვათა მათ და საქმეთა, რომელთა სთარგმნის, ანუ ცუდად მზავაობრობისაგან ძლიერად მოიკიცხვის.

ოდესმე შესაკრებელსა მამათასა შემოვიდა შორის გამოსამიებლად საუნჯე დაკრძალული კეცის ჭურებითა და უფროსდა კეცის-გვამებითა, რომლისა იგი ბუნება, სიტყვით არა საცნაურ იყო, არამედ ოდენ ზედა წერილი სახელისა მისისა, საცნაურ იყო, ესე იგი არს: სიმდაბლე სანატრელი; და რავდენნიცა სულითა ივთისათა ვიდოდეს, იგინი შემოკრბეს სულიერსა მას სამჯავროსა, და თითოეულსა ფიცარნი ივთივ წერილნი მოაქვნიდეს, მათ თანა სიბრძნისა და მეცნიერებისა, და გამოძიება იქმნა დიდი ცნობად, თუ რაი არს ბუნება სიმდაბლისა

მის სანატრელისა; და რომელნიმე იტყოდეს ვითარმედ: სიმდაბლე არს დავიწყება ქველის საქმეთა თვისთა კრძალვითი. ოა სხვათა თქვეს ვითარმედ: სიმდაბლე არს, რათა კაცსა შეერაცხოს თავი თვისი, უუკანასკნელეს და უუცოდვილეს ყოველთასა. ოა სხვათა თქვეს ვითარმედ: სიმდაბლე არს ცნობა კეთილად უძღურებისა თვისისა. და სხვათა თქვეს ვითარმედ: სიმდაბლე ესე არს რათა კაცი უსწრობდეს შევრდომად მოყვასსა ჟამსა განრისხებისასა. და სხვათა სთქვეს ვითარმედ: სიმდაბლე არს ცნობა მადლისა და წყალობისა ივთისა და სხვათა სთქვეს ვითარმედ სიმდაბლე არს ცნობა მადლისა და წყალობისა ივთისა და სხვათა სთქვეს ვითარმედ სიმდაბლე არს ცნობა შემუსრვილი სულისა, და ნებისა თვისისა უარისყოფა.

ჲ მე რაჟამს ესე ყოველი მესმა, და თავსა ჩემსა შორის მოსწრაფებით გამოვიძიე სანატრელისა მის ბუნება, ამათ სიტყვათა მიერ ვერ გულის ხმა ვყავ; ამისთვის უკანასკნელ ყოველთასა, ვითარცა ძალმან მოვილოკე ნაბიჭვეი დაცვივებული ტაბლისაგან, და პირთა მათ სანატრელთასა; და ამას განვაწესებ და ვიტყვი ამის საქმისათვის, ვითარმედ: სიმდაბლე მადლი არს გამოუთქმელი, მათ მიერ ოდენ საცნაური, რომელთა მოუგიეს იგი.

სიმდიდრე არს მიუწდომელი სახელის დება და ნიჭი ღვთისა, რამეთუ იტყვის ვითარმედ *ᲛᲠᲞᲗᲠᲞᲗᲠ* არა ანგელოსისაგან, არცა კაცისაგან, არცა წიგნისაგან, არამედ *ᲕᲟᲠᲞᲗᲠ*, შემოქმედისა ყოველთასა; *ᲕᲟᲠᲞᲗᲠ ᲞᲗᲠᲞᲗᲠ* და გონებითა, *ᲞᲗᲠ ᲛᲠᲞᲗᲠ* *ᲞᲗᲠᲞᲗᲠ* *ᲞᲗᲠᲞᲗᲠ* და გონებითა, *ᲞᲗᲠ ᲛᲠᲞᲗᲠ* *ᲞᲗᲠᲞᲗᲠ* *ᲞᲗᲠᲞᲗᲠ* ბრძოლათაგან, და ლხინება გულის-სიტყვათაგან *ᲠᲠᲞᲗᲠᲞᲗᲠᲞᲗᲠᲞᲗᲠ*.

ჲ. სხვა არს ხილვა ამის წმიდისა ვენახისა, ჟამსა ზამთრისა მის ვნებათასა. და სხვა ხილვა აქვს არესა მას შინა სათნოებათასა და სხვა ხილვა არს მისი ზაფხულსა მას შინა და მკასა ნაყოფთა მათ კეთილთასა: დაღაცათუ ყოველნივე სახენი მისნი ერთად შემოკრებებიან სიხარუ-

ლად და მხიარულებად, ამისთვისცა მსგავსად სახეთა მის-  
თა არიან მისნი.

ჟ~ აღყვავილებად იწყოს ჩვენ შორის, ყოვ-  
ლადქებულია მის ტევანმან, მაშინ ვიწყით შრომით  
მოდულებად ყოველსავე დიდებასა და ქებასა კაცობრივ-  
სა და განვაგდებთ თავთა ჩვენთაგან ყოველსავე გულის-  
წყრომასა და მრისხანებასა.

ქოლო რაჟამს აღორძინდებოდის დედოფალი ესე  
სათნოებათა სულსა შინა, სულიერითა მით ჰასაკითა,  
მაშინ არა-რად და უფროსლა სამაგებელად შეგვერაცხ-  
ნიან ჩვენ მიერ ქმნილნი ქველის-საქმენი, და მარადლე  
ესრეთ ვგონებდით, თუ შევძინებთ ტვირთსა ცოდვათა  
ჩვენთასა, და ჩვენ უცნაურად განგვეზნის იგი, და ჩვენ  
ზედა მოსრულთა ივთისა მიერ მადლთა, ვითარცა სას-  
ჯელისა ჩვენისა განმრავლებად ვხედვედით უღირსებისა  
ჩვენისათვის, და მაშინ არნ გონება ჩვენი წარუპარველ  
და დაკრძალულ საუნჯესა შინა შემუსრვილებისასა; და  
ოცნებანი ოდენ და ბგერანი იგი მპარავთანი ესმოდიან  
და არავისგან უვნებანი მათგანისა, რამეთუ სიმდაბლე  
საუნჯე შეუხებელი არს.

ღ. წჰა ესერა აღყვავებისათვის, და მცირედისა  
აღორძინებისათვის მარადის შეგებულისა ამის ნაყოფისა  
მცირედ სიბრძნის მეტყველებად ვიკადრე; ხოლო თუ  
რად არს სრული იგი ჰასაკი და ნაყოფიერება შლვდელ-  
შვენიერისა მის ოფლისა, კითხეთ მონათა მაგათ ოფლი-  
სათა და მან გაუწყოს, რამეთუ მე სიტყვით გამოჩინება  
მისი ვერ ძალ მიძს.

ბ. სიმდიდრისათვის და სიმადლისა, ამის სანატრე-  
ლისა თქმაჲ შეუძლებელ არს. ხოლო ბუნებისათვის მი-  
სისა სიტყვა, ყოვლადვე მოუგონებელ არს; არამედ სა-  
ხეთა მისთა თვის ძალისაებრ გულის-ხმის-ყოფისა ჩვენისა  
ვიტყოდით.

გ. სინანულსა ჭემმარიტსა და გლოასა განშორე-

ბულსა ყოვლისაგანვე ბიწისა, და ყოვლად წმიდასა მას ახლად მოსრულთა სიმდაბლესა, ეგოდენი განყოფილება აქვს ურთიერთ არს, ვითარ იგი არს ფქვილი და ცომი და პური, რამეთუ შეიმუსრვის და დაიფქვის სული სინანულისა მიერ ჭემმარიტისა; ხოლო შეირთვის ვითამე, და რათა ესრეთვა ვთქვა შეიზილების ივთისა მიმართ წყლითა ცრემლთა მათ კეთილთათა, და მერმე აღეტყინების ცეცხლი ოფლისა მიერი მის შორის, და შეიცხვების და განმტკიცნების სანატრელი იგი სიმდაბლე, უფუარი იგი და აღუზავებელი.

ჟ. წმისთვისცა ერთ ძალიქმნის და შეიერთის სანატრელი ესე სამკვეცი ჯაჭვი, და უფროსლა მშვილდი-ცისა\* და შეერთებულად იყვნიან საქმენიცა და ძალნი მისნი, და რომელიცა რად სთქვა ამათ სამთაგანისა, თუ მისი არს იპოოს იგი მეორისაცა და მესამისა, ამისთვისცა მოკლედ გამოვაჩინო წინაშე თქვენსა.

ზ. საქმე კეთილისა ამის და დიდებულისა სათნოებათა სამებისა: პირველი ესე არს, შეწყნარება და თავსდება ყოვლისა გინებისა და შეურაცხებისა სიხარულით; რაჟამს განმარტებულთა ხელითა სულისათა, შეიწყნარებნ და შეიტკობნ კაცი ყოველსავე ყვედრებასა და კდემასა, ვითარცა წამალთა უჩინო მყოფელთა სენთა სულისათა, და აღმხოცელთა ცოდვათა დიდთა; ხოლო მეორე სახე კეთილისა მის სამ-ძალისა სათნოებათასა არს, სრულიად მოკვდინება გულის წყრომისა, და შემუსრვილება გულისა, და ბრალობა თავისა თვისისა ყოველსავე ზედა; ხოლო მესამე კიბე კეთილი არს თვისთა სათნოებათა, სრულიად უჯეროება, და ურწმუნოება, და მარადის გულისთქმა სწავლისა სარწმუნოებით.

ი. *ԾԵՆԸՏԻՒՄԻՄ ԵՎ ԵՄԻՄԻՄԻՄ ԵՎ ԵՄԻՄԻՄԻՄ ԵՎ ԵՄԻՄԻՄԻՄ*; და

\* მშვილდად და სახედ სდვა სიმდაბლესა, მრავალ ფეროანთათვის კეთილთა და მადლთა მისთა.

დასასრული ყოველთავე არა წმიდათა ვნებათა ცუდად-  
მზვარობა და ამპარტავანება არს, რომელთაცა მკვლ-  
ელი არს, წმიდა ესე და სანატრელი ირემი, და ჰფარავს  
მეუღლესა მისსა, რომელსა თანა-იყოს, ყოვლისავე გეს-  
ლისა სასიკვდილისაგან შეუხებელად რამეთუ სადამცა გა-  
მოსჩნდა მას შინა გესლი ორგულებისა და ძვირის ზრახვ-  
ოსა. სადამცა დაიძალა გულსა მისსა გველი ბოროტი, და  
არამცა მეყვსეულად განქიქნა და მოიკვდინა? არცა არს  
შეერთებასა შინა მისსა სიძულვილისასა ხილვა; არცა დაუ-  
ჯერებლობისა და სიტყვის გებისა სახე, გარნა თუ სიტ-  
ყვა იყოს მართლ-მორწმუნეობისათვის, ურწმუნოთა მიმ-  
ართ.

თ. ჟომელი ამას სანატრელსა შეერთოს იქმნას იგი  
ღვთი, სახიერ, შოწყალე, და შაწყნარებულ, და ღრ-  
წყინვალე, ყუეუხებელ, შღვიძარე, შოსწრაფე, და რად  
მრავალს ვიტყვოდი უვნებელ იქმნას ყოვლისაგან ვნე-  
ბისა, რამეთუ თქმულ არს ვითარმედ *სუძნყრთსე ყრინ*  
*ხორინსე შაშუსღინინ ხორინ ოჟინძინ, ბე შუსღინინ*  
*ხორინ შყრთე ხორინთინ* და ვნებათა და ბრძოლათაგან.

7. შონაზონმან მდაბალმან არა გამოიძიენეს დაფა-  
რულნი, და გამოუთქმელნი საქმენი; ხოლო ამპარტავანი  
გამოიკვლევდეს სასჯელთა ივთისათა.

7. შონაზონსა ვისმე სულიერსა გამოუჩნდეს ეშმაკნი  
პირის პირ და ნატრიდეს, ხოლო ყოვლად ბრძენმან მან  
ბერმან ჰრქვა: უკეთუ თქვენ დააცადოთ ქება ჩემი, თქვე-  
ნისა განშორებისაგან ვსცნა, ვითარმედ დიდ ვარ; უკეთუ  
კულა ქება ჩემი არა დააცადოთ, მაშინ თქვენისა ქებისა-  
გან ვსცნა, არა წმიდება ჩემი; *მეშეთსე სეძინეთი დეს*  
*თრინყი ოჟინძინ, ყაროთი შინთი ნსინთი*. აწ უკ-  
ვე განთუმეშორნეთ ჩემგან, თვითმცა დიდ ქმნილ ვარ,  
უკეთუ კულა მაქებდეთ მე მოვიპოო თქვენითა სიმდაბ-  
ლე, ხოლო იგინი განცვიფრდეს ორკერძოვე ძლევისა  
მისსა ზედა და სიბრძნესა და უჩინო იქმნეს.



ნისათა განიხარნეს; და ერთი არს ესე სათნოება, რომელსა ეშმაკნი ვერ იჩემებენ.

კდ. სხვა არს სიმაღლე, და სხვა არა არს სიმაღლე; და სხვა არს სიმდაბლე, რამეთუ პირველი იგი მარადლე სხვათა განიკითხავს; და მეორე არავის განიკითხავს, არამედ არცა თავსა თვისსა დასჯის; ხოლო მესამე იგი დაუსჯელი არს, და მარადის თავსა თვისსა დასჯის.

კე. სხვა არს სიმდაბლე, და სხვაჲ არს მოღვაწება სიმდაბლისა მიმართ; და სხვაჲ არს ქება მდაბლისა. რამეთუ უპირველი იგი სრულთა არს; და მეორე იგი ჭემმარიტთა მორჩილთა; ხოლო მესამე ყოველთა მორწმუნეთა.

კე. ჯომლისა შინაგანი მდაბალ იყოს, ეგე ვითარი არა წარიპარვის ბაგეთა თვისთა მიერ, რამეთუ რომელი საუნჯესა შინა არა იდვას, კარსა არა გამოვალს.

კვ. ცხენი ვიდრემდის მარტოი არნ, ჰგონებენ ვითარმედ მალი არის, ხოლო რაჟამს შევიდის ასპარეზსა, მაშინ სცნოს უძლურება თვისი.

კჟ. ჯაჟამს კაცი ბუნებითა\* ზედა ზვაობდეს, სასწაული არს ესე ვითარმედ უწყიეს კურნებად; ხოლო ვიდრემდის სულ-მყრალობასა მას იყნოსდეს, სუნნელეზასა ვერ იყნოსებს.

კჟ. ძეჟა ყოვლად წმიდამან სიმდაბლემან, ვითარმედ არავის ესჯოდის, არცა აცილობდეს, არცა შეიყვაროს დიდება, არცა მიერჩდეს წინამძღვრობად, ტრფიალი ჩემი, ვიდრემდის მე შემომეყოს, რამეთუ ვინათგან მე შემეერთოს, მიერიდგან მისდა *ისსისისი დასი დასი*.

კზ. შონაზონსა ვისმე, რომელი მოსწრაფე იყო ამის სანატრელისა მოგებად, მოუხდეს ეშმაკნი, და დასთესეს ქება მათ მიერი გულსა შინა მისსა; ხოლო ნეტარმან

\* ე.წ. ბუნებითად იტყვის ხორციელსა დიდთა-შვილობასა, ხელ-მარჯვეობასა, კეთილად მოსწავლეობასა, ხმა კეთილობასა შვენიერებასა, და ჰასაკთა სიკეთესა.







ვასი ყოველსავე ზედა უმჯობეს და უპატოსნეს ჩვენსა იყო, მაშინ ვსცნათ ვითარმედ ახლოს არს წყალობა.

შ. ჴითარცა არა იპოოს ცეცხლი თოვლსა შინა, ეგრეთვე არცა მწვალეებელთა თანა იპოოს სიმდაბლე.

შდ. Ⴔსე სათნოება მართლ-მორწმუნეთა არს, და მათცა რომელნი წმიდა და ღვთის მოყვარე იყვნენ.

შე. შრავალნი ვიტყვით თავთა თვისთა ცოდვილად, და ნუ უკვე ეგრეთცა გვაქვს, ხოლო შეურაცხებამან სხვათა მიერმან გამოსცადის გულისა სიმდაბლე.

შჲ. ჴომელი მოვიდოდის ნავთსსაყუდელსა ამას უღელვოსა მიმართ, არა დასცხრეს იგი გამოძიებად საქმეთა და სიტყვათა, და გულის სიტყვათა, და ღონეთა და ადგილთა და ცხოვრებათა უნდოთა, და მდაბალთა ვიდრემდის შეწევნითა ღვთისათა ეგე ვითართა მათ საქმეთა მიერ განერეს მარადის მღელვარესა მას ამპარტავანებისა ზღვასა, და გამოიყვანოს მიერ ნავი სულისა თვისისა, რამეთუ რომელი ამის ბოროტისაგან ოდენ განერეს, მან სხვათა ცოდვათა ადრე პოოს შენდობა, ვითარცა მეზვერემან მან.

შგ. ჴომელთამე პირველ ქმნულნი ცოდვანი, შემდგომად შენდობისაცა მათისა, აქვს მარადის მიზეზად სიმდაბლისა, და მათ მიერ შემუსრვენ ბოროტსა მას ამპარტავანებისა ქედსა – და სხვანი ჴრისტეს ვნებათა იხსენებენ, და მით დაამდაბლებენ თავთა თვისთა, და თანამდებად შეურაცხიან იგინი; და სხვანი დღითი დღე მომავალთა ცთომათა მიერ შემუსრვენ გულთა თვისთა; და სხვანი მოწევნულთა განსაცდელთა და სენთა მიერ, დედა იგი სათნოებათა შეიტკბეს. ხოლო არიან ვიეთნიმე არა უწყი თუ აწ არიანდა, რომელნი ნიჭთა მიერ ღვთისათა რაზომცა წარემართებოდინ თავთა თვისთა დაიმდაბლებენ, და უღირსად ჰქონან ესე ვითარისა მის სიმდიდრისაგან, და ეგრეთ არიან ვითარმცა დღითი დღე თა-





შეურაცხებისა და კდემისა ფრიად დიდთა არს.

*ჩი.* *ჩუ* გიკვირს თქმულთა ამათთვის საყვარელო, რამეთუ არავინ არს რათამცა ერთითა ნაბიჯითა აღვიდა თავსა კიბისასა.

*ა.* *წჳათ ეჩინ ყაოოოთიე იოთიეძიჲდ ჳიხუსეღს შა-  
ოეჲიჩო თეძიო, არათუ რაჲამს ეშმაკნი გვერჩედენ, არა-  
მედ ძიეყეძს სეღოოიყუ ჩვენი ძეოოიჲასს ეესე ძეს ყუ-  
ჩი სოშბეოოოესე.*

*აე.* *აწყოფოეზა ბუნებითი ზე აღამაღლებს რტო-  
თა, ხისა მის თურინჯად წოდებულისა, ხოლო ქვერად  
დადრეკილ იქმნენ მეყვესეულად ნაყოფიერ იქმნებიან,  
რომელი მეცნიერებით იკითხვიდეს, გულის ხმა უყოფიეს  
მას სიტყვა ესე.*

*აე.* *შოულებიეს ივთისა მიერ ამისცა სანატრელისა  
კიბესა ოცდა ათეული და სამოცეული და ასეული აღსა-  
ვალისა და უკანასკნელსა მას აღვლენ სრულნი, ხოლო  
საშუალსა მას მოსწრაფენი, ხოლო პირველსა ყოველნი-  
ვე შემძლებელ არიან აღსვლად.*

*აე.* *ჳომელმან იცნას თვისი საზომი, იგი არაოდეს  
სცთეს ხელ ყოფად საქმისა უზესთაეს ძალისა თვისისა, და  
ეგე ვითარსა მას დაუდგამს ფერხი სანატრელსა ამას  
გზასა.*

*აბ.* *სითარცა იშიშვის ქათამი არწივისაგან; ეგრეთ-  
ვე მდაბალი სიტყვის გებისაგან.*

*აე.* *ღვინიერად წინასწარმეტყველებისა და ნიშებისა  
და სასწაულებისა მრავალნი შევიდეს სასუფეველად; ხო-  
ლო თვინიერ სიმდაბლისა არა ვინ შევიდეს სასძლოსა  
მას.*

*აე.* *სირველთა მათ მეორე ესე მოქმედ დამცველ  
არს; ხოლო მეორე ესე პირველთა მათ მიერ მრავალ  
გზის უჩინო იქმნა, სუბუქთა შორის გონებითა.*

*ახ.* *სეცა განაგო აფალმან დამდაბლებისა ჩვენი-  
სათვის, რამეთუ არავინ ესრეთ ხედავს წყლულებათა თვ-*

ისტა, ვითარ იგი მეორე, ამისთვისცა ჯერ არს ჩვენდა, რათა არა თავთა ჩვენთა ვმოძღვრიდეთ, არამედ მწყემსისა მიერ სულიერისა, და რაჟამს განვიკურნნეთ წყლულე-ბათაგან ჩვენთა, იმერთსა და მას ვმადლობდეთ.

აქ. შდაბალსა ნება თვისი მარადის, ვითარცა მაც-თური ესრეთ სძაგს და თავი თვისი უმეცრად შეურაც-ხიეს, ამისთვის სიმდაბლით ითხოვნ ჩვეთისაგან უმჯობეს-სა და სარწმუნოებით დაისწავის მის მიერ კეთილი.

აჟ. შდაბალი მარადის მორჩილ არს, და ისმენს სი-ტყვასა უმჯობესსა სხვათაგან, რამეთუ თავსა თვისსა არა-ოდეს მიენდობის, არამედ ოფალსა მიუტევის ზრუნვა თვისი, რომელმან იგი ვირსაცა აღუღო პირი ბალამის ზედა, და დაღაცათუ ყოველსავე საღმრთოდ იქმოდის და იტყოდის, არავე ჰრწამს მას თვისი გულის-ხმის-ყოფა; რამეთუ ვითარცა ამპარტავანსა სიმძიმედ უჩნს სხვათა და-კითხვა, ეგრეთვე მდაბალსა თავისა თვისისა მინდობა.

აჟ. შე ესრეთ ვგონებ, ვითარმედ წნგელოსთადა ოდ-ენ არს არა წარტყვენვა ცოდვისა მიერ, ვინადგან დი-დიცა იგი ქვეყანისა ანგელოსი შავლე იტყოდა ვითარ-მედ *ԷԻԷ ԻԷՆ ԹԷՐԻԷ ԹԷՐԷ ԱԽՈՎ, ԷԻԷՄԻԸ ԷԻԷ ԷՄՈՒ ԴԷՐԻՄԷ ԻԿԱՐԾՈՎ*; *ԻԷՄՈՒ ԴԷՐԻՄԷ ԻԿԱՐԾՈՎ*; *ԻԷՄՈՒ ԴԷՐԻՄԷ ԻԿԱՐԾՈՎ* *ԻԿՄ* ოფალსა *ԷԻԷ*. წმისთვისცა თანა გვაც მარადის განკითხ-ვა და ბრალობა თავთა ჩვენთა, რათა ნებსით დამდაბლე-ბითა თავთა თვისთათა უნებლიეთთა მათ ცოდვათაგან განვერნეთ; ხოლო უკეთუ არა ესრეთ ვყოთ ჟამსა სიკვ-დილისასა ბოროტად ვიგვემნეთ მათ-თვის.

აჟ. ჟომელი ითხოვდეს ჩვეთისაგან სათხოველსა, და აქვანდეს თავი თვისი უღირსად, სათხოველისა მის; მან უმეტესი მისა მოიღოს, და მოწამე არს ამას-ზედა მეზვე-რე იგი, რომელმან მოტევება ითხოვა, და სიმართლე პოვა.

აჟ. წვაზაკმან მოხსენებად ოდენ ითხოა სასუფეველ-სა, და ყოველივე სამოთხე დაიმკვიდრა.

აჟ. წითარცა არა იხილვების ქვეყანასა ზედა, არცა იპოების ბუნება ცეცხლისა მცირე და დიდი, რამეთუ ყოველივე ბუნება მისი ერთ არს, დაღაცათუ მცირე ნაკვერცხალი იყვის ბუნებითა, დიდისავე სახმილისა სწორი არს; ეგრეთვე ჭეშმარიტი სიმდაბლე სადაცა დაემკვიდროს, არა შეუნდობს მუნ ნივთსა ცოდვისასა ყოფად.

აშ. წიდრემდის ნებსით ვცოდვიდეთ, ჩვენ შორის იგი არა იპოვების; ამისთვისცა იცოდა ოფალმან, ვითარმედ გარეშე სახე, მოიყვანებს სულსა სიმდაბლედ, აღილო არდაგი და გვიჩვენა ჩვენ ღონე და გზა სიმდაბლისა, რამეთუ საქმეთა მიემსგავსების სული, და ვითარცა საქმენი მისნი იყვნენ, ეგრეთვე იგი გამოისახვის.

აჟ. შთავრობა ანგელოსთაგანსა მას მიზეზ ამპარტავანებისა ექმნა, რომლისადა არა ამისთვის მიცემულ იყო მთავრობა იგი.

აჟ. სხვა არს გონება საყდართა ზედა მჯდომარისა; და სხვა არს სკორეთა ზედა დავრდომილისა, და ნუ უკვე ამისთვის დიდი იგი მართალი იოზ ჯდა სასკორეთა ზედა გარეშე ქალაქისა, რამეთუ მაშინ მოიგო სრული იგი სიმდაბლე, და თქვა მეცნიერებათა სულისათა: *ძე-ოუჩირიჩი თიოუ ჩოჭო ძე ძეოსოაუ, ძე ყოოჩიეღუ თიოუ ჩოჭო შოოე ძე ჩიღეძი.*

აშ. წპოვებ მანასეს უცოდვილესად ყოველთა კაცთასა, რომელმან შეაგინა ტამარი ივთისა, და ყოველივე სამსახურებელი მისი კერპებითა, რომლისა თვისცა დაღაცათუმცა ყოველმან სოფელმან იმარხა, ვერ კმა იყო სინანულად მისდა; არამედ შეუძლო სიმდაბლემან უკურნებელთა კურნებად.

აქ. ოკოთაქშენ ეოჩიყე ძსუოოჩიოოოა, ეტყვის დავით იმერთსა *ყოოსოოოიღე ყიჩიძე*, საკვერთხი მარხვისა *ჩიეძი ეოჩიძე ძსუოოჩიოოო იოოოიე ძიე სიქოოო შიეეეოო, ძე ექოოო ექქასოოოოო.*

აათ. ყოოსიუაძი აქიეოიე ოდესმე ლაღად-ყო სანა-





აჲ. სიმდაბლე კიბე არს ცად აღმყვანებელი სული-  
სა, უფსკრულისაგან ცოდვათასა.

აჲ. ჩხილა ვინმე გულსა შინა თვისსა ამისი სიკე-  
თე, და შეიპყრა იგი განკვირვებამან, და ჰკითხვიდა რა-  
თა უთხრას სახელი მშობელისა მისისა, ხოლო მან ბრწ-  
ყინვალითა და მხიარულითა პირითა რქვა მას: და ვითარ  
მშობელისა ჩემისა სახელსა იკითხავ, და იგი არს საკვი-  
რველ და უსახელო, არა გითხრა სახელი მისი, ვიდრემ-  
დის არა მოიგო იმერთი შენ შორის-დამკვიდრებულად,  
ჟომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**შედა წყლისა და წყაროსა – უფსკრული არს, და დედა გულის-ხმის-  
ყოფისა და განკითხვისა – სიმდაბლე.**

შოველით ჩემდა ყოველნი მამერაღნი და ტუირთ მძიმენი და **ჩა** განგისვენო თქვენ



ვ'ლითა შთანთქმული ჯოჯობნეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე

ქემული მისივე ნეტარისა იოანესი, დიაკრისისათ-

ვის, რომელ არს გულის ხმის ყოფა და განკითხვა

გულის სიტყვათა და ვნებათა და სათნოებათა

### ԳՆԻ Ի Դ

Մანკითხვა და გულის-ხმის-ყოფა ახალ მოსრულ-  
 თა მონაზონებად ესე არს, რათა საზომი თვისი  
 და საქმე თვისი ჭემმარიტად გულის-ხმა-ყონ, ხოლო სა-  
 შუალთა შორის ესე არს, რათა მოიგონ ცნობა გონიერე-  
 ბისა, რომელი იგი ჭემმარიტსა მას კეთილსა ბუნები-  
 თისა და წინააღდგომისაგან განყოფდეს უცდომელად;  
 ხოლო სრულთა შორის არს საღმრთოსა მის ბრწყინვა-  
 ლებისაგან მოსრულ, გულის ხმის ყოფასა ნათელი, რო-  
 მელი, დაენერგვის ღვთისა მიერ გონებასა შინა, და ნათ-  
 ლითა თვისითა შემძლებელ არს, სხვათაცა სიბნელისა  
 განათლებად; გინათუ ესე არს განკითხვა ყოველთა ზედა:  
 ახალთაცა და საშუალთა და სრულთა; ნებისა ივთისა  
 უცდომელი პოვნა, რათა ყოველსა ჟამსა და ადგილსა  
 და საქმესა იცოდის თუ, რომელსა ზედა არს ნება ივთი-  
 სა, რომელი ესე იპოების წმიდათა თანა გულითა და  
 ხორცითა და პირითა.

ჟ. რომელმან სამთა\* მათ კეთილად სძლოს, მან  
 სძლია ხუთთაცა, ხოლო რომელმან სამნი უდებყვნეს, იგი  
 ვერცა ერთსა ხუთთაგანსა მძლე ექმნეს.

---

\* სამნი იგი ესე არიან: ნაყროვანება, ვეცხლის მოყვარება და  
 ცუდ-მზვაობრობა; ხოლო რომელმან სძლოს ამათ სამთა, ნაყროვნებასა მარ-  
 ხვითა; ცუდად მზვაობრობასა სიმდაბლითა, ვეცხლის მოყვარებასა – სასო-  
 ებითა ღვთისათა და ლოცვითა; მას უძლევიეს სხვათა მათ ხუთდათაცა: რო-  
 მელ არიან, სიძვა, მრისხანება, მწუხარება, მოწყინება და ამპარტავანებაჲ.

ქ. ოსკითხვა არს შეუგინებელი და წმიდა განზრახვა, და ცნობა სვინიდისისა, რომელ არს გონება გულის-ხმის-მყოფელი კეთილისა და ბოროტისა, რომელი და-ნერგა იმერთმან კაცსა თანა მამხილებელად ბოროტისა.

ბ. ნუმცა ვინ შთავარდების უგულის-ხმოებისაგან ურწმუნობად, რაჟამს იხილოს რამე, ანუ ესმას უზესთაესი ბუნებისა საქმე, რამეთუ სადა დაემკვიდროს უზესთაესი ბუნებისა საქმე, რამეთუ სადა დაემკვიდროს უზესთაესი ბუნებითა იმერთი, უზესთაესი ბუნებისა იქმნებიან მუნ უმეტესნი საქმენი.

გ. წმათ სამთა სახეთა მიერ იშვების უფროს ყოვლისა, ჩვენ შორის ბრძოლა ყოველივე საეშმაკო, ანუ უდე-ბებისაგან, ანუ ამპარტავანებისა, ანუ შურისაგან მათისა, – და საწყალობელ არს პირველი და უბადრუკ არს მეორე; ხოლო მესამე სამგზის სანატრელი.

დ. ოსმზრახად და კანონად ყოველსავე ზედა შემდგომად ივთისა ჩვენი სვინდისი ვიხმაროთ, რათა ვიცოდით თუ ვინა კერძოდ შემოვალს ნიავი ქარისა, და მისდა მიმართცა აღვმართნეთ აფრანი.

ე. ყოველსავე საღმრთოსა საქმესა ზედა ჩვენსა, სამნი მთხრებელნი განგვიმზადნიან ჩვენ ეშმაკთა. რამეთუ პირველად გვებრძვიან რათა დაგვახრწიონ ჩვენ ყოვად კეთილისა, და ვითარცა ამას ზედა იძლივნენ, – მერმე ისწრაფიან, რათამცა საქმე იგი არა საღმრთოდ იქმნა. და ვითარცა ამასცა ზედა იძლინენ მტერნი იგი – მერმე ფარულად მოგვიხდეს ჩვენ და გვნატრიდენ, რამეთუ საღმრთოდ აღვასრულეთ საქმე იგი. და პირველისა მის მტერი არს – მოსწრაფება და ხსენება სიკვდილისა; და მეორისა – მორჩილება და შეურაცხება; ხოლო მესამისა – მარადის ბრალობად თავისა თვისისა.

ვ. ოსი ნიხი ყიხაშე ორინეყი ჩვენსა, მიხთი ყიშაოუ-შის სუოშოშის ჩვენსა ცეცხლი ივთისა, რამეთუ მიერთ-გან არღარა არს ჩვენ შორის ბრძოლა ჩვეულებათა პირ-

ველთა, რამეთუ *Πσῆχισαι ἰχοῖνι ἡρῆσῃ-εἰς γῆσῃοῖοῖο* ყოვლისა მხურვალეებისა ბოროტისა, და სიბნელისა და აღმჯრისა ჩვეულებათა შინაგანთა და გარეგანთა ხილულთა და უხილავთა.

თ. ოშმაკნი მარადის წინააღმდეგომსა ამის პირველ თქმულისა საქმისათვის ისწრაფიან ქმნად. რამეთუ რაჟამს სულსა ეუფლნენ, და ნათელი იგი გონებისა დააბნელონ; მიერიტგან არღარა არნ ჩვენ შორის უბადრუკთა ამათ სიფრთხილე გონებისა, არცა განკითხვა, არცა გულის ხმის ყოფა, არცა სირცხვილი, არამედ ულმობელობა, და უგუნურება, და განუკითხველობა, და სიბრმე-დაიცნიან თქმული ესე კეთილად, რომელნი სიძვისაგან მოქცეულ იყვნენ; ანუ კადნიერებისაგან განეფრთხოს; ანუ უწესობებისაგან გულის-ხმის ყოფად მოსრულ იყვნენ, ვითარ იგი შემდგომად განფრთხობისა მათისა მის გონებისა სიბრმისაგან და შემდგომად წარსვლისა ბნელისა მის, თავთა თვისთაგანცა რცხვენინ გონებითა, სიტყვათა მათ და საქმეთა ზედა, რომელთა იტყოდეს და იქმოდეს, იყვნეს რად სიბნელისა მას შინა.

7. ოკეთუ პირველად არა შელამდეს\* და შებნელდეს, დღესა მას შინა სულისასა, ვერ შემოვლენ მპარავნი იგი, რათამცა იპარეს, დაკლეს და წარსწყმიდეს.

რე. *Πεσῃσῃ* სულისა არს წარწყმედა ბუნებითისა მის კეთილისა.

რე. *Πარვა* არს რაჟამს ყოფდეს კაცი ბოროტსა და მედგარსა, ვითარცა კეთილსა.

რე. *Πარვა* არს უცნაური წარტყვენვა სულისა.

რე. *Πεσῃσῃ* სულისა არს – სიტყვიერისა მის გონებისა სიკვდილი, შთავრდომითა ბოროტთა საქმეთა.

რე. *Πεσῃσῃ* სულისა არს შემდგომად ურჩულოებისა სრულიადისა სასოებისა წარკვეთაჲ.

\* ნამე, და ბნელ სულისა არს უდებება და მოწყინება და გულის-თქმა.

707. Իս ვინ მიზეზობნ უძღურებასა, აღსრულებად მცნებათა სახარებისათა, რამეთუ მრავალნი არიან ძმანო, რომელთა უზესთაეს მცნებისაცა ქმნეს, და ეს დაგვარწმუნოს, რომელმან იგი უფროს თავისა თვისისა შეიყვარა მოყვასი\* და სული თვისი დადვა, და მცნება ოფლისა ამას ზედა არავე მოელო, არამედ უზესთაეს მცნებისა ქმნა.

78. Իսუგეშინის-ცემულ იქმნედ, და მხნე იყვნედ და მხნე იყვნედ ვნებულნი იგი, რომელთა ოდენ სიმდაბლე აქვენ, რამეთუ დადაცათუ ყოველთა მთხრებლთა შთაცვიენ, და ყოველთა მახეთა შეეზნენ. და ყოველთა სენითა მოუძღურდენ; არამედ შემდგომად კურნებისა მათისა, ყოველთა მნათობ და მკურნალ, და სანთელ, და წინამძღვარ ექმნენ, და სახეთა მათ სენისათა ასწავებდენ, და თვისისა გამოცდილებისაგან იხსნიდენ მათ, რომელთა ეგულებოდის დაცემად.

79. ሩკეთუ პირველთა ჩვეულებათაგან ვიეთნიმე იმძლავრებოდին, და ძალედვას სიტყვით ოდენ სწავლად ასწავლიდენ, და ნუ უკვე თვისთა სიტყვათაგან სადმე შეჰრცხვენდეს, და საქმედცა იწყონ კეთილისა; ხოლო წინამძღვარ ნუ იქმნებიან, არამედ სიტყვით ასწავლიდენ თუ ძალ ედვას. და ნუ უკვე იქმნას მათზედაცა, ვითარცა ვიეთმე ზედა ვიხილე, რომელნი შთავრდომილ იყვნეს მწვირესა და დაფლულ, ვიდრე ყელამდე, და სახესა მუნ შთავრდომისა მათისასა, ყოველთა თანა წარმავალთა ასწავლიდეს, და ევედრებოდეს რათა არა წარვლონ გზა იგი, და მასვე მთხრებელსა შთავარდენ.

80. Ծա სხვათა ცხოვრებისათვის, რომელი მათ იზრუნეს იგინიცა ყოვლად-ძლიერման თიხისა მისგან იხსնա. უკეთუ კულა ვნებულნი იგი ნებსით მისცემდენ თავთა თვისთა გულის-თქმად, დუმილით აჩვენონ ესე ვითართა მათ სწავლა, რამეთუ წերիლ არს რომელსა *ἡκούσας Ἰησοῦ*

\* Մავლეს Մოციქულսա իտყვის, რომელი იგი Մեաჩვენեծա თავսա თვისսա ժմათատვის.

ყაყაძე სოფიოძე.

ჟ. ჟიციხელსა ჭეშმარიტად და ძნელსა ზღვასა წიად-  
ვალთ ჟი მონოზონნო, და სავსესა მრავლითა ნიაქართა  
და გრიგალითა, და მოქცევითა და კლდეებითა და მხე-  
ცებითა და ავაზაკებითა, და სიფონებითა და ღელვითა  
ბოროტითა.

ჟდ. ორიგალი სულისა გულის-ხმა-ვეოთ-მძაფრი იგი  
და მევესეული გულის წყრომა, და მოქცევად სასო  
წარკვეთილება, რომელი გარე მოეხვევის გონებასა და  
ისწრაფინ უფსკრულად წარწყმედასა შთაყვანებად მისა.  
და კლდედ-უგულის-ხმოებად, რომელი ბოროტსა, ვი-  
თარცა კეთილსა შეიტკობს, ხოლო მხეცად – მძიმენი ესე  
და ველურნი ხორცნი გულის-ხმა-ვევენთ. და ავაზაკად  
ცუდად მზვაობრობისა იგი ბოროტნი ეშმაკნი, რომელნი  
იგი ტვირთსა და ნაშრომსა სათნოებათა ჩვენთასა წარი-  
ტაცებენ. ხოლო ღელვად ვიტყვით – განძვინებულსა და  
აღვსებულსა მუცელსა, რომელი თვისითა მით სიფიცხ-  
ლითა პირად მხეცსა მიგვეცემს. ხოლო სიფონი\* ზეცით  
გარდამოვრდომილი იგი ამპარტავანება არს, რომელი იგი  
აღვამაღლებს ცადმდე და შთაგვიყვანებს უფსკრულად.

ჟე. ყოველთა რომელნი ისწავლიან წერილთა, საც-  
ნაურ არს მათდა და თუ, რომელნი არიან სწავლანი ახ-  
ლად შემოსრულთანი სწავლად,\*\* ანუ რომელნი არიან სა-  
შუალთა; და რომელნი არიან მოძღვართანი.

\* ზეცით ღრუბლისა სვეტი ჩამოდგების ზღვასა ზედა და წყ-  
ალსა აღიღებს, და ამას ეწოდების სიფონი.

\*\* ცხლად შემოსრულთა სწავლანი ესე არიან: შორჩილება, შარ-  
ხვა, შოთმინება, ცხოვნება სულისა, არა სიყვარული ნათესავთა და სახ-  
მართა, სიმდაბლე და ზოცვა; ჟოლო საშუალთა, სულგრძელება, სიტ-  
კობება, სახიერება, შოწყალება, ძვირ-უხსენებლობა, ოპოება, შარხვა,  
ღრძაღულება და ზოცვა, ჟოლო სრულთა: სიყვარული, სიხარული,  
შშვიდობა, სანკითხვა, და სულის ხმის ყოფა უცთომელი ყოველსა  
ჟამსა და ადგილსა და საქმესა.

კჟ. ჴეკრძალნეთ კეთილად, ნუ უკვე მრავალი ჟამი დავეოთ სწავლასა შინა, და ჯერეთ ანბანსავე ვისწავლიდეთ, რომელ ესე სირცხვილ არს, რაჟამს კაცი სწავლასა შინა დაბერებული ანბანსავე ისწავლიდეს.

ღნ-ბანი მონაზონებისა ესე არს: შორჩილება, შარხვა, შღვიძარება, შთაცმა მამისა, ნაცარსა ზედა ჯდომა, ღირილი, ღღსარება, ღუმილი, სიმდაბლე, სიმხნე, ღინული სიცივისა, ყრომა, ოზადრუკება, ყეურაცხება, ყემუსრვილება, ღვირუხსენებლობა, სიყვარული ძმათა, სახიერება, სარწმუნოება მარტივი და მართალი ოზრუნველობა სოფლისა, სიძულილი უმანკო მშობელთა, სივლტოლა სოფლისა საქმეთაგან, ომანკოება და ნებსით-სიგლახაკე.

კძ. სწავლა საშუალთა, რომელნი წარმართებელ იყვნენ მონაზონებისა შინა, ესე არს ოზვაობრობა, ორისხველობა, სასოებისა სიმდიდრე, ღაყუდება, ღანკითხვა, ღტკიცედ ხსენება სასჯელისა და სიკვდილისა, მოწყალება. ოცხოთ-მოყვარება, სწავლა ზომითი, ღოცვა უვნებელი, სიძულვილი სახმართა.

კჟ. ჴსე არს საზღვარი და რჩული სულთა განსრულებულთა, ივთის-მოშიშებითა და წარუტყვენელი გული, განსრულებული სიყვარული, ღყარო-სიმდაბლისა, ღანსვლა გონებისა ივთისა მიმართ, ყემოსვლა ჴრისტესი სულსა შინა, ღანათლება ლოცვისა წარუტყვენელად, სიმრავლე ბრწყინვალეებისა ივთისა, სურვილი სიკვდილისა, სიძულვილი ამის ცხოვრებისა, სილტოლვა ხორცთაგან, ჴეოხი სოფლისა – მაიძულელებელი ივთისა მოწყალებად, ღნგელოსთა თანა შეერთებული, ოფსკრული გულის ხმის ყოფისა, ღამარი საიდუმლოთა, ჴხილველი გამოუთქმელთა, ჴაცხოვარი კაცთა, იმერთი – ეშმაკთა, ოფალი ვნებათა; ჴეუფე ხორცთა, ჴთავარი გონებისა, ოცხო ცოდვისა, სახლი უვნებლობისა, ჴიმსგავსებული ჴეუფისა, შეწევნითა ჴეუფისათავე.



კჲ. ორა მცირედი სიფრთხილე უხმს გონებასა, რაჟამს ხორცი უძლურ იყვნენ, რამეთუ მაშინ გვიხილნიან, რად ეშმაკთა დავრდომილნი სარეცელთა ზედა, და ვერ შემძლებელნი უძლურებისა მისგან ბრძოლად მათდა ფიცხელთა ბრძოლათა ისწრაფდიან მოწევნად ჩვენ ზედა.

კჲ. ჟომელნი სოფელსა შინა არიან მათ, დასნეულდიან რად გულის წყრომისა და მრავალ გზის გამოხისაცა ეშმაკი ჰბრძავს; ხოლო რომელნი გარეგან სოფლისა არიან მათ უკეთუ სახმარნი ეპოებოდინ ნაყოფანებისა და სიძვისა ეშმაკი ბრძავს; უკეთუ კულა ფიცხელთა და უნუგეშინისცემოთა ადგილთა იყვნენ, მოწყინებისა და უმადლოებისა მძლავრი სტანჯავს.

კჲ. შავიდეე გონებასა ჩემსა განცდად ეშმაკსა სიძვისასა და ვიხილე, რამეთუ საღმობათა და ტკივილთა შესძინებდა სნეულთა ზედა, და ტკივილთა მათ და საღმობათა შინა აღძვრასა ხორცთასა და დინებასა ჰყოფდა, და იყო განსაკვირვებელ საქმე იგი, რამეთუ საღმობათა და ტკივილთა შინა ფიცხელთა ხორცი ბორგდეს, და მძლავრობდეს; და ვიხილენ სხვანი სნეულნი მდებარენი და სარეცელთა ზედა მათთა ივთისა-ძალითა და ღმობიერებითა ნუგეშინისცემულ იქმნეს, და არღარა ეღმოდათ, არამედ ესრეთ იყვნენ, ვითარმცა არღარა ვნება სენისა მისგან განთავისუფლება; და კვალად ვიხილენ სნეულნი, რომელნი სენისა მის მიერ, ვითარცა კანონისა რასმე საღმრთოსა სენისაგან სულიერისა და ვნებისაგან ბოროტისა განთავისუფლდეს, და ვადიდე, რომელმან ხორცთა მიერ ხორციევე წმიდა ყვნა სულსა თანა.

კჲ. ონებასა გონიერსა, გონიერიცა ცნობა ჰმოსიეს, რომელი იგი ჩვენ შორის და არა ჩვენ შორის მყოფი გამოვიძიოთ დაუცხრომელად, რამეთუ რაჟამს იგი გამოჩნდეს გარეგანთა ამათ აღძრვათა დააცადონ საქმე თვისი, და ესე არს რომლისათვის იტყოდა ბრძენი ვინმე ვითარმედ, ცნობა საღმრთო ჰპოვე შენ.

რ. ცხოვრება მონაზონისა გულის-ხმის-ყოფით იყავნ ყოველსავე საქმესა ზედა და სიტყვასა, და მოგონებასა და აღძვრასა, უკეთუ კულა არა ესრეთ იყოს, არა სამონაზონო არს ცხოვრება იგი, არცა მიმსგავსებული ანგელოსთა.

რე. სხვა არს – ენჩიოყაქოყუც ნვთისა, და სხვა არს ყოთარს ენაყიხაყუც, და სხვა არს ზენოც მისი, და სხვა არს – მოყრასყუც მისი, და სხვა არს ჩაქოყუცრის-ენოც შის მიერი. და პირველი იგი ყოველთა დაბადებულთა ზედა; და მეორე ყოველთა მორწმუნეთა თვის ოდენ; და მესამე სარწმუნო და ჭემმარიტად მორწმუნეთა; და მეოთხე მათ ზედა, რომელნი მოსწრაფებით მონებენ მას; ხოლო მეხუთე მოყვარეთა ზედა მისთა გამოჩნდების.

რე. მრავალ გზის ერთისა გამკურნებელი წამალი, მეორისა მომაკვდინებელ იქმნის, და მრავალ გზის თვით იგივე წამალი მარგებელ იქმნის კაცისა, რაჟამს ჟამსა თვისსა მიიღის, და კვალად არა ჟამსა თვისსა მიღებული მომაკვდინებელ ექმნის მასვე.

რე. ღიხილე მკურნალი უგუნური, რომელმან უძლური შემუსრვილი შეაწუხა გინებითა, და შეურაცხებითა უჯეროთა, და სხვა არა რად, გარნა სასო წარკვეთილება მოატყვა მას; და სხვა ვიხილე მკურნალი ხელოანი, რომელმან გული ამპარტავანებითა განსივებული შეურაცხებითა და გინებითა განაპო, და ყოველივე სენი და სიმყრალე მისი წარმოაცალიერა.

რე. ღიხილე იგივე სნეული, ვითარმედ ოდესმე შესვა წამალი მორჩილებისა, განსაწმედელად არა წმიდებასა ვნებათასა და მიმოვიდოდა და არა მიიძინებდა, და ოდესმე თვალნი სულისა მისისანი მოუძღურდეს, და დაყუდებულ-იყო და არა ზრახვიდა, ძაძოქოცა დასეღი ყაყიხი სძიხი დასძიხი;

რე. ჟომელთამე არა უწყი თუ ვითარ, რამეთუ არა

მისწავიეს მე, ზვაობით გამოძიება ნიჭითა ევთისათა, გარ-  
ნა თუ ვითარ არა უწყი თვით გონებით, რათა ესრეთ  
ვსთქვა აქვს მიდრეკილება მმარხველობისა მიმართ, ანუ  
დაყუდების მოყვარეობისა, ანუ ხორცთა სიწმიდისა, ანუ  
უკადნიერებლობისა, ანუ სიმშვიდისა, ანუ ლმობიერე-  
ბისა.

*რაი.* უა არიან სხვანი, რომელთა ბუნება მათი წინა-  
აღმდგომად აქვს ამათ საქმეთა მიმართ. და ძალისაებრ  
მათისა აიძულებენ თავთა თვისთა, და ესე ვითარნი იგი  
დაღაცათუ ჟამსა თვისს იძლევიან, გარნა ვითარცა მაი-  
ძულებელნი ბუნებისანი უფროს პირველთასა სათნო  
მიჩან.

*რბ.* ეს უზვაობ უშრომელსა სიმდიდრესა ზედა ზი-  
კაცო, რამეთუ ფრიადი უვნებულობა იგი და უძლურე-  
ბა, და ძლეულება შენი პირველივე იცოდა ნიჭთა მიმცე-  
მელმან მან, და მადლთა მათ მისთა უსასყიდლოთა მიერ  
მცირედ რაიმე გაცხოვნა თვინიერ შენისა შრომისაჲ.

*რბ.* უა სიჩხოთაგანცა ზრდილობანი, და სწავლე-  
ლებანი და ადგილნი შეგვეწევიან, გინა წინა-აღვიდგე-  
ბიან სათნოებისა მიმართ, და მონაზონთა მოქალაქო-  
ბისა.

*რბ.* ნათელ მონაზონთა უნგელოსნი, და ნათელ  
ყოველთა კაცთა ჭეშმარიტნი მონაზონნი არიან, და ამის-  
თვის თანა გვამს, რათა ვიღვაწოთ ყოველსავე ზედა სახე  
კეთილის ყოფად *ბე ძეძიძე ძეძი ძეძიძე ხიბე* სიტყვასა  
ჩვენსა, გინა საქმესა *რისიღებოთ ბიხიხსი ბეძეძეძეძე*  
*ყუსიძეძე*, რამეთუ უკეთუ ნათელი ბნელ იქმნეს, მაშა ბნე-  
ლი, რომელ არიან სოფლიონი რაზომ დაბნელდენ.

*ბ.* აკეთუ მისმენდეთ და მერჩდეთ მე, უმჯობეს არს  
რათა არა განვაბნიეთ. თავნი ჩვენნი უბადრუკნი, პირად  
პირადსა ბრძოლასა, ათასთა მიმართ, ათასეულთასა, და  
ბევრთა ბევრეულთასა მტერთა ჩვენთა, რამეთუ ვერ კმა  
ვართ ჩვენ, რათამცა გამოვიძიენით და ვპოვენით მრავა-



მონაზონებისაგან; გართა ვიცი ვითარმედ იმერთსა ყოველივე ძალ უძს, და შეუძლებელ მის მიერ არა რად არს.

*ჴხ.* ონად გულის-ხმის-საყოფელი კითხვა, მკითხეს მე ვიეთმე და უადრესი ცნობისა ჩემისა, რომელი არა სადა მეპოვნა ჩემ მიერ წარკითხულთა წიგნთა შინა. რამეთუ იტყოდეს ვითარმედ რომელნი არიან რვათა მათ გულის-სიტყვათა თვისაგან ნაშობნი\*; ანუ რომელი რომლისა არს ხუთთაგანის,\*\* სამთა მათ მთავართაგანი მშობელი? ხოლო მე უმეცრება საქებელი, წინა უყავ, კითხვისა მის მათისა მიმართ; და ვევედრე მათ, რათა მასწაონ მე, და მასწავეს მე ნეტართა მათ ესრეთ ვითარმედ: დედა სიძვისა არს ნაყროვანება; და მოწყინებისა – ზვაობა; ხოლო მწუხარება – სამთავე ნაშობი არს ნაყროვანებისაგა, და ვეცხლის-მოყვარებისა და ცუდად-მზვაობრობისა; და რისხვა ეგრეთვე სამთავე ნაშობი არს. ხოლო ამპარტავანებისა დედა – ცუდად მზვაობრობა არს.

ჴოლო მე, ვევედრე ნეტართა მათ და ვარქვ, ვითარმედ; ესეცა მითხართ თუ ვითარმედ რომელნი არიან რთვათა მათ გულის სიტყვათა ნაშობნი? ანუ რომელი რომლისა არ შვილი? ხოლო მასწავლიდეს, ტკბილად უვნებელნი იგი, და იტყოდეს ვითარმედ; არა არს წესი, ანუ მეცნიერება, უკეთურთა მათ-თანა, არამედ ყოველივე უწესობა და დაუწყნარებლობა. დამარწმუნებდეს ამას ბრძენნი იგი ვრცელთა სახელთა მიერ, რომელთაგან მცირედნი აქაცა დავსწერენ; რათა მცირედისა ამისგან სხვათა თვისცა გულის-ხმა-ვეოთ. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სიცილი უჟამოდ და ცუდი, ოდესმე სიძვისა-

---

\* ჴვანი გულის-სიტყვანი ესენი არიან: ნაყროვანება, სიძვა, ვეცხლის-მოყვარება, რისხვა, მწუხარება, მოწყინება, ცუდად დიდება ამპარტავანება.

\*\* სამნი მთავარნი არიან: ნაყროვანება, ვეცხლის-მოყვარება და ზვაობა, ხოლო ხუთნი არიან: სიძვა, რისხვა, მწუხარება, მოწყინება და ამპარტავანება.

გან იშვების, და ოდესმე ცუდად-მზავაობრობისაგან, რაჟამს ვისმე შინაგან თავი თვისი დაუტკბებოდის ბოროტად; და ოდესმე განსვენებისა და შვებისაგან. და ძილი ფრიადი, ოდესმე იშვების შვებისაგან; და ოდესმე მარხვისაგან, რაჟამს მმარხველი იგი ზვაობდეს; და ოდესმე მოწყინებისაგან; და ოდესმე ბუნებისაგან. და მრავალ მეტყველება ოდესმე მოწყინებისაგან შეიქმნების და ოდესმე ცუდად-მზავაობრობისაგან და მოწყინება ოდესმე შვებისაგან და ოდესმე უშიშოებისაგან ივთისა. და გმობა ნაშობი არს ამპარტავანებისაგან, და მრავალ გზის იქმნების განკითხვისაგან მოყვსისა მასვე ზედა; ანუ თუ შურისაგანცა ეშმაკთასა მოიწევის. გულფიცხელობა არს სიმამლრიდგან და ულმობელობისა, და ცუდისა-სიყვარულისა. და ცუდი სიყვარული იქმნების – სიძვისაგან, ანუ ვეცხლის-მოყვარებისა, ანუ ნაყროვანებისა; ანუ ცუდისა დიდებისა, და სხვათაგან მრავალთა და გვლარძნილება იქნების – სიმალლისაგან და მრისხანებისა და ორგულება – თვით-რჩულობისაგან, და თავმოთნებისა; ხოლო ამათნი წინააღმდგომნი, წინააღმდგომთა მათ მშობელთა მათთაგან იშვებიან, და რათა არა მრავალსა ვიტყვოდი, რამეთუ დამაკლდების მე ჟამი, უკეთუ მენებოს მე თითოეულისა გამოძიება, არამედ მოკლედ ვსთქვა, ვითარმედ ჭემმარიტი ძლევა ყოველთა მათ პირველ თქმულთა ვნებათა სიმდაბლე არს, რომელ იგი უკეთუ ვინ მოიგოს ყოვლისადავე უძლევიეს.

შხ. შშობელი ყოველთა ბოროტთანი არიან – გულის-თქმაჲ და უკეთურება, რომელნი ესე, რომელსაცა აქვდენ, არა იხილოს მან ოფალი; ხოლო ვერარას გვერგოს ჩვენ პირველისა მის განყენება უკეთუ მეორე ესე გვაქვდეს.

შთ. სახედ შიშისა ოფლისა გვაქვდინ ხელმწიფენი და მხეცნი, ხოლო სურვილისა მისისა სახედ ტრფიალება ხორცთა გვაქვდინ, რამეთუ არა რაჲ არს დამაყენებელ

წინააღმდეგომთა საქმეთაგანცა მოღებად სახისა სათნოე-  
ბათასა.

*ჩ.* წღვისო გვლარძნილებითა ბოროტითა ესე ნათე-  
სავი და ზვაობითა და ორგულებითა, რამეთუ შრომათა  
ხორციელთა მსგავსად პირველთა მათ მამათასა აჩვენებს,  
ხოლო მადლსა მათსა არა ღირს იქმნების, დაღაცათუ  
ესრეთ არა სადა ეხმარებოდის ბუნებასა ამას მადლნი,  
ვითარ აწ და სამართლად იქმნა ჩვენ ზედა ესე; რამეთუ  
არა შრომითა, არამედ სიწრფოებითა და სიმდაბლითა  
გამოჩნდების იმერთი სულთა შინა.

*ჩღ.* შაღაცათუ ძალი ოფლისა უძლურებასა შინა  
გამოჩნდების, გარნა არავე უგულებელს-ყოს ოფალმან  
მუშაკი შდაბალი.

*ჩყ.* ჯაჟამს ვიხილოთ მოღვაწეთაგანი ვინმე ხორ-  
ციელად მოუძლურებული, ნუმცა ვეძიებთ უკეთურებით  
ცნობად სასჯელსა მისისა უძლურებისასა, არამედ უფ-  
როსად სიყვარულითა კეთილითა, ვითარცა თვისი ასო  
შევიტკბოთ; და ვითარცა მხედარი ბრძოლისაგან დამაშვ-  
რალი შევიწყნაროთ და განუსვენოთ.

*ჩრ.* შოიწის უძლურება მრავალ გზის განსაწმედე-  
ლად ცოდვათა; და ოდესმე მოიწის დამდაბლებისათვის  
გონებისა.

*ჩშ.* სახიერმან მან და ტკბილმან ოფალმან და შეუ-  
ფემან ჩვენმან რაჟამს იხილოს ვინმე მცონარი მოღვაწე-  
ბისა მიმართ, მაშინ უძლურების მიერ მრავალ გზის  
ხორცნი დაამდაბლნის; და ოდესმე კვალად სული გან-  
წმიდის ვნებათა და გულის სიტყვათაგან ბოროტთა.

*ჩჩ.* ყოველივე რაიცა მოიწიოს ჩვენზედა ხილული,  
გინათუ უხილავი შესაძლებელ არს მისი კეთილადცა,  
და საშუალადცა, ბოროტდაცა შეწყნარება.

*ჩწ.* ღიხილენ სამნი ძმანი რომელთა დასჭირდა  
რამდე, და ერთი იგი განრისხნა; და მეორე დაადგრა  
შეუწუხებელად; ხოლო მესამე აღვისო სიხარულითა.

*ჩხ.* ღიხილე მე ქვეყანა ერთი, და თესეული მრავალ-  
თა მუშაკთა მიერ, და თითოეულსა სხვა და სხვა გულის  
სიტყვა აქვნდა, და ერთსა მას ესე აქვნდა, რათა გარდაი-  
ხადოს თანანადები თვისი; ხოლო მეორესა, რათა მოიგოს  
სიმდიდრე; და სხვასა, რათა მოიმადლოს უფალი თვისი  
მღვნითა; და სხვასა რათა უჩვენოს საქმე თვისი თანა  
წარმავალთა გზისათა, და მოილოს ქება მათგან; და სხვა-  
სა რათა მტერი თვისი შურად აღადგინოს და შეაწუხოს;  
და სხვასა რათა არა იყვედრებოდის კაცთა მიერ, უქმო-  
ბისათვის.

*ჩქ.* ოსენი არიან სახენი თესლთა მათ მუშაკთანი:  
მარხვა, მღვიძარება, მოწყალება, მსახურება – და მსგავსნი  
ამათანი, ხოლო გულის სიტყვანი იგი მოსწრაფედ ძმათა  
გამოიძინენ, თუ რომელთათვის ვიტყვი.

*ჩძ.* ღითარცა იგი აღმოვივსებდით რად წყალსა, მრ-  
ავალ გზის თანა აღმოვიქვით მყვარი; ეგრეთვე ვიქმო-  
დით რათა სათნობათა, მრავალგზის მათ თანა შეეთხზვი-  
ან ვნებანიცა ფარულად, და ესე ესრეთ გულის-ხმა-ვეთ  
რამეთუ უცხოთ შეწყნარებასა თანა შეეთხზვის – ნაყროვ-  
ანება; და სიყვარულსა – სიძვა, და გულის-ხმის-ყოფასა – მა-  
ნქანება; სიბრძნესა – გვლარძნილება; სიმშვიდესა – დახსნილ-  
ება და მცონარება, და თვით-რჩულობა; და დუმილსა –  
ზვაობა. და სიხარულსა – სიმაღლე; სასოებასა – უდებობა,  
დაყუდებასა – მოწყინება და მცონარებავე; ქალწულებასა –  
სიფიცხლე, სიმდაბლესა – კადნიერება, და ამათ ყოველთა  
თანა, ვითარცა საკვირელი შეერთვის – ცუდად მზვაობრ-  
ობა.

*ა.* ჩუმცა შევსწუხნებით საყვარელნო, რაჟამს ვით-  
ხოვდეთ რასმე ოფლისაგან, და რაჟამს რავდენმე არა  
ისმინოს ჩვენი. რამეთუ ენება ოფალსა, თუმცა ყოველ-  
ნივე კაცნი, ერთსა შინა წამსა უვნებელობასამცა მიემთ-  
ხვინეს. არამედ ყოველნი რომელნი ითხოვდენ ივთისაგან  
რასმე და ვერ მიემთხვეოდინ თხოვასა მას, ერთისა რასმე



ამათ მიზეზთაგანისა შეემთხვევის ესე ანუ რომელ პირ-ველ ჟამისა ითხოვდეს, ანუ უღირსად და ზვაობით ითხოვნ, ანუ უკეთუმცა მიეცა მათ თხოვა იგი ამაღლება ეგულვება, ანუ უდებებად მოსლვა.

აღ. ესე ყოველთა იციან ვითარმედ განგვეშორებიან ეშმაკნი და ვნებანი ჟამ რავდენმე, გინათუ სრულიადცა, გარნა რავდენითა სახითა განგვეშორებიან ესე ვგონებ თუ მცირედთა იციან:

განეშორნეს ვიეთგანმე ვნებანი, არაოდენ მორწმუნეთაგან, არამედ ურწმუნოთაცა თვინიერ ერთისა; რამეთუ დაუტევეს ერთი იგი მათ თანა, ვითარცა ბოროტთა ყოველთა წინამძღვარი, და აღმასრულებელი ადგილსა მას სხვათა ყოველთა ვნებათასა, რომლისა უკეთურება ეგოდენ არს, რომელ შემძლებელ იქმნა ანგელოსთა ეშმაკ ყოფად.

აყ. ზვალად განილევის ნივთი იგი ვნებათა ცეცხლისა მის საღმრთოსა მიერ შემწვარი და სულისაგან უჩინო ქმნილი.

აუ. ზვალად განეშორნიან ეშმაკნი კაცისაგან ნებსით, რათამცა უზრუნველობა მოატყვეს მას, და მერმემცა მეყსა შინა მოუხდეს და წარიტაცეს და დაანთქეს ვნებათა შინა, რათამცა იქმნა მიერითგან თვით მბრძოლ თავისა თვისისა.

ავ. ღიცი სხვაცა განშორება ეშმაკთა, ვინათგან დაეჩვიოს სული ვნებათა და სახედ თქმულისა ამის არიან ჩჩვილნი, რამეთუ ვინათგან დაეჩვივნენ ძუძუს წოვნასა, მერმე დაღაცათუ ძუძუსა მოსწყვიდნენ, თითთა თვისთა წოვდიან.

აჟ. ღიცი მეხუთეცა განშორება ეშმაკთა და ვნებათა სულისაგან, რომელი იქმნების სიწრფოებისაგან და უმანკოებისა ფრიადისა და კეთილისა, რამეთუ ჭემმარიტ არს და სამართალ შეწევნა ესე ვერთა მათ ივთისა მიერ ძაჲთჲთჲნი უღინძირინის ოძიჲთჲნი უაქოთჲნი, და იხსნის

მათ უცნაურად ბოროტთაგან, ვითარცა ჩჩვილნი იგი ყრმანი მრავალ გზის განმარცვიან რა უმეცარ იყვნინან საქმესა მას.

აჟ. ღნება ბოროტი ბუნებით, ბუნებასა შინა ჩვენსა არა დაბადებულ არს, რამეთუ არათუ ვნებათა დამბადებელ არს იმერთი, არამედ უფროსად სათნოებანი დაიბადნეს მის მიერ ჩვენ შორის; რამეთუ მოწყალეებად ბუნებითი არს ჩვენ შორის; ამისთვის წარმართნიცა სწყალობენ კაცსა; და სიყვარული ბუნებითი არს, რამეთუ პირუტყვიცა მწუხარე იქმნებიან ურთიერთ არს განშორებისათვის. და სარწმუნოება ბუნებითი არს, რამეთუ ყოველნივე თავთა ჩვენთაგან მოვიღეთ სარწმუნოებასა, და სულთა ჩვენთა შორის ვშობთ მას; და სასოება ბუნებითი არს, ამისთვისცა სასოებით ნათელ ვიღებთ; და კვალად ხორციელთა ზედა სასოებითა. განმდიდრებისათა ვსთესავთ და ვავასხით, და ზღვასა შინა ვალთ, და ვინათგან ესრეთ არს, და სიყვარული ბუნებითა არს ჩვენ თანა, რომელ იგი საკვირველ არს, და აღსასრული სჯულისა და წინასწარმეტყველთასა, მაშა არა სადა შორს არიან ბუნებისაგან ჩვენისა სათნოებანი; და რცხვენოდენ ყოველთა რომელთა იტყვიან თუ შეუძლებელ არს სათნოებათა ქმნა.

ახ. ოაღრეს ბუნებისა არს სიწმიდე სრული ქაღწულებისა, და ურისხველობა და სიმდაბლე და ლოცვა, და მღვიმარება, და მარხვა და ტირილი სამარადისო და გლოვა. ამათნი უკვე რომელთამე კაცნი; და რომელთამე ანგელოსნი და რომელთამე თავადი სიტყვა ივთისა არს მოძღვარ და მომცემელ.

აჟ. ჟაჟამს ორნი ბოროტნი მოიწივნენ, ჯერ არს უდარესისა გამორჩევა, ვითარ იგი ვდგით რაღ ლოცვასა შინა, და მოვიდის ძმა ვინმე და ერთისა ორთაგანისა ქმნა თანა გვედვის, ანუ დატევება ლოცვისა, ანუ არა ხილვა ძმისა მის, და შეწუხება მისი, მაშინ უკვე გულის-ხმა

ვეოთ ვითარმედ უაღრეს და უზესთაეს არს სიყვარული ლოცვისა, რამეთუ ლოცვა თავით თვისით ოდენ ერთი სათნოება არს, ხოლო სიყვარული შემკრებელი არს ყოველთა სათნოებათა.

აჲ. შა კვალად მოვედ ოდესმე სიჭაბუკესა ჩემსა ქალაქად, დავჯედ რად ტაბლასა ზედა, გარე მომადგეს ნაყროვანებისა და ზვაობისა, გულის-სიტყვანი, ხოლო შევძრწუნდი მე ნაშობისა მისგან ნაყროვანებისა, რომელ არს სიძვა, და ვიძლიე უფროსად ზვაობისაგან.

აჲ. ორის კაცთა შორის ძირი ყოველთა ბოროტთა არს ვეცხლის მოყვარება; ხოლო მონაზონთა შორის ნაყროვანება.

აჲ. შრავალ გზის სულიერთა თანა დატევებულ იქმნიან ღვთისა მიერ წვლილადნი რამე ვნებანი განგებულებით, რათა უნდოთა მათ და არა რათა ზედა, თავთა თვისთა აბრალობდენ, და მოიგონ სიმდიდრე წარუპარველი სიმდაბლისა მის სანატრელისა.

აჲ. უხლად მოსრულნი ვერ შემძლებელ არიან თვინიერ მორჩილებისა სიმდაბლისა მოგებად; რამეთუ ყოველმან რომელმან თავით თვისით ისწავის ხელოვნება, უეჭველად ზვაობნ მას ზედა.

აჲ. ორთა სათნოებათა შინა შემოკრებების ყოველივე საქმე სათნოებისა, ვითარცა მამანი იტყვიან, რომელთაგან; ერთი იგი გულისთქმათა დამხსნელი არს: და მეორე იგი, დახსნასა მას ვნებათასა – სამარადისოდ დაიცავს სიმდაბლისა მიერ, ამისთვისცა გლოვა ორკერძოდ არს, რამეთუ ცოდვასა დახსნის და სიმდაბლესა შემოიყვანებს.

აჲ. ივთის მოშიშთა არს საქმე ესე, რათა ყოველმან რომელმანცა თხოოს მათგან მისცემდენ, ხოლო რომელნი მისცემდენ მათცა რომელნი არა ითხოვდენ ესე უზესთაესთა არს; ხოლო რომელნი მიმტაცებელთა მათთაგან არა ითხოვდენ, და უფროსად თუ შეცაემლოს, ესე

სრულიად სრულთა არს საქმე.

*საჟ.* უამოვიძინეთ თავნი ჩვენნი ყოველთავე ვნებათა ზედა და სათნოებათა, თუ რომელსა საზომსა შინა ვართ დასაბამსა, ანუ საშუალსა, ანუ აღსასრულსა.

*საჟ.* ყოველნივე ეშმაკთა ჩვენდა მომართ ბრძოლანი, სამთა ამათ მიზეზთაგან იქმნებიან, ანუ გემოთ მოყვარებისაგან, ანუ ამპარტავანებისაგან, ანუ შურისა მათისაგან, და უკანასკნელი იგი სანატრელ არიან, და საშუალნი ყოვლად უბადრუკ, ხოლო პირველნი სრულიად უხმარ.

*სახ.* ორს გულის სიტყვა რაიმე და ცნობა რომელსა ჭირთა თავს-მდებელ ეწოდების, რომელი იგი უკეთუ დაემკვიდროს კაცისა თანა, არღარა შეშინდეს იგი, არცაღა უკუნიქცეს მოღუაწებისა და ჭირისაგან ხორცთასა.

*საქ.* ომის სანატრელისა გულის-სიტყვისა-მიერ შეპყრობილ იქმნეს სულნი მოწამეთანი, და ადვილად შეურაცხ-ყვნეს სატანჯველნი.

*სათ.* სხვა\* არს დაცვა გულის სიტყვათა; და სხვა არს დაცვა გონებისა, *ჟოთიძიღე ოუ უდჩყსაიოყყო დიხ დიშასდოქოუ ბდსდოქოუსდუქი*, ეგრეთვე უმაღლეს არს მეორე ესე პირველისა მის დაღაცათუ უძნელეს არს.

*უ.* სხვა არს ლოცვა გულისა სიტყვისათვის, და სხვა არს სიტყვის გება მათდა მიმართ, და სხვა არს არა რად შერაცხვა მათი, და პირველსა მას სხვა ეწამების იგი, რომელმან თქვა *იშჟიოთა ყოოოქინდსე იქშსე შასჟუქიქი*, და მსგავსი ამისი, და მერესა მას ეწამების იგი, რომელ-

---

\* ონება არს თავადი იგი მოგონებისა ადგილი და ძალი რომელი იგი ვითარცა თვალი არს სულისა: *ჟოლო გულის-სიტყვა არს გონებისა მიერ მოგონებული და გამოსახული საქმე.* დამარხვა გონებისა არს რათა სრულიად შეუწყნარებელად დამარხოს იგი კაცმან, წვლილად-თაგანცა მოსვლათა და მოგონებათა არა კეთილთა. *ჟოლო დაცვა გულის სიტყვათა არს, რათა მოუგონებელი იგი და მოსრული გონებად საქმე გარემიაქციოს.*



ბის გამოკვლევად, და შინაგან მოაგონებდიან, ვითარმედ ღმერთი თვალ-მღებელი არს. რამეთუ იგინი ამპარტავანებისა ნაშობნი არიან ყოვლითურთ.

უი. ოდესმე ეშმაკი ვეცხლის მოყვარებისა, სიმდაბლესა იჩემებნ; და კვალად ოდესმე ეშმაკი ცუდად მზვობრობისა, გვაწვევენ მოწყალებისა ყოფად; და ეგრეთვე ეშმაკი გემოთ მოყვარებისა. ღოლო უკეთუ ამათ ორთაგან წმიდა ვიქმნეთ რადთ, ნუმცა დავსცხრებით ყოველსა ადგილსა მოწყალებისა ყოფად.

უიი. შრქვეს ვიეთმე, ვითარმედ არიან ეშმაკნი ეშმაკთა წინააღმდგომნი; ხოლო მე გულის-ხმა-ვყავ ვითარმედ ყოველნივე ჩვენსა წარწყმედასა ეძიებენ.

უიბ. ყოვლისავე საქმისა სულიერისა, ხილულისა და უხილავისა წინამძღვარი არს გულის სიტყვა, და სურვილი კეთილი შეწევნასა თანა ივთისასა, რამეთუ უკეთუ ესენი არა უძლოდინ სათნოებანი არა იქმნებიან.

უიქ. ოკეთუ ყაჟოჟოსიჟოჟ სიქჟისი რომელ არს დესი ქოჟიჟი ყდჟი აქინს, ვითარცა ბრძენი სოლომონ იტყვის, ხოლო ყოველსა მას შინა ჩვენისაცა ამის სადმართოსა მოქალაქეობისა საქმენი არიან, ამისთვის გულის-ხმა-ვყოთ და თითოეულსა საქმესა ჟამსა თვისსა ვეძიებდეთ, რამეთუ უეჭველად მოღვაწეთა შორის ჟამი არს უვნებელობისა, და ჟამი ვნებულებისა საჩჩოსათვის მოღვაწეთასა.

ჴამი არს ცრემლთა, და ჟამი გულფიცხელობისა; ჟამი არს მორჩილებისა, და ჟამი წინამძღვრობისა; ჟამი არს მარხვისა, და ჟამი ჴამისა. ჟამი არს ბრძოლისა მტერთა მათ ხორცთასა, და ჟამი მოკვდინებისა მხურვალეებისა მის; ჴამი არს ჴამთრისა სულიერისა, და ჟამი მყუდროებისა გონებისა: ჟამი არს მწუხარებისა გულისა, და ჟამი არს სიხარულისა სულიერისა; ჟამი არს სწავლისა და ჟამი სმენისა; ჟამი მოიწვევის შეგინების ამპარტავანებისათვის და ჟამი სიწმიდისა სიმდაბლისათვის.

ჟამი არს ბრძოლისა, და ჟამი არს განსვენებისა; ჟამი არს დაყუდებისა, და ჟამი უზრუნველობისა და ზრუნვისა და გარე-სვლისა; ჟამი არს ლოცვისა და წყნარებისა, და ჟამი არს მსახურებისა უზაკველისა. ნურა რასმცა ვეძიებთ, პირველ ჟამისა ამპარტავანებისაგან; ნუ ვეძიებთ ზამთრის საქმესა ზაფხულისასა; ნუმცა ჟამსა თესვისასა, და საქმესა მკისასა, რამეთუ ჟამი არს თესვისა შრომათასა, და ჟამი არს მომკისა მადლთა მათ გამოუთქმელთა. – ხოლო უკეთუ პირველ ჟამისა ვეძიებდეთ საქმეთა, ვერცა ჟამსა თვისსა ვპოვნეთ იგინი.

უთ. ჟომელთამე\* პირველ შრომისა, და რომელთა შემდგომად შრომისა, და რომელთამე ჟამსა სიკვდილისასა მოიხვნეს ივთისაგან ნიჭნი და სასყიდელნი თვისთა შრომათანი განგებულებითა გამოუთქმელითა; საძიებელ არს უკვე, თუ რომელი მათგანი არს სხვათასა უმდაბლეს სამთა ამათ შორის.

უ. ორს სასოწარკვეთილება, სიმრავლისაგან ცოდვათასა და სიმძიმისაგან სვინდისისა, და მწუხარებისაგან ფრიადისა, რაჟამს დაინთქას სული წყლულებათა შინა, და სიმძიმისაგან მათსა უფსკრულად სასოწარკვეთილებისა შთავარდებოდის. და არს კვალად სასოწარკვეთილება ამპარტავანებისაგან და სიმაღლისა მოწევნილი, რაჟამს კაცი იგონებდეს თუ რადმცა მოიწია ჩემ ზედა ცთომი ესე, რამეთუ არა ღირს ვიყავ ამის საქმესა, და რომელი გულის-ხმა-ჰყოფდეს ჰპოოს ამათ ორთავე თანა განყოფილი საქმე, რამეთუ ერთმან მან მისცის თავი თვისი უწესობასა, და მეორემან მან მოღვაწეობასა სასოწარკვეთილებით, რომელ ესე მოუზავებელ არს, არამედ პირველსა მას განკურნებს მარხვა და სასოება ივთისა, ხოლო მეორესა მას სიმდაბლე, და არავისი განკითხვა.

უჟ. სახედ და კანონად ესე გაქვნიდინ ყოველთა მო-

---

\* ორ სახედ არს ამათი განყოფილება, რამეთუ ერთითა სახითა პირველი უმდაბლეს არს; ხოლო მეორეთა უკანასკნელი.

ქალაქობათა და საქმეთა შინა შენთა, გინათუ მორჩილებასა შინა იყო, ანუ თუ თვისგან, რათა ყოველსავე ხილულსა, გინა უხილავსა საქმესა შენსა ხედვიდე, უკეთუ საღმრთოდ იქმნების. – ხოლო ესე ესრეთ გულის ხმა ვყოთ, რამეთუ რომელნი ახლად მოსრულნი ვართ, უკეთუ საქმესა რასმე ვიქმოდით და არა შეგვემატებოდეს მის მიერ სიმდაბლე, უმრავლესი მისსა რომელი გვაქვნიდეს; არა ვჰგონებ თუმცა საღმრთო იყო საქმე იგი, დიდ თუ იყოს, ანუ მცირე და ესე არს სასწაული ნებისა იქონისა ჩვენ შორის, რომელნი ჯერეთ ჩჩვილ ვართ; და საშუალოთათვის განშორება ბრალთა არს, სასწაული ნებისა ივთისა; ხოლო სრულთათვის საღმრთოისა მის ნათლისა განმრავლება და შემატება.

46. შვირენი ცთომანი წინაშე დიდთასა არა მცირე არიან; ხოლო დიდნი მცირეთა თანა, არა დიდად ჩანან.

47. ჯაჟამს განწმდეს ჰაერი ღრუბელთაგან, მაშინ იხილვების მზე წმიდად; და სული რაჟამს ღირს იქმნას მოტევებასა პირველთა ცოდვათასა, მაშინ იხილოს ნათელი იგი საღმრთო კეთილად.

48. სხვა არს ცოდვა,\* და სხვა არს უქმობა; და სხვა არს უდებება და სხვა არს ვნება; და სხვა არს დაცემა; რომელი შემძლებელ იყოს ოფლისამიერ ძიებად ეძიებდინ კეთილად.

49. რომელნიმე სასწაულთ-მოქმედებასა და ჩინასწარ-მეტყველება ნატრიან უფროს ყოველთა ნიჭთა და მადლთა სულიერთა, და არა უწყიან ვითარმედ მრავალნი არიან ამათსა უხესთაესნი საზომნი, რომელნი იგი დაუცემელადცა ჰგინ მარადის.

---

\* თარგმანი. ცოდვად-ითქმის ყოველივე მცნებისა გარდასულა, ხოლო უქმობად არა მოღვაწეობა და ქმნა საქმეთა ივთისათა და უდებება არს, რაჟამს იქმოდის კაცი კეთილსა, გარნა დახსნილობით და ვერ სრულად და ვნება არს დამტკიცებული, და ძნად წარდევნადი, და ვნებული გონებისა ჩვენისა მიდრეკილება; ხოლო დაცემა არს ურწმუნობად, ანუ ხორციელთა ცოდვათაგანსა, რაისამე შთავრდომა.



ჟრ. ჟომელი სრულიად განწმედილ იყოს, იგი ხედავს სულსა მოყვასისა. თუ ვითარ არს, დაღაცათუ თავდასა მას სულსა არსებასა ვერ იხილავს; ხოლო რომელი ვერ სრულ ქმნილ იყოს, არამედ ჯერეთ წარმართებასა შინა იყოს ხორციელთა მიერ საქმეთა, გულის ხმაჰყოფს სულისასაცა.

ჟზ. ცეცხლმან მცირემან მრავალგზის ყოველივე ნივთი განწმიდის: და ხვრელმან მცირემან, მრავალგზის ყოველივე შრომა დააცალიერის.

ჟთ. შრავალგზის განისვენებდინ რად ესე მტერნი ხორცინი ძალი გონებისა ეგის, და მხურვალეზა წარწყმედილი არა აღდგის; და კვალად მრავალგზის დავადვნი იგინი მოღვაწეობთა, და აღძრავნი ბოროტნი აღძვროდიან ჩვენ შორის, რათა არა თავთა ჩვენთა მოსავ ვიყვნეთ. არამედ მისა, რომელი იგი უხილავად ცხოველთა მათ და მტერთა ხორცთა მოაკვდინებს.

ჟთ. ჟაჟამს ვიხილნეთ ვიეთნიმე, რომელთა უყვარდეთ ჩვენ ივთისათვის, უფროსად მათდა მიმართ ვეკრძალნეთ, რათა არა კადნიერ ვიქმნეთ; რამეთუ არა რად არს ესრეთ დამხსნელ სიყვარულისა და მოქმედი სიძულილისა, ვითარ კადნიერება.

ჟი. ყვენიერ არს და წმიდა, და კეთილად მხედველი თვალი სულისა, და შემდგომად ანგელოსთა სიკეთისა, ყოვლისავე ბუნებისა, უაღრეს არს ამისთვისცა ვნებულთაცა გულის სიტყვანი, რომელნი სხვათა გულსა შინა იშვნიან, სიყვარულად მათდა მიმართ შეუძლეს ცნობად, და უფროსად რაჟამს არა შეიგინებოდინ და დაინთქმოდინ მწვირეთა ამათ ხორცთა მიერ.

ჟი. ოკეთუ\* არა რად ესრეთ წინა აღუდგების უნივთოსა მას, ვითარ ნივთიერი იგი, რომელი იკითხვიდეს გულის-ხმაჰყავნ.

\* ონივთო არს სული, და ნივთიერ ხორცინი, და ამისთვისცა ხორცინი წინააღმდეგომ არიან სულისა.

ძყ. ჟომელნი\* უძღურ არიან სულითა იგინი ჭირთაგან და განსაცდელთა ხორციელთა გულის ხმა-ჰყოფედ, ღვთისა მათ ზედა მოხედვასა; ხოლო სრულნი მოსვლითა სულისა წმიდისათა, და განმრავლებითა მადლთათა.

ძრ. Ⴀრიან სრულნი რომელნი სურვილითა საღმრთოთა განმხნდებიან, და სიმდაბლითა გულისათა იქმან სათნოებათა დიდთა; და სხვანი ხელყოფენ საქმესა ამას, ამპარტავანებითა და სირცხვილეულ-იქმნებიან.

ძს. Ⴀრს ეშმაკი, რომელი რაჟამს სარეცელთა ზედა დაწვით, მაშინ, მოვიდის ჩვენდა, და ბოროტითა და შეგინებულითა გულის-სიტყვითა ისწრაფინ მოწყლვად ჩვენდა; და უკეთუ ჩვენ ვდებ ვყოთ, და არა შევიჭურნეთ ლოცვითა მისა მიმართ, და დავიძინოთ ბოროტთა მათ გულის-სიტყვათა შინა შევცვივეთ ბილწთა სიზმართა.

ძთ. Ⴀრს კვალად სხვა ეშმაკი, რომელსა წინამავალ და მსტოარ ეწოდების, რომელი იგი განვიღვიძით რად, მოგვიხდის და ისწრაფინ უპირატესთა მათ გულის-სიტყვათა ჩვენთა შეგინებად.

ძუ. Ⴀაწყება დღისა მიეც Ⴀფალსა, რათა განრათენდეს მის მიერთთა გულის-სიტყვათა დაიმკვიდრონ შენ შორის, და არა ეშმაკისა მიერთთა, რამეთუ რომელმანცა უსწროს მისიგა იყოს დღე იგი.

ძზ. სიტყვა საქებელი მითხრა მუშაკმან კეთილმან სათნოებისამან, ვითარმედ განრათენდეს მეყვსეულად ვსცნი თუ, ვითარ ყოფად ვიყვი მას დღესა ყოველსავე.

ძლ. Ⴀრავალნი არიან ივთის მსახურებისაცა, და წარწყმედისა გზანი, ამის-თვისცა მრავალ-გზის, რომელი ერთისა წინა-აღმდგომ არნ, მეორესა მოუხდის კეთილად; და Ⴀრთავე საქმე სათნო არნ წინაშე Ⴀფლისა.

---

\* ესე იგი არს ვითარმედ, Ⴀდეს სულითა უძღურმან, სნეულებათა შინა და განსაცდელთა მოთმინება მოიგოს, მაშინ გულის-ხმა ყავნ, ვითარმედ მოხედვა ივთისა იქმნა მის ზედა.

ძით. ქაჟამს შეგვევმთხვევის განსაცდელი რადმე; მაშინ გვებრძვიედ ეშმაკნი, რათამცა ვსთქვით რადმე, ანუ ვქმნენით ბოროტი, და რაჟამს ესე ვერ გვაქმნიიან, მაშინ ფარულად მოგვიხდიან და დასთესიან ჩვენ შორის მადლობა, სავსე ამპარტავანებითა.

ძიუ. ჟომელთამე\* ზეცისა საქმენი ექმნენ, განრაეშორებოდინ ერთითა მით ნაწილითა, ზე აღვლენ; ხოლო რომელნი ქვეყანისასა ზრახვიდენ, ქვე შთავლენ, რამეთუ განშორებულთაგან საშვალ არავინ დაადგრების.

ძიუდ. Ⴆრთი\*\* არს და დაბადებულთა შორის, რომელსა სხვასა თანა მიუღებებს არსება, და არა მარტოდ, და საკვირველ არს თუ ვითარ გარეშე მისსა, რომლისა შორის მოუღებებს არსება, შემძლებელ არს იგი ყოფად უვნებელად.

ძიუე. ზეთილთა მათ ასულთა დედანი შობენ, ხოლო დედათა ოფალი; და წინა აღმდგომთა მათ ბოროტთა ასულთა, დედანი მათნი შობენ; ხოლო დედათა მათთა ეშმაკი.

ძიუფ. შოშიში\*\*\* ბრძოლად ნუ განვალნ შოსე ბრძნებს, და უფროსდა იმერთი; ნუ უკვე უკანასკნელი ცთო-

---

\* Ⴆანშორებად აქა, ჟამსა სიკვდილისასა იტყვის. ხოლო რომელსა იტყვის თუ ერთითა ნაწილითა, ანუ ზე აღვლენ, ანუ ქვე შთავლენ? სულისათვის იტყვის; რამეთუ იგი არს რომელი ანუ ზეცას აღვალს, ანუ ქვესკნელს შთავალს, და საშუალ არა დაადგრების; ხოლო ხორცნი დარჩებიან ქვეყანასა ზედა.

\*\* სულისათვის იტყვის და ხორცთათვის კაცისათა, რამეთუ კაცისა სულსა ხორცთა შინა მოუღებებს არსება, და მათ შინა დაბადებულ არს და უკვირს მისთვის ნეტარსა ამას თუ ვითარ განრაეშორის მას, რომელსა შინა დაბადებულ არს ჰგიეს სრულად და უვნებლად და უცვალელებელადვე.

\*\*\* შოშიშიად ხორცთა მოყვარესა იტყვის, ვითარმედ რომელი მოშიში არს და უფულო, და ეწყალიან ხორცნი თვისნი, და უყვარან იგინი, ეგე ვითარი მოღვაწებად ნუ შევალნ.

მა სულისა, უძვირეს პირველისა მის დაცემისა\* ხორც-  
თასა იქმნეს.

**ჩათელი ყოველთა სხეულთა არს – მგრძნობელნი თვალნი; ხოლო გონები-  
თი ნათელი საღმრთოთა სათნოებათა არს განკითხვა და გულის ხმის-  
ყოფა.**

---

\* შაცემად იტყვის – ხორციელსა ცოდვასა, და ცთომად სულისა-  
სასო წარკვეთილებასა. ხოლო თქვა თუ ვითარმედ უძვირეს პირველისა  
დაცემისა, ამისთვის რამეთუ, რომელმან ერთგუის ყოს აღთქმა სულიე-  
რად ყოფისა, და კვალად დაეცეს უძნელეს არს აღდგომა მისი, რამეთუ  
სიმაღლით დაეცა. ხოლო უკანასკნელად ცთომად, სასოწარკვეთილებისა  
უწესს, რომელსა შინა რომელნიცა შთავარდენ, უკეთუ არა ჰყვეს აღმადგი-  
ნებელი წარწყმდებიან.



იტყოდა ვითარმედ *შაძიხაძე ში უხედიე ყიჩიდე*, და კვალად ვითარმედ, *შეაქოყი ში ოფეოთა უხე ძაშჟოსიდე* – *უღაძე, ძეშჟოთა ყიჩიდე* *შაშეძი* ყოველთაგანვე ზრუნვათა და ვნებათა ამის სოფლისათა *ეოჟოჟი* და აღვიმაღლე *საქოუ ჩიქუ*.

*ძიუ*. ჟომელთაცა ჰნებავს ცნობად ნებისა ივთისა, თანა აცს თავთა თვისთა მოკვდინება, და რომელთა ილოცონ მარტივითა და უმანკოთა გულითა სარწმუნოებით; და კითხონ მამათა ანუ ძმათა სულიერთა, და შეიწყნარონ მათ მიერ განზრახული, ვითარცა პირისაგან ღვთისა, დაღაცათუ სიტყვა იგი წინააღმდეგომ მათისა მის გულის სიტყვისა იყოს; – და დაღაცათუ არა ფრიად სულიერნი, და გულის ხმის მყოფელნი იყვნენ, რომელთა კითხვიდენ რამეთუ არა უგულეებელს ყოფს ოფალი სულთა, რომელნი სარწმუნოებით და უმანკოებით მინდობილ იყვნენ განზრახვასა მამათასა, დაღაცათუ უმეცარ იყვნენ, რომელთა ჰკითხვიდენ, არამედ მეტყველი მათი ოფალი არს ყოვლად-ბრძენი *იგი* და *სახიერი*.

*ძიუ*. შრავლითა სიმდაბლითა სავსე არიან მოქმედნი იგი პირველ თქმულისა მის საქმისა, სიხარულით და შეუორგულეებელად, რამეთუ უკეთუ საგალობელითა ვინმე აღაღებდა იგავთა, რავდენ უაღრეს არს გონება სიტყვიერი, და სული გონიერი, უსულოსა მის საგალობელისა.

*ძიუ*. ჟომელთა არა ინებეს, ამის პირველ თქმულისა საქმისა ქმნა, არამედ თავით თვისით ისწრაფეს ცნობად ნებისა ოფლისა, მრავალ ფერთა და მრავალ სახეთა ღონეთა ქმნად. გვითხრეს ჩვენ, რომელთაგანნი აწ ესერაცა ვსთქვენე.

*ძიუ*. უანაშორეს ვიეთმე გონება თვისი სრულიად ყოველსავე ხორციელსა სიყვარულსა, რაჟამს აქვნდა ორი რაიმე განზრახვა, და ენება ცნობად თუ, რომელი არს ნება ივთისა. და დაიმჭირეს გონება მათი, რათა არცა

ერთისა მათ ორთაგანისა მიმართ მიდრკებოდეს; და გონება მათი შიშვლად ნებისაგან თვისისა, მხურვალითა ლოცვითა, დაწესებულთა დღეთა წარუდგინნეს იმერთსა, და ესრეთ პოვეს ნებისა მისისა ცნობა: *ჟაჟამს ანუ გონება უხილავი, უხილავად ეზრახა გონებასა მათსა, და უთხრა უმჯობესი: ანუ ერთი იგი გულის სიტყვა სრულიად სულისა მათისაგან უჩინო იქმნა. და სხვათა კვალად განსაცდელისაგან დახრწევისა მოწვევულისა საქმესა მას ზედა ცნეს, ვითარმედ ივთისა მიერ იყო დახრწევა იგი, მსგავსად მეტყველისა მის რომელმან სთქვა; ვითარმედ *ჟოჟიჟჟჟი შასოჟიჟი თოჟოჟიჟი შიხოჟიჟი-უხუსი ზე დეჟიჟიჟიჟიჟი რჟიჟი.* და კვალად სხვათა ამისი წინააღმდეგომი სასწაული დაიდვეს, დამოწვევულთაგან ჭირთა და განსაცდელთა მიერ მას საქმესა შინა ცნეს, ვითარმედ ნება ივთისა არს მას შინა. და სხვათა კვალად წარმართებისაგან და გამარჯვებისა ცნეს, ვითარმედ იმერთსა ნებავეს იგი, ვითარცა თქმულ არს, ვითარმედ ყოველსავე მოქმედსა კეთილისასა იმერთი განუმარჯვებს.*

*იჟო.* ჟომელსა იმერთი აქვნდეს თავსა შორის თვისსა განმანათლებელად, მისი გონება თვით განათლებების ივთისა მიერ, და გულსავეს იქმნების საქმეთა ზედა თუ, მსწრაფლ ჯერ-არს ქმნად თვითოეულისა, ანუ გვიანად. ჟამეთუ რაჟამს კაცი ორგულებდეს საქმეთა ზედა, და ვერ გულსავეს იქმნებოდის, საცნაურ არს ვითარმედ: ჯერეთ განუნათლებელ და დიდების მოყვარე არს სული მისი.

*იჟი.* ორა არს ივთისა-თანა უსამართლოება, რათამცა დაუხშა კარი, რომელნი სიმდაბლით რეკდენ და ევედრებოდენ.

*იჟი.* ყოველსავე რომელსა ვიქმოდით, გულის-სიტყვა ჩვენი ვიხილოთ, თუ რასა ზედა მიდრეკილ არს; რამეთუ ყოველი საქმე რომელსა ვიქმოდით ივთისათვის წმიდად, ყოველისავე ხორციელისა საქმისა და გულის-

სიტყვისაგან, კეთილიქმნას აღსასრული მისი; დაღაცათუ არა კეთილად ჩნდეს; უკეთუ კულა ხორციელი გულის-სიტყვა, იყოს მას შინა, არა უწყი თუ იქმნეს უმჯობე-სად, რამეთუ საშიშ არს.

*ძიქყ.* წამოუთქმელ არიან განკითხვანი ოფლისანი, რამეთუ მრავალ გზის განგებულებით, ნება მისი დაფა-რის ჩვენგან, რამეთუ იცის ვითარმედ დაღაცათუ ვცნათ იგი, არა გვეგულების ქმნაჲ მისი, და ამისთვის ყოვლად-ვე, არა გამოგვიცხადის, რათა არა უმეტესი სასჯელი მოიწიოს ჩვენ ზედა, არა ქმნისა მისისათვის.

*ძიქყ.* წული წრფელი განრომილ არს გვლარძნილე-ბისაგან საქმეთასა, და დაუნთქმელად ცურავს ნავითა მით უმანკობისათა.

*ძიქძ.* წრიან სულნი ახოვანნი რომელნი ტრფიალე-ბითა საღმრთოთა და სიმდაბლითა გულისათა ხელ-ყო-ფენ მოღვაწებათა უზესთაესთა მათისა ძალისა; და კვა-ლად არიან გულნი ამპარტავანნი, რომელნი ესრეთვე იქმენ. ჟამეთუ მრავალ გზის ეშმაკთა მოსწრაფე მყვნიან ხელ ყოფად უზესთაეს ძალისა ჩვენისა საქმეთა რათა მის გამო სულ მოკლე ვიქმნეთ, და რომელი ძალ გვედვა ყოფად, მისგანცა დავესცნეთ, და ვიქმნეთ საცინელ მტერთა ჩვენთა.

*ძიქჟ.* წიხილენ მე კვალად სულნი და გვამნი უძლუ-რნი, რომელთა სიმრავლისათვის ცოდვათა მათთასა, ხელ-ყვეს უზესთაეს ძალისა მათისა მოღვაწებათა, და ვერ თავს იღვეს, რომელთაცა მე ვასწავე და ვარქვ: ვი-თარმედ სიმრავლისაებრ სიმდაბლისა, და არა სიმრავლი-საებრ შრომათასა შეიწირვის სინანული ივთისა-მიერ შემოქმედისა ყოველთასა.

*ძიქრ.* ოდესმე ადგილი ზრდილობისა იქმნის მასწავ-ლელ ბოროტთა მრავალთა, და ოდესმე ყოფა კაცთა თანა ბოროტთა, არამედ უფროსჯერ, უკეთურება სული-



სა და განდრეკილება გონებისა იქმნის მომატყვებელ წარწყმედისა.

*ძღუ.* ჟომელი განშორებულ იყოს ორთა ამათგან, იგი მესამისაგანცა განშორებულ არს, ხოლო რომელსა მესამე აქვდეს, ყოველსავე ადგილსა გამოუცდელ არს იგი. რამეთუ არა არს ადგილი, რომელმანცა დაიცვა კაცი ცოდვისაგან, უკეთუ თვით არა ეკრძალებოდეს.

*ძღუ.* ოკეთუ გვესჯოდინ ჩვენ ურწმუნონი, ანუ თუ ბოროტად მორწმუნენი ნებითა ბოროტითა შემდგომად ერთ ანუ ორგზის სწავლისა, განვეშორნეთ მათ; ხოლო უკეთუ სულითა წრფელითა ჭეშმარიტისა ცნობა ენებოს, ნუცა დავსცხრებით ვიდრე აღსასრულადმდე კეთილისა თქმად, გარნა ორნივე სიმტკიცისაებრ, და საზომისა სულთა ჩვენთასა ვქმნათ.

*ძღუ.* ოგუნურება დიდ-არს უკეთუ ვისმე ესმოდინ, უზესთაეს ბუნებისა იგი საქმენი წმიდათანი, და უსასო იქმნას ცხოვრებასა თვისსა; რამეთუ ორი სარგებელი ექმნას მას, უკეთუ ენებოს: ანუ აღილოს შური სიმხნისა ბაძვად კეთილისათვის, ანუ იცნას თავი თვისი, და გულის-ხმა-ყოს კეთილად უძლურება თვისი, სიმდაბლითა მით სანატრელითა, რომელ არს მომატყვებელი კეთილთა.

*ძღუ.* ორიან შეგინებულნი ეშმაკნი, ეშმაკთა უბოროტესნი, რომელნი იგი არა თუ ოდენ ჩვენ გვებრძვიან ცოდვისა მიმართ, არამედ რათამცა სხვანიცა ვიზიარენით ბოროტსა მას, რათამცა უძვირესსა სატანჯველსა მივეცენით.

*ძღუ.* ოიხილე კაცი, რომელმან ისწავა ჩვეულება ბოროტი სხვისაგან; და მოძღვარი იგი მის საქმისა მოვიდა გულის-ხმის-ყოფად, და დასცრა ბოროტისა მისგან და მოვიდა სინანულად, გარნა ცოდვისა მისთვის მოწაფისა მის უძლურ და ძნელ იქმნა სინანული მისი.

*ძღუ.* ორად არს ჭეშმარიტად, ფრიად და დიდ უკე-

თურება სულთა მათ ბოროტთა, და მცირედთა მიერ სა-  
ცნაურ და ვგონებ თუ ყოველივე არცა მცირედთა მიერ.  
თუ ვითარ ოდესმე შვებასა შინა და სიმამლრესა, მღვი-  
ძარე ვიყვნით კეთილად; ხოლო ვიმარხვიდით რად და  
ვიღვწიდით, დანთქმულ ვიყვნით ძილითა საწყალობე-  
ლად; რაჟამს დაყუდებულ ვიყვნით, განფიცხნიან გულ-  
ნი ჩვენნი; და ერსა თანა რად აღვერინით, ლმობიერ ვი-  
ქმნით: რაჟამს გვშიინ სიზმართა ბოროტთა ვხედვედით,  
და მამდარ რა ვიყვნით, არა რას ვხედვიდით. ჟამსა მო-  
ღვაწებისასა ვიყვნით დაბნელებულ; და ვსვით რად ღვი-  
ნო, ლმობიერ და მხიარულ ვიქმნით ამას ყოვლისათვის;  
რომელ შემძლებელ არს ოფლისა მიერ განანათლენ-გა-  
ნუნათლებელნი, რამეთუ ჩვენ განუნათლებელნი ვართ  
გულის ხმის ყოფად ესე ვითართა საქმეთა; გარნა ამას  
ვიტყვით ვითარმედ არათუ ყოვლადვე ეშმაკისაგან  
იქმნების, ესე ვითარი შეცვალება ესე, არამედ ოდესვე  
არნ შეზავებულებისაგან ბუნებისა ამის, რომელი მომეცა  
მე ხორცთა ამათ გლახაკთა, და ზრქელთა და წინა-აღმ-  
დგომთა.

*ძირაჲ.* ჟაჟამს იქმნას ჩვენ ზედა პირველ თქმულთა  
ამათ საქმეთაგანი რადმე, მაშინ მხურვალეებით და სიმდა-  
ბლით ოფალსა ვევედრნით, და უკეთუ შემდგომად  
ვედრებისა მის, მრავალ ჟამ ეგრეთვე ვპოოთ, ვსცნათ  
ვითარმედ არა მუშაკთაგან, არამედ ბუნებისაგან არს საქ-  
მე იგი, ანუთუ განგებულება ღვთისა რადმე არს, და წი-  
ნა-აღმდგომთამიერ ნებავეს სარგებელი ჩვენი, რათამცა  
ყოვლით კერძო სიმალლე ჩვენი, დაამდაბლა.

*ძირაჲ.* ჟიცხელ არს და ძნელ გამოძიება უფსკრული-  
სა მის ღვთისა-სასჯელთასა, რამეთუ გამომეძიებელნი ესე  
ვითართანი სიმალლისა ნავსა შინა ცურავენ.

*ძირაჲ.* ღითხა ვინმე ძმამან ბერსა ერთსა, დაფარულ-  
თა მხედველთაგანსა, და რქვა მას ვითარმედ, რასათვის  
იმერთმან წინასწარ-იცოდა დაცემა ვიეთთამე, და შეამ-



*ძძ.* ყოველივე ღონე იხმარენ კაცმან, და ყოვლი-  
თავე მოსწრაფებითა ისწრაფენ, რათა თიხა ესე აღიყვა-  
ნოს, და დასვას საყდარსა ჩვთისასა, და ნუ ვინ მიზეზობს  
აღსავალისა მის მიმართ, რამეთუ გზა და კარი განღებ-  
ულ არს.

*ძძუ.* სმენა სულიერთა მათ სათნოებათა მამათასა,  
განაღვიძებს გონებასა და სულსა კაცისასა, ბაძვად შურ-  
ისა მათისა; და სმენა მოძღვრებისა მათისა, კვალად აღ-  
ბაძვებს მათდავე მიმართ სურვილად, და უძღვის მათ  
მსგავსებად მათდა, რომელთა აქვს შური საღმრთო.

*ძძუ.* უანკითხვა სანთელი არს ბნელსა შინა, წინამ  
ძღვარი არს-შეცთომილთა, და განმანათლებელი, – ბრმა-  
თა.

*ძძუ.* უანკითხველი მოპოვნებული არს სიმრთელი-  
სა, და დამარღვეველი და უჩინო მყოფელი საღმრთობათა.

*ძძუ.* ჟომელნი მცირეთა საქმეთა ზედა სხვისათა  
განმკვირვებელ არიან ორითა სახითა აქვს ესე, ანუ ფრია-  
დისა უგულის ხმოებისაგან, ანუ ფრიადისა სიმდაბლისათ-  
ვის ადიდებენ და აღამაღლებენ საქმეთა მოყვასისათა.

*ძძუ.* უისწრაფოთ რათა არა ოდენ ვბრძოდით,  
არამედ ვძლევდეთცა ეშმაკთა, რამეთუ რომელი ბრძო-  
დის, ოდესმე სძლევს და ოდესმე იძლევს; ხოლო რო-  
მელმან სძლოს სრულიად, იგი მარადის სძლევდესვე.

*ძძუ.* ჟომელი მძლე ექმნა ვნებათა, იგი მოსწყლავს  
და შემუსრავს ეშმაკთა, და ეჩვენების მათ სახითა და ხა-  
ტითა, ვითარმედ აქვს ვნება, და ესრეთ აცთუნებნ მტერ-  
თა, და დაშთის მათგან უბრძოლველად, და თვინიერ  
განსაცდელისა.

*ძძუ.* ყურაცხ იქმნა ოდესმე ძმა ვინმე გინებითა  
სხვისა მიერ, და იგი ყოვლადვე არა აღიძრა გულითა  
შფოთად, არამედ ილოცა გონებით, და მერმე იწყო ღა-  
ღადებად ყოვლად ხმითა ვნებისათა შექმნილითა, და  
აჩვენებდა ვითარმედ: ეტკივნა მას გინებისა მისთვის, და

ესე ვითარითა სახითა დაფარა უვნებელობა იგი თვისი.

*ძსთ.* სხვა ძმა კვალად ზემოჯდომისა იყო ყოვლი-  
თურთ მოძულე, და იჩემებდა სახესა და აჩვენებდა ვი-  
თარმცა სტკიოდა მისთვის და ენება ზემო ჯდომა.

*ძნი.* ღითარმე მიგიტხრა შენ და გამოგიტარგმანო  
სიწმიდე მისი, რომელი შევიდა სამეძაოსა, და აჩვენებდა  
თუ ბოროტისათვის შევალს, ხოლო მან მეძავიცა იგი  
სიწმიდედ მოიზიდა.

*ძნი.* სხვასა დაყუდებულსა ვისმე, მობრთვა ვინმე  
განთიად მსთვად ტევანი ყურძნისა, ხოლო ვითარცა  
წარვიდა რომელმან იგი მობრთვა მას, მოუხდა ბერი იგი  
ყურძენსა მას მსწრაფლ და შეჭამა იგი თვინიერ გულის-  
თქმისა, რათამცა აჩვენა ეშმაკთა თავი თვისი ვითარცა  
ნაყროვანი.

*ძნი.* სხვასა ვისმე შემკობილსა სათნოებითა დაშ-  
ჭირდა მცირედ ბაია და აჩვენებდა დღე ყოველ თავსა  
თვისსა, ვითარმცა სტკიოდა ბაიამსა მისთვის, ხოლო მას  
ყოვლადვე მისთვის ზრუნვად არა აქვდა.

*ძნი.* ღრიადი მღვიძარება და სიფრთხილე უხმს ესე  
ვითართა ამათ. ნუ უკვე ვიდრე იგი მათ ენებოს მოკიცხ-  
ვა ეშმაკთა, მოკიცხნენ ეშმაკისაგან, რამეთუ ესენი არიან,  
რომელთათვის თქვა ნეტარმან მოციქულმან პავლე, ვი-  
თარმედ *ἡ ἡμιτις ἡ ἡμιτις ἡ ἡμιτις* და იგინი სიმართლედ  
*ἡ ἡμιτις ἡ ἡμιτις ἡ ἡμιτις*.

*ძნი.* ჯომელსა ნებავს გვამისა და გულისა წმიდისა  
წარდგინებად წინაშე ღრისტესა, დაიმარხენ ურისხველო-  
ბად და მარხვად, თვინიერ ამათსა ყოველი შრომა ჩვენი  
ცუდ-არს.

*ძნი.* ღითარცა იგი სინათლე თვალთა განწვალეზულად  
არს, და რომელნიმე ფრთხილად ხედვენ, და რომელნიმე  
ნაკლულად, ეგრეთვე მრავალ სახენი განყოფილებანი ჰქო-  
ნან საცნაური სამის მზისა სულისა კაცისასა მოსვლათა.

*ძნი.* სხვა არს ხორციელთა ცრემლთა მიერ მომა-

ვალი სულსა შინა სიხარულიჲ და სხვა არს სულიერთა ცრემლთა მიერი, და სხვა არს ხორციელთა თვალთა მიერი; და სხვაჲ არს სულიერთა მიერი; სხვა არს სმენისაგან სიტყვათასა; და სხვა არს თავით თვისით სულსა შინა ქმნილი; სხვა არს მორჩილებისაგან, და სხვა არს დაყუდეებისაგან, და ამათ ყოველთაგან განყოფილად; სხვა არს რომელი აღტაცებითა გონებისათა წარადგინებს სულსა წინაშე ნათელსა მას ჴრისტესსა მიუთხრობელად და გამოუთქმელად.

*ძრხ.* ორიან სათნოებანი, და არიან მშობელნი სათნოებათანი; რომელიცა უკვე ბრძენ არს, იგი მშობელთა მათ მოგებასა ზედა უფროს მოსწრაფე არს.

*ძრქ.* შშობელთა მათ ოფალი მხოლო არს ძალითა თვისითა მასწავლელ, ხოლო ნაშობთა მათ სხვანიცა მრავალნი.

*ძრძ.* ჴეკრძალნეთ ნუ უკვე, რაჟამს ვიმარხვიდეთ ნაკლულევანებასა მას ჴამადისასა, ძილითა აღვასრულებდეთ; რამეთუ უგუნურთა საქმე არს ესე, ვითარცა იგი კვალად უგუნურება არს მღვიძარებისა ჟამსა ფრიადი ჴამა.

*ძრჲ.* ᴒიხილენ მუშაკნი სათნოებისანი, რომელთა ჴირისა რასათვის მე მცირედ მიეშვნეს ჴამადისა მიმართ, და მეყვსეულად ღამე ყოველ ზე-დგომითა მხნეთა მათ და ახოვანთა სტანჯეს მუცელი მათი და ასწავეს მას რათა განძლომისაგან სიხარულით ილტვოდის.

*ძრჳ.* ᴒრძავნ უპოვართა ეშმაკი ვეცხლის-მოყვარებისა ფიცხლად, ხოლო რაჟამს ვერ მძლე ექმნის, მაშინ კვალად გლახაკნი შემოიხვნის მიზეზად, და ესრეთ აიძულეზნ რათამცა უნივთონი იგი ნივთიერ-ყვნა.

*ძრჴ.* ჴაჟამს გვბრძოდის სული სასოწარკვეთილებისა, მაშინ მცნება იგი რომელი მისცა პეტრეს ოფალმან, მოვიხსენოთ ვითარ უბრძანა *სეჴყაღძე და ყოუძ ეზუს* შენდობად. რამეთუ რომელი სხვასა ამცნო, არამცა შან



ესე მოუზავებელნი ვნებანი ერთგზის იპოვნიან სულსა შინა, რომელ ესე საკვირველ არს.

*ქაზ.* ორიან რომელნიმე არა წმიდანი ეშმაკნი, რომელი გვასწავლიდიან თარგმანებასა წერილთასა, და ამას უფროსად იქმოდინ გულთა შინა ცუდად მზვობართასა, და უფროსად რომელნი საფილოსოფოსთა სწავლათა სწავლულ არიან; და პირველად იწყიან მართლისა მოგონებად, რათამცა მცირედ-მცირედ აცთუნნეს, და წვალებასამცა შთაყარნეს და გამობათა.

*ქაქ.* ჯაჟამს ვიხილოთ, ჟამსა მას ესე ვითარისა გულის-ხმის-ყოფისასა შფოთი და დაუწყნარებლობა, და სიხარული უწყესო, ამის გამო ვსცნათ ვითარმედ ეშმაკთა იგი ივთის-მეტყველება, ივთის-ბრძოლობა არს და არა ივთის-მეტყველება.

*ქაძ.* შაბადებულთა დამბადებელისაგან მოუღებებს თითოეულსა წესი და დასაბამი, და რომელთამე დასასრულიცა; ხოლო სათნოებისა კიდე და დასასრული მიუწდომელ არს, რამეთუ იტყვის მგალობელი ვითარმედ, *ყაყოთაღ ზღსღსიჰყოთაღ იოყოთიჲ აქუჯღიჲ უ~ ჟღსიოთა* და დაუსრულებელ *ღჰიღი შღნიჲყღიჲ ყიღიჲ ჟღიღღ.*

*ქაჟ.* ოკეთუ ვიდოდი\* კეთილნი ვინმე მუშაკნი ძალითი ძალად, ესე იგი არს, ძალისაგან საქმისა ძალად ხედვისა, და სიყვარული არა სადა დასრულდების, და *ოჟღოშღი ოღიოთი ყიღოთაღა* შიშისა, *ღღ უღნიოთაღა* სიყვარულისა, რომლისა იგი დასასრული დაუსრულებელ არს, და უკეთუ მას შინა წარვემართნეთ, არა ოდეს დავსცხრეთ, არცა ამას საწუთოსა, არცა მას საუკუნესა

---

\* ომისთვის იტყვის ამას რამეთუ შიში მოიყვანებს კაცსა საქმედ, და სიყვარული ხედვად – და მერმე ხედვათა მათ სიყვარული-სათა არღარა აქენდეს დასასრული და ესრეთ იქმნების სვლა ძალითი ძალად, და უფალმან დაიცვას შესვლა შიშისა რომელი შევალს საქმედ, და განსვლად სიყვარულისა, რომელი განვალს ხედვად.



ნათელსა ზედა, კვალად სხვისა ნათლისა მოღებად და გულის-ხმის-ყოფისა კეთილისა.

*ძსაჲ.* ჳაღაცათუ ვიეთმე უცხოდ აღუჩნდეს სიტყვა ესე, არამედ მე ვიტყვი ჰი ნეტარო, ვითარმედ ვითარცა ჳემო ესე ვსთქუ თუ დაუსრულებელ არს სათნოება, და აწცა ვიტყვი ვითარმედ არცათუ უხორცონი იგი ბუნე-ბანი ანგელოსთანი არიან წარუმართებელ, და მარადის ერთსა ჳედა, არამედ ყოვლადვე დიდებითი დიდებად აღვლენ, და გულის-ხმის-ყოფასა ჳედა მარადის გულის-ხმის-ყოფასა განამრავლებენ.

*ძსაჲ.* ნუ გიკვირს უკეთუ კეთილიცა რამე მოგვა-გონონ ეშმაკთა, და მერმე თვითვე წინა-აღგვიდგებოდინ გულის სიტყვათა, რამეთუ ამას ამისთვის იქმენ რათამცა დაგვარწმუნნეს თუ გულისა ჩვენისა ჳრახვანი იცნიან მათ, არამედ ნუ იყოფინ არათუ თვით მათვე რაიმე მოე-გონოს ჩვენდა არა იცნიან სხვა.

*ძსაჲ.* ნუ ხარ მსაჯული მწარე და ბოროტად განმ-კითხველი, რაჟამს იხილნე ვინმე რომელნი სიტყვით მა-ღალ და დიდ იყვნენ მოძღვარ და განმანათლებელ სულ-თა, ხოლო საქმით ვერ ფიცხლად მოღვაწე, რამეთუ მრავალგზის ნაკლულევანება საქმისა ადასრულის სარ-გებელმან სიტყვისამან.

*ძსაჲ.* ჳრათუ ყოველთავე, ყოველივე სწორად გვაქვს, რამეთუ რომელთამე თანა სიტყვა სძლევს საქმესა, და სხვათა თანა საქმე სძლევს სიტყვათა.

*ძსაჲ.* ჳლოროტი იმერთსა არცარა დაუბადებიეს, არცარა შეუქმნიეს, და ამისთვის სცთეს ვიეთნიმე, რომელთა თქვეს ვითარმედ ვნებანი რომელნიმე ბუნებითნი არიან სულსა შინა, და არა გულის ხმა ყვეს. ვითარმედ საქმენი იგი ბუნებასა შინა ჩვენსა კეთილად დაბადებულ-ნი, და სარგებელად ბუნებისა, ჩვენ ვნებად შევცვალებით რამეთუ ბუნებით ჩვენთანა თესლი არს შვილებისათვის, ხოლო ჩვენ შევცვალებთ იგი სიძვად. ბუნებით გულის

წყრომა ჩვენთანა არს, ეშმაკთა მიმართ, ხოლო ჩვენ ვიხმარებთ მას მოყვასისა მიმართ. და არს კვალად ჩვენ თანა შური ბუნებითად, რათა კეთილისა ქმნად მოშურნე ვიყვნეთ, ხოლო ჩვენ ბოროტსა ზედა გვაქვს იგი. ბუნებით არს ჩვენთანა გულის-თქმა, არამედ სასუფეველისათვის, ხოლო ჩვენ შევცვალეთ იგი ცოდვისათვის. და გვაქვს სიმაღლეცა ბუნებით, არამედ ეშმაკთა ზედა; ხოლო ჩვენ მოვიღეთ იგი სადა არა ჯერ არს. და მოგვცა ბუნებით სიხარულიცა, არამედ უფლისათვის, და კეთილსა ზედა მოყვასისასა, ხოლო ჩვენ ვყავთ იგი ბოროტსა ზედა. გვაქვს ბუნებით ძვირის ხსენებაცა, არამედ მტერთა მიმართ სულისათა და ჩვენ შევცვალეთ იგი ძმათა მიმართ.

*ქააჟ.* სულმან მოსწრაფეთამან აღადგინნის ეშმაკნი რისხვად მის ზედა, ხოლო რაჟამს განმრავლდენ ბრძოლანი – განმრავლდიან გვირგვინიცა.

*ქააზ.* რომელი\* არა მოიწყლვოდის ბრძოლათაგან არცა გვირგვინოსან იქმნას; ხოლო რომელი მოწვეწულთა დაცემათა ზედა არა უსასო იქმნეს, არცა დააცადოს ბრძოლა იგი ანგელოსთა მიერ, ვითარცა მხნე მხედარი იდიდოს.

*ქააჟ.* ჟომელმან\*\* იგი სამი ღამე დაყო ქვეყანასა

---

\* შოწვეწულად დაცემად იტყვის, აღტაცებით ქმნილთა უჯეროთა, განა საქმითა გინა სიტყვითა, რათა არა წარიკვეთოს კაცმან სასოება, რაჟამს ესე ვითარი რამე მოიწიოს, არამედ დაღაცათუ დაეცეს კვალად იღვაწოს და აღსდგეს და ბრძოლის მტერთა მისთა, ვითარცა არა დაცემული, და ეგე ვითარი იდიდოს ანგელოსთაგან, ვითარცა ძმა იგი რომელსა შეემთხვია სიძვა, და არა იძლია სასოწარკვეთილებისაგან, ამის თვისცა გამოეცხადა მისთვის ბერსა ვითარმედ, მან რომელმანმე ძმამან შემდგომად დაცემისა სძლო მტერთა.

\*\* რომელმან სამი ღამე დაყო საფლავსა შინა ჭრისტემან, და უკუნისამდე ცხოველ არს, ხოლო რომელმან სამთა ჟამთა სძლოს იგი არღარა მოკვდეს. ხოლო სამნი ჟამნი არიან სიყრმისა, და სიჭაბუკისა და სიბერისა, რომელმან ამა სამთა ჟამთა სძლოს ვნებასა მას, არღარა შემთხვიოს სიკვდილი სულისა, სულიერი ცოდვისა მიერ.

შინა, ცხოველ არს Ἰგი უკუნისამდე; ხოლო რომელი სამთა ჟამთა მძლე ექმნას, არღარა იძლიოს არცა მოკვდეს უკუნისამდე.

*ძსათ.* ოკეთუ განგებულებით განსწავლისა ჩვენისათვის, შემდგომად ჩვენ შორის აღმოსვლისა საცნაურმან მან *შხიძენი სღინდს* კვალად *უდჷ ბდსოროსდ* *თოროსდ* ჩვენგან, მაშინ *ბდსდოქს* *ყიორო* *სდჷდსიოქოქდ* *შოსსდ*, *ბდ* *ოქძინდს* *იძძი*, *ბდ* *ძდს* *ყინდ* *ორობადინ* ჩვენ შორის, პირველ წასრულნი ჩვენგან ველურნი იგი *იოქიორო* *იასძთინ* და ყოველნივე მხეცნი მალნარისა მის, ეკლოანთა ვნებათანი *ბდყოროსადინ* *დდღიყდ* ჩვენისა მის სასოებისა და ითხოვდენ *სდხსიბოქსდ* ვნებათასა ანუ საქმეთა ანუ გულის-სიტყვათა.

*ძსუ.* შოფენასა *შხოსსდ* სიმდაბლისა მიერ ჩვენ შორის *ყოქსიყინ* კვალად *შეღინ* *ბდ* *სდბუქსითინოქ* *თოროსთდ* *ბდბდუქინ*, რომელ არიან გემოთ მოყვარულნი სულნი, და არღარა ჩვენ თანა იყვნიან, *ბდყინ* *ოქყადბდ* ეშმაკნი იგი, ვითარმედ *დდინბდ* *ოქდინძენ* *ყასჷდ* *ბდთ* *თინდ* კვალად *ოქდინოროსდ* *შოსსდ*. და ჩვენ ვეტყოდეთ *თაქ* *დდინბდ* *ოქდინძენ* *ყასჷდ* *იოქინთინ*, *ბდ* *ოროქინორო* *იოქინ* *სდდსიქიოქინ*, ხოლო თქვენ საწყალობელად ოტებულ.

*ძსუდ.* *ბინდ* *იქსიქ* *ხი-ხოს* *ოქდინო* *იქსიქოქსდ* *საქინძეოქინდ*, რომელ არს სული ამალღებული ყოვლისაგანვე გულის-თქმისა მიწისაგანისა, *ბდ* *ყოქობდ* *იქოქოროსდ*, რომელ არს გული პირველ დაბნელებული ვნებათაგან, *ბდ* *ყოქინიქინ* *ბდ* *ბდღინიქინ* *ყოქორო* *ქძინიქინ* *ოქო* კერპნი, და გულის სიტყვანი ბოროტნი ამის გონებისანი.

*ძსუყ.* ოკეთუ ოფალი ჩვენი Ἰესო ღრისტე ილტვოდა ჰეროდესაგან ხორციელად, რომელი იგი ყოველსავე

შემძლებელ იყო, განისწავლებოდა ამპარტავანი, რათა არა მისცემდნ თავთა თვისთა ნებსით განსაცდელთა, რამეთუ იტყვის ვითარმედ *ჩაქ შუსღოშ ყოძოძიძეძე აჟიძეს-სა ყოჩისა, ბე დძიძე ძაქოძის შღოძოძისა ყოჩისა.*

*ძიუღ.* ყვეთხუნების ახოვნებასა თანა სიმაღლე, ვითარცა შეეთხუნების კვიპაროზისა თანა, რომელსა იგი ეწოდების ზმილაკი.

*ძიუბ.* ზეთილითა გამოძიებითა გამოვეძიებდეთ თავთა თვისთა, თუ არს კეთილი რაჲ ჩვენ თანა ჭემმარიტი, და ესრეთ ვჰპოვნეთ თავნი ჩვენნი ნაკლულევან ყოვლისაგანვე კეთილისა ჭემმარიტისა.

*ძიუღ.* შიებდ ვნებათაცა სახესა დაუცადებელად და პოვო, ვითარმედ მრავალნი არიან ჩვენ შორის, რომელთაცა უძღურ და ვიყვნეთ გონებითა ვერ ვხედავთ; ხოლო უკეთუ განათლდენ თვალნი სულისანი, მაშინ ვხედვიდეთ მათ განცხადებულად, რამეთუ ვიდრემდის უფლებდენ იგინი ჩვენ შორის ვერ ძალ გვიძს ხედვა მათი.

*ძიუღ.* იმერთი გონებასა განიკითხავს, ხოლო საქმესა ძალისაებრსა ეძიებს, და ყოველსავე კაცთ მოყვარებით.

*ძიუხ.* შიძ არს კაცი, რომელი არა დააკლებდეს ქმნად საქმეთა, რომელნი ძალსა მისსა იყვენენ, ხოლო უდიდეს მისსა არს რომელი სიმდაბლით ძალისა უმეტესთაცა ხელყოფდეს.

*ძიუქ.* შრავალ გზის ეშმაკთა განგვაყენიან სულ მცირეთა საქმეთაგან, და რომელთაგან იყოს სარგებელი ჩვენი, და გვაწვევდიან მძიმეთა, და ძალისა უმეტესთა საქმეთა ქმნად.

*ძიუთ.* შპოვბ იოსებისთვის ვითარმედ გარემიქცევისათვის ცოდვისაგან და არა უვნებლობისათვის სანატრელ იქმნა.

*ძიუ.* სამიებელ არს თუ რომელთა და რავდენთა ცოდვათა გარე მიქცევისა აქვს გვირგვინი; რამეთუ სხვა

არს სილტოლვა ბნელისაგან, ხოლო უდიდეს არს მივლ-  
ტოლა მზისა მიმართ.

*ძრუ.* სიბნელე მომატყვებელ არს – შებრკოლებისა,  
და შებრძოლება – დაცემისა, და დაცემა – სიკვდილისა.

*ძრუყ.* ივინისაგან დაბნელებულთა და დაცემულთა  
მრავალ გზის განიბანეს წყლითა, ხოლო ვნებათაგან და-  
ცემულთა განიბანეს ცრემლითა.

*ძრუჲ.* სხვა არს ამრღვევა გონებისა; და სხვა არს  
შეშფოთება; და სხვა არს დაბნელება; და პირველსა მას  
განკურნებს მარხვა, და მეორესა დაყუდება, ხოლო მესა-  
მესა მორჩილება და უფალი იესო ჴრისტე, რომელი  
*ჰაძიქონა-უქჰინ.*

*ძრუბ.* ჴრა დამაყენებელ არს რათა სახედ განწმედი-  
სა სულისა შემოვიღოთ განწმედელნი იგი ნივთიერთა  
მათ სამოსელთანი, რამეთუ მათ განსწმედს და განაშვე-  
ნებს მმურკვნელი და საღებავი, ხოლო სულიერი სამმურ-  
კვნელოდ არს კრებული მონასტრისა, რომელი იგი ბილ-  
წებათა და სიზრქეთა და ცოდუათა სულისათა განსწმედს,  
ხოლო რაჟამს მას შინა სულმან აღიდარცვოს ყოველი  
სიზრქე გულის-წყრომისა და ძვირის ხსენებისა, მერმე  
ექმნების მას დაყუდება საღებავ შვენიერ და ფეროან.

*ძრუჲ.* ჴიეთნიმე იტყვიან ვითარმედ დაცემაჲ პირ-  
ველთავე ცოდვათა შინა იქმნების ნაკლულევანებისაგან,  
სინანულისა პირველთა მათ დაცემათასა; ხოლო სამიე-  
ბელ არს თუ ყოველმან რომელიცა არა დაეცეს პირველ-  
თავე ცოდვათა ღირსად და სრულად შეინანაა?

*ძრუბ.* შაეცნეს ვიეთნიმე პირველთავე ცოდვათა  
შინა, რამეთუ პირველნი იგი დავიწყებისა უფსრულსა  
დაანთქეს, და არა იხსენებდეს მათთვის მოწევნადთა სა-  
ტანჯველთა; ანუ ამისგან რამეთუ გემოთ მოყვარებისა  
მიერ ღმერთო კაცთმოყვარედ, უმეტეს ზომისა შერაცხეს;  
ანუ თუ ამისგან, რამეთუ თვისისა ცხოვრებისა სასოება  
წარიკვეთეს. ხოლო ნუ უკვე მაბრალიოს ვინმე თუ არა

ესემცა ვსთქუ, ვითარმედ ანუ ამისგან, რამეთუ მტერნი ესე ხორცნი ვერ შეკრნეს, რომელი ჩვეულებისა ძალი-თა მძლავრობდა მათ.

*ძრუხ.* საძიებელ-არს თუ ვითარ, ვინადგან სული უხორცო და უნივთო არს, მომავალთა მისდა უხორცო-თავე, ვითარ არიან ეგრეთ ვერ ხედავს, გარნა ნუ უკვე შეერთებისა მისთვის არს ესე, რომელი უწყის მხოლო-მან მან, რომელმან შეაერთა.

*ძრუქ.* შკითხა ძმამან ვინმე სულიერმან და სწავლუ-ლმან, საქმე რადმე, რომელი მე მინდა სწავლის, და მრქ-ვა მე ვითარმედ: მითხარ თუ, რომელნი ცოდვანი დაამ-დაბლებენ გონებასა, ანუ რომელნი აღამაღლებენ? ხო-ლო მე აღვიარე: უმეცრება. მაშინ მრქვა მე, ვითარმედ: დავდვა შენ თანა მცირედ საფუარი სწავლისა, და მერმე შენ გამოიძიე კეთილად, რამეთუ სიძვა და ნაყროვანება, და მრისხანება, და მოწყინება და ძილი ვერ აღამაღლე-ბენ რქასა გონებისასა; ხოლო ვეცხლის მოყვარება, და მთავრობის მოყვარება, და მრავალ-მეტყველება, და გან-კითხვა, და სხვანი მრავალნი, ბოროტსა ზედა ბოროტსა შესძინებენ, და აღამაღლებენ გონებასა.

*ძრუთ.* ჟომელიცა მივიდა ერის კაცთა მიმართ, ანუ თუ შეიწყნარნა იგინი სენაკსა თვისსა, და შემდგომად განშორებისა მათისა ეცა მას ისარი მწუხარებისა, და არა უფროსად მხიარულ იქმნა, რამეთუ განერა საფრხისა და დაბრკოლებისაგან, ესე ვითარსა ანუ ცუდად მზვაობ-რობისა, ანუ სიძვისა ეშმაკი ემღერის.

*ლ.* შირველად გვიღირს რათა ვხედვიდეთ, თუ ვი-ნადთ კერძო აღდგებიან ქარნი, რათა არა რაჟამს აღვ-მართოთ აფრად მბრკოლებელ მექმნეს გზისა ჩვენისა.

*ლრ.* ნუგეშინის-ეც ბერთა მშრომელთა სიყვარულით, რომელთა შემუსრნეს თავნი მათნი შრომითა მარხვისათა, და მიერ მცირედ განსვენება.

*ლყ.* ლიძულებდ ჭაბუკთა მარხვად, რომელთა შემუს-

რნეს სულნი მათნი ცოდვითა, და მოახსენებდ მათ სა-  
ტანჯველთა მათ საუკუნეთა.

სქ. ყვეულებელ არს, ვითარცა ზემო გვითქვამს,  
რათამცა განრავედით სოფლისაგან, მეყვსეულადმცა გან-  
ვწმდით სრულიად ნაყროვანებისა და ზვაობისაგან; გარნა  
ნუმცა ნაყროვანებითა ვეწყვებით ზვაობასა, არამედ უფ-  
როსად მარხვითა ვევედრნეთ ოფალსა, რათა მიხსნნეს  
მისგან, რამეთუ მოწევნად არს ჟამი, და აწვე არს რო-  
მელთაცა ენებოს რათა დაამორჩილოს იგიცა ოფალმან  
ქვეშე ფერხთა ჩვენთა.

სდ. წრათუ ერთნი ბრძოლნი ჰქონან ჭაბუკთაცა და  
ბერთაცა მორავიდენ მონაზონებად, რამეთუ არა ერთ  
არიან სენნი მათნი; ამისთვისცა ნეტად არს სანატრელი  
სიმდაბლე რამეთუ ჭაბუკთაცა და ბერთაცა იქმნების  
უცთომელ სინანულად.

სე. ესე განკვირდები სიტყვასა ამას ზედა, რომლისა  
მეგულვების თქმა, რამეთუ არიან მცირედნი, გარნა არი-  
ან სულნი წრფელნი და უმანკონი და უმეცარნი მანქანე-  
ბასა და გვლარძნილებასა, რომელთაცა კაცთა თანა ყო-  
ფა სრულიად წინა-აღუდგების, რამეთუ ძალუცს მათ და-  
ყუდებით მოძღვარსა თანა ოდენ ყოფითა, ვითარცა  
კიბითა ზეცად აღსვლად, შფოთთაგან მონასტერთასა  
და ამბოხებათა, დარჩომად შეუხებელად და უვნებელად.

სე. სიმვის მოყვარეთა, კაცნი; და უკეთურთა – წნ-  
გელოსნი განკურნებენ; ხოლო ამპარტავანთა, ოფალი  
მხოლო.

სე. ესეცა სახე სიყვარულისა იქმნის მრავალ-გზის  
რაჟამს მოვიდის რად მოყვასი ჩვენდა მომართ, მიუტევით  
ნებასა მისსა ზედა რაცა ენების, და ყოველსავე ზედა  
ვაჩვენით პირი მხიარული.

სე. ᾿სამოვიძიოთ\*, თუ ვითარ და ვიდრემდის, და

\* ზაღაცათუ არა ყოვლადვე, არამედ მრავალ გზის დამხსნელი  
არს სინანული კეთილთა, რამეთუ რაჟამს კეთილსა რასმე ვიქმოდით და  
შევინანოთ იგი, და სხვა რამე მოვიგონოთ, და მწუხარე ვიქმნეთ თუ  
რად არა იგი ვქმნით, მაშინ განვაბნევთ ჩვენ მიერ შეკრებილსა მას  
კეთილსა და ესე გულის-ხმა-ვყოთ მათ შორის, რომელნი წარემატებიან

მორჩილებასა შინა, და მერმე შეინანიან, თუ: რად არა დაყუდება მოი-  
გეს და უდებ-ჰყვიან მორჩილება, მაშინ დახსნასა იქმს სინანული იგი მის  
კეთილისასა, ვიდრემდის დალივნეს მოგებულნი იგი კეთილნი და მაშინ  
იხილოს დაცემა თვისი.



ოდეს იქმნების სინანული დამხსნელ კეთილთა, ვითარცა იგი ბოროტთა დამხსნელ არს.

ლთ. ოამოვიძიოთ და გულის-ხმა-ვყოთ კეთილად, თუ ოდეს ანუ რომელსა ზედა, ანუ ვიდრემდის გვიღირს დადგრომად ბრძოლა ნივთსა მას ვნებათასა, რამეთუ იქმნების სილტოლვისაცა გამორჩევაჲ უძლურებისა თვის ჩვენისა, რათა არა მოვკვდეთ.

ლ7. თიხილოთ და გულის ხმა ვყოთ: თუ, რომელნი ეშმაკნი აღამალლებენ გონებასა, და რომელნი დაამდაბლებენ; და რომელნი განაფიცებენ, და რომელნი იჩემებენ ტყუილით ნათელსა; და რომელნი დახსნილ გვეფენ, და რომელნი მოსწრაფე, და რომელნი მჭმუნვარებასა მაწვევენ, და რომელნი სიხარულსა.

ლ7. ნუ გიკვირს უკეთუ მოვიდეთ რად მონაზონებად, და დასაბამსა ვხედვიდეთ თავთა ჩვენთა უვნებელესად ვიდრეღა რაჟამს სოფელსა შინა ვიყვენით; რამეთუ ჯერ არს, რათა პირველად აღიძრნენ ნივთნი იგი ვნებათანი და განვიდენ, და ეგრეთ მოვიდეს სიმრთელე; ანუ თუ პირველ მხეცნი იგი დამალულ-იყვნეს ჩვენ შორის, და ვერ ვხედევდით მათ, ხოლო აწ ვიხილეთ.

ლ7. ჟაჟამს მოიწიოს რადმე და სისრულედ მიახლებულნი იგი მცირესა რასმე ზედა იძლინენ ეშმაკთაგან ყოვლითავე ღონის-ძიებითა ისწრაფიან და ას წილად აღმოიზღვევენ საქმესა მას.

ლ7. თითარცა იგი ქარნი ოდესმე პირსა ზღვისასა აღძრვენ, რაჟამს არა ფიცხელ იყვნენ, და ოდესმე კვა-

ლად უფსკრულიდგან აღამღვრევენ, ეგრეთვე ვნებანი არიან, რამეთუ ვნებულთა სიღრმეთაგან გულისათა, შეაშფოთებენ; ხოლო სრულთარე პირსა გონებისასა. და ამისთვისცა მსწრაფლ მოიპოვებენ იგინი თვისსავესა მას დაუვიწყარებასა.

177. სრულთა არს საქმე ესე, რათა მარადის სცნობდენ სულსა შინა თვისსა, თუ რომელი გულის-სიტყვა არს სვინდისისაგან მოსრული, და რომელი არს ივთისაგან, ანუ რომელი არს ეშმაკთაგან, რამეთუ არა ეშმაკნი ყოველსავე პირველითგან ბოროტად მოაგონებენ, ამის-თვის ძნელ-არს ამისი ცნობა.

**ღრი საგრძნობელი თვალთა-განათლდების სხეული; ხოლო გულისსიტყვათა და ცხადთა-მოქმედებათა განკითხვა – განანათლებენ თვალთა გულისათა.**

## ჩვენის სხვანი სათნოებათათვის

სარწმუნოება მტკიცე მოლუაწებისა დედაა არს, ხოლო წინააღ-მდგომი ამისი საცნაურ-არს.

ჟ. სასოება კეთილი მომამულებელი არს სოფლისა ხოლო წინა-აღმდგომი ამისი საცნაურ-არს.

რ. სიყვარული ივთისა მიზეზი-არს უცხოებისა, ხოლო წინა-აღმდგომი ამისი საცნაურ-არს.

წ. შორჩილება შვა ბრალობამან თავისა თვისისამან, და სურვილმან, და შეურაცხებისამან.

ყ. შარხვა დედა არს სიმრთელისა, და მომახსენებელი სიკვდილისა.

რ. ქსენება სიკვდილისა, და წვრთა ჭრისტეს ვნებათა, შემწე არიან სიწმიდისა.

ხ. შაყუდება უჩინო მყოფელი არს, ხორცთა მხურვალებისა.

ჩ. შღვიძარება და მარხვა შემმუსრველ არიან გულის სიტყვათა ბოროტთა, ბილწთა და დამაცხრობელ ბრძოლათა.

ძ. სარწმუნოება და უცხოება მკვლელნი არიან ვეცხლის-მოყვარებისანი; ხოლო მოწყალებამან და სიყვარულმან, ხორცნიცა თვისნი მიცემად სცნიან.

წ. ზოცვა სამარადისო წარმწყმედელი არს მოწყინებისა; ხოლო ხსენება სასჯელისა, მომატყვებელი არს მოსწრაფებისა.

რ. ჰამალი გულის-წყრომისა არს სიყვარული გინებისა და კდემისა; ხოლო გალობა და მოწყალება და უპოვარება – მომაშთომელ არიან მწუხარებისა.

რ. სიძულვილი ხილულთა, შემაყვარებელი არს უხი-

ლავთა; ხოლო დუმილი და დაყუდება მბრძოლ – ცუდად-  
მზვობრობისა; უკეთუ კულა საშუალ იყოფები შეუ-  
რაცხება შეიყვარე.

77. წმპარტავანება ხილული, განკურნოს მოქალა-  
ქეობამან შემუსრვილმან და უნდომან; ხოლო უხილავი  
უხილავმან მან წინა საუკუნეთა შობილმან.

78. ყოველთა ხილულთა ქვეწარმავალთა მკვლელი  
არს ირემი; და უხილავთა მხეცთა ყოველთა მკვლელი  
არს სიმდაბლე.

79. ერთი არს ბუნებითთაგანი, რომელი ყოველთა-  
ვე უხილავთა საქმეთა გვასწავებს.

79a. წითარცა\* გველსა ვერ ძალუცს აღძარცვად  
ძველისა მის ტყავისა, არათუ შევიდეს ხვრელსა იწროსა;  
ეგრეთვე ვერცა ჩვენ აღვიძარცვნეთ პირველნი იგი ჩვე-  
ულეზანი და ბილწეზანი სულისანი, და სამოსელი ძვე-  
ლისა მის კაცისა, უკეთუ არა წარვლოთ იწრო იგი და  
საჭირო გზა მარხვისა და შეურაცხებისა.

79b. წითარცა ვერ შემძლებელ არს ფრიად გასუქე-  
ბული მწყერი სიმაღლედ ცისად აღსლვად; ეგრეთვე  
რომელი გაასუქებდეს ხორცთა თვისთა.

79c. წითარცა მწვირესა ზედა განმხმარსა ვერ განის-  
ვენიან ღორთა; ეგრეთვე ხორცთა ზედა გამხმართა შრო-  
მითა, ვერ განისვენიან ეშმაკთა.

79d. წითარცა სიმრავლე კვამლისა მრავალ გზის და-  
შრეტს ცეცხლსა, ეგრეთვე მწუხარება უზომო დააბნე-  
ლებს სულსა და განახმობს ცრემლთა.

79e. წითარცა ბრმა მოისარი ვერ წარემართოს, ეგ-  
რეთვე მოწაფე მაცილობელი წარწყმდეს.

79f. წითარცა რკინამან კეთილმან მოლესის რკინა  
რბილი, ეგრეთვე ძმამან მოსწრაფემან მრავალ გზის აც-  
ხოვნოს უდებთ.

79g. წითარცა კვერცხი რომელი დაიმალოს სკორესა

\* ეგრეთ ვგონებ თუ სვინილისისა იტყვის.

შინა და გამოიხსნის მართვენი, ეგრეთვე გულის სიტყვანი, რომელნი არა გამოაცხადნენ ალასრულნე იგინი საქმით.

კჟ. წითარცა ცხენი ასპარეზსა შინა, რომელნი ხდებიედ ურთიერთას, ეგრეთვე კრებული ძმათა კეთილთა.

კზ. წითარცა ღრუბელმან დაფარის ბრწყინვალება მზისა, ეგრეთვე ბოროტნი გულის-სიტყვანი დააბნელებენ გონებასა.

კყ. წითარცა რომელსა ზედა გამოხდის ბრძანება სიკვდილისა, და არღარა იკითხავნ იგი, და არცა იტყვიან რას: ბასრობისა და სიმღერისათვის, ეგრეთვე არცა ჭეშმარიტმან მგლოვარემან აღავსოს მუცელი თვისი.

კყყ. წითარცა გლახაკთა იხილნიან რად საუნჯენი მეფეთანი, უმეტესად სცნიან სიგლახაკე თვისი; ეგრეთვე სული რომელი იკითხვიდეს მაღალთა მათ სათნოებათა მამათა და მოწამეთასა, უმეტესად დამდაბლდეს გონება მისი.

კყჃ. წითარცა რკინა უნებლიეთცა მორჩილობს მაგნიტსა, ეგრეთვე რომელნი დაეჩვივნენ ვნებასა, იმძალვრებიან მის მიერ იძულებით.

კყდ. წითარცა ზეთი დააწყნარებს ზღვასა, ეგრეთვე მარხვა დააცხრობს ხორცთა ხურვებასა.

კყე. წითარცა წყალი შეიწრდის რად ამალღდის ზე, ეგრეთვე სული შეიწრებული ბრძოლათა და განსაცდელთაგან ამალღდის სინანულითა ივთისა მიმართ და განერის მაჭირვებელთა მისთაგან.

კყვ. წითარცა რომელსა ნელსაცხებელი სუნნელი აქვნდეს, დაღაცათუ მას არა ენებოს, საცნაურ იქმნების სუნნელებისა მისთვის, ეგრეთვე რომელსა თანა სული უფლისა იყოს, საცნაურ იქმნების სიტყვითა და სიმდაბლისა მისისაგან ყოველთა მიერ.

კყგ. წითარცა ქარნი აღაშფოთებენ ზღვასა, ეგრეთ-

ვე გულის წყრომა უფროს ყოველთა სენთა აღაშფოთებს გონებასა.

*რყ.* ვითარცა საქმე რომელი თვალსა არა ეხილვოს, არა ფრიად სურის მისთვის, ეგრეთვე ქალწულნი ხორციტა სუბუქ არიან ბრძოლათაგან, ვიდრეღა გამოცდილნი ბოროტისანი.

*რრ.* ვითარცა საუნჯეთა მეფისათა, რომლისა გარემოს მცველნი იყენიან, არა ფრიად იკადრებენ მპარავნი მიახლებად; ეგრეთვე რომელმან დაამკვიდროს ლოცვა გულსა თვისსა არა ფრიად წარიტყვენოს უხილავთა მათ ავაზაკთაგან.

*რშ.* ვითარცა არა გამოვალს თოვლისაგან ცეცხლი, ეგრეთვე რომელი ეძიებდეს პატივსა ამის სოფლისასა, ვერ მიემთხვიოს პატივსა ზეცისასა.

*რტ.* ვითარცა ერთმან ნაკვერცხალმან მრავალ-გზის ფრიადი ნივთი დასწვის, ეგრეთვე იპოვის ერთი კეთილი, რომელმან აღხოცის სიმრავლენი ცოდვათანი.

*რთ.* ვითარცა ვერ შესაძლებელ არს მოკვლა მხეტთა თვინიერ აბჯრისა; ეგრეთვე ვერცა მრისხანებისა მოკვლა თვინიერ სიმდაბლისა.

*რუ.* ვითარცა ბუნება კაცისა შეუძლებელ არს თვინიერ საზრდელისა, ეგრეთვე კაცსა არა უღირს უდებება წამ-ერთცა ვიდრე სიკვდილადმდე.

*რფ.* ვითარცა მზისა ნათელი ხვრელისა მიერ შევიდის რაჲ სახლად ყოველივე განანათლის ვიდრეღა მცირეცა იგი მტვერი იხილვების, ეგრეთვე რაჟამს შევიდის შიში ივთისა გულსა კაცისასა, იხილნის მან ყოველნი ცოდვანი თვისნი ცხადნი და დაფარულნი.

*რკ.* ვითარცა კირჩხიბი ოდესმე წაღმართ ვალნ, და ოდესმე უკუღმართ და ვერ წარემართის, ეგრეთვე სული რომელი ოდესმე იცინოდის და ოდესმე ტიროდის, და ოდესმე იშვებდეს, ვერა რაჲ ირგოს მან.

*ქ.* ვითარცა მძინარისაგან წარპარვად რაჲსამე ადვილ

არს, ეგრეთვე რომელნი მახლობელ სოფლისა იყვნენ, ადვილად განიძარცვნენ საქმეთაგან კეთილთა.

*შდ.* ვითარცა რომელი ბრძავს ლომსა, უკეთუ უდებ ყოს წამ-ერთცა მოიკვლის, ეგრეთვე რომელი ხორცთა თვისთა ბრძოდის, უკეთუ განუსვენებდეს მათ იძლიოს მათ მიერ.

*შე.* ვითარცა რომელი რაჲ ადვიდოდის კიბესა გატეხილსა ბოროტი შეემთხვიოს მას, ეგრეთვე ყოველი პატივი და დიდება კაცობრივი წინააღმდეგომ არიან სიმდაბლისა.

*შვ.* ვითარცა შეუძლებელ არს თუმცა კაცსა მშიერსა არა მოეხსენებოდა პური, ეგრეთვე შეუძლებელ არს თვინიერ ხსენებისა სიკვდილისა და სასჯელისა – ცხოვრება.

*შზ.* ვითარცა წყალი აღხოცს წერილსა, ეგრეთვე ცრემლნი ცოდვათა.

*შთ.* ვითარცა რომელნიმე წერილნი წყლითა არა აღიხოცებიან და აღხოცთ მათ სხვითა რაითმე ღონითა, ეგრეთვე სულნი რომელთა არა აქვენ ცრემლნი, აღიხოცნიან იგინი სულთქმითა და გლოვითა და ურვითა დიდითა.

*შთ.* ვითარცა სკორემან განამრავლის მატლნი; ეგრეთვე სიმრავლემან საჭმელთამან განამრავლნის დაცემანი და გულის სიტყვანი ბოროტნი და შეგინებულნი.

*შხ.* ვითარცა რომლისა ფერხნი შეკრულ იყვნინ, ვერ შემძლებელ არიან სვლად, ეგრეთვე რომელი შეიკრებდეს საფასეთა, ზეცათა აღსვლად ვერ შემძლებელ არს.

*შჩ.* ვითარცა წყლული ახალი უადვილესად განიკურნების, ეგრეთვე დამძველებულნი წყლულებანი სულისანი ძნად განიკურნებიან, და შრომით დაღაცათუ განიკურნენ.

*შც.* ვითარცა შეუძლებელ არს მკვდრისა სვლა,

ეგრეთვე შეუძლებელ არს, რომელმან წარიკვეთოს სასოება ცხოვრებისა მისისა.

*ჩ.* ვითარცა რომელი იტყოდის თუ სარწმუნოება მაქვს მართალი და იქმოდის ცოდვასა, მსგავს არს იგი პირსა რომელსა არა აქვნიდინ თვალნი.

*ჩდ.* ჯომელსა არა აქვნი სარწმუნოება მართალი, და იქმნი მოღვაწეობასა, მსგავს არს კაცსა რომელი აღმოასხამნ წყალსა, და შთაასხამნ ჭურსა განხვრეტილსა.

*ჩფ.* ვითარცა ნავსა რომელსა აქვნიდეს მენავეთ მოძღვარი კეთილი მშვიდობით შევიდის ნავთსაყუდელად, ეგრეთვე სული რომელსა აქვნიდეს მწყემსი კეთილი, მშვიდობით აღვიდეს ზეცად, შეწევნითა ივთისათა, უკეთუ მორჩილ იყოს დაღაცათუ მრავალნი ცოდვანი ექმნიენ.

*ჩგ.* ვითარცა რომელი რად ვიდოდის გზასა უცნაურსა თვინიერ წინამძღვრისა ადვილად მოსცეთს, დაღაცათუ გონიერ იყოს, ეგრეთვე რომელი ხელმწიფებითა თავისა თვისისათა, და ნებასა ზედა თვისსა ვალნი, მონაზონებასა შინა პირველითგანვე ადვილად წარწყმდეს იგი, დაღაცათუ ყოვლისა სოფლისა სიბრძნე აქვნიდეს.

*ჩდ.* ოკეთუ ვინმე უძღური იყოს ხორციითა, და მრავალნი ცოდვანი ექმნიენ, გზასა სიმდაბლისასა და საქმეთა მისთასა ვიდოდინ, რამეთუ სხვებრ ცხოვრებასა ვერ ჰპოვებს.

*ჩე.* ვითარცა შეუძლებელ არს რათამცა მრავალ ჟამ დასწეულეზული ერთსა წამსა, პირველსავემცა ძალსა და სიმრთელესა მოვიდა, ეგრეთვე შეუძლებელ არს, თუმცა კაცმან ვნებულმან მეყსა შინა მოსპოლნა ვნებანი მისნი სრულიად.

*ჩფ.* ყოველსავე ვნებასა და სათნოებასა, რომელიცა გაქვნიდინ დაისწავლიდი საზომსა მისსა, და მარადის უმზირდი თუ, ოდეს აღორძნდების, ანუ ოდეს დამცირდების, და ესრეთ სცნა წარმართება და საზომი მისი.



*ჩხ.* ვითარცა რომელნი ოქროსა თიხად სცვალე-  
დენ დიდად დასჭირდების, ეგრეთვე რომელნი ხორციე-  
ლისა პატივისათვის სულიერთა სათნოებათა გამოაცხა-  
დებენ.

*ჩქ.* ყენდობა ცოდვათა მრავალთა მოიღეს მსწრაფლ,  
ხოლო უვნებელობა მსწრაფლ არავის მოუგის, ხოლო  
ამას ივთისა შეწევნა უხმს და სიგრძე ჟამთა, და შრომაჲ  
ფრიადი.

*ჩმ.* Ἰულის ხმა ვყოთ, თუ რომელნი მხეცნი, გინა  
ფრინველნი ბრძვანან ყანასა ჩვენსა ჟამსა თესვისასა, ანუ  
რომელნი ჟამსა აღმოცენებისასა, ანუ რომელნი ჟამსა მკი-  
სასა, რათა ჯეროვანდცა აღვმართნეთ მახენი და დაუდ-  
გნეთ საბრხენი.

*ა.* ვითარცა უჯერო არს, უკეთუ თავ-ქედი ვისმე  
ედვას და მოიკლას თავი თვისი, ეგრეთვე ბოროტ არს  
ვიდრე სიკვდილადმდე სასოებისა წარკვეთა.

*აა.* ვითარცა უშვერება არს უკეთუ ვინმე დაჰფ-  
ლას მამა თვისი, და მორაიქცეს დაფლვისა მისგან, მეყვ-  
სეულად ყოს ქორწილი, ეგრეთვე უჯერო არს მათდა  
რომელნი იგლოენ ცოდვათა თვისთათვის, რათამცა ემი-  
ებდეს ამას საწუთოსა კაცთაგან პატივსა, ანუ განსვენე-  
ბასა, ანუ დიდებასა.

*აჟ.* ვითარცა სხვა არს საყოფელი მთავართა, და  
სხვა არს დასჯილთა, ეგრეთვე უხმს შეცოდებულთ, რა-  
თა შეცვალებული საქმე და საყოფელი საჭიროჲ მოიგონ,  
და არა ვითარ იგი უცოდველთა.

*აჸ.* ვითარცა მხედარი რომლისა პირი მოწყლულ  
არნ ბრძოლასა შინა, არა უგულუბელს ყვის მეფემან,  
არამედ მისცის ნიჭი და პატივი, ეგრეთვე მონაზონი  
რომელსა ფრიადნი ჭირნი და განსაცდელნი თავს ესხნიან  
ბრძოლასა შინა ეშმაკთასა, გვირგვინოსან ყოს იგი მეუ-  
ფემან საუკუნემან ჴრისტემან გვირგვინითა მით სიხარუ-  
ლისათა.



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მძიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ელთა შთანთქმელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი **სიბე**

## ჩემული წმიდისა მამისა ჩვენისა იოანესი, დაყუ-

### დებისათვის ხორცთა და სულისა

#### ԳԵՐԻ ԸՆ

ჩამეთუ ჩვენ ვინათგან ვიქმნენით მონა არა წმი-  
დათა მათ ვნებათა და მორჩილ მათდა, ამისთვის  
მზაკვარებანიცა და მანქანებანი და საქმენი მათნი ვიცნით  
მცირედ რადმე, რომელნი იგი ეუფლნეს გლახაკსა ამას  
სულსა ჩვენსა სულნი ბოროტნი, Էოლო სხვანი არიან  
იგინი, რომელთა ძალითა სულისა Բმიდისათა, და მათ-  
განთა სრულიად განთავისუფლებითა იცნიან ღონენი  
მათნი. რამეთუ სხვა არს რომელი ტკივილთა მათგან და  
საღმობათა სენისათა გულის-ხმა-ჰყოფენ, თუ ვითარი  
განსვენება აქვს სიმრთელესა; და სხვა არს რომელი სი-  
ხარულისა მისგან სიმრთელისა მწუხარებასა მას სნეულე-  
ბისასა გულის-ხმა-ყოფს და გამოისახავს.

Էოლო აწ ჩვენ ვითარცა უძლურთა გვეშინის სიბრძ-  
ნის მეტყველება თქვენდა მიმართ, ნავთ-საყუდელისა მის-  
თვის დაყუდებისა. რამეთუ ვიცი ვითარმედ, ვითარცა  
ძალი რადგან ტაბლასა თანა და უმზირინ წარტაცებად  
პურისა, და თვისგან შეჭმად მისა; ეგრეთვე ეშმაკი დგას  
კრებულსა თანა კეთილსა ძმათა მორჩილთასა. და ისწრა-  
ფის რათამცა წარიტაცა მიერ სული მიზეზითა დაყუდე-  
ბისათა, და პოვამცა იგი მარტოდ თვინიერ შემწისა, და  
შეჭამა იგი. ამისთვისცა უკვე, რათა არა ვსცეთ მას ად-  
გილი ჩვენისა ამის სიტყვისა მიერ, და მიზეზ მათდა,  
რომელნი ეძიებენ მიზეზსა, აქამომდე არა ჯერ ვიჩინე  
თქმად მშვიდობისა და დაწყნარებისათვის ბრძოლასა ში-  
ნა მყოფთა მათ, ზეცისა Ժუეფისა მხედართა მიმართ.

გარნა ამას ოდენ ვიტყვით ვითარმედ, რომელნი კეთილად ბრძოდნან, მშვიდობისა და დაყუდებისა გვირგვინი განემზადებინ მათ, ხოლო აწ უკეთუ გნებავს მცირედი რამე ვსთქვათ გულის-ხმის-ყოფისა სახით, რათა არავინ ეწუხნეს, უკეთუ სრულიად გამოუძიებლად დაუტეოთ ამის პირისა სიტყვა.

ყ. ზაყუდება ხორცა არს, წესთა და საცნობელთა დაწყნარება; ხოლო დაყუდება სულისა არს, გულის სიტყვათა გულის-ხმის ყოფად, და გონება წარუპარველი.

ქ. უღლის-სიტყვა მხნე და ახოანი მოყვარე არს დაყუდებისა, რომელი იგი დგან კართა ზედა გულისათა დაუცადებელად, და დაუძინებელად, და მომავალთა მათ მტერთა რომელთამე მოაკვდინებნ, და რომელთამე იოტებნ.

შ. ჟომელი გულის-ხმის-ყოფითა გულისათა დაყუდებულიყოს, იცის მან თქმული ესე; ხოლო რომელი ჯერეთ ჩჩვილ-არს იგი უმეცარ არს ამას, და არა უხილავს გემოდ ამისი.

ჩ. ზაყუდებულისა გულის-ხმის-ყოფელისა, არა სახმარ არიან სიტყვანი; რამეთუ საქმეთა მიერ სიტყვათა თვისცა განათლდების.

ჩუ. ზასაბამი დაყუდებისა ესე არს, რათა ევლტოდის ხმათა და ამბოხებათაგან ერისათა, ვითარცა შემაშფოთებელთა გონებისათა; ხოლო დასასრული მისი ესე არს, რათა არა ეშინოდის თუმცა ამბოხებათა და ხმათა ერისათა შეაშფოთეს დაწყნარება მისი, არამედ იყოს ყოვლითურთ უვნებელ მათ შინა.

ხ. ჟომელი გულის-ხმის-ყოფად დაეყუდოს, განისწავლოს იგი, და იქმნას სახლ-სიყვარულისა, და იყოს იგი ყოვლითურთ ტკბილ და აღუძრველ სიტყვის გებისა მიმართ და გულის წყრომისა; ხოლო რომელი არა გულის-ხმის-ყოფად ჯდეს, ეგე ვითარი იქმნას მონა გულის-წყრომისა და ამპარტავანებისა.

ქ. ზაყუდებული იგი არს, რომელმან უხორცო იგი და უნივთო გონება შეაწყვიდოს, ნივთიერსა მას სენაკსა შინა, საკვირველი ესე საქმე და დიდი

მ. ოციეზ მარგარიტსა-მაძიებელი მისი; ხოლო მარგარიტსა მას უხილავსა, გონება დაყუდებულისა.

ნ. ესე შეურაცხად გიჩნ ზემო თქმული ესე იგავი, თუ არა ვერ გიცნობიეს ჯერეთ დაყუდება.

ო. წრა\* ესრეთ არს მონაზონი მარტო, ვითარ მონაზონი მონაზონსა თანა, რამეთუ მარტოსა დიდი სიფრთხილე უხმს და წარუპარველი გონება.

ი. სხვათა თანა მყოფსა მას მრავალ-გზის შეეწიის მოყვასი, ხოლო მარტოდ მყოფსა შეეწიოს წნგელოსი.

ი. საცნაურნი იგი ძალნი წნგელოსთანს შეეწევიან და იყოფებიან სულიერსა დაყუდებულსა თანა; ხოლო წინა-აღმდგომი ამისი დავიდუმო და არა ვიტყოდე.

კ. საღმრთოთა საქმეთა უფსკრული ღრმა არს; ხოლო გონება დაყუდებულისა იქცევის მას შინა.

ლ. წრათუ უცთომელ არს სამოსლითა ცურვა, და არა მშვიდობა არს ვნებულისა ივთის-მეტყველება.

მ. სენაკი დაყუდებულისა ზღუდე არს გვამისა, ხოლო გვამი დაყუდებულისა ზღუდე არ გონებისა, და შინაგან აქვს სახლი გულის-ხმის-ყოფისა.

ნ. ჯომელსა აქვნდეს ვნება, და სენი სულიერი, და ხელყოს დაყუდებასა; მსგავს არს კაცსა რომელმან გარდაიდის თავი თვისი ნავით გულსა ზღვისასა, და აქვს ხელთა მისთა ფიცარი მცირე, და ნებავენ უშრომელად ქვეყნად განსლვად.

---

\* იტყვის ნეტარ ესე ვითარმედ მარტოდ-მყოფობა ძნელი საქმე არს, რამეთუ სხვათა თანა მყოფსა უკეთუ წარრევიდოს აქვს კაცთაგან შეწევნა; ხოლო განშორებულსა უხმს დიდი სიფრთხილე, რათა არა დაეცეს, არამედ მარადის უფალსა ევედრებოდეს და შეიკრძალოს თავი თვისა; და მერმე იმერთმან რაჟამს იხილოს, ვითარმედ ესე ვითარი არს, მოსცეს მასცა შემწედ წნგელოსი.

71. ჰომელნიცა თიხათა ამათ ხორცთა ბრძვანან მათ თვის კეთილ არს თვისსა ჟამსა დაყუდება, უკეთუ წინამ-  
ძღვარიცა ყვეს, რამეთუ სრულიად მარტოებასა ანგე-  
ლოსებრი ძალი სახმარ არს.

72. ჩემი სიტყვა ჭეშმარიტთა დაყუდებულთათვის  
არს, რომელნი დაყუდებულ არიან სულით და ხორციით.

73. წაყუდებული მოწყინე იტყოდის ტყუილსა და  
აწვევდეს იგავით კაცთა, რათამცა გამოიყვანოს იგი და-  
ყუდებისაგან.

74. წაუტევის რად სენაკი თვისი და მიზეზობნ ეშ-  
მაკთა, და არა გულის ხმა ყოფენ ვითარმედ, რამეთუ  
თვით იგი ექმნა თავსა თვისსა ეშმაკ.

75. წიხილენ დაყუდებულნი, რომელთა მოტყინარე  
იგი ცეცხლებრ ღვთისა-მიმართ სურვილი მათი დაყუ-  
დებისა მიერ აღუსრულებელად აღასრულეს, და ცეც-  
ხლითა-ცეცხლი, და ტრფიალებითა-ტრფიალება, და  
სურვილითა-სურვილი შვეს მათ.

76. წაყუდებული ჭეშმარიტი სახე არს ანგელოსი-  
სა ქვეყანასა ზედა, და ქარტითა სურვილისა მათისათა,  
დაწერილითა მოსწრაფებისათა ლოცვა მისი განუთავი-  
სუფლებიეს, ყოვლისავე მცონარებისა და მოწყინებისა-  
გან.

77. წაყუდებული იგი არს, რომელი დადადებს  
ჭეშმარიტებით, ვითარმედ, *უღწხუდუყყო დაჲს უყო  
იყო ყოიზუდუ იძუიითა მარადის.*

78. წაყუდებული იგი არს, რომელმან სთქვა, ვი-  
თარმედ *ძი შიხინდუ ზე უყო იყო შიორიხიხი დაჲს.*

79. წახაშ საყვარელო კარი სენაკისა გვამითა, და  
კარი ენისა დაუხაშ სიტყვითა და კარი გულისა დაუ-  
ხაშ სულთა მათ ბოროტთა.

80. შყუდროებამან ზღვისამან, და სიციხემან მზისამან,  
გამოსცადოს მოთმინება მენავისა და ნაკლულევანებამან  
სახმართამან, მოთმინებაი დაყუდებულისა გამოაჩინოს.

ქი. შენავესა მოეწყინის რად ცურავნ წყალთა შინა; და დაყუდებული სულ მოკლე იქმნის, რა აღერიის სიმრავლესა.

ქიი. ნუ გეშინინ ოცნებათაგან და ხმათა, რამეთუ გლოამან შიში ამოა არა იცის, არცა შეძრწუნდების ოცნებათაგან.

ქიი. ჯომლისა გონებამან ისწავა ჭემმარიტი ლოცვა, იგი უფალსა პირისპირ ეტყვის, ვითარცა კაცი, რომელი ზრახვნ მეფესა ყურის-ყურ; და რომელი სიტყვით ოდენ ილოცავს ხორციელად, იგი მსგავს არს კაცსა, რომელი წინაშე ყოველთა მთავართასა შეუვრდებიან მეფესა; ხოლო რომელნი ერის კაცთა შორის არიან, იგი მსგავს არიან კაცთა ამბოხებასა შინა ყოვლისა ერისასა ევედრებოდინ მას.

ქიი. ოკეთუ ხელოვნება ესე კეთილად გისწავიეს, არა უმეცარ ხარ თქმულსა ამას.

ქიი. ზასჯედ მცველად გულის სიტყვათა შენთა. უკეთუ ოდენ იცი ცვა, და ხედევდ კეთილად და მაშინ სცნა თუ ვითარ, ანუ ოდეს, ანუ სადადო, ანუ რავდენნი შევლენან საყურძნესა შენსა პარვად.

ქიი. ჯაჟამს დაშვრე ხედვისაგან და მსტოვარებისა აღსდეგ და ილოცვედ, და დასჯედ საქმესავე შენსა ახოვნად.

ქიი. უნება ვისმე ფრიად გამოცდილსა ამის, პირისათვის წვლილადრე თქმად, გარნა შეშინდა: ნუ უკვე მუშაკსაცა დახსნილება მოატყვის, და რომელნი სურვიელ იყვნენ შესლვად ამას შინა სიტყვათა მათ ზარითა უკუნ-აქცინნეს.

ქიი. ჯომელი იტყოდის დაყუდებისათვის, წვლილად და გულის ხმის ყოფით: განრისხნებიან მას ზედა ეშმაკნი; რამეთუ ვერვინ გამოაცხადებს ესრეთ საძაგელეზასა მათსა, ვითარ იგი.

ქიი. ჯომელი მიწვენილ არს სრულებასა დაყუდე-





მიმართ; და არცა მეორეთა მათ, სახმრისა რასმე მიმართ კაცობრივისა, გინა თუ განსვენებისათვის ხორციელისა.

ჰდ. წრა ზრუნვენ ზეცისანი იგი მონაგებთა თვის; არცა ესენი უკეთურებისათვის და ბრძოლისა ეშმაკთასა.

ჰე. წრა არს ზეცისათა მათ თანა სურვილი დაბადებულთა მათ ხილულთა; და არცა ამათ თანა გულის თქმა პირებისა.

ჰვ. წრაოდეს დასცხრენ ზეცისანი იგი წარმართებად სიყვარულსა შინა ივთისასა; არცა ესენი დასცხრებიან ბაძვად მათდა.

ჰზ. წრა უცნაურ არს მათ მიერ სიმდიდრე წარმართებისა მათისა; არცა ამათ მიერ ტრფიალება ზეცად ამაღლებისა.

ჰთ. წრა დასცრებიან ზეცისანი, ვიდრემდის სერაბინთა თანა მიიწინენ; არცა ესენი ვიდრემდის ანგელოს იქმნენ.

ჰთ. ნეტარ არს, რომელსა აქვნდეს ამის საზომისა მიწთომად სასოება. სამგზის სანატრელ არს რომელი მიახლებულ იყოს, და ანგელოს არს რომელი მიწვევულ იყოს.

### წაყუდებისათვის თითო სახეთა

fi. უსეცა საცნაურ არს ყოველთა მიერ, ვითარმედ ყოველთავე საქმეთა და ხელოვნებათა შინა განყოფილებანი არიან, ნებათა და განზრახვათა და საზომთანი; რამეთუ არათუ ყოველთა აქვს სრული საზომი, არამედ სხვათა სრული აქვს, და სხვათა უდარესი, ანუ უძლურებისაგან მათისა, ანუ მცონარებისა, და ამისთვის არიან ამას საქმესაცა შინა განყოფილებანი. რამეთუ რომელნიმე შევლენ ნავთსაყუდელსა ამას, და უფროსად უფსკრულსა უძლურებისათვის ხორცთა და პირთა მათთასა და მძლავრებისათვის ჩვეულებათასა, რათამცა მოიწყვიდნეს იგინი, და სხვანი: რამეთუ მრისხანენი იყვნენ, და

ერსა შორის გულის-წყრომასა ვერ სძლევდეს უბადრუკნი; და სხვათა თვით რჩეულობისათვის მათისა და ზვაობისა ინებეს შესვლა ამას ზღვასა; და სხვანი ამისთვის შევიდეს ამას შინა, რამეთუ ვერ ეძლო ნივთთა შორის ყოფითა, ნივთთა განყენება; და სხვანი ამისთვის რათა მოსწრაფება მოიგონ მარტოებითა; და სხვათა ამისთვის აღირჩიეს ესე, რათა ფარულად ტანჯნენ თავნი თვისნი ცოდვათათვის; და სხვანი ამისთვის შევიდეს ამას შინა, რათა დიდება მოატყვან თავთა თვისთა კაცთაგან. ქოლო არიან სხვანი უკეთუ ოდენ მოვიდეს რა ძე კაცისა ქვეყანასა ზედა, და იპოვნენ ესე ვითარნი, რომელნი სურვილისათვის და წყურვილისა სიყვარულისა ჩვთისა შეეყვნენ ამას სანატრელსა, რაჟამს იგი, პირველ შესვლისა მას შინა, მისცეს ყოველსავე გულისსიტყვასა მოწყინებისასა, ხელთ წერილი განშორებისა, რამეთუ მოწყინებისა თანა ყოფა პირველისა მისგან განშორება არს.

*ჩრ.* სიბრძნისა ამისებრ მცირედისა, რომელი მომეცა ვითარცა უმეცარსა ხუროთ მოძღვარსა კიბე გამომიტლიეს, ხოლო აწ თითოეული ხედვიდინ თუ რომელსა ხარისხსა არს კიბისა მის დაყუდებულთასა.

*ჩყ.* უირველი კიბე არს თვით რჩეულობისათვის; მეორე დიდებისათვის კაცთასა; მესამე უძლურებისაგან ენისა; მეოთხე სილტოლვისათვის ნივთთასა; მეხუთე მძლავრებისათვის გულის წყრომისა; მეექვსე რათა თავნი თვისნი ტანჯნეს; მეშვიდე რათა მოსწრაფება მოიგონ; მერვე რათა ცეცხლსა ზედა ცეცხლი შესძინონ.

*ჩრ.* ყვიდნი იგი კიბენი, საქმენი არიან შვიდეულისა ამის საწუთოისანი, რომელნიმე კეთილ, და რომელნიმე ხენეშ, ხოლო მერვე მერმისა მის საუკუნოისა მომასწავებელი არს.

*ჩბ.* ომზირდი ჭი მონაზონო მარტოდ მყოფო ჟამსა მხეცთა მოსვლისასა, თვარა ვერ უძლო მახისა კეთილად დადგმად.

*ჩი.* ოკეთუ წარვიდა რომელმან იგი მიიღო ხელით წერილი განშორებისა, ნამეტნავ არს ხელთ-საქმარი, უკეთუ კულა ჯერეთ არა განყენებულ არს იგი, არა უწყი თუ ვითარ დავეყუდო.

*ჩიუ.* ჟაისთვის არა გამოსჩნდეს წმიდათა მათ ტაბენ-ესელთაგან ეგოდენნი მნათობნი, ვითარ იგი გამოჩნდეს სკიტელთაგან, რომელი გულის-ხმა-ყოფს გულის-ხმა-ყავნ რამეთუ მე თქმა არა ძალ მიცს, და უფროსდა არა მნე-ბავნ.

*ჩხ.* ჟომელნიმე ვნებათა ბრძოლითა, და წინააღმდეგომითა; და რომელნიმე გალობითა, და უმეტესსა ჟამსა ფსალმუნებასა შინა ყოფითა; და რომელნიმე ლოცვასა შინა დგომითა; და სხვანი ხედვასა შინა ყოფითა, გარდაიხდიან ჟამთა მათთა ამათ სახეთაებრ. – გამოიძიეთ ზემო თქმულიცა, და რომელი გულის-ხმა-ყოფს ოფლისა მიერ, გულის-ხმა-ყავნ.

*ჩქ.* ორიან სულნი უდებნი, რომელი შევიდეს რაჲ კრებულსა მონასტრისასა, და პოეს ფართოებით ჭამადი თანა-შემწედ დახსნილობისა მათისა, და სრულიად წარსაწყმედელად მოვიდეს; და არიან სხვანი რომელთა თვისი დახსნილობა სხვათა თანა ყოფითა აღიძარცვეს და არათუ ოდენ უდებთა ზედა, არამედ მოსწრაფეთაცაზედა მრავალ გზის ესრეთვე იქმნა.

*ჩლ.* ომასვე კანონსა დაყუდებისა თვისცა ვიტყვით ვითარმედ მრავალნი გამოცდილნი შეიწყნარნა და გამოუცდელ ყვნა და თვით-რჩულობისა მიერ გამოაჩინა გემოთ მოყვარება მათი, და სხვანი მიიხვნა, და შიშითა და ზრუნვითა თვისსა სასჯელთა ტვირთვისათვის მოსწრაფე და მხურვალე ყვნა იგინი.

*ა.* ჩუმცა ვინ ძლეული გულის წყრომისაგან და სიმაღლისა, ორგულებისა და ძვირის-ხსენებისა ეძიებს ხილვა კვალსა დაყუდებისასა: ნუ უკვე გონება ცთომილება ოდენ შეიძინოს, ხოლო რომელი ამათგან წმიდა

არს, მან თვით ცნას უმჯობესი, და ვგონებ თუ, ყოველივე ვერცა მან.

აჲ. ჟომელნი ჯერისაებრ აღსარულებდენ დაყუდებასა, სასწაულნი მათნი ესე არიან; გონება დაუძინებელი, გულის წმიდა, აღტაცება ივთისა მიმართ, წინაშე თვალთა ქონება სასჯელისა, ხსენება სიკვდილისა, განუძღომელობა ლოცვისა, დაცვა წარუპარველი, მოკვდინება სიძვისა, უცნაურობა ცუდის სიყვარულისა, სიკვდილი სოფლისაგან, სიძულვილი ნაყროვანებისა; მიზეზი ივთისმეტყველებისა, წყარო გულის-ხმის-ყოფისა, ცრემლი სამარადისო, წარწყმედა მრავლის-მეტყველებისა-და სხვა მსგავსი ამათი, რომელთა სიმრავლე წინა-აღუდგების რე; ხოლო რომელნი არა ჯერისაებრ აღსარულებდენ მას, ესე არს სიგლახაკისა მათისა სახე, აღორძინება გულის წყრომისა, დაუნჯება ძვირის ხსენებისა. სიყვარულისა განქარვება, სიმაღლისა შემატება, და შემდგომი\* ამის დავიდუმო.

აჲ. წინადგან მოიწია სიტყვა ესე ვითარისათვის, კეთილ არს რათა მორჩილთა თვისცა ჭეშმარიტთა ვსთქვათ, თუ რაჲ არიან სახენი მათნი და სასწაულნი, რამეთუ უფროსად მათდა მიმართ არს სიტყვა.

აჲ. ჟომელნი სჯულიერად და კეთილად და ჯეროვნად იყვნენ მორჩილებასა შინა, სასწაულნი მათნი ესე არიან სიტყვისაებრ წმიდათა შამათასა, სიმდაბლისა მის ახალთასა, დღითი დღე აღორძინება, გულის წყრომისა მოუძღურება, სიბნელისა უჩინო ყოფა, ვნებათაგან ხსნა, სიძულილისაგან განთავისუფლება, მხილებათაგან და კდემათა გულის თქმისა აღხოცა, მოწყინებისა უმეცრება, მოსწრაფებისა განმრავლება; სიყვარული წყალობისა, უცხოება ამპარტავანებისაგან, რომელი ესე ყოველთა

---

\* შემდგომი ამათი ვითარ მე ვგონებ, არს დაცემა ხორციელსა ცოდვასა შინა, ანუ წარწყმედა გონებისა და განცოფებაი, რამეთუ ესენი არიან ამპარტავანებისა ნაშობნი, ვითარ იგი გამოხატა.

მიერ საძიებელ-არს და მცირედთა მიერ იპოების.

აბ. ჯ აჟამს წყალი არა იყოს, წყაროსა შინა სახელი ამაო არს, და შემდგომი ამისი გულის-ხმა-ყოფიეს გონიერთა.

აჟ. სულმან რომელმან არა დაიმარხოს აღთქმა რომელი ექმნა ოფლისა მიმართ, მან შეაგინოს თავი თვისი, და ესე საქმენი შეუდგენ მას ბილწებისანი: დავიწყება სიკვდილისა, უძღებება მუცლისა ვერ დამჭირვა თვალთა, მუშაკობა მზვანობისა, განუძღომელობა ძილისა, გულფიცხელობა, უღმობელობა, საუნჯე გულის სიტყვათა ბოროტთა, განმრავლება ვნებათა, ტყვეობა გულისა, სიმრავლე შფოთისა, ურჩება, მაცილობლობა, სიყვარული ცუდი, ურწმუნობა, უჯერობა, მრავლის-მეტყველება, კადნიერება – ყოველთა უბოროტესი; და ყოველთა უძვირესი, გულფიცხელობა, რომელსა შეუდგეს უშიშობა ღვთისა, რომელ ესე დედა არს ყოველთავე დაცემათა და ვნებათა.

აჟჟ. ზაყუდებულთა\* ხუთნი ბრძვანან რვათაგან, ხოლო მორჩილებასა შინა მყოფთა სამნი.

აბ. ზაყუდებულსა რომელსა მძლავრობდეს მოწყინება, დიდად დასჭირდეს რამეთუ ჟამნი ლოცვისა და ხედვისანი წარაგნეს მისსა ბრძოლასა შინა.

აჟ. შომეწყინა ოდესმე სენაკსა შინა ჩემსა ყოფა და სულ-მოკლე ვიქმენ, ვიდრეღა მენება დატევება მისი, და ვითარ მენება მიერ გამოსვლა, მოვიდეს კაცნი ვინმე, და ვითარცა დაყუდებულსა მნატრიდეს, და მეყვსეულად წარიდევნა გულის სიტყვა იგი მოწყინებისა, ცუდად მზვანობისა მიერ, და დამიკვირდა თუ ვითარ ყოველთავე ეშმაკთა სძლევს კუროს-თავს მსგავსი იგი ზვანობისა ეშმაკი.

\* ზაყუდებულთა ბრძვანან ცეცხლის მოყვარება, მოწყინება, მწუხარება, რისხვა და ამპარტავანება. ჰოლო კრებულსა შინა მყოფთა: ნაყროვანება, სიძვა და ზვანობა.

აჟ. შაიდევ გონებასა შენსა ყოველსა ჟამსა განც-  
დად სასწორისა შენისა; თუ ვინაჲ მიდრკების, და მოქ-  
ცევისა ჟამსა, და კვალად მიდრეკისა ჟამსა და განსწო-  
რებასა, და იხილე თუ, ვიდრე და ვინა უფროს იყოს  
მიდრეკილება და ძლევა. *ჟოლო რომელსა მოეგოს სუ-  
ლისა-წმიდისა მიერ მყუდროება, იცის მან თქმული  
ესე.*

აჟ. საქმე დაყუდებისა ყოვლისა პირველად არს უზ-  
რუნველობა საქმეთა ჯეროათაცა და უჯეროთა, რამე-  
თუ რომელი პირველთა მათ განუღებდეს კარსა, უეჭვე-  
ლად მეორეთა მიერ შეპყრობილ იქმნას. ხოლო მეორედ  
საქმე დაყუდებისა ლოცვა განშორებული ყოვლისაგან  
უღებობისა; მესამედ ხედვა გულის წარუპარველი.

აჟ. ღითარცა შეუძლებელ არს რათამცა რომელსა  
არა ესწავა შეტყვება ასოთა, და იგიცა იკითხვიდა წიგნ-  
თა; ეგრეთვე შეუძლებელ არს, რათამცა რომელთა პირ-  
ველი იგი არა მოეგო, შემდგომთა ამათ ორთამცა იქმო-  
დეს ჯეროვნად.

აჟ. ღიყავ\* რად საშუალსა შინა საშუალთა-თანა

\* თარგმანი. საშვალ ზოცვასა იტყვის, რამეთუ საშვალ არს  
იგი დაყუდებისა, და საღმრთოსა ხედვისა; და იტყვის ნეტარი ესე მამა  
იოანე, ვითარმედ საშვალსა რად ვიყავ, რომელ არს ზოცვად საშუალთა-  
თანა მივიწიე რომელ არიან *წნგელოსნი*, რამეთუ საშუალნი არიან იგ-  
ინი *ივთისა* და *კაცთა*, და განმანათლებდეს წყურიელსაო, ესე იგი არს  
ვითარმედ, რომელთაცა საქმეთა ცნობად მწყუროდა და მსუროდა განმანა-  
თლებდეს გამოცხადებითა მათითა; *ღკითხე* უკვე თუ ვითარ იყო პირველ  
ხილულისა *შისისა-ფერისა*, ესე იგი არს, ვითარმედ პირველ *ღანკაცები-*  
*სა*, ვითარითა სახითა იყო *ღრისტე*. – ხოლო ამის საქმისა იგიცა იგი  
*წნგელოსი*, რომელი მეტყოდა, ვერ შემძლებელიყო თხრობად; რამეთუ  
სახე *ივთებისა* არცა თუ *წნგელოსთა* იციან, არამედ არცა მთავარსა  
ჰსუროდაო; ამას იტყვის ვითარმედ დადაცათუ ვკითხე, არამედ არავე უნ-  
და მთავარსა, რომელ არს გონება, ცნობად ესე ვითარისა საქმისა, ხოლო  
იტყვის ვითარმედ და აწ ვითარ არს, ესე იგი არს, ვითარმედ რაჟამს  
პირველი იგი კითხვა ვერ ამიხსნა მერმე ვკითხე და აწ ვითარ არს,

მივიწიე, და განანმათლებდეს წყურიელსა, და აჰა ესერა მათვე შორის ვიყავ, და თუ რად იყო პირველ ხილული-სა მის ფერისა მისისა სწავლად ვერ-ემლო. რამეთუ არცა სუროდა მთავარსა მას; ხოლო თუ აწ ვითარ არს ვკითხევდი ცნობად, და მეტყოდა მე ვითარმედ თვისთა შინა არს, არამედ *ძიძე ძძუთი ყური*. ხოლო მე ვიტყო-დი, ვითარმედ რად არს მარჯულ-დგომა დაჯდომა მი-ზეზისა მის. და იტყოდა ვითარმედ შეუძლებელ არს ამი-სი სასმენელთა მიმართ თქმად: ხოლო მე რომლისა მი-მართ მსუროდა ვკითხე რად, იტყოდა ვითარმედ, არღა მოწევნულ არს ჟამი სმენად ესე ვითარისა ნაკლულევა-ნებისათვის ცეცხლისა მის უხრწნელებისა, ესე გინათუ მიწასა ამას თანა იყო არავიცი, გინათუ თვინიერ ამისა, ყოვლადვე უმეცარ ვარ.

ჴრისტე: ხოლო მან მრქვა ვითარმედ თვისთა შინა არს, ესე იგი არს, ვითარმედ ორითა მით ბუნებითა, ღმერთი სრული და კაცი სრული, არამედ არა ამათ შინაო, ესე იგი არს ვითარმედ არა ამათ ესე ვითართა მოკვდავთა და გახრწნადთა ხორცთა შინა არს, ვითარ პირველ ჯვარცმი-სა იყო, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული, ვითარმედ დაღაცათუ ვიცო-დეთ ჴრისტე ხორციელად, ვითარმედ ჴამდა და სმიდა, გარნა არღარა ესრეთ უწყით, ესე იგი არს ვითარმედ დაღაცათუ პირველ განხრწადნი და ზრქელნი ხორცნი ემოსნეს, არამედ აწ არღარა ეგრეთ არს, რამეთუ ხორცნი რომელნი აწ ოფალსა ქონან უხრწნელ-არიან.

ზვალად უკვე იტყვის ნეტარი ესე ვითარმედ მკითხველ თუ რად არს მარჯვენით დგომა და ჯდომა მიზეზისა: ესე იგი არს ვითარმედ ვკითხე, თუ ვითარ მახარებელი იტყვის ოფლისათვის თუ დაჯდა მარჯვენით ივთისა? ხოლო სტეფანე, მდგომარე იხილა იგი მარჯვენით ძლიერე-ბისა. და თქვა წნგელსმანო თუ არცა ამისისა გამოცხადებისა ჟამი მო-წევნულ-არს ნაკლულევანებისა-თვის: ცეცხლისა მის უხრწნელებისა? ესე იგი არს ვითარმედ ამისთვის რამეთუ ჯერეთ მოკვდავთა ხორცთა შინა ხარ და არღა მიწევნულ-ხარ უხრწნელებასა.

ესე ყოველი იხილა მამან ოთანე, და იტყვის ვითარმედ გინათუ მიწი-სა ამის ხორცითა ვიხილე გინათუ ხორცთაგან აღტაცებულ ვიქმენ, და ეგრეთ ვიხილე: არა უწყი იმერთმან უწყის.



აჟ. შიძიმე არს განგდება ძილითა მას შუადლისასა, და უფროსად ზაფხულისა დღეთა, და მაშინ ოდენ კეთილ არს ხელთ საქმარი.

აბ. ღიხილე ეშმაკი მოწყინებისა, რამეთუ უსწრობს და წინა ურბის ეშმაკსა სიძვისასა, რათამცა დახსნა ხორცნი და დანთქნა ძილითა, და ესრეთ ბილწებანი მოაწინა დაყუდებულთა ზედა.

აჟ. ოკეთუ წინააღუდგე მათ ძლიერად გებრძოდინ შენ ფიცხლად, რათამცა სთქვ არა რად სარგებელ მეყოფის, და ესრეთმცა დასცხერ მოღვაწებისაგან, გარნა მხნე იყავ; რამეთუ არა რად ესრეთ გამოაჩინებს ეშმაკთა ძლეულებასა, ვითარ მათ მიერნი ჩვენდა მომართ ბრძოლანი.

აჟ. ღამსა სენაკით შენით განსვლისასა, დაიცევ ძლიერად სენაკსა შინა შეკრებული, რამეთუ რაჟამს კარი განელოს შეყენებულნი იგი ფრინველნი მსწრაფლ ივლტოდენ, და სარგებელი დაყუდებისა უჩინო იქმნეს.

აბ. ღმა მცირე შეამრღვევს თვალსა, და ზრუნვა მცირე გარყვნის დაყუდებასა; რამეთუ დაყუდება შემოკრება არს გონებისა, და განშორება ჯეროვანთაცა ზრუნვათა და საურავთა.

აჟ. ჟომელსა მოუპოებიეს ჭემმარიტი დაყუდება, ეგე ვითარი არცა ხორცთა თვისთა თვის ზრუნავს, რამეთუ უტყუველ არს, რომელმან იგი აღუთქვა.

აჟ. ჟომელსა ენებოს გონებისა თვისისა წმიდად წარდგინება წინაშე ოფლისა და განამრავლებდეს ზრუნვათა, მსგავს არს კაცსა რომელმან შეიკრნის ფერხნი თვისნი მაგრად, და ენების მალიად სირბილი.

ა. ოტყვიან ვიეთნიმე ვითარმედ ძნელ არს ყოვლისავე საფილოსოფოსოსა სწავლისა დასწავლაჲ, და მცირედნი იპოებიან; ხოლო მე ვიტყვი, ვითარმედ ფრიად უძნელეს არს, და მცირედნი იპოებიან, რომელთა იციან სიბრძნე იგი დაყუდებისა.

აღ. ჟომელსა იმერთი არა ეცნოს ვითარცა ჯერ არს, იგი დაყუდებასა შინა გამოუცდელ არს სრულიად, და მრავალნი ღელვანი მოიწინენ მის ზედა.

აყ. ზაყუდება გამოუცდელთა აჭირვებს, რამეთუ ვინაითგან გემო სიტკბოებისა ივთისა, არა ეხილვის მოწყინებითა და წარტყვენითა, და თვითო სახითა გულის სიტყვათა გარდაიხადნის ჟამნი თვისნი.

აღ. რომელსა\* ეხილვოს სიკეთე იგი ლოცვისა ივლტოდის სიმრავლისაგან, ვითარცა ღანჯარი, რამეთუ ვინ განკურნა სხვაგან განველურებული იგი კანჯარი, გარნა ლოცვამან.

აბ. ჟომლისადა ვნებანი უფლებულ იყვნენ, იგი მათითა წვრთითა იყოფების უდაბნოსა შინა, ვითარცა მითხრობდა ბერი წმიდა, 'ლიორგის ვიტყვი წრსელაელსა, რომელსა შენიცა პატიოსნება არა უმეცარ არს, იგი ასწავლიდა გლახაკსა ამას სულსა ჩემსა დაყუდებისათვის და იტყოდა, ვითარმედ დავიდევ გონებასა ჩემსა განცდად, და ვიხილენ განთიად მზვობრობისა და გულის თქმისა ეშმაკნი მომავალად, და შუა-დღე მოწყინებისა და მწუხარებისა და მრისხანებისა, ხოლო მწუხრსა მოიწინოი სკორის მოყვარენი იგი ნაყროვანებისა ეშმაკნი.

აჟ. ომჯობეს არს მოწაფე გლახაკი დაყუდებულსა, ზრუნვასა შინა მყოფსა.

აჟ. ჟომელი დაყუდებულ იყოს და დღითი დღე არა გულის ხმა ყოფდეს სარგებელსა, უწყოდეთ ვითარმედ, ანუ არა იქმს საქმეთა დაყუდებისათა, ანუ წარიტყვენვის ამპარტავანებისაგან.

აბ. ზაყუდება არს მოუწყვედელად წინაშე ივთისა დგომა მსახურება მისი.

---

\* რამეთუ ლოცვა ზანილისი შეეხო ნაბუქოდონოსორს, და განკურნა იგი ვითარცა კანჯარი ველურ ქმნილი, და ამისთვის იტყვის ამას ნეტარი ესე.

41. წსენება ოფლისა Ἰესოსი ეგრეთ დაადგერინ შენთანა, ვითარცა ფშვინვა შენი, და მაშინ სცნა სარგებელი დაყუდებისა.

42. შაცემა მოწაფისა თვისი ნება არს, და დაყუდებულისა ლოცვისა გახრწევა.

43. ოკეთუ გიხაროდის სტუმართ მოსვლისათვის, უწყოდე ვითარმედ მოწყინებისადა შეყოფილ ხარ, და არა ივთისადა.

44. სახედ ლოცვისა გაქვნიდინ ქვრივი იგი ჭირვეული მოსაჯულისაგან მისისა, ხოლო სახე დაყუდებისა არს დიდი იგი და ანგელოსთა სწორი დაყუდებული არსენი.

45. Ἰხსენებდ ჰი მარტოდ მყოფო ანგელოსისა ამის დაყუდებულისა საქმესა, და იხილე რამეთუ მრავალ გზის მისდა მოსრულნიცა გარე მიაქცინნის, რათა არა უდიდესი წარწყმიდოს.

46. Ἰიხილენ ეშმაკნი რომელნი ჯერისაებრ დაყუდებულთა თანა მიავლინედ მიმომავალთა, და უდებთა მონაზონთა, რათამცა მუშაკნი იგი სათნოებისანი, ამით სახითა მცირედ რამე დააბრკოლნეს.

47. შაისწავენ ესე ვითარი ჰი ჭეშმარიტო დაყუდებულო, და ნუ რიდებ შეწუხებად ივთის-მოშიშებით, ნუ უკვე ჰრცხვენესცა, და დასცხრენ მიმოსლვისაგან.

48. Ἰკრძალე ნუ უკვე ზემო თქმულისა ამის სახისათვის შეაწუხო სული ამაოდ, რომელი მოვიდოდის შენდა წყურიელი აღმოვსებად წყლისა გარნა ყოველსავე შინა სათელი იგი გულის-ხმის-ყოფისა სახმარ არს შენდა.

49. ცხოვრება დაყუდებულთა, და უფროსდა ყოველთავე მონაზონთა გულის ხმის ყოფით, და სვინიდისისა წამებითა იყავნ.

50. ჰომელი წესიერად იყოფებოდის, მან ყოველნივე საქმენი თვისნი და სიტყვანი და გულის ზრახვანი

და აღძრვანნი ნებისსაებრ ოფლისა ქმნეს, და ოფლისა თვის გულის ხმის ყოფითა სულისათა, და ხედვითა პირისა უფლისათა, უკეთუ კულა სცთებოდის, არა სადმე წესისაებრ იყოფების.

ჟი. ოცვის წინასწარმეტყველი ვითარმედ *επιου-  
πια ηυειουαι ηυηη ηηη*, ხოლო მე ვიტყვი ვითარმედ მიუთხრა ნება ჩემი ლოცვისა მიერ ოფალსა და მისგან მოვილო გულსავსება.

ჟთ. სარწმუნოება ფრთე არს ლოცვისა, რამეთუ იგი არა აქვდეს, კვალად წითლადვე ჩვენდა მოიქცეს.

ჟი. სარწმუნოება არს დგომა სულისა შეუორგულე-ბელად, და რათა არცა ერთისა წინააღმდგომისა ქარისაგან შეირყოს.

ჟი. შორწმუნე არათუ იგი არს, რომელსა რწმენეს თუ იმერთსა ესე ძალუმს, არამედ რომელსა რწმენეს თუ უეჭველად მომეცეს თხოვა ჩემი.

ჟი. სარწმუნოება მომატყვებელი არს უსასოთა საქმეთა, და ესე ავაზაკმან გამოაჩინა.

ჟი. ზედა სარწმუნოებისა არს მოსწრაფება და გულწრფელი, რამეთუ ერთი იგი შეუორგულეებელს ყოფს, ხოლო მეორე საქმით აღასრულებს თხოვასა.

ჟი. ზაყუდებულთა დედა სარწმუნოება არს, რამეთუ უკეთუ არა რწმენეს ვითარ დაეყუდოს კეთილად.

ჟი. ჯომელი დილეგსა შინა შეკრულ არიან შიშისაგან მსაჯულისა ძრწის, ხოლო რომელი სენაკსა შინა დაყუდებულ იყოს იგი შიშისაგან უფლისა განილევის.

ჟი. ლრა ესრეთ ემინინ პირველსა სამსჯავროდსაგან, ვითარ მეორესა მას ჴრისტეს სასჯელისაგან.

ჟი. ყიში ოფლისა ძლიერად მოიგე დაყუდებასა შინა ზი საყვარელო, რამეთუ ვერა რად ესრეთ განსდევნის მოწყინებასა ვითარ იგი.

ჟი. ჟედავნი დასჯილი საპყრობილესა შინა თუ ოდ-

ეს მოვიდეს მსაჯული, ხოლო ჭეშმარიტი დაყუდებული  
თუ ოდეს მოვიდეს სიკვდილი.

ძით. ყვერულ არს პირველი იგი მწუხარებითა, და  
მეორე ესე წყაროდთა ცრემლთათა.

ძიუ. ოკეთუ მოიგო მოთმინებისა კვერთხი განგე-  
შორნენ შენ მოწყინებისა ძალნი.

ძიუ. შოთმინება ძარღვი არს და ძალი სულისა,  
რომელი ჭირთა და ბრძოლათაგან არა დაეცემის.

ძიუ. შოთმინე მუშაკი არს დაუცემელი და თუ დაე-  
ცეს დაცემითაცა სძლევეს.

ძიუ. შოთმინება მოლოდება არს მარადლე განსაც-  
დელთა.

ძიუ. შოთმინება მომწყვედელი არს მიზეზთა, და  
კრძალვა თავისა თვისისა.

ძიუ. ჩითარცა საჭიროდ უხმს ბუნებასა ამას საზრ-  
დელი, ეგრეთვე დაყუდებულსა მოთმინება.

ძიუ. შეორე ესე მიზეზი არს გვირგვინოსნობისა,  
ხოლო პირველი მრავალ გზის იქმნის მიზეზ ვნებათა.

ძიუ. შონაზონი პირველ დაფლვისა მომკვდარ არს,  
და საფლავი მისი არს სენაკი მისი.

ძიუ. შოთმინება შვის სასოებამან და გლოამან, რა-  
მეთუ რომელი ამათ ორთაგან კიდე არს, იგი. მონა არს  
მოწყინებისა.

ძიუ. ოწყება ჯერ არს ქრისტეს მხედარისა, თუ  
რომელთა მტერთა შორით უხმს ოტება, ანუ რომელთა  
მოშვება და ხელის ხელ ბრძოლა.

ძიუ. ოდესმე ბრძოლამან გვირგვინი მოატყვის, და  
ოდესმე ბრძოლისაგან ჯმნამან გამოუცდელ-ყვის კაცი.

ძიუ. სიტყვით ამათ წესთა სწავლა არა იქმნების,  
რამეთუ არათუ ყოველნი ერთსა ზედა ვართ, ანუ სწო-  
რად გვაქვს ბრძოლა.

ძიუ. ერთსა\* ვნებათაგანსა უმზირდი მარადის, რა-

---

\* სიძვისა ეშმაცსა იტყვის.



ნებელნი; ნუ უკვე შემდგომად საფუძვლის დადებისა, იქმნეს საცინელ მტერთა მისთა, და დამაბრკოლებელ სხვათა მუშაკთა მოქმედთა კეთილისათა.

*ძიქზ.* ოსტის-ხმა-ყავ კეთილად მომავალი შენდა ჟამსა დაყუდებისასა სიტკბოება, ნუ უკვე მკურნალთაგან მწარეთა და უფროსდა მტერთაგან მკვლელთა იყოს.

*ძიქი.* იამით უმეტესი ჟამი ლოცვასა მიეც, და მცირედი ფსალმუნებასა, ხოლო კვალად დღისი ძალისა შენისაებრ განაგებდი.

*ძიქთ.* ზიგნის კითხვაჲ არა მცირედ შეკრებს და განანათლებს გონებასა, რამეთუ სიტყვანი არიან სულისა ზმიდასანი, და მკითხველთა მისთა განამტკიცებენ.

*ძიქთ.* სათნოებათა თვის და ვნებათა თქმულთა წიგნთა იკითხვედი, და ყოველი რავდენი ცხოვრებასა შენსა ასწავლის, რათა კეთილად შემოკრებს გონებასა შენსა.

*ძიქრ.* შრომათაგან ეძიებდ პოვნად სიტყვათა მათ ცხოვრებისათა უფროსდა ვიდრეღა წიგნთაგან.

*ძიქყ.* ოსტება ცთომილთა\* მათ თქმულთა და სიტყვათა, პირველ დიდისა სისრულისა ნუ იკითხავ, რამეთუ ბნელისა სიტყვანი არიან იგინი და უძლურთა დააბნელებენ.

*ძიქრ.* სასმელითა ერთითა იცნობების გემო ღვინისა, და ერთითა სიტყვითა საცნაურ იქმნების მეცნიერთა მიერ მოძღვართა, დაყუდებულისა ყოველივე შინაგანი საქმე.

*ძიქდ.* ობრძოლე ყოვლითა ძალითა შენითა ზვაობასა, რამეთუ არა რად არს მისა უძვირესად წარმპარველ გონებისა.

*ძიქრ.* ოკრძალე ენასა შენსა, განრახვიდე სენაკით შენით, რამეთუ მსწრაფლ განაბნინის მან შრომანი მრავალნი.

*ძიქრ.* ოშარტივი მოიგე ცხოვრება, რამეთუ შეაგი-

\* ოსტება ცთომილად მწვალელებელთა წიგნებსა იტყვის.

ნებს დაყუდებასა გვლარმნილება.

*ძრბ.* ჟომელნი მოვიდენ შენდა დაუგე მათ, რომელიცა ჯერ-იყოს ხორციელი, გინათუ სულიერი.

*ძრბ.* ოკეთუ უბრძანეს ჩვენსა იყვნენ დუმილით სიბრძნე ვაჩვენოთ, უკეთუ კულა სწორნი იყვნენ ზომით კარი განვადოთ, გარნა კეთილ არს რათა ყოველნივე უადრეს ჩვენსა შეგვერაცხნეს.

*ძრბ.* ძალი მეფისა არს სიმრავლე ერისა და საფასეთა, და ძალი დაყუდებულთა ლოცვა ფრიადი.

*ძშ.* ჴითარცა სიტყვით წინააღმდგომ არიან აღსარება წმიდისა და დაუბადებელისა, და თაყვანის-საცემელისა სამებისა, და კვალად ხორციელისა განგებულებისა ერთისა მის წმიდისავე სამებისა; რამეთუ რომელი მუნ განყოფილად ითქმის აქა ერთად ითქმის, და რომელი მუნ ერთად ითქმის აქა განყოფილად, რამეთუ მუნ ვიტყვით სამთა გვამთა და ერთსა ბუნებასა, და აქა ერთსა გვამსა და ორთა ბუნებათა; ეგრეთვე უკვე სხვანი საქმენი არიან დაყუდებისანი, და სხვანი მორჩილებისანი.

*ძშ.* მზიდა წინასწარმეტყველი, და წმიდა მოციქული იტყვიან ვითარმედ *ჴიჩი უჩი უსაჩიყუც ოჴიარსა;* ხოლო მე ვიტყვი ვითარმედ ვინ ცნა გონება კაცისა ჴემმარიტად ხორციითა და სულითა დაყუდებულისა ძალითა ოფლისათა, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**შეფის ძლიერებას შუადგენს სიმდიდრე და მრავალნი ქვეშევრდომნი; და ეგრეთვე ძლიერებასა დაყუდებულისასა სიუხვე ლოცვისა.**



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მიიმენი და **ჩაე** განგისვენო თქვენ



ვლთა შთანთქმული ჯოჯოხეთი      სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე



ნება წყლულებათა თქვენთა, *ძეძიჲთაჲ აქიჲთაჲ იჲჲ*  
*ქეყრა დაჲს*, და ცოდვისა სენთა დიდთა მკურნალ.

ბ. ჯავდენნიცა მივალთ შემთხვევად ივთისა და  
მეუფისა ჩვენისა, ნუმცა ვიქმთ განუმზადებელად სლვასა  
მას, ნუ უკვე გვიხილნეს ჩვენ შორით უჭურველნი, და  
შიშველნი სამკაულისაგან სამეუფოსა და უბრძანოს მსა-  
ხურთა შორს მისთა განძება ჩვენი პირისაგან მისისა შეკ-  
რულნი: და წიგნი იგი სავედრებელნი ჩვენნი დახეულ-  
ნი პირადვე ჩვენდა მოიქცენ.

გ. შიხვიდოდი რად წინაშე ოფლისა წარდგომად,  
იყავნ სამოსელი სულისა შენისა საქუსლითა მით ძვირ-  
უხსნელობისათა მოქსოვილი თვარა ვერა რად ირგო  
ლოცვისა მისგან.

დ. იყავნ ყოველივე თხოვა შენი გონებითა მდაბლი-  
თა, რამეთუ მეზვერე იგი და უძღები ერთითა სიტყვითა  
სათნო ეყვნეს იმერთსა.

ე. ერთი სახე აქვს წარდგომასა მას ლოცვასა შინა  
წინაშე ივთისა, არამედ მრავალნი განყოფილებანი, და  
თვითო სახეობანი არიან მისნი.

ვ. ჯომელნიმე ვითარცა მეგობარსა და შუეუფესა  
ეტყვიან სხვათა მეოხებისათვის, და არღარა თავთა თვის-  
თა თვის; სხვანი დიდებისა და სიმდიდრეთა სულიერსა,  
და კადნიერებასა უმეტესსა ითხოვენ; სხვანი განრომად  
წინა მოსაჯულისა მათისაგან ევედრებიან; სხვანი პატივ-  
სა მოღებასა ეძიებენ; სხვანი სრულიად განთავისუფლე-  
ბასა თანა ნადებისა მათისაგან ილოცვენ; და სხვანი საპყ-  
რობილით ხსნისათვის, და სხვანი ცოდვათა შენდობი-  
სათვის შეუვრდებიან.

ზ. ყოვლისა უპირატეს ქარტასა მას შინა ვედრები-  
სა ჩვენისასა მადლობა დავაწესოთ, და მეორედ აღსარე-  
ბად და შემუსრვა გულისა გულის-ხმის-ყოფით, დაეს-  
რეთლა თხოვად ჩვენი ვაუწყოთ მეუფესა, რამეთუ ესე  
არს სახე კეთილი ლოცვისა, ვითარცა ძმასა ვისმე ეუწყა

ანგელოსისა მიერ.

7. ოკეთუ სადა წარდგომილ ხარ წინაშე ხილულისა მსაჯულისა, არა სახმარ იყოს შენდა სხვა სახე დგომასა ლოცვისა შენისასა. უკეთუ კულა არცა თვით წარდგომილ ხარ, არცა სხვანი გიხილავნ წარდგომილნი: მაშა მიიღე სახე ესე პირვეულისა სნეულისაგან, ვითარ ევედრების იგი მკურნალსა, რაჟამს ეგულვებინ დაჭრა ანუ დაწვა მისი.

7გ. ნუ სიბრძნის მეტყველებ ლოცვასა შინა, რამეთუ მრავალ გზის ყრმათა ჩჩვილთა მარტივთა სიტყვითა მოწყალე ყვეს მათ ზედა მამა მათი ზეცათა.

7დ. ნუ მრავლის მეტყველებასა ეძიებ, რათა არა განიბნოს გონება შენი ძიებად სიტყვათა; რამეთუ ერთმან სიტყვამან მეზვერისამან იმერთი მოწყალე ყო; და ერთმან სიტყვამან სარწმუნომან ავაზაკი აცხოვნა.

7ე. შრავალ მეტყველებამან მრავალ გზის გონება განაბნია, ხოლო მხურვალედ ერთისაცა სიტყვისა თქმამან შემოკრიბის იგი.

7ვ. ჯაჟამს ლმობიერ იქმნე სიტყვასა რომელსამე ზედა ლოცვასა შინა დაადეგ მას ზედა, და იტყოდე მას მრავალგზის, რამეთუ მცველი ჩვენი მახლობელად ჩვენ თანა ილოცავს.

7ჟ. ნუ აჩვენებ კადნიერებასა ლოცვასა შინა, რათათუ ფრიადი სიწმიდე გაქვნდეს, არამედ უფროსად სიმდაბლითა ფრიადითა მოუხედ, და უმეტესად კადნიერ იქმნე.

7ი. შადათუ ყოველივე კიბე სათნოებათა აღგველოს, ცოდვათა შენდობისათვისვე ილოცვედ; რამეთუ გესმის პავლეს დიდისა მის მოციქულისა, რასა იტყვის ცოდვილთა თვის, ვითარმედ *πιστοποιουν ουπιστοιουν ση ην ει.*

7ი. ყემამზადებელ საჭმელთა არს ზეთი და მარილი, და ფრთოვანყოფელი ლოცვისა სიწმიდე და ცრემ-

ლნი.

71. ოკეთუ შეიმოსო ყოვლითურთ სიმშვიდე და ურისხველობა, არა ფრიად დაშვრე განთავისუფლებად გონებისა შენისა წარტყვევისაგან.

72. ღიდრემდის მოვიგოთ ლოცვა წმიდა და ჯეროვანი უწყოდე ვითარმედ მიმსგავსებულ ვართ ყრმათა მცირეთა, რომელთა ძალედვის ხილვა კეთილად.

73. ისწრაფე აღყვანებად გონებისა შენისა და შეყენებად სიტყვათა შენთა ლოცვასა შინა, და თუ მოუძღურდეს სიჩხოდთგან მისისა, და დამდაბლდეს კვალად აღამაღლე იგი.

74. ღონებისა თვისი არს დაუდგრომელობა, ხოლო შემძლებელ არს დაყენებად მისა, რომელსა იგი ყოველივე ძალუცს ღმერთსა.

75. სე საყვარელო უკეთუ კეთილად იღვაწო, მოვიდეს შენზედაცა, რომელი იგი ზღვასა მას გონებისასა შეზღუდავს და რქვას, *აქაძაძი უაძაყუაძი და მინაძაძი აძიოძაძი სეძე მინაძაძი*.

76. ყუბძლებელ არს შეკრვა სულისა, ხოლო სადა შემოქმედი სულისა იყოს, ყოველივე დაემორჩილოს მას.

77. ოკეთუ გიხილავს მზე ძალგიძსა ზრახვად მისსა მიმართ, ხოლო რომელი არა გიხილავს, ვითარ ზრახვიდე მას უტყუელად.

78. შასაბამი ლოცვისა არს წვლილადი ოდენ მოსლვა გულის-სიტყვათა, და ადვილად წარდევნა მათი; ხოლო საშვალა არს რათა სიტყვათა მათ შინა ოდენ იყოს გონება; ხოლო სისრულე მისი არს სიყვარული ივთისა.

79. სხვა არს სიხარული იგი ლოცვისა რომელი იქმნების მორჩილთა თანა; და სხვა არს რომელი იქმნების დაყუდებულთა თანა, რამეთუ პირველსა მას შინა: ნუ უკვე იქმნების ოცნებაცა ზვაობისა; ხოლო მეორე ესე სავსე არს სიმდაბლითა.

კზ. ოკეთუ მარადის ასწავლიდე გონებასა შენსა არა განშორებად შენგან ტაბლისაცა, დაგებასა შინა შენ თანა იყოს; უკეთუ კულა დააჩვიო დაუყენებელად მიმოსვლად, არაოდეს მოვიდეს შენდა.

კქ. შიდი იგი ჭეშმარიტისა მის ლოცვისა მუშაკი უავლე იტყვის ვითარმედ *შრიყერის ესაჲ სურყორე თქჲდ* უსაჩიყრთი ჩიქრთი; ეკვლესიასა შინა, ხოლო ჩჩვილთაგან გონებითა შორს არს ესე, რამეთუ ჩვენდა შემოკრებასა თანა გონებისასა სიმრავლეცა სახმარ არს ლოცვისა; ხოლო მეორე ესე პირველისა მის მომატყვებელ არს, ვითარცა იტყვის წერილი ვითარმედ მოანიჭოს *რასაჲრე ნიყჲძესიურე* და წმიდა შრომით და ჭირით *შრასაჲრეჲრისა* და მვედრებელსა მისსა.

კთ. სხვა არს ბილწება ლოცვისა, და სხვა არს განრყენილება, და სხვა არს წარპარვა, და სხვა არს ბიწი.

კა. წილწება ესე არს, რაჟამს სდგეს კაცი წინაშე უფლისა, და ბოროტთა გულის-სიტყვათა იწვრთნიდეს; და გარყენილება არს, რაჟამს ლოცვისა ჟამსა ზრუნვათა მიმართ უსარგებლოთა წარიტყვენოდის; და წარპარვა ესე არს რაჟამს უცნაურად გონება მიმოვიდოდის; და ბიწი არს გულის სიტყვა ცუდი ყოველივე ჟამსა მას ჩვენდა მოსრული.

კბ. ოკეთუ არა მარტოებით ვიყვნეთ ჟამსა მას ლოცვისა შინაგან გამოვსახოთ სახე იგი ვედრებისა, უკეთუ კულა არა იყვნენ ჩვენთანა მსახურნი იგი ქებისანი, მაშინ გარეგანითაცა სახითა ვიქმოდით ვედრებასა, რამეთუ მრავალ გზით შეერთვის გონება ხორცთა თანა, რომელნი ჯერეთ არა სრულ იყვნენ.

კგ. ყოველთავე რომელნიცა მივიდოდინ მეუფისა, უხმს შემუსრვილება გულისა, ხოლო უფროს ყოვლისა მათ, რომელნი ითხოვდენ მოტევებასა თანა ნადებთასა, და შენდობასა ცოდვათასა.

კდ. ოკეთუ მოაქამდე საპყრობილესა შინა ვართ,

ვისმინოთ მისი რომელი იგი ეტყვის პეტრეს, აღსდევ და მოიბლარდენ არდაგი მორჩილებისა, და აღიმარცვე ნება შენი, და შიშველი მისგან მოუხედ ოფალსა ლოცვასა შინა შესსა, და მისსა ნებასა ოდენ ხადოდე, და მაშინ პოო იმერთი, მპყრობელად საჭეთა მათ სულისა შენისათა და დაუნთქმელად წარგიმართოს ცხოვრებად.

*რბ.* წდდეგ სოფლის მოყვარებისა და გემოთ-მოყვარებისაგან. განაგდენ ზრუნვანი, და უარყვენ ხორცი შენი, და აღიმარცვენ გულის სიტყვანი, რამეთუ ლოცვა სხვა არა რად არს, გარნა სოფლისა ხილულისაგა და უხილავისა უარის ყოფა, ვითარცა იტყვის მეტყველი იგი ვითარმედ *ძეა სძიღს ჰიქჷ უდთი ყრინ, ნრპ ყიჩინეჩ ძეა ორთუო.ო ჟოიყენინე ხიქე, ნძე ძეა;* გარნა ესე მარადის შენდა შემსჭვალულ ვიყო.

*რგ.* ჟომელთამე კეთილად უჩნს სიმდიდრე, და სხვათა დიდება, და სხვათა პატივი, *ესთთა ჰიქბე შინე-თიყე ჟოთორე ნიორე-ნძის, ბე ბებიყებ ოფორისე შინეძისთ სეისთიყე უვნებელობისა ჰიქრისე.*

*რდ.* სარწმუნოებამან ლოცვა ფრთოვან ყვის, რამეთუ თვინიერ მისა ზეცად აღსლვად ვერ ძალ უცს მას.

*რე.* ბაღაცათუ არა ეშინის ივთისაგან მსაჯულსა მას, რამეთუ იგი თავადი არს იმერთი, გარნა შრომისა მისთვის, რომელსა შეამთხვევდეს მას ცოდვათა მიერ დაცემითა კეთილისაგან დაქვრიებული სული ყოს მან სასჯელი მისი, წინა-მოსაჯულთა მათ ხორცთაგან, და მბრძოლთა მისთა ეშმაკთაგან.

*რვ.* ნუ დავსცხრებით ვნებულნი ესე ვედრებად ოფლისა, რამეთუ ყოველნივე უვნებელნი, ვნებულისაგან მისწვდეს უვნებელობად.

*რთ.* შადლიერთა მათ და კეთილთა სულთა, კეთილი იგი ოფალი ჩვენი ადრე მიცემითა თხოვათა მათთა სიყვარულად თვისად მიიზიდავს, ხოლო უმადლოთა მათ

და უგულის-ხმოთა არა მისცემს ადრე, რათა შიმშილითა მით და წყურვილითა თხოვათა მათათა ყვნეს იგინი მოთმინე ლოცვით მარადის ვედრებად მისდა; რამეთუ ძალმან მიიღოს რად ჰური წარვიდის, ხოლო მისცემელისა მისგან; და სულმან უგუნურმან და უგულისხმომან მიიღოს რად თხოვა თვისი, არღარა შეუვრდებინ იმერთსა ვედრებით.

შ. ნუ იტყვი თუ მრავალი ჟამი მაქვს ლოცვასა შინა, და ვერა რად წარიმართებდეს, რამეთუ აჰა ეგერა წარგიმართებდეს, რომელ სდგა წინაშე ოფლისა და ზრახავ მას, რამეთუ რადმცა იყო უმაღლესი კეთილი, ვითარ დგომა წინაშე უფლისა, და ლოცვისა მიერ შეერთება მისთანა.

შდ. წრა ეშინის ესრეთ დასჯილსა განჩინებისაგან გვემისა თვისისა, ვითარ მოღვაწესა ლოცვისაგან, ნუ უკვე ავნოს მას, ამისთვისცა უკეთუ ბრძენი და გონიერი იყოს საურავისა მის მიერ მოსპოს მისგან ყოველივე ძვირის-ზრახვა, და ზრუნვა და მოცილობა, და მწუხარება და სიმაძღრე.

შე. ჩინავე განმზადებდი სულსა შენსა ლოცვითა, ვიდრე ჟამისა მისთვის ლოცვისა და ივთისა მიმართ ვედრებისა შენისა და ადრე წარემართო კეთილად.

შუ. ჩიხილენ კაცნი რომელნი მორჩილებასა შინა ბრწყინვიდეს და გონებით რაზომცა შესაძლებელ იყო ხსენებასა ივთისასა არა უდებ ყოფდეს, და მეყსა შინა ლოცვად დადგეს, და ეუფლნეს მსწრაფლ გონებასა თვისსა, და ნაკადულნი ცრემლთანი, ვითარცა მდინარენი დიოდეს, რამეთუ წინათვე განმზადებულ იყვნეს მორჩილებისა მიერ.

შდ. სიმრავლესა თანა ფსალმუნებასა განზნევა აქვს გონებისა, ხოლო მარტოებითსა განზნევა გონებისა არა ესრეთ ფრიად აქვს, გარნა კვალად მარტოებითსა მოწყინება ბრძავს, და სიმრავლესა თანა გულს მოდგინება შე-



ეწევის.

*შჟ.* სიყვარული მხედრისა მეფისა მიმართ, გამოაჩინოს მის თვის ბრძოლამან, ხოლო სიყვარული მონაზონისა ღვთისა მიმართ გამოაჩინოს ლოცვისა ჟამმან.

*შჟჟ.* საზომი და საქმე შენი ლოცმამან შენმან გამოგიცხადოს, რამეთუ სარკვედ მონაზონისა სახელსდევს მას წმიდათა მამათა.

*შზ.* ჯომელი ჟამსა ლოცვისასა შეექცევიან საქმესა რასმე, მას ეშმაკნი ემღერიან, რამეთუ ესე არს ნება ეშმაკთა მათ, რათამცა ჟამისა ჟამი წარიპარეს ჩვენგან.

*შჟ.* ნუ უგულვებულ ყოფ რომელი გვედრებოდის თუ ლოცვა ყავ ჩემთვის, დაღაცათუ არა გაქვნიდეს ლოცვა სრული, გარნა ულოცე მას შემუსრვილითა გულითა, რამეთუ სარწმუნოებამან მისმან, რომელმან ითხოის მრავალ გზით შემუსრვილებით მლოცველიცა აცხოვნა.

*შჟჟ.* უკრძალე ნუ უკუე აღზავენე, რაჟამს ლოცვა-ყო სხვათა თვის, და სასმენელ-ყოს ოფალმან ლოცვა შენი, არამედ უწყოდე ვითარმედ მათისა სარწმუნოებისათვის ყო ოფალმან მაღლი იგი.

*წ.* ყოველივე მასწავლელი დღითი დღედ ეძიებნ ყრმისაგან წარმოთქმად, რად იგი ესწავის, და ყოვლისა გონებისაგან იძიოს ოფალმან, დღითი დღე ლოცვასა შინა ძალი რომელი მიუღებეს ივთისაგან.

*წჟ.* ჟაჟამს კეთილად ილოცო, მაშინ ბრძოლანი აღგიდგინენ მტერთა, რამეთუ ესე არს მარადის ჩვეულება მათი.

*წყ.* ყოველივე სათნოება და უფროსდა ლოცვაჲ გულის-ხმის-ყოფით და მხურვალეებითა გულისათა იქმნებოდენ.

*წრ.* სულმან მხურვალედ მაშინ ილოცოს, რაჟამს გულის-წყრომასა მძლე ექმნეს.

*წდ.* ყოველი საქმე მრავლითა თხოვითა და შრომი-

თა და ჟამითა მოგებული მტკიცე არს.

*ჩი.* ჟომელმან უფალი მოიგოს თავსა შორის თვის-  
სა, მას არა უხმს ლოცვისა სიტყვით სწავლა, რამეთუ  
მაშინ სული იგი ღმრთი და მეოხ არს მისთვის თავისავე  
თვისისა მიმართ *საქონაქჳთიჲ ქჳთი ასუხუყოფთათი.*

*ჩი.* ღილულსამცა ოცნებასა და ჩვენებასა ლოცვასა  
შინა ნუ შეიწყნარებ, ნუ უკვე სიცოფე მოიწიოს შენ  
ზედა და გონება ცთომილ იქმნე.

*ჩხ.* ყოვლისავე თხოვისა გულსავსება ლოცვასა ში-  
ნა გამოჩნდების.

*ჩი.* ულსავსება არს განთავისუფლება ყოვლისაგან-  
ვე იჭვისა.

*ჩი.* ულსავსება არს უცნაურთა ცნობა შეუორგუ-  
ლებელი.

ა. *იცავ\** მოწყალე ფრიად უკეთუ ხარ მეძიებელი  
ლოცვისა წმიდისა, რამეთუ მის მიერ *ქჳაუყოფი* მონა-  
ზონნი *ესიქონსა*, ხოლო შემდგომი იგი შემდგომთა  
თანა.

აბ. *ქაქამს* აღეგზნის ცეცხლი იგი მხურვალეებისა  
სულსა შინა, მაშინ აღდგის ლოცვაჲ და აღმართის,  
ხოლო *რაქამს* ლოცვა აღდგის და ამაღლის ზეცად,  
იქმნის გარდამოსვლაჲ ნათლისა მის საღმრთოსა ქორსა  
მას შინა სულისასა.

აგ. *იტყვიან* ვიეთნიმე ვითარმედ უარეს არს ლო-  
ცვაჲ ხსენებასა სიკვდილისასა, ხოლო მე ვადიდებ გვამსა  
ერთსა ორითა ბუნებითა.

აე. *ცხენმან* კეთილმან ვლის რაჲ და განხურდის,  
უმეტესად შესძინოს სრბასა, ხოლო სრბად გულის ხმა

---

\* ყემდგომად იტყვის ოცდაათეულსა და სამოცეულსა, რომელსა  
მოასწავებს ერის კაცთათვის, ვითარმედ ოცდაათეულსა მოიგებენ ქორწი-  
ნებულნი, რომელნი სიწმიდით იყვნენ მეუღლეთა თვისთა თანა. და სა-  
მოცეულსა უქორწინებულნი და ქალწულნი. ხოლო ასეულსა, რომელთა  
სრულიად სოფელი მოიძულეს და ღმერთსა შეეყვნენ.

ვეოფ გალობასა ლოცვისასა, და ცხენად ახოვანსა მას გონებასა.

აბ. ყორით ეცის ესე ვითარსა – სული ბრძოლისა, და წინათვე განემზადის რაჲ დაადგრის უკუნისამდე უძლეველად.

აჲ. ჟიცხელ არს წყურიელისათვის მიტაცება წყლისა პირისაგან მისისა, და რავდენ უფიცხელეს არს მონაზონისათვის მოსწრაფისა, რომელი ილოცვიდეს ლმობიერად, და თუ ვინმე უშალოს ლოცვა იგი საწადელი პირველ აღსრულებისა მისისა.

აჲ. ნუ\* დასცხრები ნუცა გაეწყინების ლოცვად ვიდრემდის იხილო ცეცხლი ღა წყალი კვალად შენდავე მოქცეული, რამეთუ ნუ უკვე ვერ პოო სხვა ჟამი ესე ვითარი შენდობად ცოდვათა შენთა ყოველთავე დღეთა შენთა.

აბ. ჟომელსა ეხილვოს გემო ლოცვისა მრავალ გზის ერთისა სიტყვისა თქმითა შეამწიკვლოს გონება თვისი; და წარგის რაჲ ლოცვად საწადელი იგი სიტკბოება ჩვეულებისა ებრ ვერ პოის.

აჲ. სხვა\*\* არს ხედვა ზედას-ზედა გულისა და სხვა არს ეპისკოპოსობა გულისა გონების მიერ მთავრისა, და მღვდელ-მოდღვრისა შემწირველისა სიტყვიერთა მათ მსხვერპლთა ჴრისტესდა.

\* ოსრეთ იტყვის ვითარმედ უკეთუ გაჭენდა ცრემლთა დინება ღვთისა მიერ მოცემული და ცეცხლი ლმობიერებისა დიდი ზვაობისათვის შენისა განგემორნეს შენ იგინი; ნუ დასცხრები ლოცვისაგან ვიდრემდის კვალად იგივე ივთივ-მონიჭებულნი ცრემლნი და ცეცხლი იგი ლმობიერებისა შენდავე მოიქცენ, რამეთუ არა უწყი თუმცა სხვა ესე ვითარი-ცოდვათა მოტევეებისა მომატყევებელი საქმე ჰჰოე.

\*\* ჟედვა მოასწავებს გულის-ხმის-ყოფასა; ხოლო ეპისკოპოსობად ამას იტყვის მამა ესე, რათა იყოს სული, ვითარცა ეპისკოპოსი უფლებული-ვნებათა, ამისთვისცა შესძინა და სთქვა, ვითარმედ გონებისა მიერ მთავრისა და მღვდელთ-მოდღვრისა: აწ უკვე ხედვა გულის არს

აჟ. ჟომელთამე მორავიდეს ცეცხლი იგი წმიდა ზეცისა შესწავას, ვითარცა იტყვის ივთისა მეტყველთაგანი ვინმე; ხოლო შესწავას მათ ნაკულებანებისათვის სიწმიდისა; და კვალად რომელთამე განანათლებს საზომისათვის სისრულისა, რამეთუ მასვე ცეცხლ შემწველცა, და ნათელ-განმწმედელცა ეწოდების, ამისთვისცა ვიეთნიმე გამორავიდოდინ ლოცვისაგან, ვითარცა სახმილისაგან გამოვლენ განწმედილნი ნივთისა მისგან ცოდვათასა; და სხვანი ვითარცა ნათლისაგან განათლებულნი და ზეციერთა სიმდაბლისათა და სიხარულნიტა შემოსილნი ესრეთ გამოვლენ მიერ, ხოლო რომელნი თვინიერ ამის ორისა სახისა გამოვლენ ლოცვისაგან, ეგე ვითარცა ხორციელად და ულოცავს და არა სულიერად.

აჟ. ოკეთუ შეეხნენ ხორცინი სხვისა ხორცთა იცვალეების სახე და წესი ბუნებისა მათისა, მაშა ვითარ არა შეიცვალოს, რომელი ხორცსა ივთისასა შეეხებოდის ხელითა უბრალოითა.

აჟ. სახეთაებრ ქვეყნისა მეფეთასა იხილვების რამე სახიერსა მასცა მეუფესა ჩვენსა თანა რამეთუ ოდესმე თვით, და ოდესმე მეგობრისა მისისა მიერ, და ოდესმე მონისა მიერ, და ოდესმე სრულიად უცნაურადცა ნიჭთა თვისთა მიმადლებს მხედართა თვისთა, არამედ მსგავსად სიმდაბლისა ჩვენისა განამრავლნის მადლნიცა მისნი ჩვენ თანა.

აჟ. ჴითარცა საძაგელ არს ქვეყანასა მეფისა, უკეთუ ვინმე დგეს წინაშე მისსა და მიიქცევდეს პირსა თვისსა, და ზრახვიდეს მტერთა მეფისათა, ეგრეთვე საძაგელ

---

მცირე საზომი, რაჟამს უმზირდეს კაცი და ბრძოდეს ვნებათა; ხოლო ეპისკოპოსობა არს სრულიად უფლება და მთავრობა ვნებათა ზედა, და მთავარი არს გონება, რომელი ხორციელთა საზომსა კეთილად მართებდეს და დააწყნარებდეს. ხოლო მღვდელთ-მოდვარი არს გონება რომელი ყოველთა გულის-სიტყვათა და ძალთა მისთა წმიდად, ჰმიდათა საკურთხეველსა ზედა ლოცვასა შესწირვიდეს.

არს წინაშე ოფლისა, რომელი დგეს ლოცვასა შინა და შეიწყნარებდეს არა წმიდათა გულის-სიტყვათა.

*აჲ.* ჟამს მოგიხდეს ძალი იგი წარმტყვენველი გონებისა, საჭურველითა მით ლოცვისათა განსდევნე, და რავდენ გზისცა განფიცხნეს, ნუ დააცადეგ, ნუცა ადგილ-სცემ.

*აბ.* თხოვდი გლოვისა მიერ, და ეძიებ მორჩილე-ბისა მიერ, და ირეკდი სულგრელებითა. რამეთუ, რომელი ესრეთ *რთუაჲთჳს შოღღს, ბე ძაჲთჳთჳ რძიჲთჳთჳს რაჲსა, ბე ძაჲთჳთჳ რძიჲთჳთჳს უეჩიჲსა.*

*აჲ.* უკრძალე და დედაკაცისათვის ნუ ფრიად ილოცავ ლოცვასა შინა, ნუ უკვე წარიტყვენო შენ, მარჯვენით კერძო.

*აჲ.* ნუ იწყებ აღსარებად ხორციელთა ცოდვათა შენთა ლოცვასა შინა ვითარ გექმენ, რათა არა მკვლელ ექმნა თავსა შენსა.

*აბ.* ნუ ყოფ ჟამსა ლოცვისასა ჟამად გამონახვისა და წვრთისა სულიერთა საქმეთასა, თუ არა უაღრესი იგი დაგჭირდეს.

*აჲ.* ჟომელსა დაუცადებელად ეპყრას კვერთხი იგი ლოცვისა მას არა შეუბრკემეს დაღაცათუ რამე მოიწიოს და შეუბრკემეს სრულიად არა დაეცეს, რამეთუ ლოცვა საკვირველი არს საღმრთო და ტკბილი, რომელი არა მიუშვებს კაცსა ბოროტისა მიმართ.

*აბ.* უმისაგან ვსცნობთ ფრიადსა მას სარგებელსა მისსა, რამეთუ არა სადა ესრეთ გვბრძვანან მტერნი, ვითარ ლოცვასა შინა; ხოლო ნაყოფი მისი მაშინ ვსცნათ, რაჟამს იძლინენ მტერნი ჩვენნი სრულიად, რამეთუ ამით ვსცნათ, ვითარმედ *უთინბე ყიჩი ოჲეთაჲ, მიე ნიხე რუე-სიჲთჳთჳს შუჲთჳს იჲთჳ ჟამსა ბრძოლისასა იჲთჳბე.*

*ა.* სიტყვის მეფსალმუნე *ინინბეჲთჳს ყაჲთჳთჳთჳს უჲთჳთჳს იჲთჳთჳს,* ესე იგი არს, პირითა, და სულითა და გონებითა, რამეთუ რომელსაცა ლოცვასა შინა შეკრ-

ბეს სული და გონება ერთად, შაქი ძი~უ ძიხს შდთ ყაძიუს.

უა. წრცა ხორციელნი სახენი არცა სულიერნი ყოველთანივე ერთ არიან, რამეთუ რომელთამე მალიადრე, და რომელთამე გვიანად ლოცვა ფსალმუნებისა მოუვალს, რამეთუ პირველნი იგი წარტყვენვასა გონებისასა; და მეორენი უსწავლელობასა ბრძვანან.

უყ. ოკეთუ დაუცხრომელად მტერთა შენთათვის ევედრებოდი მეუფესა, რაჟამს მოგეახლნენ გულაპყრობილ იყავ არა ფრიად დაშვრე, არამედ თვით თავით თვისით ილტვოდინ შენგან, რამეთუ არა ნებავს არა წმიდათა-მათ, რაჟამს გხედვიდეს ვითარმედ მიიღებ გვირგვინსა ბრძოლითა მათითა, არამედ გვემულნი ლოცვისაგან, ვითარცა ცეცხლისაგან ილტვოდინ.

უყ. წხოვნება კეთილი მოიგე შენ, და ესრეთ მოიგო იმერთი მასწავლელად შენდა ლოცვისა.

უბ. წითარცა ხედვა თვალთა სიტყვით არა ისწავლების, რამეთუ ბუნებითი არს; ეგრეთვე არცა ლოცვისა შეენიერება ისწავლების სხვისა სიტყვითა, რამეთუ მას მოძღვრად მისა იმერთი აქვს; არათუ სიტყვანი არიან, რათამცა გესმის და დაისწავლენ, ანუ სიკეთე ხელოვნებისა, რათამცა მიიღე სხვისაგან; არამედ იმერთი არს მოძღვარი მისი, რომელმან ასწავის კაცთა მეცნიერება, და მოანიჭის თხოვა მლოცველთა მისთა, და აკურთხნის წელიწადნი მართლისანი; რამეთუ მისი არს დიდება, აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მიიმენი და **ჩე** განგისვენო თქვენ



ვ'ლთა შთანთქელი ჯოჯოხეთი სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამუქანებელი **სიბე**

ქეზული მისივე ოვნებლობისათვის და სისრული-

სა და აღდგომისათვის სულისა უწინარეს ყოველ-

თა აღდგომისა

ღეღეღი ზღე

ღჳა ესერა ჩვენცა დადებულნი მღვიმესა მას უგუ-  
ლის-ხმოებისასა ღრმასა, და ბნელთა მათ ვნება-  
თა შინა და აჩრდილთა სიკვდილისა ამათ ხორცთასა  
ვიწყებთ კადნიერებით სიტყვად სამყაროდსა ამისთვის  
მადლისა, რომელ არს უვნებლობაჲ; ხოლო ხილულსა  
მას სამყაროსა ცისასა ჰქონან სამკაულად ვარსკვლავნი,  
ხოლო ოვნებლობასა სათნოებანი, რამეთუ მე ოვნებე-  
ლობასა სხვად ვერა რად გულის ხმა ვყოფ, გარნა ცად  
გულისა და გონებისა, რომელსა ყოველნივე ბრძოლანი  
ემშაკისანი ნიავად შეერაცხნენ.

ჟ. ოვნებელი ჰქეშმარიტი იგი არს, რომელსა ხორც-  
ნი უვნებელ, და სრულიად უხრწნელ ექმნენ, ხოლო  
გონება დაბადებულთაგან აღემაღლოს, და ყოველნივე  
საცნობელნი მისდა დაემორჩილნენ, და წინაშე პირსა  
ოფლისასა, სული თვისი წარედგინოს, და მარადის მისა  
მიმართ მივიდოდის უზესთაესცა ძალისა თვისისა; და  
კვალად ვიეთნიმე იტყვიან ვითარმედ უვნებლობა არს  
აღდგომა სულისა, პირველ აღდგომისა ხორცთასა; და  
სხვანი იტყვიან, ვითარმედ უვნებლობა\* გულის-ხმის-  
ყოფა არს ივთისა სწორად ანგელოსთასა, გინათუ მცი-  
რედ ოდენ ნაკლულევანად მათგან.

\* ჰამეთუ ოვნებელნი მარადის საწადელისა მიმართ განუძლომე-  
ლად მიისწრაფიან, და ესრეთ სისრულესა თვისსა, დაუსრულებელ ჰყო  
ფენ, რამეთუ საუკუნეთა კეთილთა აღსასრული არა არს.



ქ. სრული იგი, სრულთა მათ დაუსრულებელი სრულება, რაჟამს მოვიდეს კაცსა თანა, ვითარცა მითხრობდა ვინმე, რომელსა ეხილვა გემო მისი, ვითარმედ ესრეთ წმიდა ყოფს გონებასა, და ნივთთაგან სოფლისათა აღიტაცებს, რომელ უმეტესთა ჟამთა ცხოვრებისა მისისათა, მისი იგი მეუღლე აღტაცებული სოფლისაგან, ნავთსაყუდელსა მას შინა ზეცისა ხედვისასა გარდაიხდის; რომლისათვისცა იტყოდა, რომელსა ეხილვა გემო მისი: *ჟოთცჳჰჲჲ ნჟოთრცჳ ძოთოჲჰრჳ ჴოჲოჲცჳრჳთ მჰოცჳჲ ეჰჲნ-ოჲჲჲ*.

ბ. ესე ვითარი იყო შეგვიპტელი იგი,\* რომელი ვერ იკადრებდა ხელთა თვისთა მყოვარ ჟამ ზეცად აღპყრობად, რაჟამს ილოცავნ ვიეთმე თანა, თუ არა დაავიწყდის თუ სადა არს; და არღარა მოიქცევინ მუნ მრავალ-ჟამ.

გ. წრს უვნებელი, და არს სხვა უვნებელისა უუვნებელესი, რამეთუ ერთსა მას ძლიერად სძულან ბოროტნი; ხოლო მეორე იგი ფრიად მდიდარ არს სათნოებითა მარადის.

დ. შა სიწმიდესაცა ქალწულებისასა უვნებელობა ეწოდების და სამართლად, რამეთუ წინა მსრბოლი არს, ყოველთა აღდგომისა და უხრწნელებისა განხრწნადთა მათ ბუნებათასა.

ე. ავნებელობა აჩვენა მან\*\* რომელმან იგი თქვა ვითარმედ გონება მაქვს აფლისა.

ვ. ავნებელობა აჩვენა მეგვიპტელმან მან,\*\*\* რომელმან თქვა ვითარმედ არა მეშინის აფლისაგან.

ზ. ავნებელობა აჩვენა, რომელმან იგი ილოცა, რათა მოიქცეს\*\*\*\* ვნებანი მისდავე, და ბრძოდეს მას.

\* შამასა ტითოს იტყვის.

\*\* შავლეს იტყვის მოციქულსა.

\*\*\* შამასა ნეტონის იტყვის.

\*\*\*\* ოანეს იტყვის მოკლესა.

7. წინ მოიგო ამას საწუთოსა. პირველ მერმისა მის საუკუნოდსა უვნებელობა და სისრულე ესე ვითარი ვითარ\* ასურმან მან. რამეთუ სახელოვანი იგი და დიდი წინასწარ-მეტყველთა შორის დავით ეტყოდა უფალსა, ვითარმედ *שׁוֹמֵר־לַפִּי, אֲנִי אֶמַד; וְעַד־חַוְרַת־יָמַי*; ხოლო ესე დიდი მოღვაწე უფლისა იტყოდა ვითარმედ: დააცხვრენ უფალო ღელვანი მადლისა შენისანი.

7ა. უვნებელობა აქვს მას სულსა, რომელი ესრეთ მხურვალე იყოს სათნოებათა ზედა, ვითარ იგი ვნებულნი გულის თქმათა ზედა.

7ბ. უკეთუ ესე არს ნაყროვანებისა საზღვარი, რომელ დაღაცათუ არა უნდეს აიძულებდეს თავსა თვისსა ჭამად, ესე სადმე საზღვარი არს მარხვისა, რომელ მშიერსა მას ბუნებასა, არავე სცემდეს საზრდელსა უბრალოდ.

7გ. უკეთუ არს ესე ბუნებისა გარეგანი იგი საზღვარი სიძვის მოყვარებისა, რომელ პირუტყვთაგანცა და უსულოთაცა ჭურჭელთა ევნებოდის, ესე სადმე საზღვარი სრულისა სიწმიდისა, რომელ ყოველთავე ვნებისათვის, ვითარცა უსულოთა ხედვიდეს.

7დ. უკეთუ ესე არს აღსასრული ვეცხლის მოყვარებისა, რომელ არაოდეს დასცხრებინ, არცა განძლებინ, შეკრებითა, ესე სადმე სისრულე არს უპოვარებისა, რომელ არცა ხორცთა თვისთა რიდოს.

7ე. უკეთუ ესე არს სიდიდე მოწყინებისა, რომელ განსვენებასაცა შინა, მოთმინება არა აქვნდეს, ესე სადმე არს მოთმინება რომელ ჭირი მოთმინებად შეერაცხოს.

7ვ. უკეთუ ესე არს სიღრმე მრისხანებისა, რომელ მარტოებითაცა რად იყოს კაცი განრისხდებოდის, ესე სადმე არს სულგრძელობისა საქმე, რომელ შემაწუხებელსა მისსა, ვითარცა მეგობარსა ხედვიდეს.

7ზ. უკეთუ ესე არს ცუდად მზვობრობისა სიმაღლე, რომელ თუმცა არავინ იყოს მაქებელი თანა, იგი

\* შამასა უფრემს იტყვის.





ნებელობა და სიწმიდე. რომლისა არს დიდება უკუნიითი  
უკუნისამდე. ამინ.

ქონებასა გლახაკთასა აღადგენს მწვირისაგან ვნებათასა და აღამაღლებს  
ქვეყნათ ზეცად სანატრელი უვნებელობა, ხოლო სიყვარული ყოვლად  
ქებული დასვამს შთავართა თანა წნგელოსთასა, მთავართა თანა ერისა  
ოფლისათა.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერაღნი და ტვირთ მძიმენი და ჩემ განგისვენო თქვენ



ვლთა შთანთქმელი ჯოჯოხეთი      სულთა მაცხოვრებელი და ზეცად ამყვანებელი სიბე



რაოდენ კაცთა მიერ შესაძლებელ არს და მისაწთომელ, ხოლო საქმითა სიმთვრალე არს სულისა კეთილი; ხოლო სახითა წყაროო არს სარწმუნოებისა, და უფსკრული. სულგრძელობისა, და ზღვა სიმდაბლისა.

რ. სიყვარული ჭემმარიტი განშორება არს ყოვლისა წინააღმდეგომისა გულის-სიტყვისა, ძეძჳთჳ სუყრს-ძჳძრჳ ყჳძჳძჳძჳ ძჳძჳ რუჳძრჳძჳ.

ხ. სიყვარული და უვნებლობა და შვილება საღმრთო სახელითა ოდენ განყოფილ არიან, ხოლო ძალი მათი ერთ-არს, ვითარცა იგი ცეცხლი, და ალი და ნათელი.

ჩ. ჯაოდენ სიყვარული დააკლდებოდის შიში განმრავლდების, რამეთუ რომელსა შიში არა აქვდეს, იგი ანუ სიყვარულითა აღვსებულ არს, ანუ სულითა მომკვდარ არს.

ძ. წრა რაჲ არს დამაყენებელ, რათა მოვიხვნეთ სახენი შიშისა ივთისა, და მოსწრაფებისა, და შურისა კეთილისა, და მონებისა და სიყვარულისა ივთისა.

7. ზეტარ არს რომელმან ესე ვითარი სიყვარული მოიგოს ღვთისა, ვითარი აქვს ტრფიალსა ბოროტსა ტრფიალისა მიმართ თვისისა.

რ. ზეტარ-არს მის კაცისა, რომელსა ესრეთ ეშინოდის უფლისა, ვითარცა ეშინის მსაჯულისაგან მის მიერ დასჯილთა.

რუ. ზეტარ-არს რომელსა ესრეთ სურის ოფლისა, ვითარცა შშიერსა პურისა მიმართ.

რუ. ზეტარ-არს რომელი ესრეთ მოსწრაფე არს მონებად ოფლისა, ვითარცა მონანი ერთგულნი უფლისა მიმართ.

რზ. ზეტარ-არს, რომელსა აქვს ესე ვითარი შური სათნოებათათვის, ვითარცა კაცთა დიდების მოყვარეთა სოფლისათა პატივთა მათთვის სამეუფოთა.

რჳ. ზეტარ-არს, რომელი ესრეთ სდგეს ლოცვასა



შინა წინაშე ოფლისა, ვითარცა მხედარნი დგანან შიშით წინაშე მეფისა.

აჟ. ნეტარ-არს რომელი ისწრაფვის მომადლებად უფლისა, ვითარ მეგობარნი ურთიერთარს.

აზ. წრა სურინ ჩვილსა ყრმასა ესრეთ დედისა თვისისათვის, ვითარცა კაცსა შვილსა სიყვარულისასა ჰსურის უფლისათვის.

აი. ჯომელსა აქვნდეს ვისდამე მიმართ სიყვარული მტკიცე და ტრფიალება, მას მარადის პირი საყვარელისა მის მისისა ეოცნებინ და შინაგან სიტკბოებით შეიტკბობნ მას, და ძილისაცა შინა არა განქარდებინ სურვილი მისი, არამედ მასვე ხედავენ რად, ესრეთ იქმნების ხორციელთა საყვარელთა ზედა, და უხორცოთა.

აო. შოიწყლა ვინმე ამის მიერ, და იტყოდა საკვირველად, ვითარმედ *ძე შიხინი* ბუნებისათვის ხორცთასა, *ესაოთა ესაოთა იქიშე შიხინი* სიმრავლისა მისთვის სიყვარულისა.

აჟ. ესე საცნაურ იყავნ შენდა ზი ნეტარო, ვითარმედ რაჟამს მოსწყვიდნეს ქვეწარმავალნი იგი ბოროტნი ირემ-მან მან, რომელი არს სული ახოვანი, მაშინ *საქიხი ბე შადეხი* ოფლისა მიმართ; რამეთუ ცეცხლითა მით სიყვარულისათა, ვითარცა წამლითა შემწველითა იწვებიან.

აკ. ყიმშილისა საქმე უცნაურ არს და უჩინო, ხოლო წყურილისა ფიცხელ და ცხად და ყოველთა მიერ საცნაურ; ამისთვის იტყოდა, რომელსა იგი სუროდა ღვთისა მიმართ, ვითარმედ *საქიხადე საქოსი იქიშე იქიშე შადეხი* ესაოთა.

აკ. ოკეთუ ხილვა მეგობრისა მხიარულ გვეოფს ჩვენ რაიმცა არა ქმნა ხილვამან პირისა ღვთისამან რაჟამს მოვიდეს გულისა მიმართ წმიდისა უხილავად.

აკ. ყიში ღვთისა რაჟამს მხურვალეებითა სულისათა იყოს განლევს და მოსპოლავს მწიკვლევეანებასა, რამეთუ

იტყვის, ვითარმედ *ყოქსჳოქოქი ყოყსჳე ყოქსჳე უსახჳირო  
 ხოქოქო; ხოლო სიყვარული წმიდა, რომელთამე შემჳამს,  
 ვითარცა იტყვის მეტყველი იგი ვითარმედ ყოქოქოქი  
 უსახჳირო ხოქოქოქო; და კვალად სხვათა განაბრწყინვებს და  
 მხიარულ ყოფს, რამეთუ იტყვის ვითარმედ ქოქსჳე ქო-  
 ქსჳიჳი უსახჳირო ხოქოქო, ღჳე ყოქოქოქი ქოქ ღჳე ქოქოქ-  
 ქსჳიჳი უსახჳირო ხოქოქო; ღჳე ქოქოქსჳე უსახჳირო უქოქ-  
 ქოქოქი უსახჳირო უქოქოქოქო.*

ჲდ. ჯაჳამს კაცი ყოვლითურთ შეეზაოს სიყვარულ-  
 სა ოქსასა, მაშინ გარეგანცა ვითარცა სარკითა გამოაჩი-  
 ნებს შინაგანსა მას ბრწყინვალეებასა სულისასა, რამეთუ  
 ესრეთ იდიდა მოსე ოვთის-მხილველი; და რომელნი  
 მიიწინენ ესე ვითარსა ამას ანგელოსებრსა საზომსა, მრ-  
 ვალ გზის საზრდელიცა ხორცთა დაავიწყდების, და რაჲ  
 საკვირველ არს ესე: ვინაჲდგან ბოროტმანცა სურვილ-  
 მან მრავალ-გზის საზრდელი დაავიწყა.

ჲე. ესრეთ ვჳგონებ, ვითარმედ რომელნი ამას უხრ-  
 წნილსა საზომსა მიიწინენ, არცა ხორცნი მათნი შევარ-  
 დებიან საღმობათა ჩვეულებისაებრ, რამეთუ წარსწყმდეს  
 მისგან მიზეზნი სენტანი, ვითარცა იგი დაშრტა ალი  
 მხურვალეებისა, და არცაღა საზრდელი რომელსა მიიღებ-  
 დიან ეჳამებიან, რამეთუ წყალი ზრდის ძირსა ხეთასა,  
 ხოლო ცეცხლი იგი ზეცისა სულსა მათსა.

ჲე. წღორმინება შიშისა ოვთისა არს დასაბამი სიყ-  
 ვარულისა, ხოლო აღსასრული სიყვარულისა არს დასაბა-  
 მი ღვთის-მეტყველებისა.

ჲვ. ჯომელმან საცნობელნი თვისნი სრულიად იმერ-  
 თსა შეაერთნა, მან ისწავლნეს საღდუმლონი მისთა სიტყ-  
 ვათანი, რამეთუ უკეთუ არა ესრეთ იქმნეს ძნელ არს  
 ოვთისათვის – სიტყვა.

ჲჳ. სიტყვა იგი არსებითი სრულ ყოფს სიწმიდესა,  
 ხოლო მოსვლამან მისმან მოთაკვდინის სიკვდილი – და მო-  
 რაკვდეს სიკვდილი, მერმე განათლდესა მოწაფე იგი ოვ-

თის-მეტყველებისა.

კჲ. სიტყვა ოფლისა ჰგის უკუნითი უკუნისამდე, ხოლო რომელსა ოფალი იმერთი ვერ გულის-ხმა-ეყოს ჯერისაებრ, იგი ჰაზრით იტყვიან.

რ. სიწმიდემან და სიყვარულმან მოწაფე იგი საყვარელი ივთის მეტყველ-ჰყვეს, რომელმან დაამტკიცა სიტყვითა თვისთა სარწმუნოება ყ~დ წმიდა სამებისა.

რჲ. ჟომელსა უყვარს ოფალი, მას პირველვე შეუყვარებეს ძმა თვისი, რამეთუ სასწაული პირველისა მის, არს მეორე ესე.

რჲ. ჟომელსა უყვარდეს მოყვასი, არა სადა ისმინოს მან ძვირის-ზრახვა; არამედ ვითარცა ცეცხლისაგან ილტვოდის მისგან.

რჲ. ჟომელი იტყოდის თუ მიყვარს ოფალი, და ძმა თვისი სძულდეს, მსგავს არს კაცსა რომელი ძილსა შინა რბიოდის.

რჲ. ძალი სიყვარულისა სასოება არს, რამეთუ მის მიერ მოველით სასყიდელსა მას სიყვარულისასა.

რჲ. სასოება არს უცნაურისა სიმდიდრისა სიმდიდრე.

რჲ. სასოება არს შეუორგულებელი პირველ საუნჯისა საუნჯე.

რჲ. სასოება არს შრომათა შინა განსვენება, და იგი არს კარი სიყვარულისა, და იგი არს შემმუსრველი სასოწარკვეთილებისა, და იგი არს საუკუნოსა მის ხატი.

რჲ. ნაკლულევანება სასოებისა უჩინო ყოფა არს სიყვარულისა, რამეთუ მისდა მოკიდულ არიან მოღვაწებანი. მას კიდავს შრომანი და მას გარე მოადგს წყალობა.

რჲ. შონაზონი სასოებისა მუშაკი, მკვლელი არს მოწყინებისა, რამეთუ მახვილითა სასოებისათა დაკლავს მას.

ჲ. ლემოს-ხილვა ნიჭთა ოფლისათა შობს სასოებასა, ხოლო რომელთა არა უხილავსთ გემო მათი, არძალუცს





არს სიმტკიცე, რომლისა არს ძალი, რომლისა ყოველი-  
ვე მიზეზი კეთილთა არს, და იყო და იყოს აწდა მარა-  
დის, და დაუსწრებელთა მათ კეთილთა და ნათელთა  
საუკუნეთა. ამინ.

**ტექნოლოგიური მისივე, ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე სინელ შამა-სახლისისა, მწყემსისა და წინამძღვრისა მიმართ, რომელი ესე მისცა სხვათა ამათ პირველ-თქმულთა თავთა თანა იოანე ჯაითელ მამასახლისისა, რომელსა ეთხოვა მისგან, რათა დაუწერნეს სწავლანი მონაზონებისანი**

ჴვეყანისა ამის წიგნსა შინა, მე შენ, იმერთ-შემოსილო, ყოველთა უკანასკნელ დაგწერე; ხოლო ზეცისასა მას, მრწამს ვითარმედ ყოველთა უწინარეს იყო, პატივითა საღმრთოსა მას ჩიგნსა შინა დაწერისათა, უკეთუ ჴემმარიტი არს თქმული იგი, ვითარმედ რომელნი იყვნენ *αλεξανδριου* გონებითა, *ῥοσφιη* *ἡρηκου* *καστριου* *κ* პატივითა.

### **ტექნი**

შწყემსი ჴემმარიტი იგი არს, რომელმან წარწყმედონი სიტყვიერნი ცხოვარნი უბიწოებითა, და თვისითა მოსწრაფებითა და ლოცვითა მოძიებად და აღმართებად შეუძლის.

ჟ. შენავეთ მოძღვარი იგი არს, რომელსა მოელის ძალი ივთისა-მიერ უხილავად, და თვისთა შრომათაგან, არა ოდენ ღელვათაგან, არამედ უფსკრულისაგანცა აღმოყვანებად ნავისა.

ი. შკურნალი იგი არს, რომლისა სული და ხორცნი იყვნენ მრთელ და უვნებელ, და არა ვისგან ეხმარებოდის წამალი.

ბ. შოდღვარი იგი არს, რომელსა მოელოს საცნაური წიგნი გულის-ხმის-ყოფისა, თითითა ივთისათა დაწერილი, რომელ არს ძალი ბრწყინვალეებისა მისისა, და სხვათა წიგნთაგან არა რად ეხმარებოდის.

ჟ. ოშვერ არს მოძღვარი იგი, რომელი წერილთაგან ოდენ ასწავლინ, და მხატვარი რომელი თვინიერ მაგალითისა ვერ გამოხატვიდეს.

ჟჟ. ჟომელთა გნებავს სწავლა ქვეყანასა ზედა, ზეცით ასწავლიდი, და სახითა საქმეთა შენთათა ასწავლიდი სხვათა.

ზ. ნუ დაივიწყებ მეტყველსა მას, რომელი იტყვის ვითარმედ, არა კაცთათვის, არცა კაცთა მიერ ვასწავლი სწავლასა, რამეთუ ქვეყანისათა სულისა სენი არა განიკურნი.

ი. შენავეთ მოძღვარმან კეთილმან განარინის ნავი, და მწყემსმან კეთილმან ცხოველ ყვნის და განკურნის სნეულნი ცხოვარნი:

იი. ჟაოდენ ცხოვარნი იგი მორჩილებით და მოუწყვეტლად შეუდგენ მწყემსსა, ეგოდენ მწყემსმან მან მიუგის მათთვის სიტყვა ოფალოსა მათსა.

იჟ. ოსროდენ სიტყვითა მწყემსი მცონარებისაგან, ანუ ნაყროვანებისა დარჩომილთა ცხოვართა, რამეთუ ესეცა სახე არს კეთილისა მწყემსისა.

იი. ოდეს ცხოვართა სიცხისაგან და შრომისა ამათ ხორცთასა, იწყონ სულითა დაძინებად, მაშინ უხმს მწყემსსა მათთვის უფროსად ზეცად ხედვად და მღვიძარებად, რამეთუ ჟამსა მას სიცხისასა მრავალნი განრყვნის მხეცმან; ხოლო აწ ვითარცა ცხოვართა თანა ვჰხედავთ წესსა, რამეთუ ჟამსა სიცხისასა თავთა მათთა ქვეყანად დაიდრეკენ, ეგრეთვე ჩვენ გვიღირს სიმდაბლე ურთიერთარს, რამეთუ წერილ არს ვითარმედ *იუჰანა-იოჰანე ბე სუჰან შბეყდარა იშჰიჰიშენი ნიხე ყოჰსიხეღუ-ყას.*

იჟ. იამისა სიბნელესა რაჟამს მოადგინ მხეცნი სამწყსოსა, მაშინ დააბნიან ძალლი დამისა სახმილავსა შეუძვრელად, რათა აყენებდეს მათ, ხოლო შენ სიბნელესა მას შინა ვნებათასა, დაადგენდი შენსა მაგას გონებასა, მხეცთა მომსვრელსა, მცველად სულიერისა მის სამწყსოვსა.



## ტექნიკა

უსეცა ჩვეულება ბუნებისა ყო, სახიერმან იმერთ-მან ჩვენმან; რომელ ხედვიდენ რა სნეულნი მკურნალსა იხარებდიან, დადაცათუ არას ჰკურნება.

ყ. შოიგენ შენცა ჟი საკვირველო, წამალნი დასადებელნი წყლულებათა ზედა, ემპლასტრომ, და განმახმობელნი წყლულისანი, და წამალნი შესასმელნი, და საოლაგნი თვალთანი; და დამკვრელნი განტეხილთა ასოთანი; და გასაწმედელნი შარავთანი, და დამაყენებელნი სუნმყარალობათანი; განსახსნელნი ძარღვთანი, და ჭურჭელნი დაწვისანი და საცხებელნი წყლულთანი; და წამალნი საძილონი, და მახვილნი განსაკვეთელად, და შესახვეველნი შემუსვრილთანი; უკეთუ კულა ამის ყოვლისაგან ცალიერ ვართ, ვითარ ვაჩვენოთ ხელოვნება მკურნალობისა, რამეთუ სასყიდელნი არათუ სიტყვათანი არიან, არამედ საქმეთანი.

ყ. ემპლასტრომ არს, განკურნება ვნებათა ხილულთა ხორციელთა.

ბ. ყესასმელი წამალი არს, კურნება შინაგანთა ვნებათა და წარმოცარიელება ბილწებისა უხილავისა.

გ. უანმახმობელი სისხლისა წამალი არს. გინება და შეურაცხება, რომელმან ატკივნის გულსა და განკურნის, და განახმის სიმსივნე და სიმპალე ამპარტავანებისა.

დ. საოლაგი არს თვალთა სულისათა შემრღვეულთა, გულის წყრომისაგან განმწმედელი მხილება.

ე. ძარღვის გასახსნელი ჭურჭელი არს მსწრაფლ წარმოცალიერება სიმყარალისა უჩინოსა.

ვ. ძარღვის გასახსნელი ჭეშმარიტი არს მსწრაფლი და ფიცხელი კდემა, საკურნებელად სნეულთა მათ.

ზ. ირუბელი გასაწმედელი არს, შემდგომად ძარღვის განკვეთისა მის, ტკბილთა მიერ და ლმოზიერთა სიტყვათა მწყემსისა და მკურნალისათა განსვენება სნეულისა მის.

ჟ. ზასაწველი არს კანონი მიცემული, ჟამ რავდენმე სინანულად და ცხოვრებად სნეულისა მის.

74. საცხებელი არს შემდგომად დაწვისა სიტყვით, ანუ ნუგეშინის ცემითა ხორციელთა, ნუგეშინის-ცემა სნეულისა მის.

75. საძილი არს ტვირთვა, ტვირთსა მას მორჩილი-სასა, და რათა მორჩილებისა მიერ მოატყვას მას გან-სვენება, და ძილი უძილი და სიბრმე კეთილი ვერ ხედავად თვისთა სათნოებათა.

76. სახვეველი არს მზვარობისაგან დახსნილთა, მოხსენებითა სიკვდილისათა განმტკიცება.

77. ჟლო დასასრულსა ყოვლისასა არს მახვილი, განჩინება და მოკვეთა ასოსა სულიერისა დამპლისა, და უკურნებელისა, რათა არა სხვათაცა მისცეს თვისი იგი სენი და მღიერი.

78. შკურნალთა შორის სანატრელ არს, სულმყრა-ლობისა უჩინო მყოფელი იგი წამალი, რომელი ოდეს აქვს არღარა ეცემინ სუნმყრალობა და ეგრეთვე წინამძღვართა შორის სანატრელ არს უვნებლობად, რამეთუ მათ რაჟამს არა ეცემინ სული სიმყრალისა ადვილად მივიდოდინ ყოვლისავე წყლულებისა კურნებად; ხოლო ამათ რაჟამს მოიგიან უვნებლობა ძალ უძნ, ყოვლისავე სულისა მომკვდარისა აღდგინებად.

79. ესეცა უხმს წინამძღვარსა სხვათა თანა საქმეთა, რათა თითოეულსა ღირსებისაებრ მისისა პატივსცემდეს და აჩვენებდეს სიყვარულსა, ნუ უკვე ვითარცა იაკობ-მანცა ავნოს, საყვარელსა მასცა და სხვათაცა მისთანათა. ხოლო ესე მათ შეემთხვევის, რომელთა საცნობელნი სულისანი, არა სრულიად დაეჩვიენ განყოფად კეთილისა, და ხენეშისა, და საშუალისა.

## ღეწი 7

სირცხვილი არს მწყემსისა უკეთუ ილოცვიდეს მიცემად მოწაფეთა მისთადა, რომელი თვით არა მოეგოს.

80. ვითარცა რომელთა იხილიან პირი მეფისა, და ყვიან იგი მეგობარ თვისა, და ყოველნი წარჩინებულნი მისნი მიერთებან ძალუცნ უცნაურთა თვისცა მეფისათა,

ანუ თუ მტერთა თვისცა ხვეშნა, უკეთუ ენებოს და შეყვანება წინაშე მეფისა ეგრეთვე წმიდათა თვის გულის ხმა ყავ, რამეთუ მეგობართა საყვარელთაგან რცხვენისცა მოყვარეთა მათ მიერ. ღეთილ არს რათა მოვიგნეთ მეგობარნი უხილავნი იგი ძალნი, რამეთუ ვერვინ ესრეთ შემძლებელ არს შეწევნად ჩვენდა სათნოებისა მიმართ. მითხრა ვინმემ ივთის მოყვარეთაგანმან, ვითარმედ ყოვლადვეო, არამედ უფროსად საუფლოთა დღესასწაულთა იმერთი თვისთა მონათა საკუთართა, მიანიჭებს ნიჭთა და მადლთა.

### ԳՐԻ Ծ

Ա. ხმს მკურნალსა რათა სრულიად მოსპოლნეს მისგან ვნებანი, რათა ესრეთ შეუძლოს, ჟამსა შინა ოდეს ჯერ იყოს, რათა იჩემებდეს რასმე ვნებათაგანსა და უფროსად გულის-წყრომასა; რამეთუ უკეთუ სრულიად აღხოცენ იგინი სულისა თვისისაგან, ვერ ძალუც უვნებლად ჩემება მათი.

Կ. Դიხილე ცხენი რომელი ჯერეთ ვერ სრულიად დამწყსილ იყო, და ამისთვის ვიდრემდის ლაგამნი მაგრად ხელთა აქვნდეს ზედა მჯდომელსა მყუდროებით ვიდოდა, და რომელსამე ჟამსა მცირედ მიუშვა ლაგამთა,\* და თვითცა ივნო და მასცა ავნო.

Ը. Դსე იგავი არს უფროს ყოვლისა, ორთა ეშმაკთა ზედა იქმნების, რომელსა ნებავეს გულისხმის-ყოფა გულის-ხმა-ყავն.

### ԳՐԻ Դ

Մ. Ժամին გულის ხმა ყოს მკურნალման ივთის-მიერ მოცემული მისდა სიბრძნე, რაჟამს სხვათა მრავალთა მიერ უკურნებელთა ვნებათა განკურნებად შეუძლოს.

\* ლაგამად გულის ხმა იყოფების ღვთის-შიში და კრძალულება და მარხვა და ზრუნვა წინამძღვრისა. ხოლო ორთა ეშმაკთა იტყვის ამპარტავანებისა და ნაყროვანებისას; რამეთუ სადა იყოს მარხვა და სიმადაბლე, მუნ ვნებათა არა რად ძალუც.

ყ. წრა საკვირველ არს იგი მასწავლელი, რომელმან კეთილად მოსწავლენი ყრმანი განაბრძენეს სწავლითა არამედ რომელმან უსწავლონი და გონება მძიმენი განსწავლნეს და სრულ ყვნეს.

ქ. შაშინ გამოჩნდის ინიოხოთა ხელოვნება ოდეს გამოუცდელითა ცხენითა სძლიან, და ცხენნი იგი განარინიან.

ბ. ოკეთუ მოცემულ არიან შენდა თვალნი წინასწარ-ხედვად ღელვათა ნავსა შინა მყოფთა, მათ წინასწარ-ხედვად ღელვათა ნავსა შინა მყოფთა, მათ წინასწარ ეტყოდე თუ არა, შენ ხარ მიზეზ მათის დანთქმისა, ვინადგან შენდა რწმუნებულ არს მენავეთ მოძღვრება.

ჟ. თიხილენ მკურნალნი, რომელთა მიზეზნი ვნებისანი სნეულსა წინასწარ არა აუწყეს, და მის მიერ ფრიადი შემუსრვილება და შრომა მოატყვეს სნეულსაცა და თავთა თვისთაცა.

რ. ჯაზომცა ხედვიდეს წინამძღვარი მოწაფეთა მისსა მიმართ სარწმუნოებასა, ეგოდენ ყოვლითა კრძალულებითა დაიცვენინ თავი თვისი, საქმეთაცა ზედა და სიტყვათა, რათა არავის დაბრკოლება სცეს, ვინადგან ყოველნი მას ხედვენ, ვითარცა ხატსა და სახესა მათსა და რჩულსა საქმისა მათისასა.

ხ. შწყემსი ჭეშმარიტი გამოაჩინოს სიყვარულმან სამწყსოთამან, რამეთუ სიყვარულისათვის მწყემსი იგი კეთილი ჯვარს-ეცვა.

### ღცქი ზ

სიტყვა შენთა ყოველთავე გულის-ხმის-ყოფით იტყოდე და არა სადა გევნოს.

ყ. ყეაწუხე სნეული მცირედ ჟამ, რათა არა განუგრძელდეს სნეულება, ანუ თუ მოკვდეს სრულიად დუმილისა მის შენისაგან მავნებელისა.

ქ. შრავალნი დუმილისაგან მენავეთ მოძღვრისა, ჰგონებდეს თუ კეთილად ვლენ, ვიდრემდის სცეს ნავი მათი კლდესა და შემუსრეს.

ბ. თისმინოთ დიდისა პავლესი, ვითარ მიუწერს ტი-

მოთეს და ეტყვის – ვითარმედ: ამხილე, შერისხენ, და ნუ-  
გეშინის ეც, ჟამსა და უჟამოსა; ხოლო ჟამი იგი არს,  
ვითარ მე ვგონებ, რაჟამს მოითმენდენ მხილებულნი იგი;  
და უჟამო არს რაჟამს ელმოდის და შეწუხნებოდინ მისთ-  
ვის, რამეთუ წყარონიცა დაღაცათუ არავის სწყუროდეს  
არა დასცხრებიან აღმოცენებად წყლისა.

რ. ჟომელთამე წინამძღვართა ბუნება მორცხვი არს,  
და არა ამხილებენ, სადა ჯერიყოს მოწაფეთა, რომელ-  
თაცა ვამცნებ, რათა არა დასცხრენ საქმეთა მათ მოძღვ-  
რისათა ქმნად მოწაფეთა ზედა, რათა არა თვითცა ივნონ,  
და მათცა ავნონ.

რრ. ღისმინოთ ხმისა მის საღ~თოსა, რომელი იტყ-  
ვის ვითარმედ: მოჰკვეთე ეგე, რათა არა ქვეყანასაცა  
აცთუნებდეს; და კვალად იტყვის ვითარმედ მოისპენ  
უკეთურებად თქვენგან; და კვალად იტყვის ვითარმედ:  
ნუ ილოცავ ჩემდამო ერისა ამისთვის; და ეგრეთვე კვა-  
ლად საულისათვის ეტყოდა სამოილს ვითარმედ, რასათ-  
ვის შენ მწუხარე ხარ საულისთვის, და მე განმიგდებიეს  
იგი ჩემგან. – ამას ყოველსა ჯერ არს რათა მეცნიერ იყოს  
მწყემსი: თუ რომელთა საქმეთა ზედა, და ოდეს, და ვი-  
თარ ჯერ არს ყოფად; რამეთუ ღვთისა არა რაა არს  
უჭემმარიტესი.

ბ. ჟომელსა თვისგან შეჰრისხნე, და არა შერცხ-  
ვენდეს მას, თუმცა სიმრავლესა ზედა შერისხნე არავე  
შერცხვენდეს; რამეთუ ჩვეულება ბოროტებისა მოუღე-  
ბიეს, და ცხოვრება თვისი მოუძულეებიეს.

## ღცქი ხ

ღიხილენ სნეულნი კეთილნი, რომელთა იცოდეს  
თვისი მოშიშება და უთმინოება, და დაღაცათუ არა ენე-  
ბა მკურნალთა შეკვრა მათი, და ესრეთ კურნება; არა-  
მედ იგინი ევედრნეს ნებსით, რათა იძულებით და უნებ-  
ლიეთ ჰკურნოს მათ, მკურნალმან მან; რამეთუ სული  
გულს მოდგინე იყო საუკუნოისა მისთვის სასოებისა,  
ხოლო ხორცნი უძლურ, პირველთა მათთვის ჩვეულება-

თა, რომელნი იგი ვიხილენ რა, განვაზრახე მკურნალთა რათა ისმინონ მათი.

ყ. ორცა ყოველთადა უხმს წინამძღვარსა მისსა მომავალთა თქმად, თუ იწრო და საჭირო არს ბჭე იგი, არცა ყოველთადა უხმს თქმა თუ უღელი ტკნილ არს, და ტვირთი მცირეო; არამედ რათა თითოეულისა ჯერისა-ებრ დასდებდეს წამალსა; და რომელნი ძნელოანთა ცოდვათაგან დამძიმებულ იყვნენ და მოუძღურებული მეორესა მას ეტყოდის; რომელნი მიდრეკილ იყვნენ სასოწარკვეთილებისა მიმართ; და კვალად რომელთა გონება სიმაღლისა და ამპარტავანებისა მიმართ მიდრეკილ იყოს მათთვის, პირველი იგი კეთილ არს.

ჟ. რომელთამე ენება გზასა შორსა წარსვლა, და კითხეს მეცნიერთა მათ გზისათა, და მათ რქვეს, ვითარმედ ადვილ არს და ვაკე; ამისთვისცა სიტყვითა მათითა უღებებით იწყეს სლვად, და ნახევარსა გზისასა დაიხსნეს, ანუ თუ უკუნ იქცეს, რამეთუ განუმზადებელ იყვნეს ბრძოლათა მათთა მიმართ, და ეგრეთვე წინააღმდეგომი გულის ხმა ყავ.

ზ. სადა სურვილი ივთისა მიეახლა გულსა, მუნ მრისხანებაჲმან სიტყვათაჲმან, ვერ შეუძლო შეშინება; სადა შიში გეენიისა შევიდა, მუნ ყოველთავე შრომათა თავსდება ადვილ იქმნა; და სადა სასუფეველისა სასოება იცნობების, მუნ შეურაცხება არს ყოვლისავე ქვეყანასა.

რ. ოხმს კეთილსა ერისთავსა, რათა მეცნიერ იყოს ერისა მისისა თვითოეულისა ძალსა და ახოვნებასა, რამეთუ ნუ უკვე იყვნენ ვინმე შორის ერისა მისისა წინამბრძოლ; და მარტოდ მბრძოლ-რომელთა უხმს დაყუდებით დაჯდომა.

რ. ორ ძალუც მენავეთ მოძღვარსა ოდენ, თვინიერ მენავეთა შეწევნისა ნავისა განრინებად, ვერცა მკურნალსა განკურნებად სნეულისა, არა თუ ეჩვენოს სნეულმან მან წყლულება თვისი, და ევედრებოდის მას კურნებად წყლულისა მის.

ზ. ჯომელთა რცხვენა მკურნალისაგან, დალპეს წყლულებანი მათნი, და მრავალნი მოცაკვდეს სრულიად.

### ԳՐԻ Ի

Դ. Կապამს სძովდեն ცხოვարნი, ნუ დასცხრებին մწყემსի სტვინვასა სიტყვისასა, და უფროსად ეგულვებოდის რამ მათ დაძინება; რამეთუ არა რასგან ეშინის ესრეთ მგელ-სა, ვითარ სტვინისაგან մწყემსისა.

Ե. Շրცա მარადის დამდაბლება უხմს თავისა თვისსა უղულის ხմოდ մწყემსսա, არცა მარადის ამალღება უղუნურად, ვინათგან ხედავს Մავლეს დიდსა მოციქულსա, ვითარմեդ ორსავე ამას შինա չերოვნադ იქցეոდა.

Զ. Մრავալ Գոհի Ա. Գալման დაպყենոս თვալնի մոր-ჩիլთա ახլად մոսրულտանի, რათա ვեր ხեդვიդեն նაკ-լულլեզանებათա մոძღვրისათա, ხոლო რომელտამե წինամძღვարտա Գամուլցხადնես մათ იցինի, და ვნება մոატყ-ვეს.

Է. Դիხիլլե წինամძღვարի, რომელი დიდისა միս სիմ-დაბլիսա միսիսաგան, Մვიլտա თვისտա Գանաճրախեբն: Եղ-լեբին რա լմնադ რասամե; და ვիხիլլե სხვა Վինմե, რომელი თვისսա სիბրմեսա უղუნურებით Գամուլցხადեծա და կից-ხեցիտ რომელտամե საქմետա Ֆեդա Գանաճրախեծա մათ.

Ը. Դիხիլլեն վնեծլլնի, რომელտա վնեծլլադ իწყյես լինամძღვարոծադ, და մցիրեդ-մցիրեդ Մերցხვენ մոլա-ფետա մատոագան, და վնեծանի մոիწყვიդնես, ხոლო ესե վითար մե վցոնեծ սասყիդեղման ման մათ միեր լծոզնեծ-լտա ման լմնա մათ Ֆեդա, და լլմնա մათ վնեծլլադ დაլ-լլեծլլի իցի საქմե վնեծլլեծլլոծիսա միճեճ.

### ԳՐԻ Թ

Դեքրմալնետ նու լլկե վնեծսապլլեղսա Մինա մոգե-ծլլի Ֆլզասա Մինա Գանվածնիոտ, իցիան տլլմլլի էսե, რომելնի չերეთ დაլլմწყյել արիան կետիլսա Մինա და Մեղլեն ամծոխեծատա და Ֆրլլնվատա իորլլիլտա.

Կ. Ծիդ արս կլլմարիլլադ սլլղրմեղադ და լծնեդ

მოთმინება, სიცხესა მას დაყუდებისასა, და მოწყინებასა მისსა, და რათა არა ეძიებდეს გარეგან სენაკისა განსლვა-სა და განცხრომათა, ვითარ იქმან სულმოკლენი მენავენი, და ჟამსა მყუდროებისასა წყალთა შინა ცურვენ. ხოლო ფრიად უზესთაეს არს არა შიში შფოთთა და ამბოხება-თაგან, არამედ დადგრომა მათ შინა, შეუშფოთებელითა და აღუძვრელითა გულითა, და ყოფა გვამითა-კაცთა თანა; და გონებითა-ივთისა თანა.

### ԳՐԻ I

Մსեցა թի საკვირველო! საძიებელմცა არს თუ, რომელი დასჯილი მოვალს საშინელსა ამას, და խեղճարիտსა სამჯავროსა ჩვენსა, ანუ რომელი უბრალოდ მოისწრა-ფის მსახურებად, და მონებად ივთისა, რამეთუ ამათ ორთავე გამოსვლანი უրთიერთას წინააღმდეგომ არიან, და განყოფილნი მოქალაქეობანი უხმან მათ.

Կ. Կოვლისა პირველად კითხვიდე მოსრულსა მას თვისაგან, თუ რად არიან საქმენი იგი მისნი, რათა ორი სარგებელი მიეცეს აღსარებისაგან, რათა აღსარებისა მისთვის რცხვენოდის, და მარადის შორս იყოს კადნი-რებისაგან, და რათა იცოდეს თუ ვითարთა ტვირთთა მისთა თავსმდებელ ქმნილ ვართა და სიყვარულად აღიძ-րოდის.

Է. Իսუցამცა ამას უმեցար ხար թի პատիოსանო! ვի-თարცա იგი არცա უմեցար ხար: Եւ იყოფին, ვითარმედ Ըմերთი განიկითხავს შეცოდებულთა ადგილისა ებրცა, და გონებისა; და Նրდილობისა, ეგრეთვე շեն იქմոდე, რამეთու ფრიადი განყოფილება არს საქმეთա შինა ცოდ-ვისათա.

Ը. Մրავալ գոնիս უղլլურեսի, უմდაბլեսցա არն գონებითա; ამისთვისցա უსւբუքესადցա զիրս არს լանջ-վաճ, սულიերտա մათ մսաղլտա միեր, ხոլո լինալմմ-գոմի ამისի սաճնաւր არս.

### ԳՐԻ II

Նրա մშვიճոճա არս, უքետու լոմի ճխոճարտա Յմլլ-



სიდეს; და არა უცთომელ არს უკეთუ ვნებული, ვნებულ-  
თავე წინამძღვარ იყოს.

ჟ. ოშვერ არს მელი ქათამთა შორის, და უშვერ  
არს გულისწყრომა წინამძღვართა თანა; რამეთუ იგი ქა-  
თამთა შესჭამს, ხოლო ესე სულთა პირმეტყველთა  
ავნებს.

რ. უხილე: ნუ ხარ ზომისა უმეტეს, წვლილადთა  
საქმეთა გამომეძიებელ, რათა ესრეთ იქმნე მსგავს ივ-  
თისა.

ბ. უაქვნიდინ იმერთი წინამძღვრად, ყოველთავე  
საქმეთა შენთა გულისათა და გარეშეთა და ნუ რა რას  
ზედა იქმ ნებასა შენსა, არამედ მისსა, რათა იქმნე შენ-  
ცა უზრუნველ, რაჟამს ყოველივე მისდა მიგენდოს და  
მისითა წამისყოფითა იქმოდო.

გ. უსემცა საძიებელ არს ჩვენ შორის, უკეთუ სარწ-  
მუნოებისათვის ჩვენდა მოსრულთასა, და არა ჩვენისა  
მოსწრაფებისაგან, მოვიდა მადლი ივთისა მიერ ჩვენ ზე-  
და, რამეთუ მრავალთა ვნებულთაცა ამით სახითა სას-  
წაულნი ქმნეს.

დ. ოკეთუ მრავალთა ჰრქვიან ოფალსა მას დღესა  
შინა ვითარმედ, ოფალო არა სახელითა შენითა ვწინას-  
წარმეტყველებდითა; არა სადა ურწმუნო არს ზემო თქ-  
მული ესე თავი.

ე. უინც ჭეშმარიტად მოიპოვა მოწყალება ივთისა-  
გან, მას შეუნიშვნელად შეუძლიან კეთილ-მყოფობა უძ-  
ლურთა, და ამ სახით იგი იქმს ორთა დიდთა კეთილთა:  
პირველად მას, რომ დაიცავს თავისთავს უვნებელად დი-  
დების გესლისაგან; და მეორედ, რომ აღსძრავს შეწყა-  
ლებულთა მხოლოსა ღვთისადმი შეწირვად მადლობისა.

## მეცხე მუცხე

ქომელნი გზასა მას ძლიერად ვიდოდინ, მათ ძლიე-  
რიცა და სრული და მტკიცე წამალი წინა-უყავ; ხოლო  
რომელნი ჩჩვილ არიან ჯერეთ გონებითა მათ სძე ეც,

ვითარცა ჩვეილთა, რამეთუ ჟამი არს თითოეულისა ჭამადისა.

ჟ. ორთმან ჭამადმან რომელთამე გულს-მოდგინება მოატყვის, და მანვე ჭამადმან სხვათა სულ მოკლება; ამისთვისცა ჯერ არს, რათა ჟამისაებრ და პირისა, და საზომისა დავასხმიდეთ თესლსა.

ღ. ჟომელთამე სულთა წინამძღვრობისა საქმე არად შერაცხეს; და ხელყვეს უგუნურებით სულთა წინამძღვრობად, და აქვნდა მათ მრავალი სიმდიდრე და ცალიერნი მის ყოვლისაგან წარვიდეს ამიერ, რამეთუ სხვათა განუყვეს იგი წინამძღვრობითა მით.

ბ. თითარცა იგი არიან ჭემმარიტნი შვილნი, და სხვანი მეორედისა ცოლისანი, და სხვანი დაგდებულნი, და სხვანი მხეველისაგან, ეგრეთვე მოძღვრებაცა თვითო სახე იქმნების.

გ. ორს მოძღვრება ჭემმარიტი მიცემა სულისა, სულისათვის მოყვასისა სრულიად; და არს სხვა პირველთა ოდენ ცოდვათა ტვირთვად; და სხვა არს მის მიერ ბრძნებულთა საქმეთა სიმძიმისა ოდენ ტვირთვად, ნაკლულევანებისათვის უვნებელობისა და სულიერისა ძალისა.

დ. სრულსა მასცა მოძღვრებასა შინა დატევებისაებრ მათისა ნებისა, ვიტვირთავთ ჩვენ სასჯელსა.

ე. ყვილი ერთგული მაშინ იცნობების, ოდეს მამა მისთანა არა იყოს.

ვ. ოსწავებდინ წინამძღვარი, მათ რომელნი წინაშე კაცთასა სიტყვას უგებდენ მას, და წინაშე დიდთა პირთასა; და კანონევიდინ მათ მძიმითა კანონითა, რათა სხვათაცა შიში მოატყვის მათ მიერ, დაღაცათუ მძიმედ ელმოდის და განმწარდებოდინ შერისხვისა მისთვის, რამეთუ უმჯობეს არს მრავალთა სარგებელი ერთისა სავანებელსა.

ზ. ორიან ვიეთნიმე, რომელნი სიყვარულისაგან უზესთაეს ძალისა თვისისაცა იტვირთვენ ტვირთთა სხვისათა, სიტყვისა მისთვის რომელი იტყვის, ვითარმედ უფ-

როსი ამისსა სიყვარული არავის აქვს, და შემდგომი ამისი; და არიან სხვანი რომელთა მოუღებებს ძალიცა იცითისა მიერ ტვირთისა, და არა იქმან მას, რათამცა აცხოვნეს ძმა, და ცხოვრებისა მისისათვის, იტვირთესმცა სიმძიმე. ხოლო მე ვითარცა სიყვარულისაგან უცხოთა ვაბრალოზ მათ, და საწყალობელ მიჩანნ; ხოლო პირველ მათთვის მიპოვნის წერილი, ვითარმედ რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი, არა მწიდებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს იგი; და კვალად რომელი იტყვის, ვითარცა უყავ მას გეყავნ შენ.

7. იგიცა გულის ხმა ყავ, ვითარმედ მრავალგზის გონებით ცოდვა წინამძღვრისა უძვირეს განიკითხვის, საქმით ქმნასა მოწაფისასა; რამეთუ უადვილეს არს მხედრისა ცოდვა, ვიდრე ბოროტად განზრახვა ერისთვისა.

74. წსწავლიდი მოწაფეთა შენტა, რათა ხორციელთა ცოდვათა არა იხსენებდენ სახით ვითარ ექმნას, ხოლო სხვასა ყოველსავე იხსენებდენ ღამე და დღე ვითარ ექმნას.

75. წსწავლიდ რათა ყოვლითურთ უმანკო იყვნენ ურთიერთარს, ხოლო ბრძენ და მრავალ ღონე ეშმაკთა მიმართ, და ამას ზედა სახედ მისცემდი თავსა შენსა.

76. ნუშეცა დაგეფარვის ურთიერთარს სიყვარულიცა სამწყსოთა შენტა, რამეთუ ღონე არს მგელთა, დახსნილთა მიერ მოსწრაფეთაცა-დახსნად.

77. ნუ უდებ ხარ უდებთა თვის ლოცვად, არათუ რათა შეიწყალნენ, რამეთუ ესე შეუძლებელ არს ვიდრემდის იგინი არა შეგეწეოდინ, არამედ ამას ილოცევი, რათა ღმერთმან მოსწრაფებად მოიყვანნეს.

78. ოუძღურნი მწვალებელთამცა თანა ნუ მივალნ ჭამად, ვითარცა წერილ არს მამათა მიერ, ხოლო ძლიერთა, უკეთუ ენებოს წარსლვა და ჭამაცა დიდებად ოფლისა მივიდოდედ.

79. ნუ მიზეზობ უმეცრებასა, რამეთუ რომელმან არა იცოდის და ქმნას ღირსი გვემისა იგვემოს რომელ

არს ისწავლა.

## ტექნიკა

სირცხვილ არს მწყემსისაგან შიში სიკვდილისა, ვინათგან მორჩილებაცა ესე არს უშიშოება სიკვდილისაგან, მაშა არა უფროსად წინამძღვრობასა უხმს უშიშოება სიკვდილისა.

ყ. წამოიძიე ზი ნეტარო, თუ რომელთა სათნოებათა თვინიერ სიწმიდისა სულისა და ხორცთასა, არა იხილვების უფალი, და იგინი ასწავენ ყოვლისა უწინარეს შვილთა შენთა; ხოლო ყოვლისავე დედათა და სავენებელთა პირთა ხილვისაგან განაშორენ.

ღ. ძალისაებრ და საზომისა თვითოეულისა ჩვენისა ქვეშე მყოფთასა განვაგნეთ საქმენი მათნი, რამეთუ არა ვისი ჯერ არს ნავთსაყუდელისაგან განვლენა.

ბ. შირველ ჯეროვნისა გამოცდისა, ხელთა ნუ ვის დავასხამთ, ნუ ქრთამისათვის, ნუცა დიდთა შვილობისათვის, რამეთუ სასჯელისა თანამდებ არიან ესე ვითარნი, ნუ უკვე ვერ თავს იდვან სიცხე და შრომა მონაზონებისა და სოფლად მიიქცენ, და რომელთა დაესხნენ მათდა ხელნი, არა უბრალო იყვნენ პასუხის გებად წინაშე ივთისა.

ბ. წინმე არს ვითარი მნე ივთისა, რომელსა თვისნი ცრემლნი და შრომანი თავისა თვისისათვის არღარა ეხმარებიან, არამედ სხვათათვის ყოფს მათ ივთისა მიმართ ურიდად.

ბ. ნუ დასცრები სულთა და ხორცთა შეგინებულთა წმიდა-ყოფად, რათა არა თვისისა ოდენ სულისა და მოყვასისა, არამედ სხვათაცა სულთა თვის მიიხვნე ივთისა მიერ გვირგვინი, სახე რა კეთილის ექმნე სხვათა და შენ ძლით იდიდოს ღმერთი, და კადნიერებით ითხოო მისგან სასყიდელი.

ბ. წიხილე უძლური ვინმე ძმა, რომელმან უძლურება სხვისა უძლურისა სარწმუნოებითა განწმიდა, რაჟამს ურცხვენელობა საქებელი იხმარა მისთვის ივთისა

მიმართ, და სული თვისი, სულისა მისისათვის დასდვა, გარნა სიმდაბლითა, და მისისა კურნებისაგან თავიცა თვისი განკურნა; და ვიხილე სხვა რომელმან ამპარტავანებით ეგრეთვე ქმნა, და ესმა რისხვით, ვითარმედ მკურნალო პირველად განიკურნე თავი შენი.

ქ. Ἰქმნების ჯმნა კეთილისაგან უზესთაესი და კეთილისათვის, ვითარცა რომელი იგი და წამებისაგან დაცულ იქმნა, არათუ რამეთუ მას ეშინოდა, არამედ სხვათა მათთვის რომელნი მისგან ირგებდეს და განათლდებოდეს.

მ. Ἦრს კაცი რომელ სხვისა პატივისათვის მისცემს თავსა თვისსა შეურაცხებად, და სხვათა მიერ შერაცხილ არს გემოთ-მოყვარებად, და მსახურად, და იგი არს ჭემმარიტ.

ნ. ሲკეთუ რომელსა აქვდეს სიტყვა სარგებელისა, და არა მისცემდეს უშურველად, და არა განერეს იგი ბრალისაგან, მაშა რაზომი ბრალი მოიწიოს საყვარელო მას ზედა, რომელსა ძაღედვას საქმითცა შეწევნა, და არა შეეწიოს.

ო. Ἦსენ რომელი ეგე ხსნილ ხარ ሲვთისა მიერ; აცხოვნე, რომელი ეგე ცხოვნებულ ხარ, განარინენ მიმავალნი სიკვდილად, და მოიყიდენ რომელნი იგი მოიკლვოდენ ეშმაკისაგან, რამეთუ ესე არს საქმე უზესთაესი ყოვლისავე საქმისა და ხედვისა კაცთა და ანგელოსთასა.

პ. ሲომელი ሲვთისა მიერ მისდა მოცემულითა სიწმიდითა, სხვისა ბილწებათა განსწმედდეს, გამოაჩინებს თავსა თვისსა შემწედ ሲხორცოთა მათ ძაღთა; რამეთუ უბიწოთა მსხვერპლთა შესწირავს იგი ሲვთისა, და ესე საქმე ანგელოსთა არს, რამეთუ შესწირონ მისსა ძღვენი, სულთა ყოველთა რომელნი არიან გარემოს მისსა.

ჟ. ሲრა რად ესრეთ გამოაჩინებს ჩვენდა მომართ დამბადებელისა ჩვენისა კაცთ მოყვარებასა და სახიერებასა, ვითარ ესე რომელ დაუტევნა ሲთხმეოცდა ათცხრამეტნი, და მოვიდა მოძიებად შეცთომილისა

მის ერთისა ცხოვარისა.

76. უკრძალე შენცა ზი ნეტარო, და ყოველი მოსწრაფება შენი და სიყვარული და მხურვალეობა და მოღვაწეობა და ვედრება ივთისა შეცთომილსა და შემუსრვილსა ზედა აჩვენე რამეთუ, სადა დიდად იყვნენ სენნი და წყლულებანი, მუნ უეჭველად დიდნიცა სასყიდველნი მიეცემიან.

77. უამოვიძიოთ და გულის ხმა ვყოთ, რამეთუ არათუ ყოვლადვე სამართალისა შჯა უხვს წინამძღვარსა უძღურებისათვის.

78. უიხილენ ორნი მოსაჯულნი წინაშე მსაჯულისა ყოვლად ბრძნისა, და უსამართლო იგი, ვითარცა უძღური განამართლა, ხოლო მართალი იგი ვითარცა ახონი განაცრუა, რათა არა მართალ-მსაჯულობითა უმეტესი განხეთქილება ყოს, და თვისაგან თითოეულსა უთხრა საქმე თვისი, და უფროსად რომელი იგი უძღურ იყო.

79. უელი მწვანვილოვანი ყოველთავე ცხოვართათვის კეთილ არს; ხოლო სწავლა და მოხსენება სიკვდილისა, ყოველთავე სიტყვიერთა ცხოვართათვის კეთილ არს და სარგებელ.

80. ყურაცხყოფდი და კდემდი სულგრძელთა წინაშე უძღურთა, რათა სხვისა წამლითა, სხვისი წყლულება განკურნო, და სულგრძელთა მათ მოთმინება უმეტესი ასწაო.

81. ურა სადა განუქიქებიეს იმერთსა აღსარება ვისიმე, რათა არა დააბრკოლნეს აღმსარებელნი იგი განქიქებითა მით, და მერმე უკურნებელად დასნეულდენ.

82. უაღაცათუ წინასწარ-ცნობისა მაღლი გაქვნიდეს, ნუმცა ჩვენ უთხრობთ შეცთომილთა მათ ცნობასა პირველვე, არამედ უფროს ღონისძიებით იგინი მოვიყვანეთ აღსარებად, რათა მათცა აღსარებითა მით პოონ ლხინება ცთომისა მის მათისა.

83. ყმდგომად აღსარებისა უმეტეს პირველისა,

მისცეთ მათ ჩვენდა მომართ კადნიერება, რამეთუ ამით სახითა დიდად წარემართნენ ჩვენდა მომართ სარწმუნოებასა და სიყვარულსა, და კვალად გვიღირს რათა ვასწავლიდეთ მათ ქონებად ჩვენდა მომართ შიშისა; და ჩვენ კვალად სახესა სიმდაბლისასა ვაჩვენებდეთ მათ.

კყ. ოხილე ნუ უკვე უზომომან სიმდაბლემან შენმან, ნაკვერცხალი ცეცხლისა შეკრიბოს თავსა ზედა შვილთა შენთასა.

კრ. ყოველსა შინა მოვალე ხარ რათა იყო მოთმინე, გარდა ურჩებისა ბრძანებულთა შენთასა.

კდ. ოსულის-ხმა-ყავ ნუ უკვე არიან შენსა მაგას ვენახსა ხენი რომელნი ოდენ ქვეყანასა აცთუნებენ, და ნუ უკვე სხვასა ადგილსა შემძლებელ არიან ნაყოფიერებად, რომელთაცა სიყვარულით აღმოგლეჯად და სხვასა ადგილსა დანერგულად ნუ უდებ ვიქმნებით.

კე. ნუ უკვე შემძლებელ იყოს წინამძღვარი სოფლისა მახლობელთაცა ადგილთა, დაუბრკოლებელად ქმნად სათნობისა, არამედ ეკრძალებს მისთანა მყოფთა თვის, და უკეთუ მუნ ენებოს ყოფად, ნუ შეიწყნარებნ ძმათა ვნებულთა, რამეთუ არათუ ყოველ არა შეწყნარება ხენემ არს.

კე. ოკეთუ სულიერი დაყუდება აქვნდეს მკურნალსა, ხორციელი არა ფრიად სახმარ არს მისდა კურნებასა მას შინა სნეულთასა, უკეთუ კულა პირველი იგი არა აქვნდეს და მეორე ესე იხმარენ.

კვ. არა არს ესრეთ კეთილად შეწირული ჩვენ მიერ ღვთისა ძღვენი, ვითარ სულთა პირმეტყველთა სინანულითა მისდა მიპყრობად.

კჟ. ყოველივე სოფელი ერთისა სულისა, არა ღირს არს, რამეთუ იგი წარვალს, ხოლო ესე უკუნისამდე გიეს.

## ღეღი თბ

ღმისთვის უკვე ნუ ნატრი ნეტარო რომელნი საფა-

სეთა, არამედ რომელნი ცხოვართა პირმეტყველთა შესწირვენ ქრისტესა.

ჟ. ობიწომცა არს მსხვერპლი შენი, თუ არა რაად სარგებელ გეყოს.

ჟი. ჴითარცა იგი მიცემა ჯერ იყო ძისა კაცისა, ხოლო ვაჟ მისდა რომლისა მიერ მიეცეს, ეგეთვე წინააღმდეგომი ამისი გულის-ხმა-ყავ, ვითარმედ ცხოვნება ჯერ იყო ყოველთა მოსწრაფეთა, ხოლო სასყიდელი მისი არს, რომლისა მიერ ცხოვრება მათი იქმნა.

ბ. ყმდგომად ივთისა, ქალიცა დიდი გვიხმს სულიერი ზოი, წმიდაო მამაო, რათა რომელთა იგი ხელ გვიყოფიეს წმიდასა მას ჰმიდათასა შეყვანებად, და შეწირვად საკურთხეველსა ჴრისტესსა, ვიდრემდის წინაშე კართა შესავლისათა იყვნენ, უკეთუ ვიხილნეთ იგი სიმრავლისა მისგან ხენეშისა შეიწრებულნი, უპყრათ ხელთა მათთა ვითარცა ჩჩვილთა და ხენეშისა მისგან გულის-სიტყვათასა განთავისუფლნეთ.

ბი. ოკეთუ კულა ფრიად ჩჩვილ და უძლურ იყვნენ მხართა ჩვენთა ზედა ვიტვირთნეთ და აღვამაღლნეთ ვიდრემდის შევლონ კარი იგი იწროჲ და საჭიროჲ, რამეთუ ყოველივე შეიწრება დატენება მუნ იქმნების, ამისთვისცა იტყოდა წინასწარ-მეტყველი ვითარმედ, ესე არს შრომა ჩემ წინაშე დიდი, რათამცა ერთი ოდენ შევედ სიწმიდესა ივთისისა.

ბი. ოქმულ არს ჩვენ მიერ ზემოთა მათ თავთა შინა ზი, მამათა მამაო, მის მამათა მამისათვის და მოძღვრისა მოძღვართასა, თუ ვითარი იყო სიბრძნითა ზეცისათა, ყოვლითურთ შემკობილი, ჯეროვნად მამხილებელი, წმიდა, მოწყალე, შემნდობელ, ბრწყინვალე; და ყოვლისა უმჯობესი ესე იყო მისთანა, რომელ უკეთუ ვინ იხილის ვითარმედ ნებაჲს ცხოვრება, უმეტესი მოსწრაფება დადვის მის ზედა; და კვალად რომელნი იხილნის თუ აქვს თვისი ნება, და სიყვარული საქმისა რასამე, ესრეთ ისწრაფის მოწყვედად ნებისა მის, რომელ ყოველნივე ილტვოდინ ქონებად



რაისამე ზედა ნებისა მისისა; და იტყოდა ამასცა სანატრელი იგი ვითარმედ უმჯობეს არს განძება მონასტრისაგან, ვიდრე შენდობა ნებისა მისისა ქონებად მოწაფეთა, რამეთუ რომელმან განაძის მრავალ გზის განძებული იგი დაამდაბლის. ხოლო რომელი მოუშვებდეს ნებასა თვისსა ვითარცა სახედ მოწყალებით მან იყოს, რათა ჟამსა სიკვდილისასა საწყალობელად სწყევდენ მას, რამეთუ აცთუნნა და არა რაჲ არგო მას.

ზ. ოქვინდა ესეცა ჩვეულება დიდსა მას რომელ შემდგომად მწუხრისა გალობისა დაჯდის იგი საყდართა ზედა გვამითა ძელისასა, და სულითა მადლთასა ვითარცა მეუფე, და გარე მოადგიან მას, ვითარცა ბრძენნი ფუტკარნი, კეთილი იგი კრებული; და ვითარცა ივთისათა, ისმენდეს სიტყვათა მისთა, და მორჩილებდეს ბრძანებათა მისთა; და რომელსამე უბრძანებნ ორმოცდა ათისა ფსალმუნისა, და რომელსამე სამოცდა ათის ფსალმუნისა და რომელსამე ასისა თქმად პირველ დაძინებისა, და რომელსამე ეგრეთვე მუხლ დრეკასა უბრძანებნ; და სხვასა ქვეჯდომით ძილი მისცის; და სხვასა ჟამი განუწყესის წიგნის კითხვისა; და სხვასა უბრძანის ლოცვად და დადგომად განწყესებულსა ჟამსა, – და დაედგინნეს ორნი ძმანი ზედა მდგომელად, რათა დღისი აყენებდენ ცუდად მეტყველებისაგან, და ღამით კვალად ცუდისა მღვიმარებისაგან, ანუ ურთიერთარსთანა უბნობისა.

ი. ოა კვალად ტაბლასაცა ზედა თითოეულისა და წესი განეწესა დიდსა მას, რამეთუ არათუ ყოველთა ჭამადი ერთი იყო, არამედ თითოეულისა წესი დაედვა; და რომელსამე ხმელა პურსა და წყალსა უბრძანებნ მიღებად, კეთილი იგი მნე; და სხვათა უმეტესადრე ნუგეშინისცემნ, და საკვირველი ესე იყო, რომელ ყოველსავე უდრტვინველად ვითარცა პირისაგან ივთისა შეიწყნარებდეს; და აქვინდა ქვემო კერძო დიდსა მას ადგილი იგი დილეგისა, რომლისათვის ვჰსთქუთ და ზემო კერძო დიდისა მის მონასტრისა, კვალად სხვა ლავრა რომელსა

შინა ძლიერთა მიავლინებენ დაყუდებულად ძლიერი იგი და სრული.

მ. ნუ შეუნდობ გვედრები წრფელთა, რათა არა გვლარძნილ იქმნენ; არამედ უფროსად გვლარძნილნი უკეთუ ძალგვდვას მოიყვანენ სიწრფოებად.

ნ. სრულიად უვნებელ ქმნილი იგი შემძლებელ არს კეთილად, და ჯერისაებრ ქმნად სასჯელისა, რამეთუ ნაკლულევანება უვნებლობისა სცემს გულსა მსაჯული-სასა, და არა შეუნდობს ჯეროვნად ყოფად სასჯელისა.

ნ. სარწმუნოებისა მართლისა სამკვიდრებელი დაუ-ტევე ყოვლისა პირველად შვილთა შენტა, რათა არა ოდენ შვილნი, არამედ შვილის-შვილნიცა შესწირნენ უფლისა მართლ-მადიდებლობით.

ნ. საბუკთა მხურვალეთა და ქედფიცხელთა, და-ქენჯნად ნუ შეიწყალებ, რათა ჟამსა სიკვდილისასა გა-დიდონ შენ.

ნ. წმასცა ზედა სახედ შენდა იყავნ დიდი იგი მო-სე ზი, ყოვლად ბრძენო, რამეთუ ვერ შეუძლო მორჩილ-თა მათ მისთა ფარაოსაგან განთავისუფლებად ვიდრემ-დის ჭამეს უფუარი.

ნ. ოფუარი ესე არს, რათა არა აქვნდეს მოწაფესა მიშვება ნებასა თვისსა, რამეთუ ნება აღამალლებს კაცსა, ხოლო უფუარი მარადის მდაბალ არს, ხოლო ველის ყრდელად გულის-ხმა-ვყოთ, სიფიცხე იგი მხილებისა და კდემისა მოძღვრისა, და იწროება იგი მარხვისა. რომელ ექმნის სიმწარე ხორცთა, ხოლო არიან იგი ტკბილ სუ-ლისა, უფროს თაფლისა გოლეულისა.

ნ. ქოლო მე მამათა მამაო, რომელი ამას შენ მო-გიწერ, ვსძრწი სიტყვისა მისგან, რომელი იტყვის ვი-თარმედ: რომელი სხვასა ასწავლი თავისა თვისისა რად არ იქმნები მასწავლელ, ხოლო აწ ესოდენ ვსთქვა და სარბიელი სიტყვისა ჩემისა დავიცადო.

## ტეტი ტი

ღული რომლისაც სიწმიდისა მიერ ივთისდა შეყო-

ფილ იყოს, სხვისა სიტყვა სწავლად არა ეხმარების, რამეთუ სიტყვა იგი დაუსაბამო აქვს მოძღვრად და წინამძღვრად და განმანათლებლად მისა ნეტარსა მას, ვითარცა ეგე არს შენი სიწმიდე, რომელსა არა სიტყვითა ლიტონითა მეცნიერ ვარ, არამედ საქმით გამოცდილ ვარ შენსა მას ყოვლად წმიდასა გონებასა მომსრველსა მხეცთა მათ ბოროტთასა, სიმშვიდით შენითა და სიმდაბლითა მსგავსად დიდისა მის სჯულის მდებელისა მოსესსა, რომლისა კვალსა შეუდეგ, და კნინდა მასცა წარხედ სიწმიდისა და ჭაღწულებისა მადლითა, რომლისა მიერ უფროს ყოვლისა შესაძლებელ არს მიახლებად ივთისა, წმიდისა მის და უხრწნელისა რომელი იგი მომნიჭებელ არს უხრწნელისა, და აღამაღლებს ქვეყანით ზეცად მოღვაწეთა მათ.

ჟ. ჟომლისათვის შენცა, ვითარცა ცეცხლისა ეტლითა, მსგავსად დიდისა მის ოლიასა ამალღებულმან, არა თუ ოდენ მეგვიპტელი იგი მოაკვდინე, და ქვიშასა მას სიმდაბლისასა დაფალ, არამედ მთადცა აღხვედ და ღმერთი იხილე ეკლოანითა და ფიცხელითა, და ძნად შესაწველითა მოქალაქობითა.

რ. ბა ხმა იგი ივთისა გესმა ნათელი მისი იხილე, და ხამლნი იგი რომელ არიან ვნებათა ნივთნი წარიხადენ ფერხთაგან სულისათა; და უპყარ ბოლოსა მისსა რომელი იგი ანგელოსთაგან ვეშაპ იქმნა, და მღვიმესა ქვესკნელსა შთახადე იგი; და ფარაოს მძლე ექმენ მაღალსა მას და ამპარტავანსა, და მეგვიპტელნი გვემენ. და მათნი პირმშონი მოსწყვიდენ, რომელ ესე დიდ არს საკვირველებით.

ბ. წმისთვისცა ოფალმან გარწმუნა შენ წინამძღვრობა ძმათა, რომელნიცა იხსნენ შენ ნეტარო ფარაოსაგან და ბოროტისა მის ალიზისა, და მიეც მათ სვეტი ცეცხლისა, და ღრუბლისა საღმრთოსა, დამშრეტელი ყოვლისავე ვნებათა სახმილისა.

გ. ბა არა ესოდენ, არამედ მეწამული ესე და ცეც-

ხლის ფერი ზღვა განუპე მათ, რომელსა შინა მრავალნი დავინთქმით, და მძლედ გამოაჩინენ იგინი კვერთხითა მწყემსობისა შენისათა, და ყოველნი მდევარნი მათნი სრულიად დაანთქენ; და ამას ზედა ამაღლევიცა იგი ამპარტავანებისა, რომელი შემდგომად ზღვისა განვლისა შემთხვევის, მოსწყვიდე აღპყრობითა ხელთათა, შორის საქმისა და ხედვისა, ერის მისთვის ივთისა მიერ შენდა რწმუნებულისა, და მძლე ექმენ წარმართთა, და მთად უვნებლობისა აღიყვანე ერი შენი.

ჟ. შლვდელნი დაუდგინენ მათ და წინა-დაცვეთა უვნებლობისა ასწავე, რომლისა თვინიერ არა იხილვების იმერთი, არათუ იქმნას წინა დაცვეთა ვნებათა, და მოსლვა სიწმიდისა; და სიმაღლედ აღხვედ და ყოველი უგულისხმოებისა ბნელი განკვეთე, და მიეახლე ნათელსა ფრიად უაღრეს მაყლოანისა მის, და ღირს იქმენ შენ ხმასა საღმრთოსა, და ღირს იქმენ ხედვასა და წინასწარ მეტყველებასა, და იხილე ზურგით კერძო ივთისა, ესე იგი არს საუკუნო იგი ყოფადი ნათელი, და გესმა ხმა იგი ვითარმედ ვერ იხილოს კაცმან პირი ჩემი.

ბ. ბა მერმე სიღრმესა მას სიმდაბლისასა შთახვედი ქორებსა შინა, და თანა გაქვნიდეს ფიცარნი იგი ივთივ წერილნი გულის-ხმის-ყოფისანი, და დიდებულ იყო პირი სულისაცა და ხორცთა.

ბ. ჟ რაიმე ვსთქვა ხბოსა მისთვის, ჭი საქმე იგი, ჭი, შემუსრვა იგი ფიცართა, და მერმე რა უპყარ ხელსა ერისასა; და განვლე უდაბნო იგი და წყურილისა მის ალი დაშრიტე, და წყარონი მათ ცრემლთანი მოანიჭენ ძელი-სა მიერ, რომელ არს ჯვარცმა ხორცთა, ხორცთა, ვნებათა თანა და გულისთქმადა, და წარმართნი იგი ბოროტნი ცეცხლითა ღვთისა მიერთა დასწვენ; და იორდანედ მოხვედ, რამეთუ არა რაი არს დამაყენებელ მცირედ რაიმე სახისა მის ძველისა დატეობა, რამეთუ განკვეთე იგი დიდად მდინარე და ქვემონი წყალნი ზღვასა მას მარილთა და სიკვდილისა მისცენ; და სხვანი იგი წყალნი სიყვარული-

სანი ზემოთ დააგუბენ, წინაშე თვალთა სულიერთა მათ ისრაელთასა.

iii. ზა ბრძანე ათორმეტთა მათ ლოდთა მოღება, გინათუ მოციქულთა რიცხვი, მათ მიერ აღაშენე; ანუ თუ რვათა მათ ვნებათა ძლევა; და ოთხთა მათ დიდთა სათნოებათა მოგება მოასწავე, და მკვდარი იგი და უნაყოფო ზღვა ზურგით დაუტევე სრულიად, და იერიქოდ მიხვედ ქალაქად, და დაბერე ნესტვსა ლოცვისასა შვიდისა ამის შვიდეულისა ჟამთა საწუთროისათა, და დაარღვიენ ზღუდენი იგი და სძლე ვიდრეღა შენცა შემწისა მისა მიმართ უნივთოისა ღალადებდი, ვითარმედ მტერისა მახვილსა მოაკლდა სრულიად, და ზღუდენი იგი ვნებათა ჩემთანი დაარღვიენ.

7. H~ ვსთქვა უმეტესიცა, იერუსალიმად აღხვედ, რომელ არს ხილვა სრულისა მის მშვიდობისა და F~ ე იხილე N~ თი იგი მშვიდობისა, და მისთანა იღვაწე, ვითარცა კეთილმან მხედარმან, მისთანა ჯვარს ეცვ ხორცითა ვნებათა თანა და გულის თქმათა, და იქმენ შენცა ივთისა მიერ იმერთ ფარაოსა, და ყოვლისავე წინააღმდეგომისა ძალისა, და F~ ეს თანა დაიფალ, და შთახედ მისთანა უფსკრულთა მათ ივთის-მეტყველებისათა, და ნელსაცხებელი მიიღე მეგობართა მათ სათნოებათაგან, და ესრეთ აღსდეგ, რამეთუ რად დამაყენებს თითოეულად თქმად.

7d. Ⴀღსდეგ მესამესა დღესა, ესე იგი არს შემდგომად ძლევისა სამთა მათ მძლავრთა: ნაყროვანებისა, ვეცხლის მოყვარებისა და მზვობრობისა; და უფროსად შემდგომად განწმედისა სულისა და ხორცთა და გონებისა გულის თქმისაგან და გულის წყრომისა და გულის სიტყვათა.

7e. ზა მთად ზეთის ხილთასა აღხედ, მთასა მას რომლისათვის წმიდა იგი იტყოდა: მთანი მაღალნი ირემთა, სულთა მათ მომსრველთა ვნებათასა. რამეთუ ჯერ არს შემოკლება, და არა გრძლად სიბრძნის მეტყველება,

სიბრძნითა სავსისა მიმართ, და უფროს ჩვენ ყოველთა მეცნაურისა, რამეთუ აღხედ მას, რომლისათვის წიგნი იტყოდა, ვითარმედ მათ მომსრველთა ვნებათასა.

76. წმისა უკვე შემდგომად შენცა აღხედ და აღიხილენ ზეცად თვალნი, რამეთუ კვალად სიტყვისა წესი, სიტყვისა მიმართ მივიყვანო. გვაკურთხენ ჩვენ მოწაფენი, და განიცადე წინამდებარე იგი სათნოებათა ღიბე რომელსაცა მადლითა მით ქვთისათა მოცემულითა შენდა, საფუძველი დასდევ, ვითარცა ბრძენმან ხუროთ მოძღვარმან, და უფროსლა აღასრულო ყავ.

77. ბაღაცათუ სიმდაბლისა სიღრმითა, ჩვენი ესე გლახაკი და უსწავლელი პირი აიძულე ერისა შენისა მიმართ აღებად, და არა საკვირველ არს, რამეთუ მოსეცა უწესდა თავსა თვისსა ხმა წვლილად და ენა-ბრგვნილად, არამედ მას წრონ ჰყვა კეთილად მეტყველი, ხოლო შენ ნეტარო არა ვუწყი თუ რად მოხვედ წყაროდ განხმელად და აღვსებულად-მყვართაგან ეგვიპტისათა და უფროსად ნაკვერცხალთა ეგვიპტისათა.

78. ბა ვინათგან არა ჯერ არს დატეობად სახესა და იგავსა შენისა მის აღსვლისასა, აღუსრულებელად, ამისთვის კვალად პირველსავე სიტყვასა მოვიდე; რამეთუ აღხედ მთასა მას წმიდასა, და თვალნი ზეცად აღიხილენ, და ფერხნი კიბესა სათნოებათასა დასდგი, აღხვედ და ამაღლდი; და აღფრინდი და ამაღლდი ღაღადებითა, და მტერთა მძლე ექმენ, და მოსწყვლენ და წინა წარუძედვ, და უფროსლა აწცა მარადის გვიძლვი ჩვენ ყოველთა, რამეთუ აღსრულ ხარ თავსა მას წმიდისა მის სათნოებათა კიბისა და შეერთებულ ხარ სიყვარულსა; ხოლო სიყვარული არს იმერთი, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.